



Investors Council

გიორგი გიგუაშვილი
გიორგი ჯულელი

განმარტებები

საქართველოს კანონზე

„მენარმეთა შესახებ“

(2022 წლის თებერვლის მდგომარეობით)

გიორგი გიგუაშვილი
გიორგი ჯულელი

განმარტებები
საქართველოს კანონზე
„მენარმეთა შესახებ“

(2022 წლის თებერვლის მდგომარეობით)

განმარტებები საქართველოს კანონზე „მენარმეთა შესახებ“ შეიქმნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და საქართველოს ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მხარდაჭერით.

ცვლილებების გათვალისწინებით, ავტორების მიერ გადაამუშავებულ იქნა „განმარტებები „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე“, რომლიც გამოიცა 2021 წელს პროექტის – „საქართველოს კომერციული სამართლისა და პრაქტიკის გაუმჯობესება“ – მხარდაჭერით, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებდა.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან ავტორები. მასში გამოტყმული მოსაზრებები არ გამოხატავს EBRD-ის, ინვესტორთა საბჭოს ან ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მოსაზრებებს.

ინვესტორთა საბჭო ფინანსდება გაერთიანებული სამეფოს კარგი მმართველობის ფონდის (GGF) მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მეშვეობით.



ავტორები:

- 1-ლი – მე-20 მუხლები – ბიორბი ბიგუაშვილი
- 21-ე – 34-ე მუხლები – ბიორბი ჯუღელი
- 35-ე – 58-ე მუხლები – ბიორბი ბიგუაშვილი
- 59-ე – 78-ე მუხლები – ბიორბი ჯუღელი
- 79-ე – 93-ე მუხლები – ბიორბი ბიგუაშვილი
- 94-ე – 149-ე მუხლები – ბიორბი ჯუღელი
- 150-ე – 255-ე მუხლები – ბიორბი ბიგუაშვილი

© ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე investorscouncil.ge

ISBN 978-9941-8-4187-3

შინაარსი

ენინსიტყვაობა	11
---------------------	----

პარი I. ზოგადი ნაწილი

თავი I. შესავალი დებულებები

მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო და დისპოზიციურობის პრინციპი	14
მუხლი 2. მენარმის ცნება	16
მუხლი 3. საქმიანობა, რომელიც სამენარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა	18

თავი II. მენარმის დაფუძნება

მუხლი 4. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტები და მათი ფორმა ..	20
მუხლი 5. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება	21
მუხლი 6. წესდება	26
მუხლი 7. სამენარმეო საზოგადოების პარტნიორი	28
მუხლი 8. მენარმის რეგისტრაცია	29
მუხლი 9. სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციის წინა პირობა	31
მუხლი 10. პასუხისმგებლობა სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით განხორციელებული მოქმედებისთვის	32
მუხლი 11. ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია	33
მუხლი 12. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	35
მუხლი 13. რეესტრის საჯაროობა და ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება	38
მუხლი 14. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია	41
მუხლი 15. მენარმის ფილიალი	43
მუხლი 16. მენარმის საფირმო სახელწოდება	46
მუხლი 17. საქმიანი წერილი და ვებგვერდი	50
მუხლი 18. მარეგისტრირებელი ორგანოს შეტყობინების ჩაბარების წესი	51

თავი III. ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება

მუხლი 19. ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება	54
მუხლი 20. წერილობითი ფორმის დაცვის ვალდებულება	55

თავი IV. შენატანი

მუხლი 21. შენატანის ცნება	56
მუხლი 22. შენატანის საგანი	57
მუხლი 23. შენატანის სახეები	58
მუხლი 24. შენატანის განხორციელების წესი და ვადა	58
მუხლი 25. შენატანის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა	60
მუხლი 26. პარტნიორის პასუხისმგებლობა	61
მუხლი 27. შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან გათავისუფლების დაუშვებლობა	62

თავი V. სამენარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი, წილი, დივიდენდი

მუხლი 28. სამენარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცნება	64
მუხლი 29. წილი	65
მუხლი 30. წილის განკარგვა	65
მუხლი 31. დივიდენდის მიღების უფლება	67

მუხლი 32.	გაცემული დივიდენდის დაბრუნება	68
მუხლი 33.	დივიდენდის გაცემის შეზღუდვა	68
მუხლი 34.	სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი	69

თავი VI. სამენარმეო საზოგადოების ორგანოები

მუხლი 35.	ზოგადი დებულებები	71
მუხლი 36.	საერთო კრება	72
მუხლი 37.	საერთო კრების გადანყვეტილება	76
მუხლი 38.	საერთო კრების ოქმი	78
მუხლი 39.	საერთო კრების გადანყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობა	79
მუხლი 40.	საერთო კრების გადანყვეტილების ბათილად ცნობის შემდეგ განხორციელებული ღონისძიებები	82
მუხლი 41.	სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო	83
მუხლი 42.	სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება	84
მუხლი 43.	სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა და მის მიერ გადანყვეტილების მიღების წესი	86
მუხლი 44.	სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება	89
მუხლი 45.	სასამსახურო ხელშეკრულება	91
მუხლი 46.	სამენარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო	93
მუხლი 47.	სამენარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობა და პასუხისმგებლობა	96
მუხლი 48.	გენერალური სავაჭრო მინდობილობა	96
მუხლი 49.	სამენარმეო საზოგადოებაში სასამართლოს მიერ დანიშნული პირების გასამრჯელო და ხარჯების ანაზღაურება	98
მუხლი 51.	ზრუნვის მოვალეობა განსაკუთრებულ ვითარებაში	101
მუხლი 52.	სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლება	102
მუხლი 53.	კონკურენციის აკრძალვა	104
მუხლი 54.	საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა	106
მუხლი 55.	სოლიდარული პასუხისმგებლობა	109

თავი VII. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი 111

მუხლი 56.	ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი	111
მუხლი 59.	აუდიტის კომიტეტი	112
მუხლი 58.	აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა	115

თავი VIII. სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაცია.

უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა		
მუხლი 59.	სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის ფორმები	116
მუხლი 60.	სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნა	116
მუხლი 61.	გადანყვეტილება გარდაქმნის შესახებ	118
მუხლი 62.	გარდაქმნის პირობები	120
მუხლი 63.	გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილების გამოქვეყნება	121

მუხლი 64.	გარდაქმნის რეგისტრაცია.....	121
მუხლი 65.	სამენარმეო საზოგადოებების შერწყმა და სამენარმეო საზოგადოების გაყოფა	122
მუხლი 66.	გადაწყვეტილება შერწყმის/გაყოფის შესახებ.....	126
მუხლი 67.	შერწყმის/გაყოფის გეგმა	127
მუხლი 68.	სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის ანგარიში.....	130
მუხლი 69.	შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნება და შეტყობინება შესაძლო შერწყმის/გაყოფის შესახებ	131
მუხლი 70.	სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის გეგმის-პროექტის შემოწმება.....	134
მუხლი 71.	შერწყმის/გაყოფის გეგმის დამტკიცება	135
მუხლი 72.	მიერთებისა და შექმნით გაყოფის განსაკუთრებული შემთხვევები	135
მუხლი 73.	შერწყმის/გაყოფის რეგისტრაცია	141
მუხლი 74.	სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის პროცესში კრედიტორთა დაცვა	143
მუხლი 75.	პარტნიორთა წილების გამოსყიდვა სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის დროს	145
მუხლი 76.	სამენარმეო საზოგადოებების შერწყმა/სამენარმეო საზოგადოების გაყოფა რეაბილიტაციის დროს.....	147
მუხლი 77.	სამენარმეო საზოგადოების რედომიცილება	147

თავი IX. სამენარმეო საზოგადოების დაშლა. ხარვეზიანი საზოგადოება

მუხლი 78.	სამენარმეო საზოგადოების დაშლა.....	149
მუხლი 79.	სამენარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე.....	151
მუხლი 80.	ხარვეზიანი საზოგადოება	152
მუხლი 81.	სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყება	154
მუხლი 82.	სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ კრედიტორებისთვის შეტყობინების ვალდებულება	155
მუხლი 83.	ლიკვიდატორი.....	156
მუხლი 84.	ლიკვიდატორის უფლებამოსილება.....	158
მუხლი 85.	ქონების განაწილება.....	159
მუხლი 86.	ლიკვიდაციის პროცესში კრედიტორთა დაცვა	160
მუხლი 87.	დაშლილი სამენარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელება	161
მუხლი 88.	სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება.....	162
მუხლი 89.	ლიკვიდირებული სამენარმეო საზოგადოების დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება	163
მუხლი 90.	ლიკვიდაციის პროცესის განახლება დარჩენილი ქონების აღმოჩენის ან დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელების აუცილებლობის გამო	164
მუხლი 91.	ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმება.....	164

თავი X. ხანდაზმულობა და შეცვილება.

	ბასარივრების უფლებამოსილება და ვადები	
მუხლი 92.	ხანდაზმულობისა და შეცვილების ვადები	166
მუხლი 93.	საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილების შეცვილების/გასაჩივრების უფლებამოსილება და ვადები	166

პარი II. კერძო ნაწილი

თავი XI. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი 94.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება.....	170
მუხლი 95.	წესდებაში ცვლილების შეტანა კონსენსუსით.....	170
მუხლი 96.	შენატანის განხორციელების ვალდებულება.....	171
მუხლი 97.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობა	172
მუხლი 98.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის შესაგებელი.....	173
მუხლი 99.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრება	174
მუხლი 100.	საერთო კრების მიერ გადანყვეტილების მიღება.....	174
მუხლი 101.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობა.....	175
მუხლი 102.	პარტნიორების თანხმობა და ხელმძღვანელი პარტნიორისთვის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ჩამორთმევა.....	177
მუხლი 103.	პარტნიორის მიერ კონტროლის განხორციელების უფლება.....	177
მუხლი 104.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგება და ზარალი	178
მუხლი 105.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგებისა და ზარალის განაწილება.....	179
მუხლი 106.	პარტნიორის მიერ ფულის გახარჯვა	179
მუხლი 107.	პარტნიორისთვის ხარჯების ანაზღაურება	181
მუხლი 108.	პარტნიორის მიერ წილის გასხვისება	181
მუხლი 109.	პარტნიორის გასვლა ან გარიცხვა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან.....	182
მუხლი 110.	ურთიერთობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის/გარიცხვის შემდეგ.....	184
მუხლი 111.	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის გარდაცვალება.....	185

თავი XII. კომანდიტური საზოგადოება

მუხლი 112.	კომანდიტური საზოგადოების ცნება.....	188
მუხლი 113.	კომანდიტის მიერ კონტროლის განხორციელების უფლება	188
მუხლი 114.	კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელობა.....	189
მუხლი 115.	კომანდიტის ხმის უფლება	190
მუხლი 116.	კომანდიტის საგარანტიო თანხა.....	191
მუხლი 117.	კომანდიტის საგარანტიო თანხის შემცირება.....	192
მუხლი 118.	კომანდიტური საზოგადოების წარმომადგენლობა	192
მუხლი 119.	კომანდიტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება	192
მუხლი 120.	კომანდიტური საზოგადოების მოგებისა და ზარალის განაწილება	193
მუხლი 121.	კომანდიტის მიერ მოგების მიღება.....	193
მუხლი 122.	კომანდიტის მიერ წილის გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა	194

თავი XIII. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი 123.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება	195
მუხლი 124.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო	195
მუხლი 125.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.....	197
მუხლი 126.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა გადანყვეტილება.....	198

მუხლი 127.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრება.....	200
მუხლი 128.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრება	203
მუხლი 129.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილების საერთო კრების ჩატარების გარეშე მიღება.....	205
მუხლი 130.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის საერთო კრებაში მონაწილეობა.....	207
მუხლი 131.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ხმის მიცემისა და პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის წესები და პირობები.....	208
მუხლი 132.	ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში	209
მუხლი 133.	წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში	209
მუხლი 134.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალი	210
მუხლი 135.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების კლასები.....	211
მუხლი 136.	წილის სახეები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ ახალი წილების გამოშვება.....	212
მუხლი 137.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ გამოშვებული ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება.....	215
მუხლი 138.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ შენატანის განხორციელება	217
მუხლი 139.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ შენატანის განუხორციელებლობა და მისი შედეგები	218
მუხლი 140.	სავალდებულო და ნებაყოფლობითი დამატებითი შენატანები.....	219
მუხლი 141.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის გადაცემა.....	221
მუხლი 142.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შექმნა.....	222
მუხლი 143.	პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან.....	223
მუხლი 144.	პარტნიორის გასვლა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან.....	227
მუხლი 145.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დივიდენდის განაწილება.....	230
მუხლი 146.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლება.....	233
მუხლი 147.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სასარგებლოდ პარტნიორის სარჩელის შეტანის უფლება	234
მუხლი 148.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	235
მუხლი 149.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა შეთანხმება.....	235

თავი XIV. სააქციო საზოგადოება

მუხლი 150.	სააქციო საზოგადოების ცნება.....	236
მუხლი 151.	აქციის ცნება.....	237
მუხლი 152.	სააქციო საზოგადოებაში შენატანის განხორციელება.....	238

მუხლი 153.	ნებადართული, გამოშვებული და განთავსებული აქციები.....	244
მუხლი 154.	აქციის ნომინალური ღირებულება.....	245
მუხლი 155.	აქცია ნომინალური ღირებულების გარეშე.....	246
მუხლი 156.	სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი.....	247
მუხლი 157.	აქციების კონსოლიდირება და დანაწევრება	249
მუხლი 158.	აქციის კლასი. აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდი.....	250
მუხლი 159.	აქციათა გადაცემა, რომელიც დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების თანხმობაზე	253
მუხლი 160.	სააქციო საზოგადოების მიერ ახალი აქციების თავის სასარგებლოდ განთავსების აკრძალვა.....	254
მუხლი 161.	საკუთარი აქცია.....	255
მუხლი 162.	აქციათა რეესტრი.....	258
მუხლი 163.	სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილების განხორციელების წესი	260
მუხლი 164.	კაპიტალის გაზრდა დამატებითი აქციების გამოშვებით.....	262
მუხლი 165.	ახალი აქციების გამოშვება სააქციო საზოგადოების საკუთარი ქონების ხარჯზე	264
მუხლი 166.	სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ კაპიტალის გაზრდა ნებადართული კაპიტალის ფარგლებში	266
მუხლი 167.	აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება.....	268
მუხლი 168.	სარეზერვო კაპიტალი	272
მუხლი 169.	განთავსებული კაპიტალის შემცირება	273
მუხლი 170.	კაპიტალის შემცირება სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გაუქმებით	278
მუხლი 171.	სააქციო საზოგადოების კაპიტალის არსებითი დანაკარგი.....	280
მუხლი 172.	აქციონერის უფლებები.....	280
მუხლი 173.	აქციონერთა დამატებითი უფლებები.....	282
მუხლი 174.	სპეციალური აუდიტორის დანიშვნა.....	284
მუხლი 175.	აქციონერის მოვალეობები	287
მუხლი 176.	აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.....	288
მუხლი 177.	აქციონერთა შეთანხმება	291
მუხლი 178.	აქციონერთა შეთანხმებაში სააქციო საზოგადოების მონაწილეობა.....	293
მუხლი 179.	სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა	293
მუხლი 180.	წლიური ანგარიშისა და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შედგენა.....	296
მუხლი 181.	სააქციო საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის წესი.....	297
მუხლი 182.	სააქციო საზოგადოების ორგანოთა სისტემა.....	300
მუხლი 183.	სააქციო საზოგადოების წლიური და რიგგარეშე საერთო კრებები.....	302
მუხლი 184.	საერთო კრების კომპეტენცია	303
მუხლი 185.	განუხლები მუშაობის მოწონება	305
მუხლი 186.	საერთო კრების მოწვევის წესი.....	307
მუხლი 187.	საერთო კრების მოწვევა აქციონერის/აქციონერების მოთხოვნით.....	308
მუხლი 188.	საერთო კრების მომზადება	309
მუხლი 189.	შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ	310
მუხლი 190.	საერთო კრების მასალების გაცნობა	313
მუხლი 191.	საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატებისა და მისაღები გადაწყვეტილების პროექტის წარდგენის უფლებები	314

მუხლი 192.	საერთო კრების მონაწილე აქციონერები	317
მუხლი 193.	საერთო კრებაში მონაწილეობა	319
მუხლი 194.	საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმები	322
მუხლი 195.	ხმათა უმრავლესობის პრინციპი და წესდებაში/სადაამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანა	324
მუხლი 197.	ხმის უფლების დამოუკიდებლად განხორციელება	326
მუხლი 198.	საერთო კრების მიმდინარეობა	327
მუხლი 199.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და ხელმძღვანელი პირის არჩევა ხმების აკუმულირების მეთოდით	329
მუხლი 200.	საერთო კრების ოქმი	330
მუხლი 201.	კენჭისყრის შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება	332
მუხლი 202.	აქციონერის უფლება ინფორმაციაზე	332
მუხლი 203.	სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო	335
მუხლი 204.	სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნა	338
მუხლი 205.	სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე	340
მუხლი 206.	სააქციო საზოგადოების აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი	342
მუხლი 207.	სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა	342
მუხლი 208.	ინტერესთა კონფლიქტი	343
მუხლი 209.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია	346
მუხლი 210.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პასუხისმგებლობა	348
მუხლი 211.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა	349
მუხლი 212.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა	350
მუხლი 213.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გამოწვევა და გასვლა	351
მუხლი 215.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება	354
მუხლი 216.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე	354
მუხლი 217.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა	356
მუხლი 218.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები	358
მუხლი 219.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება	359
მუხლი 220.	სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები	361
მუხლი 221.	პასუხისმგებლობის ინიცირება	362
მუხლი 222.	აქციონერის სარჩელი სააქციო საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე	363
მუხლი 223.	მნიშვნელოვანი გარიგება	365
მუხლი 224.	მნიშვნელოვანი გარიგების დადების წესი	367
მუხლი 225.	მინორიტარი აქციონერის აქციის სავალდებულო მიყიდვა	369

თავი XV. კოოპერატივი

მუხლი 226.	კოოპერატივის ცნება	373
მუხლი 227.	კოოპერატივის დამფუძნებლები	374
მუხლი 228.	კოოპერატივის განთავსებული კაპიტალი	375

მუხლი 229.	კოოპერატივის წევრთა რეესტრი.....	376
მუხლი 230.	პაი	376
მუხლი 231.	კოოპერატივში წევრის მიღება	377
მუხლი 232.	კოოპერატივის ინვესტორი წევრი	378
მუხლი 233.	კოოპერატივის წევრობის შეწყვეტა.....	379
მუხლი 234.	წევრის გასვლა კოოპერატივიდან	379
მუხლი 235.	კოოპერატივიდან გასულ წევრთან ანგარიშსწორება	381
მუხლი 236.	წევრის გარიცხვა კოოპერატივიდან	382
მუხლი 237.	კოოპერატივის წევრის მიერ პაის გასხვისება	383
მუხლი 238.	კოოპერატივის წევრის გარდაცვალება	383
მუხლი 239.	კოოპერატივის საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება.....	384
მუხლი 240.	საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა.....	385
მუხლი 241.	საერთო კრების მოწვევა	386
მუხლი 242.	საერთო კრების მოწვევის ვადა და დღის წესრიგი	387
მუხლი 243.	განცხადება საერთო კრების მოწვევის შესახებ	388
მუხლი 244.	საერთო კრების ოქმი.....	389
მუხლი 245.	პარტნიორთა წლიური კრების კომპეტენცია	389
მუხლი 246.	საერთო კრების ექსკლუზიური კომპეტენცია სხვა საკითხებთან დაკავშირებით.....	391
მუხლი 247.	წარმომადგენელთა კრება.....	392
მუხლი 248.	კოოპერატივის მართვის სისტემის/მოდელის არჩევის შესაძლებლობა.....	394
მუხლი 249.	კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო	395
მუხლი 250.	კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია.....	397
მუხლი 251.	კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო და მისი კომპეტენცია.....	398
მუხლი 252.	კოოპერატივის ხელმძღვანელი პირის ფუნქციები და მისი არჩევა	399
მუხლი 253.	კოოპერატივის მოგებისა და ზარალის განაწილება.....	400
თავი XVI.	გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.....	402
მუხლი 254.	გარდამავალი დებულებები.....	402
მუხლი 255.	დასკვნითი დებულებები.....	404

წინასიტყვაობა

თანამედროვე სახით კონტინენტური ევროპის პოზიტიური სამართლის ჩამოყალიბებას უპირველესად უნდა ვუმაღლოდეთ გლოსატორებს, შუა საუკუნეებში მოღვაწე იურისტ მეცნიერებს, რომლებმაც იტვირთეს ანტიკური რომაული სამართლის წყაროების ამსახველი ტექსტების კომენტირების საქმე. მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი თანამედროვე კაცობრიობისთვის, რომ მთელი სიცხადით გასაგები გამხდარიყო მრავალი სამართლებრივი მაქსიმის, მრავალი იურიდიული კანონზომიერებისა და პარადიგმის არსი. ამასთანავე, მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი, რომ სამართლებრივი აზროვნება არ ყოფილიყო აცდენილი საკუთარი და ზოგადად აზროვნების ისტორიული ევოლუციის გზას.

ეს წარმოაჩინეს ჩემს პირად პატივისცემას ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც ხელს მოკიდებს სამართლებრივი აქტების კომენტირების უზომოდ შრომატევად საქმეს. ეს მეტად დასაფასებელი შრომაა, რადგან გაცილებით დიდია ის პრაქტიკული დანიშნულება, რაც სამართლებრივი აქტების კომენტარებს გააჩნია თანამედროვე სამართლის უკიდვანო სივრცეებში. კანონშემოქმედების პროცესს ახლავს ერთი პრაქტიკული კანონზომიერება. კანონის ტექსტი იშვიათად არის იმდენად ცხადი, რომ აზრი დაუკარგოს იმ ფრთიან ფრაზას, რომლის თანახმადაც კანონი უფრო გონიერია, ვიდრე კანონმდებელი. ამაშიც გამოიხატება სამართლის მეცნიერების სიღიადე, რომ ემსახურება უმნიშვნელოვანეს მიზანს – გაიგოს სამართლებრივი ტექსტებიდან არა ის რაც წერია, არამედ ის, რაც გონივრული განსჯის შედეგად ამოიკითხება. სწორედ ეს განსაზღვრავს კანონის კომენტარების მნიშვნელობას.

კანონთა კომენტირების პრაქტიკული მნიშვნელობა ერთი ორად იზრდება, როდესაც განმარტების საგანია ახალი საკანონმდებლო აქტის ტექსტი. არანაკლებად მნიშვნელოვანია დოქტრინალური მხარეც, მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ ისეთი საკანონმდებლო აქტის ტექსტის კომენტირებაზე, რომელთან დაკავშირებითაც ჯერ არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც იურისპრუდენციას ჯერ არ გაუცია პასუხები დასმულ ან დასასმელ აქტუალურ კითხვებთან დაკავშირებით, ასეთ დროს კანონის კომენტარები არის ფასდაუდებელი შრომა იმ უმნიშვნელოვანესი წინაპირობის შესაქმნელად, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს კანონის სწორად დამკვიდრება.

და კიდევ უფრო მეტია კანონის კომენტარის პრაქტიკული მნიშვნელობა მაშინ, როდესაც კანონის „მომხმარებლები“ უფრო ხშირად არიან არაიურისტები და, როდესაც საქმე გვაქვს ყოველდღიურობაში ხშირად გამოსაყენებელ საკანონმდებლო აქტთან. ასეთთა შორის კი საკორპორაციო ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები ყოველთვის ინტერესის ცენტრში ექცევა.

ერთ დროს, სწორედ ასეთ კომენტარს წარმოადგენდა 1994 წელს „მენარმეთა შესახებ“ მიღებული საქართველოს კანონის კომენტარები, რომლის ქონის პრივილეგიით იმ დროის იურისტები აღჭურვა ჩვენი დროის გამორჩეულმა იურისტებმა, ბატონმა თედო ნინიძემ და ბატონმა ლადო ჭანტურამ. მათი წვლილი თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართლის, თანამედროვე კერძო სამართლის განვითარებაში მართლაც უდიდესია.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე საქართველოს პარლამენტმა 2021 წელს მიიღო ახალი კანონი „მენარმეთა შესახებ“. ამ უზარმაზარ საქმეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ განეული შრომა განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს. სხვებს შორის, სწორედ ბატონი ირაკლი ბურდულის, ბატონი შალვა პაპუაშვილის, ბატონი გიორგი ჯულელის, ბატონი გიორგი გიგუაშვილის, ქალბატონი ირინა ნაქაძის წვლილს მინდა გავუსვა ხაზი.

და შეუძლებელია არ გამოვყო საგანგებოდ და ხაზი არ გავუსვა იმ ფაქტს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის იდეის წარმატებით განხორციელებაში მთავარი წვლილი ეკუთვნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სწორედ იმ პერიოდის ხელმძღვანელს, რომლის განმავლობაშიც დაიწყო მუშაობა მენარმეთა შესახებ ამ ახალი კანონის პროექტის შექმნაზე და მომზადდა კიდევ. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი თეა წულუკიანის პირადი წვლილის გარეშე ეს ბრწყინვალე იდეა და ეს დიადი საქმე უბრალოდ ვერ განხორციელდებოდა.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს 2021 წლის კანონის კომენტარის ეს შესანიშნავი გამოცემა, არის ძალზედ გაბედული ინიციატივა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს შეექმნას უკეთესი პირობები ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატებული პრაქტიკული განხორციელებისთვის. ნაშრომი, თავისი ხარისხით და მაღალი დონით, ნამდვილად იმსახურებს ყველა იმ შექებას, რომელიც წინა აბზაცებიდან გამომდინარეობს და ის ნამდვილად შეძლებს, რომ შეასრულოს საკუთარი მისია.

ვისურვებდი, რომ ამ კომენტარების გამოცემით საფუძველი დაედოს სიღრმისეულ დისკუსიას საკორპორაციო სამართლის კონცეპტუალური საკითხების ირგვლივ, რაც იმპლემენტაციის მეტად რთულ და გრძელ გზას გაუკვალავს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალ კანონს. კომენტარების ასეთი აქტუალურობა აუცილებელი წინა პირობაა საკუთრივ კანონის ირგვლივ მეტი ცოდნის, მეტი კვალიფიკაციის თავმოყრისთვის და მაღალი დონის იურისპრუდენციის ჩამოყალიბებისთვის. ამაშია სწორედ ამ გამოცემის ფუნქცია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გამოცემას ბევრი მკითხველი გამოუჩნდება არა მხოლოდ პროფესიონალთა შორის, არამედ საზოგადოება დაინტერესდება ამ თემებით და შეძლებს მიიღოს პასუხი მისთვის საინტერესო ყველა საკითხის თაობაზე.

და ბოლოს, გარდა იმისა, რომ უღრმეს მადლობას გადავუხდით ამ გამორჩეული გამოცემის ავტორებს (კომენტარების ძალზედ მაღალი ხარისხისთვის და ამ გაბედული ნაბიჯისთვის), ამასთანავე, ვუსურვებ მათ წარმატებას საკორპორაციო სამართლის შემდგომ კვლევაში. ეს ჰაერივით აუცილებელია ქართული სამართლის შემდგომი მდგრადი განვითარებისთვის.

თვით ამ წიგნს კი ვუსურვებ აქტუალურობის ხანგრძლივად შენარჩუნებას, რაც შეიძლება მეტი ყურადღების მიქცევას და კიდევ ბევრ გადამუშავებულ გამოცემას.

მიხეილ სარჯველაძე

თბილისი
2022 წელი

პარი I. ზოგადი ნაწილი

თავი I. შესავალი დეკლარაციები

მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო და დისპოზიციურობის პრინციპი

1. ეს კანონი აწესრიგებს მენარმის სამართლებრივ ფორმებს, მათი დაფუძნებისა და რეგისტრაციის პროცედურებს და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. თუ აღნიშნული პროცედურა ან საკითხი განსხვავებულად წესრიგდება სხვა საკანონმდებლო აქტით ან სხვა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებული/გამოცემული საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტით, მოქმედებს ეს სხვა საკანონმდებლო აქტი/საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კოოპერატივის წესდებით ან პარტნიორთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით დადგენილისგან განსხვავებული წესები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, ნორმის შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ის იმპერატიულია.
3. სამენარმეო საზოგადოების წესდებით (შემდგომ – წესდება) შეიძლება მოწესრიგდეს აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც ამ კანონით არ არის მოწესრიგებული, ან განივრცოს ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც შესაბამის საკითხებს ამომწურავად არ აწესრიგებს.
4. სააქციო საზოგადოების წესდებით ან აქციონერთა შეთანხმებით ამ კანონით დადგენილისგან განსხვავებული წესები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მენარმეთა შესახებ კანონმდებლობის უმთავრესი ამოცანა სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველი პირებისათვის თანასწორი სათამაშო მოედნის უზრუნველყოფაა. ამ ამოცანის შესასრულებლად, კანონმდებელი ქმნის სტანდარტების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ქცევის მოდიფიკაციის უზრუნველყოფი ნორმატიული ინსტრუმენტების სისტემატიზებულ კატალოგს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სახით. ეს ნორმები მოიცავს, როგორც სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უშუალო კონსტრუქციებს, ისე მათ დაფუძნებასთან, რეგისტრაციასა და არსებობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის სხვა სამართლებრივ აქტებთან კვეთის მასშტაბის გათვალისწინებით, შემდგომი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, კანონის პირველივე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია ამ კანონისა და სხ-

ვა სამართლებრივი აქტების ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, თუ სხვა სპეციალური საკანონმდებლო აქტით მონესრიგებულია იგივე საკითხი, გამოიყენება სპეციალური საკანონმდებლო აქტი. ასევე, საფინანსო სფეროში სამართალშემოქმედების განსაკუთრებული თავისებურების გათვალისწინებით, „მენარმეთა შესახებ“ კანონის ჩანაწერსა და საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ/გამოცემულ საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის სამართლებრივ აქტს შორის კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტის ჩანაწერს.

საკორპორაციო სამართალში კერძო ინიციატივა, ნოვაცია და ნების ავტონომია განაპირობებს კონკურენციასა და განვითარებას. შესაბამისად, კანონის ნორმებმა ერთობლიობაში უნდა უზრუნველყონ ყველასათვის ამ თავისუფლების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა სავაჭრო ძალაუფლების განონასწორების, ტრანსპარენტული ხარჯების შემცირებისა და „ბაზრის წარუმატებლობის“ კლასიკური სახეების გამორიცხვის გზით. ამ მიზნის უზრუნველყოფისათვის კანონმდებლის იმპერატიულ-ნორმატიული ინტერვენცია, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ურთიერთობის „სუსტი“ მხარის ღირებული ინტერესის დაცვას ემსახურება. კანონმდებელი დგას ამ ღირებულებათა კონფლიქტში საუკეთესო ბალანსის პოვნის განსაკუთრებით რთული გამოწვევის წინაშე. წინამდებარე მუხლის მე-2, მე-4 პუნქტები სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება. კერძოდ:

- სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში, დისპოზიციურია მხოლოდ ის ნორმა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს აქციონერების მიერ კანონისაგან განსხვავებული წესის შეთანხმების შესაძლებლობაზე;
- სხვა სამართლებრივი ფორმების შემთხვევაში, დისპოზიციურია ყველა ნორმა, გარდა იმ ნორმებისა, რომელთა შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ისინი იმპერატიულია. ეს დებულება საკმაოდ ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული. კერძოდ, ნორმის განმარტებისას თავდაპირველი დაშვება მისი დისპოზიციური ბუნებაა, რის შემდეგაც ამ ნორმამ უნდა გაიაროს მისი იმპერატიული ხასიათის მტკიცების ტესტი. ამ ტესტის დროს უნდა შეფასდეს ნორმის შინაარსი და მიზანი. მაგალითისათვის, იმპერატიულია კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც დაუშვებლად აცხადებს დივიდენდის გაცემის ზოგად აკრძალვას ან 111-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც მიუთითებს, რომ სპს-ში ყველა პარტნიორის ხელმძღვანელობითი საქმიანობისგან სრულად ჩამოცილების დაუშვებელია.


აქვე ხაზი უნდა გაესვას წინამდებარე მუხლის მესამე პუნქტის შინაარსს. ის ფართოდ, საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების კერძოსამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე უნდა იქნეს განმარტებული. კერძოდ, ეს ნორმა იძლევა შესაძლებლობას სანესდებო ავტონომიის ფარგლებში დისპოზი-

ციური ნორმებიდან გადახვევასთან ერთად, ასევე მოწესრიგდეს ყველა საკითხი, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის დარეგულირებული ან განივრცოს კანონის ის ნორმები, რომლებიც შესაბამის საკითხებს ამომწურავად არ აწესრიგებს.

მუხლი 2. მენარმის ცნება

1. მენარმედ მიიჩნევა ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს სანარმო.
2. სანარმო არის სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზებული სისტემა. სამენარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა.
3. სამენარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური მენარმის ან სამენარმეო საზოგადოების ფორმით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი სამენარმეო საზოგადოებაა.
4. სამენარმეო საზოგადოება არის იურიდიული პირი.
5. ინდივიდუალური მენარმე არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიან ურთიერთობაში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. ინდივიდუალური მენარმე სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით, თუ ინდივიდუალურ მენარმესა და კრედიტორს შორის შეთანხმებით (გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სანარმო წარმოადგენს სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზებულ სისტემას. ამ ორგანიზაციული სისტემის მეშვეობით ახორციელებენ მენარმეები სამენარმეო საქმიანობას. კანონის მე-2 მუხლი სწორედ ამგვარად აყალიბებს მენარმის ცნებას. ასეთ ორგანიზაციულ სისტემათა სამართლებრივი ფორმების კატალოგი ამავე მუხლში *numerus clausus*-ის პრინციპითაა განსაზღვრული. უფრო კონკრეტულად, სამენარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ექსკლუზიურად, მხოლოდ ამ მუხლში დასახელებული სამართლებრივი ფორმების მეშვეობით. კერძოდ, სამენარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მენარმე ფიზიკურ პირის ან სამენარმეო საზოგადოების მეშვეობით, რომელიც არის იურიდიული პირი:



ინდივიდუალური მენარმე არის ერთადერთი მენარმე სუბიექტი, რომელიც საქმიან ურთიერთობაში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. სხვა მენარმე სუბიექტები უფლებებს ახორციელებენ და მოვალეობებს ასრულებენ როგორც სამენარმეო საზოგადოებები, იურიდიული პირის ფორმით.

მენარმეს ენიჭება სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება. დაუშვებელია სამენარმეო საქმიანობის განხორციელება მენარმედ რეგისტრაციის გარეშე (გარდა ე.წ. წინარე საზოგადოების ფარგლებში განხორციელებული საგამონაკლისო საქმიანობისა, რაც კანონის მე-10 მუხლშია მოწესრიგებული). ასეთი საქმიანობა ჩაითვლება უკანონო სამენარმეო საქმიანობად, რაც გამოიწვევს შესაბამის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სამენარმეო საქმიანობად კი მიიჩნევა საქმიანობა, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შეფასების ტესტის ხუთივე კომპონენტს:

1.	მართლზომიერება	შესაბამისი საქმიანობა თავსებადია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, დასაშვებია ნებისმიერი იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული. ასევე, მართლზომიერება მოიცავს სეგმენტურად, საჭიროებისამებრ, შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის არსებობას.
2.	არაერთჯერადობა	საქმიანობა ატარებს სისტემატიზებულ ხასიათს, ის მიზნობრივად მიმართულია მრავალჯერადობისაკენ.

3.	დამოუკიდებლობა	საქმიანობა ხორციელდება პარტნიორებისაგან დამოუკიდებლად, საკუთარი სახელითა და საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში.
4.	ორგანიზებულობა	საქმიანობა ხორციელდება ორგანიზებულად, კანონმდებლობით განსაზღვრული მენარმის ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმის მეშვეობით.
5.	მოგების მიღების მიზანი	საქმიანობა ხორციელდება მოგების მისაღებად, მიუხედავად ამ საქმიანობის ფაქტობრივი შედეგისა.

მუხლი 3. საქმიანობა, რომელიც სამენარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა

1. სამენარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო, საარბიტრაჟო, სამედიცინო, სანოტარო, აუდიტორული ან საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა, აგრეთვე ფიზიკური პირების ან იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების მიერ ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სამენარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა ფიზიკური პირების სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის განსახორციელებლად მუდმივად დასაქმებულია 5 პირი მაინც, რომელიც არ არის წარმოების მფლობელის ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელია მენარმის სამართლებრივი ფორმის დაფუძნება.
3. თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირებს – თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ ამ კანონით განსაზღვრული მენარმის სამართლებრივი ფორმები.

კანონის შესავალ დებულებებში მე-3 მუხლის სახით შემოთავაზებულია ე.წ. თავისუფალი პროფესიების ამომწურავი კატალოგი. „თავისუფალი პროფესიები“ – ეს არის პროფესიები, რომლებიც, მართალია, გარეგნული ნიშნებით აკმაყოფილებენ სამენარმეო საქმიანობის შეფასების ტესტის ელემენტებს, თუმცა, თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე, მიეკუთვნებიან თავისუფალ პროფესიებს.

კერძოდ, ასეთი საქმიანობები უპირატესად საქმიანობის განმახორციელებლის უშუალო ინტელექტუალურ და შემოქმედებით მომსახურებაზე, მის პირად უნარ-ჩვევებზეა დამყარებული და როგორც არსობრივად, ისე ისტორიულად არ განეკუთვნებიან სამენარმეო საქმიანობის სახეს. თავისუფალი პროფესიების ამომწურავ ჩამონათვალში ექცევა:

სახელოვნებო საქმიანობა	სამეცნიერო საქმიანობა	სამედიცინო საქმიანობა
არქიტექტურული საქმიანობა	საადვოკატო საქმიანობა	საარბიტრაჟო საქმიანობა
სამედიატო საქმიანობა	სანოტარო საქმიანობა	აუდიტორული საქმიანობა
საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა	ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით	ფიზიკური პირების სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის განსახორციელებლად მუდმივად დასაქმებულია 5 პირი მაინც, რომელიც არ არის წარმოების მფლობელის ოჯახის წევრი

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები არ მიიჩნევიან მენარმეებად, მათ საქმიანობის ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შეუძლიათ გამოიყენონ მენარმეთა სამართლებრივი ფორმები. აქედან გამონაკლისი იქნება მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ამ საქმიანობისათვის მენარმის სამართლებრივი ფორმის გამოყენებას შეზღუდავს სპეციალური კანონმდებლობა.¹

¹ მაგალითად, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია საერთო სანოტარო ბიუროს შექმნა სააქციო საზოგადოების ფორმით. იხ. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი (სსმ, 46, 22/12/2009), მუხლი 19. [05.02.2022].

თავი II. გენარმის დაფუძნება

მუხლი 4. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტები და მათი ფორმა

1. სამენარმეო საზოგადოების დასაფუძნებლად აუცილებელია სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება.
2. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება წერილობით ფორმდება და მას ხელს აწერს სამენარმეო საზოგადოების ყველა დამფუძნებელი პარტნიორი.
3. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაზე ხელმონერა სანოტარო წესით მონმდება. ხელმონერის სანოტარო წესით დამონმება სავალდებულო არ არის, თუ იგი დადგენილი წესით დამონმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – მარეგისტრირებული ორგანო) ან მარეგისტრირებული ორგანოს მიერ უფლებამოსილი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა პირის მიერ, ან თუ ხელმონერა შესრულებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
4. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოითხოვს სანოტარო წესით დამონმებას ან ხელმონერის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესრულებას.

სამენარმეო საზოგადოების დასაფუძნებლად აუცილებელია სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების შექმნა. სადამფუძნებლო შეთანხმება პირველი ნაბიჯია სამენარმეო საზოგადოების წარმოშობის გზაზე. სწორედ სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტის მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენის გზით და სხვა აუცილებელი პროცედურების გავლის შედეგად წარმოიშობა სრულფასოვანი სამენარმეო საზოგადოება, რომელსაც ენიჭება სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერს სამენარმეო საზოგადოების ყველა დამფუძნებელი პარტნიორი, რომელთა ხელმონერა მონმდება სანოტარო წესით. რეესტრაციის პროცესის გამარტივების მიზნით, კანონი ითვალისწინებს სადამფუძნებლო

შეთანხმების გაფორმებას ხელმონერების სანოტარო წესით დამონმების გარეშე. კერძოდ, სანოტარო წესით დამონმება სავალდებულო არ არის, თუ:

- ხელმონერა დადგენილი წესით დამონმებულია მარეგისტრირებული ორგანოს მიერ;
 - ხელმონერა დადგენილი წესით დამონმებულია მარეგისტრირებული ორგანოს მიერ უფლებამოსილი:
 - სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ;
 - სხვა პირის მიერ;
- ან
- ხელმონერა შესრულებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
 - კანონით დარეგულირებულია სადამფუძნებლო შეთანხმებაზე წარმომადგენლის მეშვეობით ხელმონერის საკითხიც. კერძოდ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოითხოვს სანოტარო წესით დამონმებას ან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხელმონერას.

მუხლი 5. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება

1. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება შეიცავს წესდებებს და ამ მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს.
2. ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება წესდებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) სამენარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებას;
 - ბ) სამენარმეო საზოგადოების იურიდიულ მისამართს;
 - გ) ყოველი პარტნიორის/დამფუძნებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს – სახელს, გვარს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს და პირად ნომერს, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს და საიდენტიფიკაციო ნომერს;
 - დ) სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საიდენტიფი-

კაციო მონაცემებს და უფლებამოსილების ვადას, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია;

ე) გენერალური სავაჭრო წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში – მის საიდენტიფიკაციო ან სარეგისტრაციო მონაცემებს, აგრეთვე მისი უფლებამოსილების ვადას;

ვ) პარტნიორის წილის მმართველის არსებობის შემთხვევაში – მის საიდენტიფიკაციო ან სარეგისტრაციო მონაცემებს;

ზ) სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობას და მათი დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, თუ ეს საკითხები ამ კანონიდან განსხვავებულად არის მოწესრიგებული, ასევე აღნიშნულ წევრთა უფლებამოსილებას;

თ) ამ კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით გავალისწინებული ერთობლივი წარმომადგენლობისგან განსხვავებული ფორმის წარმომადგენლობის არსებობის შემთხვევაში – მის აღწერას.

3. თუ დაფუძნებლების მიერ შემუშავებული წესდება არ არსებობს, სტანდარტული წესდება მიიჩნევა სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილად.

4. კომანდიტური საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რომელი პარტნიორია კომანდიტი, და ინფორმაციას მისი შენატანის ოდენობის შესახებ.

5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ წილების ოდენობას, რომლებიც გასცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა ამ სამენარმეო საზოგადოებას საზღაური (განთავსებული წილი), აგრეთვე კაპიტალში პარტნიორთა წილობრივ მონაწილეობას. ისინი გამოხატული უნდა იყოს პროცენტებით და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 100 პროცენტს;

ბ) არსებობის შემთხვევაში – დაფუძნების მომენტისთვის კაპიტალის მაქსიმალურ ოდენობას, რომლის ფარგლებშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია მომავალში მიიღოს წილების განთავსების შესახებ გადაწყვეტილება (ნებადართული კაპიტალი);

გ) არსებობის შემთხვევაში – დაფუძნების მომენტისთვის გამოშვებული წილების ოდენობას, აგრეთვე ინფორმაციას მათი განთავსების შემთხვე-

ვაში კაპიტალში პარტნიორთა არსებული წილებისა და პროცენტული მონაწილეობის ხელახალი გადანაწილების თაობაზე;

დ) არსებობის შემთხვევაში – წილების ნომინალურ ღირებულებას;

ე) სპეციალურ პირობას, რომელიც ზღუდავს წილების გასხვისებას, ასეთი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში;

ვ) ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას თითოეული კლასის წილთან მიმართებით.

6. სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის ოდენობას;

ბ) კაპიტალის მაქსიმალურ ოდენობას, რომლის ფარგლებშიც სააქციო საზოგადოებას შეუძლია მომავალში მიიღოს აქციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილება (ნებადართული კაპიტალი), აგრეთვე აქციების ნომინალურ ღირებულებას (არსებობის შემთხვევაში);

გ) სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული აქციების ნომინალურ ღირებულებას (არსებობის შემთხვევაში) და მათ ოდენობას, ხოლო ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების შემთხვევაში – მათ ოდენობას;

დ) სპეციალურ პირობას, რომელიც ზღუდავს აქციების გასხვისებას, ასეთი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში;

ე) ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას თითოეული კლასის აქციასთან მიმართებით;

ვ) სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის განაღდებული ნაწილის (განაღდებული კაპიტალი) ოდენობას;

ზ) არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას, ხოლო ნომინალური ღირებულების გარეშე გამოშვებული აქციების შემთხვევაში – მათ ოდენობას, შენატანის სახეს და შენატანისთვის ვალდებული პირის სახელს/სახელწოდებას;

თ) სააქციო საზოგადოების დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ არსებულ ან საგარეუდო ხარჯებს, რომლებიც სააქციო საზოგადოებამ უნდა გაიღოს;


ი) დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს.

7. კოოპერატივის სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პაის ნომინალური ღირებულების შესახებ.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების/ინფორმაციის ცვლილება მოითხოვს გადაწყვეტილების წესდების ცვლილებისთვის საჭირო უმრავლესობით მიღებას.
9. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის ან უცხო სახელმწიფოს იურიდიული პირის შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქალაქისთვის ან საქართველოში რეგისტრირებული სამენარმეო საზოგადოებისთვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება საქართველოში სანოტარო მოქმედებების შესრულების დროს პირის იდენტიფიკაციისთვის.
10. მენარმის იურიდიული მისამართი არის მისი ფიზიკური მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე.

კანონმდებლობა სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველებს აღჭურვავს ეფექტიანი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო მენარმის სამართლებრივი ფორმით. ამავდროულად, კანონმდებლობით შეთავაზებული მენარმის სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციული კონსტრუქცია ვერ იქნება უნივერსალური ხასიათის და ვერ უპასუხებს მენარმეობის მსურველთა ინდივიდუალური გამოწვევების ფართო პალიტრას.

სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება საზოგადოების ის კონსტიტუციური დოკუმენტია, რომლითაც კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, ინდივიდუალური ამოცანების შესაბამისად, პარტნიორების მიერ უნდა განისაზღვროს საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა. სადამფუძნებლო შეთანხმება თავის თავში მოიცავს ორ ნაწილს: (1) წესდებას და (2) კანონით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.



სადამფუძნებლო შეთანხმება

კანონში წარმოდგენილი კონცეფციით, წესდება – ეს არის სამენარმეო საზოგადოების ის დოკუმენტი, რომლის ცვლილების საჭიროებაც იშვიათად უნდა დადგეს. შესაბამისად, პარალელურად არსებობს სტანდარტული წესდების ინსტიტუტი როგორც შაბლონური, არაინდივიდუალიზებული დოკუმენტი, რომელიც პარტნიორების სურვილისამებრ, შეიძლება, შესაბამისი ფორმის სამენარმეო საზოგადოებაზე გავრცელდეს.

ზემოაღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, წესდების სავალდებულო კომპონენტები ისეთი საკითხებია, რომლებითაც ნაკლებად ხდება საზოგადოების ინდივიდუალიზება. წესდების ეს სტანდარტული ნიმუში დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ნოემბრის №791 ბრძანებით.¹ ასეთი მზა დოკუმენტის არსებობა მნიშვნელოვნად ამარტივებს საზოგადოების დაფუძნების პროცესს და პარტნიორებს უმცირებს სამენარმეო საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო ხარჯებს.

შედარებით ცვალებადი ის ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ სამენარმეო საზოგადოებასთან არის დაკავშირებული (მაგალითად: საფირმო სახელწოდება, პარტნიორებისა და ხელმძღვანელი პირის და სხვ.), არსებობს წესდების მიღმა, სადამფუძნებლო შეთანხმების სხვა ნაწილში. სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ასახაბი ასეთი სავალდებულო მონაცემების დეტალური კატალოგი წარმოდგენილია წინამდებარე მუხლის მე-2-მე-7 პუნქტებში.

სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებას ხელს აწერს ყველა პარტნიორი. მოგვიანებით კი ამ დოკუმენტში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია საერთო კრებაზე ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების გზით. აქედან გამონაკლისია ცალკეული მონაცემები, რომელთა ცვლილებაც საჭიროებს წესდების ცვლილებისათვის აუცილებელი უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ გადაწყვეტილებათა ამომწურავი ჩამონათვალი წარმოდგენილია კანონის წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტში.

მუხლის მე-9 პუნქტი ეთმობა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირების ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში, სადამფუძნებლო დოკუმენტის ცალკეულ ეკვივალენტურ მონაცემებს. მე-10 პუნქტი კი იურიდიული მისამართის დეფინიციას. კერძოდ, მენარმე სუბიექტთან კომუნიკაციისას ბუნდოვანებების თავიდან აცილებისა და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, სადამფუძნებლო შეთანხმებაში აღნიშნული იურიდიული მისამართი ავტომატურად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე მენარმის ფიზიკურ მისამართად.

¹ იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5275911?publication=0> [05.02.2022].

მუხლი 6. წესდება

1. ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:
 - ა) სამენარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმას;
 - ბ) სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის საგანს. საქმიანობის საგნად შეიძლება მიეთითოს როგორც ზოგადი სამენარმეო საქმიანობა, ისე კონკრეტული საქმიანობის საგანი;
 - გ) პარტნიორთა შორის შეთანხმებულ შეზღუდვას ნილზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში;
 - დ) ინფორმაციას პარტნიორთა შეთანხმების არსებობის თაობაზე, თუ ასეთი შეთანხმება არსებობს.
2. სტანდარტულ წესდებებს სამენარმეო საზოგადოების სამართლებრივი ფორმების მიხედვით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი). მინისტრის მიერ სტანდარტულ წესდებაში ცვლილების განხორციელება ან მისი გაუქმება არ გამოიწვევს იმ სამენარმეო საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის საჭიროებას, რომელსაც რეგისტრაციის მიზნებისთვის გამოყენებული ჰქონდა იმ მომენტისთვის მოქმედი სტანდარტული წესდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტანდარტულ წესდებაში ცვლილების განხორციელების ან მისი გაუქმების მიზეზია კანონის შესაბამისი ცვლილება, რომელიც ავალდებულებს სამენარმეო საზოგადოებას, უზრუნველყოს წესდების კანონის იმპერატიულ მოთხოვნასთან შესაბამისობა.

კანონის კონცეფციით, წესდება – ეს არის სამენარმეო საზოგადოების ერთგვარი კონსტიტუციური დოკუმენტი, რომლის ცვლილების საჭიროებაც იშვიათად უნდა დადგეს და რომლის მიზანია, იარსებოს სტანდარტული წესდების ნიმუშმა, რომელიც სამენარმეო საქმიანობის დაწყების გამარტივებისთვის შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების დამფუძნებლებმა. წესდების ასეთი ნიმუშის არსებობა რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველყოვლისა, ის ამცირებს სადამფუძნებლო ხარჯს. ასევე, წესდების ასეთი ნიმუშის არსებობა დამფუძნებლებისათვის ქმნის შესაძლებლობას, კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე ჰქონდეთ სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის სამართლებრივად გამართული და დაბალანსებულ დოკუმენტი. დამატებით, წესდების სტანდარტული ნიმუში საქართველოს იუსტიციის მინისტრს აძლევს შესაძლებლობას, სტანდარტულ წესდებაში სწრაფად ასახოს პრაქტიკაში გამოვლენილი

ბუნდოვანი სიტუაციების გადაჭრის საშუალებები. წესდების ეს სტანდარტული ნიმუში დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ნოემბრის №791 ბრძანებით.¹

ამასთანავე, სტანდარტული წესდების არსებობა არ ზღუდავს დამფუძნებლების შესაძლებლობას, თავად შეადგინონ საზოგადოების წესდება. წესდება, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს: (1) სამართლებრივ ფორმას; (2) საქმიანობის საგანს, რომელზედაც შეიძლება მიეთითოს როგორც ზოგადი სამენარმეო საქმიანობა, ისე კონკრეტული საქმიანობის საგანი (ასეთი შესაძლებლობა საშუალებას აძლევს პარტნიორებს სურვილის შემთხვევაში არ შეიზღუდონ თავი ნინასწარ განსაზღვრული საქმიანობის სახით და ახალი საქმიანობის წამოწყების შემთხვევაში საჭირო არ გახდეს წესდების ცვლილებისათვის საჭირო შესაბამისი პროცედურების გავლა); (3) პარტნიორთა შორის შეთანხმებულ შეზღუდვას ნილზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, თუ ასეთი შეთანხმება არსებობს; (4) ინფორმაციას პარტნიორთა შეთანხმების არსებობის თაობაზე, თუ ასეთი შეთანხმება არსებობს.

შესაბამისი ფორმის საზოგადოების სტანდარტული წესდების გამოყენება თავად ამ საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა სურვილზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორებს სურთ სტანდარტული წესდების გამოყენება, მათ ამის შესახებ სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა აღნიშნონ. ასეთ შემთხვევაში იუსტიციის მინისტრის მიერ შესაბამისი სამართლებრივი ფორმის სუბიექტისთვის დამტკიცებული სტანდარტული წესდება მიიჩნევა სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილად და დაერთვის სუბიექტის სარეგისტრაციო დოკუმენტაციას. სარეგისტრაციო მიზნებისთვის, სტანდარტული წესდების ქალაქის ან ელექტრონული ვერსიის სააგენტოში წარდგენა არ მოითხოვება. ამასთან, შესაძლებელია სტანდარტული წესდების მხოლოდ სრული სახით გაზიარება. მასში რაიმე სახის ცვლილების შეტანისას იგივე წესები გავრცელდება, რაც დამფუძნებლების მიერ დამოუკიდებლად შედგენილი წესდების წარმოდგენის შემთხვევაში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ სტანდარტულ წესდებაში ცვლილების განხორციელება ან მისი გაუქმება არ გამოიწვევს იმ სამენარმეო საზოგადოების წესდების ცვლილების საჭიროებას, რომელსაც რეგისტრაციის მიზნებისთვის გამოყენებული ჰქონდა იმ მომენტისათვის მოქმედი სტანდარტული წესდება. ამასთანავე, წესდებაში ცვლილების საჭიროება წარმოიშობა იმ შემთხვევაში თუ სტანდარტულ წესდებაში ცვლილების განხორციელების/გაუქმების მიზეზი კანონის შესაბამისი ცვლილებაა. ასეთი შემთხვევა

¹ იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5275911?publication=0> [05.02.2022].

ავალდებულებს სამენარმეო საზოგადოებას, თავისი წესდება კანონის იმპერატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

მუხლი 7. სამენარმეო საზოგადოების პარტნიორი

1. სამენარმეო საზოგადოების პარტნიორი არის პირი, რომელიც სამენარმეო საზოგადოების წილის მესაკუთრეა (ამ კანონის ზოგად ნაწილში ტერმინი „პარტნიორი“ მოიცავს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს, სააქციო საზოგადოების აქციონერს, კოოპერატივის პაის მფლობელს).
2. სამენარმეო საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე, რეგისტრირებული, დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და აიღოს ვალდებულებები.
3. წილზე საკუთრების უფლების შექმნაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები კანონით ან წესდებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამენარმეო საზოგადოებათა სამართლებრივი ფორმების არსებობა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებისათვის სამენარმეო საქმიანობის ერთობლივად, კოორდინირებულად წარმართვის აუცილებელი ორგანიზებული კონსტრუქციის აღჭურვის მიზანს ემსახურება. ამ საქმიანობის ერთობლივად განმახორციელებელი პირები კი იწოდებიან პარტნიორებად. კერძოდ, პარტნიორად მიიჩნევა პირი, რომელსაც აქვს საკუთრების უფლება სამენარმეო საზოგადოების წილზე.

წილის მესაკუთრე და, შესაბამისად, საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე რეგისტრირებული, დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც გააჩნია უნარი საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები¹ და სხვა იურიდიული პირი.

წილი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტია. ნებისმიერ პირს შეუძლია ფლობდეს წილს, სარგებლობდეს მისით და განკარგავდეს მას. ამასთანავე, წინამდებარე

¹ მაგალითად, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ერთობლივი საინვესტიციო ფონდი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. იხ. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი (6805-რს, ვებ, 22/07/2020), მუხლი 2. [05.02.2022].

მუხლი იძლევა კანონმდებლობით წილის შექმნის უფლების შეზღუდვაზე ბლანკეტურ მითითებას.

მუხლი 8. მენარმის რეგისტრაცია

1. მენარმის რეგისტრაცია სავალდებულოა. მენარმის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო რეგისტრაციას, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მენარმის რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო.
2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) დაცული მონაცემების რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების შესახებ ინფორმაციას მარეგისტრირებელი ორგანო ელექტრონულად უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს.
3. რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი/დამფუძნებელი.
4. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარდგენილი მონაცემებისა და დოკუმენტების ნამდვილობისთვის, მათი შინაარსის სისწორისა და შექმნის პროცედურების დაცვისთვის პასუხისმგებელია ამ კანონით ან/და სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული, აღნიშნული მონაცემებისა და დოკუმენტების შექმნის უფლებამოსილების მქონე ორგანო. მარეგისტრირებელი ორგანო პასუხისმგებელია მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და ამ ორგანოში დაცული სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობისა და უსაფრთხოებისთვის.
5. რეესტრის წარმოების წესი და რეგისტრაციის პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (შემდგომ – ინსტრუქცია) და სხვა ნორმატიული აქტებით.
6. მენარმე წარმოშობილად მიიჩნევა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
7. მენარმის რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაშია მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე განთავსებისთანავე.

მენარმის სახელმწიფო ლეგიტიმაცია და, შესაბამისად, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მისი რეგისტრაციის ფაქტთან. სწორედ რეგისტრაციის პროცედურების დადგომის შემდგომ წარმოიშობა სრულფასოვანი მენარმე სუბიექტი, რომელსაც გააჩნია სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. მენარმის რეგისტრაცია სავალდებულოა. სხვა შემთხვევაში სახეზე გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული უკანონო სამენარმეო საქმიანობა, ესე იგი სამენარმეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე.

კანონის თანახმად, მენარმის რეგისტრაციის ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. ბიზნესის დაწყების გამარტივების მიზნით, მარეგისტრირებელი ორგანო ერთდროულად ახდენს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას, რის შემდეგაც შესაბამისი მონაცემები მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ელექტრონულად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს. რეესტრის წარმოების წესი და რეგისტრაციის პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით¹ და სხვა ნორმატიული აქტებით.

რეგისტრაციას ექვემდებარება მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი/დამფუძნებელი. შესაბამისად, სააქციო საზოგადოებები და კოოპერატივები აქციონერების/მეპაიეების რეგისტრაციას მოახდენენ და მათ რეესტრს აწარმოებენ განცალკევებულად, ამავე სამართლებრივი ფორმების თავში გათვალისწინებული წესებით.

წინამდებარე მუხლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან, როგორც პირველადი რეგისტრაციისას, ისე რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებისას, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მონაცემების შემოწმების ფარგლების განსაზღვრა. კერძოდ, მარეგისტრირებელ ორგანოს ევალება წარდგენილი დოკუმენტაციის მხოლოდ ფორმალური და არა მატერიალური, ესე იგი შინაარსობრივი სისწორის, შემოწმება. ეს იმას გულისხმობს, რომ მარეგისტრირებელი ორგანო პასუხისმგებელია მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მასთან დაცული სარეგისტრაციო თუ

¹ შესაბამისი ბრძანება იხ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4924135?publication=1>. [05.02.2022].

სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი მონაცემების/დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მათი შინაარსის სისწორესა და შექმნის პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელია კანონით და სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული, ამ მონაცემებისა და დოკუმენტების შექმნაზე უფლებამოსილი სუბიექტი. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც მარეგისტრირებელი ორგანოს ამოცანას არ წარმოადგენს დოკუმენტების მიღების პროცედურების სისწორისა და კანონიერების კვლევა (მატერიალური შემოწმება), რაც კიდევ უფრო ამარტივებს და აჩქარებს პირველადი და შემდგომი ცვლილებების რეგისტრაციის პროცედურას.

მუხლი 9. სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციის წინა პირობა

- 1. სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება:**
 - ა) სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება;**
 - ბ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი თითოეული პირის თანხმობა აღნიშნული ფუნქციის შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ნება გამოხატულია სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში.**
- 2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციის სხვა წინაპირობებიც.**

კანონის მე-9 მუხლის რეგულირების საგანი იმ დოკუმენტაციის კატალოგის შექმნაა, რომლის წარდგენაც მეწარმის რეგისტრაციის წინა პირობაა. ამასთანავე, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია დადგინდეს რეგისტრაციის სხვა წინა პირობებიც. წინამდებარე მუხლში დადგენილი წესის მიხედვით კი, მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ორი დოკუმენტი: (1) სადამფუძნებლო შეთანხმება; (2) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი თითოეული პირის თანხმობა ასეთი ფუნქციის შესრულებაზე. ამასთანავე, თანხმობის დოკუმენტის ცალკე წარმოდგენა არ არის აუცილებელი თუ ხელმძღვანელი პირის ნება გამოხატულია სადამფუძნებლო შეთანხმებაში (მაგალითად, თუ ხელმძღვანელი პირი ამავდროულად საზოგადოების დამფუძნებელია და ის ხელს აწერს სადამფუძნებლო შეთანხმებას).

მუხლი 10. პასუხისმგებლობა სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით განხორციელებული მოქმედებისთვის

1. სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით ნაკისრი ვალდებულებებისთვის უშუალოდ და შეუზღუდავად, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ სამენარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და იმ მოქმედების განმახორციელებლები, რომელმაც გამოიწვია ამ ვალდებულებების წარმოშობა, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული.
2. სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით მოპოვებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები სამენარმეო საზოგადოების მიერ მოწონების შემთხვევაში იქცევა სამენარმეო საზოგადოების უფლებებად და ვალდებულებებად. ასეთ შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და იმ მოქმედების განმახორციელებლები, რომელმაც გამოიწვია აღნიშნული უფლებების ან/და ვალდებულებების წარმოშობა, თავისუფლდებიან ამ ვალდებულებებისგან, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

ნესდებაზე ხელმოწერის მომენტიდან მის რეგისტრაციამდე შუალედში სამენარმეო საზოგადოება დაფუძნებულია, თუმცა იურიდიული პირი ჯერ კიდევ არ არის წარმოშობილი, ვინაიდან, კანონი იურიდიული პირის წარმოშობას სწორედ რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს. ამ პერიოდში არსებულ წარმონაქმნს შეიძლება ვუწოდოთ „წინარე საზოგადოება“. წინარე საზოგადოებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც რეგისტრაციის პროცედურა რამდენიმედღიან პროცესს უკავშირდება, რა დროსაც შესაძლებელია, აუცილებელი იყოს მომავალი სამენარმეო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით მისი რეგისტრაციის მიზნებისათვის, გარკვეული მოქმედებების განხორციელება. წინამდებარე კანონი მენარმის რეგისტრაციის უკიდურესად მარტივ პროცედურებს ითვალისწინებს, რამაც რეგისტრაციის პროცედურების ხანგრძლივობა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც იარსებებს „იურიდიული წამი“, რომლითაც ნესდებაზე ხელმოწერა წინ გაუსწრებს საზოგადოების რეგისტრაციას. ამ დროის ხანგრძლივობა კი დამოკიდებულია სამენარმეო საზოგადოების დამფუძნებელთა სურვილსა და სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტური ფაქტორზე.

კანონის მე-9 მუხლი ქმნის ნორმატიულ საფუძველს იმისათვის, რომ ნესდებაზე ხელმოწერის შემდგომ მომავალი სამენარმეო საზოგადოების სახელით განხორციელებული მოქმედებები არ მოექცეს საქართველოს სისხლის სამარ-

თლის კოდექსით გათვალისწინებული უკანონო სამენარმეო საქმიანობის განმარტების ქვეშ. ასეთი რეგულირება გარკვეულ უფლებაუნარიანობას ანიჭებს წინარე საზოგადოებას, რის შედეგადაც მას შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები, მათ შორის: გახსნას საბანკო ანგარიში, იყოს უძრავი და მოძრავი ქონების მესაკუთრე და იყოს სასამართლო პროცესის მხარე.

ამასთანავე, პასუხისმგებლობის ნაწილში აღსანიშნავია, რომ სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით ნაკისრ ვალდებულებებზე, უშუალოდ და შეუზღუდავად, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ სამენარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და შემსრულებლები იმ მოქმედებისა, რომელმაც გამოიწვია ვალდებულების წარმოშობა, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული. ცალკე აღნიშვნის ღირსია პოსტსარეგისტრაციო პასუხისმგებლობის საკითხი. კერძოდ, სამენარმეო საზოგადოების სახელით მის რეგისტრაციამდე მოპოვებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები სამენარმეო საზოგადოების მიერ მონონების შემთხვევაში იქცევა სამენარმეო საზოგადოების უფლებებად და ვალდებულებებად. ასეთ შემთხვევაში, სამენარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და შემსრულებლები იმ მოქმედებისა, რომელმაც გამოიწვია უფლებების ან ვალდებულების წარმოშობა, თავისუფლდებიან ვალდებულებისგან, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული.

მუხლი 11. ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია

1. ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციისთვის ან ცვლილების რეგისტრაციისთვის ფიზიკური პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს წერილობით განცხადებას ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციის ან ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო თუ განმცხადებელი არის საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქე – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც გამოიყენება სანოტარო მოქმედებების შესრულების დროს პირის იდენტიფიკაციისთვის.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) განმცხადებლის სახელს;
 - ბ) განმცხადებლის იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის პირად ნომერს, ხოლო თუ განმცხადებელი არის საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქე – მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

დ) განმცხადებლის ხელმოწერას.

3. ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციისთვის ან ცვლილების რეგისტრაციისთვის განცხადების მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარდგენის უფლება აქვთ აგრეთვე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებსა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) ლეგიტიმურად მცხოვრებ ფიზიკურ პირებს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული და რომლებსაც მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირების ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

ინდივიდუალური მენარმე არ არის იურიდიული პირი, ის საქმიან ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც ფიზიკური პირი. აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია ორგანიზაციული სტრუქტურა, მაშინ როდესაც, ამ კანონის უმთავრესი ამოცანა სწორედ მენარმეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხების მონესრიგებაა. შესაბამისად, „მენარმეთა შესახებ“ კანონი ყველაზე ნაკლებად სწორედ ინდივიდუალურ მენარმესთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს, ამ მონესრიგებიდან უმთავრესი – ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია და წარმოშობა კი მე-11 მუხლის ფარგლებშია წარმოდგენილი.

ფიზიკურმა პირმა ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციისათვის, შესაბამისად, სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმაციის მოპოვებისათვის, თავდაპირველ ეტაპზე, მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით და წარუდგინოს თავისი იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტი. იგივე წესი მოქმედებს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანაზე.

მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: (1) განმცხადებლის სახელს; (2) იურიდიულ მისამართს; (3) განმცხადებლის პირად ნომერს, ხოლო თუ განმცხადებელი მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა, მის მიერ პირადობის დასადასტურებლად წარდგენილი დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს; (4) განმცხადებლის ხელმოწერას.

ამავე მუხლში, ასევე, გათვალისწინებულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის ის დებულებები, რომლებმაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრებ ფიზიკურ პირებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განახორციელონ სამენარმეო საქმიანობა, რათა მოხდეს მათი საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში რეინტეგრაცია. კერძოდ, ვინაიდან ამ პირებს უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ საქართველოს პასპორტი ან პირადობის მოწმობა, მათ უფლება ენიჭებათ, მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური წესით, მათთვის მინიჭებული პირადი ნომრის მეშვეობით.

მუხლი 12. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია

1. ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს.
2. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება ხორციელდება სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე, თუ წესდებით ან ამ ცვლილების რეგისტრაციის საფუძველად წარდგენილი გარიგებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირის მიმართვის გარდა, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება წილის გასხვისების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე წილის გამსხვისებელი პარტნიორის ან შემძენის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო მემკვიდრეობის შემთხვევაში – მემკვიდრის/მემკვიდრეების მოთხოვნის საფუძველზე. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება შეიძლება განხორციელდეს ასევე ნებისმიერი პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე. რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული სამენარმეო საზოგადოების კაპიტალში პარტნიორის წილობრივი მონაწილეობის ცვლილება, აგრეთვე ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება შეიძლება განხორციელდეს ასევე შესაბამისი პარტნიორის მიმართვის საფუძველზე.
4. თუ სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით სხვა წესი არ არის დადგენილი, წესდების ცვლილებას ხელს აწერს პარტნიორთა საერთო კრების/აქციონერთა საერთო კრების/კოოპერატივის წევრთა

საერთო კრების (შემდგომ – საერთო კრება) თავმჯდომარე. თუ საერთო კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსიც. თუ სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წესდების ცვლილებაზე ან მის ახალ რედაქციაზე პარტნიორების ხელმოწერები საჭირო არ არის. წესდების ცვლილების დამონშებაზე ვრცელდება ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესი.

5. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების განსახორციელებლად წარდგენილი გარიგება დამონშებული უნდა იყოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.
6. სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების განხორციელების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ცვლილების ტექსტთან ერთად უნდა წარედგინოს სადამფუძნებლო შეთანხმების კონსოლიდირებული ტექსტი. წარდგენილი კონსოლიდირებული ტექსტის ხარვეზი რეგისტრაციის შემაფერხებელი გარემოებაა.
7. მენარმის რეგისტრირებული მონაცემის ცვლილება ხორციელდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
8. წილზე საკუთრების უფლების წინასწარი რეგისტრაცია ხორციელდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით უძრავ ნივთზე უფლების წინასწარი რეგისტრაციისთვის დადგენილი წესით.
9. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის შემქმნმა პირმა საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად მოითხოვა ისეთი ცვლილების განხორციელება, რომლის საფუძველად არსებულ საკითხთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება შეეძლო მიეღო მას, როგორც წილის მესაკუთრეს, წილის მესაკუთრედ მისი რეგისტრაციის შემდეგ გადაწყვეტილება უფლებამოსილი პირის მიერ მიღებულად მიიჩნევა.
10. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ავტორიზებული საინვესტიციო კომპანიის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების განსახორციელებლად დაინტერესებული პირი წარადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობას, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.
11. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეგისტრირებული მონაცემის ცვლილება საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე რეესტრში დაუყოვნებლივ რეგისტრირდება.

გარიგების მონაწილეების შესაძლებლობა, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიიღონ ამომწურავი და სიმეტრიული ინფორმაცია, ამცირებს მათ ტრანსაქციულ ხარჯებს, ზრდის გარიგების საერთო ეკონომიკურ ეფექტს, ახალისებს გარიგებებს და, შესაბამისად, ხელს უწყობს სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. ამასთან, რეესტრში თავის შესახებ არსებული ინფორმაციის განახლების მოტივაცია შესაბამის სუბიექტს ნაკლებად აქვს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ასეთი განახლება დაკავშირებულია შესაბამისი ფინანსური, დროის, ადამიანური და სხვა რესურსების გაღებასთან მნიშვნელოვანი პირდაპირი, საპასუხო ამონაგების გარეშე. ასევე, შესაბამის სუბიექტს ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებისაკენ შეიძლება არ უბიძგოს თავად ბაზარმაც, ნაკლები კონკურენციის და მომხმარებლის მხრიდან სუსტი საბაზრო ძალაუფლების გამო. სწორედ ამ მიზეზით, კანონის მე-12 მუხლში დადგენილია რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების განახლების ვალდებულება და წესი.

უპირველეს ყოვლისა, განახლების ვალდებულება შეეხება საზოგადოების არსებობის უმთავრეს დოკუმენტს – სადამფუძნებლო შეთანხმებას. რეესტრში არსებული ამ მონაცემის განახლების ვალდებულება ეკისრება საზოგადოების ხელმძღვანელ პირს. ხელმძღვანელმა პირმა თავისი ამ ვალდებულების შესასრულებლად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარუდგინოს საერთო კრების თავმჯდომარის ხელმოწერილი წესდების ცვლილება, რაზეც ინდივიდუალურად თითოეული პარტნიორის ხელმოწერა საჭირო არ არის. ამასთან, ხელმოწერაზე ვრცელდება სანოტარო დამონშემების ვალდებულება. სანოტარო წესით დამონშება სავალდებულო არ არის, თუ:

- ხელმოწერა დადგენილი წესით დამონშებულია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ;
- ხელმოწერა დადგენილი წესით დამონშებულია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი:
 - სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ;
 - სხვა პირის მიერ;

ან

- ხელმოწერა შესრულებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მარეგისტრირებელ ორგანოსთან კომუნიკაცია საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის კომპეტენციაა. ამასთანავე, კანონის წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს რამდენიმე გამონაკლისს ამ წესიდან, კერძოდ:

- პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების უფლება საზოგადოების ხელმძღვანელ პირთან ერთად ასევე ენიჭება ამ წილის შემძენსა და გამსხვიებელს;
- ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემების და უფლებამოსილების ვადის რეგისტრაციის უფლება აქვთ საზოგადოების ხელმძღვანელ პირს და ნებისმიერ პარტნიორს;
- რეგისტრაციას დაქვემდებარებულ პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციას ახდენს საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ან შესაბამისი პარტნიორი;
- პარტნიორის წილის მმართველის საიდენტიფიკაციო ან რეგისტრაციის მონაცემების რეგისტრაციის უფლება აქვთ საზოგადოების ხელმძღვანელ პირს და შესაბამის პარტნიორს;
- წილზე საკუთრების უფლებასთან ერთად იმ გადანყვეტილების რეგისტრაციის უფლება, რომელზე გადანყვეტილება შეეძლო მიეღო ამ პარტნიორს – თავად ამ პარტნიორს.

წინამდებარე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტები ადგენენ გარკვეულ გამონაკლისებს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის. კერძოდ, ავტორიზებული საინვესტიციო კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებული იქნება, წარადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობა. ასევე, საქართველოს ეროვნულ ბანკს ენიჭება რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების უფლებამოსილება.

მუხლი 13. რეესტრის საჯაროობა და ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება

1. რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს და მარეგისტრირებული ორგანოსგან მიიღოს ამონაწერი.
2. ამონაწერი გაიცემა საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამონაწერის მომზადებისთვის განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. ამონაწერი მზადდება რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა და მო-

ვალეთა რეესტრების მონაცემების საფუძველზე და ასახავს ამონაწერის მომზადების მომენტისთვის ძალაში მყოფ მონაცემებს რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ.

3. რეგისტრაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების ელექტრონული ასლები განთავსებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. რეგისტრაციის მოთხოვნა მიიჩნევა მონაცემთა სუბიექტის მიერ პერსონალური მონაცემების ამ მუხლის შესაბამისად დამუშავებაზე თანხმობის განცხადებად.
4. ამ კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოქვეყნებად მიიჩნევა ფაქტის თაობაზე ინფორმაციის ან დოკუმენტის მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე განთავსება.
5. ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, უნდა გამოქვეყნდეს:
 - ა) რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მათში განხორციელებული ყველა ცვლილება;
 - ბ) სულ მცირე წელიწადში ერთხელ – სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ოდენობა, თუ ეს მონაცემი რეესტრშია რეგისტრირებული.
6. მენარმის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული მენარმის ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია ამ კანონით გათვალისწინებული გამოსაქვეყნებელი მონაცემების რეესტრისთვის მიწოდებისთვის. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

ტრანსაქციის ეკონომიკური ეფექტიანობა პირდაპირაა დაკავშირებული მონაწილე მხარეთა ინფორმაციის სიმეტრიულობაზე. სწორედ ამიტომ გარიგების მხარეები დიდ რესურსს ხარჯავენ საჭირო და სანდო ინფორმაციის მოპოვებაზე. ამ შემთხვევაში კანონმდებელს შეუძლია იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, როგორც მხარეებს მოეხსნებათ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული ბარიერები და ხარჯები, რითაც ნახალისდება სამოქალაქო ბრუნვა. სწორედ საჯარო რეესტრის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხდება კანონის მე-13 მუხლით.

უპირველეს ყოვლისა, კანონს შემოაქვს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონული პორტალის, როგორც ერთიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული სივრცის, ცნება. ელექტრონული პორტალის მეშვეობით მოხდება:

- მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების გასაჯაროება;
- სამენარმეო საზოგადოების მიერ მასზე კანონით დაკისრებული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულება (მაგალითად: შერწყმის/გაყოფის გეგმის, კრების მონვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება, განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნება და სხვ.);
- მენარმის ავტორიზებული მომხმარებლის სივრცის მეშვეობით მენარმესთან ოფიციალური გზით კომუნიკაცია და მისთვის სხვადასხვა ელექტრონული სერვისის შეთავაზება.

წინამდებარე მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოსგან მიიღოს ამონაწერი. ამონაწერი შეიცავს ამონაწერის მომზადების მომენტისთვის ძალაში მყოფ მონაცემებს რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ.

გარდა ამონაწერისა, რეგისტრაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების ელექტრონული ასლები განთავსებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება შესაბამისი სუბიექტის გარკვეული პერსონალური მონაცემის დაცვისა და ქვეყანაში სამოქალაქო ბრუნვის არსებობის ინტერესი, სადაც კანონმდებელი უპირატესობას მისი განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით ამ უკანასკნელს ანიჭებს. შესაბამის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად წინამდებარე მუხლი მიუთითებს, რომ რეგისტრაციის მოთხოვნა მიიჩნევა მონაცემთა სუბიექტის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის განცხადებად.

რეესტრის მონაცემების საჯაროობისა და სისრულის დაცვის მნიშვნელობაზე მიუთითებს ამ ნორმაში გამოყენებული „ბრძანება და კონტროლი“-ს საკანონმდებლო ტექნიკაც, რომელსაც კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კანონმდებელი საგამონაკლისოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებს თუ ინტერესი თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან უპირობო დაცვას. კერძოდ, წინამდებარე მუხლი მიუთითებს ქცევის წესზე - კანონით გამოქვეყნებისთვის გათვალისწინებული მონაცემის რეესტრისთვის მიწოდებაზე და ასევე, მიუთითებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე ამ წესის დარღვევისათვის. უფრო კონკრეტულად, ამ მოვალეობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საზოგადოების/საზღ-

ვარგარეთ რეგისტრირებული მენარმის ფილიალის ხელმძღვანელ პირებს. პირველ ეტაპზე ამ მოვალეობის დარღვევა გამოიწვევს სამენარმეო საზოგადოების, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამენარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას. გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაფრთხილებით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს ამავე პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. ამასთან, ვალდებულების შესრულების და შეუსრულებლობის თაობაზე ინფორმაცია აისახება ერთიან ელექტრონულ პორტალზე, რაც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მუხლი 14. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია

1. რეესტრში რეგისტრირებული, გამოქვეყნებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.
2. მესამე პირთან ურთიერთობაში მენარმე რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ მათი გამოქვეყნების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენარმე დაამტკიცებს, რომ მესამე პირისთვის შესაბამისი ფაქტი ან დოკუმენტი ცნობილი იყო.
3. მესამე პირთან იმ ურთიერთობების ფარგლებში, რომლებიც მონაცემების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში წარმოიშვა, დასაშვებია რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი დაამტკიცებს, რომ მან შესაბამისი ფაქტისა და დოკუმენტის თაობაზე არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა.
4. მესამე პირს უფლება აქვს, დაეყრდნოს იმ მონაცემებს, რომელთა რეგისტრაციისა და გამოქვეყნების პროცედურა არ დასრულებულა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მონაცემები ძალაში შედის მხოლოდ მათი რეგისტრაციისა და გამოქვეყნების შემდეგ.
5. სამენარმეო საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობაზე დანიშნვისა და მის შესახებ მონაცემთა სათანადო წესით რეგისტრაციისა და გამოქვეყნების შემთხვევაში მესამე პირთან ურთიერთობაში ამ პირის თანამდებობაზე დანიშნვასთან დაკავშირებულ ხარვეზზე დაყრდნობა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამენარმეო საზოგადოება დაამტკიცებს, რომ მესამე პირისთვის ეს ხარვეზი ცნობილი იყო.

გარდა შესაბამისი პირის მიერ ინფორმაციის რეესტრისათვის მიწოდების მოტივაციის ნაკლებობის მე-12 და მე-13 მუხლებში განხილული შემთხვევებისა, შესაბამის სუბიექტს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს მიზანი გარიგების მეორე მხარეს მიაწოდოს არასრული/არასწორი ინფორმაცია. ეს შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია ინფორმაციის გადამონმების ან მცდარ ინფორმაციასთან დაკავშირებული დავის წამოწყების სათანადო რესურსები. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი შესაბამის სუბიექტს არამხოლოდ აკისრებს ინფორმაციის რეესტრისათვის წარდგენის ვალდებულებას, არამედ ბაზარს იცავს, როგორც რეგისტრაციისას წარდგენილი მცდარი ინფორმაციისაგან, ისე რეესტრის მონაცემების სხვა ნებისმიერი ხარვეზისაგან. თუნდაც ერთი გამონაკლისი სისრულისა და უტყუარობიდან, მაკულატურად გადააქცევდა რეესტრის მიერ გამოქვეყნებულ ყველა სხვა მონაცემს. რეესტრის მონაცემის სანდოობის დასაცავად, გამოქვეყნებული რეგისტრირებული მონაცემის მიმართ მოქმედებს (1) უტყუარობისა და (2) სისრულის პრეზუმფცია.

უტყუარობის პრეზუმფცია

უტყუარობის პრეზუმფცია გულისხმობს იმას, რომ მესამე პირებისათვის მოქმედებს რეგისტრირებული და გამოქვეყნებული მონაცემი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საზოგადოება დამტკიცებს, რომ მესამე პირისთვის ეს საწინააღმდეგო ფაქტი ან დოკუმენტი ცნობილი იყო.

სისრულის პრეზუმფცია

სისრულის პრეზუმფცია გულისხმობს იმას, რომ მესამე პირების შეუძლიათ, დაეყრდნონ გამოქვეყნებულ მონაცემებს და არ ევალებათ, იგარაუდონ დამატებითი ფაქტის ან დოკუმენტის არსებობა.

სამოქალაქო ბრუნვისათვის, რეესტრის მონაცემების სისრულისა და უტყუარობის პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მონაცემების სტაბილურობის განცდა. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, შემონმებული ინფორმაცია ყოველწამიერად განახლებადია. მხარეებს კი, განვითარებული ფინანსური ბაზრის პირობებში, საქმიან ურთიერთობებში ერთმანეთის მიმართ შესაძლებელია დღის განმავლობაში ათობით ავტომატური ტრანსაქციის შესრულება მოუწიოთ, რომელთა შედეგები გარკვეული პერიოდულობით ჯამდება. შესაბამისად, ტრანსაქციების ჯაჭვის დაწყებისას მოპოვებული მონაცემი არათუ ამ ციკლის დასრულების, არამედ შემონმებისთანავე მოძველებულია. აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ წინამდებარე მუხლში დადგენილია დროის შუალედი, რომლითაც მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, დაეყრდნოს გონივ-

რული დროით ადრე შემონმებულ მონაცემს. კერძოდ, თუ შესაბამისი პირი იმ ურთიერთობების ფარგლებში, რომლებიც წარმოიშვა რეგისტრაციისა და გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში, დაამტკიცებს, რომ მან რეგისტრირებული ფაქტისა და დოკუმენტის თაობაზე არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, მენარმე სუბიექტი ველარ დაეყრდნობა განახლებულ რეგისტრირებულ მონაცემს. აქ აუცილებელია მტკიცების ტვირთსა და შეფასების ტესტზე ხაზგასმა. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც დაეყრდნო მოძველებულ მონაცემს. ამასთან, მან უნდა დაამტკიცოს ორი კუმულატიური პირობის ერთდროული არსებობა: (1) სუბიექტური კომპონენტი - არ იცოდა შესაბამისი ფაქტისა და დოკუმენტის თაობაზე და (2) ობიექტური კომპონენტი - გარემოფაქტორების გათვალისწინებით, სათანადო წინდახედულობის პირობებში შეუძლებელი იყო მას სცოდნოდა შესაბამისი ფაქტისა და დოკუმენტის თაობაზე.

მუხლი 15. მენარმის ფილიალი

1. მენარმეს შეუძლია დააარსოს ფილიალი. ეს ფილიალი არ არის იურიდიული პირი. საქართველოში რეგისტრირებული მენარმის ფილიალი არ რეგისტრირდება.
2. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ მენარმეს შეუძლია ამ მუხლის მე-5 – მე-9 პუნქტების შესაბამისად დააარსოს ფილიალი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ.
3. ინდუსტრიული ზონის გარეთ რეგისტრირებულ მენარმეს შეუძლია ამ მუხლის მე-5 – მე-9 პუნქტების შესაბამისად დააარსოს ფილიალი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.
4. საზღვარგარეთ რეგისტრირებული მენარმის ფილიალის რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი უნდა წარედგინოს მარეგისტრირებულ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონმებული ფორმით.
5. საზღვარგარეთ რეგისტრირებული მენარმის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) მენარმის საფირმო სახელწოდებას;
 - ბ) მენარმის იურიდიულ მისამართს;
 - გ) მენარმის საქმიანობის ძირითად ადგილს;
 - დ) მენარმის სამართლებრივ ფორმას და იმ ქვეყანას, რომლის კანონმდებლობაც ვრცელდება მენარმის რეგისტრაციაზე;

ე) უცხო ქვეყნის იმ ორგანოს დასახელებას, რომლის მიერაც რეგისტრირებულია მენარმე, და რეგისტრაციის ნომერს, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობით რეგისტრაცია სავალდებულოა ან სავალდებულო არ არის, თუმცა მენარმე რეგისტრირებულია;

ვ) ფილიალის საფირმო სახელწოდებას, რომელიც შედგება მენარმის საფირმო სახელწოდებისა და დამატებისგან „ფილიალი“ ან „მენარმის საფირმო სახელწოდებისგან განსხვავებული საფირმო სახელწოდება“;

ზ) ფილიალის იურიდიულ მისამართს;

თ) ფილიალის ხელმძღვანელის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობას. თუ ფილიალს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე რამდენიმე პირი ჰყავს, მითითებული უნდა იყოს, ისინი ფილიალს ერთად წარმოადგენენ თუ ცალ-ცალკე;

ი) მენარმის, აგრეთვე ფილიალის საქმიანობის საგანს. მისი მითითებისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები სანარმოს საქმიანობის საგნის წესდებით განსაზღვრის შესახებ;

კ) არსებობის შემთხვევაში – ფილიალის რეგისტრაციის მომენტისთვის სამენარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ოდენობას. ნ. საზღვარგარეთ რეგისტრირებული მენარმის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს: ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონშებული, მენარმის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონშებული სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტები და წესდება;

გ) დოკუმენტი, რომლითაც დგინდება სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია მისი თანამდებობაზე დანიშვნისა და უფლებამოსილების ვადის ამონურვის თაობაზე. ეს დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მითითებას იმის თაობაზე, პირი ფილიალს წარმოადგენს, როგორც სამენარმეო საზოგადოების ორგანოს წევრი თუ როგორც ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებით სამენარმეო საზოგადოების მუდმივი წარმომადგენელი;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონშებული მენარმის (მის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირის/ორგანოს) გადაწყვეტილება ფილიალის დაარსების შესახებ;

ე) ფილიალის ხელმძღვანელად/წარმომადგენლად დასანიშნი პირის თანხმობა.

7. არსებობის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხის-მგებლობის საზოგადოების ფილიალი ვალდებულია სამენარმეო საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება/კონსოლიდირებული ანგარიშგება, რომელიც შედგენილი, აუდიტირებული და გამოქვეყნებულია მენარმის რეგისტრაციის განმახორციელებელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, გამოაქვეყნოს ან განათავსოს სამენარმეო საზოგადოების/ფილიალის ვებგვერდზე.
8. ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მარეგისტრირებელ ორგანოს აცნობოს ამ მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისთვის სავალდებულო ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ, აგრეთვე ფილიალის დახურვის, სამენარმეო საზოგადოების დაშლის, მისი ლიკვიდაციის პროცედურის დაწყებისა და დასრულების, ლიკვიდატორების ვინაობის, მათი თანამდებობაზე დანიშვნისა და უფლებამოსილების ვადის ამოწურვის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისა და დასრულების, მენარმის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.
9. მენარმის არსებობის შეწყვეტით წყდება მისი ფილიალის არსებობაც.

ფილიალი – ეს არის სამენარმეო საზოგადოების ადგილსამყოფლის მიღმა არსებული წარმონაქმნი, რომელიც მენარმეს ეხმარება თავის მომხმარებელთან ურთიერთობის ეფექტიანად განხორციელებაში. შესაბამისად, მენარმის ფილიალს დამხმარე მნიშვნელობა აქვს, ის დამოუკიდებლად არ რეგისტრირდება და არ არის განცალკევებული იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი სუბიექტი.

კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, ფილიალი შეიძლება ჰქონდეთ არა მხოლოდ სამენარმეო საზოგადოებებს, არამედ ინდივიდუალურ მენარმეებსაც. მე-15 მუხლის მე-4-მე-5 პუნქტები სრულად ეთმობა საზღვარგარეთ რეგისტრირებული მენარმის ფილიალის რეგისტრაციის საკითხებს, სადაც კანონით ხდება ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 29-ე-43-ე მუხლებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება და დგინდება იმ ინფორმაციის ნუსხა, რომელიც რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიენოდოს. მე-6 პუნქტში კი წარმოდგენილია ზოგადად ნებისმიერი მენარმის ფილიალის რეგისტრაციისათვის წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი. ამასთან, კანონი უშვებს საქართველოში არა მხოლოდ საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამენარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაციას, არამედ, ასევე, უცხო ქვეყნის ინდივიდუალური მენარმის ფილიალის რეგისტრაციის შესაძლებლობას.

მუხლი 16. მენარმის საფირმო სახელწოდება

1. მენარმის საფირმო სახელწოდება არის სახელი, რომელიც ასეთად რეგისტრირებულია რეესტრში და რომლითაც მენარმე საქმიანობას ახორციელებს.
2. მენარმის საფირმო სახელწოდებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალური მენარმის ან სამენარმეო საზოგადოების პარტნიორის სახელი ან/და გვარი. ასევე შესაძლებელია საფირმო სახელწოდება შეირჩეს სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის საგნის მიხედვით ან იყოს ფანტაზიის ნაყოფი ამ მუხლის მე-5მე-მ პუნქტებით დადგენილი პირობების დაცვით.
3. მენარმის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს მისი სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელ დამატებას:
 - ა) ინდივიდუალური მენარმის შემთხვევაში – „ინდივიდუალური მენარმე“ ან „ინდმენარმე“;
 - ბ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „სპს“;
 - გ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – „კომანდიტური საზოგადოება“ ან „კს“;
 - დ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“;
 - ე) სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“;
 - ვ) კოოპერატივის შემთხვევაში – „კოოპერატივი“ ან „კოოპ.“.
4. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ან კომანდიტურ საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პირი არის მხოლოდ ისეთი საზოგადოება, რომლის პარტნიორთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია, მისი საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის სპს“ ან „შეზღუდული პასუხისმგებლობის კს“.
5. მენარმის (გარდა ინდივიდუალური მენარმისა) საფირმო სახელწოდება უნდა განსხვავდებოდეს უკვე რეგისტრირებული მენარმის საფირმო სახელწოდებისგან. მენარმის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცვალოს ან მას უნდა დაერთოს დამატება, თუ ეს საჭიროა ამ სახელწოდების სხვა მენარმის საფირმო სახელწოდებისგან განსასხვავებლად.
6. მენარმის საფირმო სახელწოდება უნდა იყოს ქართულ ენაზე.
7. მენარმის საფირმო სახელწოდება არ უნდა შეიცავდეს ისეთ გრაფიკულ

სიმბოლოებს, რომლებსაც არ აქვს ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი.

8. დაუშვებელია მენარმის საფირმო სახელწოდებაში გამოყენებულ იქნეს:
- ა) ისეთი სიტყვა ან სიტყვათწყობა, რომელიც შეიცავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფის, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მოწოდებას ან/და ამისკენ მოწოდებას ან რომელიც ემსახურება ქვეყანაში ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივებას ან ომის, ტერორიზმის, ძალადობის ან/და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის მოწოდებას ან/და პროპაგანდას;
 - ბ) ისეთი სიტყვა ან სიტყვათწყობა, რომელიც აღვივებს შუღლს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, პროფესიის, საცხოვრებელი ან დაბადების ადგილის, ოჯახური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა საფუძველით, აგრეთვე ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;
 - გ) ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა მენარმის სამართლებრივ ფორმასთან, საქმიანობის მოცულობასთან ან ხასიათთან ან/და პარტნიორთა ურთიერთობის შინაარსთან დაკავშირებით;
 - დ) სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ორგანოს (დანესებულების), „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი სხვა ორგანოს ან მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დასახელების იდენტური ან მიმსგავსებული ფორმულირება, გარდა ამ პირების მიერ დაფუძნებული ან/და მათი წილობრივი მონაწილეობით არსებული იურიდიული პირებისა;
 - ე) საქართველოში რეგისტრირებული სხვა იურიდიული პირის სახელწოდების იდენტური ან მიმსგავსებული ფორმულირება, ამ პირის თანხმობის გარეშე;
 - ვ) საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი პირის საფირმო სახელწოდების იდენტური ან იმდენად მიმსგავსებული ფორმულირება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა, ამ პირის თანხმობის გარეშე;

ზ) „საჯარო დანესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირის თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა ან სიტყვათწყობა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამხედრო ნოდების ან სახელმწიფო სპეციალური ნოდების ან/და დიპლომატიური რანგის აღმნიშვნელი ტერმინის იდენტური ან მიმსგავსებული სიტყვა ან სიტყვათწყობა;

ი) უცენზურო ან შეურაცხმყოფელი სიტყვა ან სიტყვათწყობა;

კ) ფიზიკური პირის სახელი, მისი წერილობითი თანხმობის გარეშე;

ლ) ფიზიკური პირის სახელი მისი გარდაცვალებიდან არანაკლებ 30 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამ პირის მემკვიდრის წერილობითი თანხმობა მისი სახელის გამოყენებაზე.

9. მარეგისტრირებელი ორგანო შესაბამის მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით ამოწმებს ამ მუხლით დადგენილი პირობების დაცვას. თუ მარეგისტრირებელ ორგანოში არსებული ინფორმაცია არასაკმარისი აღმოჩნდა, იგი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობის დასადასტურებლად დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტების წარდგენა მოსთხოვოს.

10. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი. სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს აღნიშნული ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს სხვა იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებით მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

მენარმის იდენტიფიცირება, ძირითადად, ორი მონაცემის – საფირმო სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მეშვეობით ხორციელდება. ამასთანავე, საიდენტიფიკაციო ნომერთან შედარებით საფირმო სახელწოდებას გაცილებით დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს სამენარმეო საზოგადოებისათვის, ვინაიდან პრაქტიკაში მომხმარებელთა უმეტესობა მენარმის იდენტიფიცირებას სწორედ საფირმო სახელწოდების მეშვეობით ახდენს.

კანონში შემოთავაზებული დეფინიციის მიხედვით, მენარმის საფირმო სახელწოდება არის სახელი, რომელიც რეგისტრირებულია ასეთად რეესტრში

და რომლითაც საქმიანობს მენარმე. იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება უნიკალურია და რეგისტრაციისას მითითებული საფირმო სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებას. სახელწოდების უნიკალურობის წესი არ ვრცელდება ინდივიდუალური მენარმის მიერ საკუთარი სახელის გამოყენებაზე.

გარდა საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის იდენტური საფირმო სახელწოდების გამოყენების აკრძალვისა, კანონი ზღუდავს საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი საფირმო სახელწოდების იდენტური ან იმდენად მიმსგავსებული ფორმულირების გამოყენებას, რომლითაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა, ამ პირის თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში ის თუ რა ჩაითვლება საყოველთაოდ ცნობილ საფირმო სახელწოდებად და მის იმდენად მიმსგავსებულ ფორმულირებად, რომ გაჩნდება აღრევის შესაძლებლობა, უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ.

აღრევის თავიდან ასაცილებლად, იმ პირს, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებით, ეკისრება ვალდებულება, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა. სარგებლობის შეწყვეტის მოთხოვნის პარალელურად იურიდიულ პირს შეუძლია დამრღვევისაგან მოითხოვოს მისი საფირმო სახელწოდებით მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობით გამონეული ზიანის ანაზღაურება ან ამ სარგებლობით მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ, კანონის ამოქმედებამდე რეესტრში უკვე რეგისტრირებულია იდენტური საფირმო სახელწოდების მქონე მენარმე სუბიექტები. იმისათვის, რომ ასეთ პირებს არ დაეკისროთ რეგისტრირებული მონაცემის განახლების ვალდებულება და მესამე პირებთან ურთიერთობაში შეინარჩუნონ ის საფირმო სახელწოდება, რომლითაც ისინი ცნობილი არიან, კანონით, საგამონაკლისოდ, მათზე არ ვრცელდება საფირმო სახელწოდების უნიკალურობასთან დაკავშირებული წესი. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეიცვლიან საფირმო სახელწოდებას, შეცვლილი სახელწოდება არ უნდა დაემთხვეს სხვა რეგისტრირებული მენარმე სუბიექტის საფირმო სახელწოდებას.

სახელწოდება გამონახტულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე და არ უნდა შეიცავდეს ისეთ გრაფიკულ სიმბოლოებს, რომელთაც არ აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი. ასევე, მენარმის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელ დამატებას.

სამართლებრივი ფორმის აღნიშვნის განსხვავებული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაზე, როდესაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ან კომანდიტურ საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პირი არის მხოლოდ ისეთი საზოგადოება, რომელშიც პარტნიორთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია. ასეთ შემთხვევაში საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს „შეზღუდული პასუხისმგებლობის სპს-ის“ ან „შეზღუდული პასუხისმგებლობის კს-ის“ აღმნიშვნელ დამატებას.

მენარმე თავისუფალია საფირმო სახელწოდების შერჩევისას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში, დასაშვებია ამ უფლებაში ჩარევა. წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტი დეტალურად განსაზღვრავს იმ საფირმო სახელწოდებათა კატალოგს, რომლებიც არ შეიძლება, მენარმის მიერ იქნეს გამოყენებული. ასეთი შეზღუდვები უმეტესწილად დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის და სხვათა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება.

მუხლი 17. საქმიანი წერილი და ვებგვერდი

1. კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე უნდა მიეთითოს სულ მცირე შემდეგი მონაცემები:
 - ა) საფირმო სახელწოდება;
 - ბ) იურიდიული მისამართი;
 - გ) საიდენტიფიკაციო ნომერი.
2. საქმიან წერილზე კაპიტალზე მითითებისას ეს მონაცემი უნდა შეეხებოდეს განთავსებულ კაპიტალს და მის განაღდებაზე ნაწილს.
3. ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა სამენარმეო საზოგადოებამ საქმიან წერილზე საფირმო სახელწოდებასთან ერთად უნდა მიუთითოს დამატება „ლიკვიდაციის პროცესში“. იგივე წესი ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მყოფ პირზე. ეს პირი ვალდებულია მიუთითოს აგრეთვე „გადახდისუუნარობის პროცესში“ ან მიუთითოს გადახდისუუნარობის კონკრეტული რეჟიმის თაობაზე – „რეაბილიტაციის რეჟიმში“ ან „გაკოტრების რეჟიმში“.
4. უცხო ქვეყნის სამენარმეო საზოგადოების ფილიალის ყველა საქმიან წერილზე უნდა მიეთითოს აგრეთვე ფილიალის მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის ნომერი.

5. ყველა მონაცემი, რომლებიც მიეთითება საქმიან წერილზე, უნდა მიეთითოს აგრეთვე სამენარმეო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).
6. ამ მუხლის მოთხოვნები ეხება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით შედგენილ საქმიან წერილს.
7. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

კანონის მე-17 მუხლი შეეხება საქმიან წერილსა და ვებგვერდს. კანონში ასეთი მუხლის არსებობა ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 26-ე, 35-ე და 39-ე მუხლებთან დაახლოებასთან ერთად, მიმართულია უკეთესი სამენარმეო პრაქტიკის დამკვიდრებისა და იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ მესამე პირებმა მარტივად, დამატებითი დანახარჯების გარეშე მიიღონ დაყრდნობადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ საზოგადოებასთან აქვთ ურთიერთობა, რა არის ამ საზოგადოებასთან საკონტაქტო ინფორმაცია და არის თუ არა ეს საზოგადოებელი კვიდაციის ან გადახდისუუნარობის პროცესში.

სამენარმეო საზოგადოების საქმიან წერილსა და ვებგვერდზე ზემოაღნიშნული ინფორმაციის დატანის ვალდებულება ეკისრება სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს. მის მიერ ამ ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას, ხოლო გაფრთხილებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ განმეორებით დარღვევა გამოიწვევს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას, თითოეულ შემთხვევაში, 200 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ასეთი სანქციის დაწესება, ასევე, ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის მე-40 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარეობს.

თავის მხრივ, სამენარმეო საზოგადოების საქმიან წერილზე მონაცემების მითითების ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტებზე მოქნილი რეაგირების მიზნით, ასეთი ფაქტის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 18. მარეგისტრირებელი ორგანოს შეტყობინების ჩაბარების წესი

1. მარეგისტრირებელი ორგანოს შეტყობინება ჩაბარებულად მიიჩნევა მენარმის მიერ გაცნობისთანავე, იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან ან ელექტრონულ მისამართზე განთავსებიდან მე-15 დღეს, თუ

არ დასტურდება ელექტრონულ მისამართზე განთავსებული შეტყობინების ადრესატის მიერ უფრო ადრე გაცნობა.

2. ელექტრონული მისამართი არის მენარმესა და მარეგისტრირებელ ორგანოს შორის კომუნიკაციისა და მენარმისთვის ელექტრონული სერვისების მიწოდების მიზნით მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ერთიანი ელექტრონული პორტალის ფარგლებში მენარმისთვის მიკუთვნებული მენარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდი.
3. იურიდიული მისამართისა და ელექტრონული მისამართის სტანდარტის განსაზღვრისა და ამ სტანდარტის შესაბამისად რეგისტრაციისთვის გამოიყენება ამ კანონით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ინსტრუქციით დადგენილი წესები.

საჭიროებისამებრ მენარმესთან მარეგისტრირებლის დროული კომუნიკაცია პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. კანონის წინამდებარე მუხლი ახდენს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მენარმისათვის გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარების წესს. კერძოდ, მარეგისტრირებელი ორგანოს შეტყობინება ჩაბარებულად მიიჩნევა მენარმის მიერ გაცნობისთანავე, იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან ან ელექტრონულ მისამართზე განთავსებიდან მე-15 დღეს, თუ არ დასტურდება ელექტრონულ მისამართზე განთავსებული შეტყობინების ადრესატის მიერ უფრო ადრე გაცნობა. ამასთან, აღნიშნულ ალტერნატივებს შორის კონკურენციისას, გამოიყენება ის, რომელიც უფრო ადრე მოხდა.

ასევე, წინამდებარე მუხლში შემოტანილია იურიდიული მისამართისა და ელექტრონული მისამართის საკითხი:

იურიდიული მისამართი. იურიდიულ მისამართად მენარმემ მარეგისტრირებელ ორგანოში უნდა მიუთითოს ის ფაქტობრივი მისამართი, რომელზეც შესაძლებელია საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობა და რომელზე მისული შეტყობინებაც ჩაბარებულად ჩაითვლება.

ელექტრონული მისამართი. ელექტრონული მისამართი არის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ერთიანი ელექტრონული პორტალის ფარგლებში მენარმისთვის მიკუთვნებული მენარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდი. მარეგისტრირებელი ორგანო, რეესტრში სუბიექტის პირველადი რეგისტრაციისას ერთიან ელექტრონულ პორტალზე ქმნის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდს – ელექტრონულ მისამართს. ეს მისამართი მოქმედია აღნიშნული სუბიექტის გაუქმებამდე.

მარეგისტრირებელი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება მენარმის იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან, ან მენარმის ავტორიზებული

მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულად განთავსებიდან მე-15 დღეს. ამასთან, ელექტრონულ მისამართზე განთავსებული შეტყობინება მე-15 დღეს მხოლოდ მაშინ შევა ძალაში, თუკი არ დასტურდება უფრო ადრე შეტყობინების იურიდიულ მისამართზე ჩაბარება ან ელექტრონულ მისამართზე განთავსებული შეტყობინების ადრესატის მხრიდან გაცნობა.

თავი III. ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება

მუხლი 19. ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმა.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ ყველა წილის/აქციის ერთი პარტნიორის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში ეს სამენარმეო საზოგადოება ხდება ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება. ამის შესახებ ინფორმაცია და პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში უნდა აისახოს რეესტრში, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – აქციათა რეესტრში და საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის 2009/102/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, კანონის მე-19 და 20-ე მუხლებში ასახულია ერთი პირის სამენარმეო საზოგადოებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

მე-19 მუხლი ეთმობა ერთი პირის სამენარმეო საზოგადოების ცნებას. კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება მიიჩნევა ერთი პირის სამენარმეო საზოგადოებად, თუ:

- ის დაფუძნებულია ერთი პირის მიერ;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ ყველა წილი/აქცია ერთი პარტნიორის საკუთრებაში გადავიდა.

როგორც წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტშია მითითებული, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება ვერ გახდება ერთი პირის სამენარმეო საზოგადოება. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ სამართლებრივი ფორმის საზოგადოებას, სულ მცირე, უნდა ჰყავდეს ორი პარტნიორი.

წილის/აქციის ერთი პირის საკუთრებაში არსებობის შესახებ ინფორმაცია და პარტნიორის საიდენტიფიკაციო მონაცემები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში უნდა აისახოს რეესტრში, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – აქციათა რეესტრში. საჯარო რეესტრის მონაცემი ისედაც საჯაროდ ხელმისაწვდომია, ერთი პირის სააქციო საზოგადოების შემ-

თხვევაში კი, ასევე, დგინდება ერთი პირის ხელში საზოგადოების ყველა აქციის არსებობის თაობაზე თავად ამ საზოგადოების მიერ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება დაკარგავს ერთი პირის სამენარმეო საზოგადოების სტატუსს მოგვიანებით, თუ საზოგადოების წილები/აქციები გადანაწილდება არანაკლებ ორ პირზე.

მუხლი 20. წერილობითი ფორმის დაცვის ვალდებულება

- 1. თუ სამენარმეო საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, საერთო კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.**
- 2. სამენარმეო საზოგადოებასა და მის ერთადერთ პარტნიორს შორის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში იდება**

კანონის მე-20 მუხლი ეთმობა ევროკავშირის 2009/102/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით ერთი პირის სამენარმეო საზოგადოებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. კერძოდ:

- თუ სამენარმეო საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, საერთო კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს და ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.
- სამენარმეო საზოგადოებასა და მის ერთადერთ პარტნიორს შორის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში იდება.

აღნიშნული დებულებები ემსახურება ერთი პირის სამენარმეო საზოგადოებისათვის დამოუკიდებელი პიროვნულობის შენარჩუნებას კორპორაციული ფორმალობების უზრუნველყოფის გზით, რამაც უნდა დაიცვას თავად ამ სამენარმეო საზოგადოების, როგორც განცალკევებული სუბიექტის, და მასთან დაკავშირებული პირების ინტერესები. მათ შორის, შექმნას შესაბამისი წერილობითი მასალები, რომელთაც დავის წარმოშობის შემთხვევაში დაეყრდნობა დავის განმხილველი ორგანო.

თავი IV. შენატანი

მუხლი 21. შენატანის ცნება

შენატანი არის სამენარმეო საზოგადოებისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება, რომლის ეკონომიკური ღირებულება აისახება სამენარმეო საზოგადოების ბალანსში.

„შენატანი“ წარმოადგენს ქონებრივ სიკეთეს, რომელიც სამენარმეო საზოგადოებას პარტნიორის მიერ გადაეცემა საზოგადოებაში წილის (მონაწილეობის) სანაცვლოდ. ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 46-ე მუხლის აკრძალვიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოების კაპიტალში შენატანი არ შეიძლება იყოს მომსახურების განევა ან სამუშაოს შესრულება. შეზღუდვა განპირობებულია მათი თანხობრივი ეკვივალენტის საიმედოდ დადგენისა და სანარმოს შესაბამისი მოთხოვნების (იძულებით) აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეებით.

სანარმოს თავდაპირველი კაპიტალის რეალურად ფორმირების მიზნით, როგორც წესი, დაუშვებელია შენატანის შეტანის ვალდებულებისგან კაპიტალური ტიპის საზოგადოების (კოოპერატივი, შპს, სს) პარტნიორის, ასევე კომანდიტური საზოგადოების კომანდიტის პარტნიორის გათავისუფლება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია სანარმოს კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.

თუკი რეგისტრაციის მომენტისთვის განხორციელებული არაფულადი შენატანის ღირებულება ნაკლებია შენატანის შეთანხმებულ ღირებულებაზე, დადგენილია სხვაობის ფულადი სახით შევსების ვალდებულება, შეტანილი ღირებულების ეკვივალენტურობასთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან ასაცილებლად.

წილის სანაცვლოდ განხორციელებული შენატანისგან განსხვავდება დამატებითი შენატანი (140-ე მუხლი, 231-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 228-ე მუხლი, 246-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)¹ რომელიც არ არის დაკავშირებული პარტნიორის მიერ ახალი წილის შექმნასთან.

შენატანი განხორციელებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა შენატანის განხორციელებაზე ვალდებული პარტნიორი სამართლებრივად დაკარგავს შენატანის საგნის თავისუფალი განკარგვის უფლებამოსილებას სანარმოს ხელ-

¹ ტერმინოლოგიური უზუსტობის გამო, განმარტებას საჭიროებს 171-ე მუხლში მითითებული „დამატებითი შენატანი“, რომელიც, ამჯერად, განთავსებული (სანესდებო) კაპიტალის ახალი შენატანების სანაცვლოდ გაზრდას გულისხმობს.

მძღვანელობით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პირი/ორგანო კი შეიძენს განკარგვის უფლებამოსილებას საწარმოს სასარგებლოდ.

ფულადი შენატანის შემთხვევაში ეს ხორციელდება თანხის ანგარიშზე შეტანით, რომლის განკარგვის უფლებამოსილება საწარმოს წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აქვთ.

არაფულადი შენატანის შემთხვევაში, სულ მცირე, ვალდებულებით-სამართლებრივი ნაწილი მოვალის (პარტნიორის) ქონებიდან შენატანის „გამოსვლის/გამოყოფის“ და საწარმოს ქონებაში გადაცემისა დასრულებული და სრულყოფილი უნდა იყოს. მაგ., რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონებისთვის საკმარისია უხარვეზო განაცხადის წარდგენა შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში. სხვა შემთხვევაში საგნის ფაქტობრივი გადაცემა აუცილებელია თავისუფალი განკარგვისთვის საკუთრებაში გადაცემისთვის.

შენატანი და მისი შესაბამისი ღირებულება აისახება სამენარმეო საზოგადოების ბალანსში, რაც ასევე თავისუფალი განკარგვისთვის გადაცემის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია, ვინაიდან შენატანის უმთავრესი ფუნქცია საწარმოს ქონების (წმინდა აქტივის) ზრდაა აქტივის ზრდის ან ვალდებულების შემცირების მეშვეობით.

მუხლი 22. შენატანის საგანი

შენატანის საგანი არის ქონებრივი სიკეთე, რომლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემის ვალდებულებასაც (შენატანის განხორციელების ვალდებულება) იღებს სამენარმეო საზოგადოების მომავალი ან მოქმედი პარტნიორი სამენარმეო საზოგადოების კაპიტალში წილის შექმნის ან მისი ღირებულების გაზრდის სანაცვლოდ.

ზოგადი წესის მიხედვით, შენატანის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს პოზიტიური ღირებულების მქონე ნებისმიერი ქონებრივი სიკეთე – უძრავი ან მოძრავი ქონება, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – უფლებები და მოთხოვნები.

არ არის აუცილებელი, რომ შენატანის განმხორციელებელი პარტნიორი შენატანის საგნის მესაკუთრე იყოს, შენატანის განხორციელება შესაძლებელია უფლებამოსილი მესამე პირის მიერ ან მისი თანხმობით, ასევე შესაძლებელია, ზოგადი წესებით, კეთილსინდისიერი შექმნა.

შენატანი, გარდა დამატებითი შენატანებისა (იხ. 140-ე მუხლი), ხორციელდება საწარმოში წილის ან უკვე მიღებული წილის ღირებულების ზრდის სანაცვლოდ, მაგ., კაპიტალის ზრდის/ახალი წილების გამოშვების შემთხვევაში.

მუხლი 23. შენატანის სახეები

შენატანის განხორციელების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ფულის გადახდით (ფულადი შენატანი) ან სხვა მატერიალური ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემით (არაფულადი შენატანი). სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განწევა შეიძლება იყოს არაფულადი შენატანის საგანი.

მუხლი 24. შენატანის განხორციელების წესი და ვადა

1. შენატანი უნდა განხორციელდეს კანონითა და წესდებით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადაში.
2. ფულადი შენატანი განხორციელებულად მიიჩნევა ფულის/თანხის სამენარმეო საზოგადოების მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტიდან.
3. არაფულადი შენატანი განხორციელებულად მიიჩნევა საკუთრების უფლების გადაცემისთვის საჭირო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოქმედებების შესრულების მომენტიდან.
4. თუ არაფულადი შენატანის განხორციელების დროს მისი ღირებულება შეთანხმებული შენატანის ოდენობაზე ნაკლებია, პარტნიორი ვალდებულია შეთანხმებული შენატანის ღირებულება ფულადი სახით შეავსოს.
5. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არაფულადი შენატანის ღირებულება მისი განხორციელების დროს აღემატება შეთანხმებული შენატანის ოდენობას, პარტნიორი უფლებამოსილია მოითხოვოს სხვაობის ფულადი სახით დაბრუნება, ხოლო საზოგადოება უფლებამოსილია ამ ვალდებულების შესრულება გადაავადოს არაუმეტეს 1 წლით, თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

23-ე მუხლი გამოყოფს ფულადი და არაფულადი შენატანის სახეებს. არაფულადი შენატანი მოიცავს ყველა ქონებრივ სიკეთეს, ფულის გარდა, რომელიც საწარმოს ქონების (წმინდა აქტივის, საკუთარი კაპიტალის) ზრდას იწვევს. არაფულადი ვალდებულების შესრულება შეიძლება გამოიხატოს ე.წ. ვალდებულების კაპიტალიზაციით, ე.ი. საწარმოს მიმართ მოთხოვნის შეტანით კაპიტალში ნილის/აქციის მიღების სანაცვლოდ.

ამდენად, შენატანის საგანი შესაძლოა იყოს:

- უძრავი ან მოძრავი ნივთები
- სანივთო უფლებები
- ფასიანი ქაღალდები
- არამატერიალური ქონება (პატენტი, ლიცენზია და ა.შ.)
- ნივთების ერთობლიობა ასევე საწარმო როგორც ეკონომიკური ერთობა
- გადაცემადი უფლებები და მოთხოვნები

სააქციო საზოგადოების გარდა (იხ. 152-ე მუხლის პირველი პუნქტი), სამუშაოს შესრულება და მომსახურების განევა, რომლის შედეგია საწარმოს ქონების ზრდა, დასაშვებია როგორც შენატანი.

„შეიძლება შესრულდეს“ ასევე გულისხმობს, რომ შენატანის სახის სადამფუძნებლო შეთანხმებაში მითითება არ არის სავალდებულო (განსხვავებული წესები მოქმედებს სააქციო საზოგადოების მიმართ (მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი), ან მითითებული სახე შესაძლოა, შეიცვალოს, თუკი საზოგადოება და პარტნიორები სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილებით მოგვიანებით სხვა სახეზე შეთანხმდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებული წესი მოქმედებს სააქციო საზოგადოებებში, ვინაიდან შენატანთან დაკავშირებული ინფორმაცია მარეგისტრირებული ორგანოს პრევენციულ ფორმალურ კონტროლს ექვემდებარება და მესამე პირების დაცვას ისახავს მიზნად. შენატანის სახესთან დაკავშირებული ცვლილება რეგისტრაციასავალდებულო ქმედებაა.

24-ე მუხლის მიხედვით, შენატანის განხორციელებისას გასათვალისწინებელია მისი განხორციელების ფორმა (წესი) და ვადები, ასევე ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები (იმპერატიული ნორმები). წესისა და ვადების შეცვლა იმპერატიული ნორმების ფარგლებში შესაძლებელია სადამფუძნებლო შეთანხმებით.

24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით არაფულადი შენატანის საგნის ღირებულების შემცირების რისკებიდან გამომდინარე, დეფიციტი ვალდებულმა პარტნიორმა უნდა შეივსოს ფულადი სახით. საწარმოს მსგავსი მოთხოვნა ხელს შეუშლის საწარმოსა და კრედიტორების საზიანო მანიპულაციებს.

ვინაიდან, გარდა სს-ისა, არაფულადი შენატანის ეკვივალენტურების დამოუკიდებელი შემოწმება არ ხდება, ეკვივალენტურების უზრუნველყოფა ისევე, როგორც პარტნიორის მიმართ მოთხოვნის განხორციელება, ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა.

24-ე მუხლის მე-5 პუნქტი ეხება შემთხვევას, როცა არაფულადი შენატანის ღირებულება განხორციელების (შეტანის) მომენტში მნიშვნელოვნად აღემატება შეთანხმებული შენატანის ოდენობას. სხვაობის ფულადი სახით მოთხოვნის უფლება აქვს შენატანის განხორციელებელ პარტნიორს. საზოგადოებას (სს,

შპს) შეუძლია 1 წლის ვადაში აანაზღაუროს ეს სხვაობა, ან თუკი შენატანის საგანი ამის შესაძლებლობას იძლევა, ნატურით დაუბრუნოს შესაბამისი ნაწილი პარტნიორს (მაგ. მიწის ნაკვეთის გამიჯვნის და გადაცემის გზით, გაყოფადი გვაროვნული ნივთების შემთხვევაში). პარტნიორი და საზოგადოება შეიძლება შეთანხმდნენ სხვაგვარი კომპენსაციის ფორმაზეც - მაგ. კაპიტალის გაზრდა (ამ შემთხვევაში გაზრდაში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეს ყველა დანარჩენ პარტნიორსაც, პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარე).

შეზღუდული პასუხისმგებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას საწარმოს კაპიტალის და გადახდისუნარიანობის დაცვის პრიორიტეტი. შესაბამისად, სხვაობის ფულადი სახით გადახდა დასაშვებია, თუკი არ ირღვევა 145-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ქონების განაწილების შეზღუდვები - ე.ი. დადებითია გადახდისუნარიანობის პროგნოზი და წმინდა აქტივის ტესტი.

სააქციო საზოგადებისთვის მსგავსი დანაწესის დადგენა პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებულია, ვინაიდან არაფულადი შენატანის ღირებულების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ხორციელდება.

მუხლი 25. შენატანის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. არაფულადი შენატანის ღირებულების შენატანის ოდენობასთან შესაბამისობის შეფასებას და შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე ორგანო.
2. პარტნიორის მოთხოვნის შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე ორგანომ უნდა გასცეს წერილობითი ცნობა შენატანის განხორციელების, კერძოდ, შენატანის განხორციელების ვალდებულების, მისი შესრულების ან ნაწილობრივ შესრულების, აგრეთვე ამ ვალდებულების შესრულების ვადებისა და პირობების თაობაზე.
3. შენატანის განხორციელების შესახებ ცნობის ბრალეული უზუსტობისთვის პასუხისმგებელია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე ორგანო.

ნორმა უმთავრესად განმარტებითი ხასიათისაა, ვინაიდან სამენარმეო საზოგადოების შენატანის ეკვივალენტურების დაცვის უზრუნველყოფა ხელმძღვანელი ორგანოს ვალდებულებათა შემადგენელი ნაწილია.

მე-2 პუნქტი შენატანების განხორციელების პროცესთან დაკავშირებით პარტნიორების ინფორმირებულობას ემსახურება, რათა მათ უკეთ შეძლონ უფლებათა დაცვა. მაგალითად, მიიღონ გადაწყვეტილება სამართლებრივი რეაგირების თაობაზე, ხელმძღვანელი ორგანოს მხრიდან პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის, ასევე წესდების ან კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში.

მე-3 პუნქტი განსაზღვრავს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანოს ბრალზე დამოკიდებულ პასუხისმგებლობას გაცემული ცნობის შინაარსობრივ სიზუსტეზე. ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მუხლში მითითებული მოვალეობების მხოლოდ ტექნიკური უზრუნველყოფა არ ათავისუფლებს ხელმძღვანელ ორგანოს პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 26. პარტნიორის პასუხისმგებლობა

- 1. კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის პარტნიორი სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს არ აგებს.**
- 2. გამონაკლის შემთხვევაში კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის პარტნიორი სამენარმეო საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, თუ ის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას ბოროტად იყენებს და სამენარმეო საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.**

პირველი პუნქტი ადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს, მათ შორის, კომანდიტისთვის. განსხვავებით 1994 წლის „მენარმეთა შესახებ“ კანონისგან (მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი), პირადი პასუხისმგებლობა ზოგადად არ დგება მხოლოდ იმის გამო, რომ შენატანი ბოლომდე არ არის განხორციელებული. ზოგადი მიდგომის ცვლილება გამართლებულია, ვინაიდან შენატანის განხორციელების ვალდებულება თავისი ბუნებით შიდაკორპორაციული ვალდებულებათა პარტნიორისა საზოგადოების მიმართ.

თუმცა განსაკუთრებულია კომანდიტის შემთხვევა. მისი პირადი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ნარჩუნდება საგარანტიო თანხის შეუტანელი (დაბრუნებულ) ნაწილის ოდენობით (იხ. 116 მუხლის მე-2 და მე-3 .)

მე-2 პუნქტი ადგენს ე.წ. გამჭოლი პასუხისმგებლობის საგამონაკლისო შემთხვევების წინაპირობებს. „გამონაკლის შემთხვევებში“ მიანიშნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის დარღვევის შემთხვევების საგამონაკლისო ხასიათს, რაც გასათვალისწინებელია გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგენისას სასამართლო პრაქტიკაშიც.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება მიანიშნებს შემთხვევებზე, როდესაც პარტნიორის განზრახვი ზემოქმედებით საწარმო აზიანებს კრედიტორის გამართლებულ ინტერესს. კრედიტორთა დამაზიანებელი გავლენის გაცნობიერება (განზრახვა) ასევე ბოროტად გამოყენების აუცილებელი კომპონენტია. კონკრეტული ფაქტობრივი წინაპირობების დადგენა სასამართლოს ამოცანაა.

ვინაიდან გამჭოლი პასუხისმგებლობა კრედიტორთა დაცვას ემსახურება, მისი გამოყენების აუცილებლობა არ დგას, თუკი საწარმოს დამოუკიდებლად შეუძლია კრედიტორის დაკმაყოფილება. ე.ი. ბოროტად გამოყენების შედეგი უნდა იყოს საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის იმდენად გაუარესება, რომ მას არ შეეძლოს, დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. შეუძლებლობა გულისხმობს მათ შორის მეორეული შესრულების (ზიანის ანაზღაურების) შეუძლებლობას. კრედიტორს ასევე არ უნდა ჰქონდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა შესაძლებლობა, მაგ., უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის სამართლებრივი და ეკონომიკური ფასეულობიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი კრედიტორს (მოსარჩელეს) ეკისრება. გარდა ამისა, მოსარჩელეს ეკისრება პირველადი ვარაუდის (*prima facie*) შექმნა კომპანიის გადახდისუნარობასთან დაკავშირებით.

მოპასუხემ (პარტნიორმა) შეიძლება დაიცვას თავი იმის მტკიცებით, რომ საწარმო გადახდისუნარიანია, ე.ი. სამეწარმეო საზოგადოებას შესწევს უნარი კრედიტორთა მოთხოვნის დამოუკიდებლად დაკმაყოფილებისა და არ არსებობს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აუცილებლობა.

მუხლი 27. შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან გათავისუფლების დაუშვებლობა

დაუშვებელია კომანდიტური საზოგადოების კომანდიტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის პარტნიორის გათავისუფლება შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი ემსახურება სანარმოს ქონების შენარჩუნებას და პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის დაცვას.

ზოგადი წესის მიხედვით, დაუშვებელია კომანდიტის, შპს-ის პარტნიორის, სს-ის აქციონერის შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან განთავისუფლება. გამონაკლისები შესაძლოა დაშვებულ იქნეს კაპიტალის შემცირების შემთხვევაში. ასევე, თუკი ყველა პარტნიორი დაეთანხმება განთავისუფლებას და განთავისუფლება საფრთხეს არ უქმის კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ან არ აზიანებს სანარმოს საქმიანობიდან გამომდინარე არსებით ინტერესებს (ასევე იხ. 138-ე მუხლი მე-2 პუნქტი; 169-ე მუხლი მე-8 პუნქტი).

თავი V. სამენარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი, წილი, დივიდენდი

მუხლი 28. სამენარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცნება

სამენარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი არის სამენარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა. განთავსებული კაპიტალი უნდა იყოს სამენარმეო საზოგადოების განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამის ტოლი, ხოლო თუ სამენარმეო საზოგადოებას განთავსებული აქვს აგრეთვე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი უნდა აღემატებოდეს განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს. თუ სამენარმეო საზოგადოებას (გარდა სააქციო საზოგადოებისა) განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

მენარმეთა შესახებ კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს კაპიტალის სხვადასხვა ტიპებს. „განთავსებული კაპიტალი“ ეწოდება თანხას, რომელზეც თანხმდებიან დამფუძნებელი პარტნიორები და მიუთითებენ სადამფუძნებლო შეთანხმებაში. სს-ის გარდა, განთავსებული კაპიტალის არსებობა არ არის სავალდებულო სამენარმეო საზოგადოებებისათვის.

განთავსებული კაპიტალი ე.წ. სანესდებო კაპიტალის ეკვივალენტია (statutory capital, legal capital, charter capital, subscribed capital).

განთავსებული კაპიტალის მთავარი ფუნქცია დაფუძნებისას კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში საზოგადოების სანყისი კაპიტალით აღჭურვაა, რაც, თუნდაც მინიმალურად, შეზღუდული პასუხისმგებლობის ერთგვარი შემავსებელი, დამბალანსებელია.

საზოგადოების დაფუძნების შემდგომ განთავსებული კაპიტალი საზოგადოების ქონების შენარჩუნებას ემსახურება (145-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინ., 181-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი). თუმცა, ვინაიდან, სს-ის გარდა, იგი არასავალდებულო ელემენტია, კანონი იძლევა საშუალებას, განთავსებული (სანესდებო) კაპიტალი პერსონალური ტიპის საზოგადოებებსაც ჰქონდეთ, რაც არ გამორიცხავს ჰიბრიდული სანარმოთა ფორმების შექმნას, მაგ., დივიდენდის პოლიტიკით, პერსონალური საზოგადოების კაპიტალურ საზოგადოებასთან დაახლოებას.

განთავსებული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, ის უნდა უდრიდეს განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს, რაც განთავსებული

(სანქსდებო) კაპიტალის წარმომადგენლობითობის იდეითაა ნაკარნახევი, ე.ი. იმით, რომ წილი წარმოადგენდეს სანქსდებო (განთავსებული) კაპიტალის გარკვეულ ნაწილს.

ამ იდეას აგრძელებს მომდევნო წესიც. კანონის თანახმად, საწარმოს შეუძლია, ერთდროულად ჰქონდეს გამოშვებული როგორც ნომინალური ღირებულების არმქონე, ისე ნომინალური ღირებულების მქონე წილები. ამ შემთხვევაში, კაპიტალის წარმომადგენლობითობის პრინციპიდან გამომდინარე, განთავსებული კაპიტალი უნდა აღემატებოდეს ნომინალური ღირებულებების ჯამს.

თუკი საწარმოს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილები აქვს განთავსებული, შპს-ში განთავსებული კაპიტალი ნებისმიერი თანხით შეიძლება განისაზღვროს. სს-ს შემთხვევაში, ბუნებრივია, მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილების განთავსების შემთხვევაშიც, განთავსებული კაპიტალის კანონით დადგენილ ოდენობას (იხ. 156-ე მუხლის პირველი პუნქტი) არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

მუხლი 29. წილი

წილი არის უფლება, რომელიც გულისხმობს სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას და რომელთანაც დაკავშირებულია უფლებები და მოვალეობები. წილი საკუთრების საგანია.

მუხლი 30. წილის განკარგვა

1. პარტნიორს აქვს უფლება, თავისუფლად განკარგოს სამეწარმეო საზოგადოებაში საკუთარი წილი, თუ საქართველოს კანონმდებლობით, წესდებით ან სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა შეთანხმებით წილის განკარგვასთან დაკავშირებით შეზღუდვები დადგენილი არ არის. აქციის გადაცემის აკრძალვა დაუშვებელია.
2. თუ წილი სამეწარმეო საზოგადოებაში რამდენიმე პირის თანასაკუთრებაშია, ისინი თანაპარტნიორებად მიიჩნევიან. ამ შემთხვევაში წილთან დაკავშირებული უფლებები შეიძლება განახორციელოს მათ მიერ განსაზღვრულმა ერთ-ერთმა თანაპარტნიორმა ან მესამე პირმა. ეს პირები სოლიდარულ კრედიტორებად მიიჩნევიან. აღნიშნულ შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები თანასაკუთრების ან/და საზიარო უფლებების შესახებ.

3. თუ თანაპარტნიორები ან მემკვიდრეები ხმათა უმრავლესობით ვერ თანხმდებიან წილის მართვაზე, სამენარმეო საზოგადოების ან თანაპარტნიორის ან ერთ-ერთი მემკვიდრის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს წილის მმართველს, რომელსაც მინიჭებული აქვს წილთან დაკავშირებული ყველა უფლება.
4. სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს წილების/აქციების „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვის/გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

30-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს წილის თავისუფალი განკარგვის პრინციპს, რომლისგან გამონაკლისები მხოლოდ კანონმდებლობით ან, იმპერატიული ნორმების ფარგლებში, წესდებით შეიძლება დადგინდეს.

პერსონალური ტიპის საზოგადოებებში, ასევე პერსონალური სტრუქტურის მქონე კაპიტალურ საზოგადოებებში, ურთიერთნდობა პარტნიორთა შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამდენად, შესაძლოა, პარტნიორების ინტერესებში შედიოდეს პარტნიორის ცვლილებაზე გარკვეული კონტროლის შენარჩუნება და ამისთვის დამატებითი წინა პირობების დადგენა (მაგ.: უპირატესი შესყიდვის უფლება, საწარმოს მიერ გამოსყიდვის უფლება, პარტნიორების, დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა), სრული აკრძალვა კი. პარტნიორთა საკუთრების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ამგვარი შეზღუდვები და აკრძალვები წილის განთავსებამდე უნდა იქნეს დადგენილი.

შეზღუდვის ან აკრძალვის მიუხედავად, პარტნიორს რჩება მნიშვნელოვანი საფუძვლით საზოგადოებიდან გასვლის უფლება.

სააქციო საზოგადოების, როგორც ორგანიზაციული ფორმის თავისებურების გათვალისწინებით (კაპიტალის ბაზარზე ორიენტაციის საკანონმდებლო ჩანაფიქრი, ფასიანი ქაღალდების მაქსიმალური ბრუნვაუნარიანობის უზრუნველყოფა), სრული აკრძალვა სს-ის შემთხვევაში წესდებით დაუშვებელია. ეს არ გამორიცხავს გადაცემის დროებით ან პირობით შეზღუდვას (მაგ. ხელმძღვანელი ორგანოს წევრებისათვის გადაცემული აქციების შემთხვევაში ე.წ. restricted stock, რომელთა გადაცემის (უფლების მოპოვების vesting) გრაფიკი შეიძლება იქნას შეთანხმებული).

მე-2 და მე-3 პუნქტები შეძენით ან მემკვიდრეობით წილის მესაკუთრეთა სიმრავლეს ეხება. თანამესაკუთრეთა უთანხმოების გამო, საწარმოს პარტნიორთა ნების ფორმირების ასევე მათ მიმართ საწარმოს ნების გამოვლენის შესაძლო პრობლემების თავიდან ასაცილებლად, პროექტი თანამესაკუთრებს სთავაზობს წილის მმართველის დანიშვნის გზით ნების კონსოლიდირებას, რაც თანა-

მესაკუთრეთა უმრავლესობით (თუკი სადამფუძნებლო შეთანხმება უფრო დიდ უმრავლესობას არ ითვალისწინებს) წყდება. თუმცა სადამფუძნებლო შეთანხმება, შესაძლოა, მმართველის შერჩევის სხვა საშუალებასაც ითვალისწინებდეს. ასევე დასაშვებია შერჩევის განსხვავებულ გზაზე თავად თანამესაკუთრეების შეთანხმება – ამ შემთხვევაში ყველას თანხმობით. ვინაიდან ნების ფორმირების შეუძლებლობა სანარმოს ინტერესების საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, მე-3 პუნქტით სანარმოსაც ენიჭება უფლება, უთანხმოება სასამართლო გზით გადაჭრას. ერთზე მეტი განცხადების შემთხვევაში მმართველის დანიშვნა, სანარმოს ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლოს უფლებამოსილებაა. შესაძლოა, წესდება საარბიტრაჟო შეთანხმებას შეიცავდეს, ან ამაზე თანამესაკუთრეები წინასწარ შეთანხმდნენ.

მუხლი 31. დივიდენდის მიღების უფლება

- 1. ამ კანონით დადგენილი წესების გათვალისწინებით, სამენარმეო საზოგადოების მოგების/ქონების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე პარტნიორს უფლება აქვს, მიიღოს წლიური ან შუალედური დივიდენდი.**
- 2. კომანდიტურ საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში დივიდენდის გაცემის ზოგადი აკრძალვა დაუშვებელია.**
- 3. დივიდენდი დგინდება სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა წილების პროპორციულად, თუ კანონით, წესდებით ან სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.**

პირველი პუნქტი განსაზღვრავს პარტნიორის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სანარმოს ქონების განაწილებაში. დივიდენდის მიღების მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია წესდებითა და კანონით განსაზღვრული წესით დივიდენდის განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა, ეყრდნობოდეს როგორც ფინანსური წლის შედეგებს, ასევე შუალედურ შედეგებს. შუალედური დივიდენდი არ წარმოადგენს ე.წ. საავანსო განაცემს, მისი კანონიერება დგინდება გადაწყვეტილების მიღების მომენტის გათვალისწინებით, ე.ი. შუალედური დივიდენდი კანონიერია მაშინაც, თუკი ფინანსური წლის შედეგების მიხედვით დივიდენდად გასაცემი თანხა შუალედური დივიდენდის სახით გაცემულზე ნაკლებია.

კაპიტალურ საზოგადოებებში წესდებით დივიდენდის აკრძალვა დაუშვებელია. იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. საქველმოქმედო/არამოგებიანი (რაც

ნიშნავს მოგების/ქონების განაწილების დაუშვებლობას და არა მოგების არმი-
ლებას) კორპორაციების ფორმის შემოღება, წინასწარი მსჯელობების მიუხედა-
ვად, არ განხორციელდა. ამდენად, მოგების/ქონების პარტნიორებზე განაწილე-
ბის სრული აკრძალვა მოგების განაწილებაზე ორიენტირებული კაპიტალური
საზოგადოებისთვის მიზანშეუწონელია.

ამისგან განსხვავებით, პერსონალური საზოგადოებების ბუნების ამხანაგო-
ბასთან სიახლოვის გათვალისწინებით, ამგვარი აკრძალვის სადამფუძნებლო
შეთანხმებით გათვალისწინება სპს-ისა და კს-ის შემთხვევაში დასაშვებად უნდა
ჩაითვალოს.

მუხლი არ ზღუდავს სპს-ის პარტნიორის მიერ სანარმოს თანხების გამოყენე-
ბას 106-ე მუხლის მიხედვით.

მუხლი 32. გაცემული დივიდენდის დაბრუნება

**დაუშვებელია გაცემული დივიდენდის დაბრუნების მოთხოვნა, გარდა იმ შემ-
თხვევისა, როდესაც დივიდენდის მიმღებმა პარტნიორმა მისი მიღებისას იცოდა
ან უნდა სცოდნოდა, რომ დივიდენდის განაწილებისას დაირღვა კანონით ან წეს-
დებით დადგენილი ნორმები.**

1994 წლის „მენარმეთა შესახებ“ კანონისგან განსხვავებით (იხ. 57-ე მუხლის
მე-2 პუნქტი), მუხლი იცავს კეთილსინდისიერ პარტნიორს, რომელმაც კანონის
ან წესდების დარღვევით გამოცხადებული დივიდენდი მიიღო.

მსგავსი მიდგომა შეესაბამება ევროპული საკორპორაციო სამართლის
პრინციპებს (იხ. 57-ე მუხლი, ევროკავშირის 2017 წლის 14 ივნისის დირექტივა
2017/1132 სამენარმეო სამართლის ზოგიერთი ასპექტის შესახებ).

მტკიცების ტვირთი სანარმოს ეკისრება.

მუხლი 33. დივიდენდის გაცემის შეზღუდვა

**სამენარმეო საზოგადოებას არ აქვს უფლება, გასცეს დივიდენდი, თუ ეს სა-
მენარმეო საზოგადოების გადახდისუნარიობას გამოიწვევს.**

მუხლი ადგენს უზოგადეს შეზღუდვას ყველა ფორმის საზოგადოებისთვის.
ქონების განაწილებამ არ შეიძლება, საფრთხე შეუქმნას სანარმოს ფინანსურ სი-
ცოცხლისუნარიანობას.

აკრძალვა გულისხმობს იმ შემთხვევებსაც, როდესაც გადახდისუუნარობა ეკონომიკური თვალსაზრისით უკვე დამდგარია, ე.ი. შეზღუდვა ეხება არა მარტო გადახდისუუნარობის გამონვევას, არამედ „გალრმავებასაც“.

მუხლი 34. სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი

1. პარტნიორმა თავისი უფლებებით სარგებლობისას მხედველობაში უნდა მიიღოს სამენარმეო საზოგადოებისა და დანარჩენ პარტნიორთა კანონიერი ინტერესები და უფლებები.
2. თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ის ამ კანონით ან წესდებით პირდაპირ არის გათვალისწინებული და აუცილებელია, სამენარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.
3. წესდებით შეიძლება პარტნიორთა შენატანებისგან დამოუკიდებლად განისაზღვროს წილები და განსხვავებული უფლებები და მოვალეობები.

პირველი პუნქტი განსაზღვრავს კორპორაციულ-სამართლებრივი ერთეულების (კეთილსინდისიერების) მოვალეობის სტანდარტს. იგი გამომდინარეობს უფლების ბოროტად გამოყენებისა და ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპიდან (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწ.). თუმცა, ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპისგან განსხვავებით, ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის მოვალეობაზე უფრო მომთხოვნ, თანამშრომლობაზე დამყარებულ კავშირს, რომელიც პარტნიორს აქვს სანარმოსა და თანაპარტნიორებთან.

ამავე დროს, ერთეულების კორპორაციულ-სამართლებრივი მოვალეობის „ინტენსიურობა“ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პერსონალურია სამენარმეო საზოგადოებაში პარტნიორთა ურთიერთობები. მაგალითად, ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში იგი გაცილებით შემზღუდავია, ვიდრე კაპიტალურ საზოგადოებებში. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც შესაძლებელია სპს-ის მსგავსი მიდგომების გამოყენება, თუკი კორპორაციის პარტნიორთა ურთიერთკავშირში პერსონალური ელემენტი ქარბობს.

თანასწორუფლებიანობის პრინციპი სანარმოსა და მისი ორგანოების შემზღუდავი სახელმძღვანელო პრინციპია. მისი დაცვის საგანია პარტნიორთა უფლებები, რომლებიც გაუმართლებელმა დისკრიმინაციულმა ჩარევამ შეიძლება

დააზიანოს. მისი არსი ისაა, რომ სანარმოსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობაში მსგავსი ვითარებები მსგავსად უნდა გადაწყდეს, ხოლო განსხვავებული – მათი თავისებურებების მიხედვით. სხვაგვარად თანასწორუფლებიანობის პრინციპს დაუსაბუთებელი დიფერენცირების აკრძალვაც შეიძლება ვუწოდოთ. ამ დატვირთვის ნათელყოფას ემსახურება, „თუ იგი კანონით ან წესდებით არის გათვალისწინებული ან აუცილებელია სამენარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე“, ე.ი. მაშინაც კი, როცა იგი არ არის გათვალისწინებული კანონით ან წესდებით. ამგვარი შესაძლებლობის არსებობა სასურველია სანარმოს მოულოდნელ გარემოებებზე რეაგირებისთვის მოქნილობის შენარჩუნების მიზნით. წესდებით გამონაკლისების გათვალისწინების შესაძლებლობა, თავის მხრივ, ექვემდებარება უფლების მართლზომიერი გამოყენების და ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის ჩარჩოებს. დაშვებული დიფერენციაციის მაგალითია მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სამენარმეო საზოგადოებაში წევრობასთან/წილის საკუთრებასთან დაკავშირებული მოთხოვნები არაპროპორციულადაც შეიძლება გადაანაწილდეს.

თავი VI. სამენარმეო საზოგადოების ორგანოები

მუხლი 35. ზოგადი დებულებები

1. სამენარმეო საზოგადოების ორგანოებია: საერთო კრება, ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო, თუ ამ საბჭოს შექმნა კანონით ან წესდებით არის გათვალისწინებული.
2. სამენარმეო საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები საქმიანობას ახორციელებენ და გადაწყვეტილებებს იღებენ მხოლოდ კანონით ან წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

კანონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამენარმეო საზოგადოების ორგანოთა ფუნქციონირების მონესრიგებას. აღნიშნული გამომდინარეობს კანონის ზოგადი სულისკვეთებიდან ხელი შეუწყოს საქართველოში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი კორპორაციული მართვის კულტურის ჩამოყალიბებას და შეამციროს დაკავშირებულ მხარეთა ტრანსაქციული ხარჯები, წესდების ფარგლებში საკითხის მონესრიგების აუცილებლობის და შესაძლო დავების რისკის შემცირების გზით. შედეგად კანონში დეტალურად განისაზღვრება და იმიჯნება სამენარმეო საზოგადოების მართვის ორგანოები, მათი კომპეტენციები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, მოვალეობები და პასუხისმგებლობის საკითხები. აღნიშნულით ხდება სამენარმეო საზოგადოების მართვის ორგანოთა შორის ურთიერთდამოკიდებულების, ანგარიშვალდებულების და ბალანსის შექმნა. ასევე, მარტივი ხდება კონკრეტულ საკითხზე პასუხისმგებელი ორგანოს იდენტიფიცირება, რაც ზრდის ზოგადად სანარმოთა მართვის ეფექტიანობას.

კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი ეთმობა სამენარმეო საზოგადოების მართვის ორგანოების კატალოგის შექმნას. კერძოდ, სამენარმეო საზოგადოების ორგანოებია:

- საერთო კრება;
- ხელმძღვანელი ორგანო;
- სამეთვალყურეო საბჭო.

კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტში წარმოდგენილია სამენარმეო საზოგადოებების ორგანოების საქმიანობის საფუძვლები. კერძოდ, სამენარმეო საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და გადაწყვეტილებებს იღებენ შემდეგი აქტებით დადგენილი კომპეტენციების ფარგლებში:

- კანონი - ამ შემთხვევაში კანონი ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული და მასში მოიაზრება, როგორც „მენარმეთა შესახებ“ კანონი, ისე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.
- წესდება - ამ შემთხვევაში წესდება ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული და ის მოიცავს კანონთან და წესდებასთან თავსებად სხვა შიდაკორპორაციულ დოკუმენტებსაც.

უშუალოდ „მენარმეთა შესახებ“ კანონისა და წესდების ნორმებს შორის ურთიერთმიმართების საკითხი მონესრიგებულია ინდივიდუალურად, ცალკეულ მუხლებში. ამასთან, დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებს შორის გამიჯვნის ფორმულა მოცემულია კანონის პირველ მუხლში. კერძოდ, მათ შორის, სამენარმეო საზოგადოების მართვის ორგანოებთან დაკავშირებული ერთი და იგივე დებულებები სააქციო საზოგადოების შემთხვევაში იმპერატიულ, ხოლო ყველა სხვა სამართლებრივი ფორმის შემთხვევაში დისპოზიციურ ხასიათს ატარებენ. ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც (1) ნორმაში პირდაპირ მიეთითება მის დისპოზიციურობის თაობაზე, რაც სააქციო საზოგადოების შემთხვევაში წესდებით განსხვავებული მონესრიგების შესაძლებლობას იძლევა და (2) ნორმის იმპერატიული ბუნება ცხადია ნორმის შინაარსიდან და მიზნიდან, რის გამოც რომელიმე სამართლებრივი ფორმის საზოგადოების წესდებით სხვაგვარი მონესრიგება დაუშვებელია.

მუხლი 36. საერთო კრება

1. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს სამენარმეო საზოგადოების ყველა პარტნიორს, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა.
2. სამენარმეო საზოგადოება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა ატარებს მორიგ საერთო კრებას. მორიგი საერთო კრების ჩატარებისთვის პასუხისმგებელია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო.
3. საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს. საერთო კრების თავმჯდომარის არჩევამდე ან იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების თავმჯდომარე არ იქნა არჩეული, კრებას თავმჯდომარეობს მისი მომწვევი პირი, მომწვევი ორგანოს თავმჯდომარე ან მომწვევი იურიდიული პირის ხელმძღვანელი, ხოლო თუ მომწვევი რამდენიმე პირია – მომწვევ პირთა ან მომწვევ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებისგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

4. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა სამენარმეო საზოგადოების პარტნიორებისა და ორგანოებისთვის.
5. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც კანონით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება. სააქციო საზოგადოების გარდა, საერთო კრების უფლებამოსილება შეიძლება გაფართოვდეს ან დელეგირებულ იქნეს წესდების საფუძველზე.
6. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განეული მუშაობის მოწონების თაობაზე. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საერთო კრების მიერ ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განეული მუშაობის მოწონება ინვესს აღნიშნული სამენარმეო საზოგადოების მიერ ამ ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას, თუ ეს უფლება აშკარა იქნებოდა საერთო კრებისთვის წარდგენილი დოკუმენტებისა და მინოდებული ინფორმაციის გულმოდგინედ შემონმების შემთხვევაში.
7. საერთო კრების მოწვევის ამ კანონით ან/და წესდებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუ კრებას ყველა პარტნიორი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. პარტნიორის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.
8. საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო.

საერთო კრება სამენარმეო საზოგადოების აუცილებელი ორგანოა. ყველა ფორმის სამენარმეო საზოგადოებას ჰყავს საერთო კრება და ეს ორგანო არის კორპორაციულ მართვაში სამენარმეო საზოგადოების წილის მესაკუთრების პირდაპირი მონაწილეობის უმთავრესი ინსტრუმენტი. ეს არის მთავარი ფორუმი, სადაც პარტნიორებს ეძლევათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ საზოგადოების განვითარების ძირითადი სტრატეგია.

სამენარმეო საზოგადოების საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება ტარდება წესდებით განსაზღვრულ ვადებში. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან ნ თვეს. გარდა ამისა, სპეციალურ შემთხვევებში შესაძლებელია რიგგარეშე კრების მოწვევა. პარტნიორთა მორიგი კრების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სა-

მენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს/ორგანოს, ხოლო რიგგარეშე კრების მონვევის საკითხები მონესრიგებულა სპეციალურ ნორმებში (მაგალითად, კანონის 128-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ პარტნიორთა რიგგარეშე კრების მონვევის შესახებ ინიციატორი პარტნიორის/პარტნიორების მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში რიგგარეშე კრება არ იქნება მონვეული, ინიციატორ პარტნიორს/პარტნიორებს უფლება აქვთ, თავად მოიწვიონ კრება).

ნინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საერთო კრების წელიწადში ერთხელ ჩატარების ვალდებულება არ გულისხმობს ფიზიკური შეკრების ვალდებულებას. ფიზიკური შეკრების ალტერნატივების კრების ჩატარება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (131-ე და 194-ე). ასევე არ იზღუდება ე.წ. ვირტუალური კრებების ჩატარება სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით. მუხლი ასევე არ ზღუდავს შპს-ში კრების ჩატარების გარეშე გადანყვეტილების მიღებას, თუკი სადამფუძნებლო შეთანხმება ითვალისწინებს ამას (მუხ. 129-ე). ამგვარი ალტერნატიული საშუალებების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური კაპიტალის მონაწილეობის შემთხვევაში.

საერთო კრება ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს. სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სხდომის მიმდინარეობას. ის ასევე ხელს აწერს საერთო კრების ოქმს. სხდომის თავმჯდომარის არჩევამდე ან თუ თავმჯდომარე არ იქნა არჩეული, კრებას თავმჯდომარეობს, მისი მომწვევი პირი, მომწვევი ორგანოს თავმჯდომარე ან მომწვევი იურიდიული პირის ხელმძღვანელი. ამასთან, თუ მონვევა განახორციელა რამდენიმე პირმა, საერთო კრების თავმჯდომარის არჩევამდე კრებას გაუძღვება წილისყრით განსაზღვრული პირი.

საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადანყვეტილებები სავალდებულოა პარტნიორებისა და სამენარმეო საზოგადოების ნებისმიერი ორგანოსათვის. ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიღწევისათვის აუცილებელია მართვის ორგანოებს შორის კომპეტენციათა დანაწილება და კონტროლის მექანიზმების შექმნა. შესაბამისად, კანონი დეტალურად განსაზღვრავს საერთო კრების კომპეტენციათა კატალოგს (აღნიშნული გადანაწილებულია კანონის სხვადასხვა მუხლში, მათ შორის, 126-ე და 184-ე მუხლებში). თუმცა კანონი იძლევა შესაძლებლობას, სააქციო საზოგადოების გარდა, საერთო კრების კანონით დადგენილი უფლებამოსილებები გაფართოვდეს, ან დელეგირებულ იქნეს წესდების საფუძველზე.

ამავე მუხლის მე-ნ პუნქტი ეთმობა განეული მუშაობის მონონების საკითხებს. საზოგადოების ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მონაწილეობას იღებენ ყოველდღიურ მართვაში. შესაბამისად, მათი საქმიანობა პერმანენტულად უკავშირდება მენეჯერული გადანყვეტილებების

მიღებას, რომლებიც ფინანსური თვალსაზრისით რისკის შემცველია და ასეთი რისკის შემცირება (თუმცა, არა თავიდან აცილება, რაც თავისთავად შეუძლებელია) მხოლოდ შესაბამის ორგანოთა ნევრების მიერ საკუთარი ფიდუციური მოვალეობების შესრულებითაა შესაძლებელი. ასეთი სარისკო საქმიანობა ხშირად წარმოშობს დავას საზოგადოების მართვის ორგანოთა შორის, რასაც უარყოფითი გავლენა აქვს საზოგადოების ჯანსაღ ფუნქციონირებაზე. ამგვარი დავის რისკის შემცირების საქმეში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საერთო კრების მიერ ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განეული მუშაობის მონონება. მუშაობის მონონება ინვესტს სამენარმეო საზოგადოების მხრიდან ამ ორგანოების ნევრებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას, თუ ამ მოთხოვნის უფლება აშკარა იქნებოდა საერთო კრებისათვის წარდგენილი დოკუმენტებისა და მიწოდებული ინფორმაციის გულმოდგინე შემონმების შემთხვევაში. ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის მონონება ამ ორგანოთა ნევრების დაცვისა და კორპორაციულ მართვაში პარტნიორების პასუხისმგებლობის ზრდისკენ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან მონონებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე გამომრიცხავი შემოქმედების მოხდენა შეუძლია. ნორმაში დანერგილი ე.წ. გადახედე-ს სახელით ცნობილი პრინციპი საზოგადოების ლიკვიდური საქმიანობის და შესაბამისად რისკების გამომრიცხვის კიდეც ერთი, დამატებითი ინსტრუმენტია. სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელ ორგანოს და პარტნიორების ინფორმირებულობის ხარისხის ბუნებრივი ასიმეტრიულობიდან და მიწოდებულ ინფორმაციაზე პარტნიორების გადაწყვეტილების დამოკიდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის გამომრიცხვა არ ხდება, თუკი პარტნიორები არ ფლობდნენ იმ ინფორმაციას, რაც აშკარას გახდიდა ვალდებულების დარღვევას.

განეული მუშაობის ზოგადი წესიდან გამონაკლისია სააქციო საზოგადოება, სადაც განეული მუშაობის მონონება არ ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს ნევრებს სააქციო საზოგადოების წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რაც გამომდინარეობს ამ სამართლებრივი ფორმის საზოგადოებაში აქციონერთა განსაკუთრებით დივერსიფიცირებული სტრუქტურიდან, რის თაობაზეც შედარებით ფართო მსჯელობა წარმოდგენილია 185-ე მუხლის განმარტებაში.

მე-7 პუნქტი შეეხება კრების მონვევის ფორმალური წესების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. ზოგადად, კრების მონვევის ფორმალობების დარღვევა ინვესტს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობას. თუმცა წინამდებარე პუნქტი იძლევა პროცედურული დარღვევების ნეგატიური შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობას. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუკი კრებას ყველა პარტნიორი ესწრება და ყველა მათგანი თანახ-

მაა კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე უარისათვის საზოგადოების პარტნიორმა უნდა განაცხადოს მოთხოვნა კრების სხვა დროს გამართვის თაობაზე და ამის საფუძველად მიუთითოს კრების მოწვევის პროცედურის დარღვევა.

მუხლი 37. საერთო კრების გადაწყვეტილება

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოინვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში ხმების რაოდენობა გამოითვლება პარტნიორთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში – სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალში წილის მიხედვით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით ან წესდებით განსაზღვრულია ხმათა უფრო დიდი რაოდენობა ან სხვა, დამატებითი პირობები. ამ კანონით ან წესდებით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ან/და ორგანოს არჩევისთვის ან ალტერნატიული წინადადების კენჭისყრისთვის წესდება შეიძლება ადგენდეს განსხვავებულ წესებს, მათ შორის, ითვალისწინებდეს ხმათა უფრო მცირე რაოდენობას.
4. სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100-პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის წერილობითი გადაწყვეტილება/თანხმობა საერთო კრების ოქმის ტოლფასი დოკუმენტია და საერთო კრების გადაწყვეტილებად მიიჩნევა.

საერთო კრების გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურული ნაწილი შინაარსობრივად თავად საზოგადოების შიდაკორპორაციული მონეს-

რიგების საგანია. შესაბამისად, კანონი მართალია დეტალურად, თუმცა დისპოზიციურად განსაზღვრავს საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღების საკითხს.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას დაესწრება ხმის უფლების მქონე პარტნიორთა უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ არ შედგა შესაბამისი კვორუმი, ხელმძღვანელ ორგანოს ან წესდებით საამისოდ უფლებამოსილ სუბიექტს შეუძლია, იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მასზე წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე პარტნიორების რაოდენობის მიუხედავად, რაც გამორიცხავს ბოიკოტის გზით საზოგადოების ფუნქციონირების შეჩერების შესაძლებლობას.

ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში – ხმათა რაოდენობა გამოითვლება პარტნიორთა რაოდენობის შესაბამისად. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების თითოეულ პარტნიორს და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარს გააჩნიათ თითო ხმის უფლება. კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში ხმები დაითვლება სამენარმეო საზოგადოების კაპიტალში წილის მიხედვით.

საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონით ან წესდებით დადგენილია ხმათა უფრო დიდი უმრავლესობა ან სხვა დამატებითი პირობები (მაგალითად დამატებით პირობებში იგულისხმება, ცალკეული კლასის წილის/აქციის მფლობელთა თანხმობა, ან, საერთო კრების გადაწყვეტილებასთან ერთად, სხვა ორგანოს გადაწყვეტილების აუცილებლობა). შესაბამისად, კანონში გამორიცხულია შესაძლებლობა, წესდებით გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ საკითხს მხარს დაუჭერს პარტნიორთა ისეთი ნაწილი, რომელიც არ ქმნის დამსწრეთა უმრავლესობას. ამ წესიდან გამონაკლისია თანამდებობის პირების ან/და ორგანოების არჩევა, ან, როცა ალტერნატიულ წინადადებებს უნდა ეყაროს კენჭი. ამ დროს წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ წესებს, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღებას, თუ საკითხს მხარს დაუჭერს ხმების გარკვეული რაოდენობა (რომელიც არ ქმნის ხმების უმრავლესობას). ასეთი რეგულირება, უწინარესად, მინორიტარი პარტნიორების დაცვის ინსტრუმენტია, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენლები სხვადასხვა თანამდებობაზე თუ ორგანოში. ასევე, მითითებული ჩანანერი აზღვევს ისეთ ალბათობებს, როდესაც ალტერნატიულ საკითხთა გადაწყვეტა ვერ ხერხდება ხმათა უმრავლესობის არარსებობის გამო.

მუხლი 38. საერთო კრების ოქმი

1. საერთო კრების მოწვევის, მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ამ კრების დასრულებიდან 15 დღის ვადაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების მიერ არჩეული ან წესდებით განსაზღვრული საერთო კრების თავმჯდომარე. ამ კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო კრების ოქმს ადგენს და ამოწმებს ნოტარიუსი. საერთო კრების ოქმი დაუყოვნებლივ, სამენარმეო საზოგადოების ხარჯზე ეგზავნება პარტნიორებს.
2. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:
 - ა) სამენარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
 - ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი/დრო;
 - გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე. ოქმს შეიძლება დაერთოს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებული დოკუმენტები;
 - დ) ძირითად დოკუმენტში ან დანართის სახით – საერთო კრების მუშაობაში მონაწილე ან მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა და სხვა დამსწრე პირთა ჩამონათვალი და საიდენტიფიკაციო მონაცემები. წარმომადგენლობის შემთხვევაში ოქმს უნდა დაერთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი ან უნდა მიეთითოს ასეთ დოკუმენტზე, თუ მას სამენარმეო საზოგადოება სხვა დოკუმენტებთან ერთად ინახავს;
 - ე) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - ვ) საერთო კრების დღის წესრიგი;
 - ზ) საერთო კრების გადაწყვეტილება. მასში მითითებული უნდა იყოს კენჭისყრის შედეგები;
 - თ) საერთო კრების მონაწილის მიერ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიმართ განსხვავებული აზრის გამოთქმის ან საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვის შემთხვევაში – კრების შესაბამისი მონაწილის ვინაობა და საწინააღმდეგო პოზიციის შინაარსი, თუ იგი მოითხოვს ამ აზრის/პოზიციის ოქმში შეტანას.

საერთო კრების ოქმი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აღწერს საერთო კრების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას. კრების ოქმი, როგორც წერილობითი ჩანაწერი, უნდა გაკეთდეს საზოგადოების წიგნში და მას აქვს მნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულება შემდგომი გაუგებრობებისა და და-

ვების თავიდან აცილების, ასევე, მტკიცების გამარტივების საქმეში. კანონის ფარგლებში საერთო კრების ოქმთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია 39-ე მუხლში, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში მე-200 მუხლში.

საერთო კრების ოქმის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების თავმჯდომარეს, რასაც ის ადასტურებს ამ დოკუმენტზე თავისი ხელმოწერით. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ტექნიკური თვალსაზრისით კრების ოქმის სხვა პირის, მაგალითად სხდომის მდივნის მიერ შედგენას. თუ საერთო კრების გადაწყვეტილება შეეხება რეგისტრირებული მონაცემის ცვლილებას და საერთო კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსიც. გამონაკლის შემთხვევებში, ნოტარიუსის მიერ საერთო კრების ოქმის შედგენა და მასზე ხელმოწერა სავალდებულოა. კერძოდ, „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებულებული სანარმოს შემთხვევაში, რომლის ფასიანი ქალაქები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი და მას ხელს აწერს ნოტარიუსი და საერთო კრების თავმჯდომარე.


წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტი დეტალურად განსაზღვრავს საერთო კრების ოქმის შინაარსობრივ კომპონენტებს და ამ გზით ამკვიდრებს კრების ოქმის შედგენის ერთგვაროვან პრაქტიკას. კერძოდ, საერთო კრების ოქმში აღინიშნება როგორც საზოგადოების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი მონაცემები, ისე უშუალოდ კრების ფორმალური და მატერიალური ნაწილი.

მუხლი 39. საერთო კრების გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობა

1. ბათილობის ამ კანონით განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში საერთო კრების გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი ბათილია, თუ არ არსებობს ამ კანონის 36-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და:
 - ა) საერთო კრების ოქმი დადგენილი წესით დამონშემებული არ არის;
 - ბ) საერთო კრება არაუფლებამოსილმა ორგანომ/პირმა მოიწვია;
 - გ) საერთო კრების მოწვევის შესახებ წერილობით შეტყობინებაში მითითებული არ არის ან არასწორად არის მითითებული სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი ან დაწყების დრო;
 - დ) დარღვეულია საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პარტნიორებისთვის შეტყობინების წესი;
 - ე) საკითხი, რომელსაც გადაწყვეტილება ეხება, არ განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილებას;

- ვ) გადაწყვეტილება ეხება წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება;
 - ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა;
 - თ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს;
 - ი) გადაწყვეტილება შეცილების საფუძველზე სასამართლომ ბათილად ცნო.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობაზე მითითება დაუშვებელია, თუ საერთო კრების გადაწყვეტილების რეესტრში რეგისტრაციიდან გასულია 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოში საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე დავა ამ ვადის ამოწურვამდე დაიწყო.

კანონის 39-ე მუხლში შექმნილია საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლების კატალოგი. საერთო კრების ბათილობის საფუძვლებთან დაკავშირებით „მენარმეთა შესახებ“ კანონს გააჩნია ექსკლუზიური და ამომწურავი ხასიათი. კერძოდ, ნორმაში მიეთითება, რომ საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობა ხდება მხოლოდ ამ კანონში განსაზღვრული საფუძვლებით. წინამდებარე ნორმაში წარმოდგენილი ბათილობის საფუძვლები უკავშირდება როგორც საერთო კრების მოწვევისა და გამართვის ფორმალური პირობების დარღვევას, ისე მის შინაარსობრივ ნაწილს, კერძოდ:



ფორმალური საფუძვლები. კანონის წინამდებარე მუხლი მიუთითებს, საერთო კრების გადანყვეტილების ბათილობის რამდენიმე ფორმალურ საფუძველს. კერძოდ, (1) საერთო კრების გადანყვეტილება ბათილია თუ საერთო კრების ოქმი დადგენილი წესით დამონმებული არ არის. მაგალითისათვის, დარღვეულია კანონის 200-ე მუხლით გათვალისწინებული ნოტარიუსის მიერ საერთო კრების ოქმის ხელმოწერის ვალდებულება. (2) საერთო კრების გადანყვეტილება ბათილია თუ ის წესდებით ან კანონით არაუფლებამოსილმა ორგანომ/პირმა მოინწვია. (3) საერთო კრების გადანყვეტილება ბათილია თუ მოწვევის შესახებ წერილობით შეტყობინებაში მითითებული არ არის ან არასწორად არის მითითებული საერთო კრების მოსაწვევის ძირითადი მონაცემები: საფირმო სახელწოდება, საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი ან დაწყების დრო. (4) ასევე, საერთო კრების გადანყვეტილება ბათილია თუ დარღვეულია საერთო კრების ჩატარების შესახებ გადანყვეტილების პარტნიორებისთვის შეტყობინების წესი. მაგალითად, სს-ს შემთხვევაში აღნიშნული პროცედურა გათვალისწინებულია კანონის 189-ე მუხლში.

მატერიალური საფუძვლები. (1) კანონი მკვეთრად მიჯნავს სამენარმეო საზოგადოების მართვის ორგანოთა კომპეტენციებს. ასეთი გამიჯვნა ზოგჯერ დისპოზიციურ და ზოგჯერ იმპერატიულ ხასიათს ატარებს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში საერთო კრების გადანყვეტილება ბათილია თუ საკითხი, რომელსაც გადანყვეტილება ეხება, არ განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილებას. (2) ასევე, ბათილია საერთო კრების გადანყვეტილება წესდებაში ისეთ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს. მაგალითად, დაუშვებელია წესდებით კანონის იმპერატიული ნორმის მოთხოვნების დაძლევა. (3) გარდა წესდების ცვლილებისა, ასევე, დაუშვებელია საერთო კრებამ მიიღოს გადანყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა. მაგალითისათვის, საერთო კრებას არ შეუძლია სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ განეული მუშაობის მოწონებით ისინი გაათავისუფლოს სააქციო საზოგადოების წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ასევე, ბათილია საერთო კრების გადანყვეტილება: თუ (4) გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, რისი შეფასებაც ინდივიდუალურ შემთხვევებში უნდა მოხდეს ან (5) გადანყვეტილება შეცილების საფუძველზე სასამართლომ ბათილად ცნო.

წინამდებარე მუხლი ასევე განსაზღვრავს საერთო კრების გადანყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობის ხანდაზმულობის ვადას. კერძოდ, კრების გადანყვეტილების ბათილობაზე მითითება დაუშვებელია, თუ საერთო კრების გადანყვეტილების რეესტრში რეგისტრაციიდან გასულია 3 წელი. სასამართლოში საერთო

კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე დავის დაწყება აჩერებს ამ ხანდაზმულობის ვადას, შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის შემდგომ 3-წლიანი ვადის გასვლა არ იწვევს კრების ბათილობაზე მითითების დაუშვებლობას.

ასევე, კანონის 36-ე მუხლიდან გამომდინარე დაუშვებელია საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობაზე მითითება თუ საერთო კრების მონვევის წესის დარღვევის მიუხედავად კრებას ყველა პარტნიორი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. ასეთ დროს ცხადია, რომ პროცედურის დარღვევას არ მოჰყოლია ნეგატიური შედეგი და მისი გადაწყვეტილების ბათილობის საჭიროება არ არსებობს. პარტნიორის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მონვევის პროცედურის დარღვევის გამო. შესაბამისად, პარტნიორის თანხმობა ივარაუდება, თუ იგი სანინაალმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებს.

მუხლი 40. საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემდეგ განხორციელებული ღონისძიებები

- 1. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარუდგინონ მარეგისტრირებელ ორგანოს, თუ საერთო კრების გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე განხორციელდა რეგისტრაცია.**
- 2. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ განათავსონ სამენარმეო საზოგადოების ვებგვერდზე ან სხვაგვარად მიაწოდონ პარტნიორებს.**

კანონის მე-40 მუხლი ეთმობა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის შემდგომ გასატარებელ ღონისძიებებს. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული მუხლი მიზნად ისახავს რეესტრში უტყუარი მონაცემების შენარჩუნებისათვის გარანტიების შექმნას. კერძოდ, ხელმძღვანელ პირებს ეკისრებათ ვალდებულება, საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარუდგინონ მარეგისტრირებელ ორგანოს. ასევე, პარტნიორების ინფორმირებისა და მათი დაცვისათვის ხელმძღვანელ პირებს ეკისრებათ ვალდებულება, ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ განათავსონ სამენარმეო საზოგადოების ვებგვერდზე, ან სხვაგვარად აცნობონ პარტნიორებს.

მუხლი 41. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო

1. სამენარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად სამენარმეო საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი ორგანო. ამ ორგანოს უფლებამოსილება, აგრეთვე მის მიერ გადანყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება კანონითა და წესდებით.
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს. კომპლემენტურ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), თუ პარტნიორთა გადანყვეტილებით სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელად სხვა პირი არ დაინიშნება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში ხელმძღვანელობის უფლება აქვს/აქვთ ხელმძღვანელ პირს/პირებს.
3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობის განხორციელებას:
 - ა) ერთი პირის მიერ ერთპიროვნულად;
 - ბ) რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მიერ ერთობლივად ან ცალ-ცალკე;
 - გ) ყველა ხელმძღვანელი პირის მიერ ერთობლივად.
4. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ივარაუდება, რომ სამენარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელობით საქმიანობას ყველა ხელმძღვანელი პირი ერთობლივად ახორციელებს.

სამენარმეო საზოგადოება, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, თავის ქმედუნარიანობისა და უფლებაუნარიანობის რეალიზებას უმეტესწილად ახდენს საამისოდ უფლებამოსილი პირის – ხელმძღვანელი ორგანოს მეშვეობით. ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში ასეთი უფლებამოსილება თავად პარტნიორებს აქვთ, ხოლო კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, საზოგადოების პარტნიორთა/აქციონერთა დივერსიფიცირებული სტრუქტურის გათვალისწინებით, ამისათვის არსებობს ცალკე ორგანო – დირექტორი.

სპს	• ყველა პარტნიორი
კს	• კომპლემენტარი
შპს	• დირექტორი
სს	• დირექტორი
კოოპ	• დირექტორი

ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში პარტნიორების მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობა ამ სამენარმეო საზოგადოებების სამართლებრივი ფორმის პერსონალური ბუნებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, ამ სამენარმეო საზოგადოებების პერსონალური პასუხისმგებლობიდან საზოგადოების ვალდებულებებისათვის. თუმცა, კანონი უშვებს შესაძლებლობას წესდებით ამ სამენარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გარეშე პირსაც გადაეცეს.

სამენარმეო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი პირი. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებას ერთდროულად ჰყავს რამდენიმე ხელმძღვანელი პირი, მაშინ კანონი ითვალისწინებს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების სხვადასხვა კომბინაციით გადანაწილების შესაძლებლობას. კერძოდ, ყველა ხელმძღვანელი პირი შესაძლებელია ერთად ხელმძღვანელობდეს საზოგადოებას, ისევე, როგორც შესაძლებელია მათ ასეთი უფლებამოსილება ინდივიდუალურად მიენიჭოთ. ასევე, დასაშვებია ე.წ. შერეული მოდელის არსებობა, როდესაც ხელმძღვანელი ორგანოს მხოლოდ რამდენიმე წევრზე ვრცელდება ერთობლივად ან ცალ-ცალკე ხელმძღვანელობის შესაძლებლობა. ამასთან, ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლებელია ერთობლივად ან ცალ-ცალკე ხელმძღვანელობა დამოკიდებული იყოს სამენარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრულ პირობებზე.

წინამდებარე მუხლი მე-4 პუნქტით ასევე დგინდება, რომ თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ივარაუდება, რომ სამენარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელობით საქმიანობას ყველა ხელმძღვანელი პირი ერთობლივად ახორციელებს.

მუხლი 42. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო წარმოადგენს სამენარმეო საზოგადოებას მესამე პირთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.
2. თუ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო რამდენიმე წევრისგან შედგება, ისინი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას მხოლოდ ერთობლივად ახორციელებენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდება ადგენს ერთი ან რამდენიმე პირის ერთპიროვნულ წარმომადგენლობას ან რამდენიმე პირის ერთობლივ წარმომადგენლობას ან უშ-

ვებს ასეთ შესაძლებლობას. მესამე პირთან ურთიერთობაში გამოიყენება ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2გმე-4 პუნქტები.

3. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისთვის ცნობილი იყო სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, სამენარმეო საზოგადოებას აქვს ამ ხელშეკრულების შეცილების უფლება. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაქტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაღდეს იმ სამენარმეო საზოგადოებას, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.
4. სამენარმეო საზოგადოების წინაშე ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის საკმარისია ნების მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი პირის წინაშე გამოვლენა.

სამენარმეო საქმიანობის განხორციელება უშუალოდ უკავშირდება მოგების მიღების მიზნით, ორგანიზებული სტრუქტურის მეშვეობით, მესამე პირებთან ურთიერთობას. ასეთი ორგანიზებულობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი კი სპეციალური ორგანოს არსებობაა, რომელიც სამენარმეო საზოგადოების სახელით მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში შევა.

წინამდებარე მუხლის მიხედვით, სამენარმეო საზოგადოების სახელით მესამე პირებთან ურთიერთობის უფლებამოსილება ხელმძღვანელ ორგანოს ენიჭება. ამასთან, დაუშვებელია ამ ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მესამე პირთან ურთიერთობაში შეზღუდვა. შეზღუდვის იმპერატიული აკრძალვის ძირითადი მიზანი საჯარო რეესტრის მონაცემების სანდოობის და მესამე პირების დაცვა, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის ხელშეწყობაა. კონტრაქტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაეყრდნოს სამენარმეო რეესტრიდან ამონაწერში მითითებულ მონაცემებს და მას არ გააჩნია ვალდებულება შეამოწმოს სასამსახურე ხელშეკრულება ან სხვა შიდაკორპორაციული დოკუმენტი.

თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისთვის ცნობილი იყო სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, არ არსებობს ამ პირის „დასაცავი ინტერესი“. შესაბამისად, კანონი ამ შემთხვევაში უშვებს დადებული გარიგების სამენარმეო საზოგადოების მიერ შეცილების შესაძლებლობას. სტანდარტი „ცნობილი იყო“ გულისხმობს პოზიტიურ ცოდნას ან გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ შეუძლებელია, მეორე მხარეს არ სცოდნოდა შეზღუდვის შესახებ, მისი აშკარა, თვალმისაცემი ხასიათის გამო. იგივე წესი გამოიყენება თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაქტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიან-

ნი მიდგომოდა იმ სამენარმეო საზოგადოებას, რომლის სახელითაც მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მსგავსად, კანონი იძლევა ერთპიროვნული, ინდივიდუალური, ერთობლივი და შერეული წარმომადგენლობის შესაძლებლობებს. ამასთანავე, საზოგადოების წინაშე ნების გამოვლენის გამარტივებისა და ამ გზით ტრანსაქციული ხარჯების შემცირების მიზნით, სამენარმეო საზოგადოების წინაშე ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის საკმარისი იქნება მისი გამოვლენა მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი პირის წინაშე. ამ წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც საზოგადოება დაადასტურებს, რომ ნების გამოვლენისას პირი, ასევე საზოგადოების ის ხელმძღვანელი, რომლის წინაშეც იქნა გამოვლენილი ნება, მიზნად ისახავდნენ სამენარმეო საზოგადოების ინტერესების სანინაალმდეგოდ ქმედებას.

მუხლი 43. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. ხელმძღვანელი ორგანო შეიძლება იყოს ერთპიროვნული ან კოლეგიური.
2. თუკი ხელმძღვანელი ორგანო რამდენიმე წევრისგან შედგება, ისინი საკუთარი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევენ ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც ახორციელებს კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. თუ კანდიდატები თანაბარი რაოდენობის ხმებს მიიღებენ, ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე წილისყრით შეირჩევა.
3. კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. თუ სხდომას არ ესწრება ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, დამსწრე წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს.
4. ხელმძღვანელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელ ხმათა უფრო დიდ რაოდენობას. ამ კანონით ან წესდებით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ან/და ორგანოს არჩევისთვის ან ალტერნატიული წინადადების კენჭისყრისთვის წესდება შეიძლება ადგენდეს განსხვავებულ წესებს, მათ შორის, ითვალისწინებდეს ხმათა უფრო მცირე რაოდენობას. გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვე-

ტია ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის/სხდომის თავმჯდომარის ხმა, თუ ამ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. ხელმძღვანელი ორგანოს წევრი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.
6. თუ საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო ვერ დანიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს წევრს, რითაც სამენარმეო საზოგადოების საქმიანობას არსებითი საფრთხე ექმნება, ერთ-ერთი პარტნიორის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს წევრის მოვალეობის შემსრულებელს იმ ვადით, რომელიც საჭიროა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი წევრის დანიშვნისთვის.
7. ხელმძღვანელი ორგანო, როგორც წესი, გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. წესდება შეიძლება ადგენდეს გადაწყვეტილების მიღების განსხვავებულ წესს.

წინამდებარე მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობის დაკომპლექტება, თავმჯდომარის არჩევა და გადაწყვეტილების მიღება. საზოგადოების მახასიათებლების, მათ შორის, პარტნიორთა სტრუქტურის, საოპერაციო არეალის და კაპიტალის მოცულობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელი ორგანო შეიძლება იყოს ერთპიროვნული ან კოლექტიური. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა თავად საზოგადოების შიდაკორპორაციული საკითხია, რისთვისაც საკანონმდებლო საფუძველს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი ქმნის.

სამენარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელი ორგანო შეიძლება იყოს კოლექტიური. ამ შემთხვევაში, ხელმძღვანელი ორგანოს ეფექტიანი საქმიანობის მიზნით, აქტუალურობას იძენს თავმჯდომარის არჩევის საკითხი, რომელმაც კოორდინირება უნდა გაუწიოს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე თავად ხელმძღვანელი ორგანოს წევრების მიერ, თავისი შემადგენლობიდან შეირჩევა. იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ვერ ახერხებენ თავმჯდომარის არჩევას, მაგალითად ხმების გაყოფის გამო, თავმჯდომარე აირჩევა წილისყრით.

კოლექტიური ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მისი მოწვევა მოხდება კანონით და წესდებით განსაზღვრული წესით და მას დაესწრება წევრთა უმრავლესობა. სხდომას თავმჯდომარეობს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში თუ სხდომას არ ესწრება ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, სხდომის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, დამსწრე წევრები ხმათა უმრავლესობით აირჩევენ ამ სხდომის თავმჯდომარეს.

მე-4 პუნქტი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გადანყვეტილების მიღების ეხება. ზოგად წესად დადგენილია ხმების უმრავლესობით გადანყვეტილების მიღება. თუმცა კვალიფიციური უმრავლესობა ყველა ან ზოგიერთი გადანყვეტილებისთვის შესაძლოა, სადამფუძნებლო შეთანხმებით დადგინდეს. რამდენიმე წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლოა, სადამფუძნებლო შეთანხმება ე.წ. უმეტესობის წესსაც ითვალისწინებდეს, ე.ი. მიღებულად ჩაითვალოს წინადადება, რომელიც ყველაზე მეტ, მაგრამ არა უმრავლეს, ხმას მიიღებს. თუმცა, ეს პუნქტი დისპოზიციური ხასიათისაა და წესდებით, შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული უმრავლესობით გადანყვეტილებების მიღება, როგორც ზოგადად ისე ცალკეულ საკითხებთან მიმართებით. ასევე, მაგალითად, წესდება შეიძლება ცალკეული ხელმძღვანელი პირების ან ცალკეული შემთხვევებისთვის ითვალისწინებდეს ვეტოს უფლებას.

ხელმძღვანელი ორგანო გადანყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა შესაძლებელია იმართებოდეს, როგორც ფიზიკური დასწრების, ისე ელექტრონული ფორმით. ამასთანავე, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადანყვეტილების მიღებას სხდომის გამართვის გარეშეც.

მე-5 პუნქტის მიხედვით, ხელმძღვანელი ორგანოს წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ასეთი შესაძლებლობა მაგალითად ინვესტორ იურიდიულ პირს აძლევს საშუალებას ხელმძღვანელ ორგანოში არ იყოს დამოკიდებული თუნდაც მის მიერ წარდგენილ ან დელეგირებულ წევრზე და თავად იქნეს არჩეული ხელმძღვანელ პირად. იურიდიული პირის შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს წევრობის ეფექტიანად შესრულებისათვის ამ სუბიექტს მოუწევს, გამოყოს საამისოდ პასუხისმგებელი პირი.

ხელმძღვანელი ორგანოს არსებობა და საზოგადოების ფუნქციონირება ურთიერთდაკავშირებული საკითხებია. შესაბამისად, კანონით დაზღვეულია ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელმძღვანელის დანიშვნა ჭიანჭურდება და მის გარეშე საზოგადოებას არ შეუძლია საქმიანობის განხორციელება. ასეთი წინა პირობის დადგომისას, თუ საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო ვერ დანიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს წევრს, ნებისმიერ პარტნიორს ან კრედიტორს ენიჭება უფლება, მიმართოს სასამართლოს განცხადებით და მოითხოვოს ხელმძღვანელის სასამართლოს მეშვეობით დანიშვნა. ამასთანავე, ნორმის ფართო განმარტების თავიდან ასაცილებლად შემოტანილია საზოგადოების საქმიანობის განხორციელების არსებითი შეუძლებლობის დადგენის აუცილებლობა. ამის ერთ-ერთი მაგალითია საწარმოს წარმომადგენლობის განხორციელების შეუძლებლობა. სასამართლოს მიერ შერჩეული ხელმძღვანელი პირი, მართალია, სრული მოცულობით სარგებლობს საზოგადოების ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილებებით, თუმცა ის მაინც დროებითი ხელმძღვანელი პირია და მისი უფლებამოსი-

ლება წყდება იმავე მომენტიდან, რა მომენტიდანაც საზოგადოების შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანო დანიშნავს ახალ ხელმძღვანელ პირს.

მუხლი 44. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის ხელმძღვანელ პირს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საერთო კრება, თუ მისი დანიშვნა არ განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას.
2. ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამონურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდება მიიჩნევა.
3. საერთო კრება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.
4. ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს, გადადგეს თანამდებობიდან საამისოდ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

კაპიტალური ტიპის სამენარმეო საზოგადოებებში წილის მფლობელთა დივერსიფიკირებული სტრუქტურის გათვალისწინებით, საზოგადოების ეფექტიანი მართვისათვის იქმნება განცალკევებული მართვის ერთეული ხელმძღვანელი ორგანოს სახით. აღნიშნული ორგანო უზრუნველყოფს საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების წილის მფლობელთა ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი კორპორაციული მართვის სტრუქტურის შექმნა, როგორშიც კომპეტენციათა დანაწილებისა და კონტროლის მექანიზმების არსებობით მიღწეულ იქნება საუკეთესო შედეგი. ასეთი კორპორაციული მართვის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს არჩევის კომპეტენციის საერთო კრებისთვის ან სამეთვალყურეო

საბჭოსთვის მინდობაა, რაც ხელმძღვანელ ორგანოს ანგარიშვალდებულს ხდის შესაბამისი ორგანოს წინაშე და უზრუნველყოფს ეფექტიან კორპორაციულ მართვას.

წინამდებარე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის ხელმძღვანელ პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საერთო კრება, თუკი მათი დანიშვნა არ განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას. სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელი პირის დანიშვნის მისთვის გადადნობის მთავარი მიზეზი ასეთი მძლავრი ინსტრუმენტის მინიჭების გზით ამ ორგანოს მიერ ხელმძღვანელი პირის საქმიანობაზე ზედამხედველობის ეფექტიანობის გაზრდაა.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, ისინი დაინიშნონ კონკრეტული ვადით. ამასთანავე, ასეთი დანიშვნის ვადა უნდა იყოს ისეთი ხანგრძლივობისა, რომლითაც, ერთი მხრივ, გაზრდილი იქნება პირის ანგარიშვალდებულება, ხოლო მეორე მხრივ, მას მიეცემა საკუთარი ხედვის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონი ხელმძღვანელი ორგანოს წევრის არჩევის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს არაუმეტეს 3 წელს, იმ პირობით, რომ შესაბამის პირს მიეცემა შესაძლებლობა, ხელახლა იქნეს არჩეული. თუ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ მოხდება უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, „რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების ვადა ავტომატურად ჩაითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით“.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრი არ არის საზოგადოების დასაქმებული ამ ტერმინის კლასიკური გაგებით. მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მასზე ვერ გავრცელდება შრომის კანონმდებლობა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხები. შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან ურთიერთობის შეწყვეტა მნიშვნელოვანი რისკის შემცველია და შესაძლებელია, გამოუსწორებელი ზიანის წინაშე დააყენოს სამეწარმეო საზოგადოების ინტერესები. სწორედ ამიტომ წინამდებარე მუხლი ხელმძღვანელი ორგანოს წევრის განწესებაზე უფლებამოსილ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, დაუყოვნებლივ, სათანადო საფუძვლის მითითების გარეშე, გაათავისუფლოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი; მეორე მხრივ, ასეთი ნორმის არსებობა ხელმძღვანელი ორგანოს წევრს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, გადადგეს მხოლოდ კანონითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების დაც-

ვით. ამის ძირითადი მიზეზი კვლავაც სამენარმეო საზოგადოების ინტერესების დაცვაა, რომელიც მოულოდნელად არ უნდა დარჩეს ხელმძღვანელი პირის გარეშე და მიეცეს შესაძლებლობა მოიძიოს ახალი ხელმძღვანელი პირი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 პუნქტი ეხება სამენარმეო საზოგადოებისა და ხელმძღვანელი პირის სამართლებრივი ურთიერთობის მხოლოდ კორპორაციულ-სამართლებრივ ნაწილს. სასამსახურო ხელშეკრულებით ან პარტნიორთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს თავდაცვის ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა, მაგალითად: შეწყვეტის შემთხვევაში სრული ფინანსური კომპენსაცია, პირგასამტეხლო და სხვა.

მუხლი 45. სასამსახურო ხელშეკრულება

1. ხელმძღვანელი პირის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას/სააქციო საზოგადოებას/კოოპერატივს და ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება. მასზე არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები. იგივე წესი გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიმართ, თუ ხელმძღვანელ პირად ინიშნება მონვეული პირი და არა პარტნიორი.
2. ხელმძღვანელ პირთან სასამსახურო ხელშეკრულებას სამენარმეო საზოგადოების სახელით დებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან საერთო კრების ის თავმჯდომარე, რომელიც განსაზღვრულია წესდებით ან არჩეულ იქნა იმ კრების მიერ, რომელმაც მიიღო პირის ხელმძღვანელ პირად არჩევის შესახებ გადაწყვეტილება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან სასამსახურო ხელშეკრულებას დებს საერთო კრების ის თავმჯდომარე, რომელიც განსაზღვრულია წესდებით ან არჩეულ იქნა იმ კრების მიერ, რომელმაც მიიღო პირის ხელმძღვანელ პირად არჩევის შესახებ გადაწყვეტილება.
3. სასამსახურო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა, ფორმა და პერიოდულობა, სამსახურებრივი პრივილეგიები, რომლებსაც ხელმძღვანელი პირი მიიღებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, აგრეთვე მისი უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც იმოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. თუ სასამსახურო ხელშეკრულება არ შეიცავს ინფორმა-

ციას ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების შესახებ, ივარაუდება, რომ იგი თავის საქმიანობას უსასყიდლოდ ახორციელებს.

4. თუ სასამსახურო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს, მოშალოს სასამსახურო ხელშეკრულება და ამით უარი თქვას თანამდებობაზე, თუკი ამის შესახებ სულ მცირე 1 თვით ადრე წერილობით შეატყობინებს სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელ ორგანოს ან საერთო კრებას. ამ კრების მოწვევის ვალდებულება მას ეკისრება.
5. ხელმძღვანელი პირის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლება ავტომატურად იწვევს სამენარმეო საზოგადოების მიერ მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების მოშლას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე განწესება ხდება საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დანიშვნის აქტის გამოცემით. დანიშვნის აქტი საკმარისი საფუძველია პირის რეგისტრაციისათვის, რის შედეგადაც ამ პირს წარმოეშობა შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ამის პარალელურად ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრს და საზოგადოებას შორის იდება სპეციფიკური ტიპის ხელშეკრულება, რომელიც უკვე ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათის მატარებელია და ითვალისწინებს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით მხარეებს შორის არსებულ ვალდებულებებს. სწორედ ამ სპეციფიკური ხასიათის ხელშეკრულების საკანონმდებლო რეგლამენტირება ხდება კანონის 45-ე მუხლში.

სანარმოს და მისი ქონების მართვის განსაკუთრებული უფლებების, ასევე, საზოგადოების მართვის სტრუქტურაში ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ადგილის გათვალისწინებით, ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ წარმოადგენს საზოგადოების დასაქმებულს კლასიკური ფორმით. შესაბამისად, წინამდებარე მუხლი ეხმიანება ქართულ სამართლებრივ ლიტერატურასა და სამოსამართლო სამართალში აღიარებულ მოსაზრებას, რომ ხელშეკრულება ხელმძღვანელ პირთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან არ არის ხელშეკრულება დასაქმებულან და, შესაბამისად, მასზე შრომის სამართალი არ ვრცელდება. კანონის თანახმად, ხელმძღვანელ პირთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან ფორმდება სპეციფიკური ფორმის – „სასამსახურო ხელშეკრულება“, რომელშიც უნდა მიეთითოს შრომის ანაზღაურების ოდენობა, ფორმა, პერიოდულობა, სამსახურებრივი პრივილეგიები, რომელთაც პირი მიიღებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასევე უფლებები და ვალდე-

ბულებები, რომლებიც იმოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დებულებების ნაწილობრივი მითითება ან მიუთითებლობაც არ წარმოადგენს ხელშეკრულების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის სამართლებრივ საფუძველს.

უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერ დროს შეუძლია გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი/სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე, რაც ავტომატურად იწვევს სამენარმეო საზოგადოების მხრიდან მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების მოშლას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; მეორე მხრივ, პირს უფლება აქვს, გადადგეს საამისოდ განსაზღვრული პროცედურების დაცვით. კერძოდ, თუ სასამსახურო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პირს უფლება ექნება, მოშალოს სასამსახურო ხელშეკრულება და ამით უარი თქვას თანამდებობაზე, თუ ამის შესახებ, სულ ცოტა, ერთი თვით ადრე წერილობით შეატყობინებს სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელ ორგანოს ან საერთო კრებას, რომლის მონვევის ვალდებულებაც მასვე ეკისრება.

მუხლი 46. სამენარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო

1. ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით სამენარმეო საზოგადოებას კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო.
2. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლს და ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები მას არ შეიძლება გადაეცეს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.
4. იმ სამენარმეო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას კონკრეტულ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეა, მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო დანებსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად.

5. იმ საწარმოში, რომელშიც ხელმძღვანელი, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს, ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება სამეთვალყურეო საბჭომ საწარმოს ხმების 50 პროცენტზე მეტის მფლობელ აქციონერს უნდა შეუთანხმოს.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს სამენარმეო საზოგადოებებში როგორც ერთი, ისე ორსაფეხურიანი კორპორაციული მართვის მოდელის არსებობის შესაძლებლობას. კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიან მოდელში ვხვდებით კორპორაციული მართვის ორ ორგანოს: ხელმძღვანელ ორგანოსა და საერთო კრებას. კორპორაციული მართვის ორსაფეხურიან მოდელში ერთდროულად არსებობს კორპორაციული მართვის ორი უმნიშვნელოვანესი ორგანო – ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების პარტნიორთა სტრუქტურა მკვეთრად და დივერსიფიცირებული, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა ამცირებს ხელმძღვანელი პირების საქმიანობის ზედამხედველობის ხარჯებს. ასევე, პროფესიული და რეპუტაციული ნიშნით დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო ზრდის ზედამხედველობის ეფექტიანობას. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სააქციო საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, ვინაიდან, ეს საზოგადოებები, როგორც წესი, ერთი მხრივ, აერთიანებენ აქციონერთა დიდ რაოდენობას, მეორე მხრივ კი, აქტივობას ახორციელებენ ფინანსურ ბაზრებზე შესაბამისად არიან სხვადასხვა რეგულატორების მიერ დადგენილი მოთხოვნების ობიექტები და ხელმძღვანელ პირებზე ზედამხედველობა საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. თუმცა კანონი ასეთი ორგანოს შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს სხვა სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოებებშიც.

ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიღწევისათვის, კომპეტენციათა და ნაწილებისა და კონტროლის მექანიზმების არსებობის უზრუნველსაყოფად, სამეთვალყურეო საბჭოს არ შეიძლება, გადაეცეს ხელმძღვანელი ორგანოს მმართველობითი ფუნქციები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი შესაძლებლობა, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, კანონით იქნება დადგენილი. მაგალი-

თად, ცალკეულ შემთხვევებში სამეთვალყურეო საბჭო სარგებლობს სასამართლოში სააქციო საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილებით.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები სააქციო საზოგადოების შემთხვევაში მონესრიგებულთა კანონის 209-ე მუხლში. იმ შემთხვევაში თუ სხვა სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოებაში გადანყდება სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირება, რეკომენდირებულია, რომ ამ ორგანოს კომპეტენციების განსაზღვრა მოხდეს სწორედ სააქციო საზოგადოების მომნესრიგებელი დებულებების გათვალისწინებით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის წარმართვისა და მის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცედურული ნაწილი, უმეტესად, თავად საზოგადოების შიდაკორპორაციული საკითხია. თუმცა მაღალი კორპორაციული კულტურის დამკვიდრების მიზნით, კანონი განსაზღვრავს აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოს. კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გადანყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას დაესწრება ნევრთა უმრავლესობა. სამეთვალყურეო საბჭო გადანყვეტილებებს მიიღებს ხმათა უმრავლესობით. ალტერნატიულ წინადადებებზე გადანყვეტილების მიღებისას (საერთო კრების მსგავსად) შესაძლოა, სადამფუძნებლო შეთანხმებით, უმრავლესობის ნაცვლად, „უმეტესობის“ პრინციპით გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობის გათვალისწინება.

წინამდებარე მუხლივე აწესრიგებს იმ სამენარმეო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის საკითხს. კერძოდ, ასეთ დროს საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადანყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, რომელიც თავისუფალია ინტერესეთა კონფლიქტისაგან. ამასთან, საჯარო მოხელეს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად.

იმ სამენარმეო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს, ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება სამეთვალყურეო საბჭომ საწარმოს ხმების 50 პროცენტზე მეტის მფლობელ აქციონერს უნდა შეუთანხმოს.

მუხლი 47. სამენარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობა და პასუხისმგებლობა

სამენარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოადგინოს სამენარმეო საზოგადოება ხელმძღვანელ ორგანოსთან/პირებთან ურთიერთობებში.

სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა უფრო მსხვილი, ფინანსურად ძლიერი, ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც კაპიტალის ბაზარზე ამ საზოგადოების წევრების შედეგად დივერსიფიცირებული აქციონერთა სტრუქტურებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ აქციონერებს არ გააჩნიათ ხელმძღვანელი პირების კონტროლის სრულყოფილი ინსტრუმენტები და საჭირო ხდება ამ მიზნისათვის განცალკევებული ორგანოს ფორმირება. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობის მასშტაბთან დაკავშირებით სპეციალური რეგულირებები წარმოადგენილია სააქციო საზოგადოების თავში. სხვა სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოებებში კი ასეთი ორგანოს ფორმირება პრაქტიკულად არ ხდება. იმ შემთხვევაში კი, თუ საზოგადოების პარტნიორების სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას მაინც გადაწყვეტენ, როგორც მოვალეობების, ისე პასუხისმგებლობის ნაწილი უმეტესწილად სამენარმეო საზოგადოების წესდების რეგულირების საგანი იქნება. წინამდებარე მუხლი კი ქმნის აღნიშნულთან დაკავშირებულ ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოს.

წინამდებარე მუხლში ხაზგასმულია სამი საკითხი:

(1) სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობები. საბჭოს წევრი მოვალეა, განახორციელოს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლი.

(2) საზოგადოების სპეციალური წარმომადგენლობა. საბჭოს წევრი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წარმოადგენს სამენარმეო საზოგადოებას ხელმძღვანელ ორგანოებთან/პირებთან ურთიერთობაში.

(3) კეთილსინდისიერების სტანდარტი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია, კეთილსინდისიერად განახორციელოს თავისი საქმიანობა.

მუხლი 48. გენერალური სავაჭრო მინდობილობა

- 1. ინდივიდუალური მენარმის, სამენარმეო საზოგადოების შემთხვევაში – საერთო კრების, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევა-**

ში – სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს შეუძლიათ წერილობით გასცენ გენერალური სავაჭრო მინდობილობა. გენერალური სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ორ ან ორზე მეტ პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად წარმოადგენენ მენარმეს (საერთო გენერალური სავაჭრო მინდობილობა).

2. გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი რეესტრში რეგისტრირებული უნდა იყოს.
3. გენერალური სავაჭრო მინდობილობა გენერალურ სავაჭრო წარმომადგენელს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მან სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან, გარდა უძრავი ქონების გასხვისებისა და ვალდებულებებით დატვირთვის უფლებამოსილებებისა. უძრავი ქონების გასხვისების ან ვალდებულებებით დატვირთვის უფლებამოსილება გენერალურ სავაჭრო წარმომადგენელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ის მას სპეციალურად მიეცემა.
4. კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მესამე პირისთვის გენერალური სავაჭრო მინდობილობის ფარგლების შეზღუდვა ბათილია. გენერალური სავაჭრო მინდობილობის ერთი ან რამდენიმე ფილიალით შემოფარგვლას მესამე პირისთვის მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როდესაც ფილიალები სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით იმართება.
5. გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავს თავის სახელსა და გვარს და გენერალური სავაჭრო მინდობილობის აღმნიშვნელ დამატებას.
6. გენერალური სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს იმავე მინდობილობით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხელყოფის გარეშე.
7. გენერალური სავაჭრო მინდობილობის გადაცემა დაუშვებელია.
8. მენარმის რეგისტრაციის გაუქმება იწვევს გენერალური სავაჭრო მინდობილობის შეწყვეტას.

გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტი შექმნილია სამენარმეო მიზნებისათვის. რეგისტრირებულ მენარმეს უფლება აქვს, რეესტრში რეგისტრაციის გზით განსაზღვროს გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი.

ეს პირი თავისი სტატუსით არ არის სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი და ის უფრო ვიწრო უფლებამოსილებების მატარებელი

სუბიექტია. მეტიც, პროკურის მფლობელი არ არის მენარმის ორგანო. ასევე, დაუშვებელია რომელიმე ორგანოს *ex officio* გენერალური სავაჭრო მინდობილობით აღჭურვა. პროკურის მფლობელი პირი შეირჩევა ინდივიდუალურად და მას შესაბამისი უფლებამოსილება ენიჭება ინდივიდუალური მენარმის, სამენარმეო საზოგადოების შემთხვევაში – საერთო კრების, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს გადამწყვეტილების საფუძველზე ხელმძღვანელი პირების მიერ გაცემული გენერალური სავაჭრო მინდობილობით.

როგორც აღინიშნა, პროკურის მფლობელი კომპეტენციის ნაწილში არ უთანაბრდება სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს. ასეთი მინდობილობა გენერალურ სავაჭრო წარმომადგენელს აძლევს უფლებას, სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედებები. უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პროკურის მოცულობა შეზღუდულია, თუკი პროკურის გამცემი საგანგებოდ არ მიუთითებს ამგვარ უფლებამოსილებაზე. პროკურის გადაცემა სრული მოცულობით დაუშვებელია, თუმცა, პროკურის გამცემის თანხმობით, პროკურისტს შესაძლოა, ჰქონდეს ე.წ. ქვემინდობილობის გადაცემის უფლება. ვინაიდან პროკურისტი საწარმოს (და არა ხელმძღვანელი ორგანოს) წარმომადგენელია, საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება იწვევს პროკურის შეწყვეტასაც.

მუხლი 49. სამენარმეო საზოგადოებაში სასამართლოს მიერ დანიშნული პირების გასამრჯელო და ხარჯების ანაზღაურება

1. ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამენარმეო საზოგადოებაში სასამართლოს მიერ დანიშნულ პირებს უფლება აქვთ, სამენარმეო საზოგადოებისგან მოითხოვონ გასამრჯელო და გონივრულ ფარგლებში განეული ხარჯების ანაზღაურება.
2. გასამრჯელოსა და ხარჯების ანაზღაურებაზე სამენარმეო საზოგადოებაში სასამართლოს მიერ დანიშნული პირებისა და სამენარმეო საზოგადოების შეუთანხმებლობის შემთხვევაში გასამრჯელოსა და ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს.

კანონის ერთ-ერთი ძირითადი სიახლე სამენარმეო ურთიერთობებში სასამართლოს როლის მნიშვნელოვანი ზრდაა, რამაც უნდა უზრუნველყოს ურთიერთობების სწორი მიმართულების კორექტირება და ქვეყანაში საუკეთესო

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სამენარმეო კულტურის ჩამოყალიბება. ამ მიზნით, არაერთ მუხლში გაჩენილია სასამართლოს მიერ სამენარმეო საზოგადოებებში სხვადასხვა პოზიციაზე დროებით პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესაძლებლობა (მაგალითად, 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, აუცილებლობისას სასამართლომ შეიძლება დანიშნოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი, ხოლო 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ლიკვიდატორი).

სასამართლოს მიერ დანიშნული პირები კანონმდებლობის ფარგლებში ასრულებენ ამ თანამდებობის პირისათვის გათვალისწინებულ მოვალეობებს. კანონის 49-ე მუხლი იძლევა სასამართლოს მიერ დანიშნული პირების მიერ ამ მოვალეობების შესრულების სანაცვლოდ გასამრჯელოსა და თავისი საქმიანობისას გონივრულ ფარგლებში განეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. დანიშნული პირის გასამრჯელოს ოდენობასა და დანახარჯების ანაზღაურებაზე შეთანხმება უნდა მოხდეს ამ პირსა და სამენარმეო საზოგადოებას შორის. იმ შემთხვევაში კი, თუ მხარეები ასეთ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, გასამრჯელოსა და ასანაზღაურებელი დანახარჯების ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.

მუხლი 50. ზრუნვის მოვალეობა

1. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამენარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, სალად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამენარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.
2. ხელმძღვანელი პირი სამენარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია, წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის.
3. ხელმძღვანელი პირის მიერ სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით – თითოეულ პარტნიორს. წესდებით შეიძლება დამატებით განისაზღვროს ის პირი,

რომელსაც აქვს სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

4. ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მინოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.
5. თუ გარიგების ღირებულება სამეწარმეო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტს ან ნესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას აღემატება, გარიგება საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს.

მაშინ, როდესაც წარმომადგენლის კომპეტენტურ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულია წარმომადგენლის კეთილდღეობა, წარმომადგენელს წარმოემოება ფიდუციური მოვალეობები. ფიდუციური მოვალეობები წარმომადგენელს ავალდებულებს, იმოქმედოს წარმომადგენლის საუკეთესო ინტერესებისათვის. ხელმძღვანელი ორგანოს წევრის კეთილსინდისიერების მოვალეობა სწორედ ფიდუციური მოვალეობების შემადგენელი ნაწილია, რაც ავალდებულებს ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს, დააკმაყოფილონ წარმომადგენლის სასარგებლო ქცევის გარკვეული სტანდარტი. კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია სამეწარმეო საზოგადოებისათვის.

კეთილსინდისიერების მოვალეობის დაკმაყოფილებისათვის ხელმძღვანელი ორგანოს წევრს მოეთხოვება გონივრულად, ყოველმხრივ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სათანადო უნარების გამოყენებით მიიღოს ფინანსურად, რეპუტაციულად და სამართლებრივად სამეწარმეო საზოგადოებისთვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილებები.

მე-3 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელი პირი სამეწარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს ზრუნვის მოვალეობის ბრალეული დარღვევით მიყენებული ზიანისათვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობა გამოირიცხება მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას. თავის კომპეტენციაში მიღებული პარტნიორთა (კრების) გადაწყვეტილების შესრულება ევალება ხელმძღვანელ ორგანოს, ამდენად, იგი განთავისუფლებული უნდა იყოს სანარმოს

წინაშე ამ გადაწყვეტილების შესრულების გამო ზიანის ანაზღაურებისგან. ეს არ ვრცელდება ბათილ გადაწყვეტილებებზე, თუმცა, ზოგადად, ვრცელდება საცილო გადაწყვეტილებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელი ორგანოს წევრმა იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა საცილოობის დამადასტურებელი გარემოებების შესახებ.

ხელმძღვანელი პირი წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით, შეიძლება გათავისუფლდეს საზოგადოებისათვის გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისაგან. საპირისპიროდ, დაუშვებელია წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მოვალეობის განზრახ დარღვევისთვის. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე უნდა გაკეთდეს სპეციალური მითითება.

ხელმძღვანელი პირის მიერ სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სულ მცირე, ექნებათ შემდეგ სუბიექტებს: (1) ხელმძღვანელ ორგანოს; (2) სხვა ხელმძღვანელს; (3) სამეთვალყურეო საბჭოს.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით – თითოეულ პარტნიორს (შდრ. მუხ. 147-ე).

მე-3 პუნქტი ასევე იძლევა ამ სუბიექტთა წრის გაფართოების შესაძლებლობას, სადამფუძნებლო შეთანხმებით, მათ შორის საგანგებო პოზიციის შემოღებით. საკმარისია, თუკი შეთანხმება ჩამოთვლილ ხელმძღვანელ ორგანოს დამატებითი პირის განსაზღვრის უფლებას მისცემს.

მუხლი 51. ზრუნვის მოვალეობა განსაკუთრებულ ვითარებაში

თუ სამენარმეო საზოგადოება გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ხელმძღვანელმა პირმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ სამენარმეო საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 3 კვირისა უნდა განაცხადოს გადახდისუუნარობის შესახებ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება ბრალეულად გაჭიანურებული არ არის, თუ ზემოაღნიშნული პირი ზრუნვის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს.

კანონის 50-ე მუხლი ეთმობა ხელმძღვანელი პირის ზრუნვის მოვალეობის ზოგადი სტანდარტის განსაზღვრას. მომდევნო, 51-ე მუხლი კი სპეციალური ხა-

სიათისაა და ადგენს ამავე სუბიექტის მოვალეობებს განსაკუთრებულ ვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია თავად განსაკუთრებული ვითარების განმარტება. ასეთი განმარტება უნდა ამოვიკითხოთ წინამდებარე მუხლის პირველ წინადადებაში. კერძოდ, განსაკუთრებულ ვითარებად, რომელიც საზოგადოების ხელმძღვანელ პირს დამატებით მოვალეობებს აკისრებს, ჩაითვლება სამენარმეო საზოგადოების გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. ამ დროს ხელმძღვანელმა პირებმა, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, უნდა განაცხადონ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

წინამდებარე მუხლის თანახმად ხელმძღვანელი პირის მიერ განსაკუთრებულ ვითარებაში ზრუნვის მოვალეობის დარღვევად ჩაითვლება:

- განცხადების პირველი გონივრული შესაძლებლობის გამოუყენებლობა;
- განცხადების ვაკეთება გადახდისუუნარობის დადგომიდან 3 კვირაზე გვიან, თუ დაგვიანების მიზეზი კეთილსინდისიერების მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება იქნება.

მუხლი 52. სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება

1. ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც სამენარმეო საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილებით მიადგა, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამენარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამენარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამენარმეო გადაწყვეტილება კანონით ან წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით არის მიღებული.

საზოგადოების ხელმძღვანელი პირები მონაწილეობას იღებენ საზოგადოების ყოველდღიურ მართვაში. შესაბამისად, მათი საქმიანობა პერმანენტულად უკავშირდება ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით რისკის შემცველია და ასეთი რისკის მინიმუმამდე დაყვანა მხო-


ლოდ აღნიშნულ ორგანოთა წევრების მიერ საკუთარი ფიდუციური მოვალეობების შესრულებითაა შესაძლებელი. კანონის 52-ე მუხლი საქართველოს კანონმდებლობაში „სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების წესის“ Business Judgment Rule-ს კოდიფიცირების მცდელობაა.

სამენარმეო გადაწყვეტილება ვითარების შეფასებიდან გამომდინარე სამომავლო ვარაუდთან დაკავშირებული მენეჯერული გადაწყვეტილებაა, რაც განაპირობებს კიდევ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელი ორგანოს წევრის დისკრეციის დაცვის აუცილებლობას. ამგვარი დაცვის საჭიროება განპირობებულია სამენარმეო გადაწყვეტილების მიღებისას მისი შედეგების სრულყოფილი განჭვრეტის შეუძლებლობით, ხშირად კი – გარკვეული რისკის აღების აუცილებლობით.

Business Judgment Rule ეს არის ერთგვარი პრეზუმფცია რომ, საზოგადოების ხელმძღვანელი პირი მოქმედებდა საზოგადოების საუკეთესო ინტერესებისთვის თუ საპირისპირო არ დამტკიცდება. ამ წესზე ეყრდნობა დაშვებას, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ყოველთვის სამენარმეო საზოგადოებისათვის ყველაზე მომგებიან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. შესაბამისად, ხელმძღვანელი ორგანოს წევრი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მას გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამენარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამენარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა.

სასამართლო დავაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანი, რომელიც სამენარმოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრის ქმედების შედეგად მიადგა. გარდა ამისა, მან, სულ მცირე, *prima facie* მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს იმის მისანიშნებლად, რომ ქმედება არის ხელმძღვანელი ორგანოს წევრის ზრუნვის ვალდებულების ბრალეული დარღვევა. ხოლო ხელმძღვანელი ორგანოს წევრის დასამტკიცებელია, რომ მან დაიცვა Business Judgment Rule-ს წინაპირობები და, შესაბამისად (რაც, გარემოებების დამტკიცების შემთხვევაში უდავოდ მიიჩნევა), არ დაურღვევია ზრუნვის ვალდებულება. ხელმძღვანელი ორგანოს წევრს ასევე შეუძლია, ამტკიცოს, რომ ბრალი არ მიუძღვის ვალდებულების დარღვევაში.

უფრო კონკრეტულად, ხელმძღვანელი პირის კეთილსინდისიერების მოვალეობა არ ჩაითვლება დარღვევულად და მას არ დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც სამენარმეო საზოგადოებას მიადგა ხელმძღვანელი პირის მიერ მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილების შედეგად, თუ მას გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ სამენარმეო გადაწყვეტილებას იღებდა:



მუხლი 53. კონკურენციის აკრძალვა

1. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სამენარმეო საზოგადოების თანხმობის გარეშე განახორციელოს იგივე საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს სამენარმეო საზოგადოება, ან იყოს იმავე სფეროში მოქმედი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით აღნიშნული ვალდებულება შეიძლება ძალაში დარჩეს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ ვალდებულების დარღვევისთვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია. მისი ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სასამსახურო ხელშეკრულებით ან მხარეთა დამატებითი შეთანხმებით. კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან ერთად შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდაც მოსთხოვოს. სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს კომპენსაციის ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ

ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობის გაცემა შეუძლია საერთო კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს ხელმძღვანელ პირს. აღნიშნული თანხმობა შეიძლება გაცივს როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ საქმიანობაზე, გარიგების სახესა და სამენარმეო საზოგადოებაში მონაწილეობაზე. თანხმობის გაცემაზე დაუსაბუთებლად უარის თქმა დაუშვებელია.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა გაცემულად მიიჩნევა, თუ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნისას პარტნიორებმა იცოდნენ, რომ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ახორციელებდა აღნიშნულ საქმიანობას, მაგრამ მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვიათ.

კანონი აწესრიგებს კონკურენციის აკრძალვას, რომელიც ხელმძღვანელი ორგანოს წევრს უკრძალავს სამენარმეო საზოგადოების თანხმობის გარეშე იმავე საქმიანობის განხორციელებას, რომელსაც ეწევა სამენარმეო საზოგადოება, ასევე უკრძალავს, იყოს მსგავს სფეროში მოქმედი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. კონკურენციის აკრძალვა ეხება მხოლოდ ხელმძღვანელ პირებს და არა პარტნიორებს. კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევა წარმოშობს საზოგადოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, ან დადებული გარიგებიდან მიღებული, ან მისაღები სარგებლის დათმობის უფლებას. კონკურენციის აკრძალვის მიზანი სამენარმეო საზოგადოების დაცვაა ხელმძღვანელი პირის მიერ ამ სანარმოს შესახებ ინფორმაციის ან ამ სამენარმეო საზოგადოებაში თავისი პოზიციის ბოროტად გამოყენებისაგან არასამართლიანი კონკურენციისათვის.

წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი ხელმძღვანელ პირებს უკრძალავს იმავე საქმიანობის განხორციელებას, რომელსაც ეწევა სამენარმეო საზოგადოება, ან იგივე სფეროში მოქმედი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირად ყოფნას. კონკურენციის აკრძალვის მოვალეობა არსებობს პირის ხელმძღვანელ პირად ყოფნის განმავლობაში. ასევე, ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით აღნიშნული ვალდებულება შეიძლება ძალაში დარჩეს თანამდებობიდან მისი წასვლის შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს

3 წლის ვადით. ხელმძღვანელმა პირმა ასეთი კონკურენციის თაობაზე უნდა აცნობოს საერთო კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს ხელმძღვანელ პირს.

კონკურენციის აკრძალვის ვალდებულების დარღვევისთვის შესაძლებელია სასამსახურე ხელშეკრულებითა და მხარეთა დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია და გადახდის წესი. კანონით გათვალისწინებული სიახლეა წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც სააქციოს სახეებს ეხება. დღევანდელი მენარმეთა შესახებ კანონისგან განსხვავებით, რთულად გასაგებ ანაზღაურებაზე უარის თქმას ჩაენაცვლა ალტერნატიული სარგებლის დათმობა საზოგადოებისთვის, ან (თუკი სარგებელი ჯერ არ არის მიღებული) შესაბამისი მოთხოვნის დათმობა. დანაწესი განპირობებულია ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული ზიანის (მიზეზშედეგობრივი ქონებრივი დანაკლისის) დადგენით. კერძოდ, კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოებას ასევე შეუძლია დამრღვევს სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან ერთად შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდაც მოსთხოვოს. სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს კომპენსაციის ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

საერთო კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს ხელმძღვანელ პირს, უფლება ექნება, ხელმძღვანელ პირს დართოს ნება, განახორციელოს იგივე საქმიანობა, რასაც ეწევა სამენარმეო საზოგადოება, ან იყოს მსგავს სფეროში მოქმედი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. კანონის თანახმად, ასეთი თანხმობა შესაძლებელია გაიცეს შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების სახით. ასევე, თანხმობად ჩაითვლება, თუ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ეწეოდა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის არ მოუთხოვიათ.

მუხლი 54. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა

- 1. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სამენარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან, ამ საზოგადოების**

გარდა, სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად ისარგებლოს სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, სამენარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება ყოფილიყო. სამენარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის მიღება საჭირო არ არის, თუ საერთო კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან არაუმეტეს 3 წლისა. მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება უფრო მცირე ვადა დადგინდეს.

2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანი შესაძლებლობით სარგებლობაზე წინასწარი თანხმობის გაცემა შეუძლია საერთო კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს ხელმძღვანელ პირს.
3. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ამ დარღვევით სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება. სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

წინამდებარე მუხლით საკანონმდებლო დონეზე შემოდის საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ საზოგადოების საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის საკითხი. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა გულისხმობს ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი პირადი სარგებლისათვის გამოიყენებს ხელმძღვანელის რანგში შეძენილ იმ საქმიან შესაძლებლობას, რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, შესაძლებელია, სამენარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი ყოფილიყო. კორპო-

რაციული შესაძლებლობების მითვისების აკრძალვა ხელმძღვანელი ორგანოს წევრის ფიდუციური მოვალეობების შემადგენელი ნაწილია, იგი იცავს სამენარმეო საზოგადოებას ხელმძღვანელი პირის არაკეთილსინდისიერებისაგან და ამ გზით ახალისებს ნდობას სამენარმეო საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელ პირს შორის.

თავისი ფიდუციური მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის ხელმძღვანელმა პირმა თავდაპირველად სწორედ სამენარმეო საზოგადოებას უნდა შესთავაზოს საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობები. ასეთი ვალდებულება მოქმედებს პირის ხელმძღვანელ პირად ყოფნის და ამ პირის თანამდებობიდან წასვლის მომენტიდან 3 წლის განმავლობაში. თუმცა სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ უფრო ნაკლებ ვადაზე.

ის, თუ რომელი შესაძლებლობა უნდა ჩაითვალოს საზოგადოების ინტერესის საგნად, უნდა გადაწყდეს გონივრული განსჯის შედეგად, რომლის ფარგლებშიც მხედველობაში იქნება მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ამ შესაძლებლობისა და საზოგადოების საოპერაციო არეალის ურთიერთმიმართება, კორპორაციის ფინანსური მდგომარეობისა და ამ შესაძლებლობის ურთიერთმიმართება, სხვა გარემოებები, რომლებიც ამ შესაძლებლობას სამენარმეო საზოგადოებისთვის ფინანსური, სამართლებრივი ან რეპუტაციული კუთხით საინტერესოს ხდის და სხვ. აღნიშნული ფაქტორების შეფასების შედეგად სამენარმეო საზოგადოების ინტერესის საგანია ნებისმიერი საქმიანი შესაძლებლობა, რომელითაც საწარმოს შესაძლებელია სარგებელი მიეღოს. ამასთან, ხელმძღვანელი პირის ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიან შესაძლებლობებზე რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და ის არ შეეხება ამ პირის მიერ სხვაგვარად შეძენილ შესაძლებლობებს. კონკრეტული შესაძლებლობა ხელმძღვანელი პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა თავისი მოვალეობის შესრულებისას/თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე თუ სხვა სახით, უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში, ყველა გარემოების გათვალისწინებით.

კანონის თანახმად, ხელმძღვანელ პირს ასეთი შესაძლებლობით პირადად სარგებლობის უფლება მხოლოდ ორ შემთხვევაში ექნება:

- თუ მიღებულია ხელმძღვანელი პირის განწესებაზე უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა;
- თუ საერთო კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე.

სხვა შემთხვევაში ხელმძღვანელი პირი პასუხს აგებს სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გამო (მათ შორის მიუღებელი შემოსავლის გამო). სამენარმეო საზოგადოების შესაბამისი ორგანოს გადანყვეტილებით ზიანის ანაზღაურების ნაცვლად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

მუხლი 55. სოლიდარული პასუხისმგებლობა

1. ვალდებულების რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი სამენარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს სოლიდარულად აგებენ.
2. საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება ხელმძღვანელი პირის მიერ სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ან მასთან მორიგების თაობაზე, თუ ამ გადანყვეტილებას არ შეეწინააღმდეგებიან ხმათა სულ მცირე 10 პროცენტის მესაკუთრე პარტნიორები. ხელმძღვანელი პირი ასევე თავისუფლდება სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადანყვეტილებას ასრულებდა. ხელმძღვანელ პირს, რომლის სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხიც განიხილება, ეკრძალება ამ საკითხზე კენჭისყრისას ხმის მიცემა.
3. წესდებით ან ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით არ შეიძლება გამოირიცხოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მის მიერ ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

კანონის 50-ე-54-ე მუხლები განსაზღვრავს ხელმძღვანელი პირის მოვალეობებს. კანონის წინამდებარე მუხლი კი ზემოაღნიშნული მოვალეობების დარღვევისათვის ადგენს პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ წესებს. კერძოდ, ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა დადგება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით მიყენებული ზიანისათვის.

ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა დგება პირადად, უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით, ხოლო რამდენიმე ხელმძღვანელი პირის ბრალეულობის შემთხვევაში, ასევე, სოლიდარულად. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის

მიმართ არსებული მოთხოვნა საზოგადოების აქტივია. შესაბამისად, კანონის თანახმად, ამ მოთხოვნის რეალიზებაზე გადაწყვეტილებას თავად სამეწარმეო საზოგადოება მიიღებს. თუმცა, ვინაიდან ეს მოთხოვნა ხელმძღვანელი პირის მიმართ არსებობს, ამ მოთხოვნაზე უარის თქმის უფლება აქვს არა აქტივების განკარგვაზე ზოგადი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელ ორგანოს, არამედ საზოგადოების საერთო კრებას.

საერთო კრების მიერ უარის თქმა დასაშვები იქნება მხოლოდ ზოგიერთი წინაპირობის არსებობისას:

- ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრებაზე იმ პირობით, რომ:
 - ამ გადაწყვეტილებას არ ეწინააღმდეგება ხმების 10%

და

- თავად ეს პირი არ მონაწილეობს კენჭისყრაში.

ხელმძღვანელი პირი პასუხისმგებლობისაგან, ასევე, შეიძლება გათავისუფლდეს წესდებით ან სასამსახურო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რამაც ამ პირს მოქმედების მეტი თავისუფლება უნდა მიანიჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა ასეთი გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც საზოგადოებას მიადგა ხელმძღვანელი პირის გაუფრთხილებელი მოქმედებით. ასევე, კანონის თანახმად, ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება სამეწარმეო საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ იგი თავისი ქმედებით ასრულებდა საერთო კრების გადაწყვეტილებას.

თავი VII. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

მუხლი 56. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

1. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ), რომელიც არის პირველი ან მეორე კატეგორიის სანარმო, ვალდებულია ყოველწლიურად უზრუნველყოს საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. აუდიტის განხორციელებაში სამენარმო საზოგადოების აქციონერების/პარტნიორების, მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.
4. მენარმის ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის.

კანონის მე-7 თავში ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებით ევროკავშირის 2013/34/EU და 2006/43/EC დირექტივის ნორმები, რაც მიზნად ისახავს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოებას.

კანონის 58-ე მუხლი ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის განხორციელების ძირითად ნორმებს. კერძოდ, დგინდება პირთა წრე, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო აუდიტს. ამ წრეში ექვეყიან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირი პირველი¹ და

¹ პირველი კატეგორიის სანარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან, სულ მცირე, ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება; შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება; საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება.

მეორე¹ კატეგორიების სანარმოები და მათ ეკისრება ვალდებულება, ყოველწლიურად უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელება.

ასევე, წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელ პირებს. კერძოდ, დგინდება, რომ ხელმძღვანელ ორგანოში და სამეთვალყურეო საბჭოში შემავალი პირები ერთობლივად იქნებიან პასუხისმგებლები ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისათვის. ასევე, აუდიტის განხორციელებაში სამეწარმეო საზოგადოების აქციონერებს/პარტნიორებს, მმართველობით ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ენიჭებათ ჩართულობის შესაძლებლობა იმ პირობით, რომ მათმა მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

მუხლი 59. აუდიტის კომიტეტი

1. სდპ-ის სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და, სულ მცირე, ერთი დამოუკიდებელი წევრისგან. დამოუკიდებელ წევრად მიიჩნევა პირი, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის სანარმოსთან, მათ შორის, არ ფლობს ამ სანარმოს აქციებს/წილებს და არ იღებს აღნიშნული სანარმოდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა.
2. იმ სდპ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, იქმნება დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის წევრებიც არიან პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული დამოუკიდებელი პირები.
3. აუდიტის კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრი, რომელიც ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილებას ახორციელებს.
4. აუდიტის კომიტეტის წევრი უნდა იყოს სანარმოს საქმიანობის სფეროში კომპეტენტური პირი. აუდიტის კომიტეტის სულ მცირე ერთი წევრი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ან/და აუდიტის სფეროში კომპეტენტური პირი.

¹ მეორე კატეგორიის სანარმო — სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის სანარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან, სულ მცირე, ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება; შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება; საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება.

5. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს აუდიტის კომიტეტის წევრთაგან ირჩევს სდპ-ის სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო იმ სდპ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, – პარტნიორთა კრება. სდპ-ის სამეთვალყურეო საბჭომ/პარტნიორთა კრებამ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა აირჩიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი პირი.
6. აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:
 - ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
 - ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
 - გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
 - დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.
7. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – პარტნიორთა კრებას, აწვდის ინფორმაციას განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში კომიტეტის მონაწილეობის შესახებ.
8. აუდიტის კომიტეტი გამოსცემს რეკომენდაციებს ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფისა და პარტნიორთა კრების მიერ შესარჩევი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესახებ.
9. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – პარტნიორთა კრებას, რეგულარულად წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს და დაუყოვნებლივ ატყობინებს მათი ფუნქციების განხორციელებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ.
10. ეს მუხლი არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ანგარიშვალდებულ სანარმოებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით, მზღვეველებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით, საინვესტიციო კომპანიებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით, და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „არასახელმწი-

ფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით.

წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს აუდიტის კომიტეტის შექმნის ვალდებულებას და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ნორმებს. აუდიტის კომიტეტი მიკროპრუდენციული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რამაც უნდა გაზარდოს საზოგადოების მართვის ეფექტიანობაზე ზედამხედველობა და შეამციროს ინდივიდუალური საწარმოს კრახის რისკები.

განსახორციელებელი ფუნქციის თავისებურებებიდან გამომდინარე, აუდიტის კომიტეტის წევრთა ხელმძღვანელი პირებისაგან დამოუკიდებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული წევრებისაგან. კანონი ასევე, ითვალისწინებს აუდიტის კომიტეტის შემადგენლობაში დამოუკიდებელი წევრების არსებობას. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა იძლევა როგორც ორსაფეხურიანი, ისე ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, სადაც არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, როგორც საზოგადოების ორგანო. ასეთ სდპ-ში შეიქმნება განცალკევებული აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული დამოუკიდებელი წევრებისგან. კომიტეტს საქმიანობის ორგანიზაციული კოორდინირების მიზნით ჰყავს თავისი თავმჯდომარე. კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტის წევრებისგან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო, მისი არარსებობის შემთხვევაში კი საერთო კრება.

აუდიტის კომიტეტი მიკროპრუდენციული რისკებისგან დაცვის პირველი ხაზია. კანონი განსაზღვრავს იმ ძირითად საკითხებს, რომელთა ზედამხედველობის ფუნქცია აკისრია აუდიტის კომიტეტს და ადგენს კომიტეტის მიერ რეკომენდაციებისა და საქმიანობის ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას. კერძოდ, აუდიტის კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება:

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესის ზედამხედველობა

ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით ანგარიშგების აუდიტის განხორციელების ზედამხედველობა

ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობის ზედამხედველობა

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის ზედამხედველობა

მუხლი 58. აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა

1. საერთო კრება უფლებამოსილია მხოლოდ სათანადო საფუძვლის არსებობისას მიიღოს გადაწყვეტილება აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და აუდიტის განხორციელების პროცედურების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არ შეიძლება გახდეს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი.
2. მენარმე, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლისა და შესაბამისი დასაბუთების შესახებ შეატყობინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებას – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს.
3. სდპ-ის ხმების ან წილების/აქციების 5 პროცენტის მფლობელი პარტნიორი/აქციონერი ან ასეთ პარტნიორთა/აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის არსებობისას აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს.

კანონის მე-60 მუხლი ადგენს აუდიტორის/აუდიტორულ ფირმებთან ხელშეკრულების შეწყვეტის მარეგულირებელ ნორმებს. კერძოდ, საერთო კრება უფლებამოსილი იქნება, მხოლოდ სათანადო საფუძვლის არსებობისას მიიღოს გადაწყვეტილება აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. ასევე, სათანადო საფუძვლის არსებობისას, სასამართლოს მეშვეობით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ენიჭებათ ხმების ან წილების/აქციების 5 პროცენტის მფლობელებს.

ამის წინასწარ ამომწურავად განჭვრეტის შეუძლებლობიდან გამომდინარე, კანონი არ ქმნის სათანადო საფუძველთა კატალოგს. სათანადო საფუძვლის არსებობა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა, კანონის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განხორციელების პროცედურების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასეთ საფუძველად.

ასევე, დგინდება როგორც მენარმის, ისე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ვალდებულება, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ინფორმაცია, შესაბამის დასაბუთებასთან ერთად, წარუდგინონ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს.

**თავი VIII. სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაცია.
უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმის
რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა**

მუხლი 59. სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის ფორმები

1. დასაშვებია, სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაცია განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:
 - ა) სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნა;
 - ბ) სამენარმეო საზოგადოებების შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება);
 - გ) სამენარმეო საზოგადოების გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).
2. საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ამ კანონის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტით სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციისთვის დადგენილი შეტყობინების წესები.

მუხლი 60. სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნა

1. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე სამენარმეო საზოგადოება შეიძლება გარდაქმნას სხვა სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოებად. გარდაქმნის შემდეგ სამენარმეო საზოგადოება აგრძელებს არსებობას ახალი სამართლებრივი ფორმით.
2. სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნის შემთხვევაში ახალი სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები გამოიყენება გარდაქმნილი სამენარმეო საზოგადოების მიმართ.
3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები, კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები სოლიდარულად, პირადად, მთელი თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს აღნიშნული სამენარმეო საზოგადოების იმ ვალდებულებებისთვის, რომლებიც სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნამდე წარმოიშვა, ამასთანავე, მოთხოვნა ვადამოსული გახდა მის გარდაქმნამდე ან მისი გარდაქმნიდან არაუგვიანეს 5 წლისა.

კანონის 59-ე-76-ე მუხლები სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) საკითხებს აწესრიგებს. ამასთან, აღნიშნული ნორმები ემსახურება ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 87-ე-117-ე (შერ-

ნცმა) და 135-ე-160-ე (გაყოფა) მუხლების ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციას, უმთავრესად სააქციო საზოგადოებებისთვის.

რეორგანიზაციათა თავის (VIII) ზოგადი სტრუქტურა ასეთია:

- რეორგანიზაციის სახეები;
- გადაწყვეტილება რეორგანიზაციის შესახებ;
- გადაწყვეტილების შინაარსი, თანდართული დოკუმენტები;
- შერწყმა/გაყოფის გეგმა/სს-ის გეგმის შემონიშვნა;
- სს-ის შერწყმა/გაყოფის ანგარიში;
- რეორგანიზაციის რეგისტრაცია;
- გამოქვეყნებისა და შეტყობინების წესები;
- მინორიტარები/კრედიტორები რეორგანიზაციაში;
- განსაკუთრებული (გამარტივებული) შემთხვევები.

რეორგანიზაციის მიზნის მიღწევა (სამენარმეო საზოგადოების ქონების ან მისი ნაწილის ერთი საზოგადოებიდან მეორეში (მათ შორის, სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოში) გადატანა), შესაძლებელია საზოგადოების ქონების ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებების მეშვეობითაც. ამიტომ რეორგანიზაცია წარმოადგენს არა სავალდებულო ან ერთადერთ საშუალებას ამ მიზნის მისაღწევად, არამედ გამარტივებულ გზას უმცირესობაში მყოფი პარტნიორებისა და კრედიტორების ინტერესების დაცვის პირობით. ამ გარემოების გათვალისწინებით, რეორგანიზაციის სამართლებრივ რეჟიმზე მოქმედებს ამომწურავი ჩამონათვალის პრინციპი – ე.ი. დასაშვებია მხოლოდ რეორგანიზაციის ის სახეები და იმ სუბიექტების მონაწილეობით, რაც განსაზღვრულია კანონით.

რეორგანიზაციის პროცესის დეტალური მონესრიგების აუცილებლობა ნაკარნახევა ამ პროცესში საწარმოს, კრედიტორებისა და პარტნიორების საკანონმდებლო დაცვის მინიმალური სტანდარტის დადგენის საჭიროებით.

რეორგანიზაციის ყველა ფორმის დამახასიათებელი საერთო ნიშანია ის, რომ რეორგანიზაცია არ გულისხმობს სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციას. რეორგანიზაციები შეიძლება დავეყთ ორ სახედ – ქონების გადაცემით და გადაცემის გარეშე. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება გარდაქმნა, რომლის დროსაც სამენარმეო საზოგადოება (სუბიექტი) აგრძელებს არსებობას სხვა სამართლებრივი ფორმით, ე.ი. უზრუნველყოფილია სუბიექტის იდენტიურობა გარდაქმნამდე და გარდაქმნის შემდეგ (იხ. მე-60 მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 ნინ.) ამასთან, ახალი ფორმის საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის დადგენილ დაფუძნების წინაპირობებს (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი).

ყველა რეორგანიზაციის დროს, რომელიც მოიცავს ქონების გადაცემას, იგი ხდება უნივერსალური უფლებამონაცვლეობის ფორმით, კანონის ძალით, თუმცა ნებაყოფლობით – სანარმოთა გადანყვეტილების საფუძველზე.

მე-59 მუხლის მე-2 პუნქტის ლიკვიდაციისთვის დადგენილ წესს, შემოსავლების სამსახურის ინფორმირების თაობაზე, რეორგანიზაციაზეც ავრცელებს. ვფიქრობთ, კანონმდებელი ამ გზით ცდილობს ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებით, კაპიტალის დაცვის სხვადასხვა ხარისხითა ან პარტნიორთა პასუხისმგებლობის ფორმის ცვლილებით წარმოშობილი რისკების თავიდან აცილებას.

მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი ეხება შემთხვევებს, როცა გარდაქმნის შედეგად ამხანაგური ტიპის საზოგადოება კაპიტალური ტიპის საზოგადოებად გარდაქმნება. შესაბამისად იცვლება სანარმოს ვალდებულებებისთვის პარტნიორთა პასუხისმგებლობის ფორმა. ნორმა ზღუდავს, გარდაქმნამდე (რეგისტრაციამდე) წარმოშობილი, ვალდებულებებისთვის ყოფილი პარტნიორების პასუხისმგებლობას. ვალდებულების წარმოშობა გულისხმობს ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლის წარმოშობას (მაგ. ხელშეკრულების დადება, დელიქტური ზიანის წარმოშობი მოქმედების განხორციელება). ყოფილი პირადად პასუხისმგებელი პარტნიორები გარდაქმნამდე წარმოშობილი ვალდებულებისთვის პასუხს არ აგებენ თუკი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესრულების ვადა რეორგანიზაციის რეგისტრაციიდან 5 წლის შემდეგ დადგა.

მუხლი 61. გადანყვეტილება გარდაქმნის შესახებ

- 1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილება მიიღება ყველა პარტნიორის თანხმობით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ამ გადანყვეტილების კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების სულ მცირე 3/4-ის უმრავლესობით მიღებას.**
- 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნის შემთხვევაში გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილება მიიღება ყველა პარტნიორის თანხმობით, ხოლო კომანდიტურ საზოგადოებად გარდაქმნის შემთხვევაში – კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ ამ გადანყვეტილებას ხმას მისცემს ყველა ის პარტნიორი, რომელიც კომპლემენტარი უნდა გახდეს.**
- 3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილება მიიღება კენჭისყრა-**

ში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით. სააქციო საზოგადოებაში გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, ხოლო სხვადასხვა კლასის აქციების არსებობისას – თითოეული კლასის აქციების მფლობელთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.

4. ხელმძღვანელმა ორგანომ ყველა პარტნიორს საერთო კრების მოსაწვევთან ერთად უნდა გაუგზავნოს შესაქმნელი სამეწარმეო საზოგადოების დასამტკიცებელი წესდების პროექტი და წერილობითი ანგარიში, რომელშიც ასახულია სამეწარმეო საზოგადოების გარდაქმნის მიზეზები და მიზნები. იმ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელსაც 100-ზე მეტი აქციონერი ჰყავს, საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით, ხოლო ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში) განთავსებით. ანგარიშის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ სამეწარმეო საზოგადოებას მხოლოდ ერთი პარტნიორი ჰყავს ან ყველა პარტნიორი წერილობით უარს განაცხადებს ანგარიშის წარდგენაზე.
5. გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) სამეწარმეო საზოგადოების ახალი სამართლებრივი ფორმა;
 - ბ) სამეწარმეო საზოგადოების ახალი საფირმო სახელწოდება;
 - გ) ინფორმაცია შესაქმნელი სამეწარმეო საზოგადოების წესდების პროექტის შესახებ. ეს პროექტი უნდა დაერთოს გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებას;
 - დ) შესაქმნელ სამეწარმეო საზოგადოებაში წილის მიკუთვნების პირობები და ფულად კომპენსაციასთან (არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებული პირობები, მათ შორის, უფლებები, რომლებსაც შესაქმნელი სამეწარმეო საზოგადოება ანიჭებს წილების/აქციების (გარდა ჩვეულებრივი აქციებისა) მფლობელებს, აგრეთვე იმ პარტნიორებს, რომელთა წილებს/აქციებს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული, და სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, ან ამ პირთა მიმართ შეთავაზებული ზომები;
 - ე) გადაწყვეტილება ხელმძღვანელი პირების დანიშვნისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ, თუ მათი არსებობა აუცილებელია შესაქმნელი სამეწარმეო საზოგადოებისთვის. ეს გადაწყვეტილება უნდა დაერთოს გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებას.

6. გარდაქმნის შესახებ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა გადანყვეტილება უნდა დამონმდეს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისთვის ყველა პარტნიორის მიერ გადანყვეტილების მიღების წესს და განსაზღვრავს სანესდებო ავტონომიის ფარგლებს.

მე-2 პუნქტით განისაზღვრება კაპიტალურ საზოგადოებებში ამხანაგურ საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი უმრავლესობის მოთხოვნები. განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ კომანდიტები, რომლებიც გარდაქმნილ საზოგადოებაში კომპლემენტარები უნდა გახდნენ.

მე-3 პუნქტი გარდაქმნის დანარჩენ (გარდა პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრულისა) შემთხვევებში კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნას განსაზღვრავს. სააქციო საზოგადოებებში, რომელთაც სხვადასხვა კლასის აქციები (წილები) აქვთ, კვალიფიციური უმრავლესობის გარდა, სხვადასხვა კლასის შესაბამისი კაპიტალის მფლობელთა $\frac{3}{4}$ -ის თანხმობაც აუცილებელია¹. დანანესის მიზანია, სხვადასხვა კლასის აქციათა მფლობელების უფლებების დაცვა – მათი ინვესტიციის გაუფასურების თავიდან აცილების მიზნით.

მე-4 პუნქტი პარტნიორების მიერ ინფორმირებული გადანყვეტილების მიღებას ემსახურება და ხელმძღვანელ ორგანოთა მიერ რეორგანიზაციის სამენარმეო მიზანშეწონილობის დასაბუთების ვალდებულებას ადგენს.

მე-5 პუნქტი გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილების მინიმალურ შინაარსს განსაზღვრავს. მათ შორის, გარდაქმნილ სამენარმეო საზოგადოებაში, პარტნიორთა წილებიდან, აქციებიდან და სხვა ფასიანი ქალაღდებიდან გამომდინარე უფლების ეკვივალენტურობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 62. გარდაქმნის პირობები

გარდაქმნილ სამენარმეო საზოგადოებაში პარტნიორის წილი უნდა იყოს იმ წილის პროპორციული, რომელიც მას ჰქონდა წინა სამენარმეო საზოგადოებაში. სხვა შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოების პარტნიორებმა გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილება ერთხმად უნდა მიიღონ.

¹ შესაძლებელად მიგვანჩნია მოთხოვნის შედარებით გამარტივება. კერძოდ, მაგ. 66-ე მუხლის მე-3 პუნქტი რეორგანიზაციის სხვა შემთხვევებისთვის მოითხოვს აქციათა მხოლოდ იმ კლასის მფლობელთა ხმების $\frac{3}{4}$ -ის თანხმობას, რომელთა „უფლებებზე გავლენას ახდენს შერწყმის/გაყოფის შესახებ გადანყვეტილება“.

62-ე მუხლი ადგენს პროპორციულობის დაცვის პრინციპს გარდაქმნილ საზოგადოებაში. თუკი პროპორციულობა არ არის დაცული, გადანყვეტილება გარდაქმნის შესახებ პარტნიორთა მიერ ერთხმად უნდა იქნას მიღებული. ეს მოთხოვნა მაშინაც მოქმედებს, როცა 61-ე მუხლი არ ადგენს გადანყვეტილების ერთხმად მიღებას. პროპორციულობის პრინციპის დაცვა ფართოდ უნდა იქნას გაგებული. კერძოდ, ერთხმად გადანყვეტილების მიღება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, პარტნიორისთვის შეთავაზებული მონაწილეობის სახე აშკარად არაპროპორციულია გარდაქმნამდე მისი მონაწილეობისა სამენარმეო საზოგადოებაში მის გარდაქმნამდე.

მუხლი 63. გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილების გამოქვეყნება

გარდაქმნის შესახებ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა გადანყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 64. გარდაქმნის რეგისტრაცია

1. გარდაქმნის რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელმა ორგანომ მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარუდგინოს განცხადება სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნის შესახებ.
2. სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნის შესახებ განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ უფლებამოსილი პირები.
3. სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნის შესახებ განცხადებას უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა გადანყვეტილება გარდაქმნის შესახებ;
 - ბ) ამ კანონის 61-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა გადანყვეტილებისთვის დართული დოკუმენტები;
 - გ) მონაცემები პარტნიორთა ვინაობისა და გარდაქმნილ სამენარმეო საზოგადოებაში (გარდა კოოპერატივისა და სააქციო საზოგადოებისა) მათი წილების შესახებ.
4. სამენარმეო საზოგადოებამ სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნის შესახებ განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს ყველა სხვა დოკუმენტი და მონაცემი, რომლებიც საჭიროა ახალი სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებისთვის.

5. გარდაქმნა ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან. გარდაქმნის რეგისტრაციის შემდეგ გარდაქმნის შესახებ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილების ბათილობაზე მითითება დაუშვებელია.
6. სამენარმეო საზოგადოების გარდაქმნის რეგისტრაციის შესახებ განცხადება მარეგისტრირებელ ორგანოს შეიძლება წარედგინოს გარდაქმნის შესახებ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ. ამ ვადის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ ყველა პარტნიორი წერილობით უარს განაცხადებს გასაჩივრების უფლების გამოყენებაზე, რაც უნდა დამონმდეს ამ კანონით წესდებაზე ხელმოწერის დამონმებისთვის დადგენილი წესით. კრედიტორთა უფლებები განისაზღვრება ამ კანონის 74-ე მუხლით.
7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.

პროცედურული საკითხების მონესრიგებასთან ერთად, მუხლის (იხ. 64-ე მუხლის მე-6 პუნქტი) მიზანია, გამორიცხოს დარეგისტრირებული რეორგანიზაციის ნამდვილობისთვის საფრთხის შექმნის ალბათობა.

მე-6 პუნქტში მოცემული ვადა გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების გამომრიცხავ ვადას წარმოადგენს. მისი ამონურვის შემდეგ გარდაქმნის რეგისტრაციისა და ძალაში შესვლის სამართლებრივი ბარიერი აღარ არსებობს. კრედიტორების შესაძლო მოთხოვნები არ წარმოადგენს ასეთ ნინალობას. მათი მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობა დადგენილია 75-ე მუხლით, რომელიც, მათ მიერ გარდაქმნის დაბრკოლების უფლებას არ გულისხმობს.

მუხლი 65. სამენარმეო საზოგადოებების შერწყმა და სამენარმეო საზოგადოების გაყოფა

1. ერთი ან ერთზე მეტი სამენარმეო საზოგადოება (შემდგომ – მიერთებული სამენარმეო საზოგადოება) ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე შეიძლება მიუერთდეს სხვა სამენარმეო საზოგადოებას (შემდგომ – შემძენი სამენარმეო საზოგადოება) მისთვის საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების სრულად გადაცემით, რის სანაცვლოდაც მიერთებული სამენარმეო საზოგადოების პარტნიორები მიიღებენ წილებს შემძენ სამენარმეო საზოგადოებაში.

2. ორი ან ორზე მეტი სამენარმეო საზოგადოება (შემდგომ – გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოებები) ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე შეიძლება გაერთიანდეს ახალი სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებით (შემდგომ – გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოება), რომელსაც კანონის ძალით სრულად გადაეცემა გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოებების აქტივები და ვალდებულებები, რის სანაცვლოდაც გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოებების პარტნიორები მიიღებენ წილებს გაერთიანებულ სამენარმეო საზოგადოებაში. აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემა ძალაში შედის ამ კანონის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ან მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.
3. სამენარმეო საზოგადოებას, რომელიც უნდა დაიყოს, შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილები კანონის ძალით სრულად გადასცეს:
 - ა) დაყოფის შედეგად ახლად დაფუძნებულ ორ ან ორზე მეტ სამენარმეო საზოგადოებას (დაყოფა დაფუძნებით);
 - ბ) უკვე არსებულ ორ ან ორზე მეტ სამენარმეო საზოგადოებას (დაყოფა შექცენით).
4. სამენარმეო საზოგადოებას, რომლისგანაც გამოიყოფა სამენარმეო საზოგადოება, შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილი/ნაწილები გადასცეს:
 - ა) გამოყოფის შედეგად ახლად დაფუძნებულ ერთ ან ერთზე მეტ სამენარმეო საზოგადოებას (გამოყოფა დაფუძნებით);
 - ბ) უკვე არსებულ ერთ ან ერთზე მეტ სამენარმეო საზოგადოებას (გამოყოფა შექცენით).
5. ამ მუხლის პირველიგმე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაერთიანებულ სამენარმეო საზოგადოებაში/შემქცენ სამენარმეო საზოგადოებაში ყოფილი სამენარმეო საზოგადოების/სამენარმეო საზოგადოებების პარტნიორებს უფლება აქვთ, წილების გარდა, მიიღონ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, თუ წილების გადაცვლის თანაფარდობის დაცვა შეუძლებელია. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში ფულადი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შერწყმის/გაყოფის მიზნებისთვის პარტნიორებზე გასაცემი წილების ნომინალური ღირებულების 10 პროცენტს, ხოლო თუ წილებს ნომინალური ღირებულება არ აქვს – ამ კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების 10 პროცენტს.
6. დაუშვებელია შემქცენი სააქციო საზოგადოების აქციების გაცემა გაყოფილი სააქციო საზოგადოების/მიერთებული სააქციო საზოგადოების იმ აქციების სანაცვლოდ, რომელთა მფლობელია:

- ა) შემძენი სააქციო საზოგადოება ან ის პირი, რომელიც საკუთარი სახელით და შემძენი სააქციო საზოგადოების დავალებით მოქმედებს;
- ბ) გაყოფილი სააქციო საზოგადოება/მიერთებული სააქციო საზოგადოება ან ის პირი, რომელიც საკუთარი სახელით და გაყოფილი სააქციო საზოგადოების/მიერთებული სააქციო საზოგადოების დავალებით მოქმედებს.
7. შერწყმა/გაყოფა დაშლილი სამენარმეო საზოგადოების მიმართ შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ამ სამენარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორებს შორის განაწილება არ დაწყებულია.
 8. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამენარმეო საზოგადოებებს შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა ჰქონდეს.
 9. შერწყმის/გაყოფის შემთხვევაში გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოების/მიერთებული სამენარმეო საზოგადოების/დაყოფილი სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება ლიკვიდაციის პროცედურის დაწყების გარეშე, ხოლო მისი აქტივები და ვალდებულებები სრულად გადაეცემა გაერთიანებულ სამენარმეო საზოგადოებას/შემძენ სამენარმეო საზოგადოებას/ახლად დაფუძნებულ სამენარმეო საზოგადოებას.
 10. შერწყმის შემთხვევაში გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოება/შემძენი სამენარმეო საზოგადოება პასუხს აგებს ყველა ვალდებულებისთვის, რომლებიც ჰქონდათ შერწყმულ სამენარმეო საზოგადოებებს. გაყოფის შემთხვევაში ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოება/შემძენი სამენარმეო საზოგადოება გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს სოლიდარულად. ეს პასუხისმგებლობა იზღუდება გაყოფით მისთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივის ოდენობით.

შერწყმა მოიცავს ორ სახეს – მიერთებას (შერწყმა შეძენით) და გაერთიანებას (შერწყმა დაფუძნებით):

- მიერთების დროს ერთი ან მეტი სამენარმეო საზოგადოება (მიერთებული სამენარმეო საზოგადოება) ლიკვიდაციის გარეშე უერთდება არსებულ სხვა სამენარმეო საზოგადოებას (შემძენ სამენარმეო საზოგადოებას) და გადასცემს მას მთელ თავის აქტივებსა და ვალდებულებებს. სანაცვლოდ, მიერთებული სამენარმეო საზოგადოების პარტნიორები იღებენ წილებს შემძენ სამენარმეო საზოგადოებაში.
- გაერთიანების შემთხვევაში ორი ან მეტი სამენარმეო საზოგადოება (გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოებები) ლიკვიდაციის გარეშე ერთიანდებიან ახალი სამენარმეო საზოგადოების დაფუძნების გზით. ახალ

სამენარმეო საზოგადოებას გადაეცემა გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოებების მთელი აქტივები და ვალდებულებები უნივერსალური უფლებამონაცვლეობის გზით. სანაცვლოდ, გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოებების პარტნიორები იღებენ წილებს ახალ სამენარმეო საზოგადოებაში.

გაყოფა რეორგანიზაციის კიდევ უფრო კომპლექსური ფორმაა. ქონების გადატანაზე აქაც მოქმედებს უნივერსალური უფლებამონაცვლეობის და ნებაყოფლობითობის პრინციპი. თუმცა, კერძო ავტონომიის ფარგლებში, გარიგებით (გადაწყვეტილებით) განისაზღვრება ის ქონება, რომელიც დაექვემდებარება უნივერსალური უფლებამონაცვლეობით გადაცემას.

გაყოფის ორი უმთავრესი ფორმაა – დაყოფა და გამოყოფა. ორივე სახე, თავის მხრივ, მოიცავს დაფუძნებით და მიერთებით ფორმებს. ასევე დასაშვებია კომბინირებული ფორმა, ე.ი. ქონების ერთი ნაწილით მიერთება, მეორეთი კი – დაფუძნება.

მე-5 პუნქტი მოიცავს დამატებით ფულად გადახდას გადაცვლის პროპორციულობის მაქსიმალური დაცვის მიზნით, როცა მხოლოდ წილების გადაცვლით ამის მიღწევა შეუძლებელია. საკანონმდებლო კონცეფციით, ქონების მიმღები სამენარმეო საზოგადოების მხრიდან, ქონების გადაცემის სანაცვლო, „შესრულებას“ წარმოადგენს მონაწილეობა ქონების მიმღები საზოგადოების კაპიტალში და არა სხვაგვარი ანაზღაურება. შესაბამისად, ფულად გადახდას დამატებითი, შემავსებელი ფუნქცია აქვს. თუმცა, თანხის მიმღები პარტნიორის თანხმობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს წილის ღირებულების სრულად ფულადი სახით ანაზღაურებას დადგენილ ფარგლებში.

მე-6 პუნქტი კრძალავს სააქციო საზოგადოების საკუთარი აქციების წარმოშობას რეორგანიზაციის (შერწყმა, გაყოფა) შედეგად. შესაბამისად, გაყოფილი ან მიერთებული სანარმოს საკუთარი წილის ან იმ წილის სანაცვლოდ, რომელსაც მიერთებულ ან გაყოფილ სანარმოში შემძენი სააქციო საზოგადოება ან მისი დავალებითა და ხარჯით მოქმედი მესამე პირი ფლობს, დამატებითი აქციები არ გაიცემა.

მე-7 პუნქტი ეხება დაშლისა და ლიკვიდაციის პროცესი სანარმოს შერწყმაში ან გაყოფაში მონაწილეობას. რეორგანიზაცია ლიკვიდაციის პროცესში ზოგადად დასაშვებია, მათ შორის მაშინაც თუკი კრედიტორების დაკმაყოფილება სანარმოს ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილება დაწყებულია. შერწყმა/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხდება თუკი უკვე დაწყებულია პარტნიორთა შორის ნარჩენი ქონების განაწილების პროცესი.

მე-9 პუნქტი ეხება სანარმოს სამართლებრივ ბედს, რომლებიც არსებობას წყვეტენ რეორგანიზაციის შედეგად. რეორგანიზაციის ზოგადი იდეიდან გამომდინარე, ამგვარი სანარმოს ლიკვიდაცია არ ხორციელდება. სანარმოს ქონება *ipso jure* გადაეცემა ქონების მიმღებ ახალ ან არსებულ სანარმოს.

მე-10 პუნქტი:

შერწყმის შემთხვევაში ახალდაფუძნებული (გაერთიანებული) ან ქონების მიმღები (მიერთებისას) სანარმო სრულად აგებს პასუხს თავდაპირველი სანარმოს ვალდებულებებისთვის.

გაყოფის დროს დადგენილია გაყოფაში მონაწილე სანარმოების სოლიდარული პასუხისმგებლობა. თუმცა უნდა განვასხვაოთ, სანარმო, რომელმაც გაყოფის გეგმით მიიღო ცალკეული ვალდებულება და დანარჩენ ქონების მიმღებ/ახალდაფუძნებულ სანარმოები, რომლებიც უშუალო მოვალეებს არ წარმოადგენენ. ტერმინ „შემძენ სანარმოში“, აღნიშნულ შემთხვევაში, ასევე უნდა ვიგულისხმოთ გამოყოფის ფარგლებში დარჩენილი (თავდაპირველი) სანარმოც.

ამდენად, სანარმო რომელიც კონკრეტული ვალდებულებების მიმღებია, შეუზღუდავად აგებს პასუხს აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე. სხვა დანარჩენი გაყოფაში მონაწილე შემძენი ან ახალდაფუძნებული სანარმოები კი - მასთან ერთად სოლიდარულად, თუმცა მხოლოდ გაყოფით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივის ოდენობით.

მუხლი 66. გადანყვეტილება შერწყმის/გაყოფის შესახებ

1. შერწყმის/გაყოფის შესახებ გადანყვეტილებას იღებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყოველი სამენარმეო საზოგადოების საერთო კრება.
2. დაფუძნებით გაყოფის შემთხვევაში შერწყმის/გაყოფის შესახებ გადანყვეტილებას იღებს გაყოფილი სამენარმეო საზოგადოება, ხოლო შეძენით გაყოფის შემთხვევაში მას იღებენ გაყოფილი სამენარმეო საზოგადოება და შეძენი სამენარმეო საზოგადოებები. აღნიშნულ გადანყვეტილებას გაერთიანების შემთხვევაში იღებენ გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოებები, ხოლო მიერთების შემთხვევაში – მიერთებული სამენარმეო საზოგადოება და შეძენი სამენარმეო საზოგადოება.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში შერწყმის/გაყოფის შესახებ გადანყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, ხოლო სხვა შემთხვევაში მას ყველა პარტნიორი ერთხმად იღებს. თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას სხვადასხვა კლასის აქ-

ციები აქვს გამოშვებული, შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებას კენჭი ყველა კლასის აქციების მფლობელთათვის ცალ-ცალკე ეყრება, თუკი მათ უფლებებზე გავლენას ახდენს ეს გადაწყვეტილება.

4. შერწყმის/გაყოფის შედეგად წარმოშობილი ახალი სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებისა და რეგისტრაციის მიზნებისთვის გამოიყენება ამ კანონის შესაბამისი მოთხოვნები, თუ შერწყმასთან/გაყოფასთან დაკავშირებული ამ კანონის დებულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი განსაზღვრავს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ სამენარმეო საზოგადოებებს და გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელ უმრავლესობებს. უმრავლესობა განსაზღვრულია იმპერატიულად, სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა, ითვალისწინებდეს უფრო დიდ უმრავლესობას და სხვა დამატებით პირობებს.

მე-3 პუნქტში უფლებებზე გავლენის მოხდენა გულისხმობს უარყოფით გავლენას შესაბამისი კლასის აქციათა მფლობელებზე. სს-ის გარდა, შპს-ის სადამფუძნებლო შეთანხმებაც შესაძლოა, ითვალისწინებდეს სხვადასხვა კლასის წილების მფლობელთა ანალოგიურ უფლებებს. გადაწყვეტილება კლასების მიერ შესაძლოა, მიღებულ იქნეს საგანგებო კრების ფარგლებში ან მის გარეშე. შესაბამისი კრების მოწვევის შემთხვევაში მის უფლებაუნარიანობასა და გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედებს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებისთვის დადგენილი ზოგადი წესები. კრების გარეშე გადაწყვეტილების მიღებისას უმრავლესობა გამოითვლება შესაბამისი კლასის მფლობელთა კაპიტალში სრული მონაწილეობიდან.

მე-4 პუნქტის თანახმად რეორგანიზაციის ფარგლებში დაფუძნებული საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმოების დაფუძნებისთვის დადგენილ პირობებს, თუმცა რეორგანიზაციის ინსტიტუტის თავისებურებათა გათვალისწინებით.

მუხლი 67. შერწყმის/გაყოფის გეგმა

1. შერწყმის შემთხვევაში შერწყმაში მონაწილე ყველა სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანოები, შეძენით გაყოფის შემთხვევაში – გაყოფილი სამენარმეო საზოგადოებისა და შეძენი სამენარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანოები, ხოლო დაფუძნებით გაყოფის შემთხვევაში – გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო შეიმუშავებენ/შეი-

მუშავებს შერწყმის/გაყოფის გეგმას. ეს გეგმა ითვალისწინებს შერწყმის/გაყოფის პირობებს.

2. შერწყმის/გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:
 - ა) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყოველი სამენარმეო საზოგადოების საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე მის და ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;
 - ბ) წილების გადაცვლის თანაფარდობას და ამ კანონის 65-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ანაზღაურების ოდენობას, თუ ასეთი ანაზღაურება გამოიყენება;
 - გ) შემძენ სამენარმეო საზოგადოებაში/ახლად დაფუძნებულ სამენარმეო საზოგადოებაში წილების გაცემასთან დაკავშირებულ პირობებს;
 - დ) თარიღს, რომლის დადგომიდანაც ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წილები მათ მფლობელებს ანიჭებს უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სამენარმეო საზოგადოების მოგებაში, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – სპეციალურ პირობას, რომელიც გავლენას ახდენს აღნიშნულ უფლებაზე;
 - ე) თარიღს, რომლის დადგომიდანაც შერწყმული სამენარმეო საზოგადოებების/გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების გარიგებები ბუღალტრული მიზნებისთვის გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოების/შემძენი სამენარმეო საზოგადოების/ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოების გარიგებებად მიიჩნევა;
 - ვ) უფლებებს, რომლებსაც გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოება/შემძენი სამენარმეო საზოგადოება/ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოება ანიჭებს შერწყმული სამენარმეო საზოგადოებების/გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების წილების/აქციების (გარდა ჩვეულებრივი აქციებისა) მფლობელებს, აგრეთვე იმ პარტნიორებს, რომელთა წილებს/აქციებს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული, და სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, ან ამ პირთა მიმართ შეთავაზებულ ზომებს;
 - ზ) ყველა სარგებელს, რომლებიც ენიჭებათ/ენიჭება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე რომელიმე სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, პარტნიორებს ან დამოუკიდებელ აუდიტორს;
 - თ) საჭიროების შემთხვევაში – ახალი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას;
 - ი) გაყოფის შემთხვევაში შემძენი სამენარმეო საზოგადოებისთვის/ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოებისთვის გადასაცემი აქტი-

ვებისა და ვალდებულებების ამომწურავ აღწერასა და განაწილებას;

კ) გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების პარტნიორებისთვის შემძენი სამენარმეო საზოგადოების/ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოების წილების მიკუთვნებას და იმ კრიტერიუმს, რომლის საფუძველზედაც მიეკუთვნა მათ ისინი;

ლ) წილის ნომინალურ ღირებულებას, რომელსაც მიიღებენ პარტნიორები შემძენ სამენარმეო საზოგადოებაში/ახლად დაფუძნებულ სამენარმეო საზოგადოებაში/გაერთიანებულ სამენარმეო საზოგადოებაში, თუ ასეთი ღირებულება გამოიყენება.

3. შერწყმის/გაყოფის გეგმას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც მისი განუყოფელი ნაწილია:

ა) მიერთების ან შექმნით გაყოფის შემთხვევაში – შემძენი სამენარმეო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების პროექტი;

ბ) გაერთიანების ან დაფუძნებით გაყოფის შემთხვევაში – გაერთიანებული სამენარმეო საზოგადოების/ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოების წესდების პროექტი.

4. თუ გაყოფის გეგმით რომელიმე აქტივი არ არის მიკუთვნებული შემძენი სამენარმეო საზოგადოებისთვის ან ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოებისთვის და მისი მიკუთვნება ვერც გაყოფის გეგმის მიხედვით დგინდება, ეს აქტივი მიეკუთვნება ყველა შემძენ სამენარმეო საზოგადოებას ან ახლად დაფუძნებულ სამენარმეო საზოგადოებას გაყოფის გეგმით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივების პროპორციულად.

5. თუ გაყოფის გეგმით რომელიმე ვალდებულება არ არის მიკუთვნებული შემძენი სამენარმეო საზოგადოებისთვის ან ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოებისთვის და მისი მიკუთვნება ვერც გაყოფის გეგმის მიხედვით დგინდება, ყველა შემძენი სამენარმეო საზოგადოება ან ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოება ამ ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს სოლიდარულად, მაგრამ არაუმეტეს გაყოფის გეგმით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივებისა.

მუხლი ადგენს რეორგანიზაციაში მონაწილე სანარმოების ხელმძღვანელ ორგანოთა მოვალეობას, შეადგინონ რეორგანიზაციის (შერწყმა/გაყოფის) გეგმა, რომელიც სტრუქტურული ღონისძიების განხორციელების ერთგვარ პროექტს წარმოადგენს.

მუხლი ასევე განსაზღვრავს რეორგანიზაციის გეგმის მინიმალურ შინაარსს. მათ შორის:

- წილების გადაცემის/გადაცვლის პირობებს და პროპორციულობის შენარჩუნების მიზნით დამატებით ფულად კომპენსაციას.
- გეგმა უნდა განსაზღვრავდეს თარიღს, რომლის შემდეგაც წილის მფლობელს სანარმოს ქონებაში (მოგებაში) მონაწილეობის უფლება ეძლევა (დივიდენდის უფლება).
- სამართლებრივად რეორგანიზაცია ნამდვილია (ძალაში შედის) მხოლოდ მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ამიტომ, გეგმა ასევე უნდა ადგენდეს თარიღს, რომლის შემდეგაც, ფინანსური ანგარიშგების თვალსაზრისით, ქონების გადამცემი (შერწყმული/გაყოფილი) სამეწარმეო საზოგადოების ტრანსაქციები, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ჩაითვლება ქონების მიმღები (შემძენი/ახალად დაფუძნებული) სამეწარმეო საზოგადოების გარიგებებად.
- ასევე აუცილებელია, ჩვეულებრივი წილების გარდა, სხვა წილებთან დაკავშირებული უფლებების ეკვივალენტურობის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მითითება.
- შერწყმის/გაყოფის გეგმაში ასევე უნდა მიეთითოს ის ქონებრივი უფლებები (სარგებელი), რომლებიც ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, პარტნიორებს ან დამოუკიდებელ აუდიტორს ენიჭებათ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით;

მე-3 პუნქტი ითვალისწინებს სადამფუძნებლო შეთანხმების ახალი რედაქციის (ცვლილებას) ან ახალი სადამფუძნებლო შეთანხმების დართვას მოითხოვს, თუკი ამის აუცილებლობა არსებობს.

მე-4 და მე-5 პუნქტები ეხება გაყოფის გეგმაში „გამორჩენილი“ აქტივისა და ვალდებულებების სამართლებრივ ბედს. იგი, თითოეული სანარმოსთვის მიკუთვნებულ წმინდა აქტივის ღირებულების ფარგლებში, შესაბამისად ადგენს საერთო, იდეალურ-წილობრივ საკუთრებასა და ვალდებულებებისთვის სოლიდარულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 68. სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის ანგარიში

1. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ამზადებენ სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის ანგარიშს. ეს ანგარიში დეტალურად უნდა განმარტავდეს:
 - ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის დებულებებს, მათ სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს;

ბ) წილების გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მეთოდებს, აგრეთვე წილების გადაცვლის თანაფარდობის შეფასებისას წარმოშობილ სიძნელებებს, თუ ასეთი სიძნელებები წარმოიშვა;

გ) გაყოფის დროს, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას ამ კანონის 164-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული არაფულადი შენატონის შესახებ, ინფორმაციას შემძენი სააქციო საზოგადოებისთვის ანგარიშის მომზადების თაობაზე და მითითებას მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მის რეგისტრაციაზე.

2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის ანგარიშის მომზადება სავალდებულო არ არის, თუ შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი წერილობით უარს განაცხადებს ანგარიშის წარდგენაზე.

მუხლი მთლიანად ეფუძნება ევროპული 2017/1132 საკორპორაციო სამართლის ზოგიერთი ასპექტის შესახებ დირექტივის მოთხოვნებს (იხ. დირექტივის 95-ე და 141-ე მუხლები). იგი სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების მიერ რეორგანიზაციის შესახებ ანგარიშის მომზადების ვალდებულებას ადგენს. ანგარიში უმთავრესად რეორგანიზაციის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას უნდა განმარტავდეს, განსაკუთრებით კი აქციების/წილების გადანაწილების სამართლიანობას ასაბუთებდეს.

თუკი ქონების მიმღებ სააქციო საზოგადოებებში გაყოფასთან დაკავშირებით განხორციელდა კაპიტალის გაზრდა (ახალი აქციების გამოშვება) გადამცემი კომპანიის პარტნიორებისთვის გადასაცემად და ამასთან დაკავშირებით მომზადებულ იქნა დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, ანგარიში უნდა შეიცავდეს მითითებას ამ დასკვნაზე. დასკვნის მომზადება არ არის აუცილებელი, თუკი გაყოფის გეგმა შემოწმებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ (იხ. 70-ე მუხლი, 164-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

ანგარიშის მომზადებაზე უარი შეიძლება ითქვას ყველა აქციონერის წერილობითი თანხმობით.

მუხლი 69. შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნება და შეტყობინება შესაძლო შერწყმის/გაყოფის შესახებ

1. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყოველი სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია გამოაქვეყნ-

ნოს შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი ან განათავსოს ის სამენარმეო საზოგადოების ვებგვერდზე იმ საერთო კრებამდე 30 დღის განმავლობაში, რომელმაც უნდა დაამტკიცოს შერწყმის/გაყოფის გეგმა. შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი უფასოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

2. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია სააქციო საზოგადოების აქციონერთათვის უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებული ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მონვეული საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ ცოტა 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი;

ბ) შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სამენარმეო საზოგადოებების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები შესადაარისობის პრინციპის დაცვით;

გ) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის გამოქვეყნებამდე არაუადრეს მესამე თვის პირველ რიცხვში. სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ვალდებულებისგან, თუ მას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული აქვს ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება;

დ) არსებობის შემთხვევაში – შერწყმის/გაყოფის ანგარიში;

ე) არსებობის შემთხვევაში – დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში.

3. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრებასა და შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე ყოველი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს აცნობოს შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის მომზადებიდან საერთო კრების ჩატარებამდე პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელების შესახებ.

4. თუ ამ კანონის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არ ხდება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების საერთო კრების მიერ დამტკიცება, გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრებასა და გაყოფაში მონაწილე ყოველი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს აცნობოს გაყოფის გეგმის პროექტის მომზადების შემდგომ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებე-

ბის მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელების შესახებ ასეთი ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლის მიზანია, უზრუნველყოს რეორგანიზაციაში მონაწილე საწარმოების პარტნიორთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. ამის უზრუნველსაყოფად პირველი პუნქტი შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტის უფასო ხელმისაწვდომობის ვალდებულებას ადგენს, სულ მცირე, რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. მუხლის მიზნიდან გამომდინარე, გეგმა საწარმოს პარტნიორებისთვის უფასოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი (მათ შორის, შესაძლოა, მხოლოდ ელექტრონული ფორმით)

მეორე მუხლი სააქციო საზოგადოებებისთვის გაზრდილ გამოქვეყნების მოვალეობებს ადგენს. აღნიშნული 2017/1132 ევროდირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს (დირექტივის 97-ე და 143-ე მუხლების პირველი პუნქტი). გამოქვეყნება-ხელმისაწვდომობის მოვალეობას ექვემდებარება:

- შერწყმის/გაყოფის გეგმა (პროექტი)¹
- შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე საწარმოების ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები
- შესაბამის შემთხვევაში (თუკი ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან შერწყმის/გაყოფის გეგმის შედგენის თარიღამდე 6 თვეზე მეტია გასული), ასევე შუალედური ანგარიშგება (ბალანსი) (accounting statement), რომლის თარიღია შერწყმის პროექტის თარიღზე არაუადრეს 3 თვისა.
- ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მომზადებული მოხსენება შერწყმის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)
- დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შერწყმის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)

რეორგანიზაციაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები ასევე ვალდებული არიან, შერწყმა/გაყოფის გეგმის მომზადების თარიღიდან აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ საერთო კრებას და შერწყმა/გაყოფაში მონაწილე სხვა საწარმოების ხელმძღვანელ ორგანოებს.

¹ კანონი იყენებს ტერმინებს „შერწყმა/გაყოფის გეგმა“ (67-ე მუხლი) და „შერწყმა/გაყოფის გეგმის პროექტი“. ორივე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ერთი და იგივე დოკუმენტი. ტერმინოლოგიური სხვაობა, სავარაუდოთ, განპირობებულია დირექტივის სხვადასხვა ვერსიაში ტერმინებს შორის მცირე სხვაობით (ინგლ. „Draft terms of merger/division“ გერ. „Verschmelzungs-/Spaltungsplan“)

მუხლი 70. სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის გეგმის-პროექტის შემონმება

1. თუ შერწყმაში/გაყოფაში სააქციო საზოგადოება მონაწილეობს, სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტს ამონმებს შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე მხარეების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორი. შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან ერთზე მეტი საერთო აუდიტორი. დამოუკიდებელი აუდიტორი ამზადებს წერილობით დასკვნას და მას პარტნიორებს წარუდგენს. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ აღნიშნული გეგმის პროექტის შემონმება და წერილობითი დასკვნის წარდგენა საჭირო არ არის, თუ ამაზე შეთანხმდება შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი.
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში მოცემული უნდა იყოს იმის შეფასება, არის თუ არა სააქციო საზოგადოების შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტით გათვალისწინებული წილების გადაცვლის თანაფარდობა სამართლიანი და მიზანშეწონილი. ამ დასკვნაში მოცემული უნდა იყოს აგრეთვე:
 - ა) წილების გადაცვლის თანაფარდობის დადგენისთვის გამოყენებული მეთოდი;
 - ბ) შეფასება, რამდენად არის წილების გადაცვლის თანაფარდობის დადგენისთვის გამოყენებული მეთოდი ადეკვატური მოცემული შემთხვევისთვის, წილების რა თანაფარდობა დგინდება თითოეული ამ მეთოდის გამოყენების შედეგად და როგორია წილების გადაცვლის თანაფარდობის დადგენისთვის გამოყენებული თითოეული მეთოდის ხვედრითი წილი;
 - გ) წილების გადაცვლის თანაფარდობის დადგენისას წარმოშობილი სიძნელეები, თუ ასეთი სიძნელეები წარმოიშვა.
3. დამოუკიდებელი აუდიტორი უფლებამოსილია სააქციო საზოგადოებისგან მიიღოს და გამოიკვლიოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია.

სააქციო საზოგადოების მიერ მომზადებული შერწყმა/გაყოფის გეგმა (პროექტი) ასევე ექვემდებარება შემონმებას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. შემონმების მთავარი მიზანია აქციების/წილების გადანაწილების სამართლიანობის (ეკვივალენტურობის) დადგენა, რათა დაცულ იქნეს რეორგანიზაციაში მონაწილე სანარმოთა პარტნიორების უფლებები.

მუხლი ასევე ადგენს ამ ვალდებულებისგან სააქციო საზოგადოების განთავისუფლების შესაძლებლობას ყველა აქციონერის თანხმობით.

მუხლი 71. შერწყმის/გაყოფის გეგმის დამტკიცება

1. შერწყმის/გაყოფის გეგმას ამტკიცებს საერთო კრება ამ კანონის 61-ე მუხლით დადგენილი წესით. საერთო კრების მიერ შერწყმის/გაყოფის გეგმის დამტკიცების შემთხვევაში შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა.
2. საერთო კრებაზე შერწყმის/გაყოფის გეგმასთან ერთად კენჭი ეყრება შემძენი სამენარმეო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების პროექტს ასეთი ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, ხოლო ახალი სამენარმეო საზოგადოების დაფუძნების შემთხვევაში კენჭი ეყრება ახალი სამენარმეო საზოგადოების წესდების პროექტს.

შერწყმა/გაყოფის გეგმის დამტკიცებით (მონონებით) საზოგადოება იღებს გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის შესაბამისი ღონისძიების განხორციელების თაობაზე. გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი უმრავლესობები განისაზღვრება თავად შერწყმის/გაყოფის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობით.¹

გადაწყვეტილებასთან ერთად ასევე მტკიცდება წესდების ცვლილების ან ახალი წესდების პროექტები (მაგ. ახალი სანარმოს დაფუძნების ან შემძენი საზოგადოების მიერ კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში).

მუხლი 72. მიერთებისა და შექმნით გაყოფის განსაკუთრებული შემთხვევები

1. თუ შემძენი სამენარმეო საზოგადოება ფლობს მიერთებული სამენარმეო საზოგადოების წილების სულ მცირე 90 პროცენტს, მაგრამ არ ფლობს მთელ წილებს, ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 66-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-2 პუნქტით, 69-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებითა და 70-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები, თუკი პარტნიორებს აქვთ ამ კანონის 75-ე მუხლით დადგენილი წესით წილების გამოსყიდვის უფლება.
2. თუ შემძენი სამენარმეო საზოგადოება ან მისი დავალებით მოქმედი მესამე პირი მიერთებული სამენარმეო საზოგადოების მთელ წილებს ფლობს, მასზე არ ვრცელდება ამ კანონის 66-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით, 68-ე მუხლით, 69-ე მუხლის მე-

¹ ვფიქრობთ, მუხლის პირველი პუნქტი უნდა უთითებდეს 66-ე მუხლს.

- 2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებითა და მე-4 პუნქტით და 70-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.
3. თუ შემძენი სამენარმეო საზოგადოებები გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების მთელ წილებს ფლობენ, გაყოფის შესახებ გადანყვეტილების გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების საერთო კრების მიერ დამტკიცება საჭირო არ არის.
 4. თუ გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების პარტნიორებს თითოეული ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოების წილები გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების კაპიტალში მათი წილების პროპორციულად მიენიჭათ, ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტით, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ – „ე“ ქვეპუნქტებითა და მე-4 პუნქტით და 70-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.
 5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შემძენი სამენარმეო საზოგადოება გაყოფის/შერწყმის ძალაში შესვლამდე სულ ცოტა 30 დღით ადრე ატყობინებს სამენარმეო საზოგადოების პარტნიორებს გაყოფის/შერწყმის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოების საერთო კრების მოწვევისთვის დადგენილი წესით. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 69-ე მუხლით დოკუმენტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობისთვის დადგენილი წესები.
 6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემძენი სამენარმეო საზოგადოების პარტნიორს/პარტნიორთა ჯგუფს, რომლის წილი შეადგენს სამენარმეო საზოგადოების კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტს, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ან კომანდიტურ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს, მოითხოვოს საერთო კრების მოწვევა შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში მიერთების შესახებ გადანყვეტილებას იღებს საერთო კრება. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 69-ე მუხლით დოკუმენტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობისთვის დადგენილი წესები.

72-ე მუხლის ამოცანაა გარკვეული შედეგათები დაანესოს რეორგანიზაციის საგანგებო შემთხვევებისთვის. მუხლის იდეა გამომდინარეობს ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის შესაბამისი დებულებებიდან, რომელთა შინაარსი მიმოხილულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

72-ე მუხლის პირველი პუნქტი ეფუძნება ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 113-ე და 114-ე მუხლებს, რომლებიც მიერთებით შერწყმის განსაკუთრებულ შემთხვევას ეხება.

დირექტივის (2017/1132) 113-ე და 114-ე და 115-ე მუხლებს შინაარსი

(113-ე მუხლი) თუკი მიერთებას ახორციელებს კომპანია, რომელიც ფლობს 90% ან მეტს, მაგრამ არა ყველა წილს, მიერთებულ კომპანი(ა)(ებ)ში არ არის საჭირო შემძენი კომპანიის საერთო კრების გადანყვეტილება თუკი დაცულია შემდეგი მოთხოვნები:

- შერწყმის პროექტი (გეგმა), შემძენ კომპანიასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდება სულ მცირე 1 თვით ადრე მიერთებული კომპანიის/ების შესაბამის საერთო კრებამდე.
- ამავე ვადაში შემძენი კომპანიის ყველა აქციონერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა კომპანიის ოფისში გაეცნოს და შეამოწმოს (მათ შორის მოითხოვოს ასლი) შემდეგი დოკუმენტები (ალტერნატიულად, ისინი უნდა გამოქვეყნდეს კომპანიის ვებგვერდზე, სულ მცირე, შესაბამისი საერთო კრების დასრულებამდე):
 - ✓ შერწყმის გეგმა
 - ✓ შერწყმაში მონაწილე კომპანიებს ბოლო 3 წლის ფინანსური ანგარიშგებები
 - ✓ შესაბამის შემთხვევაში (თუკი ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან შერწყმის პროექტის შედგენის თარიღამდე 6 თვეზე მეტია გასული), ასევე შუალედური ანგარიშგება (ბალანსი) (accounting statement), რომლის თარიღია შერწყმის პროექტის თარიღზე არაუადრეს 3 თვისა.
 - ✓ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მომზადებული მოხსენება შერწყმის შესახებ
 - ✓ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შერწყმის შესახებ
- შემძენი კომპანიის განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 5 % მფლობელ აქციონერ(ებ)ს უნდა ჰქონდეთ უფლება, შემძენი კომპანიის საერთო კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება.

(114-ე მუხლი) არ არის აუცილებელი (ნევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა მოითხოვონ):

- ✓ ხელმძღვანელი ორგანოს მოხსენება შერწყმის შესახებ (ასევე შერწყმის გეგმის (პროექტის) შედგენიდან საერთო კრების ჩატარების თარიღამდე შუალედში მომხდარი მნიშვნელოვანი ქონებრივი ცვლილებების შესახებ შეტყობინება)
- ✓ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შერწყმის შესახებ

✓ შემძენი კომპანიის აქციონერებისთვის გაცნობა/შემომნების უფლებების მიცემა (იხ. ზემოთ)

თუკი

მიერთებული კომპანიის მინორიტარ აქციონერებს მიეცემათ უფლება, მოთხოვონ მათი აქციების გამოსყიდვა სამართლიან ფასად, და უთანხმოების შემთხვევაში ფასის საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ან შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანო.

თუმცა, ამ წინაპირობების გამოყენება არ არის საჭირო, თუკი

შემძენი კომპანია უფლებამოსილია წინასწარი საჯარო სატენდერო შეთავაზების გარეშე მოითხოვოს მიერთებული კომპანიის/ების დარჩენილი აქციონერებისგან მიყიდონ მას აქციები სამართლიან ფასად შერწყმის განხორციელებამდე.

115-ე მუხლი

იგივე შეღავათები შესაძლოა გავრცელდეს მიერთებაზე, როდესაც მიერთებული კომპანიის/კომპანიების წილებს შესაბამისი ოდენობით (სულ მცირე 90%) ფლობენ შემძენი კომპანია ან/და მისი დავალებით და ხარჯით (on behalf) მოქმედი პირები.

დირექტივის მიმოხილული დებულებებიდან გამომდინარე უნდა იქნას გაგებული 72-ე მუხლის პირველი პუნქტიც. შესაბამისად, მითითება ნნ-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, ვფიქრობთ, არაზუსტია. ნნ-ე მე-3 პუნქტი სანარმოს სხვადასხვა ფორმებისთვის გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელ უმრავლესობებს ადგენს. ჩანანერი უნდა უთითებდეს დირექტივის მსგავს გამონაკლისზე ე.ი. მასზე რომ მიერთებისთვის არ არის აუცილებელი *შემძენი სამენარმეო საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილება*. გარდა ამისა, არ არის აუცილებელი მიერთებაში მონაწილე სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელი ორგანოს მოხსენება და შერწყმის გეგმის შემომნება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ (ნნ-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა და ბ“ ქვეპუნქტები და მე-2 პუნქტი¹). ასევე არ არის საჭირო ნნ-ე მუხლით შერწყმისთვის გათვალისწინებული გამოქვეყნების, შემომნების და შეტყობინების წესებისა და უფლებების დაცვა².

¹ უფრო მარტივია, მიეთითოს ნნ-ე მუხლი მთლიანად

² ამ შემთხვევაშიც ნნ-ე მუხლის მე-4 პუნქტის ნაცვლად (რომელიც გაყოფას ეხება) უნდა მიეთითოს მე-3 პუნქტი.

აღნიშნული შედეგების (შემდგენი საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილების, ხელმძღვანელი ორგანოს და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შემოწმების არასავალდებულობა) წინა პირობაა მიერთებული საზოგადოების უმცირესობაში მყოფ პარტნიორებს უფლება, მოსთხოვონ შემდგენ საზოგადოებას მათი წილების გამოსყიდვა სამართლიან ფასად.

72-ე მუხლის მე-2 პუნქტი ეფუძნება ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 110-ე და 111-ე და 112-ე მუხლებს და 100%-იანი შვილობილის მიერთებას ანესრიგებს.

დირექტივის (2017/1132) 110-ე და 111-ე და 112-ე მუხლებს შინაარსი

(110-ე მუხლი) თუკი ერთი ან რამდენიმე კომპანია უერთდება კომპანიას, რომელიც ფლობს მასში/მათში ყველა ხმის უფლების მქონე წილებს ან სხვა ფასიან ქაღალდებს, რომელიც ხმის უფლებას იძლევა

- შერწყმის გეგმაში არ არის საჭირო შედეგი მონაცემების მიეთითება:
 - ✓ წილების გადაცვლის თანაფარდობა და ნაღდი ფულის გადახდა
 - ✓ შემდგენ კომპანიაში წილების გადაცემის პირობები
 - ✓ თარიღი, რომლის შემდეგაც აღნიშნული აქციები იძლევა მოგებაში მონაწილეობის უფლებას და ამასთან დაკავშირებულ საგანგებო პირობები
- ასევე არ არის აუცილებელი:
 - ✓ შერწყმის შესახებ ხელმძღვანელი ორგანოს მოხსენება (ასევე შერწყმის გეგმის (პროექტის) შედგენიდან საერთო კრების ჩატარების თარიღამდე შუალედში მომხდარი მნიშვნელოვანი ქონებრივი ცვლილებების შესახებ შეტყობინება)
 - ✓ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
- შესაბამისად, არ გამოიყენება აქციონერების მიერ მათი შემოწმების უფლება
- არ გამოიყენება პირობა „შემდგენელი კომპანიის პარტნიორი ხდება მიმღები კომპანიის პარტნიორი“
- წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით არ დგინდება აქციონერების მიმართ მიერთებული სანარმოს ხელმძღვანელების და დამოუკიდებელი აუდიტორების პასუხისმგებლობა

(111-ე მუხლი) არ არის აუცილებელი საერთო კრებების გადაწყვეტილება, თუკი

- შერწყმის ძალაში შესვლამდე სულ მცირე 1 თვით ადრე გამოქვეყნდება შერწყმის პროექტი;

- ამავე ვადაში შემძენი კომპანიების აქციონერები უფლებამოსილი იქნებიან, შემძენი კომპანიის რეგისტრირებულ ოფისში, გაეცნონ და შეამონწონ (შესაძლებელია ამ ვალდებულების შესრულება კომპანიის ვებგვერდზე კრების დასრულებამდე დოკუმენტების განთავსებით) შემდეგი დოკუმენტები, (ასევე მოითხოვონ ასლები):
 - ✓ შერწყმის გეგმა (პროექტი)
 - ✓ შერწყმაში მონაწილე კომპანიების ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარიშგება და წლიური მოხსენება
 - ✓ შუალედური ანგარიშგება (ბალანსი), რომლის თარიღი არაუმეტეს 3 თვით ადრეა შერწყმის პროექტის თარიღზე, თუკი ბოლო ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან შერწყმის პროექტის შედგენის თარიღამდე ნთვეზე მეტია გასული.
- შემძენი კომპანიის კაპიტალის 5 % მფლობელ აქციონერ(ებ)ს აქვთ შემძენი კომპანიის სართო კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება, რომელიც მიიღებს მიერთების შესახებ გადაწყვეტილებას.

(112-ე მუხლის მიხედვით, 110-ე და 111-ე მუხლებით გათვალისწინებული შეღავათები იგივე შეღავათები შესაძლოა გავრცელდეს მიერთებაზე, როდესაც მიერთებული კომპანიის/კომპანიების წილებს სრულად ფლობენ შემძენი კომპანია ან/და მისი დავალებით და ხარჯით (on behalf) მოქმედი პირები.

შესაბამისად უნდა განიმარტოს 72-ე მუხლის მე-2 პუნქტიც. კერძოდ 100% შვილობილი სანარმოს მიერთებისას, არ არის საჭირო საერთო კრებების გადაწყვეტილებები (66-ე მუხლის მე-3 პუნქტი),¹ შერწყმის გეგმის სავალდებულო შინაარსში შემცირებულია (67-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები), ხელმძღვანელი ორგანოს მიერ შერწყმის ანგარიშის შედგენა ასევე დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშის მომზადება არ არის სავალდებულო (68-ე მუხლი, 70-ე მუხლი), შესაბამისად, მათ არც გამოქვეყნების და შეტყობინების ვალდებულება ეხება (69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები და მე-4 პუნქტი²). ასევე არ არის აუცილებელი შერწყმის შემონმება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ (70-ე მუხლი).

72-ე მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებით, 72-ე მუხლის მე-2 მუხლში მითითებულია „მისი დავალებით მოქმედი მესამე პირი“, რაც დირექტივის მიერ

¹ ვფიქრობთ, 66-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, უმჯობესია კრებების გადაწყვეტილებების ვალდებულებისგან განთავისუფლება უფრო ცალსახად იყოს ჩამოყალიბებული.

² პირველი პუნქტის მსგავსად, აქაც უნდა მიეთითოს არა 69-ე მუხლის მე-4 არამედ მე-3 პუნქტი.

წვერი სახელმწიფოებისთვის დადგენილ შესაძლებლობას ეხმიანება (იხ. ზემოთ დირექტივის 112-მუხლის აღწერა)¹.

72-ე მუხლის მესამე პუნქტი ეხება გაყოფას (დაყოფა, გამოყოფა) როცა შემძენი საზოგადოებები ერთად ფლობენ გაყოფილი საწარმოს ყველა წილს. მუხლი ეფუძნება 2017/1132 დირექტივის 154-ე მუხლს.

72-ე მუხლის მე-4 პუნქტი აღწერს ახალი საწარმოების დაფუძნებით გაყოფის შემთხვევას, როცა გაყოფილი საწარმოს პარტნიორებს ახალ საწარმო(ებ)ში გაყოფილი სამენარმეო საზოგადოების კაპიტალში მათი წილები პროპორციულად გადაეცემათ. 72-ე მუხლის მე-4 პუნქტი ეყრდნობა ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 156-ე მუხლის მე-4 პუნქტს. კერძოდ, რეორგანიზაციის მსგავს შემთხვევებში, კანონი (ისევე როგორც დირექტივა) არ მოითხოვს გაყოფის შესახებ საწარმოთა ხელმძღვანელი ორგანოების მოხსენების მომზადებას და გამოქვეყნებას (68-ე მუხლის პირველი პუნქტი, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), აუდიტორის ანგარიშის მომზადებას/გამოქვეყნებას (69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 70-ე მუხლი) და შუალედური ბალანსის მომზადებას (69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). რეორგანიზაციაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს არ წარმოეშობა ქონებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტყობინების ვალდებულება.²

72-ე მუხლის მე-5 პუნქტი ეფუძნება ევროდირექტივის (2017/1132) 111-ე და 113-ე მუხლებს და წარმოადგენს პირველი და მე-2 პუნქტით დაშვებული შეღავათების გამოყენების წინა პირობას. ასევე დირექტივის მსგავსად, 72-ე მუხლის მე-6 პუნქტით კაპიტალური საზოგადოებების სულ მცირე 5% მესაკუთრებს, ხოლო ამხანაგურ საზოგადოებებში (სპს, კს) თითოეულ პარტნიორს ენიჭება უფლება მოითხოვოს რეორგანიზაციის (შერწყმის) შესახებ საერთო კრების მიერ გადანაცვტილების მიღება.

მუხლი 73. შერწყმის/გაყოფის რეგისტრაცია

- 1. შერწყმის/გაყოფის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განცხადება მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შერწყმის/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ. ამ ვადის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ ყველა პარტნიორი წერილობით უარს განაცხადებს შესაბამისი უფლების გამოყენებაზე. კრედიტორთა უფლებები განისაზღვრება ამ კანონის 74-ე მუხლით.**

¹ იგივე შესაძლებლობას დირექტივა ითვალისწინებს 90% შვილობილის მიერთებისას (იხ. 115-ე მუხლი)

² ამ შემთხვევაშიც მითითება უნდა იყოს 69-ე მუხლის მე-3 პუნქტზე.

2. შერწყმის/გაყოფის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) შერწყმის/გაყოფის გეგმა;
 - ბ) შემძენი სამენარმეო საზოგადოების წესდებაში ცვლილებები ან ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოების წესდება;
 - გ) საერთო კრების გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა შერწყმის/გაყოფის გეგმა, აგრეთვე საერთო კრების ოქმი (არსებობის შემთხვევაში);
 - დ) არსებობის შემთხვევაში – გადაწყვეტილება ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ;
 - ე) არსებობის შემთხვევაში – დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში;
 - ვ) არსებობის შემთხვევაში – შერწყმის/გაყოფის ანგარიში;
 - ზ) სახელმწიფო დაწესებულების ან სხვა კომპეტენტური ორგანოს თანხმობა შერწყმაზე/გაყოფაზე, თუ ეს საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.
3. თუ შერწყმა/გაყოფა იწვევს ახალი სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებას, შერწყმის/გაყოფის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს ყველა სხვა დოკუმენტი და მონაცემი, რომლებიც საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ფორმის სამენარმეო საზოგადოების დაფუძნებისთვის.
4. შერწყმა/გაყოფა ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან. შერწყმის/გაყოფის რეგისტრაციის შემდეგ შერწყმის/გაყოფის შესახებ სამენარმეო საზოგადოების გადაწყვეტილების ბათილობაზე მითითება დაუშვებელია.
5. შერწყმის/გაყოფის რეგისტრაციასთან ერთად მიერთებული სამენარმეო საზოგადოების ან დაყოფილი სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება.
6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.

შერწყმა/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებიდან დადგენილი ერთთვიანი ვადა გათვალისწინებულია პარტნიორების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამოყენებისთვის (იხ. 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი). გეგმის/გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამოყენებისთვის დადგენილი ვადის დაცვა არ არის აუცილებელი, თუკი პარტნიორები წერილობით უარს იტყვიან გასაჩივრებაზე. ფორმის მიმართ დამატებით გამოიყენება 64-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესი. უარი, ამ შემთხვევაში, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტით

განსაზღვრული სხვა პირებიც („გ“ და „დ“ ქვეპუნქტები) მიმართაც მოქმედებს.

თუკი რეორგანიზაციის განხორციელებისთვის არ არის აუცილებელი პარტნიორთა კრების გადანყვეტილება (გამარტივებული შემთხვევები 72-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით) გასაჩივრებაზე შესაბამისად ვრცელდება 93-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს შერწყმისა და გაყოფის რეგისტრაციისთვის აუცილებელ დოკუმენტებსა და წინა პირობებს.

მე-3 პუნქტი აზუსტებს, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში დაფუძნებული საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ფორმის საზოგადოების ჩვეულებრივი დაფუძნებისთვის. ამ წინა პირობის გამოყენებისას გასათვალისწინებელია რეორგანიზაციისთვის თავისებურებები, ამდენად, დათქმა გამოიყენება *mutatis mutandis*.

მე-4 პუნქტის მიხედვით, რეგისტრაციას რეორგანიზაციისთვის ე.წ. კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, რეორგანიზაციის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას დაშვებული დარღვევები სწორდება რეგისტრაციის ძალით. შესაბამისად, რეგისტრაციის შემდეგ რეორგანიზაციის შესახებ გადანყვეტილების ბათილობაზე მითითება დაუშვებელია. გასაჩივრების უფლების მქონე პირი, რომელთაც არ გამოიყენა გასაჩივრების უფლება პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, კარგავს მას. მე-4 პუნქტით დადგენილი სამართლებრივი შედეგი გავლენას არ ახდენს ზიანის ანაზღაურების შესაძლო მოთხოვნებზე.

მუხლი 74. სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის პროცესში კრედიტორთა დაცვა

1. რეორგანიზაციაში მონაწილე სამენარმეო საზოგადოებების კრედიტორებს უფლება აქვთ, რეორგანიზაციის რეგისტრაციიდან 3 თვის ვადაში მოსთხოვონ სამენარმეო საზოგადოებას მათი მოთხოვნების უზრუნველყოფა, თუ დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. აღნიშნული უფლება აქვთ იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებიც გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილების ან შერწყმის/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებამდე წარმოიშვა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება რეორგანიზაციის პროცესში მყოფი სამენარმეო საზოგადოებების ობლიგაციათა მფლობელებზედაც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეორგანიზაცია ობლიგაციათა მფლობელების კრებამ ან თითოეულმა მფლობელმა ინდივიდუალურად დაამტკიცა.

3. წილის/აქციის გარდა, სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული უფლებები, ახლად დაფუძნებულ სამენარმეო საზოგადოებაში/შემძენ სამენარმეო საზოგადოებაში/გარდაქმნილ სამენარმეო საზოგადოებაში უნდა მიეცეთ იგივე უფლებები, რომლებიც ჰქონდათ რეორგანიზაციის პროცესში მყოფ სამენარმეო საზოგადოებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ უფლებებში ცვლილებები ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელების კრებამ ან თითოეულმა მფლობელმა ინდივიდუალურად დაამტკიცა ან როდესაც მოქმედებს პირობა, რომ ამ უფლებათა მფლობელებს ექნებათ ახლად დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოებისგან/შემძენი სამენარმეო საზოგადოებისგან/გარდაქმნილი სამენარმეო საზოგადოებისგან ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება.

74-ე მუხლი აქცენტს გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილების ან შერწყმა/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებამდე არსებულ კრედიტორთა ინდივიდუალურ დაცვაზე აკეთებს.

1994 წლის კანონის კონცეფციისგან განსხვავებით, კანონით კრედიტორების არსებობა არ წარმოადგენს რეორგანიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებას. რეორგანიზაციისთვის არც კრედიტორთა თანხმობაა საჭირო, რაც, შერწყმა/გაყოფის შემთხვევაში, ისედაც გამომდინარეობს რეორგანიზაციისთვის დამახასიათებელი უნივერსალური უფლებამონაცვლეობის პრინციპიდან.

კრედიტორებს უფლება ეძლევათ, მოთხოვნის უზრუნველყოფა მოითხოვონ მიმღები ან ახლად დაფუძნებული საზოგადოებიდან, თუკი დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია მათ მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფრთხეს უქმნის.

74-ე მუხლის მე-2 და იმავე დაცვას სთავაზობს კრედიტორებს, რომლებიც საწარმოს ობლიგაციებს ფლობენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსგავსი ფასიანი ქაღალდების მფლობელებმა მოინონეს გადანყვეტილება რეორგანიზაციის შესახებ. აუცილებელია ფასიანი ქაღალდების თითოეული მფლობელის თანხმობა.

სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, რომელთაც საგანგებო უფლებები აქვთ მინიჭებული (მაგ., ოფციები), იგივე უფლებები უნდა მიეცეთ რეორგანიზაციის შემდეგ. ცვლილებები ამ უფლებებში დასაშვებია მხოლოდ ფასიანი ქაღალდების მფლობელთა თანხმობით. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს აქვთ ახლად დაფუძნებული/შემძენი/გარდაქმნილი საწარმოსგან მათი ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება.

მუხლი 75. პარტნიორთა წილების გამოსყიდვა სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის დროს

1. პარტნიორს, რომელმაც საერთო კრებაზე ხმა სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის სანინალმდეგოდ მისცა, უნდა მიეცეს ამ კრების ჩატარებიდან 20 დღის ვადა, რათა სამენარმეო საზოგადოებას წერილობით მიმართოს თავისი წილის გამოსყიდვის მოთხოვნით.
2. პარტნიორებს, რომლებმაც ამ კანონის საფუძველზე მოითხოვეს წილების გამოსყიდვა, სამენარმეო საზოგადოებამ წილების სანაცვლოდ სამართლიანი ფასი უნდა გადაუხადოს. სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ აქციების გამოსასყიდი ფასის დადგენის შესახებ გადანყვეტილება უნდა მიიღოს და პარტნიორს უნდა აცნობოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 20 დღის განმავლობაში, ხოლო წილების გამოსასყიდად თანხა გადახდილი უნდა იქნეს წილების გამოსასყიდი ფასის დადგენის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღისა. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სამენარმეო საზოგადოება უფლებამოსილია რეორგანიზაციიდან 1 წლის განმავლობაში გაყიდოს გამოსყიდული წილები პარტნიორთა მიერ უპირატესი შესყიდვის უფლებით ან მიიღოს გადანყვეტილება გამოსყიდული წილების გაუქმების შესახებ.
3. პარტნიორს, რომელიც არ არის თანახმა თავისი წილის გამოსყიდვის ფასზე, უფლება აქვს, წილის გამოსასყიდი ფასის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს წილის სამართლიანი ფასის დადგენის მოთხოვნით. ამ უფლების გამოყენების შედეგად პარტნიორი კარგავს ყველა უფლებას თავის წილზე, გარდა მის სანაცვლოდ სამართლიანი ფასის მიღების უფლებისა. სასამართლო განხილვის დროს რეორგანიზაციის პროცესი არ ჩერდება.
4. თუ სასამართლოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი დაადგენს, რომ პარტნიორის წილის ღირებულება სამენარმეო საზოგადოების მიერ შეთავაზებული ღირებულების ტოლია ან მასზე ნაკლებია, დამოუკიდებელი აუდიტორის ხარჯებს პარტნიორი ანაზღაურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხარჯები სამენარმეო საზოგადოებას დაეკისრება. თუ სასამართლოს მიერ დადგენილი წილის ღირებულება სამენარმეო საზოგადოების მიერ შეთავაზებულ ღირებულებაზე მეტია, სამენარმეო საზოგადოებამ ყველა პარტნიორის წილები იმავე, მეტი ღირებულებით უნდა გამოისყიდოს.
5. სამენარმეო საზოგადოებამ პარტნიორის წილი უნდა გამოისყიდოს სასამართლოს მიერ მისი ღირებულების დადგენიდან 30 დღის ვადაში.

6. სამენარმო საზოგადოებასა და პარტნიორებს შორის შეთანხმებით წილის გამოსყიდვის ვადა შეიძლება გაიზარდოს წილის გამოსასყიდი ფასის დადგენიდან არაუმეტეს 3 თვისა.

წილის/აქციის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ პარტნიორებს ენიჭებათ, რომლებიც მონაწილეობდნენ ხმის მიცემის პროცედურაში და რეორგანიზაციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. წილის ღირებულების ანაზღაურება უნდა მოხდეს სამართლიან ფასად, როგორც წესი, ფულადი სახით. თუმცა ყველა პარტნიორის თანხმობით, ან, თუკი გათვალისწინებული სადამფუძნებლო შეთანხმებით, დასაშვებია არაფულადი ანაზღაურებაც. პარტნიორს კონკრეტულ აქტივზე მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. გამოსყიდული წილები სანარმოს გადანყვეტილებით შეიძლება კვლავ გასხვისდეს ან გაუქმდეს.

წილის სამართლიან ღირებულებასთან დაკავშირებულ დავებს წყვეტს სასამართლო. საზოგადოების შეთავაზების შესახებ შეტყობინებების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში პარტნიორს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს. ამ ვადის გასვლა მიიჩნევა აქცეპტად. შემოთავაზების მიღებით, მათ შორის, ვადის უშედეგოდ გასვლით ან სასამართლოსადმი მიმართვით, პარტნიორი, წილიდან გამომდინარე, ინარჩუნებს მხოლოდ შესაბამისი სამართლიანი ფასის მიღების უფლებას.

საზოგადოებას სასამართლოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის ხარჯები დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წილის სამართლიანი ფასი მეტია სანარმოს მიერ შემოთავაზებულ თავდაპირველ ფასზე.

საკუთარი წილების/გასვლის წესები შესაბამისად ვრცელდება რეორგანიზაციის ფარგლებში წილის გამოსყიდვაზე/გასვლის სანაცვლოდ კომპენსაციაზე. თუკი კომპენსაცია გადახდილი არ არის რეორგანიზაციამდე, რეორგანიზაციის შემდგომი საზოგადოება აგებს პასუხს გამოსყიდვაზე. ამჯერად გამოსყიდვაზე ქონების მიმღები/ახალი საზოგადოების შესაბამისი წესები გავრცელდება.

თუკი ცხადია, რომ თავდაპირველ საზოგადოებას არ აქვს გამოსყიდვისთვის საკმარისი დასაშვები ქონება, რეორგანიზაციის გადანყვეტილება საცილოა (შესაბამის ვადაში შესაძლოა გასაჩივრდეს). თუკი არ გასაჩივრდა რეგისტრაციას კომპენსაციის გადაუხდელობა რეგისტრაციას ხელს არ უშლის. თუმცა პარტნიორის უნარჩუნდება შესაბამისი თანხის მოთხოვნა საზოგადოების/საზოგადოებების მიმართ.

გაყოფის შემთხვევაში ქონების მიმღებ (მათ შორის დარჩენილ საზოგადოებას) სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრება იგი პარტნიორის უფლებათა დაცვიდან გამომდინარე ყველა დარჩენილი სანარმოს პირდაპირი და სოლიდა-

რული მოვალეობაა ე.ი. ჩვეულებრივი კრედიტორული მოთხოვნებისაგან განსხვავებით, მიღებულ წმინდა აქტივზე მიბმული შეზღუდვა (65-ე მუხლის მე-10 პუნქტის მე-2 წინ.) არ მოქმედებს.

მუხლი 76. სამენარმეო საზოგადოებების შერწყმა/სამენარმეო საზოგადოების გაყოფა რეაბილიტაციის დროს

ამ კანონის 65-ე – 75-ე მუხლები არ ვრცელდება იმ სანარმოზე, რომლის მიმართაც დაწყებულია რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

მუხლი 77. სამენარმეო საზოგადოების რედომიცილება

1. უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაცია შეიძლება გადმოტანილ იქნეს საქართველოში, ისე, რომ არ დაირღვეს მენარმის საქმიანობის უწყვეტობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მენარმე შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით.
3. საქართველოში რეგისტრირებულ მენარმეს უფლება აქვს, მისი რეგისტრაცია გადაიტანოს უცხო ქვეყანაში, ისე, რომ არ დაირღვეს მენარმის საქმიანობის უწყვეტობა, შემდეგი პირობების არსებობისას:
 - ა) ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული აღნიშნულ უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაციის სხვა ქვეყანაში გადატანა;
 - ბ) საქართველოში რეგისტრირებული მენარმის წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება;
 - გ) საქართველოში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაციის უცხო ქვეყანაში გადატანის დროისთვის მენარმეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ საგადასახადო დავალიანება არ აქვს.
4. უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა არის მენარმის რეორგანიზაციის ტოლფასი და მასზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული სამენარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის მომწესრიგებელი ნორმები, მათი შინაარსის გათვალისწინებით.

5. უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანისა და საქართველოში რეგისტრირებული სანარმოს რეგისტრაციის უცხო ქვეყანაში გადატანის წესი და პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით.

კანონის 77-ე მუხლი ანესრიგებს რედომიცილების საკითხს. რედომიცილების დეფინიციის შექმნა შესაძლებელია წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტებზე დაყრდნობით. კერძოდ, რედომიცილება ეს არის უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაციის გადატანა ისე, რომ არ დაირღვეს მენარმის საქმიანობის უწყვეტობა. წინამდებარე მუხლი უშვებს, როგორც საქართველოში რეგისტრირებული მენარმის რეგისტრაციის უცხო ქვეყანაში გადატანას, ისე პირიქით.

სანარმოს რედომიცილებისათვის წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის, წინამდებარე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებში დადგენილია ზოგადი ხასიათის შესაბამისი შეზღუდვები. ამასთან, მუხლი შინაარსობრივად ბლანკეტური ხასიათისაა და მიუთითებს შემდგომში საკითხის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მონესრიგებაზე. აღნიშნულზე დაყრდნობით, მენარმის რედომიცილების საკითხი დეტალურადაა მონესრიგებული საქართველოს კანონით, „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების 22-ე-24-ე მუხლებში.

მუხლი 78. სამეწარმეო საზოგადოების დაშლა

1. სამეწარმეო საზოგადოების დაშლის საფუძვლებია:
 - ა) სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილება სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ;
 - ბ) სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა;
 - გ) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - დ) სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ;
 - ე) წესდებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
2. ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ან „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართოს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განცხადებით. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო სასამართლოს ან ნებისმიერი პირის განცხადების საფუძველზე არეგისტრირებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლას. ამ საფუძვლით სამეწარმეო საზოგადოების დაშლისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს აგრეთვე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში, კოოპერატივში სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, ხოლო სხვა შემთხვევაში მას ყველა პარტნიორი ერთხმად იღებს.
4. იმ საწარმოს დაშლის წესს, რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ხოლო იმ საწარმოს დაშლის წესს, რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი

მინისტრი. ეს პუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაფუძნებული დროებითი ბანკის ლიკვიდაციასა და რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ლიკვიდაციაზე, რომლებიც ხორციელდება სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედი სისტემის მონაწილე სანარმოს დაშლის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

სამენარმეო საზოგადოება წარმოიშობა და უფლებაუნარიანობას იძენს რეესტრში რეგისტრაციის გზით. იმავე ლოგიკით, სამენარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტა ხდება რეგისტრაციის გაუქმებით. უშუალოდ პროცესს კი, რომლის შედეგადაც უქმდება საზოგადოების რეგისტრაცია, ეწოდება საზოგადოების დაშლა. მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულია საზოგადოების დაშლის საფუძვლების კატალოგი:

პარტნიორთა გადაწყვეტილება სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ

სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა

იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა

სამენარმეო საზოგადოების პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება

წესდებით გათვალისწინებული საფუძვლები

სამენარმეო საზოგადოების ნებაყოფლობითი დაშლის თაობაზე გადანაცვლების მიღება განეკუთვნება საზოგადოების პარტნიორთა კომპეტენციას. შესაბამისად, საზოგადოების დაშლის შესახებ გადანაცვლებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება, კაპიტალური ტიპის სამენარმეო საზოგადოებებში 2/3-ის უმრავლესობით, ხოლო ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში ყველა პარტნიორის თანხმობით.

კანონი ასევე, არეგულირებს იმ პირთა წრეს, ვისაც შესაბამისი საფუძვლის არსებობისას საზოგადოების დაშლის რეესტრის თაობაზე მარეგისტრირებელი ორგანოსათვის მიმართვის უფლება აქვს. კერძოდ:

პარტნიორთა გადაწყვეტილება სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ	საზოგადოების ხელმძღვანელი პირი
სამენარმეო საზოგადოების პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა	საზოგადოების ხელმძღვანელი პირი
იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა	სასამართლო ან ნებისმიერი სხვა პირი
სამენარმეო საზოგადოების პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება	სასამართლო ან ნებისმიერი სხვა პირი
წესდებით გათვალისწინებული საფუძველები	საზოგადოების ხელმძღვანელი პირი

მუხლი 79. სამენარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე

1. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სამენარმეო საზოგადოება შეიძლება დაიშალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.
2. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და სამენარმეო საზოგადოების მიზანი ვეღარ მიიღწევა.
3. პარტნიორს შეუძლია სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების სასამართლოში შემტანი პარტნიორის წილი სასამართლოს მეშვეობით სამართლიან ფასად გამოისყიდოს განცხადების შეტანიდან 30 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ყოველ პარტნიორს უნდა მიეცეს თავისი წილის პროპორციულად გამოსყიდვაში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუ დანარჩენი პარტნიორები წილების გადანაწილების სხვა წესზე არ შეთანხმდებიან.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეთავაზების გაკეთებიდან 30 დღის ვადაში წილის გამოსყიდვის სამართლიან ფასზე მხარეთა შეუთანხმებლობისას სამართლიან ფასს ადგენს სასამართლო.

5. წესდებით შეიძლება გამოირიცხოს ან ამ მუხლით დადგენილი ნორმების საწინააღმდეგოდ შეიზღუდოს სამენარმეო საზოგადოების დაშლის მოთხოვნის უფლება.

კანონის სიახლეა სასამართლოს მიერ პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სამენარმეო საზოგადოების დაშლა. აღნიშნული რეგულაცია ემსახურება საზოგადოებაში შექმნილი ჩიხური სიტუაციის გადაწყვეტას. მაგალითად, სასამართლომ პარტნიორის სარჩელის საფუძველზე შეიძლება დაშალოს სამენარმეო საზოგადოება, თუ მეორე პარტნიორი უხეშად არღვევს მის მოვალეობებს ან საზოგადოებაში ხმათა თანაბარი გადანაწილების, ე.წ. deadlock-ის გამო პარტნიორები ვეღარ იღებენ გადაწყვეტილებას, რაც, საბოლოო ჯამში, შეუძლებელს ხდის საზოგადოების ფუნქციონირებას.

იმავდროულად, ზემოთ აღნიშნული წინა პირობების არსებობისასაც კი, ერთი პარტნიორის ინტერესმა დაშალოს სამენარმეო საზოგადოება, არ უნდა გადანონოს საზოგადოების არსებობის გაგრძელების სხვაგვარი, ობიექტური და მხარეთა დაბალანსებულ ინტერესებზე დამყარებული შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ კანონი შესაძლებლობას აძლევს დანარჩენ პარტნიორებს, თავიდან აიცილონ საზოგადოების დაშლა განმცხადებელი პარტნიორისთვის წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის გზით. კერძოდ, განცხადების შემტანი პარტნიორის წილი შესაძლებელია გამოსყიდულ იქნეს განცხადების შემტანიდან 30 დღის განმავლობაში. სამართლიან ფასზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გამოსყიდვის სამართლიან ფასს დაადგენს სასამართლო.

მუხლი 80. ხარვეზიანი საზოგადოება

1. თუ სამენარმეო საზოგადოების რეგისტრირებული მონაცემები აღარ შეესაბამება ამ კანონით განსაზღვრულ რეგისტრაციის სავალდებულო პირობებს, მარეგისტრირებელი ორგანო თავისი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებას ხარვეზის დადგენის შესახებ და სამენარმეო საზოგადოებას ანიჭებს ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსს, რის შესახებაც მიეთითება რეესტრში და ეცნობება სამენარმეო საზოგადოებას. ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსის არსებობის პერიოდში ჩერდება რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება და რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა.
2. მარეგისტრირებელი ორგანო „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიმართ, რომლის ლიკვიდაციას ახორციელებს

საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამისი ხარვეზის დადგენის შემთხვევაში ამის თაობაზე წერილობით აცნობებს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

3. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერებისა და რეესტრიდან ამონაწერის გაცემის დაუშვებლობის წესი მოქმედებს მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაშიც.
4. ხარვეზიანი საზოგადოების მიერ ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის/დოკუმენტის წარდგენისა და მის საფუძველზე რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსი უქმდება.

საკორპორაციო-სამართლებრივი კანონმდებლობის უმთავრესი ამოცანა სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩოს შეთავაზებაა, როგორც მათ მისცემს შესაძლებლობას, მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართონ საკუთარი საქმიანობა უმთავრესი მიზნის – მოგების მიღებისაკენ. ამ ამოცანის შესასრულებლად „მენარმეთა შესახებ“ კანონი სამენარმეო საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელების მსურველებს სთავაზობს მენარმეთა სამართლებრივ ფორმებს, რომლებიც კანონით დადგენილი ორგანიზაციული სტრუქტურის მატარებლები არიან. კანონის ამოცანის ეფექტიანად მიღწევისა და მისი დებულებების უგულვებელყოფის თავიდან აცილების მიზნით, იმ სამენარმეო საზოგადოების რეგისტრირებული მონაცემები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ექვემდებარება შეჩერებას.

წინამდებარე მუხლშივე წარმოდგენილია შეჩერების პროცედურა. კანონის თანახმად, მას შემდეგ, რაც დადგინდება ხარვეზი, მარეგისტრირებული ორგანო თავისივე ინიციატივით მიიღებს გადაწყვეტილებას ხარვეზის დადგენის შესახებ და სამენარმეო საზოგადოებას მიანიჭებს ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსს. ამასთან, იმ საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ, რომელთა ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამისი ხარვეზის დადგენის შემთხვევაში მარეგისტრირებული ორგანო აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობებს საქართველოს ეროვნულ ბანკს.


ხარვეზიანი სამენარმეო საზოგადოების სტატუსი გულისხმობს არა საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებას, არამედ მისი რეგისტრირებული მონაცემების დროებით შეჩერებას. ამავე პერიოდში ხარვეზის თაობაზე მიეთითება რეესტრში და ახალი ამონაწერი არ გაიცემა. ხარვეზიანი სამენარმეო საზოგადოების სტატუსი იმოქმედებს ხარვეზის არსებობის პერიოდით. ხარვეზიანი საზოგადოების მიერ ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულების

წარდგენისა და მის საფუძველზე რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსი გაუქმდება.

მუხლი 81. სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყება

1. სამენარმეო საზოგადოების დაშლის რეგისტრაცია იწვევს სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამენარმეო საზოგადოების ქონების მიმართ დაწყებული გადახდისუნარობის საქმის წარმოება, აგრეთვე ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამენარმეო საზოგადოება ინარჩუნებს იურიდიული პირის სტატუსს და იყენებს თავის საფირმო სახელწოდებას დამატებით „ლიკვიდაციის პროცესში“.
3. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამენარმეო საზოგადოების ორგანოები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებებს, გარდა ხელმძღვანელი პირებისა, რომლებსაც ლიკვიდატორების რეგისტრაციისთანავე უწყდებათ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები.
4. იურიდიული პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს მიმართვის საფუძველზე იურიდიული პირის მიმართ ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

„მენარმეთა შესახებ“ კანონში წარმოდგენილი მუხლის თანახმად, საზოგადოების დაშლის რეგისტრაციის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი:



ამ წესიდან გამონაკლისი იქნება მხოლოდ (1) საზოგადოების ქონებაზე გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება, რომელიც წარმართება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად და (2) იურიდიული პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისწარმოების მიმდინარეობის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც საზოგადოების ლიკვიდაცია დაუშვებელია.

კანონში ტერმინი „ლიკვიდაცია“ გულისხმობს სამენარმეო საზოგადოების აქტივებისა და მოთხოვნების განაწილებას შესაბამის სუბიექტებზე. ლიკვიდაციის პროცესში სამენარმეო საზოგადოება შეინარჩუნებს იურიდიული პირის სტატუსს და ატარებს თავის საფირმო სახელწოდებას, თუმცა სპეციალური დანამატით – „ლიკვიდაციის პროცესში“. ასევე, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამენარმეო საზოგადოების ორგანოები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებებს. აქედან გამონაკლისი იქნება მხოლოდ ხელმძღვანელი პირები, რომლებსაც ლიკვიდატორების რეგისტრაციისთანავე შეუწყდებათ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

მუხლი 82. სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ კრედიტორებისთვის შეტყობინების ვალდებულება

1. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და უნდა მოიწვიონ ისინი მოთხოვნების განსაცხადებლად.
2. მარეგისტრირებელი ორგანო სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს, რომელიც შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მარეგისტრირებელი ორგანოსთვის სუბიექტის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსალოდნელია სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობა, უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ვადაზე, რომელშიც ჩატარდება საგადასახადო შემონმება საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების არსებობის შემონმების მიზნით. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 90 დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო შემონმების ჩატარების 90-დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 2 თვისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების 10-დღიანი ვადის, აგრეთვე ამ ინფორმაციაში მითითებული საგადასახადო შემონმების ჩატარების ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში სუბიექტი საგადასახადო დავალიანების არმქონედ მიიჩნევა.

ლიკვიდაციის პროცესის ძირითადი ამოცანა კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. კანონის 82-ე მუხლი განსაზღვრავს იმ სუბიექტების კატალოგს, რომლებსაც უნდა ეცნობოთ საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე, რათა მათ მიეცეთ თავიანთი ინტერესების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობა.

კანონის შესაბამისად, კრედიტორების ინფორმირების ვალდებულება ეკისრება საზოგადოების ლიკვიდატორს. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კრედიტორებს სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და მოიწვიონ ისინი მოთხოვნების გასაცხადებლად.

წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტი ეთმობა საგადასახადო ორგანოს ინფორმირების პროცედურას:



მუხლი 83. ლიკვიდატორი

1. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესს ერთობლივად ხელმძღვანელობენ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ინიშნებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდება ან საერთო კრების გადაწყვეტილება ლიკვიდატორებად სხვა პირების დანიშვნას ითვალისწინებს.

2. იურიდიული პირის იძულებითი დაშლის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი.
3. ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის ნაყენებულ მოთხოვნებს.
4. საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ მომენტში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი სასამართლოს მიერ არის დანიშნული.
5. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია სამენარმეო საზოგადოების რომელიმე პარტნიორის, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ან კოოპერატივში – პარტნიორთა 10 პროცენტის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს განცხადების საფუძველზე გაათავისუფლოს ლიკვიდატორი ან დანიშნოს ახალი ლიკვიდატორი. ამ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო სამენარმეო საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით.
6. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია მარეგისტრირებელ ორგანოს მიმართოს განცხადებით ლიკვიდატორების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ამ განცხადებით მიმართვის უფლება აქვს პარტნიორს. აღნიშნულ განცხადებას უნდა ერთოდეს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამონმებული დოკუმენტი ლიკვიდატორის დანიშვნის ან გაათავისუფლების და მისი უფლებამოსილების შესახებ, ლიკვიდატორის ხელმოწერის ნიმუში, ხოლო თუ ლიკვიდატორი ხელმძღვანელი პირი არ არის – აგრეთვე ლიკვიდატორის თანხმობა. ლიკვიდატორის ან მისი უფლებამოსილების ყოველი ცვლილებისას ცვლილების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარადგენენ ლიკვიდატორები.

ლიკვიდაციის პროცესს წარმართავს ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი – ეს არის პირი, რომელსაც კანონით ენიჭება ექსკლუზიური კომპეტენცია, დაასრულოს საზოგადოების მიმდინარე საქმეები, მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებები. გარდა ამისა, ლიკვიდატორს უფლება აქვს, დადოს ახალი გარიგებები, თუ ეს ლიკვიდაციისთვის აუცილებელია.

ლიკვიდატორად, როგორც წესი, ინიშნება სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი. ამასთანავე, ამ ზოგადი წესიდან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი:



ლიკვიდატორი თავის უფლებამოსილებას იძენს მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. მარეგისტრირებელ ორგანოს ლიკვიდატორის რეგისტრაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს საზოგადოების ხელმძღვანელმა პირმა ან პარტნიორმა, რასაც თან უნდა ერთოდეს ნოტარიული წესით დამონმებული საბუთი ლიკვიდატორის დანიშვნისა და მისი უფლებამოსილების შესახებ, ლიკვიდატორის ხელმოწერის ნიმუში, ხოლო, თუ ლიკვიდატორი ხელმძღვანელი პირი არ არის, ასევე ლიკვიდატორის თანხმობა. სანოტარო წესით დამონმება სავალდებულო არ არის, თუ:

- ხელმოწერა დადგენილი წესით დამონმებულია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ;
- ხელმოწერა დადგენილი წესით დამონმებულია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი:
 - სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ;
 - სხვა პირის მიერ;
- ხელმოწერა შესრულებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 84. ლიკვიდატორის უფლებამოსილება

1. ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას ლიკვიდატორები სარგებლობენ იმავე უფლებებით და ეკისრებათ იგივე

მოვალეობები, რომლებიც აქვთ ხელმძღვანელ პირებს, გარდა კონკურენციის აკრძალვისა. ლიკვიდატორებზე ვრცელდება ამ კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება.

2. ლიკვიდატორები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე საქმეები, მოახდინონ აქტივების რეალიზაცია და შეასრულონ სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებები. ლიკვიდატორებს უფლება აქვთ, დადონ ახალი გარიგებები, თუ ეს ლიკვიდაციისთვის აუცილებელია.
3. ლიკვიდატორებმა დანიშნვისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი ლიკვიდაციის დაწყების დღის მდგომარეობით.

კანონის 84-ე მუხლში განსაზღვრულია ლიკვიდატორის უფლებამოსილება კატალოგი. ზოგადად ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმიანობისას, ლიკვიდატორები სარგებლობენ იმავე უფლებებით და ეკისრებათ იგივე მოვალეობები, რაც ხელმძღვანელ პირებს, გარდა კონკურენციის აკრძალვისა. უფრო კონკრეტულად, ლიკვიდატორები ვალდებული არიან:



მუხლი 85. ქონების განაწილება

1. თუ წესდებით სხვა წესი არ არის დადგენილი, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამენარმეო საზოგადოების ქონება ნაწილდება პარტნიორთა შორის მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.
2. თუ შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული, თავდაპირველად ბრუნდება შენატანები ან მათი ღირებულება, ხოლო ნარჩენი ქონება ნაწილდება პარტნიორთა წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.
3. თუ ქონება შენატანების დასაბრუნებლად საკმარისი არ არის, ნარჩენი ქონება ნაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად, ხოლო თუკი შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული – განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამენარმეო საზოგადოების ქონების განაწილება პარტნიორებს შორის შიდასახელშეკრულებო ავტონომიის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხია. შესაბამისად, კანონის 85-ე მუხლი ადგენს ქონების განაწილების ზოგად წესს, რომელიც პარტნიორებმა წესდებით შეიძლება განსხვავებულად განსაზღვრონ.

კანონის თანახმად, ლიკვიდაციაში მყოფი სამენარმეო საზოგადოების ქონება განაწილდება პარტნიორებს შორის მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარტნიორის შენატანები სრულად არ იქნება შეტანილი, თავდაპირველად მოხდება შენატანების ან მათი ღირებულების დაბრუნება, ხოლო ნარჩენი ქონება განაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ დარჩენილი ქონება საკმარისი არ აღმოჩნდება შენატანების დასაბრუნებლად, ნარჩენი ქონება განაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად, ხოლო თუ შენატანები სრულად არ იყო შეტანილი, – განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

მუხლი 86. ლიკვიდაციის პროცესში კრედიტორთა დაცვა

1. ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებების დაფარვიდან და სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქონება შეიძლება განაწილდეს სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის შემდეგ, თუ არსებობს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომ ყველა ვალდებულება შესრულებულია და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქონების განაწილება საფრთხეს არ უქმნის მესამე პირთა უფლებებს.
2. თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთი მოთხოვნების შესახებ, ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ მათი მოთხოვნების შესაბამისი ღირებულების სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შემდეგ.
3. თუ ვალდებულება სადავოა ან მისი შესრულების ვადა არ დამდგარა, ქონება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში განაწილდეს, თუკი კრედიტორს წარედგინება ვალდებულების ტოლფასი უზრუნველყოფა.

სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესში უპირატესად დასაცავი კრედიტორების ინტერესებია. შესაბამისად, კანონში ბაზრის სტაბილურობის ხელშეწყობისა და სამართლიანი თამაშის წესების დადგენის მიზნით განსაზღვრულია, რომ პარტნიორებს შორის ქონების განაწილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებების დაფარვისა და სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც დაეყრდნობა დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას, რომ ყველა ვალდებულება შესრულებულია და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქონების განაწილება საფრთხეს არ შეუქმნის მესამე პირთა უფლებებს. ასეთ დროს ქონების განაწილება შეიძლება მოხდეს სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ დაშლის განაცხადის გამოქვეყნებიდან 5 თვის განმავლობაში ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთი მოთხოვნების შესახებ, მათი მოთხოვნების შესაბამისი ღირებულების ქონება, კანონის მიხედვით, განთავსდება სასამართლოს ან ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე, რის შემდეგაც დარჩენილი ქონება განაწილდება პარტნიორებს შორის.

ლიკვიდაციის პროცესში სამენარმეო საზოგადოებას შესაძლებელია, ჰქონდეს სადავო ვალდებულება ან ისეთი მოთხოვნა, რომლის შესრულების ვადა საზოგადოების დაშლის პროცესის დასრულებისას არ იქნება დამდგარი. ასეთ დროს პარტნიორებს შორის ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორისთვის წარდგენილი იქნება ვალდებულების ტოლფასი სხვაგვარი უზრუნველყოფა.

მუხლი 87. დაშლილი სამენარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელება

1. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სამენარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სამენარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ხმათა უფრო დიდი რაოდენობის ან სხვა წინაპირობების არსებობის აუცილებლობას.
2. დაშლილი სამენარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას მარეგისტრირებელ ორგანოს რეესტრში რეგისტრაციისთვის ლიკვიდატორები წარუდგენენ. მათვე ეკისრებათ იმის და-

დასტურების ვალდებულება, რომ სამენარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება დაწყებული არ არის.

3. დაშლილი სამენარმეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადანყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ რეესტრში მისი რეესტრაციის შემდეგ.

სამენარმეო საზოგადოების რეესტრაციის გაუქმებამდე პარტნიორებს უფლება აქვთ, შეცვალონ საზოგადოების დაშლის თაობაზე მიღებული გადანყვეტილება და ამის შედეგად სამენარმეო საზოგადოებამ გააგრძელოს არსებობა. დაშლილი სამენარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ გადანყვეტილება ძალაშია მხოლოდ რეესტრში მისი რეესტრაციის მომენტიდან. ამისათვის საჭიროა ორი კუმულაციური წინაპირობის არსებობა:

- საერთო კრების გადანყვეტილება;
- სამენარმეო საზოგადოების ქონება არ უნდა იყოს პარტნიორთა შორის განაწილებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ გზით პარტნიორების მიერ შენატანების უკან გატანა.

ასეთ შემთხვევაში, დაშლილი სამენარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ გადანყვეტილება მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება ლიკვიდატორების მიერ. ამასთანავე, ლიკვიდატორებს ეკისრებათ ვალდებულება, დაადასტურონ, რომ პარტნიორთა შორის სამენარმეო საზოგადოების ქონების განაწილება ჯერ დაწყებული არ ყოფილა.

მუხლი 88. სამენარმეო საზოგადოების რეესტრაციის გაუქმება

1. სამენარმეო საზოგადოების ქონების სრულად განაწილება იწვევს საწარმოს ლიკვიდაციის დასრულებას. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეესტრაციიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემონმების ჩატარების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემონმების დასრულების შესახებ ინფორმაციის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.
2. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეესტრაციის მოთხოვნით, რომლის საფუძველზედაც მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს სამენარმეო საზოგადოების რეესტრაციას.

3. საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამენარმეო საზოგადოების გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში მოვალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი სასამართლო განჩინება მისი გამოტანიდან 30 დღის ვადაში, რის შედეგადაც სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება.

ვალდებულებების დაფარვისა და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის განაწილების შემდეგ ხდება საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება, როგორც მისი არსებობის შეწყვეტის საბოლოო ეტაპი. რეგისტრაციის გაუქმება ხდება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, ლიკვიდატორის მიმართვის საფუძველზე. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემონმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემონმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

მუხლი 89. ლიკვიდირებული სამენარმეო საზოგადოების დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება

ლიკვიდირებული სამენარმეო საზოგადოების დოკუმენტაცია შენახული უნდა იქნეს მისი შექმნიდან 6 წლის განმავლობაში, ხოლო თუ ეს დოკუმენტაცია მოიცავს სამენარმეო საზოგადოების მიერ დადებულ ხელშეკრულებას – ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 6 წლის განმავლობაში, უსაფრთხო ადგილზე, რომელსაც განსაზღვრავენ ლიკვიდატორები, ხოლო მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ლიკვიდატორის ან პარტნიორის განცხადების საფუძველზე მას განსაზღვრავს სასამართლო. ყოფილ პარტნიორებსა და კრედიტორებს შეუძლიათ დაუბრკოლებლად გაეცნონ ამ დოკუმენტაციას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის ლიკვიდატორის მიერ წარმართვა, კანონით დადგენილი ინფორმირების მოვალეობები და სხვა პროცედურები ემსახურება დაშლილ სამენარმეო საზოგადოებასთან კავშირში მყოფი ყველა პირის ინტერესის დაცვის უმაღლესი სტანდარტის უზრუნველყოფას. თუმცა, მიუხედავად ამისა, პროცესის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, რჩება დავის წარმოშობის რისკები. შესაბამისად, აუცილებელია წერილობითი

მტკიცებულებების შენარჩუნება, რომელსაც დავის წარმოშობის შემთხვევაში დაეყრდნობა დავის განმხილველი ორგანო.

ზემოაღნიშნული მიზნით, კანონის შესაბამისად, ლიკვიდატორს ეკისრება ლიკვიდირებული სამენარმეო საზოგადოების დოკუმენტაციის უსაფრთხო ადგილზე შენახვის ვალდებულება. რამდენიმე ლიკვიდატორის არსებობისას უსაფრთხო ადგილის თაობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ასეთი ადგილი განისაზღვრება სასამართლოს მიერ.

ლიკვიდატორების მიერ შესაბამისი დოკუმენტაცია შენახულ უნდა იქნეს მათი შექმნიდან, ხოლო თუ ეს დოკუმენტაცია მოიცავს სამენარმეო საზოგადოების მიერ დადებულ ხელშეკრულებას – ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან ნ წლის განმავლობაში.

მუხლი 90. ლიკვიდაციის პროცესის განახლება დარჩენილი ქონების აღმოჩენის ან დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელების აუცილებლობის გამო

თუ სამენარმეო საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვა, რომ დარჩენილია ქონება ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, სასამართლომ იურიდიული ინტერესის მქონე პირის განცხადების საფუძველზე უნდა დანიშნოს იგივე ან ახალი ლიკვიდატორი. ლიკვიდატორების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ კანონის 84-ე მუხლით. ლიკვიდაციის პროცესი დასრულდება ამ კანონით დადგენილი ზოგადი წესით.

კანონის 90-ე მუხლი ისეთ შემთხვევას ანესრიგებს, როდესაც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება. კანონის მიხედვით, აღნიშნულის თაობაზე გადანყვეტილებას მიიღებს სასამართლო იურიდიული ინტერესის მქონე პირის განცხადების საფუძველზე. თუ სასამართლო დაადგენს, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, იგი დანიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც დაასრულებს ლიკვიდაციის პროცესს.

მუხლი 91. ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმება

- 1. ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველებია:**
 - ა) პირადი განცხადება;**

ბ) ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, აგრეთვე მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლოს გადანყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმება იწვევს გენერალური სავაჭრო მინდობილობის (არსებობის შემთხვევაში) შეწყვეტას.
3. ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში მისი უფლებამონაცვლეა შესაბამისი ფიზიკური პირი.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია უქმდება ნებისმიერი პირის მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით.

კანონის 91-ე მუხლში განსაზღვრულია ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების სპეციალური წესები. ინდივიდუალური მენარმის შემთხვევაში რეგისტრაცია უქმდება ორი საფუძვლით:

- პირადი განცხადება;
- ნებისმიერი პირის მიმართვა, ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის (1) გარდაცვალების, (2) სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების ან (3) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების, ასევე, (4) მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლოს გადანყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ ინდივიდუალური მენარმე შეწყვეტს არსებობას და მისი უფლებამონაცვლე გახდება შესაბამისი ფიზიკური პირი.

თავი X. ხანდაზმულობა და შეცილება.

გასაჩივრების უფლებამოსილება და ვადები

მუხლი 92. ხანდაზმულობისა და შეცილების ვადები

1. ამ კანონით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის ზოგადი ვადაა 5 წელი. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე – 146-ე მუხლები.
2. ამ კანონის მიხედვით, შეცილების ზოგადი ვადაა 6 თვე, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო შეცილების უფლების შესახებ.

კანონის 92-ე მუხლი ეთმობა ხანდაზმულობის ვადების საკითხებს. კანონით ზოგადი ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრება 5 წელი, ხოლო შეცილების ზოგადი ვადა იქნება 6 თვე იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო შეცილების უფლების შესახებ.

მუხლი 93. საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის გადანყვეტილების შეცილების/გასაჩივრების უფლებამოსილება და ვადები

1. საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის გადანყვეტილება საცილოა და შეიძლება გასაჩივრდეს, თუ ის არღვევს საქართველოს კანონმდებლობის ან წესდების მოთხოვნებს. ამ გადანყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელია, თუ დარღვევა არაარსებითია.
2. საერთო კრების გადანყვეტილების შეცილების უფლება აქვთ:
 - ა) საერთო კრების მონაწილე პარტნიორს, რომელიც ესწრებოდა ამ კრებას და ხმა აღნიშნული გადანყვეტილების წინააღმდეგ მისცა, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – პარტნიორს, რომელმაც თავისი საწინააღმდეგო აზრი დამატებით შეიტანა საერთო კრების ოქმში ან სასამართლოს წარუდგინა იმის მტკიცებულებები, რომ მისი საწინააღმდეგო აზრი საერთო კრების ოქმში დაუსაბუთებლად არ იქნა შეტანილი;
 - ბ) პარტნიორს, რომელიც საერთო კრებას არ დასწრებია, თუ მას სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ეთქვა უარი ამ კრებაზე დაშ-

ვებაზე, ან კრება დადგენილი წესების დარღვევით იქნა მოწვეული, ან/და საკითხი, რომელზედაც აღნიშნული გადანყვეტილება იქნა მიღებული, დღის წესრიგში შეტანილი არ ყოფილა;

გ) ხელმძღვანელ ორგანოს;

დ) ხელმძღვანელი ორგანოს წევრს, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, თუ აღნიშნული გადანყვეტილება მას ვალდებულებას აკისრებს ან უფლებას უზღუდავს.

3. სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილების შეცილების უფლება აქვთ პარტნიორს და ხელმძღვანელ ორგანოს/ხელმძღვანელ პირს, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, თუ ეს გადანყვეტილება მას ვალდებულებას აკისრებს ან უფლებას უზღუდავს.
4. ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის გადანყვეტილების შეცილების უფლება აქვთ პარტნიორს და სამეთვალყურეო საბჭოს, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელ პირს, თუ ეს გადანყვეტილება მას ვალდებულებას აკისრებს ან უფლებას უზღუდავს და შემცილებელ პირს მხარი არ დაუჭერია ამ გადანყვეტილების მიღებისთვის.
5. გადანყვეტილების შეცილების შესახებ სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს იმ მომენტიდან 1 თვის ვადაში, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ამ გადანყვეტილების მიღების თაობაზე, მაგრამ არაუგვიანეს გადანყვეტილების მიღების დღიდან 6 თვისა, ხოლო თუ საერთო კრება კანონის ან წესდების მოთხოვნათა უხეში დარღვევით იქნა მოწვეული ან ჩატარებული – გადანყვეტილების მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 წლისა. გადანყვეტილების ან ინფორმაციის დამალვის შემთხვევაში შეცილების ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადანყვეტილების შესახებ. გადანყვეტილების გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

კანონის 93-ე მუხლით განისაზღვრება საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს გადანყვეტილებების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტები და ვადები. საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის გადანყვეტილების საცილოობის საფუძველია კანონმდებლობის ან წესდების მოთხოვნების დარღვევა. ამასთანავე, დაუშვებელია გადანყვეტილების ბათილობა, თუ დარღვევა არასრესებითია, რათა სიკეთეებს შორის კონფლიქტისას უპირატესობა არ მიენიჭოს მცირე დარღვევას იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას საერთო კრების გადანყვეტილებების საბოლოობასა და სანდოობას.

წინამდებარე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებში დეტალურადაა განსაზღვრული გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტთა კატალოგი:

საერთო კრების გადაწყვეტილების შეცდომების უფლება აქვს	<p>კრების მონაწილე პარტნიორს, რომელიც ესწრებოდა კრებას და გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – თავისი საწინააღმდეგო აზრი დამატებით შეიტანა საერთო კრების ოქმში ან სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები იმისა, რომ მისი საწინააღმდეგო აზრი დაუსაბუთებლად არ იქნა კრების ოქმში შეტანილი</p>
	<p>პარტნიორს, რომელიც არ დასწრებია საერთო კრებას, თუ მას სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ეთქვა უარი კრებაზე დაშვებაზე, ან კრება მოწვეულ იქნა დადგენილი წესების დარღვევით ან/და საკითხი, რომელზეც იქნა გადაწყვეტილება მიღებული, არ იყო დღის წესრიგში შეტანილი</p>
	<p>ხელმძღვანელ ორგანოს</p>
	<p>ხელმძღვანელი ორგანოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, თუ საერთო კრების გადაწყვეტილება მას ვალდებულებას აკისრებს ან უზღუდავს უფლებას</p>
სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შეცდომების უფლება აქვს	<p>პარტნიორს</p>
	<p>ხელმძღვანელ ორგანოს/ხელმძღვანელ პირს</p>
	<p>სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, თუ გადაწყვეტილება მას ვალდებულებას აკისრებს ან უზღუდავს რაიმე უფლებას</p>
ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილების შეცდომების უფლება აქვს	<p>პარტნიორს</p>
	<p>სამეთვალყურეო საბჭოს</p>
	<p>ხელმძღვანელ პირს, თუ გადაწყვეტილება მას აკისრებს ვალდებულებას ან უზღუდავს უფლებას და მან მხარი არ დაუჭერა ამ გადაწყვეტილების მიღებას</p>

გადაწყვეტილების შეცდომების შესახებ სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის ვადაა 1 თვე. ამ ვადის ათვლა უნდა მოხდეს იმ მომენტიდან, როცა შეცდომების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო მიღებული გადაწყვეტილების შე-

სახებ, მაგრამ არაუგვიანეს ნ თვისა გადანყვეტილების მიღების დღიდან. საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, კანონი გასაჩივრების კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა უხეშ დარღვევებზე რეაგირებისათვის. კერძოდ, თუ კრება მონვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, 1-თვიანი ხანდაზმულობის ვადა იზრდება 1 წლამდე. თუ მოხდა გადანყვეტილების ან ინფორმაციის დამალვა, შეცილების ერთწლიანი ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა უფლებამოსილი პირისთვის ცნობილი გახდა ასეთი გადანყვეტილების შესახებ. გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

პარი II. პარკო ნაწილი

თავი XI. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი 94. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის სამეწარმეო საზოგადოება, რომლის პარტნიორები ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას და ამ საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ უშუალოდ და შეუზღუდავად, როგორც სოლიდარული მოვალეები.
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უნდა ჰყავდეს სულ მცირე 2 პარტნიორი.

მუხლი აყალიბებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) ძირითად ნიშან-თვისებებს. მათგან უმთავრესია იურიდიული პირის სტატუსი, ერთიანი საფირმო სახელწოდება, ერთზე მეტი პარტნიორის მოთხოვნა და პარტნიორების შეუზღუდავი გარე პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებისთვის.

სპს, როგორც იურიდიული პირი, უმთავრესად, თავად აგებს პასუხს თავისი ვალდებულებებისთვის, მათ შორის მისი ორგანოების მიერ სხვისთვის მიყენებული ზიანისთვის (სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი). იმავედროულად, სპს-ის ვალდებულებებისთვის პირადად, უშუალოდ და მთელი ქონებით პასუხს აგებენ მისი პარტნიორებიც. ეს პასუხისმგებლობა, სამართლებრივი ბუნებისა და ბედის თვალსაზრისით, დამოკიდებულია თავად საზოგადოების შესაბამის ვალდებულებაზე (ე.ი. აქცესორულია). თუმცა არ არის აუცილებელი, კრედიტორმა ჯერ სპს-ის მიმართ სცადოს მოთხოვნის განხორციელება.

კრედიტორის დაკმაყოფილებისას პარტნიორს, როგორც სოლიდარულ მოვალეს, დანარჩენი პარტნიორების მიმართ, თავისი წილის გამოკლებით, აქვს უკუ-მოთხოვნის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის პირველი ნაწილი). გარდა ამისა, სრული ოდენობით რეგრესის უფლება პარტნიორს აქვს საზოგადოების მიმართ, ხარჯის ანაზღაურების ფორმით (107-ე მუხლი).

მუხლი 95. წესდებაში ცვლილების შეტანა კონსენსუსით

წესდებაში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ყველა პარტნიორის თანხმობით (კონსენსუსის პრინციპი), თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამხანაგური ტიპის სამეწარმეო საზოგადოების იდეიდან გამომდინარე, ფუნდამენტური შეთანხმებები, რომლებიც სანარმოს საქმიანობასა და მართვას ეხება, მხოლოდ ყველა პარტნიორის თანხმობით შეიძლება შეიცვალოს, რათა დაცული იყოს სანარმოში პარტნიორთა მონაწილეობის გადაწყვეტილება.

გამონაკლისი ამ პრინციპიდან დასაშვებია სადამფუძნებლო შეთანხმებით.

მუხლი 96. შენატანის განხორციელების ვალდებულება

1. თუკი პარტნიორმა წესდების მიხედვით იკისრა შენატანის განხორციელების ვალდებულება, ამ ვალდებულების წესდებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში დანარჩენ პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება შენატანის განხორციელების ვალდებულების დამრღვევი პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მხოლოდ 2 პარტნიორი ჰყავს. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მხოლოდ 2 პარტნიორი ჰყავს, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაიშალოს ამ კანონის IX თავით დადგენილი წესით.
2. პარტნიორს უფლება აქვს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელით მოითხოვოს სხვა პარტნიორის მიერ ნაკისრი შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულება და ამ მიზნით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება სასამართლოში წარმოადგინოს.
3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელით სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის უფლება პარტნიორს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ამის შესახებ შენატანის განხორციელების ვალდებულების დამრღვევი პარტნიორი წერილობით იქნა გაფრთხილებული და მან გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში არ შეასრულა აღნიშნული ვალდებულება.

სპს-ის პარტნიორები შესაძლოა, შეთანხმდნენ შენატანების განხორციელებაზე, რაც საზოგადოების პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძველია. მათ ასევე შეიძლება დათქვან შენატანის განხორციელების ვადები. ვადის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სანარმოს შეუძლია, მოსთხოვოს პარტნიორს

შენატანის განხორციელება, რომელიც უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში, თუმცა ეს მოთხოვნა საზოგადოებამ ასევე უფლების მართებულად გამოყენების პრინციპების დაცვით უნდა განახორციელოს და არა პარტნიორის მძიმე მდგომარეობით სარგებლობისა და მისი გარიცხვის მიღწევის მიზნით. ორი პარტნიორის არსებობის შემთხვევაში გარიცხვა გამორიცხულია. პარტნიორებს შეუძლიათ გადაწყვეტილებით დაშალონ საზოგადოება.

შენატანებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ფარგლებში თითოეულ პარტნიორს შეუძლია, წარმოადგინოს საზოგადოება.

გარიცხვისთვის აუცილებელია პარტნიორთა და სასამართლოს მიერ გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 97. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობა

- 1. მესამე პირებთან ურთიერთობაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვს ყველა პარტნიორს.**
- 2. პარტნიორს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, დანარჩენი პარტნიორების სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, თუ პარტნიორმა ნაკისრი ვალდებულებები უხეშად დაარღვია, ან თუ იგი მესამე პირებთან ურთიერთობაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობას სათანადოდ ვერ ახორციელებს და სხვა.**

მუხლი ხაზს უსვამს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ყველა პარტნიორის შეუზღუდავი ინდივიდუალური წარმომადგენლობის პრინციპს. იგი შესაძლოა, წარმომადგენლობის ფორმის თვალსაზრისით, სპს-ის სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიზღუდოს, მაგ., ერთი ან რამდენიმე პარტნიორისთვის წარმომადგენლობითი ინდივიდუალური ან ერთობლივი უფლებამოსილების მინიჭებით.

წარმომადგენლობის უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი, როცა სადამფუძნებლო შეთანხმების შეცვლა მხოლოდ ერთხმადაა შესაძლებელი, პარტნიორს შესაძლოა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ჩამოერთვას სასამართლოს მიერ. ამისათვის სასამართლოს დანარჩენმა პარტნიორებმა უნდა მიმართონ.

მუხლი 98. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის შესაგებელი

1. თუ პარტნიორს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულებასთან დაკავშირებით კრედიტორის მოთხოვნა წარედგინება, მას შეუძლია წარადგინოს შესაგებელი. მისი წარდგენის უფლება აქვს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ან პირადად პარტნიორს კრედიტორის აღნიშნული მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.
2. პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს იმ გარიგების შეცილების უფლება, რომელიც საფუძვლად უდევს კრედიტორის წინაშე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულებას.
3. პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვადამოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (მოთხოვნათა გაქვითვა).
4. პარტნიორის ქონების მიმართ იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად კრედიტორი ვალდებულია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან ერთად მოითხოვოს აღნიშნული პარტნიორის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თუკი სპს-ის პარტნიორს მოთხოვნა წარედგინა საზოგადოების ვალდებულებათა გამო, მას შეუძლია, თავი დაიცვას როგორც საზოგადოების კუთვნილი, ასევე პირადი შესაგებელით კრედიტორის მიმართ (პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან დამაბრკოლებელი გარემოებებით).

პირადი შესაგებლის მაგალითია საზოგადოების ან პარტნიორის კრედიტორთან შეთანხმება პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან შეზღუდვის თაობაზე. საზოგადოების შესაგებელი კრედიტორის მიმართ შეიძლება იყოს, მათ შორის: ვალდებულების შესრულება, შესრულების შეუძლებლობა, ვალის პატიება, ხანდაზმულობა. თუმცა, თუკი მხოლოდ პარტნიორის წინააღმდეგ განხორციელდა მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადაში, პარტნიორს უფლება ერთმევა, საზოგადოების მიმართ ხანდაზმულობის არგუმენტი მოიშველიოს. საზოგადოების ნაცვლად, ვალდებულების სამართლებრივი ბუნების შეცვლა პარტნიორს არ შეუძლია, მაგ., ხელშეკრულებაზე უარის თქმით, შეწყვეტით ან შეცილებით. თუმცა პარტნიორი უფლებამოსილია, უარი თქვას შეს-

რულებაზე, ვიდრე საზოგადოებას აქვს უფლება, საცილო გახადოს მოთხოვნა, ან გაქვითოს იგი.

კრედიტორს, ბუნებრივია, შეუძლია, მხოლოდ საზოგადოების წინააღმდეგაც შეიტანოს სარჩელი. თუკი მას სურს, რომ პარტნიორების ხარჯზეც დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, ისინი უნდა ჩაერთონ თანამოპასუხეებად და მოსარჩელემ მათ წინააღმდეგაც უნდა მოითხოვოს აღსრულების ფურცელი. მოპასუხედ ჩართვის გარეშე პარტნიორს ნაერთმეოდა პირადი შესაგებლის გამოყენების საშუალება.

მუხლი 99. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრება

1. პარტნიორს შეუძლია 1-კვირიანი ვადის დაცვით მოიწვიოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრება ყველა სხვა პარტნიორისთვის მოსაწვევის დაზღვეული წერილით ან ელექტრონული ფოსტით გაგზავნით. მოსაწვევი უნდა შეიცავდეს საერთო კრების დღის წესრიგის პროექტს. მოსაწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში დამატებების შეტანა. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
2. საერთო კრებაზე პარტნიორები საკუთარი შემადგენლობიდან, კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით ირჩევენ საერთო კრების თავმჯდომარეს. საერთო კრებაზე ყოველ პარტნიორს აქვს 1 ხმა.

ყველა პარტნიორს უფლება ენიჭება, მოიწვიოს პარტნიორთა კრება, მიუხედავად იმისა, მონაწილეობენ თუ არა ისინი საზოგადოების მართვაში.

ზოგადად, ყოველ პარტნიორს ერთი ხმა ენიჭება, მიუხედავად მისი მონაწილეობისა საზოგადოების ქონებაში, თუმცა სადამფუძნებლო შეთანხმება სხვაგვარ დებულებებსაც შეიძლება შეიცავდეს ხმის უფლების განსაზღვრის შესახებ.

მუხლი 100. საერთო კრების მიერ გადანყვეტილების მიღება

1. თუკი საერთო კრების მიერ მისაღები გადანყვეტილება ეხება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის საგნის შეცვლას ან სცილდება მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, მის მისაღებად აუცილებელია ყველა პარტნიორის თანხმობა, თუ წესდებით ან წესდება-

ში შეტანილი ცვლილებით, რომელიც ყველა პარტნიორის თანხმობით არის მიღებული, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ საერთო კრების გადაწყვეტილება რომელიმე პარტნიორს სხვა პარტნიორთან არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს, აუცილებელია ამ პარტნიორის თანხმობა.
3. თუ საერთო კრების მიერ მისაღები გადაწყვეტილება ეხება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და პარტნიორს შორის დავას ან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და პარტნიორს შორის დასადებ გარიგებას, ეს პარტნიორი კენჭისყრაში არ მონაწილეობს.

სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილებასთან ერთად, ყველა პარტნიორის მიერ ერთხმად გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს გადაწყვეტილებები, რომლებიც მოცემული სანარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას სცდება. თუმცა სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლოა, უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებაც იქნეს დადგენილი.

მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია პარტნიორის თანხმობა, როგორც უმცირესობაში მყოფი პარტნიორის თავდაცვის საშუალება, თუკი მოსალოდნელია გადაწყვეტილება მას არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

მე-3 პუნქტით განსაზღვრულია ინტერესთა კონფლიქტის განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა პარტნიორს ხმის უფლება ეზღუდება. ეს შეზღუდვა გამომდინარეობს კორპორაციულ-სამართლებრივი კეთილსინდისიერების პრინციპიდან (34-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამავე პრინციპიდან გამომდინარე პარტნიორს შესაძლოა გააჩნდეს ხმის მიცემის ვალდებულებაც მაგ., როცა საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ან მნიშვნელოვანი საკითხი წყდება. ამ ნაგულისხმევი ვალდებულებით, გარკვეულწილად, იზღუდება პარტნიორის ზოგადი უფლება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელოს ხმის უფლება.

მუხლი 101. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობა

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს. პარტნიორი, რომელიც სარგებლობს ამ უფლებით და არ არის ჩამოცილებული ხელმძღვანელობით საქმიანობას, ვალდებულია განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა. პარტნიორმა არ

უნდა განახორციელოს თავისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ისეთი ქმედება, რომელსაც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე სხვა პარტნიორი ეწინააღმდეგება.

2. თუ წესდებით ხელმძღვანელობის უფლებამოსილება ერთ ან რამდენიმე პარტნიორს აქვს მინიჭებული, სხვა პარტნიორები ხელმძღვანელობით საქმიანობას არ ახორციელებენ.
3. დაუშვებელია ყველა პარტნიორის ხელმძღვანელობითი საქმიანობისგან სრულად ჩამოცილება.
4. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი იურიდიული პირია, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელება მის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს ეკისრება/ეკისრებათ.

წარმომადგენლობის მსგავსად, სპს-ის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება თითოეულ პარტნიორს აქვს. მეტიც, საზოგადოების ხელმძღვანელობა პარტნიორის ვალდებულებაა (მე-3 პუნქტი).

შესაბამისად, საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, პარტნიორებს ინდივიდუალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება აქვთ. ხოლო გადანყვეტილებები, მათ შორის, რომელიც საწარმოს ხელმძღვანელობას ეხება და სცდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, საჭიროებს ყველა პარტნიორის თანხმობას.

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მიღებულ გადანყვეტილებებზეც ვრცელდება ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პარტნიორის შეწინააღმდეგების უფლება, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც, შესაბამისი ქმედება არ უნდა განხორციელდეს. ყველა პარტნიორის ხელმძღვანელობის უფლება განსხვავდება ამხანაგობის საქმეების ერთობლივი გაძლოლის ვალდებულებისგან, სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სწორედ სამწარმოო საქმიანობის საჭიროებებიდან გამომდინარე.

სადაამფუძნებლო შეთანხმებით, შესაძლოა, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება და ვალდებულება დაეკისროს ყველა პარტნიორს ერთობლივად, ასევე ერთ ან რამდენიმე პარტნიორს, ერთობლივად ან ინდივიდუალურად; ასევე შესაძლებელია გარე მენეჯერების (არაპარტნიორების) ჩართვა ხელმძღვანელობაში, თუმცა ყველა პარტნიორის ჩამოცილება ხელმძღვანელობითი საქმიანობიდან დაუშვებელია.

პარტნიორ-იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები ასრულებენ სპს-ის ხელმძღვანელის მოვალეობებს. კანონი არ კრძალავს ასევე საგანგებო წარმომადგენლის დანიშვნას სპს-ის ხელმძღვანელობაში მონაწილეობის მიზნით.

მუხლი 102. პარტნიორების თანხმობა და ხელმძღვანელი პარტნიორისთვის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ჩამორთმევა

1. ზოგიერთი გარიგების დადებისთვის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორების წინასწარ, სავალდებულო თანხმობას.
2. ხელმძღვანელ პარტნიორს უფლება აქვს, გარიგება დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშეც დადოს, თუ მისი დადების გაჭიანურება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის მძიმე შედეგებს გამოიწვევს, რის შესახებაც მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აღნიშნულ პარტნიორებს.
3. ხელმძღვანელ პარტნიორს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, დანარჩენი პარტნიორების სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, თუ პარტნიორმა თავისი ვალდებულებები უხეშად დაარღვია, ან თუ იგი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობას სათანადოდ ვერ ახორციელებს და სხვა.

სანარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებშიც კი, სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა ითვალისწინებდეს გარიგების დადებაზე პარტნიორების წინასწარ თანხმობას. თუმცა, შეზღუდვის არსებობის შემთხვევაშიც, ხელმძღვანელ პარტნიორს აქვს უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე დადოს გარიგება, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებისთვის საზიანო შედეგის თავიდან ასაცილებლად. ამის შესახებ მან დაყოვნების გარეშე უნდა აცნობოს დანარჩენ პარტნიორებს.

მუხლი 103. პარტნიორის მიერ კონტროლის განხორციელების უფლება

1. ყველა პარტნიორს, მათ შორის, იმ პარტნიორს, რომელიც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობაში არ მონაწილეობს, უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის შესახებ და გაეცნოს მის საქმიან დოკუმენტაციას. ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს.
2. ყველა პარტნიორს, მათ შორის, იმ პარტნიორს, რომელიც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობაში არ მონაწი-

ლეობს, უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულება და ამის თაობაზე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელით წარადგინოს სარჩელი.

სპს-ის პარტნიორს არსებითად შეუზღუდავი საინფორმაციო და კონტროლის უფლებები აქვს, მიუხედავად იმისა, ეკისრებათ თუ არა მათ ხელმძღვანელობის ვალდებულება.

„ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. საქმიანი დოკუმენტაცია“ მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას და დოკუმენტს, რომელიც აქვს საზოგადოებას, ან ხელმისაწვდომია მისთვის. ჩანაწერი იმპერატიულია და სადამფუძნებლო შეთანხმებით მისი შეზღუდვა დაუშვებელია.

თანაპარტნიორთა მიმართ საზოგადოების მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ყველა პარტნიორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების პრინციპიდან გამომდინარეობს. თუმცა პარტნიორი ამ უფლებას ინარჩუნებს მაშინაც, როცა მას ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის ვალდებულება და უფლებამოსილება არ ეკისრება.

ვალდებულებათა შესრულება შესაძლოა გულისხმობდეს მესამე პირისათვის საზოგადოების მოთხოვნის წარდგენას. მოთხოვნა შეიძლება ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პარტნიორის/ების მიმართაც იქნეს წარდგენილი. ამავე მოთხოვნით პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების ნაცვლად წარადგინოს სარჩელი (*actio pro socio*).

მუხლი 104. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგება და ზარალი

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დგინდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.
2. პარტნიორის წილი მოგება მიემატება ამ პარტნიორის შენატანს, თუ ის სრულად არ იყო განხორციელებული.
3. პარტნიორის წილი ზარალი და მის მიერ სამეურნეო წლის განმავლობაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ანგარიშიდან გახარჯული ფული გამოაკლდება ამ პარტნიორის წილ მოგებას.

მუხლი 105. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგებისა და ზარალის განაწილება

1. პარტნიორს უფლება აქვს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წლიური მოგებიდან, რომელიც სამეურნეო წლის ბოლოს არის დადგენილი, მოითხოვოს დივიდენდი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში მისი წილის შესაბამისი თანხის 4 პროცენტის ოდენობით. თუ წლიური მოგების თანხა საკმარისი არ არის, დივიდენდის დაანგარიშების პროცენტი შესაბამისად მცირდება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დივიდენდის დაანგარიშებისას გაითვალისწინება პარტნიორის მიერ სამეურნეო წლის განმავლობაში განხორციელებული შენატანი მისი განხორციელებიდან სამეურნეო წლის ბოლომდე დარჩენილი დროის პროპორციულად. თუ პარტნიორმა სამეურნეო წლის განმავლობაში გახარჯა ფული სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში მისი წილიდან, გახარჯული ფული/თანხა გაითვალისწინება გახარჯვამდე გასული დროის პროპორციულად.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად დივიდენდის დაანგარიშებისას თანხის გამოთვლის შედეგად დარჩენილი მოგება, აგრეთვე სამეურნეო წლის ზარალი პარტნიორებს შორის თანაბრად ნაწილდება.
4. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგების ან ზარალის განაწილების ამ მუხლით დადგენილისგან განსხვავებულ წესს.
5. პარტნიორი ვალდებული არ არის დააბრუნოს ის თანხა, რომელსაც იგი კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილი ბალანსის საფუძველზე მოგების სახით მიიღებს.

მუხლი 106. პარტნიორის მიერ ფულის გახარჯვა

1. პარტნიორს უფლება აქვს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სალაროდან საკუთარი ხარჯებისთვის გამოიტანოს ბოლო სამეურნეო წელს მისთვის განკუთვნილი წილი კაპიტალის 10 პროცენტამდე ოდენობის თანხა და, თუ ეს ამ საზოგადოებას აშკარად ზიანს არ აყენებს, მოითხოვოს ბოლო სამეურნეო წლის მოგებიდან თავისი წილი მოგების გამოტანა, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნულ თანხას.

2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორის მიერ ფულის გახარჯვისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილისგან განსხვავებულ წესებს, მათ შორის, პარტნიორის მიერ ფულის გახარჯვის თაობაზე საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, პარტნიორს არ აქვს უფლება, თავის წილ კაპიტალს მოაკლოს თანხა დაწარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე.

საზოგადოების ვალებისთვის კრედიტორთა წინაშე პარტნიორთა პირადი და შეუზღუდავი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, წილობრივი მონაწილეობის გამოანგარიშებისა და ქონების განაწილების წესს კანონი მხოლოდ დისპოზიციურად განსაზღვრავს (104-ე და 105-ე მუხლები).

104-ე მუხლის მიხედვით, წილობრივი მონაწილეობის გამოანგარიშების დისპოზიციური წესი განმარტებულია მოცემულ მაგალითში:

სპს-ის პარტნიორებმა A-მ და B-მ, შესაბამისად, 100 000 და 200 000 შეიტანეს სპს-ის კაპიტალში.

საკუთარი კაპიტალი – პარტნიორ A-ს კაპიტალის ანგარიში – 100 000, პარტნიორ B-ს კაპიტალის ანგარიში – 200 000.

პირველ სამეურნეო წელს სპს-ის მოგებამ შეადგინა 9 000, მე-2 წელს – 90 000. მე-3 სამეურნეო წელს სპს-მ განიცადა ზარალი 120 000-ის ოდენობით. მე-4 სამეურნეო წელს მოგებამ 30 000 შეადგინა. B-მ საწარმოს თანხებიდან პირადი მიზნებისთვის დახარჯა 50 000.

წილობრივი მონაწილეობის (მოგება-ზარალის) დაანგარიშება. წელი 1-ლი: კაპიტალი – 300 000; A-ს წილი – 100 000; B-ს წილი – 200 000. წელი მე-2: კაპიტალი 309 000; A-ს წილი – 103 000; B-ს წილი – 106 000. წელი მე-3: კაპიტალი 399 000; A-ს წილი – 133 000; B-ს წილი – 166 000; მე-4 წელი: კაპიტალი 279 000; A-ს წილი – 93 000; B-ს წილი – 186 000. წელი მე-5: კაპიტალი 259 000; A-ს წილი – 103 000; B-ს წილი – 156 000.

კანონის თანახმად, ასევე დისპოზიციურ დანაწესს ეფუძნება მოგების განაწილება სპს-ში, რომელიც ითვალისწინებს როგორც სპს-ის ამხანაგურ ბუნებას (პარტნიორთა თანაბარი, შენატანისგან დამოუკიდებელი უფლება-მოვალეობები ერთმანეთის და საზოგადოების მიმართ), ასევე კაპიტალში თითოეული პარტნიორის წილობრივი მონაწილეობის ოდენობას. შესაბამისად, პარტნიორს აქვს უფლება, თავდაპირველად მიიღოს საზოგადოების კაპიტალში მისი წილობრივი მონაწილეობის თანხობრივი ეკვივალენტის 4% (პროცენტი წილობრივ კაპიტალზე); დარჩენილი თანხა კი თანაბრად ნაწილდება პარტნიორებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოგება ნაკლებია თანხაზე, რომელიც აუცილებელია თითო-

ეული პარტნიორის წილის 4%-ის დასაფარავად, პროცენტიც შესაბამისად შემცირდება. მოცემულ მაგალითში პირველი წლის მოგება ვერ ფარავს 4%-იანი კოეფიციენტის მოთხოვნას (ე.ი. 4,000 + 8, 000), შესაბამისად, იგი 3%-იანი კოეფიციენტით განაწილდება (3 000 + 6 000).

მუხლი 107. პარტნიორისთვის ხარჯების ანაზღაურება

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვალდებულია პარტნიორს აუნაზღაუროს ყველა ის აუცილებელი ხარჯი, რომელიც მან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად გასწია.

სანარმოს ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პარტნიორის პასუხისმგებლობა პირდაპირია. ამდენად, კრედიტორს შეუძლია, უშუალოდ პარტნიორს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. 107-ე მუხლიდან გამომდინარე, პარტნიორს, რომელმაც შეასრულა კრედიტორის მოთხოვნით სანარმოს ვალდებულება, უფლება აქვს, სპს-ისგან მოითხოვოს გადახდილი თანხა, როგორც „აუცილებელი ხარჯი, რომელიც მან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე გაიღო“. კრედიტორის დაკმაყოფილებისას პარტნიორს, როგორც სოლიდარულ მოვალეს, ასევე აქვს დანარჩენი პარტნიორების მიმართ, თავისი წილის გამოკლებით, უკუმოთხოვნის უფლება, ე.ი. შესაბამისად მოქმედებს სოლიდარულ მოვალეთა შორის ანგარიშსწორების წესები (სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის პირველი ნაწილი).

შიდა ვალდებულებების გადანაწილება დაშვებულია სხვაგვარადაც, თუ ამას სადამფუძნებლო ან პარტნიორთა შეთანხმება ითვალისწინებს.

107-ე მუხლი სპს-ის მიზნებისთვის დავალების და ამხანაგობის ხელშეკრულების ფარგლებში რწმუნებულის და ხელმძღვანელი პირის ხარჯების ანაზღაურების წესის სულისკვეთებას გადმოსცემს (სამოქალაქო კოდექსის 717-ე მუხლი).

მუხლი 108. პარტნიორის მიერ წილის გასხვისება

- 1. პარტნიორს შეუძლია ყველა სხვა პარტნიორის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში გაასხვისოს თავისი წილი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**
- 2. პარტნიორის მიერ წილის გასხვისებისთვის საჭიროა წერილობითი ხელშეკრულება.**

ამხანაგური ტიპის სამეწარმეო საზოგადოების პერსონალური ბუნებიდან გამომდინარე, მასში წილის (წევრობის) დათმობა (გასხვისება) გართულებულია. იგი ყველა დანარჩენი პარტნიორის თანხმობას საჭიროებს. თუმცა ეს მოთხოვნა დისპოზიციურია და დამფუძნებელი შეთანხმებით, შესაძლოა, უფრო „თავისუფალი“ რეჟიმი დაწესდეს, მაგ., უარი ითქვას თანხმობის ვალდებულებაზე. სპს-ის სადამფუძნებლო შეთანხმებით, ასევე შეიძლება დაწესებულ იქნეს წილის გასხვისების სხვა წინაპირობებიც.

ამავე გართულებული რეჟიმის გამოსატყულებაა წერილობითი ფორმის მოთხოვნა.

მუხლი 109. პარტნიორის გასვლა ან გარიცხვა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის სურვილის შემთხვევაში პარტნიორმა ამის შესახებ სამეწარმეო წლის დასრულებამდე სულ ცოტა 6 თვით ადრე უნდა განაცხადოს.
2. თუ პარტნიორის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში გაკოტრების პროცესი იწყება, იგი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასულად მიიჩნევა გაკოტრების რეჟიმის დაწყების მომენტიდან.
3. თუ პარტნიორმა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე ნაკისრი არსებითი მოვალეობა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეასრულა, ან თუ იგი ამ მოვალეობას ვეღარ ასრულებს, ან თუ არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი, სხვა პარტნიორების მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ.

სპს-ის პარტნიორის უფლების გამოყენება, გავიდეს საზოგადოებიდან, ამხანაგობის მსგავსი დებულებებისგან განსხვავებით (სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება), არ იწვევს საზოგადოების დაშლას.

იმისათვის, რომ გასვლამ უარყოფითი შედეგი არ გამოიღოს საზოგადოებისთვის, პირველი პუნქტი გასვლისთვის საგანგებო ვადას ითვალისწინებს. კერძოდ, გასვლა ხორციელდება მხოლოდ სამეწარმეო წლის ბოლოსთვის. გასვლის

შესახებ პარტნიორმა ამ მომენტამდე, სულ მცირე, 6 თვით ადრე უნდა განაცხადოს. გასვლის წინაპირობები შესაძლოა, დეტალურად გაინეროს სადამფუძნებლო შეთანხმებით, მათ შორის შეიზღუდოს იგი, მაგ., გამოირიცხოს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გასვლა პარტნიორზე გადახდის უზუნარობის გახსნის მიზეზით. თუმცა სადამფუძნებლო შეთანხმებით ვერ შეიზღუდება საპატიო მიზეზით (მნიშვნელოვანი საფუძვლით) გასვლის უფლება.

თუკი სადამფუძნებლო შეთანხმება გასვლის უფლების მიზეზებზე არაფერს ამბობს, პარტნიორს (ვადის დაცვის პირობით) ნებისმიერ დროს შეუძლია, გავიდეს საზოგადოებიდან. ამ შემთხვევაშიც კეთილსინდისიერებისა და უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპები, კონკრეტულ გარემოებებში, გასვლის დასაშვებობის შინაარსობრივ ფარგლებს ადგენს.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც სპს-იდან პარტნიორის გასვლა არ იწვევს საზოგადოების დაშლას, ორწევრიანი სპს-იდან პარტნიორის გასვლაზეც გამოიყენება. თუმცა, მსგავს შემთხვევაში სამენარმეო რეესტრის ჩანაწერი სპს-ის შესახებ ხარვეზიანია. პარტნიორებს შეუძლიათ, დაშლა ახალი პარტნიორის მიღებით თავიდან აიცილონ, რაზეც გადაწყვეტილება გასვლის ძალაში შესვლამდე უნდა იყოს მიღებული.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს დარჩენილი პარტნიორების გადაწყვეტილება ერთხმად, თუმცა ამ მხრივ სადამფუძნებლო შეთანხმება ნაკლებ უმრავლესობასაც შეიძლება ითვალისწინებდეს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს სპს-ის სარჩელს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, რომლის შეტანა ხელმძღვანელ პარტნიორს შეუძლია და ევალება.

„მნიშვნელოვანი საფუძვლის“ ამომწურავი საკანონმდებლო განერა შეუძლებელია. ზოგადად, გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს პარტნიორის მიერ არსებითი ვალდებულების დარღვევა, რამაც პარტნიორთა შორის ნდობა გამოუსწორებლად დააზიანა და საფრთხე შეუქმნა საზოგადოების საქმიანობის ნორმალურად წარმართვას. ასევე შეიძლება, მოვალეობის შეუსრულებლობას არაბრალეული შეუძლებლობაც დაედოს საფუძვლად, მაგ., ხანგრძლივი ავადმყოფობა. თუმცა საზოგადოების საქმიანობის ნორმალური განვითარება საფრთხის ქვეშაა, „მნიშვნელოვნად საფუძვლად“ შეიძლება განხილულ იქნეს პირადი უთანხმოებაც პარტნიორებს შორის, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საზოგადოების საქმიანობას.

სადამფუძნებლო შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს გარიცხვის კონკრეტულ საფუძვლებს, მათ შორის ამომწურავადაც, ან გამოირიცხავდეს კიდევ პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას.

მუხლი 110. ურთიერთობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის/გარიცხვის შემდეგ

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის/გარიცხვის შემთხვევაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მისი წილი დაემატება სხვა პარტნიორების წილებს ამ წილების პროპორციულად.
2. სხვა პარტნიორები ვალდებული არიან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასული/გარიცხული პარტნიორი გაათავისუფლონ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალებისგან და მას გადაუხადონ კომპენსაცია იმ თანხის ოდენობით, რომელსაც იგი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შემთხვევაში მიიღებდა. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასული/გარიცხულ პარტნიორს უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება არ აქვს. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასული/გარიცხული პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების კრედიტორების წინაშე ნაკისრი ის ვალდებულებები, რომლებიც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან მის გასვლამდე/გარიცხვამდე წარმოიშვა, ძალაში რჩება ამ პარტნიორის გასვლიდან/გარიცხვიდან 3 წლის განმავლობაში.
3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების ღირებულება უნდა შეფასდეს იმ დღისთვის, როდესაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა ძალაში შედის ან პარტნიორის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში გაკოტრების პროცესი იწყება ანდა აღიძვრება სარჩელი პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ. შესაბამისი მოთხოვნა უნდა შესრულდეს გამოყოფის ბალანსის წარდგენისას.

სპს-იდან პარტნიორის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში მისი წილი პროპორციულად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონებაში გადანაწილდება დანარჩენ პარტნიორებს შორის.

კანონის 110-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი, რომლითაც „პარტნიორები ვალდებულნი არიან, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გამსვლელი ან გარიცხული პარტნიორი გაათავისუფლონ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალებისაგან“, მოქმედებს მხოლოდ შიდა ურთიერთობაში და არ წარმოადგენს კრედიტორის წინაშე ყოფილი პარტნიორის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ საფუძველს.

საზოგადოების კრედიტორების მიმართ ყოფილი პარტნიორის პასუხისმგებლობას ეხება 110-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც მას ძალაში ტოვებს მხოლოდ „ძველი“ ვალებისთვის და მხოლოდ გასვლიდან 3 წლის განმავლობაში (ე.ი. იმ ვალდებულების მიმართ, რომელთა სამართლებრივი საფუძველი წარმოიშვა პარტნიორის გასვლამდე, ხოლო მისგან გამომდინარე მოთხოვნა ვადამოსული გახდა და განხორციელდა გასვლიდან 3 წლის განმავლობაში)¹. მსგავსი წესი მოქმედებს წილის გასხვისების შემთხვევაშიც.

კომპენსაციის გადახდის მიზნით, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების ღირებულება უნდა შეფასდეს იმ დღისათვის, როცა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლა ძალაში შედის სამეურნეო წლის ბოლოს, გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოების დაწყებით, თუკი ეს საფუძველი არ არის გამორიცხული სადამფუძნებლო შეთანხმებით. გარიცხვის შემთხვევაში, ქონების ღირებულება განისაზღვრება გარიცხვის თაობაზე სარჩელის შეტანის თარიღით.

მუხლი 111. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის გარდაცვალება

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი დაემატება სხვა პარტნიორების წილებს. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეებს უნდა გადაუხადოს ამ კანონის 110-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. თუ წესდებით გათვალისწინებულია, რომ გარდაცვლილი პარტნიორი მისმა მემკვიდრემ უნდა ჩაანაცვლოს, ყოველ მემკვიდრეს შეუძლია მიიღოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება, იმის მიხედვით, მიენიჭება თუ არა მას კომანდიტის სტატუსი და მიიჩნევა თუ არა გარდაცვლილი პარტნიორის შენატანიდან მისი კუთვნილი წილი საკომანდიტო შენატანად.
3. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომანდიტის წილი მოგება განისაზღვრება გარდაცვლილი პარტნიორის შენატანიდან მემკვიდრის კუთვნილი წილის მიხედვით.

¹ კანონით სასურველია ერთგვარი მიდგომა დადგინდეს ყოფილ პირადად პასუხისმგებელ პარტნიორთან დაკავშირებით. ამდენად, უმჯობესია მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი (გარდაქმნა) ასევე 3-წლიან გამომრიცხავ ვადას ადგენდეს.

4. თუ დანარჩენი პარტნიორები არ დაეთანხმებიან გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის კომანდიტად დარჩენას ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოიყენება ამ მუხლის პირველი პუნქტი.
5. გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრემ შეიძლება შესაბამისი განცხადება გააკეთოს მემკვიდრეობის მიღებიდან 6 თვის ვადაში. თუ მემკვიდრე არ შედის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, როგორც სოლიდარულად პასუხისმგებელი პარტნიორი, იგი პასუხს აგებს ამ საზოგადოების იმ ვალებისთვის, რომლებიც მისი სტატუსის გარკვევამდე წარმოიშვა, და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი იმ წესების შესაბამისად, რომლებიც საანდერძო დანაკისრისთვის მემკვიდრის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს.
6. თუ პარტნიორობა გარდაცვლილი პარტნიორის რამდენიმე მემკვიდრეს სურს, ისინი თანაპარტნიორები იქნებიან.
7. გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის მიერ მისი კომანდიტის სტატუსით ჩანაცვლება იწვევს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების კომანდიტურ საზოგადოებად გარდაქმნას, რაზედაც არ ვრცელდება ამ კანონით სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციისთვის დადგენილი ნორმები. კომანდიტური საზოგადოება ვალდებულია უზრუნველყოს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის კომანდიტური საზოგადოების მარეგულირებელ წესებთან შესაბამისობა გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის მიერ მისი კომანდიტის სტატუსით ჩანაცვლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის ვადაში.

დისპოზიციური წესის მიხედვით, პარტნიორის გარდაცვალება გასვლის მსგავს შედეგებს იწვევს. გარდაცვლილის წილი პროპორციულად ნაწილდება დარჩენილ პარტნიორებზე. კომპენსაციაზე უფლების მქონე პირებად კი პარტნიორის მემკვიდრეები მიიჩნევიან. განსხვავებული შედეგები სადამფუძნებლო შეთანხმებით უნდა მოწესრიგდეს. ამხანაგობისაგან განსხვავებით (სამოქალაქო კოდექსის 939-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), პარტნიორის გარდაცვალება მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს საზოგადოების დაშლის საფუძვლად, თუკი ეს სადამფუძნებლო შეთანხმებით არის გათვალისწინებული.

შესაძლოა, სადამფუძნებლო შეთანხმებით დადგენილ იქნეს გარდაცვლილი წევრის წილის მემკვიდრეობით გადასვლის შესაძლებლობა. მემკვიდრეობა, ანუ, თუ ვის დარჩება წილი, შესაძლოა, მამკვიდრებლის მიერ ანდერძით განისაზღვროს. თუკი ანდერძი არ არსებობს ან შესაბამისი დანაწესი არ არის გათვალისწინებული მასში, მოქმედებს კანონისმიერი მემკვიდრეობის წესი: ერთზე მეტი მემკვიდრის შემთხვევაში, გაუგებრობის პრაქტიკული გართულებების თა-

ვიდან ასაცილებლად, ერთი წილის მიმღები მემკვიდრის შესახებ ჩანაწერი იქნეს გათვალისწინებული, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს სტატუსს (მაგ., მხოლოდ მეუღლე ან შვილი), ასაკს, განათლებას ან სხვა გარემოებას. ასეთი ჩანაწერის არარსებობისას მემკვიდრეები წილის თანამესაკუთრეები ხდებიან. სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა, ითვალისწინებდეს სხვაგვარ წესს, მაგ., ცალკე წილების გადაცემას სამკვიდრო ქონებაში თითოეული მემკვიდრის წილის შესაბამისად.

პოტენციური პარტნიორი უნდა დაეთანხმოს მის ახალ სტატუსს, ვინაიდან პარტნიორად შესვლა ვალდებულებებსაც ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე. თუმცა სამკვიდროს მიღების შემთხვევაშიც, ყოველ მემკვიდრეს დამატებით უფლება ეძლევა, მისი შესვლა საზოგადოებაში კომანდიტის სტატუსის მინიჭებას და მამკვიდრებლის შენატანი კომანდიტის შენატანად განხილვას დაუკავშიროს.

პარტნიორების თანხმობა იწვევს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების კომანდიტურ საზოგადოებად გამარტივებულ გარდაქმნას. დანარჩენ პარტნიორებს უფლება აქვთ, უარი თქვან პოტენციური პარტნიორის წინაპირობის შესრულებაზე, რაც, ვადის დაუცველად, საზოგადოებიდან გასვლის უფლებას წარმოშობს. მემკვიდრის სტატუსის გარკვევამდე – არაუმეტეს 3 თვე სამკვიდროს მიღებიდან – იგი პასუხს აგებს საზოგადოების ამ პერიოდში წარმოშობილ ვალდებულებებზე მიღებული სამკვიდროში მისი წილის ღირებულების ფარგლებში.

თავი XII. კომანდიტური საზოგადოება

მუხლი 112. კომანდიტური საზოგადოების ცნება

1. კომანდიტური საზოგადოება არის სამენარმეო საზოგადოება, რომლის პარტნიორები ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ახორციელებენ სამენარმეო საქმიანობას და რომელთაგან სულ მცირე 1 პარტნიორის პასუხისმგებლობა კომანდიტური საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია შესაბამისი საგარანტიო თანხის ოდენობით (კომანდიტი), ხოლო სხვა პარტნიორი/პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს/აგებენ უშუალოდ და შეუზღუდავად, როგორც სოლიდარული მოვალეები (კომპლემენტარი).
2. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ამ კანონის ზოგადი ნაწილით დადგენილ წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სპს-ისგან განსხვავებით, კომანდიტურ საზოგადოებაში ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებისთვის შეზღუდულია მათ მიერ შეტანილი ე.წ. საგარანტიო თანხით.

ვინაიდან კომანდიტური საზოგადოება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონათესავე, საგანგებო ფორმაა, ამ ფორმის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებთან ერთად გამოიყენება სპს-ის მომწესრიგებელი დებულებები. ორივე ფორმა – სპს და კს – ამხანაგური ტიპის სამენარმეო იურიდიული პირებია. ამდენად, დამატებით და სუბსიდიურად შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის ამხანაგობის მომწესრიგებელი წესების გამოყენება (სამოქალაქო კოდექსის 930-ე და მომდევნო მუხლები).

კომანდიტის პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისთვის გამოირიცხულია, თუკი მან ბოლომდე განახორციელა თავისი შენატანი (საგარანტიო თანხა). სხვა შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის სამართლებრივი ბუნება ისეთივეა, როგორც კომპლემენტარისა, თუმცა შეზღუდულია შეუტანელი შენატანის ოდენობით.

მუხლი 113. კომანდიტის მიერ კონტროლის განხორციელების უფლება

1. კომანდიტს უფლება აქვს, მოითხოვოს კომანდიტური საზოგადოების წლიური ანგარიშის ასლი და შესაბამისი საქმიანი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე შეამოწმოს ამ ანგარიშის სისწორე.

2. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი კომანდიტის განცხადების საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს კომანდიტური საზოგადოების ბალანსისა და წლიური ანგარიშის მონაცემების, აგრეთვე სხვა ინფორმაციისა და დოკუმენტების მისთვის წარდგენა.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლება კომანდიტს არ შეიძლება ჩამოერთვას ან შეეზღუდოს წესდებით.

მიუხედავად იმისა, რომ კომანდიტი ე.წ. პასიური პარტნიორია – არ მონაწილეობს ხელმძღვანელობაში, არ წარმოადგენს საზოგადოებას – მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების სისწორე დამოუკიდებლად ან ექსპერტის მეშვეობით. პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული შემომწმების უფლებათა თავისებურება ის არის, რომ იგი შეზღუდულია წლიური ფინანსური ანგარიშგებით და მისი გაგების ან სისწორის შემომწმებისთვის საჭირო დოკუმენტაციით. შესაბამისად, მისი უფლებები უფრო შეზღუდულია, ვიდრე 103-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპლემენტარის უფლებები.

მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, მაგ., როცა არსებობს განსაკუთრებული საჭიროება კომანდიტის უფლებების დაცვისა, კომანდიტს შეუძლია, მოითხოვოს სხვა ინფორმაცია და დოკუმენტაციაც, ე.ი. რომელიც დაკავშირებული არ არის ფინანსური ანგარიშგების სისწორის შემომწმებისთვის. აქაც კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს, თუ რა ინფორმაცია და დოკუმენტაცია აუცილებელი კომანდიტის უფლებათა დაცვისთვის. სასამართლოს ჩართულობა აუცილებელი ხდება, თუკი საზოგადოება არ დააკმაყოფილებს კომანდიტის მოთხოვნას.

სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლოა, მხოლოდ გაფართოვდეს ეს უფლებები.

მუხლი 114. კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელობა

1. კომანდიტს არ შეუძლია იმოქმედოს კომანდიტური საზოგადოების ჩვეულებრივი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში კომპლემენტარების მიერ განხორციელებული ხელმძღვანელობითი საქმიანობის საწინააღმდეგოდ. თუ კომპლემენტარების მოქმედება სცილდება კომანდიტური საზოგადოების ჩვეულებრივ სამენარმეო საქმიანობას, საჭიროა საერთო კრების გადაწყვეტილება, რომლის მიღებაში კომანდიტებიც მონაწილეობენ.

2. თუ კომანდიტს ხელშეკრულებით მინიჭებული აქვს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება, იგი კომანდიტური საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო. კომანდიტის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება წილის შემძენზე არ გადადის.

ზოგადად, კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელობაზე ვრცელდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესები. კომპლემენტარები სარგებლობენ ინდივიდუალური ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით, თითოეულის პროტესტის უფლების გათვალისწინებით.

კომანდიტები არ მონაწილეობენ სანარმოს ხელმძღვანელობაში. ამასთან, ხელმძღვანელობიდან ჩამოცილებული კომპლემენტარების მსგავსად, მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში და ასევე აქვთ პროტესტის უფლება, თუკი გადაწყვეტილება სცდება სანარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს (იხ. მე-100 მუხლის პირველი პუნქტი, 101-ე მუხლის პირველი პუნქტი).

თუკი კომანდიტს სადამფუძნებლო შეთანხმებით ნაწილობრივ ან სრულად აქვს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მინიჭებული, მასზე შესაბამისად ვრცელდება შპს-ის დირექტორის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. შპს-ის ხელმძღვანელობაზე მითითება განპირობებულია კომანდიტის, როგორც პასიური „გარეშე“ პარტნიორის სტატუსით, რომელიც უფრო მონვეულ მენეჯერს უახლოვდება, ვიდრე კომპლემენტარ-ხელმძღვანელს.

მუხლი 115. კომანდიტის ხმის უფლება

1. კომანდიტს აქვს საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება.
2. კომანდიტს საერთო კრებაზე ხმის უფლება აქვს მხოლოდ კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ყოველ კომანდიტს აქვს 1 ხმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კომანდიტს ხმის უფლება აქვს, თუკი გადაწყვეტილება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს სცდება.

სადამფუძნებლო შეთანხმებით მისი ხმის უფლება შესაძლოა, გაფართოვდეს. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ მისაღები გადაწყვეტილებ-

ბისთვის კომანდიტის ხმის უფლების შეზღუდვა მისი არსებითი უფლების შეზღუდვაა და დაუშვებელია.

მუხლი 116. კომანდიტის საგარანტიო თანხა

1. კომანდიტის საგარანტიო თანხა კომანდიტური საზოგადოების კრედიტორების მიმართ განისაზღვრება რეესტრში მითითებული საგარანტიო თანხის ოდენობით.
2. კომანდიტი კომანდიტური საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საგარანტიო თანხით. თუ საგარანტიო თანხა სრულად არ არის შეტანილი, კომანდიტი კომანდიტური საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ განუხორციელებელი შენატანის ოდენობითაც.
3. კომანდიტისთვის საგარანტიო თანხის დაბრუნების შემთხვევაში კომანდიტური საზოგადოების კრედიტორების მიმართ საგარანტიო თანხა შეტანილად არ მიიჩნევა.
4. რეესტრში მითითებული საგარანტიო თანხის არარეგისტრირებულ მომატებას კრედიტორები შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეყრდნონ, თუ მომატება საქმიან ურთიერთობებში დამკვიდრებული წესით გახდება ცნობილი ან კომანდიტური საზოგადოება ამის შესახებ კრედიტორებს სხვა გზით შეატყობინებს.

კომანდიტის პირადი პასუხისმგებლობისთვის კრედიტორების მიმართ გამსაზღვრელია საგარანტიო თანხის რეგისტრირებული და გამოქვეყნებული ოდენობა.

თუკი საზოგადოება დაუბრუნებს (გადაუხდის) კომანდიტს საგარანტიო თანხას ან მის ნაწილს, მაშინ, შესაბამისად, კვლავ წარმოიშობა კომანდიტის პირადი პასუხისმგებლობა. დაბრუნება მოიცავს, ზოგადად, ყველა გადახდას, რომლის შედეგადაც კომანდიტის შენატანის (კაპიტალის) ანგარიში რეგისტრირებულ საგარანტიო თანხაზე მეტად შემცირდება, მათ შორის მოგების განაწილებით, ან ე.წ. ფარული დაბრუნებითაც, ე.ი., როცა საზოგადოება სრულფასოვან საპასუხო შესრულებას ვერ იღებს (მაგ., შეუსაბამოდ დიდი ნასყიდობის ფასის გადახდა). თუმცა კომანდიტს არ აქვს ერთხელ სრულად განხორციელებული საგარანტიო თანხის კვლავ შევსების ვალდებულება.

რეგისტრაციამდე საგარანტიო თანხის ოდენობის მომატებას კრედიტორები ვერ დაეყრდნობიან, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ეს ფაქტი მათთვის ჩვეულებ-

რევი საქმიანი ურთიერთობიდან გახდა ცნობილი ან საზოგადოებამ თავად შეატყობინა მათ ამის შესახებ.

მუხლი 117. კომანდიტის საგარანტიო თანხის შემცირება

კომანდიტის საგარანტიო თანხის შემცირება არ იწვევს მისი პასუხისმგებლობის შემცირებას, თუ კრედიტორის წინაშე კომანდიტური საზოგადოების ვალდებულება მისი საგარანტიო თანხის შემცირებამდე წარმოიშვა.

კრედიტორული მოთხოვნებისთვის, რომელთა სამართლებრივი საფუძველი საგარანტიო თანხის შემცირების რეგისტრაციამდე წარმოიშვა, საგარანტიო თანხის შემცირება სამართლებრივ შედეგს არ იწვევს. შესაბამისად, კრედიტორის მიმართ კომანდიტის შესაძლო პირადი პასუხისმგებლობა, ამ საფუძვლის წარმოშობის დროისთვის საგარანტიო თანხის რეგისტრირებული ოდენობაა განმსაზღვრელი.

მუხლი 118. კომანდიტური საზოგადოების წარმომადგენლობა

მესამე პირებთან ურთიერთობაში კომანდიტურ საზოგადოებას წარმომადგენენ კომპლემენტარები, თუ წესდებით კომპლემენტარს წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეზღუდული არ აქვს.

118-ე მუხლი იმეორებს ამხანაგური ტიპის საზოგადოების შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორების მიერ ინდივიდუალური წარმომადგენლობის პრინციპს. შესაბამისად, გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი დებულებები.

მუხლი 119. კომანდიტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

კომანდიტური საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება კომანდიტს აქვს მხოლოდ მინდობილობის საფუძველზე, რომელსაც კომპლემენტარები გასცემენ.

კომანდიტს შეუძლია, იყოს საზოგადოების წარმომადგენელი მინდობილობით, ისევე როგორც პროკურისტი. კომანდიტის მიერ წარმომადგენლობითი

უფლებამოსილების გარეშე დადებულ გარიგებაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი წესები (სამოქალაქო კოდექსის 111-ე, 113-ე მუხლები)

მუხლი 120. კომანდიტური საზოგადოების მოგებისა და ზარალის განაწილება

1. კომანდიტის წილი მოგება მხოლოდ მანამდე დაერიცხება კომანდიტური საზოგადოების კაპიტალში მის წილს, სანამ ეს წილი წესდებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხის ოდენობას არ მიაღწევს.
2. კომანდიტი კომანდიტური საზოგადოების ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობს თავისი საგარანტიო თანხისა და მის მიერ განუხორციელებელი შენატანის ოდენობით.

მუხლი 121. კომანდიტის მიერ მოგების მიღება

1. კომანდიტმა კუთვნილი მოგება შეიძლება მიიღოს მხოლოდ თავისი წილის პროპორციულად. მას არ შეუძლია მოითხოვოს ეს მოგება, ვიდრე მისი შენატანი წესდებით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლებია.
2. კომანდიტი ვალდებული არ არის დააბრუნოს ის თანხა, რომელსაც იგი კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილი ბალანსის საფუძველზე მოგების სახით მიიღებს.

კომანდიტს მოგებაში მონაწილეობის უფლება აქვს იმდენად, რამდენადაც მისი შენატანი სრულად არის შევსებული (მათ შორის არ არის შემცირებული ზარალში მონაწილეობის შედეგად).

შენატანის შევსების შემდეგ კომანდიტის მოგებაში მონაწილეობის უფლება განისაზღვრება მისი შენატანის ოდენობით ნილობრივ კაპიტალში.

ამ თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესები (105-ე მუხლი).

სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლოა, კანონისგან განსხვავებული წესები განისაზღვროს, როგორც კომპლემენტარების, ასევე კომანდიტების მოგებასა და ზარალში მონაწილეობის თაობაზე.

კომანდიტის შენატანი თავისი ბუნებით კორპორაციაში პარტნიორის მიერ განხორციელებულ შენატანს უახლოვდება, ვინაიდან კრედიტორების წინაშე კომანდიტის პასუხისმგებლობის შეზღუდვის წინა პირობაა. მისი ოდენობა ასევე მიეთითება სადამფუძნებლო შეთანხმებაში, რომელსაც მესამე პირები უნდა დაეყრდნონ.

საგარანტიო თანხა, როგორც ფინანსური ტვირთის საზომი, კომანდიტის-თვის შიდა ურთიერთობაშიც განმსაზღვრელია. შესაბამისად, ზარალები კომანდიტის ანგარიშს (კაპიტალში) გამოაკლდება მხოლოდ საგარანტიო თანხის საერთო ოდენობამდე. შესაბამისად, 105-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენება, რომლის მიხედვითაც ზარალები თანაბრად ნაწილდება პარტნიორებზე, კომანდიტის შემთხვევაში შეზღუდულია შენატანის ოდენობამდე.

მუხლი 122. კომანდიტის მიერ წილის გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა

- 1. კომანდიტმა თავისი წილი შეიძლება გაასხვისოს ან მემკვიდრეობით გადასცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**
- 2. კომანდიტის მიერ წილის გასხვისებისთვის საჭიროა წერილობითი ხელშეკრულება.**

კომანდიტის მიერ თავისი წილის (მონაწილეობის) დათმობას ან მემკვიდრეობით გადაცემას მხოლოდ მაშინ სჭირდება თანაპარტნიორთა თანხმობა, თუკი ამას სადამფუძნებლო შეთანხმება ითვალისწინებს. შესაბამისი გარემოებების დადგომისას (არასრულად განხორციელებული საგარანტიო შენატანი, ან საგარანტიო თანხის დაბრუნება) ყოფილი კომანდიტი, ახალ კომანდიტთან ერთად, კრედიტორების წინაშე კვლავ აგებს პასუხს შეუტანელი შენატანით, იმ ვალდებულებებისთვის, რომლებიც წარმოიშვა მის გასვლამდე, გასვლიდან 3 წლის განმავლობაში; ასევე ეკუთვნის ხარჯების ანაზღაურებისა და რეგრესის უფლება თანაპარტნიორებისა და საზოგადოების მიმართ (107-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლი).

თავი XIII. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი 123. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის სამენარმეო საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წილებად, ხოლო ამ საზოგადოების ვალდებულებებისთვის პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდულია.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კრედიტორის წინაშე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პარტნიორთა ვალდებულებებისთვის პასუხს არ აგებს.

მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უმთავრეს ნიშან-თვისებებს:

- სამართალსუბიექტურობას;
- კაპიტალის წილებად დაყოფას;
- შეზღუდულ პასუხისმგებლობას.

საკანონმდებლო ჩანაფიქრით, შპს მისადაგებულია იმ მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტების მოთხოვნილებებზე, რომელთა წილები არ არის დაშვებული საჯარო შეთავაზებისთვის.

კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ოდენობის თვალსაზრისით შეზღუდვას არ შეიცავს.

მუხლი 124. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი პირისგან. რამდენიმე ხელმძღვანელი პირის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება შესაბამისი ნორმები სააქციო საზოგადოების ორგანოების შესახებ. ხელმძღვანელი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი.

2. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისას პარტნიორთა გადაწყვეტილებას დაემორჩილოს.
3. ხელმძღვანელი პირი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც, კანონის ან წესდების თანახმად, არ განეკუთვნება პარტნიორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას. ამასთანავე, საერთო კრება უფლებამოსილია ამ კანონის 195-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.
4. ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება ამ კანონითა და სასამსახურო ხელშეკრულებით, რომელსაც ხელმძღვანელ პირთან დებს საერთო კრება, ხოლო მართვის დუალისტური სისტემის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭო.
5. ხელმძღვანელი პირის გარდაცვალების, თანამდებობიდან გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში პარტნიორებმა ახალი ხელმძღვანელი პირი 1 თვის ვადაში უნდა აირჩიონ.

საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა დირექტორის უფლებამოსილება და ვალდებულებაა. ამ ფუნქციათა სრული ან არსებითად სრული გადანდობა დაუშვებელია.

მე-3 პუნქტი ასევე ადგენს შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიღების დისპოზიციურ კომპეტენციას. კერძოდ, თუკი კანონით ან წესდებით გარკვეულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის მიკუთვნებული საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს (არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციას, დირექტორი (ხელმძღვანელი ორგანო) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება.

ამავე დროს, სააქციო საზოგადოებისგან განსხვავებით (იხ. 203-ე მუხლის მე-2 პუნქტი), პარტნიორებს უფლება აქვთ, საწარმოს ხელმძღვანელობის საკითხებთან დაკავშირებით სავალდებულო მითითებები მისცენ დირექტორს. ამ პრინციპის გამოძახილია მე-2 და მე-3 პუნქტის დებულებები, რომლის მიხედვითაც, დირექტორი ვალდებულია პარტნიორთა მითითებებს დაემორჩილოს, მათ შორის საწარმოს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებების განხორციელებისას. გარდა ამისა, პარტნიორებს კვალიფიციური – სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილებისთვის აუცილებელი – უმრავლესობით შეუძლიათ იმ საკითხებზეც მიიღონ გადაწყვეტილება, რომლებიც სადამფუძნებლო შეთანხმებით დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება.

თუკი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობა კოლექტიური ორგანოს მიერ ხორციელდება, მის ფუნქციონირებაზე შესაბამისად (ე.ი. შპს-ის თავისებურებების გათვალისწინებით, მათ შორის კანონის დისპოზიციურობის პრინციპის (იხ. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი), ვრცელდება სააქციო საზოგადოების შესაბამისი დებულებები (იხ. 203-207 მუხლები).

კანონის მიხედვით, დირექტორი შესაძლებელია ასევე იყოს იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ვალდებულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა სოლიდარულად უნდა გავრცელდეს იურიდიულ პირზე და ფიზიკურ პირზე/პირებზე, რომელთა მეშვეობითაც იგი დირექტორის უფლებამოსილებებს ახორციელებს.

დირექტორთან სანარმოს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება სასამსახურო ხელშეკრულებით. სასამსახურო ხელშეკრულების პირობებს ამტკიცებენ პარტნიორები, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ ხელშეკრულების დადებისას სანარმოს წარმომადგენლობის წესს.

სანარმოს ინტერესების დაცვის მიზნით, დირექტორის ვაკანტური თანამდებობა უნდა შეივსოს ერთი თვის ვადაში.

მუხლი 125. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო

- 1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქმნის სამეთვალყურეო საბჭოს, თუ კანონი ან წესდება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს არსებობას.**
- 2. სამეთვალყურეო საბჭოზე შესაბამის შემთხვევაში ვრცელდება ამ კანონის 209-ეგ220-ე მუხლები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**
- 3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე ვრცელდება ამ კანონის 51-ე და 53-ე მუხლები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეიძლება გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭო. მასზე ვრცელდება სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი შესაბამისი დებულებები. თუმცა, დისპოზიციური მოწესრიგების პრინციპიდან გამომდინარე, შპს-ის წესდებით შეიძლება შესაბამისი საკანონმდებლო დებულებების მოდიფიცირება და მათი მისადაგება სანარმოს თავისებურებებზე.

მუხლი 126. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების
პარტნიორთა გადანყვეტილება

1. პარტნიორთა გადანყვეტილების მიღება აუცილებელია შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად:
 - ა) ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
 - ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება;
 - გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შექცევა;
 - დ) წილებიდან ან წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება;
 - ე) პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან;
 - ვ) პარტნიორის გასვლა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან;
 - ზ) ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა, მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება;
 - თ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა კანონით არის გათვალისწინებული;
 - ი) სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა, არჩევის ვადის განსაზღვრა, გათავისუფლება;
 - კ) დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;
 - ლ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საქმიანობის ანაზღაურების განსაზღვრა;
 - მ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა);
 - ნ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეორგანიზაცია;
 - ო) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლა;
 - პ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების/წესდების ცვლილების მიღება.
2. პარტნიორთა გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარტნიორის ხმების რაოდენობა გამოითვლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში ამ პარტნიორის წილის მიხედვით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების/წესდების ცვლილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მო-

ნანილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.

4. იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეხება წილების რომელიმე კლასთან დაკავშირებული უფლების ცვლილებას (მათ შორის, უფლების განხორციელების პროცედურის ცვლილებას), დამატებით საჭიროებს ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის განთავსებულ წილებთან დაკავშირებული ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 3/4-ის მფლობელთა თანხმობას, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორებმა ერთხმად მიიღეს, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
5. თუ პარტნიორი, მისალეები გადაწყვეტილების თანახმად, თავისუფლდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებისგან, მისი ვალდებულების მოცულობა მცირდება, გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას, მორიგებას ან სარჩელზე უარის თქმას, ამ პარტნიორს არ აქვს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლება. მას ასევე არ აქვს უფლება, სხვა პარტნიორის სახელით მისცეს ხმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მინდობილობა ამ საკითხს ეხება.

მუხლი შეიცავს პარტნიორების (საერთო კრების) კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების არაამომწურავ ჩამონათვალს.

კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, შესაძლებელია ცალკეული უფლებამოსილებების წესდებით ან წესდების შემცვლელი უმრავლესობით საერთო კრების მიერ დელეგირება სანარმოს სხვა ორგანოებზე (დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო). ამგვარი დელეგირების საშუალება ეხება მაგ. „ა“ – „გ“ პუნქტებს. თუკი შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო „ზ“, „კ“ და „მ“ პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს დირექტორების ნაწილში სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, თუკი წესდებით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

სხვა პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებამოსილებებს უშუალოდ პარტნიორები ახორციელებენ.

მე-2 პუნქტი ადგენს უბრალო უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების დისპოზიციურ პრინციპს. შესაძლებელია წესდებით უბრალო უმრავლესობაზე უფრო მკაცრი მოთხოვნა დანესდეს ან ადგენდეს 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ალტერნატივის გამოყენებას („თანამდებობის პირის ან/და ორგანოს არჩევისთვის ან ალტერნატიული წინადადების კენჭისყრისთვის წესდება შეიძლება ადგენდეს განსხვავებულ წესებს, მათ შორის, ითვალისწინებდეს ხმათა უფრო მცირე რაოდენობას“).

მე-3 პუნქტი იმპერატიულია. წესდებით შესაძლებელი მხოლოდ უმრავლესობის მოთხოვნის გამკაცრება, რაც წესდების/სადაამფუძნებლო შეთანხმების სტაბილურობას და უმცირესობაში მყოფი პარტნიორების დაცვას ემსახურება.

იგივე მიზანს ისახავს მე-4 პუნქტი, რომელიც წილთა კლასებთან დაკავშირებული უფლებების ცვლილების გართულებულ პროცედურას ემსახურება. გარდა სართო კრების (პარტნიორების) $\frac{3}{4}$ მიღებული გადაწყვეტილებისა, მისი ნამდვილობისთვის, აუცილებელია ცვლილებას დაქვემდებარებული კლასის განთავსებულ წილებთან დაკავშირებული ხმების საერთო ოდენობის $\frac{3}{4}$ -ის მფლობელთა თანხმობა. ამ პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია წესდების დებულების თანახმად, რომელიც ყველა პარტნიორის მიერ ერთხმად არის მიღებული¹.

მე-5 პუნქტი პარტნიორის ინტერესთა კონფლიქტის სხვადასხვა შემთხვევისას ხმის უფლების შეზღუდვას ადგენს. ინტერესთა კონფლიქტის დადგენილი შემთხვევების არსებობისას პარტნიორს ასევე შეზღუდული აქვს თანაპარტნიორების კრებაზე (გადაწყვეტილების მიღებისას) წარმოდგენის უფლება, თუკი მას საგანგებოდ ამ საკითხის გადასაწყვეტად არ აქვს თანაპარტნიორ(ებ)ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული. მე-5 პუნქტის ჩანაწერი „გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგებას“ მოიცავს დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულების პირობებსაც, თუმცა არა თავად დირექტორად დანიშვნის გადაწყვეტილებას. ამგვარი გადაწყვეტილება კორპორაციული აქტია, რომელში მონაწილეობის უფლებაც პარტნიორ კანდიდატს კანონით არ ეზღუდება.

მუხლი 127. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრება

- 1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო, ხოლო წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭო საერთო კრებას ინვესტ ნელინადში ერთხელ მაინც, გარდა ამ კანონის 129-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.**
- 2. საერთო კრება, რომელიც იხილავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის წლიურ შედეგებს, მოიწვევა წლიური ბალანს-**

¹ 135-ე მუხლის მე-4 პუნქტი 126-ე მუხლის მე-4 პუნქტის თითქმის იდენტურ ჩანაწერს შეიცავს. გარდა ამისა, 135-ე მუხლში (მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მხოლოდ უფლების ცვლილებაზეა საუბარი, ნახსენებია „ვალდებულებების შესრულების პროცედურის ცვლილება“ რაც არ შეესაბამება 126-მუხლის მე-4 პუნქტის ერთ-ერთ მიზანს - კერძოდ კლასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულების შემოღების შეუძლებლობას უმრავლესობის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, 135-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ვალდებულებების ნაწილში უნდა დაექვემდებაროს ყველა პარტნიორის თანხმობის წინა პირობას.

სის შედგენიდან ნ თვის ვადაში, თუ წესდებით უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული.

3. საერთო კრება ტარდება ხელმძღვანელი ორგანოს, ხოლო წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან და პარტნიორებისთვის მოსაწვევების გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული ვადა. საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს პარტნიორის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას.
4. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა შეიცავდეს საერთო კრების დღის წესრიგს.
5. პარტნიორს უფლება აქვს, ხელმძღვანელ ორგანოს მოთხოვოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ პარტნიორის მოთხოვნა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ან შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. პარტნიორს შეუძლია ამავე წესით მოითხოვოს დღის წესრიგში საკითხის შეტანა/დამატება. საერთო კრების დღის წესრიგის საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემაზე ან დღის წესრიგში საკითხის შეტანის მოთხოვნაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებითი ინტერესების დასაცავად, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.
6. საერთო კრებაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი პირები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და სხვა პირები.

პირველი პუნქტი შეიცავს წელიწადში ერთხელ კრების მოწვევის დისპოზიციურ ვალდებულებას. არ არის სავალდებულო, თუკი სადამფუძნებლო შეთანხმება ითვალისწინებს კრების მოწვევის გარეშე პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. კრების მოწვევის უფლებამოსილება და ვალდებულება სანარმოს ხელმძღვანელ ორგანოს ეკუთვნის. წესდებით შესაძლებელია ეს უფლებამოსილება გაფართოვდეს და მოწვევის უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოს (არსებობის შემთხვევაში) მიენიჭოს. ამასთან, მუხლი მიზნად არ სახავს ამ უფლების მქონე პირთა განსაზღვრის თვალსაზრისით სანესდებო ავტონომიის შეზღუდვას მაგ. ამ უფლების პარტნიორებისთვის (მათ შორის ნებისმიერი პარტნიორისთვის) მინიჭებას.

მორიგი კრება, როგორც წესი, მოინვევა სანარმოს წლიური ფინანსური შედეგების განხილვისა და მოწონების მიზნით. მე-2 პუნქტით დადგენილია ამ მიზნით კრების მოწვევა წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული კრების მოწვევაზე უფლებამოსილმა ორგანომ კრება უნდა მოინვიოს, სულ მცირე, 14-დღიანი ვადის დაცვით, მოწვევიდან კრების თარიღამდე. თუმცა სანარმოს თავისებურებებიდან გამომდინარე (მაგ.: პარტნიორთა ოდენობა, ადგილსამყოფელი) სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლოა, განისაზღვროს სხვა უფრო მცირე ან დიდი ვადა. კრების მოწვევის ადგილის განსაზღვრას, ზოგადად, კანონი არ ზღუდავს. არ არის აუცილებელი, კრება მხოლოდ სანარმოს იურიდიულ მისამართზე ჩატარდეს. თუმცა კვლავ, სანარმოს თავისებურებებიდან გამომდინარე, მოწვევის ადგილი და დრო საგანგებოდ არ უნდა აბრკოლებდეს პარტნიორების მიერ კრებაზე დასწრების უფლებას.

მე-3 პუნქტი კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას მოითხოვს. გამოქვეყნებად ითვლება კრების მოწვევის თაობაზე ინფორმაციის განთავსება მარეგისტრირებული ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე (იხ. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი). გარდა ამისა, პარტნიორებს კრების თაობაზე მოსაწვევი უნდა გაეგზავნოს. კანონმდებლის მიზანი პარტნიორებისთვის კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. დასაშვებია ასევე ელექტრონული (მაგ. ელექტრონული ფოსტით) პარტნიორების მოწვევა. შპს-ის მომწესრიგებელი ნორმების დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სადამფუძნებლო შეთანხმება/წესდება შესაძლოა განსხვავებულად აწესრიგებდეს მოწვევის საკითხს; მაგ. ითვალისწინებდეს მოწვევას მხოლოდ გამოქვეყნების ან მოსაწვევების დაგზავნით, ან გამოქვეყნების შესაძლებლობას სანარმოს ვებსაიტზე, ნაცვლად მარეგისტრირებული ორგანოს ერთიანი ელექტრონული პორტალისა.

მე-4 პუნქტი კრების მოწვევის შეტყობინებაში მხოლოდ დღის წესრიგის მითითებას მოითხოვს. სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლოა, სხვა მოთხოვნებიც დადგინდეს. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება და, ზოგადად, პარტნიორებისათვის კრების მიერ განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა ემსახურებოდეს პარტნიორთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უფლების განხორციელებას.

მე-5 პუნქტი კრებასთან დაკავშირებით პარტნიორის ინფორმაციის მიღების და კრებაზე აზრის გამოთქმის უფლებას ეხება. პარტნიორის მიერ განმარტებების მოთხოვნა წერილობით კრების თარიღამდე, სულ მცირე, სამი დღით ადრე იქნება წარდგენილი. იგი უნდა შესრულდეს კრებამდე ან კრების მიმდინარეობისას. თუმცა დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნაც სანარმოს ხელმძღვანელ-

მა ან სამეთვალყურეო ორგანომ, შეძლებისდაგვარად, უნდა გაითვალისწინოს. თუმცა მცირე შუალედის გამო, ამგვარი მოთხოვნების მიმართ ამომწურავი განმარტების ვალდებულების დადგენა მიზანშეუწონელია. პარტნიორს ასევე შეუძლია, მოითხოვოს დღის წესრიგში საკითხის დამატება. თუკი წარდგენის ვადა დარღვეულია, პარტნიორს შესაძლოა, საკითხის მომზადების შეუძლებლობის გამო, უარი ეთქვას საკითხის დამატებაზე.

აღნიშნული უფლებების განხორციელებაზე (განმარტებების მიცემაზე ან დღის წესრიგში საკითხის დამატებაზე) უარი წერილობით უნდა დასაბუთდეს მიმართვის ადრესატი ორგანოს მიერ. უარი გამართლებულია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს კომერციული საიდუმლოების კონკურენტების მიერ გამოყენების რეალური რისკით ან პარტნიორის მიერ მიღებული ინფორმაციის სანარმოს საზიანოდ, – რაც არ ამოიწურება მხოლოდ მატერიალური ზიანით, – გამოყენების საფრთხით.

მუხლში მითითებული უფლებების განხორციელება არ არის დამოკიდებული იმაზე, აქვს თუ არა პარტნიორს ხმის უფლება, ან არის თუ არა მისი ხმის უფლება შეზღუდული კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 128. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრება

1. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს/აქვთ ხელმძღვანელ ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს (არსებობის შემთხვევაში), ხოლო ხელმძღვანელი პირების არყოფნის შემთხვევაში (გარდაცვალება, თანამდებობიდან გადადგომა, მათი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა და სხვა) – პარტნიორს/პარტნიორებს, რომელიც/რომლებიც ფლობს/ფლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების ან ხმის უფლების მქონე წილების სულ მცირე 5 პროცენტს.
2. პარტნიორს/პარტნიორებს, რომელიც/რომლებიც ფლობს/ფლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების ან ხმის უფლების მქონე წილების სულ მცირე 5 პროცენტს (ინიციატორი პარტნიორი/პარტნიორები), უფლება აქვს/აქვთ, წესდების შესაბამისად კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს მოსთხოვოს/მოსთხოვონ პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევა. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ბოლო საერთო კრების ჩატარებიდან არაუადრეს 1 თვისა.

3. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ ინიციატორი პარტნიორის/პარტნიორების მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და უნდა შეიცავდეს მისი დღის წესრიგის საკითხებს. ამ საკითხების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათს. საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანო ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა ჩაატაროს პარტნიორთა რიგგარეშე კრება.
4. თუ პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ ინიციატორი პარტნიორის/პარტნიორების მოთხოვნის წარდგენიდან 20 დღის ვადაში ის არ მოიწვევა, ინიციატორ პარტნიორს/პარტნიორებს უფლება აქვს/აქვთ, თავად მოიწვიოს/მოიწვიონ რიგგარეშე კრება, დაამტკიცოს/დაამტკიცონ მისი დღის წესრიგი და აირჩიოს/აირჩიონ რიგგარეშე კრების თავმჯდომარე ამ კანონის 36-ე მუხლით დადგენილი წესით. პარტნიორთა რიგგარეშე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხმების უმრავლესობის მფლობელი პარტნიორები.
5. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის ხარჯები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ეკისრება. პარტნიორთა რიგგარეშე კრება მოიწვევა და ტარდება საერთო კრებისთვის ამ კანონით ან წესდებით დადგენილი ზოგადი წესების დაცვით.

ზოგადად, საწარმოს რიგგარეშე კრებას იწვევს კრების მოწვევაზე უფლებამოსილი ორგანო, საწარმოს საჭიროებიდან გამომდინარე. თუკი ამ უფლებამოსილების განხორციელება შესაბამისი ორგანოს მიერ შეუძლებელია დირექტორის გარდაცვალების, თანამდებობიდან გადადგომის ან მისი უფლებამოსილებების შეწყვეტის გამო, მოწვევა შეუძლიათ პარტნიორებს, რომლებიც ფლობენ წილების, სულ მცირე, 5%-ს. წესდება შესაძლოა რიგგარეშე კრების მოწვევის ნაკლებად შემზღუდავ წესებს ითვალისწინებდეს (მაგ. 5% ზე ნაკლებ ზღვარს ადგენდეს, ვრცლად აწესრიგებდეს „ხელმძღვანელ პირთა არყოფნის“ შინაარსს).

მეორე ნაწილი ეხება პარტნიორთა მიერ რიგგარეშე კრების ინიცირების უფლებას. ამ უფლების განხორციელება ხდება კრების მოწვევაზე უფლებამოსილი ორგანოსადმი წერილობითი მიმართვის გზით. დღის წესრიგის საკითხები უნდა უკავშირდებოდეს საწარმოს საქმიანობას, მათ შორის შესაძლო სამომავლო გეგმებს. ინიციატორებმა ასევე უნდა დაასაბუთონ რიგგარეშე კრების ჩატარების აუცილებლობა. იმის გათვალისწინებით რომ წესდება შეიძლება შეიცავდეს 127-ე მუხლის მე-3 პუნქტისგან განსხვავებულ, მათ შორის, უფრო ხანგრძლივ

ვადას, რიგგარეშე კრების ჩატარების მაქსიმალური ვადა ინიციატორების წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 3 თვეა (მე-4 პუნქტ.). თუმცა, თუკი კრება არ იქნება მოწვეული მიმართვიდან 20 დღის ვადაში, ინიციატორ პარტნიორს შეუძლია, მოიწვიოს კრება. მოწვევის პროცედურაზე, შესაბამისად, ვრცელდება კრების მოწვევის მიმართ დადგენილი ზოგადი მოთხოვნები. კრების მოწვევის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად დამატებითი გარანტიის შესაქმნელად კანონი სავალდებულოდ ადგენს ასეთი კრების გადანყვეტილებაუნარიანობის მოთხოვნას. კანონის მიხედვით მოწვეული რიგგარეშე კრების ხარჯები საზოგადოებას ეკისრება. შესაბამისად, საკითხზე დავის შემთხვევაში სასამართლომ (საზოგადოებას შეუძლია გაასაჩივროს პარტნიორის/ების მიერ კრების მოწვევა მე-3 პუნქტში მითითებული პროცედურული და შინაარსობრივი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო) უნდა დაადგინოს რიგგარეშე კრების მოწვევის უფლების გამოყენების მართლზომიერება, მათ შორის, მე-2 პუნქტის შინაარსობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე (გონივრული კავშირი საწარმოს საქმიანობასთან, რიგგარეშე კრების აუცილებლობა).

მუხლი 129. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრების გადანყვეტილების საერთო კრების ჩატარების გარეშე მიღება

1. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პარტნიორთა გადანყვეტილების მისაღებად საერთო კრების მოწვევა აუცილებელი არ არის. საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანო/პირი გადასაწყვეტი საკითხების შემცველ დღის წესრიგს და პარტნიორთა გადანყვეტილების პროექტს უგზავნის პარტნიორებს მათ რეგისტრირებულ მისამართებზე, ხოლო წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ელექტრონული ფორმით. გზავნილი პარტნიორთა გადანყვეტილების პროექტსა და დღის წესრიგთან ერთად უნდა შეიცავდეს:
 - ა) მითითებას იმ ვადაზე, რომელშიც პარტნიორებმა საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს წერილობით უნდა აცნობონ თავიანთი პოზიცია გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ვადა განსაზღვრულია წესდებით ან გადანყვეტილების პროექტით. თუ აღნიშნული ვადა წესდებით ან გადანყვეტილების პროექტით განსაზღვრული არ არის, ის 15 დღეს შეადგენს და აითვლება პარტნიორის მიერ გადანყვეტილების პროექტის მიღებიდან;
 - ბ) გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელ ყველა ინფორმაციას/მონაცემს და დოკუმენტს;

გ) წესდებით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებსა და ინფორმაციას/ მონაცემებს.

2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორის წერილობით პოზიციასზე პარტნიორის ხელმოწერის სანოტარო წესით დამონმებას.
3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში პარტნიორი საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს წერილობით არ აცნობებს თავის თანხმობას პარტნიორთა გადაწყვეტილების პროექტზე, მიიჩნევა, რომ იგი ამ პროექტს არ ეთანხმება.
4. პარტნიორთა გადაწყვეტილების საერთო კრების ჩატარების გარეშე მიღებისას ხმათა უმრავლესობა გამოითვლება ყველა პარტნიორის ხმების საერთო რაოდენობიდან.
5. ამ მუხლის თანახმად მიღებულ პარტნიორთა გადაწყვეტილებას ხელს აწერს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანო. იგი მის ასლებს, რომლებზედაც მითითებულია გადაწყვეტილების მიღების თარიღი, უგზავნის პარტნიორებს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

მუხლი ეხება პარტნიორთა კრების გარეშე პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებას. მისი მიზანია, ორგანიზაციული ხარჯების დაზოგვის საშუალება მისცეს სანარმოს. ამასთან, კრების ინიციატორმა ორგანომ (პარტნიორმა) უნდა უზრუნველყოს პარტნიორთა სათანადო ინფორმირება გადასაწყვეტი საკითხების შესახებ, მიაწოდონ მათ დღის წესრიგი, გადაწყვეტილების პროექტები და ყველა საჭირო ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით.

ასევე უნდა იქნეს განსაზღვრული გადასაწყვეტ საკითხებზე პარტნიორთა წერილობითი პოზიციის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის ჩაბარების გონივრული ვადა, თუკი სადამფუძნებლო შეთანხმება მსგავს ვადას არ ითვალისწინებს. კანონი დისპოზიციურად ადგენს 15-დღიან ვადას, შესაბამისი პარტნიორის მიერ გადაწყვეტილების პროექტის მიღებიდან. თუკი თანხმობა არ იქნება საზოგადოებისთვის ჩაბარებული დადგენილი ვადის განმავლობაში, ითვლება, რომ პარტნიორი საკითხის შემოთავაზებული ფორმით გადაწყვეტას არ ეთანხმება.

კრების გარეშე პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღების თავისებურების გამო მიცემულ დადებით ხმათა რაოდენობა გამოითვლება ყველა პარტნიორის ხმის უფლებათა გათვალისწინებით.

სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა, ადგენდეს ხმის მიცემის დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის ნოტარიული დადასტურების მოთხოვნას, რაც დამატებითი გარანტიაა ხმის მიცემის პროცესში არაკეთილსინდისიერი ჩარევის წინააღმდეგ.

გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება ყველა პარტნიორის მიერ პოზიციის დაფიქსირების ან შესაბამისი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. შესაბამისი გადაწყვეტილების ოქმს ადგენს და ხელს აწერს გადაწყვეტილების ინიციატორი. გადაწყვეტილება უნდა დაეგზავნოს პარტნიორებს.

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, კრების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა (მათ შორის ვადები) სანარმოს სადამფუძნებლო შეთანხმებამ/წესდებამ შეიძლება განსხვავებულად მოაწესრიგოს. ამ შემთხვევაშიც დაცულ უნდა იქნას პარტნიორთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნები.

მუხლი 130. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის საერთო კრებაში მონაწილეობა

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საერთო კრებაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (მინდობილობა) გაიცემა წერილობით, ერთ ან რამდენიმე საერთო კრებაზე წარმომადგენლობის ან გარკვეული ვადის განმავლობაში წარმომადგენლობის უფლებით.
2. საერთო კრებაში პარტნიორის წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის თაობაზე უნდა ეცნობოს საერთო კრების მომწვევ ორგანოს და მას შესაბამისი მინდობილობა ამ კრების ჩატარებამდე ან კრების დაწყებისთანავე უნდა წარედგინოს.

კრებაში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობაზე შესაბამისად ვრცელდება გარიგებაში წარმომადგენლობის წესები (სამოქალაქო კოდექსის 103-ე-114-ე მუხლები).

პირველი პუნქტი ადგენს მინდობილობის შინაარსობრივ ფარგლებს. კერძოდ, იგი შეძლება გაიცეს პარტნიორის მიერ წარმომადგენელზე გარკვეული ვადით ან კრებათა რაოდენობის მითითებით. სადამფუძნებლო შეთანხმება, სანარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მინდობილობის სხვა წინაპირობებს, მათ შორის შეზღუდვებსაც, ადგენდეს. თუმცა იგი უსამართლოდ არ უნდა ზღუდავდეს კრებაში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლებას.

პარტნიორის წარმომადგენლობის შესახებ მინდობილობა მოითხოვს წერილობით ფორმას. ასევე შეიძლებაა გამოყენებულ იქნას მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით შემოთავაზებული ალტერნატივა (ხელმოწერის შესრულება „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“

საქართველოს კანონის შესაბამისად). ხელმოწერის ნამდვილობის ნოტარიული დადასტურება ან მინდობილობის ნოტარიული დამონშება სავალდებულო არ არის, თუმცა შესაძლოა დადგენილ იქნეს წესდებით.

მუხლი 131. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ხმის მიცემისა და პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის წესები და პირობები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ხმის მიცემისა და პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის წესები და პირობები დგინდება წესდებით. აუცილებელია, ამ წესებსა და პირობებზე მიეთითოს საერთო კრების მოწვევის შესახებ დოკუმენტში ან პარტნიორთათვის გაგზავნილ პარტნიორთა გადაწყვეტილების პროექტში. თუ წესდება აღნიშნულ წესებსა და პირობებს არ ადგენს, მათ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო განსაზღვრავს.
2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პარტნიორს, რომელიც საერთო კრებაში არც პირადად და არც წარმომადგენლის მეშვეობით არ მონაწილეობს, შეუძლია ამ კრების ჩატარებამდე დისტანციურად, წერილობით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით მისცეს ხმა მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პარტნიორმა მონაწილეობა მიიღო საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში.
3. თუ წესდებით დაშვებულია საერთო კრებაზე დამსწრე ან არმყოფი პარტნიორის მიერ ხმის ტექნიკური საშუალების გამოყენებით მიცემა, ამგვარად მიცემული ხმა მხოლოდ მაშინ იქნება გათვალისწინებული, თუ შესაძლებელია ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირისა და შესაბამისი წილების სარწმუნო იდენტიფიცირება. ნების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გამოვლენისას აუცილებელია, იგი დადასტურდეს ნოტარიუსის მიერ ან ელექტრონული ხელმოწერით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირისა და შესაბამისი წილების სარწმუნო იდენტიფიცირებისთვის პასუხისმგებელი არიან საერთო კრების თავმჯდომარე და ამ კრების მომწვევი ორგანო.

იხ. ასევე 36-ე მუხლის განმარტება.

მუხლი უმთავრესად ეხება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და კორესპონდენციით ხმის მიცემის უფლებას.

მსგავსი საშუალებების გამოყენებას შესაძლოა, ითვალისწინებდეს საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება.

ამგვარი შესაძლებლობებით სარგებლობის წესსა და პირობებს ადგენს სადამფუძნებლო შეთანხმება ან დირექტორი. ასევე შესაძლოა, გამოყენების ზოგადი საფუძვლები აისახოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში, ხოლო ტექნიკური განხორციელების პირობები დადგინდეს დირექტორის გადაწყვეტილებით. უმთავრესი წინა პირობა არის ის, რომ ტექნიკური საშუალებებით ხმის მიცემის ნამდვილობისთვის ხმის მიცემის საიმედო იდენტიფიცირება უზრუნველყოფილ იყოს.

ტექნიკური საშუალებებით, ასევე კორესპონდენციით ხმის მიცემა, გადაწყვეტილებაუნარიანობის დადგენის მიზნებისთვის, ითვლება კრებაზე დასწრებად.

წესდება შეიძლება დეტალურად ანესრიგებდეს ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესებს. ასევე ითვალისწინებდეს პარტნიორებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამონაწილეობის სხვა საშუალებებსაც - მაგ. ვირტუალური კეთებების ჩატარებას. ამ შემთხვევაშიც, გათვალისწინებულ უნდა იქნას მე-3 პუნქტის მოთხოვნები პარტნიორთა, წარმომადგენელთა იდენტიფიცირებისა და ნების გამოვლენის სანდოობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 132. ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში

წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს ასარჩევად გამოიყენება ამ კანონის 199-ე მუხლით გათვალისწინებული ხმების აკუმულირების მეთოდი.

იხ. 199-ე მუხლის განმარტება.

მუხლი 133. წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში

1. წილი არის უფლების საგანი, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში პარტნიორის შენატანი განისაზღვრება მისი წილის პროპორციულად.

პირველი პუნქტი წილის, როგორც უფლების, განსაზღვრის მცდელობაა. დეფინიციის მიხედვით, წილი, როგორც უფლება, ვლინდება სანარმოს კაპიტალში (equity) პირის მონაწილეობით და მას შესაბამისი უფლება-მოვალეობები უკავშირდება.

მე-2 პუნქტი წილისა და შესაბამისი შენატანის პროპორციულობის დისპოზიციურ პრინციპს ადგენს, რომლისგან გადახვევა დასაშვებია სადამფუძნებლო შეთანხმებით/წესდებით ასევე პარტნიორთა შეთანხმებით/ხელშეკრულებით (იხ. ასევე 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

მუხლი 134. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალი

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს განთავსებული კაპიტალი.
2. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების მქონე წილები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს ნომინალური ღირებულების მქონე წილების ჯამს. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას განთავსებული აქვს როგორც ნომინალური ღირებულების მქონე წილები, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა აღემატება ნომინალური ღირებულების მქონე წილების ჯამს. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალი ეროვნულ ვალუტაში უნდა გამოისახოს.
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალის თავდაპირველი ოდენობა განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით. განთავსებული კაპიტალის ოდენობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას პარტნიორები იღებენ.
5. სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს წილების/რომელიმე კლასის წილების მისაღები მინიმალური შენატანი (წილის ნომინალური ღირებულება). სხვადასხვა კლასის წილების ნომინალური ღირებულებები შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ოდენობით.

დაფუძნების გართულების თავიდან ასაცილებლად, კანონი არ განსაზღვრავს განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და არც

მისი, როგორც საკუთარი კაპიტალის, სავალდებულო შემადგენელი ნაწილის არსებობას ადგენს. შესაბამისად, საწარმო შესაძლოა, არსებობდეს განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის, როგორც მყარი ოდენობის გარეშე.

თუკი პარტნიორები გადაწყვეტენ, რომ განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი, როგორც მყარი ციფრი, გაითვალისწინონ საკუთარი კაპიტალის სტრუქტურაში და ამასთან საწარმოს მხოლოდ ნომინალური ღირებულების წილები აქვს განთავსებული, განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი უნდა უდრიდეს წილების ნომინალური ღირებულების ჯამს. ამ გზით უზრუნველყოფილია განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის და წილების ურთიერთკავშირი და გამოხატავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის წილებად დაყოფის პრინციპს (123-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამავე პრინციპიდან გამომდინარე, თუკი საზოგადოების განთავსებული წილების ნაწილს არ გააჩნია ნომინალური ღირებულება, განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს. სხვა შემთხვევაში, განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით ეროვნულ ვალუტაში.

საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის ოდენობას, რომლის ცვლილებაც პარტნიორთა კომპეტენციას მიეკუთვნება.

მე-5 პუნქტი განსაზღვრავს წილის ნომინალური ღირებულების ცნებას, რაც უკავშირდება სანაცვლოდ მინიმალური შენატანის ოდენობას. კანონი უშვებს ასევე სხვადასხვა წილისთვის სხვადასხვა ოდენობის ნომინალური ღირებულების დადგენას, ამ შემთხვევაში, სხვადასხვა ნომინალური ღირებულების წილი სხვადასხვა კლასს მიეკუთვნება.

მუხლი 135. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების კლასები

1. წესდებით შეიძლება დაშვებულ იქნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების განსხვავებული კლასების არსებობა. წილები, რომლებიც იდენტურ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს, წილების ერთ კლასს ქმნის.
2. ერთი კლასის ყველა წილის ნომინალური ღირებულება ერთი და იგივე უნდა იყოს.
3. სხვადასხვა კლასის წილებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს და მათ შინაარსს აწესრიგებს წესდება.
4. იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეხება წილების რომელიმე კლასთან დაკავშირებული უფლების ცვლილებას (მათ შორის, უფლების გან-

ხორციელების ან ვალდებულების შესრულების პროცედურის ცვლილება), დამატებით საჭიროებს შესაბამისი კლასის განთავსებულ წილებთან დაკავშირებული ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 3/4-ის მფლობელთა თანხმობას, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორებმა ერთხმად მიიღეს, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონი არსებითად სრულ თავისუფლებას აძლევს პარტნიორებს, სანარმოს საჭიროებებს მოარგონ კაპიტალის სტრუქტურა, კერძოდ წილებთან დაკავშირებული და უფლებებისა და მოვალეობების თვალსაზრისით. ეს თავისუფლება არ ამოიწურება ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული წილების გამოშვებით. სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა განსაზღვრავდეს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც წილების თითოეულ კლასს უკავშირდება, მათ შორის განკარგვის ან უფლებრივი დატვირთვის შეზღუდვებს.

მინორიტარების დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, წილებთან დაკავშირებული უფლებების ცვლილება, პარტნიორთა გადანყვეტილების გარდა, საჭიროებს შესაბამისი კლასის განთავსებულ წილებთან დაკავშირებული ხმების საერთო რაოდენობის 3/4-ის მფლობელ პარტნიორთა თანხმობას.

მუხლის მე-4 პუნქტი 126-ე მუხლის მე-4 პუნქტის თითქმის იდენტურ ჩანაწერს შეიცავს. გარდა ამისა, 135-ე მუხლში (მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მხოლოდ უფლების ცვლილებაზეა საუბარი) ნახსენებია „ვალდებულებების შესრულების პროცედურის ცვლილება“ რაც არ შეესაბამება 126-მუხლის მე-4 პუნქტის ერთ-ერთ მიზანს - კლასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულების შემოღების შეუძლებლობას უმრავლესობის გადანყვეტილებით. შესაბამისად, 135-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ვალდებულებების ნაწილში უნდა დაექვემდებაროს ყველა პარტნიორის თანხმობის წინა პირობას.

მუხლი 136. წილის სახეები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ ახალი წილების გამოშვება

1. წილი განთავსებულად მიიჩნევა, თუ ის გასცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ სხვა პირზე გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა ამ საზოგადოებას ეს საზღაური.
2. წილები, რომელთა განთავსების შესახებ გადანყვეტილება პარტნიორთა გადანყვეტილებით ან წესდებით განსაზღვრულმა ორგანომ მიიღო ან პარტნიორებმა მიიღეს, არის გამოშვებული წილები. გამოშვებული წილები რეესტრში აღირიცხება და განთავსებამდე უფლებებსა და მოვალეობებს არ წარმოშობს. წილების განთავსებას ახორციელებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო.

3. წილი, რომელიც პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად შესაძლოა მომავალში იქნეს გამოშვებული და განთავსებული, არის ნებადართული წილი. ნებადართული წილის ოდენობა, კლასი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში შესაბამისი წილი, აგრეთვე მისი ნომინალური ღირებულება (თუ ასეთი ღირებულება დადგენილია) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა აისახოს.
4. პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში და რომელთა შესაბამისადაც უნდა იქნეს გამოშვებული და განთავსებული ნებადართული წილები.
5. ნებადართული წილების ფარგლებში წილების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ პარტნიორები ან იღებს წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს წილების ოდენობას, ნომინალურ ღირებულებას (თუ ასეთი ღირებულება დადგენილია) და კლასს. ეს გადაწყვეტილება შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე წილების განთავსების ვადას, მინიმალურ ფასს ან სხვა პირობებს.
6. წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს, რომ წილების გარკვეული პირობებით განუთავსებლობის შემთხვევაში განუთავსებელი წილები შესაძლოა გაუქმდეს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გამოიწვიოს გამოშვებული წილების ოდენობის გაუქმებული წილების ოდენობით შემცირება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო სადამფუძნებლო შეთანხმებაში შესაბამის ცვლილებას ახორციელებს.
7. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, წილები შეიძლება გაიცეს პარტნიორებზე ან ერთი ან რამდენიმე კლასის წილების მფლობელ პარტნიორებზე პროპორციულად, შენატანების განხორციელების მოთხოვნის გარეშე (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონებიდან წილების გამოშვება). ერთი კლასის წილები არ შეიძლება გაიცეს, როგორც წილები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონებიდან, სხვა კლასის წილების მფლობელ პარტნიორებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გასაცემი წილების ან მათი ნაწილის გამოშვებამდე წესდება ითვალისწინებდა ასეთ შესაძლებლობას ან გამოსაშვები კლასის წილების მფლობელი პარტნიორები ხმათა უმრავლესობით დაეთანხმნენ ამ წილების გაცემას ან/და განთავსებულ წილებში გამოსაშვები წილების კლასი არ არსებობს.

მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის სტრუქტურა დაუახლოვდა სააქციო საზოგადოების კაპიტალის სტრუქტურას. ამდენად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილობრივი კაპიტალიც შეიძლება ნებადართულ, გამოშვებულ და განთავსებულ წილებად დაიყოს. თუმცა ასეთი სტრუქტურა მხოლოდ საკანონმდებლო შეთავაზებაა და არა კაპიტალის სტრუქტურის გართულების მცდელობა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შესაძლოა, მარტივი ფორმით მხოლოდ განთავსებული წილების სახით ჩამოყალიბდეს.

ნებადართული წილები გულისხმობს საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტში წილების სახეობებისა და მათი მაქსიმალური დასაშვები საერთო ოდენობის, ასევე მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების აღწერას, მათ შორის ადგენს ნომინალურ ღირებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, ნებადართული კაპიტალის (წილების) განსაზღვრის უფლება-მოსილება პარტნიორებს ეკუთვნით.

გამოშვების ეტაპზე წილი იქმნება როგორც საკუთრებისა და ფლობის ობიექტი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი კონკრეტული პარტნიორის საკუთრებაში. როგორც წესი, გამოშვება გარდამავალი ეტაპია განთავსებამდე. თუკი ამ ორ ეტაპს შორის არის დროითი შუალედი, რეესტრში უნდა აისახოს წილები უკვე გამოშვების ეტაპზე.

პარტნიორებისთვის წილების აქციების გადაცემით (განთავსებით) წილები უკვე განთავსებულ წილებად გარდაიქმნება.

ნებადართული წილების ფარგლებში წილების გამოშვების ან განთავსების შესახებ გადაწყვეტილება, შესაძლოა, პარტნიორებმა მიიღონ. თუმცა უფრო პრაქტიკულია ამ უფლების გადაცემა წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით, მათ შორის დროებითაც, ხელმძღვანელი ან სამეთვალყურეო ორგანოსთვის; ასევე, პრაქტიკული საჭიროების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ძირითად ინფორმაციას წილების თაობაზე, ამასთან, შეიძლება, ადგენდეს განთავსების ვადებს, განთავსების ფასს, განუთავსებლობის შედეგებს, მაგალითად: გაუქმებას და ნებადართული კაპიტალის შესაბამის შემცირებას, ასევე სხვა დამატებით პირობებს. თუკი განუთავსებლობის შედეგი წილების გაუქმება და ნებადართული კაპიტალის შესაბამისი შემცირებაა, ამისთვის, დამატებით, პარტნიორთა გადაწყვეტილება არ არის საჭირო. ხელმძღვანელ ორგანოებს შეუძლიათ, პარტნიორთა წინასწარ მიღებული გადაწყვეტილება თავად განახორციელონ სარეგისტრაციო მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანით.

მე-7 პუნქტი ეხება ახალი წილების გამოშვებას შეზღუდული პასუხისმგებლობის ქონების ხარჯზე, რაც კაპიტალის ნომინალურ ზრდას გულისხმობს,

ვინაიდან ამ დროს საწარმოს აქტივი არ იზრდება. იგი ხორციელდება საწარმოს ქონების „კაპიტალიზაციით“ (მაგ.: თავისუფალი რეზერვები, გაუნაწილებელი მოგება) და არა პარტნიორთაგან ახალი შენატანების განხორციელების გზით. წილები გაიცემა არსებულ პარტნიორებზე არსებული პროპორციის შესაბამისად.

თუკი საწარმოს წილობრივი კაპიტალის რთული სტრუქტურა აქვს, ე.ი. სხვადასხვა სახის (კლასის) წილებს უშვებს ერთი კლასის წილები, როგორც წესი, გაიცემა ამავე კლასის წილების მფლობელებზე. გამონაკლისები დასაშვებია, როცა წილების განთავსებამდე ეს გათვალისწინებულია წესდებით, გამოსაშვები კლასის წილების მფლობელი პარტნიორები ხმათა უმრავლესობით დაეთანხმებიან ამგვარ გამოცემას, ან გაიცემა ახალი კლასის წილები.

მუხლი 137. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ გამოშვებული ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ გამოშვებული ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ პარტნიორებს.
2. თუ წესდებით ან ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას არ აქვს უფლება, განათავსოს გამოშვებული წილები ან პირთა განუსაზღვრელ წრეს შესთავაზოს წილების ნებისმიერი პირობებით განთავსება, ვიდრე იგი პარტნიორებს წერილობით არ შესთავაზებს გამოშვებული წილების იმავე პირობებით შექენას და ამისთვის გონივრულ ვადას არ განუსაზღვრავს.
3. გამოშვებული ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შეთავაზების შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ პარტნიორს ამ უფლების გამოყენებისთვის უნდა მისცეს გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ 14 დღისა.
4. გამოშვებული ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს წილის პროპორციულად, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა წესზე არ შეთანხმდა. თუ პროპორციულობის დაცვით შეთავაზებული წილები პარტნიორებს შორის ზუსტად ვერ ნაწილდება, იმ წილების უპირატესი შესყიდვის წესს, რომლებიც პარტნიორებს შო-

რის ვერ ნაწილდება, ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავენ პარტნიორები.

5. პარტნიორს, რომელსაც აქვს გამოშვებული ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება, შეუძლია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში უარი თქვას აღნიშნულ უფლებაზე ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ.
6. ახალი წილის გამოშვებისას მისი უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს პარტნიორთა გადანყვეტილებით, რომელიც მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების სულ მცირე 3/4-ის უმრავლესობით. ეს გადანყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მოხსენების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვის ან გამოირიცხვის გონივრული საფუძვლები და დასაბუთებულია წილის გადაცემის ღირებულება.

მუხლი ეხება ახალი წილების პროპორციულ უპირატესი შესყიდვის უფლებას. ეს უფლება შეიძლება გამოირიცხოს წესდებით ან კონკრეტული კაპიტალის გაზრდის ფარგლებში კენჭისყრაში მონაწილე პარტნიორთა 3/4-ის გადანყვეტილებით. ამ შემთხვევაში დირექტორი/დირექტორები ვალდებული არიან, წერილობით დაასაბუთონ შეზღუდვის ან გამოირიცხვის საჭიროება. დანაწესი ეხება დამატებითი კაპიტალის ემისას (კაპიტალის გაზრდას) ნებისმიერი ფორმით, ე.ი. შემთხვევებსაც, როდესაც ფორმალურად ახალი, დამოუკიდებელი წილის გამოშვება არ ხდება.

წესდების შესაბამის ცვლილებაზე ვრცელდება 135-ე მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი. პროპორციულობის პრინციპი შესაძლოა, დაირღვეს, თუკი ამას დაეთანხმება ყველა პარტნიორი.

უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებისთვის დადგენილი პროცედურის გავლამდე საზოგადოებას არ აქვს უფლება, მესამე პირებზე განათავსოს ახალი წილები (ახალი კაპიტალი). უფლების გამოყენებისთვის პარტნიორებს უნდა მიეცეთ, სულ მცირე, 14 დღე. პარტნიორს უფლება აქვს, უარი თქვას გამოყენებაზე, მათ შორის, მესამე პირის სასარგებლოდ. უარად მიიჩნევა ვადის უშედეგოდ გასვლაც. სადამფუძნებლო შეთანხმება/წესდება შესაძლოა, ზღუდავდეს მესამე პირის სასარგებლოდ უარის თქმას, ან ამისთვის დანარჩენი პარტნიორების თანხმობას მოითხოვდეს.

უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების დეტალები შესაძლოა, განისაზღვროს სადამფუძნებლო შეთანხმებით/წესდებით.

მუხლი 138. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ შენატანის განხორციელება

1. პარტნიორი ვალდებულია შეთანხმებული შენატანი განხორციელოს ფულადი სახით ან არაფულადი სახით, თუ არაფულადი შენატანი წესდებით აკრძალული არ არის.
2. საერთო კრება უფლებამოსილია გაათავისუფლოს პარტნიორი შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შენატანის განხორციელება აუცილებელია კრედიტორთა მოთხოვნების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი ინტერესის დასაკმაყოფილებლად.
3. თუ შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან გაათავისუფლება ეხება ნომინალური ღირებულების მქონე წილს, გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ განთავსებული კაპიტალის შესაბამისად შემცირებით.
4. შენატანი უნდა განხორციელდეს წესდებით ან პარტნიორთა შეთანხმებით დადგენილი წესით. შენატანის სრულად ან ნაწილობრივ განხორციელება წილების განთავსებისთანავე სავალდებულო არ არის. შენატანის განხორციელების ვადის თაობაზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში შენატანი უნდა განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, რომელიც განისაზღვრება ამ საზოგადოების საჭიროების, პარტნიორთა ქონებრივი მდგომარეობისა და შესასრულებელი ვალდებულების მოცულობის გათვალისწინებით.

სააქციო საზოგადოებისგან განსხვავებით, ქონების შეტანაუნარიანობის თვალსაზრისით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის შეზღუდვა არ არის დადგენილი.

პარტნიორთა გადაწყვეტილებით, შესაძლოა, პარტნიორი გათავისუფლდეს შეუტანელი შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან, თუკი საწარმოს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორები, არ მცირდება (მაგ. გადახდისუუნარობის საფრთხის გაზრდით ან გადახდისუუნარობის გაღრმავებით) ან საწარმოს სიცოცხლისუნარიანობა სხვაგვარად არ დგება საფრთხის წინაშე. გარდა ამისა, შენატანის განხორციელების ვალდებულებისაგან დროს დაცული უნდა იქნეს პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი (34-ე მუხლის მე-2 პუნქტი). თუკი შპს-ს აქვს განთავსებული (სანესდებო) კაპიტალი, და განთავისუფლება ეხება ნომინალური ღირებულების მქონე წილებს, შესაბამისად უნდა შემცირდეს განთავსებული (სანესდებო) კაპიტალი.

კანონი ასევე არ ადგენს შენატანის განხორციელების სავალდებულო ვადებს და არ განიხილავს შენატანის განხორციელებას წილის განთავსების წინა პირობად. სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა, დეტალურად ანესრიგებდეს შეტანის განხორციელების წესს, წინა პირობებსა და ვადებს. თუკი ვადები არ არის დადგენილი, შენატანი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში უნდა იქნეს განხორციელებული. შენატანი შეტანილ უნდა იქნეს წესდებით ან პარტნიორთა შეთანხმებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 139. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ შენატანის განხორციელებლობა და მისი შედეგები

1. თუკი პარტნიორი დადგენილ ვადაში არ განახორციელებს შენატანს, ვადაგადაცილებული შენატანის ღირებულებას ერიცხება ამ ვადის გადაცილების წლიური პროცენტი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ორმაგი ოდენობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. შენატანის განხორციელების ვადის გადაცილების შემთხვევაში ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია დაიწყოს წილის ჩამორთმევის პროცესი. პარტნიორს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ამ პროცესის დაწყების შესახებ და შენატანის განხორციელებისთვის უნდა მიეცეს დამატებითი ვადა არანაკლებ 30 დღისა.
3. შენატანის განხორციელების დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მის დამრღვევ პარტნიორს შესაბამისი წერილობითი შეტყობინება ეგზავნება და იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სასარგებლოდ კარგავს თავის წილს, ნაწილობრივ განხორციელებულ შენატანს და მასთან დაკავშირებულ უფლებებს. შენატანთან დაკავშირებული მოთხოვნები ძალაში რჩება.

კანონის 139-ე მუხლი, წილის სანაცვლო შენატანის შეუტანლობის გამო, წილის ჩამორთმევის წესს ადგენს. ამ მექანიზმის ამოქმედება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უფლებაა და არა შენატანის ვადაში შეუტანლობის ავტომატური სამართლებრივი შედეგი. სადამფუძნებლო შეთანხმებით, შესაძლოა, გამოირიცხოს კიდევ ამ უფლების გამოყენება. ასევე შესაძლებელია წესდებით ალტერნატიული სანქციების, შენატანის დროულად განხორციელების უზრუნველყოფილი სანქციების დაწესება (მაგ.: გასხვისების და უფლებრივი დატვირთვის შეზღუდვა, ხმის ან დივიდენდის უფლების შეზღუდვა, დივიდენ-

დის ხარჯზე გაქვითვა ა.შ.). წილის ჩამორთმევის წესი არ წარმოადგენს შენატანთან დაკავშირებული საწარმოს მოთხოვნის სასარჩელო გზით განხორციელების დაბრკოლებას.

თუკი შენატანის განხორციელების ვადა დაირღვა და საზოგადოებამ, რომელსაც პროცესში დირექტორი წარმოადგენს, წილის ჩამორთმევის გზა აირჩია, უნდა გააფრთხილოს პარტნიორი მოსალოდნელი შედეგის შესახებ და, სულ მცირე, 30-დღიანი დამატებითი ვადა უნდა მისცეს მას. იგივე წესი გამოიყენება, თუკი საზოგადოების მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში პარტნიორმა არ განახორციელა შენატანი, თუკი კონკრეტული ვადა შენატანის განხორციელებისთვის არ არის გათვალისწინებული. სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა დამატებით წინა პირობებსაც ადგენდეს, მაგ. მოითხოვდეს პარტნიორთა კრების გადამწყვეტილებას ჩამორთმევის პროცესის დასაწყებად.

საზოგადოება ვალდებულია, დამატებითი ვადა მისცეს პარტნიორს. დამატებითი ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ საზოგადოების ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით პარტნიორი კარგავს წილს და განხორციელებულ ნაწილობრივ შენატანს.

შეუტანელ შენატანთან დაკავშირებით საზოგადოების მოთხოვნა ძალაში რჩება. ეს დანაწესი კრედიტორების დაცვის მიზნით არის ნაკარნახევი. წილის ჩამორთმევით (მის კვლავ განთავსებამდე) საზოგადოების დანაკლისი შეუტანელი შენატანიდან გამომდინარე არ აღმოფხვრილა. საზოგადოებას შეუძლია, ნებისმიერი ფორმით გაასხვისოს ჩამორთმეული წილი, მათ შორის: დანარჩენი პარტნიორების შენატანებით შეავსოს დეფიციტი, ან ახალ პარტნიორს გადასცეს იგი. წესდება შესაძლებელია, ითვალისწინებდეს ასევე ქონებრივი დანაკლისის შევსების სხვა ფორმებსაც (მაგ.: აუქციონის წესით გასხვისება, დანარჩენი პარტნიორების მიერ დანაკლისი შევსების ვალდებულება (ამ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული დებულება ცვლილების სახით შედის წესდებაში, მას ყველა პარტნიორმა უნდა დაუჭიროს მხარი).

მუხლი 140. სავალდებულო და ნებაყოფლობითი დამატებითი შენატანები

1. წილების განთავსებამდე წესდება ან წესდების ცვლილება, რომელიც შესაბამისი წილის მფლობელმა პარტნიორებმა ერთხმად მიიღეს, შეიძლება ითვალისწინებდეს პარტნიორთა გადამწყვეტილების თანახმად პარტნიორების მიერ დამატებითი შენატანის ფულადი სახით განხორციელების ვალდებულებას და ადგენდეს, რომელ წილს ეხება დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში წესდება უნდა განსაზღვრავდეს დამატებითი შენატანის მაქსიმალურ ოდენობას.

2. პარტნიორები დამატებით შენატანს თავიანთი წილების პროპორციულად ახორციელებენ.
3. სავალდებულო დამატებითი შენატანის განხორციელებლობისას შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 139-ე მუხლი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარტნიორი გადის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან ამ კანონის 144-ე მუხლის შესაბამისად.
4. პარტნიორს, დირექტორის თანხმობით, შეუძლია განახორციელოს დამატებითი ნებაყოფლობითი შენატანი არაფულადი სახითაც, მაშინაც კი, როცა წესდება დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულებას არ ითვალისწინებს.

დამატებითი შენატანი პარტნიორის დამატებითი ვალდებულების ფორმაა, რომელიც საზოგადოებისთვის ფინანსური დახმარების განევას გულისხმობს, მის კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელებით. წილის სანაცვლოდ, შენატანისგან განსხვავებით, დამატებითი შენატანი არ ახდენს გავლენას წილების პროპორციაზე. თუმცა, თუკი პარტნიორების სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, დამატებითი შენატანი პარტნიორებზე წილების პროპორციულად უნდა გადანაწილდეს.

მინორიტარი პარტნიორების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, პირველი პუნქტი ადგენს სავალდებულო დამატებითი შენატანის შესახებ გადანყვეტილების მიღების საგანგებო წესს. პარტნიორის მიერ თავისი შესაძლო ფინანსური ტვირთის განჭვრეტის მიზნით, სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს დამატებითი შენატანის მაქსიმალურ ოდენობას. ხოლო თუკი დამატებითი შენატანის ვალდებულება დგინდება წესდების შესაბამისი ცვლილებით, გარდა კენჭისყრაში მონაწილე ხმების $\frac{3}{4}$ თანხმობისა (წესდების ცვლილება იხ. 126-ე მუხლის მე-3 პუნქტი), ცვლილებას უნდა დაეთანხმოს ყველა პარტნიორი რომელთაც ეხება დამატებითი შენატანის ვალდებულება.

კანონპროექტთან (იხ. *ჯუღელი/გიგუაშვილი*, განმარტებები „მენარმეთა შესახებ კანონის“ პროექტზე, 2021, 142-ე მუხლი, პირველი პუნქტი, გვ. 160) შედარებით, გადანყვეტილების მიღების წესის გამკაცრების გამო (იხ. პროექტი მუხლი 142-ე, პუნქტი პირველი), 144-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტმა პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგა.

ორმხრივი ნების შემთხვევაში პარტნიორს შეუძლია, ნებაყოფლობითაც განახორციელოს დამატებითი შენატანი, მათ შორის არაფულადი სახითაც.

სავალდებულო დამატებითი შენატანის შეუტანლობაზე ვრცელდება შენატანის შეუტანლობის ზოგადი სამართლებრივი შედეგები (მაგ. წილის ჩამორთმევის პროცედურის შესაძლებლობა იხ. 139-ე მუხლი).

მუხლი 141. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის გადაცემა

1. პარტნიორს შეუძლია გადასცეს (გასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს) თავისი წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და პარტნიორთა თანხმობის გარეშე.
2. გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს, კრძალავს ან/და პარტნიორების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თანხმობაზე დამოკიდებულს ხდის პარტნიორის მიერ თავისი წილის გადაცემას (გასხვისებას ან უფლებრივად დატვირთვას) ანდა ცვლილება შეაქვს მოქმედ შეზღუდვაში, აკრძალვაში ან წილის გადაცემისთვის (გასხვისებისთვის ან უფლებრივად დატვირთვისთვის) საჭირო თანხმობის გაცემის წესში, მიიღება მხოლოდ ყველა იმ პარტნიორის თანხმობით, რომელსაც აღნიშნული შეზღუდვა ან აკრძალვა ეხება.
3. წილის გადაცემის შესახებ შეთანხმება წერილობით უნდა გაფორმდეს.
4. პარტნიორი ვალდებულია წილის გადაცემის შესახებ შეთანხმების გაფორმებისთანავე აცნობოს ამის თაობაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.
5. წილის გადაცემა ძალაში შედის მარეგისტრირებული ორგანოს მიერ წილის ახალი პარტნიორის სახელზე რეგისტრაციისთანავე. ამ შემთხვევაში გამოიყენება კეთილსინდისიერი შემძენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.
6. წილის გასხვისების მომენტში გასხვისებულ წილთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებებისთვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს წილის გამსხვისებელი და წილის შემძენი პარტნიორები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

წილის, როგორც მიმოქცევადი უფლების, გადაცემა ან უფლებრივი დატვირთვა არ მოითხოვს საზოგადოების ან პარტნიორთა თანხმობას. აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვა ან გამორიცხვა – სადამფუძნებლო შეთანხმებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა – ყველა იმ პარტნიორის თანხმობას საჭიროებს, რომელთაც აღნიშნული შეზღუდვა ან აკრძალვა ეხება. პარტნიორის ვალდებულებაა, საზოგადოებას აცნობოს წილის გადაცემის შესახებ, ვალდებულებით სამართლებრივი შეთანხმების გაფორმებამდე, რაც დაკავშირებულია დირექტორის უფლებამოსილებასთან, მიმართოს რეესტრს პარტნიორის ცვლილების თაობაზე (მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი). შეთანხმება მოითხოვს მარტივ წერილობით ფორმას.

ბრუნვის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, მე-5 პუნქტი წილის გადაცემას (სანივთო სამართლებრივ შედეგს) უკავშირებს სამეწარმეო რეესტრში შესაბამის რეგისტრაციას. არასწორი რეგისტრაციის შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შემძენის უფლებები დაცულია ამავე პუნქტის მე-2 წინადადებით.

განუხორციელებელ შენატანთა დაკავშირებით, პასუხისმგებლობა წილის გასხვისების შემთხვევაში, სოლიდარულად ნაწილდება გამსხვისებელსა და შემძენს შორის, თუმცა, სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა, განსხვავებულ წესს ითვალისწინებდეს. პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ფინანსური ტვირთის გადანაწილება შემძენსა და გამსხვისებელს შორის შესაძლოა, მათივე შეთანხმებით განსხვავებულად მოწესრიგდეს.

მუხლი 142. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შექენა

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შექენისას შესაბამის შემთხვევებში გამოიყენება ამ კანონის 145-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 პუნქტები. დასაშვებია საკუთარ კაპიტალში იმ წილის შექენა, რომლის მისაღები შენატანი სრულად არის განხორციელებული.
2. დაუშვებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში იმ წილის სრულად შექენა, რომელიც იძლევა შეუზღუდავ ხმის უფლებას ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დასრულებისას მისი ქონების მიღების უფლებას.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შექენის ან იმავე წილის აღნიშნული საზოგადოების შვილობილი საწარმოს მიერ შექენის შემთხვევაში ეს წილი ხმების დათვლის, ამ საზოგადოების ქონების განაწილების, მისი დაშლის მოთხოვნის და წილის ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების განხორციელების მიზნებისთვის არ გაითვალისწინება.
4. თუ წესდება ითვალისწინებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში შექენილი წილის გაუქმებას, ამ წილის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას პარტნიორები იღებენ. აღნიშნული წილის გაუქმება წესდებაში უნდა აისახოს.
5. ამ კანონის ან წესდების დარღვევით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში შექენილი წილი უნდა გაიყიდოს ან გაუქმდეს იმ კალენდარული წლის დასრულებამდე, რომელშიც ის იქნა შექენილი.

6. ამ მუხლის მოთხოვნები შესაბამის შემთხვევაში ვრცელდება მესამე პირის მიერ თავისი სახელით და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხარჯით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში წილის შექმნაზე.

საწარმოს მიერ საკუთარი წილის შექმნა დასაშვებია. მასზე იგივე შეზღუდვა ვრცელდება, რაც დივიდენდის განაწილებაზე. შესაბამისად, განთავსებული წილების გამოსყიდვა დასაშვებია წმინდა აქტივის ფარგლებში. განთავსებული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, წმინდა აქტივის უნდა გამოაკლდეს განთავსებული კაპიტალის ოდენობა. დასაშვები გამოსყიდვის წინა პირობაა ასევე დადებითი გადახდისუნარიანობის პროგნოზი.¹ გარდა ამისა, გამოსყიდვა არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ამის შედეგად შეუზღუდავი ხმის უფლების მქონე წილები და წილები, რომელთაც ლიკვიდაციის შემდეგ მთელი წარჩენი ქონების მიღების უფლება უკავშირდება, სრულად იქნეს გამოსყიდული. შეზღუდვა მიზნად ისახავს მდგომარეობის თავიდან აცილებას, როცა გამოსყიდვის შედეგად საწარმოში გარკვეული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ან ლიკვიდაციის ფარგლებში ქონების პარტნიორებზე განაწილება იზღუდება.

გამოსყიდული წილებიდან გამომდინარე, უფლებები ჩერდება, რათა არ მოხდეს საწარმოს ხელმძღვანელების მიერ წილებიდან გამომდინარე უფლების საწარმოს საწინააღმდეგო მიზნებით გამოყენება. იგივე წესი ვრცელდება შვილობილი საწარმოს საკუთრებაში არსებულ წილებზე.

საკუთარი წილების სამართლებრივ ბედს სადამფუძნებლო შეთანხმება განსაზღვრავს, რაც, შესაძლოა, მათ გაუქმებასაც ადგენდეს. გაუქმება სავალდებულოა, თუკი საკუთარი წილის შექმნა კანონდარღვევით მოხდა და მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში ვერ განთავსდა. თუკი საწარმოს აქვს განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი, ნომინალური ღირებულების მქონე წილის გაუქმების შემთხვევაში, განთავსებული კაპიტალი შესაბამისად უნდა შემცირდეს რათა დაცულ იქნას 134-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

მე-6 პუნქტი ეხება შემთხვევებს, როცა შემძენი საწარმოს ე.წ. ცრუმავიერი პირია.

მუხლი 143. პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან

1. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სასამართლოს შეუძლია პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად წარდგენილი შეზღუდული

¹ ამდენად, არაზუსტია მუხლის პირველ პუნქტში 145-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 პუნქტებზე მითითება. მითითება უნდა ეხებოდეს 145-ე მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებს.

პასუხისმგებლობის საზოგადოების სარჩელის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ.

2. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, როდესაც პარტნიორის ქმედება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის, თუ პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ წერილობით უშედეგოდ გააფრთხილა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო გარიცხვის შესახებ.
3. თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პარტნიორთა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების იმ წილების საერთო ოდენობის ნახევრისა, რომლებიც იძლევა ამ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. ამ შემთხვევაში პარტნიორს, რომლის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაც უნდა იქნეს მიღებული, ხმის უფლება არ აქვს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რომელსაც 2 პარტნიორი ჰყავს, გადაწყვეტილებას ამ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად იღებს მეორე პარტნიორი.
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სარჩელით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში.
5. სასამართლოს შეუძლია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოთხოვნით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პარტნიორს შეუჩეროს ხმის უფლება ან სხვა არაქონებრივი უფლებები.
6. სასამართლოს მიერ პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პარტნიორი გარიცხულად მიიჩნევა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.
7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხული პარტნიორის წილები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას გადაეცემა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გარიცხული პარტნიორის წილების დარჩენილი პარტნიორებისთვის პროპორციულად გადაცემას ან წილის/წილების გაუქმებას.
8. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხულ პარტნიორს უნდა მიეცეს წილის სამართლიანი ფასი. შესაბამის შემთხვევებში გამოიყენება ამ კანონის 145-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 პუნქტები.

პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის ცალკეული შემთხვევების დადგენა სასამართლო პრაქტიკის ამოცანაა. მე-2 პუნქტი შეიცავს ზოგად კრიტერიუმებს, რომლებიც გულისხმობს პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესებისთვის საზიანო ქმედებების განხორციელებას, რაც, ნდობის დარღვევის გამო, შეუძლებელს ხდის თანაპარტნიორებისთვის, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მასთან ერთად საქმიანობას.

ზიანის მატერიალიზაცია (დადგომა) ამისთვის არ არის აუცილებელი. ხშირად, თავად ზიანის დადგომის ფაქტი არ არის რელევანტური, თუკი პარტნიორის ქმედება თავისთავად (მისი უარყოფითი ფინანსური შედეგის დადგომის გარშეც) საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული და პარტნიორებს შორის არსებულ ნდობას, როგორც სანარმოს არსებობის განმსაზღვრელ ელემენტს, გამოუსწორებლად ანგრევს.

თუკი ამკარაა რომ პარტნიორის მოქმედებების მთავარი მამოძრავებელი მოტივი სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებისადმი გაუფრთხილებელი დამოკიდებულებაა, საკანონმდებლო წესებთან ფორმალური შესაბამისობაც კი არ აქცევს მათ კანონიერად. გარეგნულად კანონშესაბამისი ქმედებები სამოქალაქო-სამართლებრივი შეფასებით უფლების ბოროტად გამოყენებაა (სკ 115-ე მუხლი), რაც ასევე ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპის (სკ 8 III) გამოხატულება და დაკონკრეტება.¹ უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება უფლების განხორციელება, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირს და არ ისახავს უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესის დაცვას.²

გარიცხვის წინა პირობაა ისიც, რომ საზიანო ქმედებების შეწყვეტისკენ გარიცხვაზე მითითებით პარტნიორი უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული საზოგადოების (დირექტორის) მიერ. დირექტორის შესაბამისი წერილობითი გაფრთხილება შესაძლოა, ეყრდნობოდეს პარტნიორთა გადაწყვეტილებას.

გარიცხვის სამართლებრივი საფუძველია სასამართლოს გადაწყვეტილება.

გარიცხვის სარჩელი შეაქვს საზოგადოებას (დირექტორს) გასარიცხი პარტნიორის წინააღმდეგ, პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას გასარიცხ პარტნიორს არ აქვს ხმის უფლება, თუმცა იგი მიწვეულ უნდა იქნას კრებაზე და კვორუმის თვალსაზრისით მისი დასწრება გათვალისწინებულ უნდა იქნას. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. სადამფუძნებლო შეთანხმება შეიძ-

¹ სერგო ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი 2002, მუხ. 115 გვ. 301; ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, მუხლი 115., ველი 3-5.

² სუსგ № ას-1535-1438-2012, 18 თებერვალი 2013 წ.; სუსგ № ას-1200-1129-2012, 29 ოქტომბერი 2012 წ.

ლება უფრო დიდ უმრავლესობას ადგენდეს. გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მე-3 პუნქტი აწესებს დამატებით წინა პირობასაც: გარიცხვას მხარი უნდა დაუჭიროს გარიცხვის კანდიდატის გარდა ყველა სხვა, ხმის უფლების მქონე, პარტნიორების უმრავლესობამ.

რაც შეეხება ორი პარტნიორის შემთხვევას, გადაწყვეტილება პარტნიორის მიერ ერთპიროვნულად, წერილობითი ფორმით მიიღება (იხ. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი).

სასამართლოს შეუძლია, გადაწყვეტილების მიღებამდე მოსარჩელის მოთხოვნით, მოპასუხე პარტნიორს შეუჩეროს არაქონებრივი უფლებები, რომელთაგანაც უმთავრესია ხმის უფლება. მსგავს შეზღუდვას შესაძლოა, შეიცავდეს საწარმოს სადამფუძნებლო შეთანხმებაც. მოპასუხე პარტნიორ-დირექტორის შემთხვევაში, სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა, შეიცავდეს ხელმძღვანელობითი უფლებების შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ დანაწესსაც. იგივე შესაძლოა, მიღწეულ იქნეს, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, საზოგადოების ზიანის თავიდან ასაცილებლად.

გარიცხული პარტნიორის წილი საზოგადოებას უბრუნდება. იგი შესაძლოა, გაუქმდეს ან კვლავ განთავსდეს, მათ შორის, პროპორციულად დარჩენილ პარტნიორებზე.

გარიცხვა არ ქმნის გარიცხული პარტნიორის ქონებრივი უფლებების დაზიანების საფუძველს. ამდენად, მას სრულად უნდა აუნაზღაურდეს წილის სამართლიანი (საბაზრო) ღირებულება. კაპიტალის დაცვის მოსაზრებიდან გამომდინარე, ანაზღაურება უნდა მოხდეს საწარმოს ქონების განაწილებისთვის დადგენილ ფარგლებში.

თუკი, უკვე, გარიცხვის თაობაზე პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებისას არ სრულდება 145-ე მუხლის პირობები (ქონების განაწილების დასაშვებობის წინაპირობები) გადაწყვეტილება ბათილია (39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი). თუკი კანონის დაცვით წილის ღირებულების ანაზღაურება ვერ ხერხდება 145-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვის შეუძლებლობის გამო (ე.ი. 145-ე მუხლის პირობები გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღარ არსებობს), პარტნიორები, რომელთაც მიიღეს გარიცხვის ვალდებულება, საკორპორაციო-სამართლებრივი კეთილსინდისიერებისა და ერთგულების (34-ე მუხლის პირველი პუნქტი) პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებული არიან, უზრუნველყონ გადაწყვეტილების კანონის შესაბამისად შესრულება. მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, პროპორციულად აღჭურვონ საწარმო შესაბამისი სახსრებით გარიცხულის წილის ღირებულების ასანაზღაურებლად, ან მიიღონ გადაწყვეტილება დაშლის შესახებ. თუკი გარიცხული პარტნიორის ინტერესი საზოგადოების ქონებიდან ვერ კმაყოფილდება, პარტნიორთა უმოქმედობის გამო, მას შეუძლია, დანაკლისი თანხა პროპორციულად მოითხოვოს პარტნიორებისგან, რომელთაც

გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღეს. სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლოა, განსხვავებულად და დეტალურად ანესრიგებდეს გარიცხული პარტნიორის წილის ღირებულების კომპენსაციის, მათ შორის პარტნიორთა სუბსიდიური პასუხისმგებლობის ფორმებსაც.

შესაძლებელია რამდენიმე პარტნიორის გარიცხვაც თუ, გარიცხვის სამართლებრივი წინაპირობები დაკმაყოფილებულია თითოეულ პარტნიორთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა განვასხვაოთ, რამდენიმე პარტნიორი ირიცხება ერთი ფაქტობრივი საფუძვლიდან გამომდინარე თუ სხვადასხვა დამოუკიდებელი მოქმედების (საფუძვლის) გამო.

თუკი რამდენიმე პარტნიორის ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებით მოქმედების (ერთობლივი ფაქტობრივი საფუძვლის) გამო აღმოჩნდა გასარიცხთა შორის, გასარიცხ პარტნიორებს ხმის უფლება არ აქვთ, მაშინაც კი თუკი თითოეულთან დაკავშირებით ცალკე გადაწყვეტილება მიიღება. სხვა შემთხვევაში ე.ი. როცა გარიცხვა განსხვავებულ ფაქტობრივ საფუძვლებს ემყარება, კენჭისყრა ინდივიდუალურად უნდა ჩატარდეს და ხმის უფლება მხოლოდ შესაბამის გასარიცხ პარტნიორს ეზღუდება.

მუხლი 144. პარტნიორის გასვლა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან

1. პარტნიორს უფლება აქვს, გავიდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობის ან სხვა პარტნიორების ქმედებები მნიშვნელოვნად აზიანებს მის ინტერესებს, ანდა თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი მნიშვნელოვანი საფუძველი/გარემოება:
 - ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის საგანი მნიშვნელოვნად შეიცვალა;
 - ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას დივიდენდი ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გაუნაწილებია, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა;
 - გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ მიიღო ამ კანონის 135-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება;
 - დ) სხვა პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულების შესახებ, რომელიც მასზედაც ვრცელდება.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების წარმოშობის საფუძველია პარტნიორთა გადანყვეტილება, პარტნიორს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობა, თუ მას აღნიშნული გადანყვეტილებისთვის მხარი არ დაუჭერია.
3. პარტნიორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წერილობით უნდა შეატყობინოს ამ საზოგადოებიდან მისი გასვლისა და გასვლის მიზეზების თაობაზე. აღნიშნული შეტყობინების მიღებისთანავე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო სხვა პარტნიორებს აცნობებს ამ პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, რის შემდეგაც პარტნიორები იღებენ გადანყვეტილებას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლაზე თანხმობის მიცემის, აგრეთვე მისი წილის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის გადაცემის, დანარჩენ პარტნიორებზე პროპორციულად გადანაწილების ან გაუქმების შესახებ.
4. თუ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში პარტნიორები არ მიიღებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გადანყვეტილებებს ან გადანყვეტილებით უარს იტყვიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლაზე თანხმობის მიცემაზე, ხელმძღვანელი ორგანო ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საზოგადოებიდან გასვლის მსურველ პარტნიორს. თუ ხელმძღვანელი ორგანო შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში არ აცნობებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის მსურველ პარტნიორს პარტნიორთა მიერ რაიმე გადანყვეტილების მიღების შესახებ, მიიჩნევა, რომ პარტნიორებმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლაზე თანხმობის მიცემაზე უარი განაცხადეს.
5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის მსურველი პარტნიორის წილის ღირებულება უნდა დადგინდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო მათი შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში – მხარეების მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. თუ მხარეები დამოუკიდებელი აუდიტორის კანდიდატურაზე ვერ თანხმდებიან, დამოუკიდებელ აუდიტორს ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე ნიშნავს სასამართლო.
6. მხარეებს დამოუკიდებელი აუდიტორის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება თანაბრად ეკისრებათ და ისინი აუდიტორის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისთვის მის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
7. პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ გადანყვეტილებას იღებს სასამართლო პარტნიორის გან-

ცხადების საფუძველზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული განცხადების წარდგენა დასაშვებია პარტნიორთა მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადანაცვებების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო თუ ეს გადანაცვებება მიღებული არ იქნა – 30-დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლიდან 30 დღის განმავლობაში. სასამართლო განსაზღვრავს აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორის წილის ღირებულებას და მისთვის წილის ღირებულების ანაზღაურების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სასამართლოს გადანაცვებების ძალაში შესვლიდან 30 დღეს.

8. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გამსვლელ პარტნიორს წილის ღირებულება უნდა აუნაზღაურდეს:
 - ა) ანაზღაურების ოდენობაზე მხარეთა შეთანხმებიდან 15 დღის განმავლობაში, თუ მხარეები სხვა ვადაზე არ შეთანხმებულან;
 - ბ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მხარეებისთვის წერილობითი დასკვნის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში;
 - გ) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 145-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 პუნქტები.

პირველი პუნქტი შეიცავს მნიშვნელოვანი საფუძველების ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება შეივსოს სადამფუძნებლო შეთანხმების შესაბამისი დებულებებითაც. გასვლის ზოგადი საფუძველია პარტნიორის ინტერესების უსამართლო მნიშვნელოვანი დაზიანება.

პარტნიორი ვალდებულია, წერილობით აცნობოს საზოგადოებას გასვლის თაობაზე მიზეზების მითითებით. დირექტორის დაუყოვნებლივი მიმართვის საფუძველზე პარტნიორის გასვლის შესახებ მიმართვის დაკმაყოფილების თაობაზე გადანაცვებლებას პარტნიორები იღებენ, მათ შორის გასული პარტნიორის წილის თაობაზე. შესაძლოა, გასული პარტნიორის წილის ბედს სადამფუძნებლო შეთანხმება განსაზღვრავდეს.

თუკი პარტნიორების დირექტორის მიმართვიდან 30 დღის განმავლობაში არ მიიღებენ გადანაცვებლებას პარტნიორის გასვლის საკითხთან დაკავშირებით, ან უარს იტყვიან გასვლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამსვლელ პარტნიორს ამის თაობაზე. 30 დღის უშედეგოდ გასვლა ითვლება პარტნიორთა უარად. კრების გადანაცვებლება გასვლის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე ასევე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გამსვლელ პარტნიორს. შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუკი პარტნიორი მონაწილეობს პარტნიორთა მიერ გადანაცვებლების მიღების პროცესში.

გასვლის წინა პირობაა გამსვლელი (გასული) პარტნიორისთვის წილის კომპენსაციის გადახდა წილის სამართლიანი ღირებულების ოდენობით. პარტნიორის მიმართვაზე პარტნიორთა თანხმობის შემთხვევაში სანარმომ და გამსვლელმა პარტნიორმა უნდა მოილაპარაკონ გამსვლელის წილის სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე, თუკი სადამფუძნებლო შეთანხმება არ განსაზღვრავს ანაზღაურების წესს. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ფასს ადგენს მხარეთა მიერ დანიშნული აუდიტორი. აუდიტორის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, სანარმოს ან გამსვლელი პარტნიორის მიმართვის საფუძველზე აუდიტორს სასამართლო ნიშნავს.

თუკი პარტნიორები უარს განაცხადებენ გასვლაზე, გამსვლელ პარტნიორს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს გასვლის შესახებ მოთხოვნით. გასვლის წინაპირობებთან ერთად სასამართლო ასევე მსჯელობს გამსვლელი პარტნიორისთვის წილის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე.

ანაზღაურების გადახდაზე შესაბამისად ვრცელდება 145-ე მუხლის კაპიტალის დაცვის წესები. თუკი გამსვლელი პარტნიორის წილის ღირებულების ანაზღაურება დადგენილ ფარგლებში ვერ ხერხდება, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, გამსვლელ პარტნიორს შეუძლია, გამოსავალი დაშლის სარჩელით ეძებოს (79-ე მუხლი).

მე-8 პუნქტში მითითებული ვადები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. ამდენად მხოლოდ მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ამ გარემოების მითითება არ გამოორიცხვას „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ვადების ცვლილებას მხარეების მიერ.

სადამფუძნებლო შეთანხმებით ასევე შესაძლებელია 144-ე მუხლით დადგენილი პროცედურის მოდიფიცირება, კეთილსინდისიერებისა და პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპების (იხ. 34-ე მუხლი) გათვალისწინებით. ასევე დაცულ უნდა იქნას 144-ე მუხლის მთავარი პრინციპი - მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, გასვლის უფლება, წილის სამართლიანი ღირებულების ოდენობით, კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ. ეს ხელს არ უშლის კომპენსაციის გამოთვლის მეთოდის/ფორმულის წინასწარ დადგენას ან კომპენსაციის ოდენობაზე უთანხმოების გადაჭრის ალტერნატიული გზების გათვალისწინებას სადამფუძნებლო შეთანხმებით.

მუხლი 145. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დივიდენდის განაწილება

- 1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გათვალისწინებით ამზადებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დივიდენდის პარტნიორ**

რებზე განაწილების შესახებ წინადადებას და მას პარტნიორებს წარუდგენს. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია პარტნიორებს დივიდენდის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებზე განაწილების შესახებ წინადადებასთან ერთად წარუდგინოს განცხადება საზოგადოების გადახდისუნარიანობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ დივიდენდის განაწილების დღიდან მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში ეს საზოგადოება შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების ჩვეულებრივი ან/და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესრულებას.

2. პარტნიორები იღებენ ხელმძღვანელი ორგანოს წინადადების შესაბამის ან მისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას დივიდენდის პარტნიორებზე განაწილების შესახებ. დივიდენდის პარტნიორებზე განაწილების შესახებ პარტნიორთა გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს დივიდენდის განაწილების თარიღი.
3. დივიდენდის მოთხოვნის უფლება წარმოეშობა იმ პირს, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მომენტში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორია.
4. დივიდენდი პარტნიორებზე უნდა განაწილდეს დივიდენდის პარტნიორებზე განაწილების შესახებ პარტნიორთა გადაწყვეტილებაში მითითებული თარიღიდან წესდებით ან ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 9 თვეს. თუ დივიდენდის პარტნიორებზე განაწილების შესახებ გადაწყვეტილებაში თარიღი მითითებული არ არის, დივიდენდის განაწილების თარიღად მიიჩნევა ამ გადაწყვეტილების მიღების თარიღი. დივიდენდი მის განაწილებამდე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულება.
5. განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევაში დაუშვებელია განთავსებული კაპიტალის გამოთავისუფლებული ოდენობით დივიდენდის განაწილება განთავსებული კაპიტალის შემცირების თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 169-ე მუხლი.
6. დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება დაუშვებელია, თუ დიდია იმის ალბათობა, რომ ამის შედეგად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში ვერ შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების ჩვეულებრივი ან/და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესრულებას. ასევე დაუშვებელია დივიდენდის პარტნიორებზე განაწილება, თუ ამის შედეგად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების აქტივები ვეღარ დაფარავს ვალდებულებებსა და განთავსებული კაპიტალის ოდენობას. დაუშვებელია აგრეთვე რეზერვების განაწილება, თუ ეს აკრძალულია კანონით ან წესდებით.

7. პარტნიორს ან პარტნიორთან დაკავშირებულ პირს შეუძლია სახელმეკრულეზო ურთიერთობა ჰქონდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან (მათ შორის, იყოს ხელმძღვანელი პირი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მიიღოს ამ საზოგადოებისგან შესაბამისი ხელმეკრულებიდან გამომდინარე საზღაური), თუ ხელმეკრულების პირობები და ხელმეკრულებით დადგენილი საზღაური არსებითად შეესაბამება დამოუკიდებელ პირებს შორის არსებული სახელმეკრულეზო ურთიერთობის პირობებს.
8. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პარტნიორი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული დივიდენდი/საზღაური, თუ მან იცოდა ან უნდა იცოდნოდა დივიდენდის განაწილების ან დივიდენდის/საზღაურის მიღების დაუშვებლობის შესახებ. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ხელმძღვანელი პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კაპიტალის დაცვა, პარტნიორებზე ქონების განაწილების დროს, აქცენტს აკეთებს არა მოგებაზე, არამედ წმინდა აქტივზე, უფრო ზუსტად კი, თანხაზე, რომლითაც საწარმოს წმინდა აქტივი აღემატება განთავსებული კაპიტალის ციფრს, მისი არსებობის შემთხვევაში (იხ. მე-6 პუნქტი).

ქონების განაწილების მეორე წინა პირობა (იხ. მე-6 პუნქტი) საწარმოს გადახდისუნარიანობის დადებითი პროგნოზია. დირექტორებმა ამის შესახებ უნდა მიუთითონ ე.წ. გადახდისუნარიანობის განცხადებაში (პირველი პუნქტი). გადახდისუნარიანობის პერსპექტივა დირექტორმა და პარტნიორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, შესაბამისად, დივიდენდის განაწილების წინადადების მომზადებისა და დივიდენდის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

თუმცა დივიდენდის განაწილების შესახებ წინადადებას დირექტორი ამზადებს, პარტნიორები არ არიან შებოჭილი ამ წინადადებით. მათ კანონის ფარგლებში სრული დისკრეცია აქვთ დივიდენდად საწარმოს ქონების განაწილებასთან დაკავშირებით. დივიდენდის განაწილების პერიოდულობა შეიძლება შეიზღუდოს სადამფუძნებლო შეთანხმებით. გარდა ამის, წლიური დივიდენდის განაწილების წინადადება და პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს. სამეურნეო წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდი გაიცემა დირექტორისა და პარტნიო-

რების პასუხისმგებლობით და, შესაბამისად, ასევე სანდო მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს (მაგ., შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას).

დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, სანარმო იღებს ვალდებულებას, გაანაწილოს „გამოცხადებული“ დივიდენდი. დივიდენდი უნდა განაწილდეს გადაწყვეტილებით ან სადამფუძნებლო შეთანხმებით დადგენილ ვადაში, რომელიც 9 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. თუკი ასეთი ვადა მითითებული არ არის, დივიდენდის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა და ვადა მოსულია გადაწყვეტილების მიღებისთანავე. დივიდენდის „კრედიტორია“ პარტნიორი, რომელიც პარტნიორი იყო დივიდენდის გამოცხადების მომენტში.

განთავსებული კაპიტალის შემცირების ხარჯზე ქონების პარტნიორებზე განაწილებაზე შესაბამისად მოქმედებს სააქციო საზოგადოებისთვის დადგენილი წესები: გამოქვეყნების ვალდებულება (განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი შპს-ის შემთხვევაში რეგისტრაციას დაქვემდებარებული მონაცემი არ არის), ნ-თვიანი შემზღუდავი ვადა, რომელიც გამოქვეყნებიდან უნდა აითვალოს, და კრედიტორთა ინდივიდუალური თავდაცვის უფლება (იხ. 169-ე მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტები).

მე-7 პუნქტი ეხება სანარმოსა და პარტნიორებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობაში ე.წ. გაშლილი მკლავის პრინციპის დაცვას და ფარული დივიდენდის აკრძალვას.

მე-8 პუნქტი კანონდარღვევით მიღებული დივიდენდის უკან დაბრუნებას მოითხოვს, თუკი პარტნიორი არ არის კეთილსინდისიერი კანონდარღვევის მიმართ. დივიდენდის გამოცხადების ფარგლებში ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრებათ სანარმოს ხელმძღვანელ პირებს. მე-8 პუნქტი გამოიყენება ფარული დივიდენდის შემთხვევაშიც. ამაზე მიუთითებს დაზუსტება „უკან დააბრუნოს მიღებული დივიდენდი ან საზღაური“. ფარული დივიდენდის შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება ფინანსური დანაკლისი, რომელიც სანარმომ განიცადა „გაშლილი მკლავის“ პრინციპის დარღვევით დადებული გარიგების შედეგად. თავად გარიგება არ არის ბათილი. ამ თვალსაზრისით, 145-ე მუხლის მე-8 პუნქტი წარმოადგენს *lex specialis*-ს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის სამართლებრივი შედეგის მიმართ.

მუხლი 146. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლება

- 1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია პარტნიორს მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში მი-**

ანოდოს ინფორმაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დასაშვებია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებითი ინტერესების ხელყოფის რისკისგან დასაცავად. უარი წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ასევე დასაშვებია, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ სპეციალური აუდიტორის დანიშვნის მოთხოვნის მიმართ გამოიყენება ამ კანონის 174-ე მუხლი.

ინფორმაციის მიღების უფლება არ ამოიწურება პარტნიორთა კრების (გადაწყვეტილების) ირგვლივ ინფორმაციის მიღების უფლებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს ნებისმიერ დროს შეუძლია, ინფორმაცია მოსთხოვს სანარმოს ხელმძღვანელს. ინფორმაციის უფლება მოიცავს სანარმოს საქმიანობასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. რაც უფრო კონკრეტულია მოთხოვნილი ინფორმაცია, მით უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მიწოდებული ინფორმაციის ამომწურავი სახით მიწოდებას.

ინფორმაციის უფლება ასევე გულისხმობს საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაციის გაცნობას, თუმცა თავისთავად არ გულისხმობს სანარმოს ხარჯზე ასლების მოთხოვნის უფლებას.

მე-2 პუნქტთან დაკავშირებით იხ. 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის განმარტება.

მე-3 პუნქტთან დაკავშირებით იხ. 174-ე მუხლის განმარტება.

მუხლი 147. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სასარგებლოდ პარტნიორის სარჩელის შეტანის უფლება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სასარგებლოდ პარტნიორის სარჩელის შეტანის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 222-ე მუხლი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სასარგებლოდ პარტნიორის სარჩელის მიმართ შესაბამისად გამოიყენება, სააქციო საზოგადოების მოთხოვნის განხორციელების მიზნით, აქციონერის სარჩელის მომწესრიგებელი ნორმები (222-ე მუხლი).

იხ. 222-ე მუხლის განმარტება

მუხლი 148. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 176-ე მუხლი.

იხ. 176-ე მუხლის განმარტება

მუხლი 149. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა შეთანხმება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა შეთანხმებაზე ვრცელდება ამ კანონის 177-ე და 178-ე მუხლები.

იხ. 177-ე და 178-ე მუხლების განმარტება

თავი XIV. სააქციო საზოგადოება

მუხლი 150. სააქციო საზოგადოების ცნება

1. სააქციო საზოგადოება არის სამენარმეო საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად.
2. აქციონერი სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისთვის პასუხს არ აგებს.
3. სააქციო საზოგადოება კრედიტორის წინაშე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს.
4. სააქციო საზოგადოება აქციონერთა ვალდებულებებისთვის პასუხს არ აგებს.

სააქციო საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც აქვს საკუთარი წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების კაპიტალის ბაზარზე განთავსების შესაძლებლობა. თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის კაპიტალის ბაზრის სტაბილური ფუნქციონირების მნიშვნელობის, ინვესტორთა დაცვის მაღალი სტანდარტის დადგენისა და, რაც მთავარია, „წარმომადგენლობითი ხარჯების“ შესამცირებლად ამგვარი სამართლებრივი ფორმის მენარმე სუბიექტის ფუნქციონირება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან შედარებით, მოქცეულია მეტად დეტალურ და, ხშირ შემთხვევაში, იმპერატიული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში.

სამართლებრივი ფორმა	პარტნიორთა მინიმალური აუცილებელი რაოდენობა	პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა	ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი სუბიექტი	წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტის საჯარო შეთავაზების უნარი
სოლიდარული პასუხისმგებობის საზოგადოება	2	კი	პარტნიორები ერთობლივად	არა
კომანდიტური საზოგადოება	2	წაწილობრივ (მხოლოდ კომპლემენტარები)	კომპლემენტარი	არა
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	1	არა	დირექტორი	არა
სააქციო საზოგადოება	1	არა	დირექტორი	კი

კანონის 152-ე მუხლში წარმოდგენილია ეკონომიკურ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ფიგურის – სააქციო საზოგადოების ცნება. მუხლი მოიცავს სააქციო საზოგადოების ცნების ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს, როგო-

რებიცაა: კაპიტალის დაყოფა აქციებად; აქციონერისა და სააქციო საზოგადოების ვალდებულებების გამიჯვნა და სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობის ფარგლები.

წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით მონესრიგებულია მენარმე სუბიექტის ამგვარი სამართლებრივი ფორმის ცნების უნიკალურ ელემენტი – საზოგადოების კაპიტალის დაყოფა კაპიტალის ბაზარზე მიმოქცევად წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტად – აქციებად. კაპიტალის სწორედ ამგვარი დაყოფა აძლევს სააქციო საზოგადოებას ღია ბაზარზე საკუთარი წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების განთავსების გზით დამატებითი კაპიტალის მოზიდვისა და შემდგომში ამ ფინანსური ინსტრუმენტების მეორად ბაზარზე ბრუნვიდან გამონვეული არაპირდაპირი სიკეთებით სარგებლობის შესაძლებლობას.

152-ე მუხლის დანარჩენი სამი პუნქტი ეთმობა საზოგადოებისა და აქციონერის ვალდებულებებს შორის არსებულ ზღვარს და კორპორაციული საფარველის საკითხებს, რაც ამ საზოგადოებისა და მისი პარტნიორების ურთიერგამიჯვნის სამართლებრივ საფუძველს ქმნის. აქციონერსა და ფიქციურ წარმონაქმნს შორის ამგვარი მკაფიო ზღვრის არსებობა თავის თავში გულისხმობს სამენარმეო საზოგადოებისა და მასში ინვესტიციის განმახორციელებლის ქონებისა და პასუხისმგებლობის სრულ გამიჯვნას. ასეთი შესაძლებლობა არის მნიშვნელოვანი იარაღი ეკონომიკის განვითარებისათვის. ვინაიდან, მისი არ არსებობის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა იმ რისკის განსაზღვრა, რომელსაც ცალკეული ინვესტორი გასწევდა მენეჯერების მოქმედებისთვის. პასუხისმგებლობისაგან დამცავი ინსტრუმენტი განსაკუთრებით პოზიტიურად მოქმედებს მცირე ინვესტორებზე, რომელთაც საზოგადოების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მინიმალური ან, იშვიათ შემთხვევაში, ნულოვანი შესაძლებლობა აქვთ.

მუხლი 151. აქციის ცნება

აქცია არის რეგისტრირებული, დემატერიალიზებული, სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას.

აქციის არსებობამდე ინვესტორის მიერ თავისი უფლება-მოვალეობების სხვა პირისათვის გადაცემა უკავშირდებოდა რიგ ბუნდოვანებებს. მაგალითისათვის, ინდივიდუალურ შემთხვევებში უნდა დადგენილიყო რეალურად რა უფლება-მოვალეობების გადაცემა ხდებოდა, ჰქონდა თუ არა ამ პირს ამ უფლება-მოვალეობების სხვა პირისთვის გადაცემის უფლება და სხვა. ამ პრობლემის გადაჭრა მოხდა სტანდარტიზებული, ფურცელზე არსებულ სერტიფიკატის

შექმნის გზით, რომელშიც ინტეგრირებულ იქნა ინვესტორის უფლებები და მოვალეობები. არსობრივად აქცია გახდა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აქციონერის უფლებათა მასშტაბს სააქციო საზოგადოებაში. თავის მხრივ ამ სერტიფიკატის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების გადაცემის გზით დაიწყო მასში არსებული უფლება-მოვალეობების გადაცემა. მოგვიანებით, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, მატერიალურის სახით აქციის გადაცემის ბარიერის მოხსნის მიზნით მოხდა აქციების დემატერიალიზაცია. დემატერიალიზაციის შედეგად, დღეისათვის აქციაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა ელექტრონული ფორმით მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გზით.

საერთაშორისო, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში, ზოგიერთ შემთხვევაში აღარ ხდება აქციის პირდაპირი რეგისტრაციაც კი. მასზე საკუთრების უფლება წარმოიშობა შუამავლის (მაგალითად, ბროკერის ან ბანკის) ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანანერის გაკეთების გზით. ამ ანგარიშზე მოქცეულია გვაროვნული ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა და შესაბამისი ჩანანერის არსებობა პირს ანიჭებს ამ ფასიან ქაღალდებზე თანასაკუთრების უფლებას.

კანონის 153-ე მუხლი კაპიტალის ბაზრის ამ ფინანსური ინსტრუმენტის ცნებას ეთმობა. კანონში წარმოდგენილი აქციის ცნებაში აქცენტი გამახვილებულია აქციის რეგისტრირებულ და დემატერიალიზებულ ბუნებაზე. როგორც აღინიშნა დემატერიალიზებულ აქციას არ გააჩნია მატერიალური ფორმა და იგი ელექტრონული სახით არსებობს და მისი მომქცევა ხდება სწორედ ამ სისტემაში არსებულ ანგარიშებში მისი რეგისტრაციის გზით.

მუხლი 152. სააქციო საზოგადოებაში შენატანის განხორციელება

1. სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განევა არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოებაში არაფულადი შენატანის განხორციელების საგანი.
2. შენატანის განხორციელების წესი და ვადა განისაზღვრება კანონით ან/და წესდებით. თუ აღნიშნული ვადა დადგენილი არ არის, აქციონერმა შენატანი უნდა განახორციელოს სააქციო საზოგადოების მოთხოვნის შემდეგ, გონივრულ ვადაში. აქციის გასხვისების მომენტისთვის მასთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებებისთვის გამსხვისებელი აქციონერი შემძენთან ერთად სააქციო საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას ან მისი კაპიტალის გაზრდისას აქციონერმა შენატანი უნდა განახორციელოს სააქციო საზოგადოების

- რეგისტრაციის ან მისი კაპიტალის გაზრდის მომენტიდან 5 წლის ვადაში, თუ წესდებით უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული.
4. სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის ან კაპიტალის გაზრდის მომენტისთვის აქციონერმა ფულადი შენატანი უნდა განახორციელოს შესაბამისი გამოშვებული აქციის ნომინალური ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტის ოდენობით, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში – ამ კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტის ოდენობით.
 5. თუკი აქციონერმა დაარღვია ფულადი შენატანის განხორციელების ვადა, ვადამოსულ განუხორციელებელ ფულად შენატანს ერიცხება წლიური პროცენტი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ორმაგი ოდენობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სააქციო საზოგადოებამ დამატებით შეიძლება მოითხოვოს აღნიშნული ვადის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. იგივე წესი ვრცელდება არაფულად შენატანზე.
 6. აქციონერის მიერ ფულადი შენატანის განხორციელების ვადის დარღვევისას სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია დაიწყოს აქციის ჩამორთმევის პროცესი. ამ შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია გააფრთხილოს აქციონერი აქციის ჩამორთმევის პროცესის დაწყების შესახებ და ფულადი შენატანის განხორციელებისთვის მისცეს მას დამატებითი ვადა არანაკლებ 30 დღისა.
 7. დამატებითი ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გავზავნილი შეტყობინებით აქციონერი სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ კარგავს აქციას, განხორციელებულ შენატანს და მასთან დაკავშირებულ უფლებებს. განუხორციელებელ შენატანთან დაკავშირებული სააქციო საზოგადოების მოთხოვნები ძალაში რჩება.
 8. ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება აქციის ჩამორთმევის პროცესის შეწყვეტის შესახებ.
 9. ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის აუცილებლობას. ეს უფლებამოსილებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განისაზღვროს საერთო კრების უფლებამოსილებებად, თუ წესდება ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას.
 10. სააქციო საზოგადოების რეგისტრაციამდე აქციონერების მიერ შერჩეულმა დამოუკიდებელმა აუდიტორმა ნებისმიერ არაფულად შენატანთან დაკავშირებით უნდა შეადგინოს ანგარიში, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს

მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე. დამოუკიდებელი აუდიტორი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

11. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში სულ მცირე უნდა შეიცავდეს არაფულადი შენატანის შემადგენელი თითოეული აქტივის აღწერას, გამოყენებულ შეფასების მეთოდებს და მითითებას იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ამ მეთოდების გამოყენებით მიღებული ღირებულება შესაბამისი აქციების რაოდენობასა და ნომინალურ ღირებულებას, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში – ამ კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ღირებულებას.
12. შერწყმის/გაყოფის შედეგად დაფუძნებული ახალი სამენარმეო საზოგადოების მიმართ ამ მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი შემონმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ამ კანონის 70-ე მუხლით დადგენილი წესით.

შესატანის არსი. სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი საკუთრების ქონის უნარია, რომელიც შემდგომში გამოყენებულ უნდა იქნეს სამენარმეო საზოგადოების მიზნებისათვის და შედეგად განაპირობოს ეკონომიკურ ურთიერთობებში ამგვარი სუბიექტის სრულფასოვანი ინტეგრირება. სააქციო საზოგადოებაში კაპიტალის თავმოყრა სანარმოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა წყაროდან ხდება. სანყის სტადიაზე, ვიდრე სამენარმეო საქმიანობის შედეგად ან საბანკო რესურსებიდან/კაპიტალის ბაზრიდან ფულადი რესურსების თავმოყრა მოხდება, სააქციო საზოგადოების კაპიტალით აღჭურვის ძირითადი წყარო აქციონერების შენატანებია. სწორედ აქციონერთა შენატანებმა უნდა უზრუნველყონ ფუნქციონირებადი სააქციო საზოგადოების ფორმირება. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს საზოგადოების საკუთარი კაპიტალის (equity capital) მინიმალური აუცილებელი თანაფარდონები საზოგადოების საერთო ქონებასთან.¹

154-ე მუხლის მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტები ეთმობა შენატანის ფორმასა და მისი შეტანის წესს. შინაარსობრივად შენატანი არის საზოგადოებისათვის გადაცემული აქტივი, რომელიც სააქციო საზოგადოების თავისუფალი განკარგვის სფეროში ექცევა. სააქციო საზოგადოების კაპიტალში შენატანი შეიძლება განხორციელდეს ფულადი ან არაფულადი სახით. ამასთანავე, სააქციო საზოგადოების განსაკუთრებულად კაპიტალური ბუნებიდან

¹ მაგალითად, კომერციული ბანკების შემთხვევაში საკუთარი კაპიტალის ოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესაძლებელია გამომდინარეობდეს „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით ჩამოყალიბებული სპეციალური ეროვნული კანონმდებლობიდან.

გამომდინარე, არაფულად შენატანად ვერ ჩაითვლება სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განევა.

შესატანის შეტანის პროცედურულ ნაწილში წარმოდგენილი კანონი იძლევა საწესდებო ავტონომიის ფარგლებში შესატანის შეტანის წესისა და ვადების განსაზღვრის ავტონომიას. იმავდროულად, ევროკავშირის 2012/30 დირექტივიდან გამომდინარე, არსებობს ცალკეული იმპერატიული დებულებები.

შესატანის შეტანის ვადა. აქციონერების მიერ თავისი შენატანის განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 5 წელი. წესდებით, აქციონერებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ შესატანის განხორციელების უფრო ნაკლებ ვადაზე. შესატანის შეტანის ვადის ათვლა მოხდება საზოგადოების რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო შემდგომში კაპიტალის გაზრდის მიზნით განსახორციელებელი შესატანების შემთხვევაში კაპიტალის გაზრდის მომენტიდან.

იმ შემთხვევაში, თუ შენატანის განხორციელების ვადა არ არის მითითებული წესდებაში, მაშინ ივარაუდება, რომ საზოგადოებას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ ან კონკრეტული დროზე მითითებით, მოსთხოვოს აქციონერს შესატანის განხორციელება. ამასთან, ვინაიდან შენატანებზე პასუხისმგებელი სუბიექტი სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრია, სწორედ მასვე ეკისრება ვალდებულება, საჭიროების წარმოშობისას დროულად მოახდინოს ამ ოფციით სარგებლობის უფლების რეალიზება.

შესატანის შეტანის წესი. საზოგადოების რეგისტრაციის ან კაპიტალის გაზრდის მომენტისათვის შენატანები განხორციელებულ უნდა იქნეს შესაბამისი გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების/განთავსებული კაპიტალის, სულ მცირე, 25%-ის ოდენობით.

კანონი ითვალისწინებს არაფულადი შენატანების შეფასების დეტალურ პროცედურას, რომელიც ევროკავშირის 2012/30 დირექტივიდან გამომდინარეობს. იმ შემთხვევაში, თუ შენატანის განხორციელება საზოგადოების კაპიტალში არაფულადი ფორმით ხორციელდება, არსებობს მათი ზეშეფასების რისკი, რის შედეგადაც საზოგადოების განთავსებულ კაპიტალსა და მის ფაქტობრივ ქონებას შორის წარმოიქმნება მკვეთრი დისბალანსი, რისმა რისკმაც შესაძლებელია, მკვეთრად გაზარდოს ტრანსაქციული ხარჯები საზოგადოებასთან დაკავშირებული მხარეებისთვის ან გამოიწვიოს ამავე პირებისათვის არსებითი ზიანის მიყენება.

ამგვარი უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების მიზნით, საზოგადოებას ეკისრება ვალდებულება, შეარჩიოს აუდიტორი, რომლის მიერაც შეფასებულ იქნება არაფულადი შენატანები. ამ მიზნით, აუდიტორი შეადგენს ანგარიშს, რომელიც, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს შენატანის შემადგენელი თითოეული აქტივის აღწერას, ისევე, როგორც გამოყენებული შეფასების მეთოდებსა და

დასკვნას შეესაბამება თუ არა ამ მეთოდების გამოყენებით მიღებული ღირებულება, სულ მცირე, მათი შესაბამისი აქციების რაოდენობასა და ნომინალურ ღირებულებას, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობისას განთავსებული კაპიტალის დადგენილ ღირებულებას.

არასაჭირო ხარჯების შემცირების მიზნით, აღნიშნული წესიდან ერთადერთი გამონაკლისია შერწყმის/გაყოფის შედეგად დაფუძნებული ახალი სამენარმეო საზოგადოება, თუ შერწყმის/გაყოფის გეგმა უკვე შემონმებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

შესატანის შეუტანლობის სამართლებრივი შედეგი. კანონი წინამდებარე მუხლის მე-5-მე-9 პუნქტები ეთმობა საზოგადოების აქციონერის მიერ კუთვნილი შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, შენატანის განხორციელების ვადის დარღვევის შემთხვევაში ვადამოსულ შეუტანელ შენატანს, თუ წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, დაერიცხება წლიური პროცენტი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ორმაგი ოდენობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, ასეთი სანქცია არ ათავისუფლებს პირს საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან. სააქციო საზოგადოებას რჩება უფლება, მოითხოვოს ვადის დარღვევით გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, აქციის გასხვისების შემთხვევაში, გასხვისების მომენტისთვის მასთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის სააქციო საზოგადოების წინაშე გამსხვისებელი აქციონერი, შემძენთან ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონის ნოვაციაა აქციათა ჩამორთმევის მკაფიო პროცედურების განერა. აქციონერის გარიცხვის პროცედურების დაწყება ექცევა ხელმძღვანელი ორგანოს ექსკლუზიურ კომპეტენციაში. აღნიშნული უფლებამოსილებები მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გადაეცეს საერთო კრებას, ან ამ უფლების რეალიზება დაექვემდებაროს სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ თანხმობას. აქციების ჩამორთმევის პროცედურა იწყება აქციონერის გაფრთხილებით აქციის ჩამორთმევის პროცესის დაწყების თაობაზე და მისთვის დამატებითი ვადის მიცემით. ისეთ გონივრულ ვადად, რომელიც, ერთი მხრივ, მინიმუმამდე შეამცირებდა საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა აქციონერისათვის ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, კანონში მოცემულია 30 დღე. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი დამატებით დადგენილი ვადის განმავლობაშიც არ მოახდენს ვალდებულების შესრულებას, ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ამის თაობაზე შეტყობინების შემდგომ აქციონერი დაკარგავს იმ აქციას, რომელზეც აქვს შეუტანელი შენატანი. ასევე, აქციონერს

არ დაუბრუნდება უკვე ნაწილობრივ განხორციელებული შენატანი და სააქციო საზოგადოებას დარჩება შეუტანელ შესატანთან დაკავშირებული მოთხოვნები.



ამგვარი ეკონომიკურ-სამართლებრივი შედეგი, ერთი შეხედვით, შეიძლება გადაჭარბებულიც ჩანდეს, თუმცა ასეთმა მკაცრმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა მიერ საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესრულება. სააქციო საზოგადოებას, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების დამოუკიდებელ მონაწილეს, აქვს მოლოდინი, რომ აქციონერი იქნება კეთილსინდისიერი და ჯეროვნად შეასრულებდა თავის ვალდებულებას. ამგვარი მოლოდინის ფარგლებში კი აღნიშნული სანარმო სწევს სამენარმეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ რისკს. მეტიც, აქციონერის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობა სამენარმეო საზოგადოება შეიძლება დააყენოს გადახდუნარობის ან კაპიტალთან დაკავშირებით სპეციალური კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუთავსებლობის წინაშე. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირება, რომელიც, ერთი მხრივ, ორიენტირებული იქნება ვალდებულებათა შეუსრულებლობის თავიდან აცილებაზე, მეორე მხრივ კი, ვალდებულების დარღვევისას შექმნის ზიანის მაქსიმალურად შემცირების მექანიზმებს.

ამავე კონტექსტში, წინამდებარე მუხლი შეიცავს ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილებას, ნებისმიერ მომენტში მიიღოს გადაწყვეტილება აქციის ჩამორთმევის პროცესის შეწყვეტის შესახებ. ასეთი ზოგადი ჩანაწერი არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ხელმძღვანელი ორგანო აბსოლუტური დისკრეციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას ჩამორთმევის პროცედურის შეწყვეტის თაობაზე. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ხელმძღვანელი ორგანოს წევრის მიმართ კანონით დადგენილი ვალდებულებები. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელი ორგანო შეზღუდულია სააქციო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებით.

მუხლი 153. ნებადართული, გამოშვებული და განთავსებული აქციები

1. ნებადართული აქციები განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით გათვალისწინებულ განსათავსებელ აქციათა მაქსიმალური რაოდენობით.
2. გამოშვებულ აქციებად მიიჩნევა აქციები, რომელთა ზუსტი რაოდენობაც განისაზღვრება სააქციო საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით და რომლებიც განთავსების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობით უნდა იქნეს განთავსებული და გადახდილი.
3. განთავსებულ აქციებად მიიჩნევა აქციები, რომლებიც გაცემულია სააქციო საზოგადოების მიერ სხვა პირისთვის გარკვეული თანხის ან სხვა საზღაურის გადახდის პირობით და დადგენილი წესით რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სააქციო საზოგადოება ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი და რომელშიც აღნიშნულია აქციების რეგისტრირებული მესაკუთრეებისა და მათ საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობა, კლასი და მათთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.

სააქციო საზოგადოება და განთავსებული აქციების არსებობა ერთმანეთისაგან განუყოფელია. აქციათა განთავსება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელი კაპიტალის ფორმირების, არამედ თავად ასეთი საზოგადოების ძირითადი მახასიათებლის კაპიტალის აქციებად დაყოფის პრაქტიკულად რეალიზებისთვის. ამასთანავე, აქციათა პირველადი განთავსებით არ სრულდება საზოგადოების კაპიტალის აქციებად დაყოფის პროცესი და საზოგადოების შემდგომ გამონვევებზე საპასუხოდ განთავსებული აქციების რაოდენობა მუდმივად ცვლადია, რასაც წინ უძღვის აქციონერთა მხრიდან იმ აქციების განსაზღვრა, რომლის შემდგომი გამოშვება და განთავსებაა შესაძლებელი. კანონის 155-ე მუხლი ეთმობა სააქციო საზოგადოების კაპიტალის ფორმირების ამ კომპლექსური საკითხის ცნებათა დონეზე განსაზღვრას. წინამდებარე მუხლის ფარგლებში წარმოდგენილია როგორც ნებადართული, ისე გამოშვებული და განთავსებული აქციის ცნება.

ნებადართული აქციები. ნებადართული აქციები განისაზღვრება სამენარმეო საზოგადოების წესდებით განთავსებისთვის გათვალისწინებულ აქციათა მაქსიმალური ოდენობით. ნებადართული ამის მიზანი საზოგადოების წინაშე არსებულ გამონვევებზე მოქნილი რეაგირებისთვის ფუნდამენტის შექმნა და მენეჯმენტის ეფექტიანობის ზრდაა. კერძოდ, ბაზარზე არსებულ გამონვევებზე საპასუხოდ, მმართველ ორგანოს ხშირად ენიჭება შესაძლებლობა, საერთო კრების მიერ წინასწარ განსაზღვრული ნებადართული კაპიტალის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება აქციების გამოშვების თაობაზე.

გამოშვებული აქციები. აქციათა იმ ოდენობას, რომელიც სააქციო საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოს გადანყვეტილებით განისაზღვრა, როგორც ოდენობა, რომელიც ექვემდებარება განთავსებასა და გადახდას, ეწოდება გამოშვებული აქციები. საზოგადოება ერთი და იმავე აქციის გამოშვებას ახდენს მხოლოდ ერთხელ, ხოლო შემდგომში საზოგადოების აქციონერებს ინვესტიციიდან გასვლის, წინა წელს გაუცემელი დივიდენდის ხარჯზე გაზრდილი აქციების ღირებულების გაფულადების თუ სხვა მიზეზებით შესაძლებლობა აქვთ, მეორად ბაზარზე მოახდინონ მათი რეალიზება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზოგადოება მიიღებს გადანყვეტილებას აქციების გამოსყიდვის თაობაზე, ასეთი აქციები, მართალია, კარგავენ განთავსებულის სტატუსს და ინოდებიან სახაზინო აქციებად, თუმცა რჩებიან გამოშვებულად, იმდენად, რამდენადაც საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს მათი გადაყიდვა.

განთავსებული აქციები. იმ აქციებს, რომელიც გაცემულია სააქციო საზოგადოების მიერ სხვა პირისთვის ფულის ან სხვა საზღაურის გადახდის პირობით და დადგენილი წესით დარეგისტრირებულია სააქციო საზოგადოების რეესტრში, ეწოდება განთავსებული აქციები. აქვე აღსანიშნავია, რომ განთავსებული აქციების ოდენობა მნიშვნელოვნად იცვლება საზოგადოების ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპზე. კერძოდ, განთავსებული აქციების ოდენობა, როგორც წესი, პროპორციულად იცვლება იმის მიხედვით, საზოგადოება მიიღებს ახალი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის ზრდის თუ საკუთარი აქციების გამოსყიდვის გზით კაპიტალის შემცირების თაობაზე გადანყვეტილებას.

ამავე მუხლში პირველად ვხვდებით აქციათა რეესტრის შესახებ ჩანაწერს. აქციათა რეესტრი – ეს არის საზოგადოების რეესტრი, რომელსაც აწარმოებს სააქციო საზოგადოება ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი. აქციათა რეესტრში აღნიშნულია რეგისტრირებული მესაკუთრეებისა და მათ საკუთრებაში არსებული აქციების ოდენობა, კლასი და მათთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია. რეესტრში ინფორმაცია მიმდინარე რეჟიმშია განახლებადი და აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა საზოგადოების კაპიტალში საკუთრების უფლების დასადასტურებლად.

მუხლი 154. აქციის ნომინალური ღირებულება

1. სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია შესაბამისი კლასის აქციის გამოშვება (აქციის ნომინალური ღირებულება).
2. ერთი კლასის ყველა აქციის ნომინალური ღირებულება ერთი და იგივე უნდა იყოს.

აქციის ნომინალური ღირებულება არის აქციის ის მინიმალური წინასწარ განსაზღვრული ფასი, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც არ უნდა მოხდეს ამ აქციების პირველად ბაზარზე გამოშვება. კანონის 154-ე მუხლი სააქციო საზოგადოების აქციის ნომინალური ღირებულების ცნების განსაზღვრას ეთმობა.

აღნიშნული მუხლის მიხედვით, ნომინალური ღირებულება არის აქციის წესდებით განსაზღვრული ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია მოცემული კლასის აქციის გამოშვება. სწორედ ნომინალური ღირებულების ამგვარი ფიქსაცია განასხვავებს აქციის ნომინალურ ღირებულებას აქციის რეალური ღირებულებისაგან, რომელიც არის აქციის ის ღირებულება, რომლითაც კონკრეტული მომენტისათვის ბაზარზე შესაძლებელია ამ აქციის შეძენა. საპირისპიროდ, ნომინალურ ღირებულებას რეალური ღირებულებისაგან განსხვავებით არ აქვს კავშირი მოთხოვნა-მიწოდებასთან.

მუხლი 155. აქცია ნომინალური ღირებულების გარეშე

- 1. სააქციო საზოგადოებას შეუძლია გასცეს აქცია ნომინალური ღირებულების გარეშე.**
- 2. ნომინალური ღირებულების გარეშე აქციის გამოშვების მინიმალური ღირებულება დგინდება შესაბამის განთავსებულ კაპიტალში მისი წილით.**

სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს აქციები ნომინალური ღირებულებით ან ასეთის გარეშე. აქცია ნომინალური ღირებულების გარეშე არის ნომინალური ღირებულების მქონე აქციის ალტერნატივა. სწორედ ამგვარი აქციის ცნების განსაზღვრას ეთმობა კანონის 155-ე მუხლი.

სახელწოდებაში არსებული მითითება ნომინალური ღირებულების არქონის თაობაზე არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ასეთ აქციებს „არ გააჩნიათ“ ღირებულება. წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტი იძლევა ნომინალური ღირებულების არმქონე აქციის გამოშვების მინიმალური ღირებულების კალკულაციის მეთოდს. ამ პუნქტის მიხედვით, ნომინალური ღირებულების არმქონე აქციის გამოშვების ინდივიდუალური ღირებულება დგინდება საზოგადოების კაპიტალში მათი ოდენობის პროპორციულად. კერძოდ, ასეთი ღირებულება დადგინდება ნომინალური ღირებულების არმქონე აქციებით ფორმირებული განთავსებული კაპიტალის ჯამის გაყოფით ნომინალური ღირებულების არმქონე აქციების ოდენობაზე:



ამასთან, მეორე პუნქტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვას „შესაბამისი“. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას რამდენიმე კლასის აქცია აქვს, მაშინ საზოგადოების დაფუძნებისას ნომინალური ღირებულების არმქონე აქციის გამოშვების ღირებულება დაიანგარიშება ამ კლასის აქციებით შემდგარი კაპიტალის გაყოფით ამავე კლასის აქციონერების რაოდენობაზე.

მთლიანობაში ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები ისეთივე ეფექტურობით ახდენენ სააქციო საზოგადოების კაპიტალის ფორმირებას, როგორც ნომინალური ღირებულების მქონე აქციები. ამასთან, გარდა სახელწოდებრივი და კალკულაციური სხვაობებისა, ნომინალური ღირებულების მქონე აქციების და ასეთის გარეშე აქციების არსებობას აქვს შესაბამისი საბუღალტრო განსხვავებებიც, მათი განცალკევებით აღრიცხვის სახით.

მუხლი 156. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი

1. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს.
2. თუ სააქციო საზოგადოებას აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების მქონე აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს ნომინალური ღირებულების მქონე აქციათა ჯამს. თუ სააქციო საზოგადოებას განთავსებული აქვს როგორც ნომინალური ღირებულების მქონე აქციები, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა აღემატება ნომინალური ღირებულების მქონე აქციათა ჯამს. თუ სააქციო საზოგადოებას განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა შეადგენს სულ მცირე ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ოდენობას.
3. თუ აქციის განთავსების შედეგად მიღებული ღირებულება აღემატება აქციის ნომინალურ ღირებულებას, აღნიშნული ნამეტი არის სააქციო საზოგადოების სარეზერვო კაპიტალი, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის 168-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები.

4. განთავსებული კაპიტალის ოდენობა აღინიშნება სააქციო საზოგადოების ბალანსში.

კანონში ერთმანეთისგანაა გამიჯნული განთავსებული და მინიმალური განთავსებული კაპიტალის ცნებები. ამგვარი გამიჯვნა სწორედ 156-ე მუხლში მინიმალური განთავსებული კაპიტალის სახით ახალი ტერმინის შემოტანით და მისი კონკრეტულ თანხობრივ ოდენობასთან დაკავშირებით ხდება. შემდგომ მუხლებში კი ასეთ გამიჯვნას თან სდევს განთავსებულ კაპიტალსა და მინიმალურ განთავსებულ კაპიტალთან დაკავშირებული სპეციალური რეგულაციები.

„მინიმალური განთავსებული კაპიტალი“ არის აქამდე საქართველოს კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ ტერმინ „სანესდებო კაპიტალის“ კონცეპტუალური ანალოგი. სახელწოდება „მინიმალური განთავსებული კაპიტალი“ შეირჩა ევროკავშირის 2012/30 დირექტივის თარგმანიდან (Minimum Subscribed Capital).

განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს იმ აქციებს, რომლებიც გაცემულია სააქციო საზოგადოების მიერ სხვა პირისთვის გარკვეული თანხის ან სხვა საზღაურის გადახდის პირობით. თავის მხრივ, მინიმალური განთავსებული კაპიტალი – ესაა ის ერთეული, რომელზე ნაკლებსაც, კანონის იმპერატიული დათქმიდან გამომდინარე, არ უნდა შეადგენდეს საზოგადოების მიერ განთავსებული კაპიტალი.

ევროკავშირის 2012/30 დირექტივის მიხედვით, მონაწილე მხარეებმა სააქციო საზოგადოების მინიმალურ განთავსებულ კაპიტალად უნდა განსაზღვრონ 25 000 ევრო. კანონზე მუშაობის პროცესში გადაწყდა, რომ ე.წ. ლარიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნებოდა თანხის ეროვნულ ვალუტაში გამოსახვა. შესაბამისად, მიეთითა, რომ სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტიდან დასაწყისად სააქციო საზოგადოების ბალანსში აღნიშნული განთავსებული კაპიტალის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები.

სათანადო კაპიტალით სააქციო საზოგადოების აღჭურვის უზრუნველსაყოფად წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტი ადგენს მოთხოვნას, რომ, თუ სააქციო საზოგადოებას აქვს ნომინალური ღირებულების აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, ნომინალური ღირებულების აქციათა ჯამს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოებას განთავსებული აქვს ასევე ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები, – აღემატებოდეს მას. იმ შემთხვევაში კი, თუ სააქციო საზოგადოებას განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 100 000 ლარს.

ამასთანავე, კანონის ამავე მუხლში ვხვდებით სარეზერვო კაპიტალის ფორმირების ერთ-ერთი წყაროს შესახებ ჩანაწერს. კერძოდ, ის ოდენობა, რომელიც

აღემატება აქციათა ნომინალური ღირებულების ოდენობის ჯამს, მიქცეული იქნება სააქციო საზოგადოების სარეზერვო კაპიტალში. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცელდება რიგი სპეციალური წესებისა, რაზეც დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია 168-ე მუხლის განმარტებაში.

მუხლი 157. აქციების კონსოლიდირება და დანაწევრება

1. ნომინალური ღირებულების მქონე აქციები შეიძლება კონსოლიდირებულ ან დანაწევრებულ იქნეს თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებისა და რაოდენობის შესაბამისი ცვლილებით.
2. ნომინალური ღირებულების არმქონე აქციები შეიძლება კონსოლიდირებულ ან დანაწევრებულ იქნეს მათი რაოდენობის შესაბამისი ცვლილებით.
3. აქციების კონსოლიდირების ან დანაწევრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სხვადასხვა კლასის აქციების არსებობის შემთხვევაში საჭიროა აგრეთვე კაპიტალის იმ ნაწილის მფლობელთა 3/4-ის უმრავლესობის თანხმობა, რომელზედაც მისაღები გადაწყვეტილება ახდენს გავლენას.
4. აქციების კონსოლიდირება და დანაწევრება ხდება სააქციო საზოგადოების კაპიტალში თითოეული აქციონერის წილის შენარჩუნების პირობით.

აქციათა კონსოლიდირება (Consolidation of Shares) არის სააქციო საზოგადოების განთავსებული აქციების რაოდენობის შემცირება, აქციის ღირებულების პროპორციულად გაზრდის მიზნით. აქციათა კონსოლიდაცია, უმეტესწილად, გამოიყენება ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოებების მიერ ბაზარზე არსებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისათვის. კონსოლიდაციის შედეგად მოქმედ აქციონერებს უკავიათ უფრო ნაკლები ოდენობის აქციები, თუმცა თითოეული აქციის ღირებულება პროპორციულადაა გაზრდილი. აქციათა კონსოლიდირების აუცილებელი წინა პირობაა სააქციო საზოგადოების კაპიტალში თითოეული აქციონერის წილის შენარჩუნება. შესაბამისად, არ იცვლება, არც ინდივიდუალური აქციონერის ქონება, და არც სააქციო საზოგადოების კაპიტალი.

საპირისპიროდ, აქციათა დანაწევრებისას (Stock Split) სააქციო საზოგადოება ისწრაფვის არსებული კაპიტალის პირობებში აქციათა მეტი რაოდენობის მიღებისაკენ. ამის მიზანი, უმეტეს შემთხვევაში, აქციის ფასის შემცირებაა, რათა ეს აქციები ხელმისაწვდომი გახდეს ინვესტორთა ფართო წრისათვის. ამ

შემთხვევაშიც, სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის სიდიდე უცვლელი რჩება.

აქციათა კონსოლიდირება

- აქციონერს აქვს 100 აქცია. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. თუ სააქციო საზოგადოება განაცხადებს 10 აქციის კონსოლიდირებას 1 აქციაში, მაშინ პირის ხელში აღმოჩნდება 10 აქცია. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იქნება 10 ლარი.

აქციის დანაწევრება

- აქციონერს აქვს 10 აქცია. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 10 ლარი. თუ სააქციო საზოგადოება განაცხადებს 1 აქციის 10 აქციად დანაწევრებას, მაშინ აქციონერის ხელში აღმოჩნდება 100 აქცია. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იქნება 1 ლარი.

აქციების კონსოლიდირება და აქციის დანაწილება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოების წინაშე არსებულ სხვადასხვა გამონეგვაზე საპასუხოდ. ამასთანავე, მას პირდაპირი გავლენა აქვს ინდივიდუალურად თითოეულ აქციონერზე. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა საკმაოდ მაღალი – 3/4-ის უმრავლესობით. ამასთანავე, ინვესტორთა დაცულობის ხარისხის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, კანონი ითვალისწინებს თითოეული იმ კლასის აქციის მიერ საკითხის დამოუკიდებლად კენჭისყრას, რომელზეც გავლენას ახდენს ასეთი გადაწყვეტილება.

მუხლი 158. აქციის კლასი. აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდი

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აქცია შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული. 1 ჩვეულებრივი აქცია საერთო კრებაზე 1 ხმის უფლებას უზრუნველყოფს. პრივილეგირებული აქცია ხმის უფლებას არ უზრუნველყოფს, გარდა კანონით ან წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრივილეგირებულ აქციათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების რაოდენობის ნახევარს.
2. პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს ანიჭებს წესდებით დადგენილ უპირატესობას დივიდენდის განაკვეთისა და მიღების რიგითობის მხრივ. იგივე უპირატესობა მოქმედებს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების ქონების აქციონერთა შორის განაწილებისას, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ერთი კლასის აქციები მათ მფლობელებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს.
4. სააქციო საზოგადოებამ შეიძლება შემოიღოს ამ მუხლით გათვალისწინებული სხვაგან განსხვავებული კლასის აქციები.
5. ნებისმიერი კლასის აქციათა რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე ამ უფლებებისა და მოვალეობების შეცვლის პირობა უნდა აისახოს წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – აგრეთვე ემისიის პროსპექტში) ამ კლასის აქციის განთავსებამდე. აქციის განთავსების შემდეგ განთავსებულ აქციასთან დაკავშირებული უფლებისა და მოვალეობის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი კლასის აქციების მფლობელთა 3/4-ის თანხმობით.
6. სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდი.

სააქციო საზოგადოებაში ინვესტირების მიზანი და დაინტერესების ხარისხი სხვადასხვა აქციონერისათვის შესაძლებელია განსხვავებული იყოს. ზოგიერთ აქციონერს შეიძლება ამოძრავებდეს საზოგადოების მართვაში მონაწილეობის გზით სანარმოს განვითარების მხარდაჭერა და ამ გზით გრძელვადიან ურთიერთობაში მსხვილი შემოსავლის მიღება. სხვა შემთხვევებში აქციონერები უმეტესწილად ისწრაფვიან მოკლევადიან პერსპექტივაში შემოსავლის ზრდისკენ და მიზნად არ ისახავენ საკუთარი ინვესტიციის საზოგადოებასთან გრძელვადიანად დაკავშირებას. სწორედ ამიტომ სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმა აღჭურვილია შესაძლებლობით, ინვესტორებს მიაწოდოს სხვადასხვა უფლებისა და მოვალეობის მატარებელი ფასიანი ქაღალდები. კანონის 160-ე მუხლი ამგვარი შესაძლებლობის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის აქციებთან, ასევე, სხვა კლასის აქციების შემოღებასთან, გამოშვებული აქციების უფლება-მოვალეობების შეცვლასა და აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული საკითხები.

აქციები ერთი და იმავე უფლებებით ქმნიან აქციათა ერთ კლასს. კანონი ნორმატიულ დონეზე არეგულირებს აქციათა ორ კლასს – ჩვეულებრივს და პრივილეგირებულს. ამასთანავე, კანონმდებელი ვერ შექმნის აქციათა კლასების იმგვარ უნიფიცირებულ კატალოგს, რომელიც საბაზრო ურთიერთობათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, თანხვედრაში მოვა თითოეული სააქციო საზოგადოების ინტერესთან. შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს წესდებით სხვა კლასის აქციის შექმნისა და მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას.

ჩვეულებრივი კლასის აქცია ყველაზე გავრცელებულ, კაპიტალზე დაფუძნებულ, ფასიანი ქაღალდის სახეა. სწორედ ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტის

მფლობელი წარმოადგენს იმ პირს, რომელიც ქმნის საზოგადოების ოპერირებისათვის აუცილებელ პირველად კაპიტალს. მეტიც, პრაქტიკაში ხშირად შევხვდებით იმ სააქციო საზოგადოებებს, სადაც ჩვეულებრივი კლასის აქციაა ის ერთადერთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც სააქციო საზოგადოებას აქვს. ჩვეულებრივი კლასის აქციის განსაკუთრებული მახასიათებელია ინვესტორთა პირდაპირი მონაწილეობა საზოგადოების კაპიტალში. ამასთან, მართალია, ჩვეულებრივი კლასის აქციონერები ფლობენ იმ აქციებს, რომლებიც ერთიანობაში საზოგადოების კაპიტალს ქმნიან, თუმცა მათ არ შეუძლიათ, საზოგადოების ქონებაზე განახორციელონ ბატონობა ისე, როგორც პირად საკუთრებაზე. ჩვეულებრივი კლასის აქციის მფლობელებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ საზოგადოებაში საკუთარი კაპიტალის უკან გამოთხოვა, რითაც ასეთი აქციონერები იღებენ ფინანსურ რისკს საზოგადოების საქმიანობაზე. ამგვარი რისკი ინვესტორთა მოგების, საზოგადოების წარმატებულ მენეჯმენტზე დამოკიდებულებას განაპირობებს. სწორედ საზოგადოების კაპიტალში წილის ფლობა, ანუ საზოგადოების წარმატებულობაზე საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის დამოკიდებულება არის ამგვარი კლასის აქციონერის კორპორაციულ მართვაში განსაკუთრებული ჩართულობის მიზეზი. ჩვეულებრივი კლასის აქციონერები წარმოადგენენ საზოგადოების ინსაიდერებს და სარგებლობენ საზოგადოების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის უფლებით.

საპირისპიროდ, პრივილეგირებული კლასის აქცია არ იძლევა კორპორაციულ მართვაში ხმის უფლებით მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა მისი მფლობელი სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით. კანონით განმტკიცებულია პრივილეგირებული კლასის აქციის უპირატესობა დივიდენდის განაკვეთის და მიღების რიგითობის მხრივ, ასევე, ქონების მიღების უპირატესობა დაშლილი საზოგადოების ქონების აქციონერთა შორის განაწილებისას. ამგვარი უპირატესობების გათვალისწინებით, პრივილეგირებული კლასის აქცია არის ჩვეულებრივი კლასის აქციასა და ობლიგაციას შორის არსებული ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი.

ასევე, კანონი ითვალისწინებს აქციაში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების შემოღების შესაძლებლობას. კონვერტირებადობა გულისხმობს ფასიანი ქაღალდის მფლობელის შესაძლებლობას, გადაცვალოს კუთვნილი ფასიანი ქაღალდები ამავე ფინანსური ინსტრუმენტის ემიტენტის მიერ გამოშვებულ ან გამოსაშვებ სხვა კლასის ფასიან ქაღალდებში.

ამავე მუხლშია განმტკიცებული სანესდებო ავტონომიის მიმართება აქციათა კლასებთან. კერძოდ, ერთი მხრივ, მოცემულია შესაძლებლობა, შემოღებულ იქნეს როგორც განსხვავებული კლასის აქციები, ისე შეცვლილ იქნეს აქციების რაოდენობა ან მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები. ამასთანავე, აქციონერების დაცვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სტანდარტის უზ-

რუნველსაყოფად კანონი ითვალისწინებს აქციებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეცვლის მკაცრ პირობებს. კერძოდ, შეცვლის პირობა წინასწარ უნდა აისახოს სააქციო საზოგადოების წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – ასევე ემისიის პროსპექტში), ამ სახის აქციის განთავსებამდე. აქციის განთავსების შემდეგ კი განთავსებულ აქციასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ამავე კლასის აქციების მფლობელთა 3/4-ის თანხმობით. შესაბამისად, ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაში ხმის უფლება ენიჭება ხმის უფლების არმქონე აქციასაც. ასეთი კენჭისყრა ინდივიდუალურად უნდა გაიმართოს თითოეული იმ კლასის აქციისთვის, რომელთა უფლება-მოვალეობებსაც აღნიშნული ცვლილება ეხება.

მუხლი 159. აქციათა გადაცემა, რომელიც დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების თანხმობაზე

1. ცალკეული სახეების აქციების გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს სააქციო საზოგადოების თანხმობაზე. ასეთი აქციის გადაცემაზე სააქციო საზოგადოების თანხმობის გაცემის წესი დგინდება წესდებით აქციის გადაცემამდე.
2. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქაღალდის გადაცემაზე სააქციო საზოგადოების თანხმობის გაცემის დაწესება დაუშვებელია.

სააქციო საზოგადოებათა ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება კაპიტალის დაყოფაა თანაბარი მნიშვნელობის ფინანსურ ინსტრუმენტებად და ამ ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევადობა ღია ბაზარზე. ასეთი მიმოქცევა თავისუფალია, რაც განპირობებულია კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის ინტერესით. კანონის 159-ე მუხლი ეთმობა ღია ტიპის საზოგადოებისათვის არადამახასიათებელ აქციათა თანხმობასავალდებულო გაცემის პრინციპს. აღნიშნულ მუხლში მოწესრიგებულია როგორც თანხმობასავალდებულო გაცემის ცნება და მისი განსაზღვრის წესი, ისე ასეთი შეზღუდვის დადგენის შესაძლებლობიდან გამონაკლისი.

წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი იძლევა შესაძლებლობას, მხარეებმა აქციის განთავსებამდე განსაზღვრონ, რომ ამ სახის აქციის გასხვისება დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების თანხმობაზე. ასევე, წესდებაშივე უნდა განისაზღვროს ასეთი თანხმობის გაცემის წესი.

განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება საჯარო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა. კაპიტალის ბაზრის შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე,

მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშვალდებული საწარმოს აქცია ექვემდებარებოდეს თავისუფალ მიმოქცევას. შესაბამისად, აქციების თავისუფალი მიმოქცევისათვის საერთო კრებამ უარი უნდა თქვას გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებაზე. აქედან გამომდინარე, თანხმობასავალდებულო გაცემის ინსტიტუტი არ გავრცელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქაღალდის გადაცემაზე.

მუხლი 160. სააქციო საზოგადოების მიერ ახალი აქციების თავის სასარგებლოდ განთავსების აკრძალვა

- 1. სააქციო საზოგადოებამ ახალი აქციები არ შეიძლება განათავსოს თავის სასარგებლოდ.**
- 2. თუ სააქციო საზოგადოების აქციები განთავსდა ისეთი მესამე პირის სასარგებლოდ, რომელიც საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით მოქმედებს, მიიჩნევა, რომ ეს აქციები განთავსდა მესამე პირის სასარგებლოდ.**
- 3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების აქციონერები, ხოლო განთავსებული კაპიტალის გაზრდისას – მმართველობითი ორგანოს წევრები ვალდებული არიან გადაიხადონ აქციების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი დაამტკიცებენ საკუთარი ბრალის არარსებობას.**

სააქციო საზოგადოების, როგორც ფიქციური წარმონაქმნის, ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება კაპიტალის გაერთიანებაა პირთა საერთო სამენარმო მიზნის მისაღწევად. კაპიტალის ასეთი გაერთიანების ერთ-ერთი წყარო აქციების განთავსების შედეგად მიღებული ინვესტიციებია. იმ შემთხვევაში, თუ თავად სააქციო საზოგადოება ყიდულობს თავისსავე აქციას, ეს, ერთი მხრივ, უბრუნებს აქციონერს მის მიერ შეტანილ შენატანს და ართულებს სააქციო საზოგადოების ფუნქციონირების შესაძლებლობას (განსაკუთრებით, თუ შექმნილია ხმის უფლების მქონე აქციები), ხოლო მეორე მხრივ, არ გააჩნია არანაირი პირდაპირი პოზიტიური ფინანსური ეფექტი, გარდა ბაზრისათვის აქციების მოთხოვნის თაობაზე მცდარი, შეცდომაში შემყვანი ცნობების მინოდებისა. შესაბამისად, კანონის 160-ე მუხლი ეთმობა სააქციო საზოგადოების მიერ აქციების თავის სასარგებლოდ განთავსების აკრძალვას.

კანონის მიხედვით, სააქციო საზოგადოების ახალი აქციები არ შეიძლება განთავსებულ იქნეს ამავე საზოგადოების სასარგებლოდ. ამასთანავე, თუ სააქციო საზოგადოების აქციები განთავსებულ იქნა საკუთარი სახელით, მაგრამ

სააქციო საზოგადოების დავალებით მოქმედ მესამე პირზე, ითვლება, რომ აქციები განთავსდა მესამე პირის სასარგებლოდ.

ამავე მუხლის მესამე პუნქტშია წარმოდგენილი სანქციონების მექანიზმიც. კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სააქციო საზოგადოების აქციონერები, განთავსებული კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში კი, მმართველობითი ორგანოს წევრები ვალდებული არიან გადაიხადონ აქციების საფასური. თუმცა, ეს პირები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან თუ ისინი დაამტკიცებენ ბრალის არ არსებობას.

მუხლი 161. საკუთარი აქცია

1. სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პირობების დაცვით შეიძინოს და გაასხვისოს საკუთარი აქციები.
2. სააქციო საზოგადოებას საკუთარი აქციებიდან აქციონერის უფლებები არ წარმოეშობა. იგივე წესი ვრცელდება მისი შვილობილი საწარმოს კუთვნილი აქციებიდან გამომდინარე ხმის უფლებაზე.
3. სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით:
 - ა) საერთო კრებამ უნდა გასცეს ნებართვა საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ. ამ ნებართვაში უნდა მიეთითოს გამოსასყიდი აქციების მაქსიმალური რაოდენობა, ნებართვის მოქმედების ვადა, რომელიც უნდა იყოს არაუმეტეს 5 წლისა, აგრეთვე აქციების გამოსყიდვის მინიმალური და მაქსიმალური ფასები სასყიდლიანი გამოსყიდვის შემთხვევაში;
 - ბ) საკუთარი აქციების გამოსყიდვამ არ უნდა გამოიწვიოს სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის შემცირება სააქციო საზოგადოების ბოლო დამტკიცებულ საფინანსო წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ განთავსებული კაპიტალის თანხაზე ნაკლებ ოდენობამდე, აგრეთვე კანონით ან წესდებით გათვალისწინებული იმ რეზერვების ჯამზე ნაკლებ ოდენობამდე, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია;
 - გ) გამოსყიდული უნდა იქნეს მხოლოდ ის აქცია, რომლის შესაბამისი შენატანაც სრულად არის განხორციელებული.
4. სააქციო საზოგადოების მიერ გამოსყიდული საკუთარი აქციების ნომინალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25 პროცენტს. იგივე წესი გამოიყენება ამ კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების მიმართ, თუ აქციის ნომინალური ღირებულება განსაზღვრული არ არის.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკუთარი აქციების გამოსყიდვა დაუშვებელია, თუ ამ აქციების გამოსყიდვის მომენტში სააქციო საზოგადოება გადახდისუუნაროა ან აქციათა გამოსყიდვის შედეგად იგი შეიძლება გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დადგეს.
6. საკუთარი აქციები, რომლებიც სააქციო საზოგადოებამ განთავსებულ კაპიტალის შესამცირებლად შეიძინა ან გამოსყიდა, უნდა გააუქმოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ.
7. ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია 1 წლის ვადაში გაასხვისოს გამოსყიდული საკუთარი აქციები. თუ გამოსყიდული აქციები ამ ვადაში არ გასხვისდა, ისინი უნდა გაუქმდეს და განთავსებული კაპიტალი უნდა შემცირდეს.
8. ამ მუხლით დადგენილი წესები ვრცელდება აგრეთვე მესამე პირის მიერ აქციის საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით შეძენის შემთხვევაზე.
9. სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენის შემთხვევაში ამ აქციებიდან გამომდინარე უფლებები ჩერდება.
10. სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენის შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები.
11. სააქციო საზოგადოების მიერ უშუალოდ ან ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მესამე პირის მეშვეობით სააქციო საზოგადოების აქციების უზრუნველყოფის საშუალებად გამოსაყენებლად დაშვებაზე შესაბამის შემთხვევაში ვრცელდება ამ მუხლით საკუთარი აქციების შეძენისთვის დადგენილი წესები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციებს უზრუნველყოფის საშუალებად იყენებენ კომერციული ბანკები ან სხვა ფინანსური ინსტიტუტები ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.
12. თუ სააქციო საზოგადოება სხვა სააქციო საზოგადოებაში ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ან წილების ნახევარზე მეტს ან სხვაგვარად იმყოფება დომინანტურ მდგომარეობაში, აღნიშნული სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ სააქციო საზოგადოების წილის შეძენა ან ფლობა ამ მუხლით გათვალისწინებული საკუთარი აქციის შეძენად მიიჩნევა და მასზე ვრცელდება შესაბამისი მომწესრიგებელი ნორმები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემძენი ნომინალური მფლობელია და არ მოქმედებს სააქციო საზოგადოების სახელით ან დავალებით ან იმ სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლო-

ბის საზოგადოების სახელით ან დავალებით, რომელშიც სააქციო საზოგადოება ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ან წილების ნახევარზე მეტს ან სხვაგვარად იმყოფება დომინანტურ მდგომარეობაში.

სააქციო საზოგადოება არაერთი მიზეზის გამო შეიძლება აღმოჩნდეს თავისი აქციების შექმნის საჭიროების წინაშე. აქციების გამოსყიდვა შეიძლება მოხდეს აქციონერებისათვის, აქციების განთავსებისას გადახდილი ნამეტი ღირებულების უკან დაბრუნების მიზნით. ეს ინსტრუმენტი ასევე ხშირად გამოიყენება საკუთარი აქციებისთვის ლიკვიდობის გასაზრდელად. საკუთარი აქციების შექმნა ზოგიერთ შემთხვევაში ხდება მოგვიანებით დასაქმებულებისათვის ანაზღაურების სახით მათი გადაცემის მიზნით. აქციების გამოსყიდვა, ასევე, მნიშვნელოვანი თავდაცვითი ინსტრუმენტია მტრული დაუფლების თავიდან აცილებისათვის.

ზემოთ აღნიშნული სიკეთეების პარალელურად, აქციების გამოსყიდვა გარკვეული საფრთხის მატარებელია და ის, როგორც მენეჯერების, ისე აქციონერების მხრიდან ბოროტად შეიძლება იქნეს გამოყენებული. სწორედ სიკეთეებსა და რისკებს შორის გონივრული ბალანსის დასაცავად კანონის 161-ე მუხლი არეგულირებს ე.წ. უსაფრთხო ნავსაყუდელთან (Safe Harbour) დაკავშირებულ საკითხებს, იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, სააქციო საზოგადოება არ დარჩეს საკუთარი აქციების გამოსყიდვის უნარის გარეშე, ხოლო მეორე მხრივ, თავიდან იქნეს აცილებული ასეთი ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენება.

საზოგადოების ინტერესსა და ბაზრის საფრთხეებს შორის გონივრული ბალანსის მისაღწევად სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების ფლობა დაშვებულია მხოლოდ რამდენიმე კუმულაციური წინაპირობის არსებობის შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, დასაშვებია მხოლოდ იმ აქციების გამოსყიდვა, რომელთა შენატანიც ბოლომდეა განხორციელებული. ამასთანავე, აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა შეიცავდეს: გამოსასყიდი აქციების მაქსიმალურ ოდენობას, ნებართვის მოქმედების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს და, სასყიდლიანი გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვის მინიმალურ და მაქსიმალურ ფასს. საზოგადოების ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით კანონში მითითებულია, რომ საკუთარი აქციების გამოსყიდვამ არ უნდა გამოიწვიოს სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის შემცირება სააქციო საზოგადოების ბოლოს დამტკიცებული საფინანსო წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით განთავსებული კაპიტალის თანხის ოდენობაზე ნაკლებ ოდენობამდე, ასევე კანონით ან წესდებით გათვალისწინებული იმ რეზერვების ჯამის ოდენობაზე ნაკლებ ოდენობამდე, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია.

კანონი ადგენს როგორც გამოსყიდვადი აქციების ლიმიტებს, ისე გამოსყიდვის ამკრძალავ პირობებს. კერძოდ, საკუთარი გამოსყიდული აქციების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს. ამასთანავე, გამოსყიდვა დაუშვებელია, თუ გამოსყიდვის მომენტში სააქციო საზოგადოება გადახდისუუნაროა, ან შეიძლება, აქციათა გამოსყიდვის შედეგად გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

აღნიშნული წესების დარღვევისათვის დგინდება თანმდევი შედეგებიც. კერძოდ, მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოება 1 წლის ვადაში ვალდებულია, გაასხვისოს გამოსყიდული აქციები. თუ ამ ვადაში არ მოხდა გამოსყიდული აქციების გასხვისება, ისინი უნდა გაუქმდეს და შემცირდეს განთავსებული კაპიტალი. ხელმძღვანელი ორგანოს წევრის მიერ გაუქმებას ექვემდებარება ასევე ის საკუთარი აქციები, რომლებიც შეძენილი ან გამოსყიდულია სააქციო საზოგადოების მიერ განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზნით.

კანონის წინამდებარე მუხლი აზღვევს დედობილი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს აქციებით მანიპულირების შესაძლებლობასაც. კერძოდ, სააქციო საზოგადოების მიერ სხვა სააქციო საზოგადოებაში ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხმის უფლების მქონე აქციების ან წილების ნახევარზე მეტის ფლობის ან სხვა მხრივ დომინანტურ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, აღნიშნული სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ სააქციო საზოგადოების წილის შეძენა ან ფლობა განიხილება როგორც საკუთარი აქციის შეძენა და მასზე გავრცელდება შესაბამისი რეგულაციები. ამ წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც შემძენი არის ნომინალური მფლობელი და არ მოქმედებს სააქციო საზოგადოების ან იმ საზოგადოების სახელით თუ დავალებით, რომელშიც სააქციო საზოგადოება ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ან წილების ნახევარზე მეტს, ან იმყოფება სხვა მხრივ დომინანტურ მდგომარეობაში.

მუხლი 162. აქციათა რეესტრი

1. აქციათა რეესტრი, რომელშიც აღირიცხება აქციაზე საკუთრების უფლება, ინარმოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი წესებით. აქციათა რეესტრში აქციონერებისა და მათი უფლებების რეგისტრაციისთვის პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით ან/და წესდებით განსაზღვრული, აქციათა რეესტრის წარმოების უფლებამოსილების მქონე პირი.
2. აქციაზე საკუთრების უფლება და მისგან გამომდინარე აქციონერის უფლებები წარმოიშობა, იცვლება და წყდება აქციათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე.

ტრაციის მომენტიდან ან ნომინალური მფლობელის აქციათა რეესტრში ჩანაწერში აღრიცხვის მომენტიდან, თუ, ამ ჩანაწერის შესაბამისად, აქცია ნომინალურ მფლობელობაშია გადაცემული.

3. აქციონერის აქციაზე საკუთრების უფლება დასტურდება აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა რეესტრიდან ამონაწერი ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი. აქციათა რეესტრიდან ამონაწერის გაცემისთვის პასუხისმგებელია სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო, ხოლო ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დამოუკიდებელი რეგისტრატორი. ნომინალური მფლობელის ამონაწერის გაცემისთვის პასუხისმგებელია თავად ნომინალური მფლობელი.
4. სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.
5. სააქციო საზოგადოებას, რომლის აქციონერთა ოდენობა 50-ს არ აღემატება, შეუძლია აქციათა რეესტრი აწარმოოს თავად ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, გარდა „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოსი, რომლის აქციათა რეესტრი დამოუკიდებელმა რეგისტრატორმა უნდა აწარმოოს.

აქციის, როგორც ფასიანი ქალაქის, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მისი ბრუნვის განსაკუთრებული წესებია. წილებისაგან განსხვავებით, აქცია არ რეგისტრირდება „მენარმეთა, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში“. აქციაზე საკუთრების აღრიცხვა ხორციელდება განცალკევებით, აქციათა რეესტრში.

კანონის 162-ე მუხლი ეთმობა აქციათა რეესტრის წარმოების ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას. წინამდებარე მუხლში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: რეესტრში რეგისტრაციის სამართლებრივი შედეგები, ამონაწერი რეესტრიდან და დამოუკიდებელი რეგისტრატორის საკითხები.

სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებლად ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით. რეესტრის მწარმოებელი სუბიექტის შერჩევის თავისუფლებიდან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. კერძოდ, სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა ორმოცდაათზე მეტია, ვალდებულია, აწარმოოს აქციათა რეესტრი დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით. დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით აქციონერთა რეესტრის წარმოების ვალდებულება ვრცელდება „ფასიანი

ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულ სანარმოზეც.

აქციაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა ამ უფლების აქციათა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, რეესტრის გამართულად წარმოებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სააქციო საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. კანონით აქციათა რეესტრის წარმოების წესების განსაზღვრის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

აქციათა რეესტრში განხორციელებული ჩანაწერით საკუთრების უფლების წარმოშობის პარალელურად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამონაწერი, რომელმაც უნდა დაადასტუროს აქციონერის საკუთრება აქციაზე. მოთხოვნის შემთხვევაში, აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი. ამონაწერის გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს, ხოლო თუ სააქციო საზოგადოება აქციონერთა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მაშინ დამოუკიდებელ რეგისტრატორს. „ფასიანი ქალაქების ბაზრის“ შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნომინალური მფლობელის ამონაწერის გაცემისთვის პასუხისმგებელია თავად ნომინალური მფლობელი.

მუხლი 163. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილების განხორციელების წესი

1. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.
2. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება იღებს საერთო კრება.
3. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ცვლილების განხორციელების საფუძველი, წესი და შესაბამისი თანხა. ეს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს აგრეთვე ინფორმაციას განსათავსებელი ან გასაუქმებელი აქციების რაოდენობისა და ნომინალური ღირებულების შესახებ, თუ აქციის ღირებულება განსაზღვრულია.
4. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ნამდვილია მისი რეგისტრაციისა და გამოქვეყნების მომენტიდან. შესაბამისი მოთხოვნის უზრუნველყოფა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.
5. განთავსებული კაპიტალის გაზრდისას შესაძლებელია:

- ა) გამოშვებულ და განთავსებულ იქნეს ახალი აქციები;
 - ბ) გამოშვებულ და განთავსებულ იქნეს ახალი აქციები სააქციო საზოგადოების საკუთარი ქონების გამოყენებით;
 - გ) გამოშვებულ და განთავსებულ იქნეს ახალი აქციები განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულების მომატების ხარჯზე, სააქციო საზოგადოების საკუთარი ქონების გამოყენებით.
6. ახალი აქციების გამოშვება, აგრეთვე განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულების მომატება უნდა დარეგისტრირდეს დადგენილი წესით.
 7. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელია ჩატარდეს ცალ-ცალკე კენჭისყრა ყველა კლასის აქციებისთვის, რომელთა მფლობელების უფლებებზედაც აღნიშნული გადანყვეტილება გავლენას ახდენს.
 8. ამ მუხლის მოთხოვნები გამოიყენება აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდის გამოშვებისას შესაბამის შემთხვევაში, მაგრამ არ მოქმედებს თავად კონვერტაციაზე.

კონკურენტული ბაზრის პირობებში რისკის მართვის, მომხმარებლისათვის ახალი პროდუქტის შეთავაზების, გამოცდილი მენეჯმენტის დაქირავების თუ სხვა მოკლე ან გრძელვადიანი პროექტის დაფინანსების მიზნით, ან პირიქით, კაპიტალის დანაკარგზე საპასუხოდ სააქციო საზოგადოებამ შესაძლებელია, მიიღოს გადანყვეტილება კაპიტალის გაზრდის ან შემცირების თაობაზე. კანონის 163-ე მუხლი სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილების წესს არეგულირებს.

სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია წესდების განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, განთავსებული კაპიტალის ცვლილებაც წესდების ცვლილების ლეგიტიმაციის მქონე ორგანოს – საერთო კრების კომპეტენციაა. ამასთანავე, ვინაიდან განთავსებული კაპიტალის ცვლილება მნიშვნელოვნად ცვლის სააქციო საზოგადოებაში თითოეული აქციონერის მონაწილეობის მოცულობას, კანონით დადგენილია თითოეული იმ კლასის აქციონერთა მიერ საკითხის დამოუკიდებლად მხარდაჭერის ვალდებულება, რომლებზეც ეს ცვლილება ახდენს უშუალო გავლენას. აღნიშნული გადანყვეტილება სავალდებულო ძალის შესაძენად ხელმძღვანელი ორგანოს მიერ უნდა გამოქვეყნდეს.

კანონი განსაზღვრავს საერთო კრების ამ გადანყვეტილების შინაარსსაც, რამაც უნდა უზრუნველყოს პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა და ყველა დაკავშირებული მხარის დაცულობა. კერძოდ, საერთო კრების გადანყვეტილება უნდა შეიცავდეს მითითებას ცვლილების საფუძველზე, ცვლილების წესსა და

თანხაზე. გადაწყვეტილებაში, ასევე, უნდა აღინიშნოს მონაცემები განსათავსებელი ან გასაუქმებელი აქციების რაოდენობის შესახებ და აქციათა ნომინალური ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კანონის ამავე მუხლში ზოგადი ცნებების სახითაა წარმოდგენილი განთავსებული კაპიტალის გაზრდის ორივე მეთოდი: ახალი აქციების განთავსება და აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდა, რაც შემდგომი მუხლების დეტალური რეგულირების საგანია. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონის 163-ე მუხლით დადგენილი წესები მოქმედებს აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდის გამოშვების შემთხვევაშიც, ვინაიდან ისინი კონვერტირების უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ არსებულ აქციონერთა სტრუქტურაზე. ამასთანავე, რადგან ამ მუხლით დადგენილი წესები უკვე ვრცელდება აქციაში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე, უშუალოდ კონვერტირების პროცესზე მისი გავრცელება აღარ არის აქტუალური.

მუხლი 164. კაპიტალის გაზრდა დამატებითი აქციების გამოშვებით

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3/4-ით.
2. დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება განსათავსებელი აქციების რაოდენობა და სახე, აგრეთვე მათი განთავსების წესი და პირობები.
3. კაპიტალის გაზრდისას გამოშვებული აქციები მათი განთავსების მომენტისთვის განადღებული უნდა იყოს ნომინალური ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტით, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში – ამ კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტით. თუ აქციები ამ ღირებულებებზე მაღალ ფასად არის გამოშვებული, სხვაობა სრულად უნდა იქნეს გადახდილი.
4. თუ კაპიტალის გაზრდისას აქციები არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გაიცემა, ეს შენატანი სრულად უნდა განხორციელდეს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში. აღნიშნულ შემთხვევაში არაფულადი შენატანი შეფასებული და გამოქვეყნებული უნდა იქნეს ამ კანონის 152-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით დადგენილი წესით.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება საჭირო არ არის, თუ სააქციო საზოგადოების კაპიტალი იზრდება აქციათა საჯარო შეთავაზების ფარგლებში ან შერწყმის/გაყოფის განხორციელებისას მიერთებული სამენარმეო საზოგადოების/გაყოფილი სამენარმეო საზოგადოე-

ბის აქციონერების ანაზღაურების გაცემის მიზნით და შერწყმის/გაყოფის გეგმის პროექტი შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ამ კანონის 70-ე მუხლით დადგენილი წესით.

სააქციო საზოგადოების უნიკალური მახასიათებელი ახალი აქციების ღია ბაზარზე განთავსების გზით ოპერირებისათვის აუცილებელი კაპიტალის მოზიდვის უნარია. კანონის 164-ე მუხლი ამ უნიკალურობის ძირითად საკანონმდებლო საფუძველს ქმნის. მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გადანყვეტილება დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შესახებ, მინიმალური გასანაღებელი მოცულობა და შენატანის საკითხები.

გადანყვეტილება დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შესახებ პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააქციო საზოგადოების კაპიტალისა და მისი აქციონერების სტრუქტურაზე. შესაბამისად, აქციონერთა ქონებრივ და მართვით უფლებებზე გავლენის მომხდენი ეს გადანყვეტილება ექცევა საერთო კრების კომპეტენციაში. საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ოდენობა წესდების შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, გადანყვეტილება საჭიროებს წესდების ცვლილებისათვის დადგენილ ხმათა რაოდენობის – კენჭისყრაში მონაწილე ხმათა არანაკლებ 3/4-ის მხარდაჭერას. ამასთანავე, კანონი იძლევა გადანყვეტილების მიღების განსხვავებული წესის დადგენის შესაძლებლობას. კანონში განსაზღვრულია გადანყვეტილებაში მისათითებელი ინფორმაციის კატალოგიც. კერძოდ, დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის გადანყვეტილებაში აღინიშნება განსათავსებელი აქციების რაოდენობა და სახე, განთავსების წესი და პირობები.

კაპიტალის გაზრდის დროს გამოშვებული აქციები განთავსების მომენტისთვის უნდა იყოს განაღებული მათი ღირებულების, სულ მცირე, 25%-ით. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს აქციების განთავსება ნომინალურ ღირებულებაზე მაღალ ფასად (share premium). ასეთი ნამატით განთავსება შესაძლებელია, ემსახუროდეს ისეთ მიზნებს, როგორებიცაა: საზოგადოების სარეზერვო კაპიტალის შექმნა ან აქციათა განთავსების ღირებულების დაფარვა. შესაბამისად, ამ სხვაობის დროული ანაზღაურება ემსახურება უშუალოდ აქციათა განთავსების მიზნებს და იგი უნდა იყოს გადახდილი სრულად.

კაპიტალის გაზრდის დროს აქციების გაცემა შესაძლებელია მოხდეს ფულის ან არაფულადი შენატანის სანაცვლოდ. არაფულადი შენატანი სააქციო საზოგადოების მიზნებისათვის არ შეიძლება იყოს სამუშაოს შესრულება და მომსახურების განწევა. ასეთი შესატანი სრულად უნდა იქნეს შეტანილი კაპიტალის გაზრდის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში, რაც ემსახურება საზოგადოების დროულ და ეფექტიან აღჭურვას შეპირებული ღირებულების

აქტივებით. ამასთანავე, არაფულადი შესატანის ღირებულებასთან დაკავშირებული მანიპულირების, მათ შორის, შესატანის ზეშეფასების თავიდან ასაცილებლად, საზოგადოების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ უნდა შედგეს ანგარიში შესატანის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს რეესტრში. აუდიტორს ეკისრება ვალდებულება, დაადგინოს, არის თუ არა შენატანების ჯამური ღირებულება, სულ მცირე, აქციების ნომინალური ღირებულების ჯამთან, ხოლო როდესაც ხდება აქციების გამოშვება ამ ღირებულებებზე მაღალ ფასად (share premium), მაშინ – ასეთ ღირებულებასთან შესაბამისი. აღნიშნული წესების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აქციების გაზრდისას შენატანის განხორციელებაზე ვრცელდება სააქციო საზოგადოების კაპიტალში შენატანის განხორციელების ზოგადი პრინციპები.

მეხუთე პუნქტში დადგენილია აუდიტორული შემონმების წესიდან გამონაკლისები. კერძოდ, აუდიტორული შემონმება არ არის საჭირო, თუ სააქციო საზოგადოების კაპიტალი იზრდება აქციათა საჯარო შეთავაზების ფარგლებში. ამის მიზეზი ისაა, რომ აქციათა საჯარო შეთავაზებისას ბაზრის ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადგენილი წესებით ისედაც ხდება ყველა ამ ინფორმაციის დეტალური შესწავლა. აღნიშნულს კი შემდგომში, როგორც წესი, ახლავს კიდევ ერთი ფილტრი – მეორად ბაზარზე დადგენილი სტანდარტები. მეორე გამონაკლისია ამავე პუნქტში გათვალისწინებული რეორგანიზაციის ის ღონისძიებები, რა დროსაც ინფორმაცია უკვე შემონმებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

ამავე მუხლშია მოწესრიგებული შენატანის შეტანამდე აქციონერის მიერ თავისი აქციის გასხვისების თანმდევნი შედეგები, რამაც უნდა უზრუნველყოს აქციონერის არაკეთილსინდისიერების გამორიცხვა და საზოგადოების კაპიტალით აღჭურვა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ აქციის გასხვისება ხდება სააქციო საზოგადოების აქციონერის მიერ გასხვისების მომენტში აქციებთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის, სააქციო საზოგადოების წინაშე გამსხვისებელი აქციონერი, შემძენთან ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი წესდებით.

მუხლი 165. ახალი აქციების გამოშვება სააქციო საზოგადოების საკუთარი ქონების ხარჯზე

თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთო კრებამ შეიძლება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ $3/4$ -ით მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონის 156-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სააქციო საზოგადოების სარეზერვო კაპიტალის გარდაქმნით ან გაუნაწილებელი მოგების

გამოყენებით ახალი აქციების გამოშვების შესახებ, რომლებიც აქციონერებზე პროპორციულად ნაწილდება. სარეზერვო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება არ შეიძლება განთავსებულ კაპიტალად გარდაიქმნას, თუ სააქციო საზოგადოების ბოლო წლიური ან შუალედური ბალანსი ზარალს მონიშნავს.

სააქციო საზოგადოების მიერ თავისი აქციების საჯარო შეთავაზება საქიროებს მნიშვნელოვან დროსა და ფინანსურ რესურსებს. უპირველეს ყოვლისა, გამოსაყოფია უშუალოდ IPO-ს პროცესთან დაკავშირებული ხარჯები; მეორე და, უმთავრესი – ესაა საზოგადოების აქციონერების დასაკმაყოფილებლად პერიოდულ სანაწილეებზე გადახდილი სარგებელი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ალტერნატიული მეთოდებით დაფინანსების მიღებისათვის გასაწევ ხარჯებს აღემატება. ასევე, ცალკე აღნიშნავს იმსახურებს საზოგადოების კონტროლის დაკარგვასთან, მართვის გართულებასთან, ბაზარზე მიმოქცევადი განთავსებული აქციების რაოდენობის გაზრდასთან და სხვა არაერთ ფაქტორთან დაკავშირებული რისკები.

სწორედ ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოებას აქვს მხოლოდ ფინანსური რესურსების მოძიების მოტივი (და არა აქციათა საჯარო შეთავაზების არაპირდაპირი სარგებელი), ისინი აქციათა საჯარო განთავსებაზე უპირატესად კაპიტალის ზრდის შიდა კორპორაციულ მექანიზმებს მიმართავენ. ამის ერთ-ერთი ძირითადი წყარო კი საზოგადოების მოგების რეინვესტირებაა აქციების სანაცვლოდ. ასევე, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სააქციო საზოგადოების სარეზერვო კაპიტალის იმ ნაწილის გარდაქმნა, რომელიც ფორმირებულ იქნა აქციათა განთავსების შედეგად მიღებული ღირებულების ნამეტით აქციის ნომინალურ ღირებულებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება ახდენს შემოსავლის რეინვესტირებას, რის სანაცვლოდაც ის აქციონერს გადასცემს აქციებს, აქციონერებს ყოველთვის შეუძლიათ, არაპირდაპირი გზით მიიღონ მოგება აქციის რეალიზაციის შედეგად; მეორე მხრივ, საზოგადოებიდან მოგების დივიდენდის სახით გადინება საზოგადოებას დამოკიდებულს ხდის გარე – ძვირად ღირებული დაფინანსების – წყაროებზე. შესაბამისად, საზოგადოების განვითარებისათვის ზოგჯერ შესაძლებელია უმჯობესი იყოს საზოგადოებაში კაპიტალის დატოვება. აქციონერის მიერ შემოსავლის მიღების ინტერესსა და მოგების რეინვესტირების აუცილებლობას შორის ბალანსის მისაღწევად კანონის წინამდებარე მუხლში წარმოდგენილია გაუნაწილებელი მოგების გამოყენებით ახალი აქციების გამოშვების შესაძლებლობა, რომლებიც აქციონერებზე პროპორციულად ნაწილდება.

სარეზერვო კაპიტალი არის სპეციფიკური მიზნებისთვის აკუმულირებული ფინანსები. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების გასული სამეურნეო წლის ზარალის ან ზარალის ნაშთის დაფარვისა და სააქციო საზოგა-

დოების აქციათა გამოსყიდვისთვის, თუ სააქციო საზოგადოებას სხვა სახსრები არ აქვს. თუმცა, სააქციო საზოგადოების სარეზერვო კაპიტალის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ფორმირებულ იქნა აქციათა განთავსების შედეგად მიღებული ღირებულების ნამეტით აქციის ნომინალურ ღირებულებაზე, ვრცელდება განსხვავებული რეჟიმი. კერძოდ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა არანაკლებ 3/4-ით შესაძლებელია, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების ამ სარეზერვო კაპიტალის გარდაქმნის გზით ახალი აქციების გამოშვების შესახებ, რომელიც აქციონერებზე პროპორციულად გადანაწილდება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ორი კუმულაციური პირობის არსებობა: პირველი, ესაა საერთო კრებაზე დამსწრე ხმების 3/4-ით გადაწყვეტილების მიღება და, მეორე, ბოლო წლიური ან შუალედური ბალანსის დადებითი მაჩვენებელი. ამ წინა პირობათა მიზეზი ისაა, რომ დანაკარგების არსებობისას შეუძლებელია მოგების რეინვესტირებაზე საუბარი (მოგების არარსებობის გამო), ხოლო სარეზერვო კაპიტალი ასეთ შემთხვევაში გვევლინება საზოგადოების ფინანსური სიძნელების პრევენციების მექანიზმად და მისი შენარჩუნება აღნიშნული მიზნებისთვისაა აუცილებელი.

მუხლი 166. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ კაპიტალის გაზრდა ნებადართული კაპიტალის ფარგლებში

1. წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება ახალი აქციების წესდებით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობამდე გამოშვების შესახებ. ამ უფლებამოსილების მაქსიმალური ვადა დგინდება წესდებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. გამოშვებული ახალი აქციების მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნებადართული აქციების რაოდენობის 50 პროცენტს. თუ ახალი აქციების გამოშვების უფლებამოსილება მინიჭებულია არა წესდებით, არამედ საერთო კრების გადაწყვეტილებით, ეს გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს და აქციათა რეესტრში უნდა აისახოს.
2. სადამფუძნებლო შეთანხმებაში ან საერთო კრების გადაწყვეტილებაში შეიძლება მიეთითოს განსათავსებელი აქციების რაოდენობა, კლასი და მინიმალური ფასი.
3. წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს დამატებითი პირობები ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოსაყენებლად.

4. ამ მუხლის მოთხოვნები გამოიყენება აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდის გამოშვებისას შესაბამის შემთხვევაში, მაგრამ არ მოქმედებს თავად კონვერტაციაზე.

ახალი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის ზრდა საკმაოდ კომპლექსური კორპორაციული აქტივობაა. ასეთი კომპლექსურობა ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია, წინააღმდეგობაში მოდიოდეს საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე შედარებით მარტივი რეაგირების ინტერესთან. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა საზოგადოების ტოპმენეჯმენტისათვის მენეჯერული ძალაუფლების გაზრდა და მათთვის წინასწარ დადგენილი ნებადართული აქციების ფარგლებში ახალი აქციების გამოშვების შესაძლებლობის მინიჭება. სწორედ აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას ეთმობა კანონის 166-ე მუხლი.

გადაწყვეტილება დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შესახებ პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააქციო საზოგადოების კაპიტალისა და მისი აქციონერების სტრუქტურაზე. შესაბამისად, აქციონერთა ქონებრივ და მართვით უფლებებზე გავლენის მომხდენი ეს გადაწყვეტილება ექცევა საერთო კრების კომპეტენციაში. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოზე ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საგამონაკლისოდ გადანდობა დასაშვებია მხოლოდ ორი მეთოდით, რომელთა წყარო ისევ აქციონერები იქნებიან: (1) ერთი – ესაა უშუალოდ საერთო კრების გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს და აისახოს აქციათა რეესტრში; (2) მეორე – ესაა აქციონერების მიერ საზოგადოების წესდებაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება. კორპორაციული მართვის ბალანსის დაცვისა და გადანდობის შედეგად კაპიტალის ზრდის პროცესიდან აქციონერთა სრულად გამორიცხვის თავიდან აცილების მიზნით, მუხლის პირველსავე პუნქტში დადგენილია უფლებამოსილების გადანდობის ფარგლები. კერძოდ, უნდა დადგინდეს როგორც გამოშვებადი კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოების ნებადართული კაპიტალის 50%-ს, ისე ვადა, რომელიც შემოფარგლულია არაუმეტეს 5 წლით.

კანონში ასევე დადგენილია, რომ, გარდა ზემოაღნიშნული სავალდებულოდ გადასაწყვეტი საკითხებისა, საერთო კრების გადაწყვეტილებაში ან წესდებაში შესაძლოა, მოცემული იყოს ნებადართული აქციების რაოდენობა, კლასი და მინიმალური ფასი. ასევე, საერთო კრების გადაწყვეტილებაში ან წესდებაში შესაძლოა, მოცემული იყოს სხვა დამატებითი პირობები ნებადართულ კაპიტალთან დაკავშირებული უფლებამოსილების გამოყენებისთვის.

ამ მუხლით გათვალისწინებული წესები ვრცელდება კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდის გამოშვების შემთხვევაშიც. ამის მიზეზი ისაა, რომ კონვერ-

ტირების უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მივიღებთ იმავე მოცემულობას, რაც დადგებოდა აქციის გამოშვების შემთხვევაში. ამასთანავე, ვინაიდან ამ მუხლით დადგენილი წესები უკვე ვრცელდება კაპიტალის გაზრდაზე კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას, უშუალოდ კონვერტირების პროცესზე მისი გავრცელება აღარ არის აქტუალური.

მუხლი 167. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება

1. ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თავდაპირველად იმავე კლასის აქციის მფლობელ აქციონერს, ხოლო შემდგომ – სხვა აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება.
2. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გაუქმდეს ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, აგრეთვე ამ კანონის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებადართული კაპიტალის ფარგლებში კაპიტალის გაზრდისას საერთო კრების წინასწარი თანხმობით მიღებული სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში საერთო კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ საერთო ხმების არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წერილობითი მოხსენების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების საფუძვლები და დასაბუთებულია ახალი აქციების გამოშვების ღირებულება. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონით დადგენილი წესით.
3. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება გაუქმებულად არ მიიჩნევა, თუ ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება ითვალისწინებს ახალი აქციების კომერციული ბანკისთვის ან საბროკერო კომპანიისთვის გამოშვებას იმ ვალდებულებით, რომ ის მიღებულ აქციებს შესთავაზებს სააქციო საზოგადოების აქციონერებს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებისთვის.
4. სააქციო საზოგადოებამ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1 პროცენტის მფლობელ აქციონერებს დაზღვეული წერილით უნდა შეატყობინოს, ხოლო დანარჩენ აქციონერებს – დაზღვეული წერილით ან შესაბამისი

ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე ან მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით. სააქციო საზოგადოებამ აქციონერებს ამ უფლების გამოყენებისთვის უნდა მისცეს სულ მცირე 14 დღის ვადა, რომელიც აითვლება შეტყობინების შესაბამისი პირისთვის ჩაბარების ან ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტიდან.

5. ამ მუხლით დადგენილი წესები გამოიყენება სააქციო საზოგადოების მიერ აქციებში კონვერტაციის ან აქციებზე გადაცვლის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას ან სასესხო ვალდებულების აღებისას შესაბამის შემთხვევაში, მაგრამ არ მოქმედებს ამ ფასიანი ქაღალდებიდან ან სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე კონვერტაციის ან გადაცვლის უფლების გამოყენებაზე.
6. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება არ მოქმედებს:
 - ა) იმ აქციების მიმართ, რომლებიც გამოშვებულია სანარმოს ან მისი შვილობილი სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრების, წარმომადგენლების, დასაქმებულების, დაკავშირებული პირების ანაზღაურების გაცემის მიზნით, მათ შორის, მათი კუთვნილი, აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდებიდან ან ოფციონებიდან გამომდინარე უფლებების დასაკმაყოფილებლად. თუ აღნიშნული აქციები ამ მიზნით, დანიშნულებისამებრ არ იქნა გამოყენებული, მათზე ვრცელდება აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება;
 - ბ) არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების მიმართ;
 - გ) სააქციო საზოგადოების მიერ გამოსყიდული საკუთარი აქციების მიმართ, მათი ხელახალი განთავსების შემთხვევაში.
7. თუ სააქციო საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა კლასის აქციები, რომლებსაც ხმის ან სააქციო საზოგადოების ქონების განაწილებაში მონაწილეობის განსხვავებული უფლებები უკავშირდება, სადამფუძნებლო შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების იმ კლასის აქციების მფლობელი აქციონერების მიერ უპირატესი გამოყენების უფლებას, რომელი კლასის აქციების გამოშვებაც ხდება.

სააქციო საზოგადოების, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისაგან განცალკევებული სამართლებრივი ფორმის, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მისი კაპიტალის დაყოფაა იმგვარ წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც მიმოქცევადია კაპიტალის ბაზარზე. ასეთი მიმოქცევა თავისუფალია და შიდაკორპორაციული ბარიერების დაწესება დაუშვებელია; მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს თავად საზოგადოების ან მის აქციონერთა ინტერესი, მოახდინონ აქციონერთა წრის

დივერსიფიცირების გამორიცხვა. ასევე, უპირატესი შესყიდვის უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინორიტარი აქციონერების დასაცავად, რომელთა მინიმალური გავლენა საზოგადოების მართვაზე კიდევ უფრო შეიძლება შემცირდეს ხმის უფლების მქონე ახალი აქციების განთავსების შემთხვევაში.

წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქციის უპირატესი შესყიდვის უფლება შესაძლებელია მიეზას კონკრეტული კლასის აქციას. კერძოდ, სხვადასხვა კლასის აქციების არსებობის შემთხვევაში, რომელთაც უკავშირდებათ ხმის ან საზოგადოების ქონების განაწილებაში მონაწილეობის განსხვავებული უფლებები, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების უპირატესი გამოყენების უფლებას იმ კლასის აქციონერების მიერ, რომელთა კლასის აქციათა გამოშვებაც ხდება.

აქციის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარი. უპირატესი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება მაჟორიტარი აქციონერებისათვის საზოგადოებაზე კონტროლის დაკარგვისაგან დაცვის, ხოლო მინორიტარი აქციონერებისათვის საკუთარი მინიმალური გავლენის შენარჩუნების ძირითადი ინსტრუმენტია. სააქციო საზოგადოების კაპიტალისა და აქციონერთა სტრუქტურაზე ამდენად მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი გადაწყვეტილება ექცევა აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში. კანონის წინამდებარე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ და შინაარსობრივ ნაწილს. უპირველეს ყოვლისა, აქციონერთა სათანადო ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად კანონით დგინდება საკითხზე ხელმძღვანელი ორგანოს მიერ საერთო კრებისათვის წერილობითი მოხსენების წარმოდგენის ვალდებულება. განისაზღვრება აღნიშნული მოხსენების შინაარსიც, რომლის მიხედვითაც მასში უნდა მიეთითოს გაუქმების საფუძვლები და დასაბუთდეს აქციის გამოშვების ღირებულება. დამატებით, კანონი აქციონერთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად ადგენს, რომ იმ საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებაზე უარის თქმის თაობაზე, უნდა ესწრებოდეს, სულ მცირე, საერთო ხმების 2/3-ის მქონე აქციონერები, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილე ხმების უმრავლესობით. თუ ახალი აქციების გამოშვება ხდება ნებადართული კაპიტალის ფარგლებში, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლებაზე ამ აქციებზე გაუვრცელებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელი ორგანო. ასევე, სავალდებულო იქნება საერთო კრების ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

კანონით სპეციალური წესი დგინდება იმ ახალი აქციების მიმართ, რომლებიც გამოშვებულია ბანკებისა და საბროკერო კომპანიებისათვის. ზოგჯერ ახალი აქციების გამოშვება, შესაძლებელია, საჭირო იყოს საბანკო ან საბროკერო ურთიერთობებში. მაგალითად, აქციები შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს საბანკო დანესებულების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთ დროს უპი-

რატესი შესყიდვის უფლების გაუქმებად არ ჩაითვლება, თუ ახალი აქციების გამოშვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებს ახალი აქციების გამოშვებას იმ ვალდებულებით, რომ ბანკები და საბროკერო კომპანიები მიღებულ ამავე აქციებს შემდგომში რეალიზაციის შემთხვევაში აქციონერებს უპირატესი უფლების გამოყენების მიზნით შესთავაზებენ.

აქციის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება. უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია, აქციის უპირატესი შესყიდვის გამოყენების უფლებაზე უარის თქმის საკითხი საერთოდ არ დადგეს დღის წესრიგში; ასევე, შესაძლებელია, რომ საერთო კრებამ მხარი არ დაუჭიროს ამ უფლების გამოყენებაზე უარის თქმის საკითხს. ასეთი წინა პირობების არსებობისას კანონი განსაზღვრავს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების იმგვარ პროცედურას, რომელიც ამ უფლებით სარგებლობის ობიექტურ შესაძლებლობას მისცემს თითოეულ აქციონერს. კერძოდ, კანონით დგინდება ვალდებულება, რომ საზოგადოებამ ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელ აქციონერებს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ დაზღვეული წერილით უნდა შეატყობინოს. რესურსების დაზოგვის მიზნით, დანარჩენ აქციონერებს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ შეიძლება ეცნობოთ ინფორმაციის სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ან ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით. უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებისათვის განსაზღვრული დრო უნდა იძლეოდეს ფულადი რესურსების მობილიზების შესაძლებლობას. შესაბამისად, კანონის მიხედვით, სააქციო საზოგადოებამ ამ უფლების გამოყენებისთვის აქციონერებს, სულ მცირე, 14-დღიანი ვადა უნდა მისცეს. ეს ვადა აითვლება შეტყობინების ჩაბარების ან ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტიდან.

ასევე, წინამდებარე მუხლი ადგენს აქციის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების რიგითობას. კერძოდ, თუ სააქციო საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა კლასის აქციები, რომლებსაც ხმის ან სააქციო საზოგადოების ქონების განაწილებაში მონაწილეობის განსხვავებული უფლებები უკავშირდება, სადამფუძნებლო შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების იმ კლასის აქციების მფლობელი აქციონერების მიერ უპირატესი გამოყენების უფლებას, რომელი კლასის აქციების გამოშვებაც ხდება. ასეთ დროს თავდაპირველად აქციები შეთავაზებულ უნდა იქნეს იმავე კლასის აქციონერებისათვის, ხოლო შემდგომში სხვა აქციონერებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აქციების შესყიდვის სურვილს გამოთქვამს ერთი და იგივე რიგითობის რამდენიმე აქციონერი, მათ თავისი წილის პროპორციულად აქვთ აქციების შესყიდვის უფლება.

უპირატესი შესყიდვის ამ მუხლით გათვალისწინებული წესები ვრცელდება კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდის გამოშვების შემთხვევაშიც. ამის მიზეზი ისაა, რომ კონვერტირების უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მივი-

ლებთ იმავე მოცემულობას, რაც დადგებოდა აქციის გამოშვების შემთხვევაში. ამასთანავე, ვინაიდან ამ მუხლით დადგენილი წესები უკვე ვრცელდება კონვერტირებად ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე, უშუალოდ კონვერტირების პროცესზე მისი გავრცელება აღარ არის აქტუალური.

მუხლი 168. სარეზერვო კაპიტალი

- 1. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სარეზერვო კაპიტალის შექმნას. სარეზერვო კაპიტალი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 10 პროცენტს, თუ წესდებით უფრო დიდი ოდენობა არ არის დადგენილი. სარეზერვო კაპიტალის აღნიშნულ ოდენობაში ჩაითვლება ამ კანონის 156-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობა (არსებობის შემთხვევაში).**
- 2. ვიდრე სარეზერვო კაპიტალის ოდენობა წესდებით დადგენილ ზღვარს არ მიაღწევს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია წლიური წმინდა მოგებიდან სარეზერვო კაპიტალში ყოველწლიურად გადაიტანოს სახსრები იმ ოდენობით, რომელსაც ადგენს საერთო კრება და რომელიც არ უნდა იყოს წლიური წმინდა მოგების 5 პროცენტზე ნაკლები.**
- 3. სარეზერვო კაპიტალი განკუთვნილია სააქციო საზოგადოების გასული სამეურნეო წლის ზარალის ან ზარალის ნაშთის დაფარვისა და სააქციო საზოგადოების აქციათა გამოსყიდვისთვის, თუ სააქციო საზოგადოებას სხვა სახსრები არ აქვს.**

სააქციო საზოგადოებას ყოველწლიურ ოპერაციებში გამოყენებული კაპიტალის პარალელურად უნდა ჰქონდეს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის აუცილებელი დანაზოგი. ასეთი დანაზოგი იქმნება სააქციო საზოგადოების სარეზერვო კაპიტალის სახით. სარეზერვო კაპიტალი არასდროს ექცევა ინვესტორის საკუთრებაში დივიდენდის სახით. კანონის 168-ე მუხლი ქმნის სააქციო საზოგადოებაში სარეზერვო კაპიტალის მონესრიგების ზოგად ნორმატიულ ჩარჩოს, მუხლის ფარგლებში მონესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სარეზერვო კაპიტალის ცნება და მოცულობა, სარეზერვო კაპიტალის შევსება და სარეზერვო კაპიტალის გამოყენების საფუძვლები.

კანონის მიხედვით, წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სარეზერვო კაპიტალის შექმნა, რომელიც განკუთვნილი იქნება (1) სააქციო საზოგადოების გასული სამეურნეო წლის ზარალის ან ზარალის ნაშთის დაფარვისთვის და (2) სააქციო საზოგადოების აქციათა გამოსყიდვისთვის, თუკი სააქციო საზოგადოებას სხვა სახსრები არ აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება ქმნის სარეზერვო კაპიტალს, იგი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის, სულ მცირე, 10%-ს. წესდებით შესაძლებელია უფრო მაღალი ოდენობის დადგენა. ამასთანავე, სარეზერვო კაპიტალის შევსების უზრუნველსაყოფად დგინდება, რომ, ვიდრე სარეზერვო კაპიტალის ოდენობა არ მიაღწევს წესდებით განსაზღვრულ ზღვარს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია, წლიური წმინდა მოგებიდან სარეზერვო კაპიტალში ყოველწლიურად გადაიტანოს სახსრები, რომლის ოდენობაც დგინდება საერთო კრების მიერ და რომელიც არ უნდა იყოს წლიური წმინდა მოგების 5%-ზე ნაკლები.

აქვე აღსანიშნავია, რომ სარეზერვო კაპიტალის მინიმალურ ოდენობასთან და მის შევსებასთან დაკავშირებული მოთხოვნები არ ვრცელდება აქციის განთავსების შედეგად მიღებული აქციის ნომინალურ ღირებულების ნამატით შექმნილ სარეზერვო კაპიტალზე. ამის მიზეზი ისაა, რომ სამეწარმეო საზოგადოებას არ ჰქონდა განზრახული სარეზერვო კაპიტალის შექმნა, შესაბამისად, არ იქნებოდა მართებული ასეთი ვალდებულების დანესება. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოებას წესდებით განსაზღვრული აქვს სარეზერვო კაპიტალის შექმნა, მაშინ, 10%-ის განსაზღვრისას მასში გაითვალისწინება ზემოაღნიშნული ნამეტი ღირებულება.

მუხლი 169. განთავსებული კაპიტალის შემცირება

1. სააქციო საზოგადოება უფლებამოსილია შეამციროს განთავსებული კაპიტალი.
2. განთავსებული კაპიტალი შეიძლება შემცირდეს აქციათა ნომინალური ღირებულების ან ამ კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების შემცირების ან აქციათა საერთო რაოდენობის შემცირების, მათ შორის, სააქციო საზოგადოების მიერ განთავსებული აქციების ნაწილის გამოსყიდვისა და გაუქმების, შემთხვევაში.
3. განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება და მისი შემცირების თაობაზე ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს და აქციათა რეესტრში უნდა აისახოს.
4. განთავსებული კაპიტალის აქციათა ნომინალური ღირებულების ან ამ კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების შემცირების შესახებ გადაწყვეტილებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სააქციო საზოგადოების მიერ შესაბამისი აქციონერებისთვის თანხის გადახდა. ამ გადაწყვეტილებით უნდა დადგინდეს:
 - ა) ის ოდენობა, რომლითაც მცირდება განთავსებული კაპიტალი;
 - ბ) იმ აქციათა სახეები, რომელთა ღირებულებაც მცირდება, და ის სიდიდე, რომლითაც მცირდება თითოეული აქციის ღირებულება;

- გ) თითოეული სახის აქციის შემცირებული ღირებულება;
- დ) ის თანხა, რომელიც ხმარდება აქციათა ღირებულების შემცირების შედეგად სააქციო საზოგადოების მიერ აქციონერების ანაზღაურების გაცემას.
5. განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვეტილებას იღებს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში საერთო კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ საერთო ხმების არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები. ამ გადანყვეტილების მისაღებად უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე კენჭისყრა ყველა კლასის აქციებისთვის, რომლებზედაც აღნიშნული გადანყვეტილება გავლენას ახდენს. საერთო კრებამ ეს გადანყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წინადადების საფუძველზე. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზანი და მეთოდი.
 6. იმ პირთა წრის შესახებ მონაცემები, რომლებსაც განთავსებული კაპიტალის აქციათა ღირებულების შემცირების შესახებ გადანყვეტილების საფუძველზე უფლება აქვთ, სააქციო საზოგადოებისგან მიიღონ თანხა ან/და სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდები, დგინდება წესდებაში განხორციელებული ცვლილების გამოქვეყნების თარიღით.
 7. სააქციო საზოგადოებას არ აქვს უფლება, მიიღოს განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვეტილება, თუ:
 - ა) შემცირების შედეგად განთავსებული კაპიტალის ოდენობა ამ კანონის 156-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს;
 - ბ) არ დასრულებულა ყველა აქციის გამოსყიდვა, რომლებიც ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოსყიდული უნდა იქნეს;
 - გ) ამ გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში სააქციო საზოგადოება მის მიერ აქციონერებისთვის თანხის გადახდის ან სააქციო საზოგადოების სხვა ფასიანი ქაღალდების გადაცემის შედეგად გადახდის უუნარო გახდება ან გადახდის უუნარობის საშიშროების წინაშე დადგება;
 - დ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
 8. განთავსებული კაპიტალის შემცირების შედეგად აქციონერებისთვის თანხის გადახდა ან განთავსებულ კაპიტალში შენატანის განხორციელებისგან მათი მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვეტილების მიღების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არანაკლებ 6

თვის შემდეგ, თუ კრედიტორთა ის მოთხოვნები, რომლებიც განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადანყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა, სააქციო საზოგადოებამ დააკმაყოფილა ან უზრუნველყო, ან თუ სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნული დაკმაყოფილება ან უზრუნველყოფა კრედიტორებმა სააქციო საზოგადოებისგან უნდა მიიღონ, თუ მათ აღნიშნული გადანყვეტილების გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში განუცხადეს სააქციო საზოგადოებას ამის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სააქციო საზოგადოების აქტივების გათვალისწინებით, კრედიტორების დაცვა საჭირო არ არის. კრედიტორებს უფლება აქვთ, მოითხოვონ უზრუნველყოფა, თუ სააქციო საზოგადოების მიმართ მათი მოთხოვნები ვადამოსული არ არის. კრედიტორთა აღნიშნული უფლებების თაობაზე მითითებული უნდა იყოს გამოქვეყნებულ გადანყვეტილებაში განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ.

სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ოდენობა იცვლება ბაზარზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ცვლილება შესაძლებელია გულისხმობდეს როგორც სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის გაზრდას, ისე მის შემცირებას. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის შემცირება შეიძლება რამდენიმე ძირითად მიზეზს უკავშირდებოდეს, მაგალითად: კაპიტალის შემცირება შეიძლება მოხდეს ინდივიდუალური აქციის ნომინალური ღირებულების შემცირების მიზნით ან ეფექტიანი კაპიტალის სტრუქტურის მისაღწევად, რა დროსაც მცირდება ბაზარზე ხელმისაწვდომი აქციების რაოდენობა. კაპიტალის შემცირება ასევე შეიძლება იყოს საზოგადოების პასუხი ფაქტობრივი კაპიტალის შემცირებაზე ან შემოსავლის დაკარგვაზე, რომელიც არ შეიძლება, დაბალანსებულ იქნეს მოსალოდნელი მოგებით. კანონის 169-ე მუხლი სწორედ განთავსებული კაპიტალის შემცირების საკითხებს არეგულირებს. კერძოდ, წინამდებარე მუხლის ფარგლებში რეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: განთავსებული კაპიტალის შემცირების მეთოდები, გადანყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების თაობაზე, განთავსებული კაპიტალის შემცირების პირობები და გამომრიცხველი გარემოებები.

კანონის წინამდებარე მუხლის მიხედვით, განთავსებული კაპიტალის შემცირება ორი მეთოდით ხორციელდება: უპირველეს ყოვლისა, განთავსებული კაპიტალის შემცირება შეიძლება მოხდეს სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიერ აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირების გზით; ასევე, განთავსებული კაპიტალის შემცირება შესაძლებელია განთავსებული აქციების რაოდენობის შემცირებით, რაც მიიღწევა სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვისა და მათი შემდგომი გაუქმების მეთოდით.

განთავსებული კაპიტალის შემცირება პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს როგორც სააქციო საზოგადოების კაპიტალის, ისე მისი აქციონერების სტრუქტურაზე. შესაბამისად, სააქციო საზოგადოების კაპიტალისა და აქციონერთა სტრუქტურაზე ამდენად მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი გადანყვეტილება ექცევა აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში. კანონის წინამდებარე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საერთო კრების მიერ გადანყვეტილების მიღების პროცედურულ და შინაარსობრივ ნაწილს.

უპირველეს ყოვლისა, ამ მუხლში დეტალურად რეგულირდება განთავსებული კაპიტალის შესამცირებლად საერთო კრების მოწვევის, ჩატარებისა და გადანყვეტილების მიღების დამატებითი პირობები. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზანი და განხორციელების მეთოდი. ამასთანავე, თითოეულ აქციონერზე გადანყვეტილების პირდაპირი და უშუალო ზეგავლენის გათვალისწინებით, კანონით უზრუნველყოფილია საერთო კრებაში აქციონერთა მაქსიმალური ჩართულობა. კერძოდ, გადანყვეტილება განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიიღება საერთო კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა $\frac{3}{4}$ -ის უმრავლესობით. ამ კრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საერთო ხმათა არანაკლებ ორი მესამედის მფლობელი აქციონერები. აქციათა თითოეული კლასის ინტერესის დაცვის მიზნით, კენჭისყრა განცალკევებულად უნდა ჩატარდეს ყველა იმ კლასისათვის, რომელზეც აღნიშნული გადანყვეტილება გავლენას ახდენს.

ასევე, განისაზღვრება მისაღები გადანყვეტილების შინაარსობრივი კომპონენტებიც. კერძოდ, განთავსებული კაპიტალის შემცირების თაობაზე გადანყვეტილებით უნდა დადგინდეს: ოდენობა, რომლითაც მცირდება განთავსებული კაპიტალი; იმ აქციათა სახე, რომელთა ღირებულებაც მცირდება და სიდიდე, რომლითაც მცირდება თითოეული აქციის ღირებულება; თითოეული სახის აქციის შემცირებული ღირებულება; ის თანხა, რომელიც ემსახურება ღირებულების შემცირების შედეგად სააქციო საზოგადოების მიერ აქციონერთა ანაზღაურებას.

აქციის ნომინალური ღირებულების შემცირების გზით განთავსებული კაპიტალის შემცირება პირდაპირ ამცირებს ამ აქციის მფლობელის ქონებას. შესაბამისად, დგინდება ამ აქციონერების უფლება, მიიღონ ანაზღაურება სააქციო საზოგადოებისაგან. ანაზღაურება შესაძლებელია მოხდეს როგორც ფულადი სახით, ისე სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდებით.

წარმოდგენილი კანონით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, განისაზღვრება მინიმალური განთავსებული კაპიტალის ცნება. შესაბამისად, წინამდებარე მუხლში დადგენილია 100 000 ლარის ოდენობით ქვედა ზღვარი, რომელზე ქვემოთაც სააქციო საზო-

გადოებას ეზღუდება განთავსებული კაპიტალის შემცირება; ასევე, კაპიტალის შემცირება დაუშვებელია იქამდე, ვიდრე არ მოხდება ყველა იმ აქციის გამოსყიდვა, რომლებიც კაპიტალის შემცირების მიზნით უნდა იქნეს გამოსყიდული. იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის შემცირება ხდება საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვისა და გაუქმების გზით, კაპიტალის შემცირება ასევე დაუშვებელია, თუ გამოსყიდვის შედეგად საზოგადოება გახდება გადახდისუუნარო, ან აღმოჩნდება ასეთი საფრთხის წინაშე. ამ მუხლში წარმოდგენილ იმ წინა პირობათა კატალოგი, რომელთა არსებობისასაც დაუშვებელია განთავსებული კაპიტალის შემცირება, არ არის ამომწურავი და იძლევა კანონმდებლობით სხვა დამატებითი წინა პირობების განსაზღვრის შესაძლებლობასაც.

მუხლის მე-8 პუნქტი მთლიანად ეთმობა კაპიტალის შემცირებისას კრედიტორთა დაცვის მექანიზმებს. განთავსებული კაპიტალის შემცირების შედეგად აქციონერისთვის გადახდა ან მათი მთლიანად თუ ნაწილობრივ განთავისუფლება განთავსებულ კაპიტალში შენატანის შეტანისგან დაიშვება მხოლოდ განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არანაკლებ ნ თვის შემდეგ; ამასთანავე, კაპიტალის შემცირების მეორე კუმულაციური პირობაა საზოგადოების მიერ კრედიტორების იმ მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება ან უზრუნველყოფა, რომლებიც განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა. ასეთი დაკმაყოფილება ან მოთხოვნის უზრუნველყოფა სააქციო საზოგადოების მიერ კრედიტორებს უნდა მიეცეთ, თუ მათ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ნ თვის განმავლობაში განუცხადეს სააქციო საზოგადოებას აღნიშნულის თაობაზე.

კანონის ამავე მუხლის მერვე პუნქტშივე დადგენილია ზემოაღნიშნული წესიდან გამონაკლისი. კერძოდ, ეს წესები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც კრედიტორების დაცვა საჭირო არ არის. ის გარემოება კი, თუ რა ჩაითვლება დაცვის საჭიროების არარსებობად, უნდა შეფასდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში, განსაკუთრებით, კრედიტორის მოთხოვნისა და შემცირების შედეგად დარჩენილი კაპიტალის ოდენობის თანაფარდობის მხედველობაში მიღებით.

კანონი ასევე ითვალისწინებს იმ კრედიტორთა დაცვის მექანიზმებსაც, რომელთა მოთხოვნაც სააქციო საზოგადოების მიმართ არ არის ვადამოსული. ასეთი კრედიტორები სარგებლობენ უფლებით, მოსთხოვონ სააქციო საზოგადოებას თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფა. ასეთი უფლების არსებობის თაობაზე ინფორმირების ვალდებულება კი ეკისრება სააქციო საზოგადოებას, კერძოდ, მენარმე ვალდებულება, განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში მიუთითოს ასეთი უფლების არსებობის თაობაზე.

მუხლი 170. კაპიტალის შემცირება სააქციო საზოგადოების მიერ
აქციათა გაუქმებით

1. საერთო კრება უფლებამოსილია კაპიტალის შემცირების მიზნით გააუქმოს სააქციო საზოგადოების ან იმ მესამე პირის მიერ გამოსყიდული აქციები, რომელიც საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით მოქმედებს, აგრეთვე იძულებით გააუქმოს განთავსებული აქციები. თუ აქციების გაუქმების პირობები და პროცედურა წესდებით დადგენილი არ არის, ისინი საერთო კრების გადაწყვეტილებით განისაზღვრება.
2. განთავსებული აქციების იძულებით გაუქმება დასაშვებია, თუ ეს პირდაპირ გათვალისწინებულია ან ნებადართულია წესდებით აქციების განთავსებამდე. თუ წესდებით ნებადართულია მხოლოდ აქციების იძულებით გაუქმება, აქციები იძულებით უქმდება საერთო კრების გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციების იძულებით გაუქმებას ერთხმად ეთანხმებიან ის აქციონერები, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ეხება.
3. აქციის გაუქმებაზე ვრცელდება კაპიტალის შემცირების შესახებ წესები, ამ მუხლის თავისებურებათა გათვალისწინებით.
4. თუ სააქციო საზოგადოებას სხვადასხვა კლასის აქციები აქვს გამოშვებული, აქციების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას კენჭი ყველა კლასის აქციების მფლობელთათვის ცალ-ცალკე ეყრება, თუკი მათ უფლებებზე ეს გადაწყვეტილება გავლენას ახდენს. შესაბამის შემთხვევებში გამოიყენება ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი და 195-ე მუხლი.
5. ამ კანონის 169-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესები არ ვრცელდება იმ აქციებზე, რომელთა შესაბამისი შენატანიც სრულად არის განხორციელებული, თუ:
 - ა) აქციები სააქციო საზოგადოებას უსასყიდლოდ გადაეცემა;
 - ბ) აქციების გაუქმებისთვის კომპენსაცია გადაიხდება ამ კანონის 181-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაშვებული თანხის ფარგლებში.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებამ გაუქმებული აქციების ნომინალური ღირებულების, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – ამ კანონის 157-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღირებულების ოდენობით უნდა შექმნას რეზერვი, რომელიც არ შეიძლება განაწილდეს აქციონერებზე. აღნიშნული რეზერვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სააქციო საზოგადოების ზარალის დასაფარავად ან განთავსებული კაპიტალის გასაზრდელად.

7. აქციათა გაუქმებით კაპიტალის შემცირების შემთხვევაში ამ კანონის 169-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები არ გამოიყენება.

კანონის 169-ე მუხლი ადგენს სააქციო საზოგადოების კაპიტალის შემცირების ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოს. ასეთი შემცირება, როგორც ამავე მუხლის ფარგლებში იქნა განხილული, შესაძლებელია აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირებით ან აქციათა გამოსყიდვითა და მათი გაუქმებით. კანონის წინამდებარე 170-ე მუხლის რეგულირების საგანი კი 169-ე მუხლით განსაზღვრული ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში უშუალოდ აქციების გაუქმებასთან დაკავშირებული სპეციალური წესების დადგენაა.

170-ე მუხლის პირველი პუნქტით დგინდება სააქციო საზოგადოების საერთო კრების უფლებამოსილება, კაპიტალის შემცირების მიზნით გააუქმოს სააქციო საზოგადოების ან იმ მესამე პირის გამოსყიდული აქციები, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების დავალებით. ამ საკითხზე მოწვეული საერთო კრების მიმართ არ ვრცელდება კანონის 169-ე მუხლის მე-5 პუნქტით კვორუმთან, გადანყვეტილების მიმღებ უმრავლესობასა და გადანყვეტილების შინაარსთან დაკავშირებული მოთხოვნები. ისევე, როგორც კაპიტალის ცვლასთან დაკავშირებულ თითოეულ საკითხზე, აქციების გაუქმების შესახებ გადანყვეტილების მიღებისათვის დგინდება აქციათა ყველა იმ კლასის მიერ საკითხის ცალ-ცალკე კენჭისყრის ვალდებულება, რომლებზეც ეს გადანყვეტილება ახდენს გავლენას.

ზემოაღნიშნული გადანყვეტილების მიღებისას სააქციო საზოგადოებამ უნდა შექმნას რეზერვი. რეზერვში თანხის ოდენობა განისაზღვრება გასაუქმებელი აქციების ნომინალური ღირებულებების ჯამით, ან იმ აქციათა ღირებულების ჯამით, რომელთაც არ გააჩნიათ ნომინალური ღირებულება. აღნიშნული რეზერვი არ შეიძლება განაწილდეს აქციონერებზე და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სააქციო საზოგადოების ზარალის დაფარვის ან განთავსებული კაპიტალის გაზრდის მიზნით.

გამოსყიდული აქციების გაუქმება აქციების გაუქმების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა. კანონი ასევე იცნობს აქციათა იძულებით გაუქმების შესაძლებლობას. აქციათა იძულებითი გაუქმება ნიშნავს საზოგადოების საერთო კრების გადანყვეტილებას, რომლის მიხედვითაც არ მოითხოვება უშუალოდ ამ აქციის მფლობელის პირდაპირი თანხმობა. ამასთანავე, განთავსებული აქციის იძულებით გაუქმება დასაშვებია, თუ ეს აქციის განთავსებამდე პირდაპირ გათვალისწინებულია ან ნებადართულია წესდებით. თუ აქციის იძულებით გაუქმება ნებადართულია წესდებით, აქციები უქმდება საერთო კრების გადანყვეტილებით. საერთო კრების გადანყვეტილება არ არის აუცილებელი, თუ იძულებით გაუქმებას ერთხმად ეთანხმებიან ის აქციონერები, რომელთაც ეხებათ ეს გადანყვეტილება.

მუხლი 171. სააქციო საზოგადოების კაპიტალის არსებითი დანაკარგი

თუ, საანგარიშგებო პერიოდის ან შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის ღირებულება სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ნახევარზე ნაკლებია, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული საერთო კრება, რომელიც განიხილავს სააქციო საზოგადოების შესაძლო დაშლის საკითხს ან სხვა აუცილებელი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობას, მათ შორის, განთავსებული კაპიტალის შემცირებას ან აქციონერთა მიერ დამატებითი შენატანების განხორციელებას.

სააქციო საზოგადოების კაპიტალი არის არა მხოლოდ საზოგადოების საქმიანობის დაფინანსების წყარო, არამედ კრედიტორთა დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. სააქციო საზოგადოებები თავისი მოცულობით, როგორც წესი, ქვეყნის ფინანსური სისტემისთვის მნიშვნელოვანი სუბიექტები არიან. თითოეული სააქციო საზოგადოების კრახმა, შესაძლებელია სისტემური ეფექტი იქონიოს ბაზრის მიმართ ნდობასა და სხვა საზოგადოებების საქმიანობაზე, მიუხედავად იმისა, ეს საზოგადოებები არიან თუ არა ამ სააქციო საზოგადოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სუბიექტები. თავის მხრივ, ბაზრის სხვა, განსაკუთრებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში არმყოფ სუბიექტებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა ჩაიხედონ კონკრეტული სანარმოს ფინანსურ დოკუმენტაციაში და აიძულონ ის მოახდინოს დროული რეაგირება მნიშვნელოვან ფინანსურ დანაკარგებზე. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად, 171-ე მუხლი ქმნის ვალდებულებას, არსებითი დანაკარგის პირობებში მასზე რეაგირებისათვის მოწვეულ იქნეს სააქციო საზოგადოების საერთო კრება.

კანონის მიხედვით, არსებით დანაკარგად მიიჩნევა ის გარემოება, როდესაც, საანგარიშგებო პერიოდის ან შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის ღირებულება ნაკლებია სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ნახევარზე.

საერთო კრება ვალდებულია, აირჩიოს ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთი: (1) დაშალოს სააქციო საზოგადოება; (2) იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ საზოგადოებას აქვს პერსპექტივა და არ უნდა მოხდეს საზოგადოების დაშლა, მაშინ განიხილოს ის ღონისძიებები, რომლებიც ამ მენარმე სუბიექტს ფინანსურ რეაბილიტაციაში დაეხმარება.

მუხლი 172. აქციონერის უფლებები

1. აქციონერს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;

ბ) გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;

გ) კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს სააქციო საზოგადოების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბუქდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერს წინასწარ აქვს განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე, აგრეთვე სააქციო საზოგადოებისგან მიიღოს ინფორმაცია ამ კანონის 202-ე მუხლითა და წესდებით დადგენილი წესით;

დ) მიიღოს დივიდენდი;

ე) თავისუფლად განკარგოს თავის საკუთრებაში არსებული აქციები;

ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;


ზ) მიიღოს ნარჩენი ქონება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად;

თ) განახორციელოს ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით ან, კანონიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. აქციონერს უფლება აქვს, თავისუფლად განკარგოს თავის მფლობელობაში არსებული აქციები სააქციო საზოგადოების ან სხვა აქციონერების თანხმობის გარეშე, თუ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სააქციო საზოგადოების, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისაგან განცალკევებული მენარმის სამართლებრივი ფორმის, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მისი კაპიტალის დაყოფაა კაპიტალის ბაზარზე მიმოქცევად წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებად. სააქციო საზოგადოების ამგვარი ღიაობა იწვევს აქციონერთა წრის მკვეთრ დივერსიფიკაციას, ამცირებს სააქციო საზოგადოების გადაწყვეტილებებზე აქციონერის ზეგავლენის მასშტაბს და ზრდის მენეჯმენტის თვითნებობის რისკებს. ასეთ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას, როგორც სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტსა, და მის აქციონერებს შორის წარმოიშობა არათანაბარი სავაჭრო ძალაუფლება, რაც ნეგატიურად აისახება როგორც პირდაპირ ტრანსაქციულ ხარჯებზე, ისე ამ ტრანსაქციებიდან გამომდინარე ეკონომიკურ შედეგებზე. მეორე მხრივ, საჭიროა პროფესიონალ მენეჯმენტს მიეცეს მოქმედების საჭირო თავისუფლება, რათა მათ შეძლონ პირადი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოყენება საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირებისათვის. ასეთ დროს ნორმატიული აქტი შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ ერთი მხრივ აღდგეს მხარეების სავაჭრო ძალაუფლებას შორის ბალანსი, მეორე მხრივ კი უზრუნველყოფილ იქნეს კომპეტენციათა იმგვარი დანაწილება, რომ კორპორაციული მართვის თითოეულ სუბიექტს მიეცეს სამენარმეო საზოგადოების წარმატებისათვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული მიზნით, კანონში დეტალური და უმეტესწილად იმპერატიული სახითაა წარმოდგენილი სააქციო საზოგადოების კორპორაციულ მართვაში ჩართული სუბიექტების კომპეტენციათა კატალოგი. კანონის 172-ე მუხლი აწესრიგებს აქციონერის ფუნდამენტურ უფლებებს. წინამდებარე მუხლი არის მხოლოდ აქციონერის ძირითადი უფლებების შესახებ ზოგად ნორმატიული ჩარჩო, რაც შემდგომში დეტალურადაა ჩაშლილი სააქციო საზოგადოების თავში. ამ მუხლში მოცემული უფლებები კი ორ კატეგორიად შეიძლება დაჯგუფდეს:



მუხლი 173. აქციონერთა დამატებითი უფლებები

1. ხმათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს, ამ კანონის 172-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების გარდა, ამ კანონის ან წესდების შესაბამისად, უფლება აქვთ:
 - ა) სააქციო საზოგადოების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ სააქციო საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები. სააქციო საზოგადოების შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, სააქციო

საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ას-
ლების/ინფორმაციის გაცემაზე;

ბ) მოითხოვონ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო
მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების
ხელმძღვანელი ორგანოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერ-
თო კრება;

დ) მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება ამ
კანონის 191-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. წესდება აქციონერს ან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინე-
ბულ აქციონერებს/აქციონერთა ჯგუფს შეიძლება სხვა დამატებითი უფ-
ლებები მიანიჭოს.

კანონის 172-ე მუხლით დადგენილია აქციონერთა საბაზისო უფლებები. პა-
რალელურად, სააქციო საზოგადოების კაპიტალში წილის ზრდის პროპორციუ-
ლად იზრდება კორპორაციულ მართვაში აქციონერთა მონაწილეობის მასშტა-
ბიც. შესაბამისად, არსებობს უფლებები, რომელიც აქციონერს ენიჭება კონკრე-
ტულ ზღვარზე მეტი ოდენობით აქციების ფლობის შემთხვევაში. მაგალითად,
კანონის 173-ე მუხლით დადგენილია ხმათა 5%-ის მფლობელი აქციონერის
ისეთი განსაკუთრებული უფლებები, როგორებიცაა: სააქციო საზოგადოების
სახელით დადებული გარიგების ასლების მოთხოვნის უფლება; სამეთვალყუ-
რეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანოს რიგგარე-
შე სხდომის ჩატარების მოთხოვნის უფლება; კანონით დადგენილ შემთხვევაში
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება და საერთო კრების
დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლება.

მიუხედავად აქციონერთა განსაკუთრებული ინტერესისა, საზოგადოების
ხელმძღვანელობა მაინც ხელმძღვანელი ორგანოს წევრების, ხოლო ხელმძღვა-
ნელი ორგანოს წევრებზე ზედამხედველობა სამეთვალყურეო საბჭოს კომპე-
ტენციაა. ხელმძღვანელ და ზედამხედველ ორგანოებს ევალებათ, შეინარჩუნონ
ბალანსი კორპორაციულ მართვაში და დაიცვან სააქციო საზოგადოება ცალ-
კეულ აქციონერთა არაკეთილსინდისიერებისაგან. სწორედ ამიტომ სააქციო
საზოგადოების შესაბამისი ორგანო, სააქციო საზოგადოების ინტერესიდან გა-
მომდინარე, უფლებამოსილია, უარი განაცხადოს აქციონერებისათვის სააქციო
საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლების ან ინფორმაციის მი-
წოდებაზე. ამ შემთხვევაში უარის თქმა უნდა ეფუძნებოდეს სააქციო საზოგა-
დოების საუკეთესო ინტერესებს.

საზოგადოების კაპიტალში ინვესტირების თაობაზე პირთა დაინტერესება
დიდწილადაა დამოკიდებული ინვესტიციის დაცვის ხარისხზე. შესაბამისად, კა-

ნონი განსაზღვრავს აქციონერთა დაცვის აუცილებელ მინიმუმს. პარალელურად ამავე მუხლში მოცემულია ზოგადი მითითება იმის თაობაზე, რომ ინვესტიციათა მოზიდვის მიზნით სააქციო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, წესდებით განსაზღვროს აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის დამატებითი უფლებები. ასეთი უფლება შეიძლება იყოს, მაგალითად, ხელმძღვანელ ორგანოში ან სამეთვალყურეო საბჭოში წარმომადგენლის ყოლის უფლება.

მუხლი 174. სპეციალური აუდიტორის დანიშვნა

1. სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციების სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების მიმართვისა და საერთო კრების გადანყვეტილების საფუძველზე განახორციელოს სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემოწმება, თუ ის კანონით არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს. ამისთვის იგი ნიშნავს სპეციალურ აუდიტორს.
2. აქციონერს, რომლის ინტერესსაც ეხება სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმება, ხმის უფლება არ აქვს.
3. თუ საერთო კრება უარს იტყვის სპეციალური აუდიტორის დანიშვნაზე სააქციო საზოგადოების იმ სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმების განსახორციელებლად, რომლის შემდეგ 5 წელზე მეტი არ გასულა, სპეციალურ აუდიტორს აქციების სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების განცხადების საფუძველზე ნიშნავს სასამართლო, თუკი არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამ სამეურნეო მოქმედების განხორციელებისას კანონი ან წესდება უხეშად დაირღვა.
4. თუ საერთო კრება სპეციალურ აუდიტორს დანიშნავს, აქციების სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების განცხადების საფუძველზე სასამართლომ შეიძლება ჩაანაცვლოს საერთო კრების მიერ დანიშნული სპეციალური აუდიტორი, თუკი მას არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან არსებობს ეჭვი მის მიუკერძოებლობასა და სანდოობასთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვის ვადაა 14 დღე, რომელიც აითვლება საერთო კრების ჩატარების თარიღიდან.
5. სასამართლოს მიერ სპეციალური აუდიტორის დანიშვნის შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას ეკისრება სასამართლოს ხარჯების ანაზღაურების, აგრეთვე სასამართლოს მიერ დანიშნული სპეციალური აუდიტორისთვის სასამართლოს მიერ დადგენილი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება.
6. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან ითანამშრომლონ სპეციალურ აუდიტორთან,

მათ შორის, მისცენ მას სააქციო საზოგადოების დოკუმენტაციის, ფულადი სახსრებისა და სასაქონლო მარაგების შემონმების შესაძლებლობა და მიაწოდონ ყველა სხვა საჭირო ინფორმაცია.

7. თუ სასამართლოს მიერ სპეციალური აუდიტორის დანიშვნა განმცხადებელთა მიერ სასამართლოსთვის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიწოდებულ არასწორ ინფორმაციას ეფუძნებოდა, განმცხადებლებს ეკისრებათ სააქციო საზოგადოებისთვის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.
8. სპეციალურმა აუდიტორმა სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემომნების შედეგებთან დაკავშირებით წერილობითი დასკვნა უნდა შეადგინოს. ამ დასკვნაში უნდა აისახოს აგრეთვე ის გარემოებები, რომლებმაც შეიძლება სააქციო საზოგადოების ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, მაგრამ რომელთა გაცნობა აუცილებელია საერთო კრების მიერ შემონმებული სამეურნეო მოქმედების შესაფასებლად.
9. სპეციალურმა აუდიტორმა თავის მიერ ხელმოწერილი დასკვნა დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს. ეს დასკვნა უნდა გამოქვეყნდეს. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ აღნიშნული დასკვნა სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უნდა წარუდგინოს და მისი განხილვის საკითხი მორიგი საერთო კრების დღის წესრიგში უნდა შეიტანოს.

აქციონერის ფინანსური ინტერესების სათანადოდ დაცვა პირდაპირ და უშუალო კავშირშია ქვეყანაში არსებული დანაზოგების მენარმე სუბიექტების კაპიტალში ინვესტირების წახალისებასთან. ამგვარი დაცულობის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი აქციონერის შესაძლებლობაა, იყოს სათანადოდ ინფორმირებული სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების შესახებ. კანონის 174-ე მუხლი 5% აქციების მფლობელი აქციონერისათვის ქმნის სპეციალური აუდიტორის მეშვეობით სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემონმების მოთხოვნის უფლების ნორმატიულ საფუძველს.

აქციონერისათვის სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემონმების მოთხოვნის უფლების მინიჭება ქმნის ერთგვარ ბალანსს კორპორაციულ მართვაში აქციონერებსა და ხელმძღვანელ პირებს შორის. კერძოდ, აქციონერის ხელში ასეთი უფლება მნიშვნელოვანი იარაღია მენეჯმენტის საქმიანობის კონტროლისათვის. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სპეციალური აუდიტორის დანიშვნის თაობაზე მოთხოვნა, საერთო კრების გადანიყვეტილება აუდიტორის დანიშვნის თაობაზე, სასამართლოს ჩართულობა, უშუალოდ ანგარიშის შინაარსობრივი მხარე და ანგარიშის განხილვა.

წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით ნებისმიერი კლასის აქციების, სულ მცირე, 5%-ის მფლობელს უფლება ენიჭება, დააყენოს სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემონმების საკითხი. ასეთი უფლება გამოირიცხება, თუ საკითხის აუდიტორული შემონმება კანონმდებლობით ისედაც სავალდებულოა. აქციონერის მიმართვის შემდგომ საკითხი გადაეცემა საერთო კრებას განხილვისათვის. მუხლი არ ადგენს სპეციალურ რეგულირებას უშუალოდ კრების მიერ საკითხის გადანყვეტის ფორმალურ და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებით და საკითხის განხილვაზე გავრცელდება საერთო კრებასთან დაკავშირებით კანონში არსებული ზოგადი წესები. სპეციალური აუდიტორის დანიშვნის პროცესში აქციონერს, რომლის ინტერესსაც ეხება სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემონმება, ამ საკითხის მიმართ უწყდება ხმის უფლება. ხმის უფლების შეწყვეტაში არ უნდა იქნეს მოაზრებული სათათბირო ხმის უფლების შეწყვეტა, რომელიც აქციონერს ასეთ დროსაც უნარჩუნდება, თუმცა საერთო კრების ობიექტურობისათვის, აუცილებელია მას არ შეეძლოს კონკრეტული გადაწყვეტილებისათვის ხმის მიცემა.

წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტი ეთმობა მინორიტარი აქციონერის დაცვის უზრუნველყოფას სასამართლო მექანიზმის შემოტანის გზით. კერძოდ, თუ საერთო კრება დანიშნავს აუდიტორს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან მიუკერძოებლობა, 5% აქციათა მფლობელს უფლება ენიჭება, კრების მიერ ასეთი აუდიტორის დანიშვნიდან 14 დღის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს სპეციალური აუდიტორის ახალი აუდიტორით ჩანაცვლების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებას ეკისრება სასამართლოს ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება და სასამართლოს მიერ დანიშნული სპეციალური აუდიტორისთვის სასამართლოს მიერ დადგენილი ანაზღაურების გადახდა. საპირისპიროდ, თუ სასამართლოს მიერ სპეციალური აუდიტორის დანიშვნა ეყრდნობოდა განმცხადებლის მიერ სასამართლოსთვის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიწოდებულ არასწორ ინფორმაციას, განმცხადებელს ეკისრება სააქციო საზოგადოებისთვის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

საერთო კრებას შეუძლია, უარი თქვას სპეციალური აუდიტორის დანიშვნაზე იმ მოტივით, რომ მოთხოვნილი სამეურნეო მოქმედებების ბოლო შემონმებიდან გასულია 5 წელზე ნაკლები. ამ შემთხვევაში, აქციონერს შეუძლია, მოითხოვოს აუდიტორის დანიშვნა სასამართლოს მეშვეობით. ასეთ დროს სპეციალური აუდიტორის დანიშვნა ჩვეულებრივზე მაღალი სტანდარტით დასაბუთებას მოითხოვს. კერძოდ, აუდიტორი დაინიშნება სასამართლოს მიერ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სამეურნეო მოქმედებებისას უხეშად დაირღვა კანონი ან წესდება.

აუდიტორის მიერ საქმიანობის სრულყოფილად წარმართვა პირდაპირ კავშირშია აუდიტორსა და საზოგადოების სხვადასხვა ორგანოს შორის ეფექტიან თანამშრომლობასთან. შესაბამისად, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრებათ ვალდებულება, ითანამშრომლონ სპეციალურ აუდიტორთან. მათ შორის, მისცენ სააქციო საზოგადოების დოკუმენტაციის, ფულადი სახსრების და სასაქონლო მარაგების შემოწმების შესაძლებლობა და მიაწოდონ ყველა სხვა საჭირო ინფორმაცია. ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობა კი ჩაითვლება ამ ორგანოების წევრების მიერ მოვალეობათა დარღვევად და გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.

სპეციალურმა აუდიტორმა შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით უნდა შეადგინოს წერილობითი დასკვნა. კანონი განსაზღვრავს ასეთი დასკვნის შინაარსობრივი ნაწილის მინიმალურ აუცილებელ სტანდარტსაც. კერძოდ, დასკვნაში უნდა აისახოს ის გარემოებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ სააქციო საზოგადოების ინტერესებს. მომზადებული დასკვნა სპეციალურმა აუდიტორმა დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს ხელმძღვანელ ორგანოს, რომელსაც ეკისრება დასკვნის გამოქვეყნების და მისი სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენის, ასევე, მისი განხილვის საკითხის მომდევნო საერთო კრების დღის წესრიგში შეტანის ვალდებულება.

მუხლი 175. აქციონერის მოვალეობები

აქციონერი ვალდებულია:

- ა) განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციის მისაღებად;**
- ბ) სააქციო საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში;**
- გ) შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან, კანონიდან გამომდინარე, წესდებით.**

სააქციო საზოგადოებას, სხვა სამართლებრივი ფორმის მენარმე სუბიექტებისაგან კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობათა მრავალფეროვნება გამოარჩევს. თუმცა ამ სამართლებრივი ფორმის საზოგადოებისათვისაც კი დაფუძნების ეტაპზე დაწყებითი კაპიტალის ფორმირების წყარო მისივე აქციონერები არიან. კანონის 175-ე მუხლი აქციონერის მოვალეობებს, მის ვალდებულებას შეეხება, შეიტანოს შენატანი კუთვნილი აქციის მოსაპოვებლად.

გარდა აქციების მოსაპოვებლად შენატანის განხორციელებისა, წინამდებარე მუხლი უთითებს კანონში აქციონერის სხვა სპეციალურ მოვალეობათა არ-

სებობაზეც და ქმნის სააქციო საზოგადოების წესდებით მოვალეობათა დადგენის შესაძლებლობისათვის ნორმატიულ საფუძველს. ამასთანავე, პირდაპირ განსაზღვრავს აქციონერის ისეთ სპეციფიკურ მოვალეობას, როგორცაა სააქციო საზოგადოების ან აქციათა რეგისტრატორისათვის, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში.

მუხლი 176. აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

1. თუ სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა ამ სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.
2. დომინანტ აქციონერად მიიჩნევა აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე. ეს აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.
3. პირი, რომელიც განზრახ იყენებდა თავის ძალაუფლებას სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ზემოქმედებას ახდენდა სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრზე, რათა ამ წევრს სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგო ისეთი ქმედება ჩაედინა, რომელმაც ზიანი გამოიწვია, ვალდებულია სააქციო საზოგადოებას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. აღნიშნული პირი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.
4. სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი, რომელმაც არ შეასრულა მოვალეობა, პასუხს აგებს სოლიდარულად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ამ ქმედების მოწონება სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრს არ ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ხელმძღვანელი პირი ვალდებული არ არის

ანაზღაუროს ზიანი, თუ მისი ქმედება კანონის შესაბამისად მიღებულ საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.

5. სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის სოლიდარულად აგებს პასუხს ის პირიც, რომელმაც ზიანის გამომწვევი ქმედების შედეგად სარგებელი მიიღო და განზრახ მოახდინა ზემოქმედება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირზე.
6. კრედიტორისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უქმდება სააქციო საზოგადოების მიერ შესაბამის მოთხოვნებზე უარის თქმით ან იმაზე მითითებით, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.

კანონის 175-ე მუხლი ქმნის აქციონერთა მოვალეობების ზოგად ნორმატიულ ჩანაწერს და უთითებს აქციონერის ძირითად მოვალეობაზე – შეიტანოს შენატანი მისთვის განკუთვნილი აქციების მისაღებად. ამასთანავე, ეს მოვალეობა არ არის აქციონერის ერთადერთი ვალდებულება, აქციონერს აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად სარგებლობდეს მისი აქციებით, მათ შორის, კრებაზე იღებდეს გადაწყვეტილებას უშუალოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ამის პარალელურად, მინორიტარი აქციონერების დაცვის მაღალი სტანდარტის დადგენისათვის აუცილებელია, აქციონერს შეეზღუდოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. სწორედ ამ საკითხს ეთმობა კანონის 176-ე მუხლი. კერძოდ, წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს დომინანტური მდგომარეობის განმარტებას და მისი ბოროტად გამოყენების სამართლებრივ შედეგებს.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია დომინანტური მდგომარეობის განმარტება. წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს დომინანტი აქციონერის შემდეგ განმარტებას: „დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადაამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე“. თუმცა რას გულისხმობს გადაამწყვეტი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ეს უკვე ინდივიდუალური შეფასების საგანია. ზოგადი თვალსაზრისით, დომინანტად უნდა იქნეს მიჩნეული აქციონერი ან იმ აქციონერთა ერთად მოქმედი ჯგუფი, რომლებსაც აქვთ ხმის უფლების მქონე აქციათა 50%-ს პლუს ერთი აქცია. თუმცა ინდივიდუალურ შემთხვევებში ერთმა პირმა ან პირთა ჯგუფმა შესაძლებელია, აქციონერთა სტრუქტურის მაღალი დივერსიფიკაციის პირობებში უფრო დაბალი რაოდენობის აქციებითაც შეძლოს საზოგადოების კონტროლი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული აქციონერის ზეგავლენის ობიექტური მასშტაბის შეფასების გზით.

იმისათვის, რომ დომინანტ აქციონერს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, საჭიროა სამი კუმულაციური პირობის არსებობა: (1) სახეზე უნდა

იყოს დომინანტი აქციონერი, რომელიც ახდენს თავისი დომინანტური მდგომარეობის რეალიზებას კონკრეტულ საკითხთან მიმართებით; (2) აღნიშნული მდგომარეობის გამოყენებას შედეგად უნდა მოსდევდეს ზიანი და (3) სახეზე უნდა იყოს განზრახვა.



წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტი ეთმობა ასანაზღაურებელი ზიანის გამოთვლის წესს. კერძოდ, დომინანტ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს ეკისრება ვალდებულება, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, ანაზღაუროს აქციონერისთვის მიყენებული ზიანი. ამასთანავე, აქციონერისთვის მიყენებულ ზიანში არ იანგარიშება ის ზიანი, რომელიც ამ აქციონერმა მიიღო სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, თავისი აქციების ღირებულების შემცირებით. აღნიშნული გამომდინარეობს დომინანტი აქციონერისათვის ერთი და იმავე ზიანის ორჯერ ანაზღაურების დაკისრების გამორიცხვიდან.

ზემოაღნიშნული წესები ვრცელდება ასევე იმ პირზე, რომელიც განზრახ იყენებს თავის ძალაუფლებას სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ, ასევე, ზემოქმედებას ახორციელებს სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრზე ამ უკანასკნელთა მხრიდან სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგო ისეთი ქმედებების ჩასაღწეად, რომელთაც ზიანი მოჰყვა. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან არ თავისუფლდება არც სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა და სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრები, რომლებმაც დაარღვიეს საზოგადოების მიმართ თავისი ფიდუციური მოვალეობები. ამ წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც მენეჯმენტის ქმედება ეფუძნებოდა კანონის შესაბამისად მიღებულ საერთო კრების გადაწყვეტილებას. აღნიშნულ პირსა და მასზე თავისი ძალაუფლების განზრახ გამომყენებელ პირს მიყენებული ზიანისათვის ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა. ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების გამოსარიცხად, მეორე მხრივ, კი საჭიროებისას კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად

ქონების შენარჩუნების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ასეთი ქმედების მოწონება არ ათავისუფლებს მმართველი ორგანოს წევრს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან. კრედიტორისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კი არ ქრება სააქციო საზოგადოების მიერ ამ მოთხოვნებზე უარის თქმის შედეგად, ან იმაზე მითითებით, რომ ქმედება ეფუძნება საერთო კრების გადაწყვეტილებას.

მუხლი 177. აქციონერთა შეთანხმება

1. აქციონერები ან აქციონერები და მესამე პირი უფლებამოსილი არიან დადონ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებული იქნებიან დადგენილი წესით განახორციელონ აქციიდან გამომდინარე ან სხვა უფლებები და შეასრულონ შესაბამისი მოვალეობები (აქციონერთა შეთანხმება). აქციონერთა შეთანხმების დადების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააქციო საზოგადოებას.
2. აქციონერთა შეთანხმება სპეციალურ ფორმას არ მოითხოვს. აქციონერთა შეთანხმების მონაწილე მხარის მიერ იმ აქციის გასხვისების შემთხვევაში, რომელთან დაკავშირებითაც დადებულია აქციონერთა შეთანხმება, აქციონერთა შეთანხმებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები შემძენზე არ გადადის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სპეციალურად იყო გათვალისწინებული აქციონერთა შეთანხმებითა და აქციის გასხვისების ხელშეკრულებით.
3. აქციონერთა შეთანხმების შესრულება სავალდებულოა მხოლოდ მისი მხარეებისთვის. აქციონერს აქციიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებაზე უარი არ უნდა ეთქვას მის მიერ აქციონერთა შეთანხმების დარღვევის შემთხვევაშიც კი. აქციონერთა შეთანხმების დარღვევა არ შეიძლება გახდეს სააქციო საზოგადოების ორგანოთა გადაწყვეტილებების გაბათილების საფუძველი.

აქციონერები ან აქციონერები და მესამე პირი უფლებამოსილი არიან, დადონ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულნი იქნებიან, განსაზღვრული წესით განახორციელონ აქციიდან გამომდინარე ან სხვა უფლებები და მოვალეობები. ამ შეთანხმებას ეწოდება აქციონერთა შეთანხმება და იგი კანონის 177-ე მუხლის რეგულირების საგანია. წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს აქციონერთა შეთანხმების ცნებას, შეთანხმების ფორმას და მონაწილეობის სამართლებრივ შედეგებს.

აქციონერთა შეთანხმება არ უნდა იქნეს გაიგივებული საზოგადოების წესდებასთან. მაშინ, როდესაც საზოგადოების წესდება არის საზოგადოების ფუნქციონირების კონსტიტუციური დოკუმენტი, აქციონერთა შეთანხმების არსებობა ეფუძნება მასში მონაწილეობის ნებაყოფლობითობას. შეთანხმება დგება აქციონერთა ნება-სურვილით და, ძირითადად, ეფექტურია მაშინ, როდესაც აქციონერთა სტრუქტურის მაღალი დივერსიფიკაციის პირობებში საზოგადოებას მხოლოდ რამდენიმე აქტიური აქციონერი ჰყავს.

აქციონერთა შეთანხმება უშუალოდ მხარეებისათვის ატარებს მხოლოდ ხასიათს და მას არ გააჩნია გავლენა აქციონერსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაზე. სწორედ აღნიშნულის გარანტიებს ითვალისწინებს წინამდებარე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები. კერძოდ, აქციონერს არ უნდა ეთქვას უარი აქციიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებაზე მისი მხრიდან აქციონერთა შეთანხმების დარღვევის შემთხვევაშიც. აქციონერთა შეთანხმების საზოგადოებისაგან დამოუკიდებელ ხასიათზე მეტყველებს ისიც, რომ შეთანხმების დარღვევა არ შეიძლება გახდეს სააქციო საზოგადოების ორგანოთა გადანყვეტილების ბათილობის საფუძველი. მეტიც, ხელშეკრულების მონაწილე მხარის მიერ იმ აქციის გასხვისების შემთხვევაში, რომელთან დაკავშირებითაც დადებულია შეთანხმება, აქციონერთა შეთანხმებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები შემძენზე არ გადადის. ამ წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, რომლის დროსაც ეს სპეციალურად იყო გათვალისწინებული შეთანხმებითა და აქციის გასხვისების ხელშეკრულებით.

აქციონერთა შეთანხმების დადება არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ფორმას, თუმცა აქციონერთა შეთანხმება პრაქტიკაში, როგორც წესი, იდება წერილობითი ფორმით და მოწმდება ნოტარიუსის მიერ. კანონი სავალდებულოდ ადგენს აქციონერთა შეთანხმების თაობაზე სააქციო საზოგადოების შეტყობინების ვალდებულებას.

კანონი ღიად ტოვებს აქციონერთა შეთანხმების შინაარსობრივ ნაწილსაც. ბევრ აქციონერს განსაკუთრებით სტარტაპულ პერიოდში შესაძლებელია, ჰქონდეს სურვილი, დადოს აქციონერთა შეთანხმება საზოგადოების დამფუძნებლებთან, განსაკუთრებით იმისათვის, რომ თავიდანვე მოხდეს ურთიერთმოლოდინების დეკლარირება, რა დროსაც შეთანხმებას შეუძლია, განსაკუთრებული ფუნქცია შეასრულოს. აქციონერთა შეთანხმების ინსტიტუტი იძლევა შესაძლებლობას, კონკრეტულ ინვესტორთა მოსაზიდად დადგინდეს განსაკუთრებული უფლებები.

აქციონერთა შეთანხმება შესაძლებელია შეწყდეს რამდენიმე მეთოდით. მაგალითად, აქციონერთა შეთანხმება წყდება აქციონერთა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების დადგომით, ასევე, რომელიმე აქციონერის მიერ შეთანხმების დარღვევით ან საზოგადოების დატოვებით, რაც იწვევს მასთან დაკავშირებული დებულებების არაფუნქციურობას.

მუხლი 178. აქციონერთა შეთანხმებაში სააქციო საზოგადოების მონაწილეობა

სააქციო საზოგადოება უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა შეთანხმებაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან წესდებას.

აქციონერთა შეთანხმება, მიუხედავად მისი სახელწოდებისა, არ უკავშირდება მხოლოდ აქციონერებს. სააქციო საზოგადოებას, როგორც სამოქალაქო ურთიერთობათა სუბიექტს, თავადაც შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა შეთანხმებაში. სწორედ აღნიშნულის დეკლარირებას ახდენს კანონის 178-ე მუხლი.

სააქციო საზოგადოებას უფლება ენიჭება, მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა შეთანხმებაში, იმ პირობით, რომ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ან სააქციო საზოგადოების წესდებას. ასეთი მონაწილეობით, როგორც წესი, უზრუნველყოფილია საზოგადოების აქციონერების ინტერესების დაცვა, მათ შორის კორპორაციული მართვის ნაწილში, ასევე დივიდენდის განაწილებისას. შეთანხმებაში მონაწილეობით კი თავად სააქციო საზოგადოება სარგებლის სახით იღებს ინვესტორის დაინტერესებას და დამატებითი კაპიტალის მოზიდვას სააქციო საზოგადოების შემდგომი ფუნქციონირების დაფინანსებისათვის.

მუხლი 179. სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა

1. აქციონერს უფლება აქვს, სააქციო საზოგადოებას ამ მუხლით დადგენილი წესით მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს ამ აქციონერის უფლებებს ან ეხება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციას. წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. თუ დაგეგმილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება, საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღინეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს, სააქციო საზოგადოებას წერილობით მოსთხოვოს თავისი აქციების გამოსყიდვა. ეს უფლება არ არსებობს, თუ:

- ა) აქციონერმა სრულად არ განახორციელა გამოსასყიდი აქციების შესაბამისი შენატანი;
- ბ) აქციონერმა გამოსასყიდი აქციები ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნის შემდეგ შეიძინა.
4. აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს სულ მცირე მისი საბაზრო ღირებულებით. აქციის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ღირებულების იმ ცვლილების გათვალისწინებლად, რომელიც აქციის გამოსყიდვის უფლების წარმომშობმა ქმედებამ გამოიწვია.
5. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შეთავაზების შესახებ გადანყვეტილება უნდა მიიღოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო აქციების გამოსყიდვისთვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს აღნიშნული გადანყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ.
6. აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარს აქციების გამოსყიდვაზე ან სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადანყვეტილებით განსაზღვრულ აქციების გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ გადანყვეტილების შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის განმავლობაში.
7. აქციების გამოსყიდვა დაუშვებელია, თუ:
- ა) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25 პროცენტს;
- ბ) აქციების გამოსყიდვის მომენტში სააქციო საზოგადოება გადახდისუუნაროა ან აქციათა გამოსყიდვის შედეგად იგი შეიძლება გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დადგეს.
8. თუ შეთავაზებულია იმაზე მეტი აქციის გამოსყიდვა, ვიდრე დაშვებულია ამ მუხლის მე-7 პუნქტით, ეს აქციები სხვადასხვა გამყიდველისგან პროპორციულად უნდა იქნეს გამოსყიდული.

კანონის 179-ე მუხლით განმტკიცებულია აქციონერის დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი – სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა. მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: აქციების გამოსყიდვის წინაპირობები, პროცედურა და აქციების გამოსყიდვის გამომრიცხველი წინაპირობები.

წინამდებარე მუხლის მიხედვით, თითოეული აქციონერი, რომელსაც აქვს საკითხის განხილვისას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, აღჭურვილია შესაძლებლობით, სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასე-

ბა და გამოსყიდვა. ასეთი უფლებამოსილება წარმოიშობა, თუ ამ აქციონერმა კენჭისყრის პროცედურისას მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს მის უფლებებს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, აქციონერმა კენჭისყრის პროცესში საკითხის წინააღმდეგ მისცეს თავისი ხმა. კიდევ ერთი საფუძველი, რომლის არსებობის დროსაც აქციონერს წარმოეშობა თავისი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება, არის რეორგანიზაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების მიერ განიხილება წინა აბზაცში მითითებული საკითხები, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დამატებითი მოთხოვნები დგინდება საერთო კრების მოსაწვევეთან დაკავშირებით. კერძოდ, საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღინეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრება მაინც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, აქციონერს გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში უფლება აქვს, წერილობით მოსთხოვოს სააქციო საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა.

გამოსყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო, რომელმაც უნდა განსაზღვროს გამოსასყიდი აქციების რაოდენობა და ფასი. გამოსყიდვა უნდა მოხდეს მოთხოვნის წარდგენის ვადის ამონურვიდან 30 დღის განმავლობაში, რასაც მომდევნო 30 დღის განმავლობაში უნდა მოჰყვეს გამოსყიდვის ფასის გადახდა. გამოსყიდვის ფასი არ უნდა იყოს აქციათა საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები. საბაზრო ღირებულების გამოთვლისას არ იანგარიშება ის გაუფასურება, რომელიც გამოიწვია გამოსყიდვის უფლების წარმომშობმა ქმედებამ.



წინამდებარე მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტები ადგენენ აქციების გამოსყიდვის დაუშვებლობის წინაპირობებს. კერძოდ, აქციათა გამოსყიდვის უფლება არ წარმოიშობა, თუ აქციონერის მიერ სრულად არ არის შეტანილი გამოსასყიდი აქციების შესაბამისი შენატანი. ასევე, აქციონერს არ აქვს აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება, თუ მან ეს აქციები შეიძინა შეტყობინების დაგზავნის შემდეგ. ასეთი ჩანაწერის მიზეზი ისაა, რომ ამ დროს პირს ისედაც შეეძლო, უარი ეთქვა აქციათა შეძენაზე. საზოგადოების ფინანსური სიძნელეების თავიდან აცილების ინტერესიდან გამომდინარე, გამოსყიდვა არ დაიშვება იმ შემთხვევა-

ში, თუ: (1) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს, ან (2) გამოსყიდვის მომენტში სააქციო საზოგადოება გადახდისუუნაროა, ან, (3) შეიძლება, აქციათა გამოსყიდვის შედეგად გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში გამოსყიდვა დაიშვება მხოლოდ ზემოაღნიშნული შეზღუდვების ფარგლებში არსებული აქციების მიმართ, ხოლო თუ ასეთ აქციონერთა რაოდენობა ბევრია, მაშინ თითოეული აქციონერისაგან აქციების გამოსყიდვა უნდა მოხდეს მათი კუთვნილი წილობრივი ფასიანი ქაღალდების პროპორციულად.

იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი არ დაეთანხმება გამოსყიდვაზე ხელმძღვანელი ორგანოს უარს ან ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, წინამდებარე მუხლით მას უფლება ენიჭება, მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

მუხლი 180. წლიური ანგარიშისა და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შედგენა

1. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ადგენს წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, აგრეთვე წმინდა მოგების გამოყენების შესახებ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად.
2. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ წინადადების მოწონების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო მას დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების გამოყენებაზე, მათ წმინდა მოგების გამოყენების შესახებ ორივე წინადადება უნდა გააცნონ საერთო კრებას და უნდა უზრუნველყონ საერთო კრების მიერ ალტერნატიულ წინადადებებს შორის არჩევანის გაკეთება.
3. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება წმინდა მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დარჩეს სააქციო საზოგადოებას და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის შედგენის დროს.

სააქციო საზოგადოების წლიურ ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიში არის ერთგვარი ანარეკლი იმის თაობაზე, რა ფინანსური მდგომარეობაა საწარმოში, რა ქონებას ფლობს და რა ვალდებულებები აქვს მენარმე სუბიექტს. დოკუმენტის ამგვარი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი საბოლოო სახით ფორმირებაში კორპორაციული მართვის სამივე ძირითადი ორგანო

– აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო არიან ჩართულნი. სწორედ ამ დოკუმენტის შედგენა რეგულირდება კანონის 180-ე მუხლში. მითითებული მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ანგარიშის მომზადება, განხილვა და დამტკიცება.

წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციაში დეტალურად აისახება ინფორმაცია საზოგადოების აქტივების, ვალდებულებებისა და საზოგადოების კაპიტალის ღირებულების შესახებ. ამ დოკუმენტების შედგენა ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება. ხელმძღვანელი ორგანო დოკუმენტთან ერთად წინადადებას წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე წარუდგენს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ვალდებულია, მოწონების შემთხვევაში დოკუმენტაცია წარუდგინოს საერთო კრებას მისი დამტკიცებისათვის; მე-2 პუნქტივე არეგულირებს იმ საკითხს, თუ რა ხდება სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების გამოყენებაზე, მათ წმინდა მოგების გამოყენების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. ასეთ დროს მათ ევალებათ, უზრუნველყონ არსებულ ალტერნატიულ ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთება საერთო კრების მიერ, ამ უკანასკნელისათვის საკუთარი პოზიციების სათანადო დასაბუთების გზით.

თავის მხრივ, საერთო კრება წარდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით წმინდა მოგების განკარგვასთან დაკავშირებით იღებს ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს. კერძოდ, საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება წმინდა მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დარჩეს სააქციო საზოგადოებაში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს, ან მოხდეს მისი მთლიანად განაწილება.

მუხლი 181. სააქციო საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის წესი

1. სააქციო საზოგადოება უფლებამოსილია შუალედური ან წლიური ფინანსური შედეგების მიხედვით, კანონით დადგენილი წესით მიიღოს განთავსებულ აქციებზე დივიდენდის სახით მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:
 - ა) დივიდენდის განაწილებამდე ან დივიდენდის განაწილების შედეგად სააქციო საზოგადოების ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული წმინდა აქტივის ოდენობა იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე განთავსებული კაპიტალის ოდენობა და კანონით ან წესდებით გათვალისწინებული იმ რეზერვების ოდენობა, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია;

ბ) გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობა აღემატება ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ, ხოლო შუალედური დივიდენდის შემთხვევაში – ბოლო ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ მიღებულ, სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებისთვის წინა წლების გაუნაწილებელი მოგებისა და თავისუფალი რეზერვებიდან გამოთავისუფლებული სახსრების დამატებით და წინა წლების დაუფარავი ზარალისა და კანონით ან წესდებით დადგენილ რეზერვებში გადასარიცხი თანხების გამოკლებით მიღებულ ოდენობაზე;

გ) დივიდენდის გადახდის დღისთვის ან დივიდენდის გადახდის შედეგად სააქციო საზოგადოება გადახდისუუნარო გახდება ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დადგება.

2. თუ განთავსებული კაპიტალის მოუთხოვნელი ნაწილი საბალანსო დოკუმენტში აღნიშნულ აქტივებში მითითებული არ არის, მისი ღირებულება უნდა გამოაკლდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განთავსებულ კაპიტალს.
3. დივიდენდი გადახდილი უნდა იქნეს ფულით, თუ დივიდენდის გადახდის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით დივიდენდის სხვა ქონებით გაცემა დადგენილი არ არის.
4. დივიდენდის გადახდის (მათ შორის, დივიდენდის მოცულობისა და თითოეული სახის აქციაზე დივიდენდის გაცემის ფორმის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. დივიდენდის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2/3-ის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით რეკომენდებულ ოდენობას.
5. დივიდენდის გაცემის ვადა და წესი განისაზღვრება წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით. დივიდენდის გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთო კრების მიერ დივიდენდის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 6 თვეს, თუ წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით დივიდენდის გაცემის უფრო მცირე ვადა არ არის დადგენილი.
6. აქციონერზე გაცემული დივიდენდი, რომელსაც ეს აქციონერი არ მიიღებს, დივიდენდის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 5 წლის შემდეგ უნდა გაუქმდეს და სააქციო საზოგადოებისთვის მისი მოთხოვნა დაუშვებელია.
7. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დივიდენდის აქციასთან დაკავშირებული შენატანის განხორციელებული ნაწილის პროპორციულად განაწილებას.

ოპტიმალური დივიდენდის პოლიტიკას სააქციო საზოგადოების წარმატებულ ფუნქციონირების საქმეში გადამწყვეტი ადგილი უკავია. კანონის 181-ე მუხლი ეთმობა ქვეყანაში სწორი დივიდენდის პოლიტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მონესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: დივიდენდის გაცემის პერიოდულობა; გამომრიცხველი გარემოებები; დივიდენდის ფორმა და პროპორცია; გადაწყვეტილების მიღება დივიდენდის გაცემის თაობაზე და დივიდენდის მიღება.

გადაწყვეტილება დივიდენდის გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ შიდაფინანსურ გადაწყვეტილებათა რიცხვს განეკუთვნება და რეკომენდებულია, მასში კანონმდებლის ჩარევის მასშტაბი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ამის პარალელურად, დივიდენდის არასწორი პოლიტიკა შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს არამხოლოდ საზოგადოების ცალკეული აქციონერის, არამედ უშუალოდ კორპორაციის, კრედიტორების და საზოგადოდ ბაზრისათვის. მაგალითად, კანონმდებლის ჩარევა აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც იქმნება აქციონერების მიერ დივიდენდის განაწილების გზით ოპერირებადი კაპიტალისაგან სააქციო საზოგადოების დაცლის ან სააქციო საზოგადოების მიერ კრედიტორთა დაკმაყოფილების შესაძლებლობის მნიშვნელოვნად შემცირების საფრთხე. სწორედ ამიტომ წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც დაუშვებელია მოგების სახით დივიდენდის განაწილება. კერძოდ:

- დივიდენდის განაწილებამდე ან განაწილების შედეგად ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივის ოდენობა ნაკლები იქნება, ვიდრე განთავსებული კაპიტალის ოდენობა და კანონით ან წესდებით გათვალისწინებული ის რეზერვები, რომელთა აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია, იმ პირობით, რომ, თუ განთავსებული კაპიტალის მოუთხოვნელი ნაწილი საბალანსო დოკუმენტში ნაჩვენებ აქტივებში მითითებული არა არის, მისი ღირებულება უნდა გამოაკლდეს განთავსებულ კაპიტალს.
- წლიური დივიდენდის თანხა მეტია ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ, ხოლო შუალედური დივიდენდის შემთხვევაში, ბოლო ფინანსური ანგარიშგების შემდგომ მიღებულ, სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებაზე წინა წლების გაუნაწილებელი მოგებისა და თავისუფალი რეზერვებიდან გამოთავისუფლებული სახსრების დამატებით და წინა წლების დაუფარავი ზარალისა და კანონით ან წესდებით დადგენილ რეზერვებში გადასარიცხი თანხების გამოკლებით მიღებულ ოდენობაზე.
- დივიდენდის გადახდის დღისთვის ან გადახდის შედეგად სააქციო საზოგადოება გახდება გადახდისუუნარო, ან გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

გადაწყვეტილება დივიდენდის გადახდის, დივიდენდის მოცულობისა და თითოეული სახის აქციაზე დივიდენდის გაცემის ფორმის შესახებ მიიღება საერთო კრების მიერ. აქციონერები, ხშირ შემთხვევაში, ორიენტირებულნი არიან, მიიღონ მაქსიმალური შემოსავალი მოკლევადიან პერსპექტივაში. აღნიშნული, როგორც წესი, წინააღმდეგობაში მოდის სააქციო საზოგადოების გრძელვადიანი განვითარების ინტერესთან. შესაბამისად, ამ ორ შეპირისპირებულ ინტერესს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით, კანონით დგინდება გასაცემი დივიდენდის ზედა ზღვარი. ასეთი ზედა ჭერი განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, 2/3-ის უმრავლესობით მიღებული რეკომენდებული ოდენობით.

დივიდენდის გადახდის ფორმა ფულია. ამასთანავე, საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდის სხვა ფორმით განაწილების თაობაზე. დივიდენდის გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს დივიდენდის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან. ამ ვადის გაზრდა, მათ შორის, წესდებითაც დაუშვებელია. ამასთანავე, საერთო კრება სარგებლობს შესაძლებლობით, განსაზღვროს დივიდენდის გაცემის უფრო მცირე ვადა ან სხვა წესი. იგივე საკითხი შეიძლება იქნეს მონესრიგებული საზოგადოების წესდებითაც. მათ შორის, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დივიდენდის განაწილებას აქციასთან დაკავშირებული შენატანის განხორციელებული ნაწილის პროპორციულად.

გაცემული დივიდენდი, მიღებულ უნდა იქნეს აქციონერის მხრიდან. ასეთი მიღების ვადად, კანონის მიხედვით განსაზღვრულია 5 წელი. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერის მიერ მასზე გაცემული დივიდენდი არ იქნება მიღებული, დივიდენდის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ დივიდენდი ექვემდებარება გაუქმებას. შესაბამისად, აღნიშნული თანხა დაბრუნდება სააქციო საზოგადოების კაპიტალში, ათვისებულ იქნება სხვადასხვა ოპერაციაში და საზოგადოებისაგან მისი მოთხოვნა აღარ დაიშვება.

მუხლი 182. სააქციო საზოგადოების ორგანოთა სისტემა

1. სააქციო საზოგადოების ორგანოებია: საერთო კრება და ხელმძღვანელი ორგანო (მართვის მონისტური სისტემის არჩევისას) ან საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო (მართვის დუალისტური სისტემის არჩევისას).
2. სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს მართვის დუალისტური ან მონისტური სისტემა. დუალისტურია მართვის სისტემა, როდესაც სააქციო საზოგადოებას, საერთო კრებისა და ხელმძღვანელი ორგანოს

გარდა, ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. მონისტურია მართვის სისტემა, როდესაც სააქციო საზოგადოებას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. მართვის სისტემის არჩევის შესახებ გადანყვეტილება მიიღება სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას და აღინიშნება წესდებაში. მართვის სისტემის არჩევის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება შეიცვალოს, თუ მის შეცვლას მხარს დაუჭერს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3/4-ით.

3. თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქალაქები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, ან თუ სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, სავალდებულოა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი იძლევა სააქციო საზოგადოებაში, როგორც ერთი ისე ორსაფეხურიანი კორპორაციული მართვის მოდელის არსებობის შესაძლებლობას. კორპორაციული მართვის ერთსაფეხიურიან მოდელში ვხვდებით კორპორაციული მართვის ორ ორგანოს: ხელმძღვანელ ორგანოსა და საერთო კრებას. კორპორაციული მართვის ორსაფეხურიან მოდელში ერთდროულად არსებობს კორპორაციული მართვის ორი უმნიშვნელოვანესი ორგანო – ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო.

სააქციო საზოგადოების, ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი აქციონერთა მკვეთრად დივერსიფიცირებული სტრუქტურაა, რაც გამოწვეულია ამ სამართლებრივი ფორმის საზოგადოების უნარით, განათავსოს საკუთარი წილობრივი ფასიანი ქალაქები ღია ბაზარზე. შესაბამისად, აქციონერთა სტრუქტურის დივერსიფიკაციის გათვალისწინებით მცირდება ინდივიდუალური აქციონერის შესაძლებლობა ეფექტიანი ზედამხედველობა მოახდინოს საზოგადოების მართვაზე. მეტიც, ფინანსური ინჟინერიის განვითარების კვალდაკვალ, თანამედროვე სამყაროში აქცია სულ უფრო მეტად კარგავს ინდივიდუალურ ხასიათს, მისი ფლობა კი ხდება შუამავლების მთელი ჯაჭვის მეშვეობით. ამ ჯაჭვში კი კიდევ უფრო რთულდება აქციონერის შესაძლებლობა უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა კორპორაციულ მართვაში. ასევე, აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, ჩართულნი არიან ფინანსურ ბაზარზე ტრანსაქციებში, შესაბამისად არიან სხვადასხვა რეგულატორების მიერ დადგენილი მოთხოვნების ობიექტები და ხელმძღვანელ პირებზე ზედამხედველობა საჭიროებს სპეციალურ ცოდნას.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, სააქციო საზოგადოებაში, როგორც წესი, იქმნება სამეთვალყურეო საბჭო. იმ შემთხვევაში, როდესაც სა-

ზოგადოების აქციონერთა სტრუქტურა მკვეთრად და დივერსიფიცირებული, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა ამცირებს ხელმძღვანელი პირების საქმიანობის ზედამხედველობის ხარჯებს. ასევე, პროფესიული და რეპუტაციული ნიშნით დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო ზრდის ზედამხედველობის ეფექტიანობას.

გადანყვეტილება მართვის სისტემის არჩევის შესახებ მიიღება სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას და აღინიშნება სააქციო საზოგადოების წესდებაში. ამასთანავე, მოგვიანებით კორპორაციული მართვის მოდელი შეიძლება შეიცვალოს, თუ შეცვლას მხარს დაუჭერს საერთო კრებაზე კენჭისყრაში მონაწილე ხმათა არანაკლებ 3/4.

მუხლი 183. სააქციო საზოგადოების წლიური და რიგგარეშე საერთო კრებები

- 1. საერთო კრება მოიწვევა კანონითა და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.**
- 2. სააქციო საზოგადოების წლიური საერთო კრება ტარდება წესდებით განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.**

სააქციო საზოგადოების წლიური საერთო კრება არის კორპორაციულ მართვაში აქციონერების პირდაპირი მონაწილეობის უმთავრესი ინსტრუმენტი. განსაკუთრებით დიდ სააქციო საზოგადოებებში, როგორც წესი, ეს არის ის ერთადერთი ფორუმი, სადაც აქციონერებს ეძლევათ შესაძლებლობა, ტოპმენეჯმენტის უშუალო ჩართულობით განსაზღვროს საზოგადოების განვითარების სტრატეგია. კანონის 183-ე მუხლი აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ზოგად საკანონმდებლო საფუძველს ქმნის.

სააქციო საზოგადოების საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება ტარდება წესდებით განსაზღვრულ ვადებში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან 3 თვეს. ამისაგან განსხვავებით, რიგგარეშე კრება მოიწვევა მხოლოდ სპეციალურ შემთხვევებში. სააქციო საზოგადოებაში, რომელიც აქციონერთა სტრუქტურის მაღალი დივერსიფიკაციით ხასიათდება, ყოველდღიური საქმიანობა წარმართება ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, ხოლო ხელმძღვანელი ორგანოს მიერ საკუთარი ფუნქციების საზოგადოების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განხორციელებისათვის არსებობს კანონით დადგენილი რიგი მექანიზმები სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფი იმპერატიული კანონისმიერი მოთხოვნების სახით. შესაბამისად, რიგგარეშე საერთო

კრების მოწვევის საჭიროება იშვიათ შემთხვევებში არსებობს. თუმცა საგამონაკლისო შემთხვევებში, კანონი იძლევა შესაძლებლობას, საზოგადოების აქციონერებმა, ხელმძღვანელმა ორგანომ და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მონვიონ რიგგარეშე საერთო კრება.

მუხლი 184. საერთო კრების კომპეტენცია

1. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ამ კანონითა და წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის:
 - ა) წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ;
 - ბ) ამ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე;
 - გ) სააქციო საზოგადოების მართვის სისტემის (მონისტური ან დუალისტური) შეცვლის შესახებ;
 - დ) სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;
 - ე) სააქციო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდატორის დანიშვნის, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცების შესახებ;
 - ვ) სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემის შესახებ;
 - ზ) განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ;
 - თ) სამეთვალყურეო საბჭოს (მართვის დუალისტური სისტემის შემთხვევაში) ან ხელმძღვანელი ორგანოს (მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში) შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამოწვევის, ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ;
 - ი) სააქციო საზოგადოების აუდიტის ანგარიშის დამტკიცებისა და აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;
 - კ) ფინანსური ანგარიშის დამტკიცებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ;
 - ლ) საერთო კრების მიმდინარეობის წესის დადგენისა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ;
 - მ) სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების და სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე;
 - ნ) თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სააქციო საზოგადოების მიერ იმ ქონების შექენის, გასხვისების, გაცვლის (ერთმანეთ-

თან დაკავშირებული გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს შეადგენს, გარდა ისეთი გარიგებისა, რომელიც ჩვეულებრივ სანარმოო საქმიანობას ეხება;

ო) აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრის შესახებ;

პ) აქციათა ნომინალური ღირებულების ცვლილების ან დამატებითი აქციების განთავსების შესახებ;

ჟ) ამ კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ გარიგებაზე თანხმობის გაცემის შესახებ;

რ) სხვა იურიდიული პირის დაფუძნების ან ნილობრივი მონაწილეობის შესახებ;

ს) ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

2. წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ო“ – „ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელ ორგანოს.
3. საერთო კრებას არ აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები საერთო კრებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.

აქციონერისათვის საერთო კრებაზე ხმის უფლება არის საზოგადოების მართვასთან დამაკავშირებელი ძირითადი არხი და თავისი ინვესტიციის დაცვის უმთავრესი ინსტრუმენტი. კანონის 184-ე მუხლი ეთმობა აქციონერის მიერ ხმის უფლების რეალიზაციის ერთადერთ პირდაპირ ბერკეტს, აქციონერთა საერთო კრებას. წინამდებარე მუხლის ფარგლებში წარმოდგენილია აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების სრული კატალოგი, ასევე, წარმოდგენილია დებულებები საერთო კრებასა და საზოგადოების კორპორაციული მართვის სხვა ძირითად სუბიექტებს შორის კომპეტენციათა დანაწილების თაობაზე.

საერთო კრების კომპეტენცია ორ ჯგუფად შეიძლება იქნეს კლასიფიცირებული: ერთი – ესაა კანონში საერთო კრების კომპეტენციას პირდაპირ მიკუთვნებული საკითხები და მეორე – ამგვარ საკითხებს მიღმა, საზოგადოების წესდებით საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. ამასთანავე, საერთო კრებას უფლება არ აქვს, მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება სხვა ორგანოების უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ორგანოები თხოვნით მიმართავენ საერთო კრებას მათ

კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადასაწყვეტად. კომპეტენციათა ამგვარი დანაწილება ქმნის უფლებამოსილი სუბიექტის (ძირითადად ხელმძღვანელი ორგანოს) მოქმედების თავისუფლებას საკუთარი ცოდნისა და უნარების ფარგლებში განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები, უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის სუბიექტთა შორის ურთიერთბალანსს, პასუხისმგებელი სუბიექტის მარტივ იდენტიფიცირებას და მთლიანობაში განაპირობებს ეფექტიან კორპორაციულ მართვას.

საერთო კრების მოწვევა და ჩატარება საკმაოდ ძვირი პროდუქტია, როგორც პირდაპირი ფინანსური, ისე, სხვა რესურსების თვალსაზრისით. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, უფრო ეფექტური იყოს ცალკეულ საკითხებზე (აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრა; აქციათა ნომინალური ღირებულების ცვლილება ან დამატებითი აქციების განთავსება; კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ გარიგებებზე თანხმობის გაცემა; სხვა იურიდიული პირების დაფუძნების ან წილობრივი მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის დადგენა), გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სხვა, შედარებით მცირე ზომის ორგანოსათვის გადაცემა. ამის გათვალისწინებით, წინამდებარე მუხლი უშვებს შესაძლებლობას, წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ (კანონით პირდაპირ განსაზღვრულ) საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს.

მუხლი 185. განეული მუშაობის მოწონება

1. წლიური ანგარიშის, წლიური ბალანსისა და მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებისას მორიგი საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ წლის განმავლობაში განეული მუშაობის მოწონების თაობაზე. საერთო კრების გადაწყვეტილებით ან ხმის უფლების მქონე აქციების 10 პროცენტის მფლობელი აქციონერების მოთხოვნით სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრებისა და ცალკეული ხელმძღვანელი პირების მიერ განეული მუშაობის მოწონებისთვის ცალკე კენჭისყრა ტარდება.
2. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ განეული მუშაობის მოწონება მათ არ ათავისუფლებს სააქციო საზოგადოების წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

ხელმძღვანელი პირებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საკუთარი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული დავების შემცირებისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საერთო კრების მიერ ამ ორგანოთა განუხლები მუშაობის მონონება. ამასთანავე, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში ეს ინსტიტუტი კანონის ზოგად ნაწილში ჩამოყალიბებული მსგავსი ინსტიტუტისაგან განსხვავებულია. სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, ფინანსური ბაზრების აქტიური მონაწილეები არიან. შესაბამისად, საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია განსაკუთრებით კომპლექსური ხასიათისაა. კომპლექსურობიდან გამომდინარე „საერთო კრებისთვის წარდგენილი დოკუმენტებისა და მიწოდებული ინფორმაციის გულმოდგინედ შემოწმების“ ზოგად ნაწილში დადგენილი სტანდარტი ვერ იქნება საკმარისი, ვინაიდან, საკითხის შესწავლა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. შესაბამისად, მონონებისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგების დაკავშირების შემთხვევაში, აქციონერი დამოკიდებული გახდება სპეციალური ცოდნის მქონე პირის დაქირავებაზე ან დარჩება ცოდნის დაბალი სტანდარტით. ასევე, საზოგადოების აქციონერთა მკვეთრად დივერსიფიცირებული სტრუქტურისგან გამომდინარე, საჭიროა ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტის დაწესება და მინორიტარი აქციონერების დაცვის მაღალ სტანდარტის დადგენა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით განუხლები მუშაობის მონონება არ ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს სააქციო საზოგადოების წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

ასეთი მონონების ძირითადი მიზანი თავდაპირველ ეტაპზე საქმიანობით კმაყოფილების დეკლარირებაა, რამაც, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს კორპორაციული მართვის ორგანოებს შორის ინფორმირებულობის ზრდა, ვინაიდან, აქციონერს მაინც უჩნდება გარკვეული არაპირდაპირი „ვალდებულება“ გაეცნოს ხელმძღვანელი პირების საქმიანობას, რადგან მას მაინც უნევს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, რასაც შემდგომში დავის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია ჰქონდეს მტკიცებულებითი ხასიათი. მეორე მხრივ, აღნიშნული მაინც ამცირებს პოტენციური დავების რისკს, მათ შორის, მონონების მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობის გამო.

საერთო კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობის მონონება ხდება წლიური ანგარიშის, წლიური ბალანსისა და მოგების განაწილების შესახებ გადანყვეტილების დამტკიცების პარალელურად. ამასთანავე, კანონი იძლევა არა მხოლოდ კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური შეფასების შესაძლებლობასაც. კერძოდ, საერთო კრების გადანყვეტილებით ან ხმის უფლების მქონე აქციათა 10%-ის მფლობელ აქციონერთა მოთხოვნით, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს ცალკეული წევრის განუხლები მუშაობის მონონება შეიძლება მოხდეს ცალკე კენჭისყრით.

მუხლი 186. საერთო კრების მოწვევის წესი

1. კრებას იწვევს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო. კანონი ან წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე საერთო კრების სხვა პირების მიერ მოწვევას.
2. თუ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს საერთო კრებას, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება.
3. კრების მოწვევის შესახებ გადანყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, რის თაობაზედაც დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, არის თუ არა საერთო კრება მოწვეული აქციონერთა ინიციატივით.
4. საერთო კრების მოწვევის, მომზადებისა და ჩატარების ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას.

საერთო კრების მოწვევის პროცედურული უზრუნველყოფა აქციონერის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ქვაკუთხედიანია. კანონის 186-ე მუხლი ეთმობა აქციონერთა საერთო კრების ფორმალური მხარის საკანონმდებლო რეგლამენტაციას. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საერთო კრების მოწვევაზე პასუხისმგებელი ორგანოები, გადანყვეტილების მიღება კრების მოწვევის თაობაზე და კრების გამართვის ხარჯები.

კანონის მიხედვით, სააქციო საზოგადოების ხარჯით აქციონერთა საერთო კრების მოწვევაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელი ორგანო. ამ წესიდან არსებობს ორი გამონაკლისი: უპირველეს ყოვლისა, კანონი იცნობს არაერთ შესაძლებლობას, როდესაც აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა სხვა პირის (აქციონერთა 5%; სამეთვალყურეო საბჭო) მიერ. ამის პარალელურად, შესაძლებელია კონკრეტული სუბიექტის აღჭურვა საერთო კრების მოწვევის შესაძლებლობით, წესდებაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების გზით.

საერთო კრების მოწვევის მიზეზი შესაძლებელია, უკავშირდებოდეს კორპორაციული მართვისას წარმოშობილ პრობლემათიკას. ასეთ შემთხვევაში, ხელმძღვანელი ორგანო შესაძლებელია, თავს არიდებდეს საერთო კრების მოწვევას. მსგავსი კრიზისული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, კანონი ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების მოწვევის შესაძლებლობას. გადანყვეტილება კრების მოწვევის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უბრალო უმრავლესობით, რის შესახებაც დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, ხდება თუ არა საერთო კრების მოწვევა აქციონერთა ინიციატივით.

მუხლი 187. საერთო კრების მოწვევა აქციონერის/აქციონერების მოთხოვნით

1. აუცილებლობის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.
2. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.
3. თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.
4. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, მომზადებისა და ჩატარების ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას.

კანონის 186-ე მუხლი განსაზღვრავს საერთო კრების მოწვევის ზოგად წესს. ამ წესში მითითებულია, რომ საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება აქვს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს. ამასთან, მითითებულია, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო კრება შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს სხვა პირთა მიერ. კანონის 187-ე მუხლი ითვალისწინებს სწორედ ასეთ გამონაკლისს.

აქციონერმა/აქციონერთა ჯგუფმა თავდაპირველ ეტაპზე კრების მოწვევის მოთხოვნით უნდა მიმართოს კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს – ხელმძღვანელ ორგანოს. აუცილებლობის შემთხვევაში, სააქციო საზოგადოების ხარჯებით, კაპიტალის, სულ მცირე, 5%-ის მფლობელი აქციონერის/აქციონერთა ჯგუფის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ კრების მოწვევა არ არის დამოკიდებული აქციონერთა კლასზე.

როგორც წესი, კრიზისული მდგომარეობისას რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა თავად ხელმძღვანელი ორგანოს ინტერესია. თუმცა ზოგიერთ შემ-

თხვევაში ხელმძღვანელი ორგანო არა მხოლოდ თავისი ინიციატივით არ იწვევს საერთო კრებას, არამედ არ ასრულებდნენ აქციონერთა მოთხოვნასაც საერთო კრების მოწვევის თაობაზე. აღნიშნულის მიზეზი ერთი მხრივ, შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობა, მეორე მხრივ კი შესაძლებელია, ხელმძღვანელი ორგანო ობიექტურად მიიჩნევდეს, რომ არ არსებობს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს ხელმძღვანელი ორგანოს მოტივაცია, აქციონერებს თავად ენიჭებათ როგორც კრების მოწვევის, ისე მისი თავმჯდომარის განსაზღვრის შესაძლებლობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება აქციონერების მიერ კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობა. ამასთანავე, ასეთი უფლებით ბოროტად სარგებლობის თავიდან აცილების მიზნით, კანონით შემოტანილია სასამართლო კონტროლი, კერძოდ, სასამართლოს თანხმობის მექანიზმი.

წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტი აქციონერთა საერთო კრების აქციონერების მიერ მოწვევის პროცედურის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დეტალურად განსაზღვრავს იმ შინაარსს, რასაც კრების ჩატარების თაობაზე აქციონერის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს. კერძოდ, მოთხოვნაში უნდა აისახოს კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი, მიზეზები და დღის წესრიგი, რომელშიც ასახული უნდა იყოს ამ აქციონერის/აქციონერთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. ამასთანავე, ხელმძღვანელ ორგანოს ენიჭება უფლება, დაამატოს დღის წესრიგის საკითხები.

მუხლი 188. საერთო კრების მომზადება

1. საერთო კრების მომზადებისას სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:
 - ა) საერთო კრების ჩატარების თარიღი და ადგილი;
 - ბ) საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმები;
 - გ) საერთო კრების დღის წესრიგი;
 - დ) საერთო კრების დანიშნის შესახებ აქციონერებისთვის შეტყობინების ფორმა;
 - ე) აქციონერებისთვის გადასაცემი მასალების ნუსხა და ამ მასალების გადაცემის წესი;
 - ვ) საერთო კრების სააღრიცხვო დღე.
2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია გადაწყვიტოს საერთო კრების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხი.

საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების უზრუნველყოფა ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციაა. კანონის 188-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხთა ნუსხას, რომელიც გადანყვეტილ უნდა იქნეს კრების მოწვევამდე. უპირველეს ყოვლისა, საერთო კრების მომზადებისას ხელმძღვანელმა ორგანომ, გარდა ორგანიზაციული საკითხებისა, უნდა გადანყვიტოს კრების ჩატარების თარიღი, რომელიც შესაბამისად უნდა იყოს თანხვედრაში კანონის მორიგი/რიგგარეშე საერთო კრების მოწვევისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, კრების მოწვევის კონტექსტში ხელმძღვანელი ორგანო კოლეგიურად იღებს გადანყვეტილებას საერთო კრების გამართვის ადგილთან, კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმასთან, საერთო კრების დღის წესრიგთან, საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებისთვის შეტყობინების ფორმასთან, კრებაში მონაწილეობის სააღრიცხვო დღესთან, აქციონერთათვის მისაწოდებელი მასალების ნუსხასა და ამ მასალების გადაცემის წესთან დაკავშირებით. თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით კანონის სპეციალურ მუხლებში მოცემულია შესაბამისი დეტალური რეგულირებები. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნორმა ზოგადი ხასიათისაა და ამ საკითხში ხელმძღვანელი ორგანოს დისკრეციის ფარგლები უმეტესწილად შეზღუდულია სწორედ ზემოაღნიშნული სპეციალური ნორმებით.

მუხლი 189. შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ

1. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადანყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე.
2. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადანყვეტილება ქვეყნდება აგრეთვე სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).
3. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოინვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის სულ მცირე 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.
4. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.

5. საერთო კრების მონვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:
- ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;
 - ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილს, თარიღსა და დროს;
 - გ) აღნიშვნას, მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;
 - დ) საერთო კრების სააღრიცხვო დღეს და მითითებას, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
 - ე) საერთო კრების დღის წესრიგს.
6. სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომელიც არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული სანარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ჩატარებამდე არანაკლებ 21-დღიან უწყვეტ პერიოდში, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისად შემცირებულ ვადაში, აგრეთვე საერთო კრების ჩატარების დღეს აქციონერებისთვის, ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მონაცემების გარდა, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:
- ა) ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება საერთო კრების მონვევის შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია საერთო კრების მონვევის თარიღისთვის აქციათა საერთო რაოდენობისა და ხმების შესახებ (მათ შორის, ინფორმაცია თითოეული კლასის აქციათა საერთო რაოდენობის თაობაზე, თუ სააქციო საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია ორი ან ორზე მეტი კლასის აქციებად);
 - გ) საერთო კრებისთვის წარსადგენი დოკუმენტები;
 - დ) მისაღები გადაწყვეტილების პროექტი, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს კომენტარი საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე, აგრეთვე ამ კანონის 191-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აქციონერების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების პროექტები, რომლებიც სააქციო საზოგადოებამ უნდა განათავსოს თავის ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილებების მიღებიდან გონივრულ ვადაში;
 - ე) საჭიროების შემთხვევაში, ხმის წარმომადგენლის მეშვეობით და წერილობით მიცემის ფორმები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფორმები თითოეულ აქციონერს პირადად ეგზავნება;

ვ) იმ პროცედურის ზუსტი აღწერა, რომელიც უნდა გაიაროს აქციონერ-მა საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემისთვის, მათ შორის:

ა) ამ კანონის 191-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები, თუ ამ უფლებებით სარგებლობა შესაძლებელია საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების შემდეგ, ამავე კანონის 202-ე მუხლის მოთხოვნებისა და აღნიშნული უფლებებისთვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით;

ბ) წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემის პროცედურა, კერძოდ, ხმის მიცემის ფორმა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინების სააქციო საზოგადოების მიერ ელექტრონული ფორმით მიღების შესაძლებლობა;

გ) ამ კანონის 194-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქციონერის მიერ ხმის წერილობით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიცემის პროცედურა;

ზ) საერთო კრების მასალების სრულად გაცნობის ადგილი და პირობები.

7. თუ ამ მუხლის მე-ნ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხმის მიცემის ფორმები სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ტექნიკური მიზეზების გამო ხელმისაწვდომი არ არის, სააქციო საზოგადოებამ უნდა მიუთითოს მათი მატერიალური ფორმით ხელმისაწვდომობის შესახებ. აქციონერის მოთხოვნის შემთხვევაში სააქციო საზოგადოებამ ეს ფორმები მას ფოსტით უფასოდ უნდა გაუგზავნოს.

საერთო კრების მოწვევის ფორმალური მხარის დაცვა უზრუნველყოფს გაუგებრობების თავიდან აცილებას და ყველა აქციონერის შესაძლებლობას გამოიყენოს კორპორაციულ მართვაში თავისი ძირითადი ინსტრუმენტი. შესაბამისად, ფორმალურ პირობათა კანონის/ნესდების დარღვევით განხორციელება საერთო კრებას არალეგიტიმურს ხდის. ამგვარი პირობების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის სამართალშიც. კერძოდ, ამ საკითხს ეთმობა ევროკავშირის 2007/36 დირექტივა. ეს დირექტივა, თავის მხრივ, არის ასოცირების შეთანხმების ნაწილი და დირექტივის მოთხოვნები საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით გადმოტანილია კანონის 189-ე მუხლში. წინამდებარე მუხლში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საერთო კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება და მისი შინაარსი, ასევე, აქციონერებისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

საერთო კრების მოწვევაზე უფლებამოსილი სუბიექტი, რომელსაც, იმავედროულად, გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ეკისრება პასუხისმგებლობა, არის ხელმძღვანელი ორგანო. კრების მოწვევის თაობაზე გადანაცვლებას საზოგადოების ხელმძღვანელი

ორგანო აქვეყნებს კრების ჩატარებამდე, სულ ცოტა, 21 დღით ადრე მარეგისტრირებული ორგანოს პორტალზე და ასეთის არსებობის შემთხვევაში, სააქციო საზოგადოების ოფიციალურ ვებგვერდზე. 21-დღიანი ვადიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი მოწვევით ჩასატარებელი საერთო კრებისათვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების ეფექტურად ფუნქციონირების ინტერესიდან გამომდინარე, შეტყობინებასა და კრების თარიღს შორის შესაძლებელია 10-დღიანი შუალედის არსებობა.

უშუალოდ შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ, როგორც წესი, ძალიან მშრალი და ფორმალური ხასიათისაა. წინამდებარე მუხლი საერთო კრების მოწვევის რეკვიზიტებს ორ ნაწილად ყოფს მე-5 და მე-6 პუნქტებში. კერძოდ, მე-5 პუნქტში მითითებულია კრების მოწვევის ის რეკვიზიტები, რომლებიც აუცილებელია კრების მონაწილეთათვის და კრების შინაარსის განსასაზღვრავად, ასევე, მისი ჩატარების დროისა და ადგილის იდენტიფიცირებისათვის. დამატებით, მე-6 პუნქტი ადგენს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უკვე შეეხება იმ სააქციო საზოგადოებას, რომელიც არის „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული სანარმო, რომლის ფასიანი ქალაქები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე. ასეთ შემთხვევაში, კრების მოწვევისას მისათითებელი ინფორმაციის ნუსხა გაცილებით ფართოა და, გარკვეული თვალსაზრისით, ატარებს სახელმძღვანელო ხასიათს აქციონერის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 190. საერთო კრების მასალების გაცნობა

1. საერთო კრების დღის წესრიგის მასალები უნდა შეიცავდეს გადანყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.
2. თუ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდების შეცვლა ან მისი ახალი რედაქციის მიღება, ცვლილების ან ახალი რედაქციის ტექსტი უნდა გამოქვეყნდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტაცია ყველა აქციონერს პირადად ეგზავნება.
3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან გამოაქვეყნონ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მათ მიერ მომზადებული გადანყვეტილებების პროექტები და მიუთითონ ამ გადანყვეტილებების საფუძველები.

სააქციო საზოგადოების საერთო კრებაზე აქციონერის მიერ თავისი უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელება პირდაპირაა დაკავშირებული აქციონერის ინფორმირებულობის ხარისხთან. საერთო კრების დღის წესრიგი და მასში ასახული ინფორმაციის არსებობა, კრების მასალების გაცნობის უზრუნველყოფის გარეშე, აზრს დაკარგავდა. სწორედ ამიტომ კანონის 190-ე მუხლი ეთმობა აქციონერის უფლებას, გაეცნოს დღის წესრიგის მასალებს.

კანონი დეტალურად არ განსაზღვრავს, რა მასალებს უნდა შეიცავდეს საერთო კრების დღის წესრიგი, იმის გათვალისწინებით, რომ, ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე, ასეთ ინფორმაციათა სპექტრი წინასწარ არ არის განსაზღვრადი. შესაბამისად, კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ ორგანოს უდგინდება ზოგადი ვალდებულება, უზრუნველყოს დღის წესრიგში ყველა საჭირო ინფორმაციის ასახვა. ამასთანავე, ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო თავთავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოაქვეყნონ მათ მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი და მიუთითონ ამ გადაწყვეტილების საფუძვლებზე.

კანონი ასევე, დეტალურად განსაზღვრავს სპეციალურ მოთხოვნებს საზოგადოების საერთო კრებაზე წესდების ცვლილების საკითხის განხილვის შემთხვევაში. კერძოდ, თუ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდების შეცვლა ან მისი ახალი რედაქციის მიღება, ცვლილების ტექსტი ან ახალი რედაქცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტაცია ყველა აქციონერს პირადად ეგზავნება.

მუხლი 191. საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატებისა და მისაღები გადაწყვეტილების პროექტის წარდგენის უფლებები

1. კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:
 - ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;
 - ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი ამ კანონის 189-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები ან ხმა მისცენ წერილობით.
3. ხმის უფლების მქონე აქციათა სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, წარადგინოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურები, თუ იგი რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დღემდე სულ მცირე 14 დღით ადრე წარუდგენს სათანადო განცხადებას/წინადადებას ხელმძღვანელ ორგანოს. ეს წინადადება უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანდიდატებისთვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.
4. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ შეთავაზებული საკითხი შესაბამისი განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საერთო კრების დღის წესრიგში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვეულია განცხადების წარდგენის ვადა ან საკითხი არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას. საერთო კრების დღის წესრიგში შესატანი ცვლილების, აგრეთვე აქციონერის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების პროექტის მიმართ შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება გამოქვეყნების შესახებ ამ კანონის 189-ე მუხლით დადგენილი წესები.
5. საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ აქციონერთა განცხადებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. შესაბამისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას.
6. საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

საერთო კრება აქციონერთა ძირითადი და პრაქტიკულად ერთადერთი შესაძლებლობაა, უშუალო მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მართვაში და დაიცვან საკუთარი ინვესტიცია. შესაბამისად, კანონის 191-ე მუხლი ითვალისწინებს აქციონერის უფლებას, დაამატოს დღის წესრიგის საკითხები და წარმოადგინოს მისაღები გადაწყვეტილების პროექტები.

ჩვეულებრივ, საერთო კრება უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი დღის წესრიგით: (I) მისასალმებელი სიტყვა; (II) წლიური ანგარიშების განხილვა; (III) წლიური ანგარიშის მიღება; (IV) წლიური ბალანსის განხილვა; წლიური ბალანსის მიღება; (V) აუდიტორების არჩევა; (VI) პირების არჩევა კომპეტენციის ფარგლებში; (VII) შუამდგომლობები (თუ ისინი არ ეხება ზემოაღნიშნულ საკითხებს); (VIII) სხვა დამატებითი საკითხები; (IX) შემაჯამებელი სიტყვები.

დღის წესრიგში საკითხების დამატებისა და მისაღები გადაწყვეტილების პროექტების წარდგენის უფლებით აღჭურვილია კაპიტალის, სულ მცირე, 5%-ის მფლობელი აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი. აქციონერმა ამ უფლების რეალიზებისათვის წერილობითი ფორმით, სულ მცირე, 14 დღით ადრე უნდა მიმართოს კრების მოწვევის უზრუნველმყოფ ორგანოს. მიმართვის შემდგომ აქციონერს უფლება აქვს, მოითხოვოს ან თავად წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტები და დასაბუთება.

კანონის მიხედვით, იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომლის ფასიანი ქაღალდებიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების დღის წესრიგს დაერთვის აქციონერების მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტები. თუ აქციონერის მიერ წარდგენილია აღნიშნული დოკუმენტაცია, მაშინ ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, სააღრიცხვო დღემდე მიანოდოს აქციონერებს განახლებული დღის წესრიგი. თუ განახლებული დღის წესრიგის მიწოდების ვალდებულება წარმოიშობა სააღრიცხვო დღის შემდგომ, მისი მიწოდება უნდა მოხდეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება მიეცეთ, დანიშნონ წარმომადგენელი ან ხმა მისცენ წერილობით.

აქციონერებისათვის საკუთარი ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, ცალკეული ორგანოების დაკომპლექტების შესაძლებლობაა. ამასთანავე, ამ ორგანოს დაკომპლექტების პროცესმა არ უნდა მიიღოს ქაოსური სახე, რათა სააქციო საზოგადოება დროულად აღიჭურვოს კორპორაციული მართვის შესაბამისი ორგანოთი და განაგრძოს ფუნქციონირება. შესაბამისად, კანონის მიხედვით, ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ ცოტა, 5%-ის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოში, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელ ორგანოში ასარჩევი კანდიდატურები, თუ რიგგარეშე კრების ჩატარების დღემდე, სულ ცოტა,

14 დღით ადრე ხელმძღვანელ ორგანოს წარუდგენს განაცხადს ამის თაობაზე. წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს წევრობის კანდიდატებისათვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში კრების დღის წესრიგში შეიტანოს აქციონერის მიერ შემოთავაზებული საკითხი. ამ წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც დარღვეულია განცხადების შეტანის ვადა, ან საკითხი არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას. დღის წესრიგის ცვლილებაზე, ისევე, როგორც აქციონერის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების პროექტზე მოქმედებს 189-ე მუხლის წესები გამოქვეყნების შესახებ.

კორპორაციულ მართვაში კრიზისის შექმნის თავიდან აცილებისთვის კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას, ხელმძღვანელი ორგანოს უარი დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია, განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს გამოქვეყნების გზით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში აქციონერის ინტერესების დასაცავად სააქციო საზოგადოებას ეკისრება სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

კანონი იცავს იმ აქციონერთა ინტერესებსაც, რომლებიც ვერ მონაწილეობენ აქციონერთა საერთო კრებაში. კერძოდ, კანონი ბათილად აცხადებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულ იქნა ისეთ საკითხზე, რომელიც არ იყო მითითებული საერთო კრების დღის წესრიგში. აღნიშნული დანაწესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც კრებას დაესწრო ყველა აქციონერი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დღის წესრიგის შეცვლის თაობაზე.

მუხლი 192. საერთო კრების მონაწილე აქციონერები

1. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც საერთო კრების სააღრიცხვო დღისთვის აქციებზე საკუთრების უფლება ჰქონდათ.
2. საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. ამ კანონის 189-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.
3. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სია უნდა შეიცავდეს უფლებამოსილი პირების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ მონაცემებს, აქციათა და პარტნიორთა კატეგორიებს, ხმათა რაოდენობასა და მისამართებს, რომლებზედაც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის შესახებ.

4. აქციონერს უფლება აქვს, სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა. აქციონერის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საერთო კრების მოწვევის პროცედურის არსებით დარღვევად მიიჩნევა.
5. აქციონერის სტატუსის დადასტურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ აქციონერის იდენტიფიცირებისთვის და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც პროპორციულია ამ მიზნის მისაღწევად.
6. აქციონერის უფლება, გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი წილი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სააღრიცხვო თარიღს/დღეს და საერთო კრების მოწვევის თარიღს შორის პერიოდში, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვას, რომელიც, ჩვეულებრივ, არ იმოქმედებდა მის მიმართ.
7. საერთო კრების მონაწილეთა სიის სისწორისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების მომწვევ ორგანოს.

სააქციო საზოგადოების აქციონერთა სტრუქტურა, განსაკუთრებით იმ სააქციო საზოგადოებებში, რომელთა აქციებიც ღია ბაზარზე ივაჭრება, მუდმივად იცვლება. აქედან გამომდინარე, საერთო კრების მოწვევამდე მნიშვნელოვანია დაზუსტდეს იმ აქციონერთა წრე, რომლებიც მიიღებენ საერთო კრებაში მონაწილეობას. სწორედ სააქციო საზოგადოების საერთო კრებაში მონაწილეთა განსაზღვრას ეთმობა კანონის 192-ე მუხლი. კერძოდ, წინამდებარე მუხლის ფარგლებში მონესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორცაა: საერთო კრების სააღრიცხვო დღე, საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სია, მისი ფორმირება და სიის სისწორეზე პასუხისმგებლობა.

მუხლის პირველი და მეორე პუნქტები შეეხება საერთო კრების სააღრიცხვო დღის განსაზღვრის საკითხს. კერძოდ, კანონის მიხედვით საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ კრების სააღრიცხვო დღისათვის. სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს კრების ჩატარებამდე 30 დღეზე ადრე.

ამასთანავე, საერთო კრების მოწვევის საერთო პროცედურები არ ვრცელდება იმ საერთო კრებაზე, რომელიც მოიწვევა პირველი მოწვევით ჩასატარებელი საერთო კრებისათვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის ვადები შემჭიდროებულია და, შესაბამისად, ზემოაღნიშნული 30-დღიანი ვადა შემცირებულია 6 დღემდე.

სააღრიცხვო დღის არსებობა არ უკრძალავს აქციონერს, სააღრიცხვო დღესა და კრების მოწვევას შორის არსებულ პერიოდში განკარგოს აქციები. აქციონერის უფლება, ამ პერიოდში გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი აქცი-

ები, შეიძლება მხოლოდ იმ შეზღუდვებს დაექვემდებაროს, რომლებიც წესდებით ზოგადად მოქმედებს ამგვარი აქციების მიმართ და არ არის დაკავშირებული უშუალოდ სააღრიცხვო დღესთან.

სააღრიცხვო დღის განსაზღვრა კრების ჩატარების თარიღამდე არაუადრეს 30 დღისა, ერთი მხრივ, საერთო კრების თარიღისთვის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე აქციონერების მაქსიმალურად ზუსტი სიის შედგენას, ხოლო მეორე მხრივ, აქციონერებისათვის შესაძლებლობის მიცემას ისახავს მიზნად, რათა მათ უზუსტობის შემთხვევაში მოითხოვონ კრებაში მონაწილეობის უფლების დადასტურება. აქედან გამომდინარე, კანონის წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტი ეთმობა იმ მონაცემებს, რომელთაც უნდა შეიცავდეს სააღრიცხვო დღისათვის განსაზღვრული კრებაში მონაწილე პირთა ის სია, რომლის სისწორეზე პასუხისმგებლობაც კრების მომწვევ ორგანოს ეკისრება. კერძოდ, სია უნდა შეიცავდეს პირების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ მონაცემებს, აქციათა რაოდენობასა და კატეგორიას, ხმათა რაოდენობასა და მისამართს, რომელზეც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის შესახებ. ამასთანავე, თითოეულ აქციონერს ენიჭება უფლება, სააქციო საზოგადოებისაგან მოითხოვოს კრების მონაწილეთა სიაში შეყვანისა და მისი კუთვნილი აქციებისა და ხმათა რაოდენობის დადასტურების გაცემა. აქციონერის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა ითვლება კრების მოწვევის პროცედურის დარღვევად, რაც პირდაპირ გავლენას იქონიებს საერთო კრების გადანყვეტილების ბათილობაზე.

ამასთანავე, აქციონერს გადაჭარბებული მოთხოვნების შედეგად, არ უნდა გაურთულდეს საერთო კრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, კანონი ადგენს ვალდებულებას, რომ აქციონერის სტატუსის დადასტურება იყოს მხოლოდ ისეთი მოთხოვნის საგანი, რაც საჭიროა აქციონერის იდენტიფიცირებისთვის და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც პროპორციულია ამ მიზნის მისაღწევად.

მუხლი 193. საერთო კრებაში მონაწილეობა

1. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.
2. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად. ამასთანავე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულმა ანგარიშვალდებულმა სანარმომ, რომლის ფასიანი ქაღალდები

სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, აქციონერებს თავად ან მესამე პირის მეშვეობით უნდა შესთავაზოს შეტყობინების სულ მცირე 1 ეფექტიანი ელექტრონული საშუალება.

3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.
4. წარმომადგენელს აქვს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლისა და შეკითხვების დასმის იგივე უფლებები, რომლებიც მის მიერ წარმოდგენილ აქციონერს ექნებოდა.
5. დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.
6. წარმომადგენელი ვალდებულია გაამჟღავნოს აქციონერების მიერ იმ რისკის შესაფასებლად საჭირო ფაქტები, რომ წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს არა აქციონერის, არამედ სხვა პირის ინტერესები.
7. წარმომადგენელსა და აქციონერს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ წარმომადგენელი არის:
 - ა) სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერი ან სხვა სამენარმეო საზოგადოება, რომელსაც ასეთი აქციონერი აკონტროლებს;
 - ბ) სააქციო საზოგადოების ან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამენარმეო საზოგადოების მმართველობითი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
 - გ) სააქციო საზოგადოების ან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამენარმეო საზოგადოების აუდიტორი ან დასაქმებული;
 - დ) ამ პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ფიზიკური პირის ოჯახის წევრი.
8. წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად.
9. თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს, სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.
10. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტაზე ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტი.
11. ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების მუშაობაში.

12. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე თითო წევრს უნდა მიეცეს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

განვითარებული კაპიტალის ბაზრის პირობებში სააქციო საზოგადოება ფინანსური რესურსების საერთო სამენარმეო მიზნებისთვის მობილიზების ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი. ამ ფორმის საზოგადოებაში ინვესტირების მიმართ ინტერესს თანაბრად იჩენენ როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური ინვესტორები. ასეთ პირობებში, როდესაც ინვესტორს მნიშვნელოვნად აქვს დივერსიფიცირებული საკუთარი ინვესტიციები სხვადასხვა საზოგადოებაში, აუცილებელი ხდება მისთვის კორპორაციულ მართვაში მონაწილეობის მოქნილი მექანიზმების შეთავაზება. სწორედ საერთო კრებაში მონაწილეობის საკითხებს შეეხება კანონის 193-ე მუხლი. წინამდებარე მუხლი აწესრიგებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა: ხმის მიცემა წარმომადგენლის მეშვეობით, ინტერესთა კონფლიქტი, ხმის მიცემის ინსტრუქცია, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობა და შეწყვეტა, საერთო კრებაში ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მონაწილეობის ფარგლები.

კანონის მიხედვით, საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლებას აქციონერი ახორციელებს როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. ეს ჩანაწერი ემსახურება ე.წ. Voting by Proxy-ის ქართულ კანონმდებლობაში დანერგვას. ინვესტორთა დიდი ნაწილი, ნაცვლად საერთო კრებაში უშუალო მონაწილეობისა, უპირატესობას ანიჭებს პროფესიონალის დაქირავებას, რომელიც მათ ნაცვლად და სპეციალურ ცოდნაზე დაყრდნობით განახორციელებს ხმის მიცემას. აქციონერის წარმომადგენელს აქვს საერთო კრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ის უფლება, რაც წარმოდგენილ აქციონერს ექნებოდა. კანონი კრძალავს წარმომადგენლის მეშვეობით აქციონერის უფლებების განხორციელების რაიმე ფორმით შეზღუდვას. ამ წესიდან კი ერთადერთი გამონაკლისია წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.

წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონული ფორმით, მათ შორის, ელექტრონული პორტალის მეშვეობით. ამასთან, ის სააქციო საზოგადოება, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, თავად ან მესამე პირის მეშვეობით, აქციონერებს უნდა სთავაზობდეს ელექტრონული საშუალებებით შეტყობინების, სულ მცირე, ერთ ეფექტურ საშუალებას.

სააქციო საზოგადოების წლიური საერთო კრება არის კორპორაციულ მართვაში აქციონერების პირდაპირი მონაწილეობის უმთავრესი ინსტრუმენტი.

განსაკუთრებით დიდ სააქციო საზოგადოებებში, როგორც წესი, ეს არის ის ერთადერთი ფორუმი, სადაც აქციონერებს ეძლევათ შესაძლებლობა, ტოპმენეჯმენტის უშუალო ჩართულობით განსაზღვროს საზოგადოების განვითარების სტრატეგია და პირდაპირი კონტროლი გაუწიონ კორპორაციული მართვის სხვა ორგანოების საქმიანობას. შესაბამისად, ამგვარი ბალანსის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით კანონი ზღუდავს ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, როგორც აქციონერთა წარმომადგენლის, მონაწილეობას საერთო კრებაში.

კანონი წარმომადგენელს ავალდებულებს, გაამჟღავნოს ყველა ის ფაქტი, რამაც პოტენციურად შეძლება მისი საქმიანობის კეთილსინდისიერად შესრულების შესაძლებლობა შეზღუდოს. ასეთი წინაპირობები კი დეტალურად ჩამოთვლილია წინამდებარე მუხლის მე-7 პუნქტში. ეს შემთხვევები, ძირითადად, უკავშირდება საზოგადოებაში პირდაპირ ან არაპირდაპირ კაპიტალის ფლობას, მენეჯმენტში მონაწილეობის მიღებას ან მენეჯმენტზე ზედამხედველობის კომპეტენციას, ასევე, ზემოთ ჩამოთვლილ პირთა ოჯახის წევრობას.

წარმომადგენელი ხმის მიცემის პროცესში შეზღუდულია აქციონერის მიერ გაცემული ინსტრუქციებით. ასეთმა მითითებამ შესაძლებელია, პირდაპირ დაავალდებულოს წარმომადგენელი, მხარი დაუჭიროს კონკრეტულ საკითხს ან ხმა მისცეს წინააღმდეგ. ამასთანავე, ერთსა და იმავე წარმომადგენელს, ვინაიდან ის მოქმედებს სხვისი სახელით და სხვისივე ინტერესების სასარგებლოდ, უფლება ენიჭება, სხვადასხვა წარმოდგენილი პირის ხმა სხვადასხვაგვარად გადაანაწილოს.

საერთო კრების მეშვეობით არა მხოლოდ ის საკითხები წყდება, რომლებიც შემდგომში მენეჯმენტის შესასრულებელია, არამედ ეს საკითხები შესაძლებელია, უშუალოდ უკავშირდებოდეს ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას. შესაბამისად, ყველა დაკავშირებული მხარის მონაწილეობის, მათ შორის, ამ პირთა მოსაზრებათა მოსმენისა და ამ გზით ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიღწევის მიზნით, კანონი ითვალისწინებს ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების მუშაობაში. მათ შორის, სულ ცოტა, ერთ წევრს მაინც უნდა მიეცეს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

მუხლი 194. საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმები

- 1. წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადანყვეტილებით შესაძლებელია საერთო კრებას მონაწილეები არა მხოლოდ უშუალოდ ესწრებოდნენ, არამედ ამ ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.**

2. წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს აქციონერის მიერ ხმის მიცემა საერთო კრებაზე დაუსწრებლად, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით აქციონერმა ხმა შეიძლება მისცეს წერილობით/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საერთო კრების დაწყებამდე ან საერთო კრების მიმდინარეობისას.
3. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.
4. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო- და აუდიოტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ინვესტორებს სულ უფრო უადვილდებათ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ინვესტიციის განხორციელება. შესაბამისად, ნებისმიერი კორპორაცია უნდა ცდილობდეს შექმნას ინვესტორებისათვის თავისი უფლების დაცვის მაქსიმალურად ეფექტიანი შესაძლებლობები. ინვესტორთა დაცვისათვის მნიშვნელოვანია, შექმნას საერთო კრებაში მონაწილეობის ეფექტიანი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული შესაძლებლობები.

სააქციო საზოგადოების გადაწყვეტილებებზე აქციონერის ზეგავლენის შესაძლებლობათა სახეებიდან (ხმის უფლება, გადაწყვეტილების გასაჩივრება, ინვესტიციიდან გასვლა) ხმის უფლების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობა, როგორც ინვესტორის, ისე საზოგადოებისთვის ყველაზე მომგებიანია, ვინაიდან, ის ნაკლებ დანახარჯებს უკავშირდება (მაგალითად, დავის წარმოშობის ან აქციის გაყიდვის შემთხვევაში, აქციების გაზრდილმა მიწოდებამ, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს აქციის ფასზე შემცირების მიმართულებით). ამის გათვალისწინებით, კანონის 194-ე მუხლში მკაფიოდაა მონესრიგებული საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმები. კერძოდ, წინამდებარე მუხლის ფარგლებში მონესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საერთო კრების ჩატარების ფორმა, ხმის მიცემა ელექტრონული ფორმით, საერთო

კრების აუდიოვიზუალური ტრანსლირება და აქციონერის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ელექტრონული ფორმით მიმართოს საერთო კრებას.

სააქციო საზოგადოების წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით საერთო კრება, მონაწილეთა ფიზიკური დასწრების ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად, შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებათა გამოყენებით. ასეთი ელექტრონული ფორმა, რა თქმა უნდა, უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული აქციონერის იდენტიფიცირებას და ახდენდეს მანიპულირების შესაძლებლობის გამორიცხვას.

გარდა საერთო კრების ელექტრონული ფორმით ჩატარებისა, კანონი ითვალისწინებს წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით საერთო კრებაზე ფიზიკური დასწრების გარეშე ხმის მიცემის შესაძლებლობის განსაზღვრას. ამასთანავე, სიტყვები „მათ შორის, ელექტრონული საშუალებით“ მიანიშნებს, რომ საერთო კრებაზე ხმის მიცემა შესაძლებელია ნებისმიერი ობიექტური ფორმით, მაგალითად: წერილობით, ელ. ფოსტის, ტელეფონის ან ინტერნეტის საშუალებით. აქციონერის მიერ ხმის მიცემა ამ ფორმით შესაძლებელია, როგორც საერთო კრებამდე, ისე საერთო კრების მიმდინარეობისას. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებათა გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.

ხმის მიცემის უფლება არ არის საერთო კრებაში აქციონერის მონაწილეობის ერთადერთი ინსტრუმენტი. აქციონერისთვის, ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვით გამოსვლის უფლებას. შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას, წესდებით პირდაპირ ასეთის გათვალისწინების შემთხვევაში, ხელმძღვანელმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება საერთო კრების ვიდეო- და აუდიოტრანსლირების თაობაზე. საერთო კრების ვიდეო- და აუდიოტრანსლირების შემთხვევაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია და აქციონერებს მიეცეთ შესაძლებლობა, დისტანციურად მიმართონ საერთო კრებას.

მუხლი 195. ხმათა უმრავლესობის პრინციპი და წესდებაში/საადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანა

1. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ამ კანონით ან წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.

2. კენჭისყრა შეიძლება აქციათა კლასების მიხედვით ცალ-ცალკე ჩატარდეს.
3. წესდებაში/სადამფუძნებლო შეთანხმებაში შესატანი ცვლილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.

საერთო კრება, როგორც კოლექტიური ორგანო, გადაწყვეტილებას იღებს მასზე განხილული საკითხის უმრავლესობის მიერ მხარდაჭერის გზით. ამასთან, საყურადღებოა, რომ ეს უმრავლესობა დაითვლება კენჭისყრაში და არა საერთო კრებაში მონაწილე პირებიდან. ამასთანავე, სამეწარმეო საზოგადოებას თავად შეუძლია წესდებით დაადგინოს კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად უფრო მაღალი უმრავლესობა. აქედან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც სავაჭრო ძალაუფლების გათანაბრებისათვის, მაგალითად მინორიტარი აქციონერის დასაცავად, კანონითვე დგინდება უფრო მაღალი უმრავლესობა. მაგალითისათვის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მიეთითება, რომ წესდების ცვლილება მიღებულ უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, თუ წესდებით უფრო მაღალი უმრავლესობა არ არის გათვალისწინებული.

ამასთანავე, ცალკეულ საკითხებზე კენჭისყრა შეიძლება ინდივიდუალურად გაიმართოს თითოეული კლასის აქციისათვის. ამასთანავე, მეორე პუნქტის ერთი შეხედვით დისკრეციული სიტყვათწყობა (კერძოდ სიტყვა „შეიძლება“) არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ კანონის იმპერატიული ნორმა იძლევა დისკრეციას ინდივიდუალურ შემთხვევებში ასეთ კენჭისყრაზე შეიძლება უარი იქნას ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ წესდება ან კანონის სხვა მუხლები ითვალისწინებს ცალ-ცალკე კენჭისყრის ვალდებულებას. აღნიშნული პუნქტის მიზანი სხვაა. კერძოდ, ის ერთი მხრივ, ქმნის ასეთი წესდებით გათვალისწინების შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი გამორიცხავს წინააღმდეგობას კანონის იმ სპეციალურ ნორმებთან, სადაც სხვადასხვა კლასის აქციონერებისათვის ცალ-ცალკე კენჭისყრის ვალდებულების არსებობაზე მითითებაა (მაგალითად 169-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

მუხლი 196. აქციონერის ხმის უფლება

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.
2. აქციონერის ხმის უფლება წარმოიშობა აქციის სანაცვლოდ შენატანის სრულად განხორციელების მომენტიდან, თუ წესდებით დადგენილი არ

არის ხმის უფლების წარმოშობა შენატანის ნაწილობრივ განხორციელების შემთხვევისთვის. ამ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციათა რეესტრის მწარმოებელ პირს მიაწოდოს ინფორმაცია შენატანის განთავსებულ აქციათა სანაცვლოდ განხორციელების შესახებ.

კანონის 196-ე მუხლით მოწესრიგებულია საერთო კრებაში აქციონერის ხმის უფლების განსაზღვრის წესი. კერძოდ, აქციონერის ხმის უფლების მოცულობა დაანგარიშდება აქციათა რაოდენობის მიხედვით.

აქციონერს ხმის უფლება ენიჭება შესატანის სრულად შეტანის მომენტიდან. აღნიშნულს ორი ძირითადი მიზეზი აქვს: უპირველეს ყოვლისა, სააქციო საზოგადოების საერთო კრება არის კორპორაციულ მართვაში აქციონერების პირდაპირი მონაწილეობის და თავისი ინვესტიციის დაცვის უმთავრესი ინსტრუმენტი. შესაბამისად, თუ ინვესტიცია არ არის განხორციელებული, არც მისი დაცვის ინსტრუმენტის არსებობაა საჭირო; მეორე, ხმის უფლების მიუნიჭებლობა არის რეპრესიული მექანიზმი, რომელიც აქციონერს უბიძგებს ნაკისრი შესატანის სრულად შეტანისაკენ. თუმცა საზოგადოების წესდება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შენატანის ნაწილობრივ განხორციელების შემთხვევაში ხმის უფლების მინიჭების შესაძლებლობასაც.

მუხლი 197. ხმის უფლების დამოუკიდებლად განხორციელება

1. ბათილია ხელშეკრულება ან წესდების ჩანაწერი, რომლითაც აქციონერს ევალება ხმის უფლების სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მითითებით განხორციელება.
2. ბათილია შეთანხმება, რომელიც ზოგადად ავალდებულებს აქციონერს, ხმის უფლება სააქციო საზოგადოების ორგანოთა მითითებების შესაბამისად გამოიყენოს.
3. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის სააქციო საზოგადოების მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.

აქციონერის მიერ ხმის დამოუკიდებლად მიცემის პრინციპი საკორპორაციო სამართლის უზოგადესი პრინციპია. ეს პრინციპი იცავს არა მხოლოდ აქციონერის უფლებას, არამედ უზრუნველყოფს სააქციო საზოგადოების ორგანოებს

შორის ძალაუფლების დანაწილების გზით ბალანსის მიღწევას, რამაც უნდა შექმნას საზოგადოების ეფექტიანი კორპორაციული მართვა. კანონის 197-ე მუხლის მიხედვით, ბათილია ხელშეკრულება ან წესდების ჩანაწერი, რომლითაც აქციონერს ეკისრება ხმის უფლების განხორციელება ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მითითების საფუძველზე. მეტიც, გარდა კორპორაციული მართვის ამ ორი ძირითადი ორგანოსი, კანონი კრძალავს ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც ზოგადად ავალდებულებს აქციონერს, ხმის უფლება გამოიყენოს სააქციო საზოგადოების სხვა ნებისმიერ ორგანოს მითითებების შესაბამისად.

აქციონერის ხმის უფლება არ განეკუთვნება აქციონერის აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. იგი შეიძლება, შეიზღუდოს ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია სააქციო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებისათვის. სწორედ აღნიშნულს უზრუნველყოფს კანონის წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, აქციონერს არ გააჩნია ხმის უფლება, თუ საზოგადოების საერთო კრება იხილავს მის მიმართ მოთხოვნის წაყენების, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ან აღნიშნულ პირთან სხვაგვარად დაკავშირებულ საკითხს.

მუხლი 198. საერთო კრების მიმდინარეობა

1. საერთო კრება მიმდინარეობს ამ კანონით ან წესდებით დადგენილი წესით.
2. საერთო კრებას თავმჯდომარეობს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე. მათი არყოფნისას საერთო კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. წესდება შეიძლება ადგენდეს საერთო კრების თავმჯდომარის განსაზღვრის სხვა წესს.
3. საერთო კრების გახსნამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია. აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, კვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.
4. კენჭისყრის ფორმა შეიძლება დადგინდეს წესდებით. თუ წესდება კენჭისყრის ფორმას არ ადგენს, მას განსაზღვრავს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. საერთო კრებაზე კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3/4-ით შეიძლება განისაზღვროს წესდებით დადგენილი კენჭისყრის ფორმისგან განსხვავებული კენჭისყრის ფორმა.

5. საერთო კრების თავმჯდომარემ საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უნდა მისცეს მისი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისას სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.
6. კენჭისყრის შედეგები ცხადდება საერთო კრებაზე.

სააქციო საზოგადოების საერთო კრების მსვლელობის პროცედურა, უმეტესწილად, შიდა კორპორაციული საკითხია. აქედან გამონაკლისი შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საკითხის იმპერატიული მონესრიგება აუცილებელია აქციონერების დასაცავად, თანაბარი სავაჭრო ძალაუფლების შესაქმნელად და ამ გზით წარმომადგენლობითი ხარჯების შესამცირებლად. სწორედ ამ მიზეზებით, კანონის მე-198 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს საერთო კრების მსვლელობის რეგულირების ორ წყაროზე: კანონსა და წესდებაზე.

მე-198 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საერთო კრების თავმჯდომარეობა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კომპეტენციას მიეკუთვნება, ხოლო მონისტური კორპორაციული მართვის სისტემაში საერთო კრებას თავმჯდომარეობს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე. ამ პირის არყოფნის შემთხვევაში კრების თავმჯდომარის შერჩევა ხდება თავად საერთო კრების მიერ ხმათა უმრავლესობით. ეს საკითხი კანონში დისპოზიციურად რეგულირდება და წესდებით აქციონერები სარგებლობენ საერთო კრების თავმჯდომარის შერჩევის პროცედურის სხვაგვარად განსაზღვრის უფლებამოსილებით.

საერთო კრების გახსნამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია. აქციონერი, რომელმაც არ გაიარა რეგისტრაცია, კვორუმის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება და მას უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. კენჭისყრის პროცედურის ტექნიკური საშუალებებით ჩატარების შესაძლებლობა არ აქვს ყველა სააქციო საზოგადოებას, ხოლო კენჭისყრის ფარულობა ყოველთვის შეიძლება არ იყოს სააქციო საზოგადოების ინტერესი. სწორედ ამიტომ, კანონის მიხედვით, კენჭისყრის ფორმა განისაზღვრება წესდებით. თუ წესდებით ასეთი ფორმა არ არის დადგენილი, მაშინ კენჭისყრის ფორმა უნდა განსაზღვროს საერთო კრებამ. ამასთანავე, კენჭისყრაში მონაწილე პირთა $\frac{3}{4}$ -ს შეუძლია შეცვალოს წესდებით განსაზღვრული კენჭისყრის ფორმა, წესდების ცვლილების გარეშე. ასეთი გადაწყვეტილება იმოქმედებს იმ საერთო კრებაზე, რომელზეც ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

აქციონერის ხმის უფლებისაგან განსხვავებით, სიტყვით გამოსვლის უფლება აქციონერის აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ აქციონერს შეიძლება შეზღუდული ჰქონდეს ხმის უფლება, დაუშვებელია საერთო კრების ფარგლებში დღის წესრიგით გათვალისწინებულ

საკითხებზე სიტყვით გამოსვლის უფლების შეზღუდვა. ამ უფლებას იმპერატიულად განსაზღვრავს კანონის წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტი.

ის აქციონერები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საერთო კრებაში, ხშირად ითხოვენ მათ მიერ მიცემული ხმის სწორად დაფიქსირების დაზუსტებას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხმის უფლების მიცემა ხდება წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს კენჭისყრის შედეგების გამოცხადების ვალდებულებას. აღნიშნული მიზანშეწონილია განხორციელდეს თითოეული კენჭისყრის შემდგომ ხმის უფლების გამოყენების შესახებ ინფორმაციის წაკითხვით ან, სათანადო ტექნიკური საშუალებების არსებობის შემთხვევაში, ეკრანზე ჩვენებით (აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ არ იქნეს დარღვეული კენჭისყრის ფარულობა).

მუხლი 199. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და ხელმძღვანელი პირის არჩევა ხმების აკუმულირების მეთოდით

წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან საერთო კრების გადანყვეტილებით სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და ხელმძღვანელი პირის ასარჩევად გამოიყენება ხმების აკუმულირების მეთოდი, რომლის მიხედვით:

- ა) აქციონერი თავის ყველა ხმას ანაწილებს ნებისმიერი რაოდენობის კანდიდატებზე, ისე, რომ კენჭისყრაში მონაწილეობისას მის ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა საერთო რაოდენობას;
- ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს კანდიდატს;
- გ) თუ კანდიდატების რაოდენობა ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ყველა ის კანდიდატი, რომელმაც თუნდაც 1 ხმა მიიღო, არჩეულად მიიჩნევა. თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობას, არჩეულად მიიჩნევიან ის კანდიდატები, რომლებმაც კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა მიიღეს.

ხმების აკუმულირების მეთოდი – ესაა ხმის მიცემის სისტემა, რომელიც აქციონერს აძლევს შესაძლებლობას, გადაანაწილოს თავისი ხმები დღის წესრიგის ერთსა და იმავე საკითხში შემავალ სხვადასხვა ალტერნატივაზე. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული სისტემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება რამდენიმე კანდიდატის შერჩევა და აქციონერს აქვს ერთზე მეტი ხმა. ხმების აკუმულირების მეთოდით ხმის მიცემის უფლება თანაბრად სასარგებლოა რო-

გორც მინორიტარი, ისე მაჟორიტარი აქციონერისათვის. კერძოდ, მაჟორიტარ აქციონერს აქვს შესაძლებლობა, თავისი ხმები გადაანაწილოს რამდენიმე კანდიდატზე და ხელი შეუწყოს შესაბამისი ორგანოს თავისთვის სასურველი კანდიდატებით დაკომპლექტებას. მინორიტარ აქციონერებს ხმების აკუმულირების მეთოდით ეძლევათ შესაძლებლობა, მაჟორიტარი აქციონერის მიერ გადაწინაწინილებული ხმების პირობებში, თავიანთი ხმების კონცენტრირება მოახდინონ ერთ კანდიდატზე და უზრუნველყონ მისი გაყვანა.

წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან საერთო კრების გადანყვებილებით სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს წევრების ასარჩევად გამოიყენება ხმების აკუმულირების მეთოდი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ყოველი აქციონერი აწინაწინებს თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე იმ პირობით, რომ მის მიერ კენჭისყრაში მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას.

ზემოაღნიშნულ დათქმასთან ერთად კანონი ითვალისწინებს ხმის მიცემის უფლების გამოყენების მეთოდთან დაკავშირებით შეზღუდვასაც. კერძოდ, ხმის უფლების მქონე აქციონერს არ აქვს უფლება, საკუთარი ხმა გამოიყენოს კანდიდატის წინააღმდეგ.

წინამდებარე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი აწესრიგებს კანდიდატის არჩევის წესს. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატების რაოდენობა ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, არჩეულად ითვლება. თავისუფლად დარჩენილი პოზიციების მიმართ შერჩევის პროცესი ხელახლა უნდა ჩატარდეს. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა დადგენილ რაოდენობას, არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობა.

მუხლი 200. საერთო კრების ოქმი

1. საერთო კრების დამთავრებიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შედგეს საერთო კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე. თუ საერთო კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსიც. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული სანარმოს შემთხვევაში, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი და მას ხელს აწერენ ნოტარიუსი და საერთო კრების თავმჯდომარე.

2. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:
 - ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება;
 - ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;
 - გ) ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობა;
 - დ) საერთო კრებაში მონაწილე ან საერთო კრებაზე წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე აქციების რაოდენობა;
 - ე) საერთო კრების ჩატარების ფორმა, ხმის მიცემის ფორმა და მიღებული გადაწყვეტილებები საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რიგითობის მიხედვით;
 - ვ) ყოველი გადაწყვეტილებისთვის – იმ აქციების რაოდენობა, რომლებიდან გამომდინარეც მართლზომიერად იყო ხმები მიცემული, ამ ხმებით წარმოდგენილი წილი განთავსებულ კაპიტალში, ხმების საერთო რაოდენობა, როგორც გადაწყვეტილების სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობა და მათი რაოდენობა, ვინც ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.
3. საერთო კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევის დამადასტურებელი ყველა საბუთი.

საერთო კრების ოქმი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აღწერს საერთო კრების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას. ჩანაწერი ხორციელდება საზოგადოების წიგნში, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მეხსიერებითი და მტკიცებულებითი მნიშვნელობა შემდგომი გაუგებრობებისა და დავების თავიდან ასაცილებლად. კანონის ფარგლებში საერთო კრების ოქმთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია მე-200 მუხლში. წინამდებარე მუხლი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კრების ოქმის მომზადება, შინაარსი და კრების ოქმის დანართი დოკუმენტები.

კანონის მიხედვით, საერთო კრების ოქმის მომზადების ბოლო ვადაა საერთო კრების დამთავრებიდან 15 დღე. საერთო კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევის ყველა საბუთი. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული სანარმოს შემთხვევაში, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე და იმ სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, რომელიც თავისი აქციებით არ ვაჭრობს საფონდო ბირჟაზე, განსხვავებულია კრების ოქმის შედგენისა და ხელმოწერის სტანდარტები. კერძოდ, ზოგადად სააქციო საზოგადოებაში საერთო კრების ოქმს ამზადებს სხდომის მდივანი და მას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. ამასთან, თუ კრებას ესწრება ნოტარიუსი, მაშინ, კრების ოქმს ხელი უნდა მოაწეროს ნოტარიუსმაც. იმ ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოების შემთხვევაში კი, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ

არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, განისაზღვრება უფრო მაღალი სტანდარტები. კერძოდ, საერთო კრების ოქმს შეადგენს ნოტარიუსი და ხელს მოაწერენ ნოტარიუსი და საერთო კრების თავმჯდომარე.

კანონის წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით დეტალურად განისაზღვრება საერთო კრების ოქმის ფორმალური და შინაარსობრივი ნაწილი და ამ გზით მკვიდრდება კრების ოქმის შედგენის ერთგვაროვანი პრაქტიკა.

მუხლი 201. კენჭისყრის შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება

იმ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე, რომელიც არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული სანარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კანონი ითვალისწინებს კრებაში მონაწილეობის და ხმის მიცემის მიმართულებით არაერთ ნოვაციას, მათ შორის, ხმის მიცემას წარმომადგენლის მეშვეობით და ხმის მიცემას ელექტრონული ფორმით. ამის უმთავრესი მიზანი აქციონერების ხარჯების შემცირება, საზოგადოების საქმიანობაზე გაადვილებული მეთვალყურეობა და ინვესტიციების ნახალისებაა. ამავდ მიზანს ემსახურება კანონის 201-ე მუხლიც.

განვითარებული კაპიტალის ბაზრის პირობებში ინვესტორი თავის დანაზოგს სხვადასხვა სააქციო საზოგადოებებში აბანდებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა, ინდივიდუალური მიმართვის გარეშე შეიმციროს ხარჯები და ხელი მიუწვდებოდეს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის კენჭისყრის შედეგებზე. ამის უზრუნველსაყოფად კანონის 201-ე მუხლით გათვალისწინებულია ვებგვერდის მეშვეობით კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების ვალდებულება იმ სააქციო საზოგადოების მიერ, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე. ასეთი გამოქვეყნება კი უნდა მოხდეს საერთო კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

მუხლი 202. აქციონერის უფლება ინფორმაციაზე

- 1. საერთო კრების მიმდინარეობისას საერთო კრების მონაწილე აქციონერს უფლება აქვს, მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხ-**

ებთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/ პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.

2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს.
3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ:
 - ა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;
 - ბ) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება;
 - გ) დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული.
4. თუ საერთო კრების დაწყებამდე სააქციო საზოგადოებამ თავისი ინიციატივით რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, მიაწოდა ინფორმაცია, იგივე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საერთო კრების მონაწილე ყველა სხვა აქციონერს, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად აუცილებელი არ არის.
5. ინფორმაციის მიწოდებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში.
6. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, აქციონერს მოთხოვნილი ინფორმაცია საერთო კრების გარეშეც მიეწოდება. სააქციო საზოგადოებამ იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.

სააქციო საზოგადოების გადაწყვეტილებებზე აქციონერი სამი მეთოდით ახდენს ზეგავლენას. ეს მეთოდებია: (1) ხმის უფლება, (2) საჩივარი ან (3) აქციონერის გაყიდვა. სამივე ამ უფლებით ეფექტიანად სარგებლობა პირდაპირაა დაკავშირებული აქციონერის ინფორმირებულობის ხარისხთან. მეტიც, აქციონერის ინფორმირებულობა უზრუნველყოფს აქციონერებსა და ხელმძღვანელ პირებს შორის სააქციო საზოგადოების შესახებ ინფორმაციის სიმეტრიულობას და ხელს უწყობს ეფექტიან კორპორაციულ მართვას. სწორედ ამ მიზეზით კანონის 202-ე მუხლი აქციონერისათვის ქმნის საერთო კრებაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნის ნორმატიულ საფუძველს. აღნიშ-

ნული მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: აქციონერის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება, ხელმძღვანელი ორგანოს ვალდებულებები აქციონერთა ინფორმირების კონტექსტში, ინფორმაციაზე უარის საფუძვლები, ინფორმაციით აქციონერების თანაბარი აღჭურვა და სასამართლო კონტროლი.

კანონის მიხედვით, აქციონერისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე ვალდებული სუბიექტი ხელმძღვანელი ორგანოა. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, კეთილსინდისიერად მიაწოდოს საზოგადოების კაპიტალში წილზე საკუთრების მქონე სუბიექტს შესაბამისი ინფორმაცია. გარდა ინფორმაციის წინასწარ მოთხოვნის უფლებისა, აქციონერს უშუალოდ საერთო კრების მსვლელობისასაც აქვს უფლება, დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ხელმძღვანელ ორგანოს დაუსვას შეკითხვები და მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის. კანონი ასევე ადგენს ხელმძღვანელი ორგანოს ვალდებულებას, მოთხოვნის შემთხვევაში უპასუხოს აქციონერს და სრულად მიაწოდოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია.

ინფორმაციით აქციონერის აღჭურვა სხვა ინტერესებს შორის, ასევე, ემსახურება აქციონერის გაძლიერების გზით კორპორაციულ მართვაში ბალანსის და, შესაბამისად, სააქციო საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის გაცემა არ უნდა მოხდეს ამ მიზანთან აცდენით. კერძოდ, აუცილებელია, ინფორმაციის გაცემა მოხდეს ინდივიდუალური აქციონერისა და სააქციო საზოგადოების ინტერესებს შორის ბალანსის მიღწევის გზით. ამ მიზნის მისაღწევად წინამდებარე მუხლშივეა დადგენილი ის გამონაკლისები, რომელთა არსებობისასაც ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ ორგანოს ენიჭება უფლება, უარი თქვას ინფორმაციის გაცემაზე. ასეთი შემთხვევებია: (1) ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი; (2) ამგვარი ინფორმაციის გაცემა გამოიწვევს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას. ასეთ დროს ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილმა სუბიექტმა უნდა იმოქმედოს თავისი საზოგადოების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. გარდა ამ წინა პირობებისა, საერთო კრების ეფექტური მსვლელობისათვის ხელშემშლის თავიდან აცილების მიზნით, ხელმძღვანელი ორგანო ასევე არ არის ვალდებული, გასცეს ინფორმაცია, თუ დასმულ შეკითხვაზე პასუხი კრების გამართვამდე და მისი მსვლელობისას გაცემულია სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით.

ინფორმაციის სიმეტრიულობა ნებისმიერ ტრანსაქციაში პოზიტიური ეკონომიკური შედეგის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელია. კანონი უზრუნველყოფს აქციონერებისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. კერძოდ, თუ საერთო კრების დაწყებამ-

დე რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოების მიერ და მისივე ინიციატივით მიენოდა ინფორმაცია, ასეთივე ინფორმაცია უნდა მიენოდოს საერთო კრების მონაწილე ყოველ აქციონერს. აღნიშნული მიზნებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, ეს ინფორმაცია არის აუცილებელი დღის წესრიგის საკითხის განსახილველად თუ არა

აქციონერისათვის ინფორმირების უფლებით დროულად სარგებლობის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინამდებარე მუხლშივეა შემოტანილი სასამართლო კონტროლის სპეციალური მექანიზმი. კერძოდ, უარი ინფორმაციის მიწოდებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, მოთხოვნილი ინფორმაცია აქციონერს მიენოდება საერთო კრების გარეშეც და სააქციო საზოგადოებამ იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.

მუხლი 203. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო

1. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო სააქციო საზოგადოებას მართავს საკუთარი პასუხისმგებლობით.
2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო თავისი ფუნქციების შესრულებისას ვალდებული არ არის შეასრულოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, საერთო კრების ან ცალკეული აქციონერების მითითებები. კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია გადაწყვეტილებები სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შეუთანხმოს.
3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია შეასრულოს საერთო კრებისა და სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.
4. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.
5. ყველა საკითხი, რომლებიც კანონით ან წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, განეკუთვნება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციას.

6. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრები სააქციო საზოგადოებას ერთობლივად ხელმძღვანელობენ. იგივე წესი მოქმედებს მართვის მონიტორინგის სისტემაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება 1 ხელმძღვანელ პირს აქვს გადაცემული.
7. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.
8. წესდებით ან კანონითა და წესდებით დადგენილ ფარგლებში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს დებულებით შეიძლება ისე განისაზღვროს ხელმძღვანელ პირებს შორის ფუნქციონირება განაწილება და მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული ხელმძღვანელი პირისთვის მინიმალური აუცილებელი ფუნქციის შენარჩუნება.
9. მართვის მონიტორინგის სისტემის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა წინააღმდეგ მიმდინარე დავაში, იმ წევრის გამოკლებით, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს დავა.

სააქციო საზოგადოება – ეს არის საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც აქვს საკუთარი წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების კაპიტალის ბაზარზე განთავსების შესაძლებლობა. ასეთი უნარი, თავის მხრივ, იწვევს აქციონერთა მკვეთრად დანაწევრებულ სტრუქტურას. ზოგადად, შეთანხმების მხარეთა სიმრავლე პირდაპირპროპორციულად აისახება ტრანსაქციული ხარჯების ზრდაზე. შესაბამისად, სააქციო საზოგადოების ეფექტიანი კორპორაციული მართვისათვის აუცილებელი ხდება ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების ერთი ან რამდენიმე პირის ხელში მოქცევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოებაში იქმნება კორპორაციული მართვის განცალკევებული ინსტრუმენტი – ხელმძღვანელი პირი, რომელიც უძღვება სააქციო საზოგადოების საქმიანობას. ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი პირების რაოდენობა ერთზე მეტია და ისინი ქმნიან კოლეგიურ ორგანოს – ხელმძღვანელ ორგანოს კანონის 203-ე მუხლი ეთმობა სწორედ ხელმძღვანელ ორგანოსთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების რეგულირებას. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პასუხისმგებლობა საწარმოს მართვისთვის, ფუნქციური დამოუკიდებლობა და მიმართება კორპორაციული მართვის სხვა ძირითად ორგანოებთან, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, საბჭოს წევრებს შორის უფლებათა დანაწილება და სასამართლო წარმომადგენლობა.

ჩვეულებრივ ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა რაოდენობა მერყეობს – 3-დან იწყება და შესაძლებელია რამდენიმე ათეულსაც კი შეადგენდეს. პირთა რაოდენობა დამოკიდებულია სააქციო საზოგადოების კაპიტალზე, საქმიანობის საგანსა და აქციონერთა სტრუქტურაზე. ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ერთობლივად ხელმძღვანელობენ სააქციო საზოგადოებას. აღნიშნულიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს მონისტური სისტემა, სადაც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეიძლება გადაცემული ჰქონდეს აღმასრულებელ ხელმძღვანელ პირს. კოლეგიურობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონით განისაზღვრება ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით მიღება, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი უმრავლესობა არ არის გათვალისწინებული.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრები აირჩევიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ორგანოებს შორის ვერტიკალის არსებობას. ხელმძღვანელი ორგანოს წევრები განცალკევებულად, თავისი პასუხისმგებლობით მართავენ სააქციო საზოგადოებას და ქმნიან კორპორაციული მართვის სუბიექტებს შორის ბალანსს. მეტიც, საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ყველაზე ფართო კომპეტენციის სუბიექტი, რომლის გამგებლობის სფეროსაც, გარდა მისთვის წინასწარ მინიჭებული კომპეტენციისა, დამატებით განეკუთვნება ყველა ის საკითხი, რომლებიც კანონით ან წესდებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას. თავისი ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელი ორგანო არ არის ვალდებული, შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს, საერთო კრების ან ცალკეული აქციონერის მითითებები, რაც უზრუნველყოფს ერთი მხრივ ამ ორგანოს დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ კი მის პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნულიდან გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა წესდებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებას. ამასთანავე, ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, შეასრულოს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

ხელმძღვანელი ორგანო, მართალია, წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, თუმცა მისი დაკომპლექტებისას, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება სააქციო საზოგადოების საოპერაციო არეალები და კადრები შეირჩევიან დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით. სწორედ ამიტომ კანონი ითვალისწინებს კანონითა და წესდებით დადგენილ ფარგლებში ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს შორის ფუნქციათა გადანაწილების და მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესის განსაზღვრის შესაძლებლობას ხელმძღვანელი ორგანოს დებულებით. ასეთ დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური აუცილებელი ფუნქციის შენარჩუნება თითოეული ხელმძღვანელი პირისთვის. თავის მხრივ, მინიმა-

ლურ აუცილებელ ფუნქციათა შენარჩუნებად უნდა მივიჩნიოთ ხელმძღვანელ პირებს შორის ხელმძღვანელობითი/ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების იმგვარად გადანაწილება, როდესაც თითოეული წევრი მინიმალური დოზით მაინც სარგებლობს ამ კომპეტენციებიდან ერთ-ერთით მაინც.

ხელმძღვანელი ორგანოს ძირითად კომპეტენციათაგან უმნიშვნელოვანესი ნარმომადგენლობითი უფლებამოსილებაა. ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში სწორედ ხელმძღვანელი ორგანოა ის ორგანო, რომელსაც აქვს საზოგადოების სახელითა და სასარგებლოდ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება. ამ წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც დავა ხელმძღვანელი ორგანოს წევრის წინააღმდეგ მიმდინარეობს. ასეთ დროს საზოგადოების სახელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებით სარგებლობს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. იმ შემთხვევაში კი, თუ სააქციო საზოგადოებას არჩეული აქვს კორპორაციული მართვის მონისტური მოდელი, საზოგადოებას ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან დავაში ნარმომადგენს ხელმძღვანელი ორგანო იმ წევრის გამოკლებით, რომელთა წინააღმდეგაც მიმდინარეობს დავა.

მუხლი 204. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნა

1. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს არაუმეტეს 3 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში მას თანამდებობაზე ნიშნავს სააქციო საზოგადოების საერთო კრება, ხელახლა დანიშვნის უფლებით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. პირის სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირად დანიშვნის შემდეგ სააქციო საზოგადოება მასთან ამ კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად დებს სასამსახურო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა უნდა შეესაბამებოდეს პირის აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის ვადას. სასამსახურო ხელშეკრულებას სააქციო საზოგადოების სახელით დებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – საერთო კრების თავმჯდომარე.
3. თუ ჭიანურდება სააქციო საზოგადოების იმ ხელმძღვანელი პირის დანიშვნა, რომლის გარეშეც სააქციო საზოგადოება თავის საქმიანობას ვერ ახორციელებს, ხელმძღვანელი პირი აქციონერის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე შეიძლება დანიშნოს სასამართლომ. სასამართლოს მიერ დანიშნულ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს უფ-

ლება აქვს, თავისი საქმიანობისთვის სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს გასამრჯელო და გონივრულ ფარგლებში ფულადი დანახარჯების ანაზღაურება. სასამართლოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელი პირისა და სააქციო საზოგადოების შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლომ თავად უნდა განსაზღვროს აღნიშნული გასამრჯელოს და ასანაზღაურებელი ფინანსური დანახარჯების ოდენობები.

4. სასამართლოს მიერ დანიშნულ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს უფლებამოსილება უწყდება იმ მომენტიდან, როდესაც ახალ ხელმძღვანელ პირს დანიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მართვის მონიტორინგის სისტემის შემთხვევაში – საერთო კრება.

სააქციო საზოგადოების ეფექტიანი კორპორაციული მართვა მიიღწევა მმართველ ორგანოებს შორის კომპეტენციათა დანაწილების და ამ დანაწილების შედეგად მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ბალანსის მიღწევის გზით. ასეთი დანაწილების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელ ორგანოს ექნება ხელმძღვანელი ორგანოს დაკომპლექტების უფლებამოსილება. ზოგადი ლოგიკიდან გამომდინარე, ორგანო უნდა დააკომპლექტოს იმ სუბიექტმა, რომელიც პასუხისმგებელია მის ზედამხედველობაზე, რაც, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის 204-ე მუხლის მიხედვით აქვს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონიტორინგის სისტემაში – საერთო კრებას.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, ისინი დაინიშნონ კონკრეტული ვადით. ამასთანავე, ასეთი დანიშვნის ვადა უნდა იყოს, ერთი მხრივ, ისეთი ხანგრძლივობის, როგორც დანიშნულ პირს მისცემს საკუთარი ხედვის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი, გაუჩინოს ანგარიშვალდებულების განცდას ხელახლა არჩევის მოახლოებული პროცესის გამო. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონი ხელმძღვანელი ორგანოს წევრის არჩევის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს არაუმეტეს 3 წელს, იმ პირობით, რომ პირს მიეცემა შესაძლებლობა, ხელახლა იქნეს არჩეული. ამასთან, დასაშვებია წესდებით ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადისა და მისი არჩევის წესის განსხვავებულიად მოწესრიგება.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრი არ წარმოადგენს საზოგადოების დასაქმებულს, ამასთანავე, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კლასიკური მომსახურების გამწვევ სუბიექტად. ასეთ პირთან ფორმდება სპეციფიკური ფორმის – „სასამსახურო ხელშეკრულება“. აღნიშნული მიზეზით, კანონში საკანონმდებლო დონეზე ჩნდება სასამსახურო ხელშეკრულების ცნება. სასამსახურო ხელშეკრულების მოქმედების ვადა უნდა შეესაბამებოდეს თანამდებობაზე დანიშვნის ვადას. სასამსახურო ხელშეკრულებას სააქციო საზოგადოების სახელით დებს სამეთ-

ვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მონისტურ სისტემაში – საერთო კრების თავმჯდომარე.

ხელმძღვანელი პირის არსებობა და საზოგადოების ფუნქციონირება, ურთიერთდაკავშირებული საკითხებია. შესაბამისად, კანონი აზღვევს ისეთ შემთხვევას, როდესაც ხელმძღვანელი პირის დანიშვნა ჭიანჭურდება და მის გარეშე სააქციო საზოგადოებას არ შეუძლია საქმიანობის განხორციელება. ასეთ წინა პირობის დადგომისას ნებისმიერ აქციონერს ან კრედიტორს ენიჭება უფლება, მიმართოს სასამართლოს განცხადებით და მოითხოვოს ხელმძღვანელი პირის სასამართლოს მეშვეობით დანიშვნა. ასეთი ხელმძღვანელი პირი მართალია, სრული მოცულობით სარგებლობს საზოგადოების ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილებებით, თუმცა იგი მაინც დროებითი ხელმძღვანელი ორგანოს წევრია და მისი უფლებამოსილება წყდება იმავე მომენტიდან, რა დროიდანაც სააქციო საზოგადოების პასუხისმგებელი ორგანო დანიშნავს შესაბამის პირს. ამ პერიოდამდე კი სასამართლოს მიერ დანიშნულ ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს, მისი საქმიანობისთვის სააქციო საზოგადოებისგან მოითხოვოს გასამრჯელო, ასევე, გონივრულ ფარგლებში ფულადი დანახარჯების ანაზღაურება. სასამართლოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელი პირისა და სააქციო საზოგადოების შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გასამრჯელოსა და ანაზღაურებელი ხარჯების ოდენობის განსაზღვრა ასევე სასამართლო კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 205. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე

1. სააქციო საზოგადოების რამდენიმე ხელმძღვანელი პირის არსებობისას სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ერთ-ერთი წევრი დანიშნოს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარედ.
2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, როგორც კოლეგიური ორგანოს წარმომადგენელი, კოორდინაციას უწევს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს ხელმძღვანელი ორგანოს სხდომებს და აკონტროლებს ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის დამატებით ფუნქციებს.

3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე თანამდებობაზე აირჩევა და თანამდებობიდან თავისუფლდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.
4. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი, როგორც ხელმძღვანელი ორგანოს წევრის, უფლებამოსილების ვადას.
5. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარემ სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – საერთო კრებას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელი ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.

კოლეგიური ორგანოს საქმიანობის უზრუნველყოფა საჭიროებს კოორდინირების გარკვეულ ხარისხს. სწორედ ამიტომ ხელმძღვანელი ორგანოს შემთხვევაში აქტუალურობას იძენს საბჭოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი, რომელმაც კოორდინირება უნდა გაუწიოს ამ ორგანოს საქმიანობას. კანონის 205-ე მუხლი სწორედ ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარეობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას შეეხება. კერძოდ, კანონის მიხედვით, რამდენიმე ხელმძღვანელი პირის არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანოს, კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით (თუ წესდებით უფრო მაღალი უმრავლესობა არ არის დადგენილი) შეუძლია, ხელმძღვანელი ორგანოს ერთ-ერთი წევრი დანიშნოს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარედ. ამასთანავე, ვინაიდან თავმჯდომარე უნდა იყოს ამავე საბჭოს წევრი, კანონით განისაზღვრება, რომ თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელმძღვანელი ორგანოში მისი წევრობის უფლებამოსილების ვადას.

წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის კომპეტენციას. კერძოდ, ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, როგორც კოლეგიური ორგანოს წარმომადგენელი, კოორდინირებას უწევს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს სხდომებს, აკონტროლებს ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, აწვდის ინფორმაციას შესაბამის ორგანოებს, ხელმძღვანელი ორგანოს და მას დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ. თავის მხრივ, აღნიშნული ის კანონისმიერი მინიმუმია, რომელიც აუცილებელია საბჭოს კოორდინირებული მუშაობისთვის და კანონი ტოვებს შესაძლებლობას, წესდებით გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი ფუნქციები.

მუხლი 206. სააქციო საზოგადოების აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების სააქციო საზოგადოების აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირისთვის გადაცემას. სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი.

კანონის კიდევ ერთი სიახლეა სააქციო საზოგადოების აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის ცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა. ამასთანავე, კანონის 206-ე მუხლი უმეტესწილად დეკლარაციული ხასიათისაა და განსაზღვრავს, რომ სააქციო საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გადაცემას აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირისათვის; ასევე, კანონით განისაზღვრება შესაძლებლობა, რომ სააქციო საზოგადოებას ჰყავდეს რამდენიმე ასეთი პირი. აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირები არიან პასუხისმგებელი სუბიექტები საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვასა და აღსრულებაზე, რასთან დაკავშირებული დეტალური კომპეტენციებიც სრულად საწესდებო ავტონომიის ფარგლებს განეკუთვნება.

მუხლი 207. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა

- 1. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს სხდომის მოწვევისა და ჩატარებისთვის გამოიყენება ამ კანონით სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევისა და ჩატარებისთვის დადგენილი წესები, თუ წესდებით განსაზღვრული არ არის სხდომის მოწვევისა და ჩატარების სხვა წესი.**
- 2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა ან ამ სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს იმ ხელმძღვანელი პირისთვის, რომელთან დაკავშირებული საკითხიც განიხილება აღნიშნულ სხდომაზე.**

კანონი დეტალურად განსაზღვრავს კორპორაციულ მართვაში მონაწილე თითოეული ორგანოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების პროცედურულ საკითხებს. აღნიშნული გამომდინარეობს კანონის მიზნიდან, ხელი შეუწყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი კორპორაციული მართვის კულტურის ჩამოყალიბებას. კანონის 207-ე მუხლი განსაზღვრავს ხელმძღვანელი ორგანოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების ფორმალურ და შინაარსობრივ საკითხებს.

იმავდროულად, წინამდებარე ნორმა უმეტესად ბლანკეტური ხასიათისაა. კერძოდ, მუხლში მითითებულია, რომ ხელმძღვანელი ორგანოს სხდომების მოწვე-

ვევისა და ჩატარების მიმართ გამოიყენება კანონის წესები სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მონვევისა და ჩატარების შესახებ, თუ სააქციო საზოგადოების წესდებით არ არის გათვალისწინებული სხდომების მონვევისა და ჩატარების სხვა წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომასთან დაკავშირებული დებულებების მისადაგებით შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელი ორგანოს ყოველ წევრს ენიჭება შესაძლებლობა, ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარისაგან მოითხოვოს სხდომის დაუყოვნებლივ მონვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. თავმჯდომარე ვალდებულია, მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. იმ შემთხვევაში კი, თუ ორგანოს წევრის მოთხოვნა სხდომის მონვევის შესახებ არ დაკმაყოფილდება, ამ პირს შეუძლია, თვითონ მოიწვიოს საბჭოს სხდომა.

ხელმძღვანელი ორგანოს სხდომებს გაუძღვება ამ ორგანოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე. იმ შემთხვევაში კი, თუ არცერთი აღნიშნული პირი არ ცხადდება სხდომაზე, სხდომის თავმჯდომარე განისაზღვრება უშუალოდ სხდომის მიერ. სხდომის მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ უნდა შედგეს სხდომის ოქმი, რომლის სისწორეზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.

ხელმძღვანელი ორგანოს ნებისმიერ წევრს აქვს თანაბარი უფლება, დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სხდომებში. ამასთანავე, კონკრეტული ხელმძღვანელი პირის ქმედებიდან გამომდინარე, თუ არსებობს საზოგადოების საუკეთესო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხე, კანონი იძლევა ხელმძღვანელი პირის აღნიშნული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. კერძოდ, სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს იმ პირისათვის, რომელთან დაკავშირებული საკითხიც განიხილება ამ სხდომაზე.

მუხლი 208. ინტერესთა კონფლიქტი

1. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ვალდებულია შესაბამისი ფაქტის შეტყობისთანავე აცნობოს საერთო კრებას ან სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – საერთო კრებას ან სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს ისეთი დადებული ან დასადები გარიგების შესახებ, რომლის მიმართაც ის დაინტერესებული პირია, აგრეთვე მიუთითოს თავისი დაინტერესების ხასიათი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელმძღვანელი პირი დაინტერესებულ პირად მიიჩნევა, თუ ის ან მასთან დაკავშირებული პირი:

- ა) გარიგების მეორე მხარეა;
 - ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ სამეწარმეო საზოგადოების წილთა 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;
 - გ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ სამეწარმეო საზოგადოების წილთა 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე მეტს, რომლის სულ მცირე 50-პროცენტიანი წილის მესაკუთრე გარიგების მეორე მხარეა;
 - დ) არის იმ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;
 - ე) გარიგების შედეგად იღებს სარგებელს, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებაში წილის ფლობასთან ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრობასთან დაკავშირებული არ არის;
 - ვ) დაინტერესებულ პირად მიიჩნევა წესდების თანახმად.
3. ამ კანონის მიზნებისთვის „დაკავშირებული პირი“ განიმარტება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
 4. გარიგებას, რომელშიც დაინტერესებული პირი მონაწილეობს, წინასწარ ამტკიცებს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საერთო კრება. დაინტერესებულ პირს ეკრძალება შესაბამის საკითხზე ხმის მიცემა სააქციო საზოგადოების ნებისმიერ ორგანოში.
 5. თუ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა დაინტერესებული პირია, გარიგებას საერთო კრება ამტკიცებს.
 6. იმ გარიგების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებაში, რომელშიც დაინტერესებული პირი მონაწილეობდა, მითითებული უნდა იყოს ამ პირის დაინტერესების ხასიათი, მოცულობა და გარიგების სხვა მნიშვნელოვანი პირობები.
 7. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ სააქციო საზოგადოებაზე, რომელსაც ჰყავს მხოლოდ ერთი პარტნიორი, რომელიც იმავდროულად სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირია, აგრეთვე იმ გარიგებაზე, რომელიც იდება სააქციო საზოგადოებასა და მის 100-პროცენტიან შვილობილ საწარმოს ან 100-პროცენტიან პარტნიორს შორის.
 8. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისთვის ცნობილი იყო ინტერესთა კონფლიქტის არსებობისა და სააქციო საზოგადოების ნებართვის არარსებობის შესახებ, სააქციო საზოგადოებას აქვს ასეთი ხელშეკრულების შეცილების უფლება.
 9. ინტერესთა კონფლიქტის წესების დაცვის მოვალეობის დარღვევისას სააქციო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს მისი დარღვევით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

და შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისას გარიგება არსებითად იმავე პირობებით დაიდებოდა. სააქციო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

კანონის 208-ე მუხლი ეთმობა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობას. ამ მოვალეობის ფარგლებში ხელმძღვანელი ორგანოს წევრი ვალდებულია, საზოგადოებას აცნობოს ამ საზოგადოების მიერ დასადები იმ გარიგების შესახებ, რომელშიც ხელმძღვანელი პირი დაინტერესებული მხარეა.

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებული გარემოებები ზეგავლენას ახდენს პირის შესაძლებლობაზე, გარიგების დადებისას გონივრულად, მიუკერძოებლად, პირადი ინტერესების გარეშე იმოქმედოს საზოგადოების საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი ზეგავლენა სახეზეა, თუ პირი:

გარიგების მეორე მხარეა	პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ სამეწარმეო საზოგადოების წილთა 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა	პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ სამეწარმეო საზოგადოების წილთა 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე მეტს, რომლის სულ მცირე 50-პროცენტიანი წილის მესაკუთრე გარიგების მეორე მხარეა
არის იმ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც გარიგების მეორე მხარეა	გარიგების შედეგად იღებს სარგებელს, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებაში წილის ფლობასთან ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრობასთან დაკავშირებული არ არის	დაინტერესებულ პირად მიიჩნევა წესდების თანახმად

ზემოაღნიშნული წინა პირობების არსებობისას პირს ეკისრება მოვალეობა, პირველივე შესაძლებლობისთანავე გაამჟღავნოს თავისი დაინტერესებისა და დაინტერესების ხასიათის შესახებ ინფორმაცია. კანონის თანახმად, გარიგება დაინტერესებული პირის მონაწილეობით წინასწარ უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას, პარტნიორთა კრების მიერ. თანხმობას აღნიშნული ორგანო გასცემს იმ პირის აქტიური ხმის უფლებით მონაწილეობის გარეშე, რომელსაც აქვს ინტერესი დასადებ გარიგებასთან დაკავშირებით. გადანყვეტილება გარიგების დამტკიცების შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას ასეთი პირის დაინტერესების ხასიათზე, მოცულობასა და გარიგების სხვა მნიშვნელოვან პირობებზე.

კანონის წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის დარღვევის სამართლებრივ შედეგებსაც. კერძოდ, ერთი მხრივ, საზოგადოებას უჩნდება გარიგების შეცილების უფლება თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაპენტისთვის ცნობილი იყო ინტერესთა კონფლიქტის არსებობისა და სააქციო საზოგადოების ნებართვის არარსებობის შესახებ. მეორე მხრივ, საზოგადოებას უჩნდება ხელმძღვანელი პირის მიმართ ზიანის და შეთანხმებული პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სააქციო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

მუხლი 209. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის კონტროლს და დადგენილ ფარგლებში თანამშრომლობს მასთან სააქციო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადანყვევების პროცესში.
2. მართვის მონისტური სისტემის არსებობისას სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას ასრულებს/ასრულებენ არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი/პირები. თუ ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირებისგან შედგება, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას ასრულებს საერთო კრება. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის შესახებ.
3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს:
 - ა) სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს სააქციო საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
 - ბ) გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს სააქციო საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, სააქციო საზოგადოების ქონებრივი ობიექტები და სალარო; ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;
 - გ) შეამოწმოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;

დ) წარმოადგინოს სააქციო საზოგადოება ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;

ე) ამ კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს, გაეცნოს ხელმძღვანელი ორგანოს/ხელმძღვანელი პირის მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და ინფორმაციას.
5. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება, თუ ამას მოითხოვს სააქციო საზოგადოების ინტერესები.
6. წესდებით ან კანონითა და წესდებით დადგენილ ფარგლებში სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით შეიძლება ისე განისაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის ფუნქციათა განაწილება და მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრისთვის მინიმალური აუცილებელი ფუნქციის შენარჩუნება.

სააქციო საზოგადოების ეფექტიანი კორპორაციული მართვისათვის მმართველ ორგანოებს შორის კომპეტენციათა დანაწილების და ამ დანაწილების შედეგად მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ბალანსის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმპერატიული ნორმებია, რომლებიც გამორიცხავენ ორგანოებს შორის კომპეტენციათა აღრევას. სწორედ სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციათა ნორმატიული კატალოგის შექმნას ემსახურება კანონის 209-ე მუხლი.

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობას და დადგენილ ფარგლებში თანამშრომლობს მასთან სააქციო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში. ამასთანავე, ვინაიდან კანონი იძლევა კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიანი მოდელის შერჩევის შესაძლებლობას, წინამდებარე მუხლშივე განსაზღვრულია ასეთ შემთხვევაში საბჭოს კომპეტენციის გადანაწილების საკითხი. კერძოდ, მონისტურ სისტემაში სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას შეასრულებს არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირები. ამასთანავე, ვინაიდან, არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის მოწვევა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია, გაუმართლებლად ზრდიდეს კონკრეტული სააქციო საზოგადოების ხარჯებს, კანონი ტოვებს ხელმძღვანელი ორგანოს იმგვარად დაკომპლექტების შესაძლებლობას, სადაც არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირები არ იქნებიან საბჭოში წარმოდგენილი. თუმცა, ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას შეასრულებს აქციონერთა საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ამოცანა ხელმძღვანელი პირების საქმიანობაზე ზედამხედველობაა. კანონის წინამდებარე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საბჭოს კომპეტენციას, რომელიც, ძირითადად, უკავშირდება საბჭოს უფლებამოსილებას, იყოს სათანადოდ ინფორმირებული და ასეთი ინფორმირებულობის პირობებში მოახდინოს ხელმძღვანელი ორგანოს ზედამხედველობა, ასევე, წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელი ორგანოს წევრებთან დავაში.

საზოგადოების საერთო კრების მოწვევა და ჩატარება განეკუთვნება ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია, ხელმძღვანელი პირები ბოროტად სარგებლობდნენ ამ უფლებით და არ ინვესტირებდნენ საერთო კრებას ამ პირებისათვის შესაძლო ნეგატიური შედეგის გამო. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კრების მოწვევის კომპეტენციით აღჭურვილი ალტერნატიული ორგანოს არსებობა. აქედან გამომდინარე, კანონის წინამდებარე მუხლით სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება ვალდებულება, მოიწვიოს საერთო კრება, თუ ამას მოითხოვს სააქციო საზოგადოების ინტერესები.

სამეთვალყურეო საბჭო, მართალია, წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, თუმცა მისი დაკომპლექტებისას, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება სააქციო საზოგადოების საოპერაციო არეალები და კადრები შეირჩევიან დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით. პროფესიული და რეპუტაციული ნიშნით დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო მკვეთრად ზრდის ამ ორგანოს ეფექტიანობას. აქედან გამომდინარე კანონი ითვალისწინებს კანონითა და წესდებით დადგენილ ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის ფუნქციონირებას გადანაწილების და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების წესის განსაზღვრის შესაძლებლობას სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით. ასეთ დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური აუცილებელი ფუნქციის შენარჩუნება საბჭოს თითოეული წევრისათვის. თავის მხრივ, მინიმალურ აუცილებელ ფუნქციონირებად უნდა მივიჩნიოთ საბჭოს წევრებს შორის უფლებამოსილების იმგვარად გადანაწილება, როდესაც თითოეული წევრი მინიმალური დოზით მინც სარგებლობს სამეთვალყურეო კომპეტენციით.

მუხლი 210. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პასუხისმგებლობა

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე შესაბამის შემთხვევებში ვრცელდება ამ კანონის 50-ე, 51-ე, 53-ე და 55-ე მუხლები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის შესახებ.

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ არიან საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები. მეტიც, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმის შექმნა სწორედ ამ ორ ორგანოს შორის კომპეტენციათა მკაფიო დანაწილებითა და ბალანსის შექმნით მიიღწევა. შესაბამისად, კანონის 210-ე მუხლის მითითება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის შესახებ ნორმების გავრცელების თაობაზე არ უნდა იქნეს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გაგებული და იგი უნდა განიმარტოს სისტემურად. ნორმაში არსებულ სიტყვათნყობაში გამოყენებული ტერმინი „შესაბამისად“, სწორედ პასუხისმგებლობის შესახებ დებულებების გარკვეული თავისებურებებით გავრცელებას უსვამს ხაზს. კერძოდ, აღნიშნული დებულებები სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე ვრცელდება იმ ფარგლებსა და საკითხებთან დაკავშირებით, რაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრს აკისრია. შესაბამისად, აღნიშნული მოვალეობების შესრულების ნაწილში ვერ იქნება ხელმძღვანელი ორგანოს წევრებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის ტოლობის ნიშანი დასმული და თითოეული შემთხვევა შეფასებულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად.

მუხლი 211. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა

1. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის სფეროში არ შეიძლება გადაეცეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს.
2. წესდებით ან სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას საჭიროებს.
3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი თანხმობის საერთო კრების მიერ გაცემა. საერთო კრების მიერ თანხმობის გაცემისთვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობა.

ეფექტური კორპორაციული მართვის სისტემა – ეს არის იმ წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომლითაც მიღწეულია ბალანსი კორპორაციული მართვის ორგანოებს შორის. ამგვარი ბალანსის არსებობა მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდაა უზრუნველყოფილი ორგანოთა დამოუკიდებლობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კანონის 211-ე მუხლი.

მუხლის 1-ლი პუნქტი მკაცრად მიჯნავს ორგანოთა ფუნქციურ დამოუკიდებლობას და მითითებულია, რომ ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის სფეროში არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთანავე, ინდივიდუალური გამოწვევების საპასუხოდ ზედამხედველობისა და ურთიერთბალანსის ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად მითითებულია, რომ წესდებით ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად ხელმძღვანელი ორგანო საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.

ორ ორგანოს შორის თანამშრომლობა დიდწილადაა დამოკიდებული ეფექტური ანტიკორიზისული მექანიზმის არსებობაზე, რომელმაც არა მხოლოდ არსებული ჩიხური სიტუაციიდან უნდა შექმნას გამოსავალი, არამედ უზრუნველყოს ასეთი შემთხვევების პრევენცია. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილია, მოითხოვოს თანხმობის გაცემა საერთო კრების მიერ. საერთო კრების მიერ თანხმობის გაცემისთვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე ხმათა არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობა.

მუხლი 212. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა

1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისგან. წესდებით შეიძლება განისაზღვროს მის წევრთა მატე-სიმალური რაოდენობა.
2. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი.
3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ირჩევს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით ან სამეთვალყურეო საბჭოში წევრის დელეგირებით, თუ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
4. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში წევრის დელეგირების უფლება წესდებით შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ცალკეულ აქციონერებს ან გარკვეული აქციების მფლობელებს. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დელეგირებულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 1/3-ს.
5. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამონურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება ახალი ვადით აირჩეს.

სამეთვალყურეო საბჭო კოლეგიური ორგანოა. სწორად უზრუნველყოფს კანონის 212-ე მუხლი. კერძოდ, წინამდებარე მუხლი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს იმ მინიმალურ ოდენობას, რომელზე ნაკლებიც არ შეიძლება იყოს საბჭოს წევრთა რაოდენობა. მინიმალური ოდენობის განსაზღვრისას კანონში გათვალისწინებულ იქნა ე.წ. deadlock საფრთხე და წევრთა რაოდენობად განისაზღვრა არანაკლებ სამი. იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების მახასიათებლების, მათ შორის, აქციონერთა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეუძლებელია საბჭოს წევრთა ზედა რაოდენობის უნიფიცირებულად განსაზღვრა, კანონი ტოვებს შესაძლებლობას, საზოგადოებამ თავად განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მაქსიმალური რაოდენობა.

სამეთვალყურეო საბჭოში წევრის ყოლის ინტერესი ხშირად აქვთ მსხვილ ინვესტორებს, რომლებიც თავად არიან იურიდიული პირები, ან მოქმედებენ იურიდიული პირის მეშვეობით. შესაბამისად, კანონი იძლევა შესაძლებლობას, საბჭოს წევრი იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. იმავდროულად, კანონშივე განისაზღვრება საბჭოს წევრად პირის არჩევის მაქსიმალური 3-წლიანი ვადა, რამაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ორგანოს წევრთა ისეთი ინტენსივობით ცვლა, როგორც უზრუნველყოფს საზოგადოების ხელმძღვანელი პირების ეფექტიან ზედამხედველობას და ხელს არ შეუშლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობას ხელმძღვანელ პირთან პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბების გამო.

სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტების ზოგადი წესის მიხედვით, წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უბრალო უმრავლესობით. თუმცა ზოგიერთი ინვესტიციის განხორციელება შესაძლებელია უკავშირდებოდეს ინვესტორის სურვილს, დააზღვიოს თავისი რისკი ხელმძღვანელი ორგანოს ზედამხედველობის უშუალო და პირდაპირი მექანიზმის არსებობით. შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცალკეულ აქციონერს ან კონკრეტული აქციების მფლობელებს მიენიჭოთ ჯამურად არაუმეტეს საბჭოს 1/3-ის დაკომპლექტების შესაძლებლობა.

მუხლი 213. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გამონევა და გასვლა

1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს გამონევილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან. ეს გადაწყვეტილება მიი-

ლება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.

2. უფლებამოსილმა პირმა ნებისმიერ დროს შეიძლება გამოიწვიოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დელეგირებული წევრი. თუ წესდებით გათვალისწინებული დელეგირების საფუძვლები აღარ არსებობს, სამეთვალყურეო საბჭოს დელეგირებული წევრის გამოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს სააქციო საზოგადოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს საპატიო მიზეზი.
4. თუ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გასვლიდან ნ თვის განმავლობაში არ აირჩევა ახალი წევრი, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა წესდებით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლებია.
5. სასამართლოს მიერ დანიშნულ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის კანონით დადგენილი წესით არჩევისთანავე.

საბჭოს წევრი უნდა ემსახურობდეს სააქციო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს. სწორედ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უნდა უზრუნველყონ, საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ყოველდღიურ საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების გზით, აქციონერების ინვესტიციის დაცვა. თავის მხრივ, ამ დროს, აქტიულობას იძენს თავად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანგარიშვალდებულობის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემის შექმნა. ამის უზრუნველყოფის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი საბჭოს წევრის გამოწვევის შესაძლებლობაა. კანონის 213-ე მუხლი განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან პირის გამოწვევისა და ნებაყოფლობით გასვლის საფუძვლებს.

სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრების გამოწვევის უფლებით სარგებლობს აქციონერთა საერთო კრება. კრების გადაწყვეტილებით, მის მიერ არჩეული პირი ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნეს საბჭოს წევრობიდან. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უბრალო უმრავლესობით. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევისთვის წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა უფრო მეტი რაოდენობა. ამის პარალელურად, სამეთვალყურეო საბჭოს დელეგირებული წევრი შეიძლება გამოიწვიოს ამ წევ-

რის დელეგირებაზე უფლებამოსილმა პირმა. თუ წესდებით გათვალისწინებული დელეგირების საფუძვლები აღარ არსებობს, მაშინაც წევრის გამონვევის საკითხზე გადაწყვეტილების უფლებას კარგავს ის პირი, რომელმაც მოახდინა საბჭოს წევრის არჩევა და გამონვევაზე გადაწყვეტილების უფლებამოსილება გადავა აქციონერთა საერთო კრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამონვევა იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა. ამის პარალელურად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ნებაყოფლობითაც შეუძლია დატოვოს დაკავებული თანამდებობა. თუმცა აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. კერძოდ, პირს არ შეუძლია, დატოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა, თუ არსებობს ამ ქმედებით სააქციო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი მიყენების საფრთხე. თუმცა იმ დროს, როდესაც სახეზეა საპატიო მიზეზი, კანონი მაინც უშვებს წევრობიდან გასვლის შესაძლებლობას ზიანის მიყენების საფრთხის არსებობის მიუხედავად.

სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოების ეფექტიანი კორპორაციული მართვის კონსტრუქციის ერთ-ერთი ფუნდამენტია. შესაბამისად, კანონი აზღვევს იმ შემთხვევებს, როდესაც საბჭო სრული შემადგენლობით არ არის დაკომპლექტებული და საფრთხე ექმნება სააქციო საზოგადოების ფუნქციონირებას. კერძოდ, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გასვლიდან ნ თვის განმავლობაში არ იქნება არჩეული ახალი წევრი, სასამართლოს, ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე, შეუძლია, დანიშნოს ახალი წევრი. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა ნაკლებია წესდებით განსაზღვრულ რაოდენობაზე. სასამართლოს მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მართალია, სრული მოცულობით სარგებლობს საბჭოს წევრის უფლებამოსილებებით, თუმცა იგი მაინც დროებით დანიშნული პირია. მისი უფლებამოსილება წყდება იმავე მომენტიდან, რა დროიდანაც სააქციო საზოგადოების საერთო კრება აირჩევს ახალ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. ამ პერიოდამდე კი სასამართლოს მიერ დანიშნულ საბჭოს წევრს უფლება აქვს, მისი საქმიანობისთვის სააქციო საზოგადოებისგან მოითხოვოს გასამრჯელო.

მუხლი 214. თანამდებობათა შეთავსების დაუშვებლობა

1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.
2. წესდება დამატებით შეიძლება განსაზღვრავდეს იმ თანამდებობათა ნუსხას, რომელთა შეთავსებაც ეკრძალება სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებაა. ამ მიზეზით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამიჯვნას ხელმძღვანელი ორგანოს წევრებისაგან. სწორედ ამიტომ, კანონის 214-ე მუხლი კრძალავს იმ პირის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას, რომელიც, იმავედროულად, საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრია.

თავის საქმიანობაში საბჭოს სრული დამოუკიდებლობა არ მიიღწევა მხოლოდ ხელმძღვანელი პირისთვის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის აკრძალვით. ხშირ შემთხვევაში, საბჭო შესაძლებელია, კონტროლს უწევდეს სხვა ორგანოების საქმიანობასაც. შესაბამისად, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ სააქციო საზოგადოების წესდება დამატებით შეიძლება განსაზღვრავდეს იმ თანამდებობათა ნუსხას, რომელთა შეთავსებაც აკრძალული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს.

მუხლი 215. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია გამოაქვეყნოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და მასთან დაკავშირებული ყველა ცვლილების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

კანონის 215-ე მუხლი ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობასთან, მათ შორის საბჭოს თავმჯდომარის არჩევასა და მათთან დაკავშირებული ყოველი ცვლილების გასაჯაროების ვალდებულებას. ასეთის უზრუნველყოფა კი, კანონის მიხედვით, ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციაა. გამოქვეყნებამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა ინფორმირება ნაკლები დანახარჯებით, და ამასთანავე, მისი წევრების ვინაობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბაზარს მიაწოდოს სიგნალი სამეთვალყურეო საბჭოს სანდოობასთან დაკავშირებით.

მუხლი 216. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს ირჩევს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო თავის წევრთაგან, კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. თუკი კანდიდატები

თანაბარი რაოდენობის ხმებს მიიღებენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნება მათ შორის უხუცესი კანდიდატი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს სააქციო საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებთან ურთიერთობებში.
3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია სისტემატურად ჰქონდეს ურთიერთობა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოსთან, განიხილოს მასთან სააქციო საზოგადოების განვითარების სტრატეგია და მოსალოდნელი რისკები.
4. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მიაწოდოს ინფორმაცია იმ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სააქციო საზოგადოების საქმიანობაზე, აგრეთვე მოსალოდნელი შედეგების შეფასება. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მიღებული ინფორმაცია მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.
5. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს მისი არყოფნის ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.
6. წესდებით შეიძლება განისაზღვროს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დამატებითი უფლებამოსილება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

კოლეგიური ორგანოს საქმიანობის უზრუნველყოფა საჭიროებს კოორდინირების გარკვეულ ხარისხს. ამიტომ სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში აქტუალურობას იძენს საბჭოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი, რომელმაც კოორდინირება უნდა გაუწიოს ამ ორგანოს საქმიანობას. კანონს 217-ე მუხლი სწორედ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მონესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: თავმჯდომარის არჩევა და მისი მოვალეობის შესრულება, თანამშრომლობა ხელმძღვანელ ორგანოსთან და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის გაზრდა სააქციო საზოგადოების წესდებით.

საბჭოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, კანონის მიხედვით, თავად სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს (რომელიც ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას). საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე აირჩევა კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უბრალო უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, თავმჯდომარედ დაინიშნება მათ შორის უხუცესი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ეკისრება საბჭოს საქმიანობის კოორდინირების, საბჭოს სხდომების თავმჯდომარეობის და ამავე ორგანოს სააქციო საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებთან წარმოდგენის მოვალეობა. წინამდებარე მუხლივე სწორედ თავმჯდომარეს ავალდებულებს, შეასრულოს ხიდის ფუნქცია სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის და უზრუნველყოს ორგანოთა ურთიერთთანამშრომლობა. ამის უზრუნველსაყოფად თავმჯდომარე ვალდებულია, ჰქონდეს სისტემატური ურთიერთობა ხელმძღვანელი ორგანოსთან, განიხილოს მასთან სააქციო საზოგადოების განვითარების სტრატეგია და მოსალოდნელი რისკები. იმავე მიზნით, ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მიაწოდოს ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომელთაც გავლენა შეიძლება ჰქონდეთ სააქციო საზოგადოების საქმიანობაზე, ასევე, მიაწოდოს მოსალოდნელი შედეგების შეფასება. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ევალება, მიღებული ინფორმაცია მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და საჭიროებისას მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

კანონის წინამდებარე მუხლით დადგენილია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებათა მინიმუმი. სააქციო საზოგადოების აქციონერებს აქვთ შესაძლებლობა, საზოგადოების ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე წესდებით განსაზღვრონ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დამატებითი უფლებამოსილება იმ ფარგლებში, რაც არ შეეწინააღმდეგება კანონს.

მუხლი 217. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა

- 1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ მაინც. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო**

რეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამ მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.
3. თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია თავად მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.
4. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. ამ ოქმის სისწორისა და სრულყოფილებისთვის პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

კანონი დეტალურად განსაზღვრავს კორპორაციულ მართვაში მონაწილე თითოეული ორგანოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების პროცედურულ საკითხებს. აღნიშნული გამომდინარეობს კანონის მიზნიდან, ხელი შეუწყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი კორპორაციული მართვის კულტურის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ მიზნით, კანონის 217-ე მუხლი განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების ფორმალურ და შინაარსობრივ საკითხებს.

წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით მოწესრიგებულია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ჩატარების მინიმალურ სიხშირე – წელიწადში არანაკლებ ერთი. თუმცა ასეთი სიხშირე პრაქტიკისთვის საკმაოდ დაბალია. პრაქტიკაში სხდომათა ოპტიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად უნდა განისაზღვროს, თუმცა არანაკლებ კვარტალში ერთი შეხვედრისა.

ზოგადი წესით, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს. თავის მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს აქვს უფლება, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარი-

საგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. თავმჯდომარე ვალდებულია, მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. საგამონაკლისოდ, იმ შემთხვევაში, თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ კმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლიათ, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. აღნიშნული პირების არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომამ თავად უნდა განსაზღვროს ერთჯერადად სხდომის წარმართვაზე პასუხისმგებელი საბჭოს წევრი. ამასთანავე, კანონი ადგენს სხდომის ოქმის შედგენის ვალდებულებას, რომლის სისწორესა და სრულყოფილებაზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე. ოქმი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აღწერს საერთო კრების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას და აქვს მნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულება შემდგომი გაუგებრობებისა და დავების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 218. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილებები

1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო გადანყვეტილება უნარიანია, თუ მის სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სულ მცირე ნახევარი. წესდება შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილება უნარიანობის საკითხს სხვაგვარად ანესრიგებდეს.
2. თუკი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო გადანყვეტილება უნარიანი არ არის, მისი სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადანყვეტილება უნარიანი იქნება, კენჭისყრაში მონაწილე საბჭოს წევრთა რაოდენობის მიუხედავად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო გადანყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს აქვს 1 ხმა, თუ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილება ფორმდება მისი სხდომის ოქმში ჩანაწერით.

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მსვლელობის პროცედურა, უმეტესწილად, შიდა კორპორაციული საკითხია. აქედან გამონაკლისი შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საკითხის მოწესრიგება აუცილებელია ინვესტორების დასაცავად, საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად და ამ გზით წარმომადგენლობითი ხარჯების შესამცირებლად. სწორედ ამ მიზეზებით კანონის 218-ე მუხლის პირველი პუნქტი, უმეტესწილად, დისპოზიციური ხასიათისაა.

წინამდებარე მუხლის მიხედვით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭოს გადანყვეტილება უნარიანობისათვის კვორუმი განისაზღვრება, სულ მცირე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევრით. იმავდროულად, იმისათვის რომ სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირებას ხელი არ შეეშალოს, თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადანყვეტილება უნარიანი, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, არა უგვიანეს 10 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადანყვეტილება უნარიანი იქნება, კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. თუმცა, წესდებით შეიძლება დადგინდეს განმეორებითი სხდომისთვის განსხვავებული კვორუმი.

სამეთვალყურეო საბჭო გადანყვეტილებას, რომელიც ფორმდება ოქმში ჩანაწერით, იღებს კენჭისყრაში მონაწილე ხმების უმრავლესობით. ამასთანავე, იმ პირობით, რომ ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა, თუმცა აღნიშნულისგან განსხვავებული წესები შეიძლება დადგინდეს წესდებით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადანყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 219. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება

1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისთვის შეიძლება მიეცეთ ანაზღაურება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სააქციო საზოგადოების ფინანსურ შესაძლებლობებს.
2. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების ოდენობა, სტრუქტურა და გაცემის პერიოდულობა განისაზღვრება წესდებით ან საერთო კრების გადანყვეტილებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს წარმატებული საქმიანობისთვის დამატებით შეიძლება მიეცეს წინასწარ დადგენილი წესით განსაზღვრული პრემიები ან სხვა ბონუსები.
3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების შესახებ გადანყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ის შეღავათები

და პრივილეგიები, რომლებითაც ისარგებლებენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები წევრობის პერიოდში.

ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების პოლიტიკის შექმნა. ამგვარმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს წევრის დამოუკიდებლობა და მოტივირება მისი ინტერესების სააქციო საზოგადოების ინტერესებთან დაკავშირების გზით. ამასთანავე, ანაზღაურების პოლიტიკით უნდა გამოირიცხოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მოტივაცია საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ გასწიოს ამ საზოგადოების ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით დასაშვებზე მეტად სარისკო საქმიანობა. სწორედ ამისათვის სპეციალური ნორმატიული საფუძვლის შექმნას ემსახურება კანონის 219-ე მუხლი.

წინამდებარე მუხლის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის მიცემული ანაზღაურება გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს სააქციო საზოგადოების ფინანსურ შესაძლებლობებთან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: პირის ასაკი, განათლება, გამოცდილება, საზოგადოებრივი იმიჯი, სააქციო საზოგადოების წარმატებულობა, მისი სიდიდე, ფინანსური მდგომარეობა, საოპერაციო არეალები და სხვ.

საკუთრივ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება მრავალი კომპონენტისაგან შედგება. ანაზღაურების სტრუქტურა, მოცულობა და პერიოდულობა უნდა განისაზღვროს სააქციო საზოგადოების წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით. ასეთი ანაზღაურება შეიძლება მოიცავდეს დამატებით, წინასწარ დადგენილი წესით, განსაზღვრული პრემიების ან სხვა ბონუსების მიცემას წარმატებული საქმიანობისთვის.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების ყოველი დეტალი წინასწარ უნდა იყოს სააქციო საზოგადოების აქციონერებისათვის ცნობილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოების ინტერესებთან არათავსებადი სახელფასო პოლიტიკის შექმნა. შესაბამისად, კანონით დგინდება, რომ საერთო კრების გადაწყვეტილება დეტალურად უნდა აღწერდეს არა მხოლოდ უშუალოდ ხელფასის, პრემიებისა და ბონუსების საკითხს, არამედ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს იმ შეღავათებისა და პრივილეგიების შესახებ, რომლებითაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ისარგებლებენ წევრობის განმავლობაში.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ფორმდება სასამსახურო ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი კი სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან პირის გასვლაა.

მუხლი 220. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

1. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია თავისი წევრებისგან შექმნას კომიტეტები, რომელთა მიზანი, სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან ერთად, იქნება საბჭოს სხდომების მოწვევის ან მათზე განსახილველი საკითხების მომზადება და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.
2. კომიტეტების ხელმძღვანელებმა სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.
3. კომიტეტების სახელწოდებები და რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს წესდებით.
4. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები არ შეიძლება სრულად გადაეცეს კომიტეტებს.

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი საქმის მნიშვნელოვან ნაწილს კომიტეტების მეშვეობით ახორციელებს. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტის შექმნისთვის სპეციალურ ნორმატიულ საფუძველს ქმნის კანონის 2020-ე მუხლი. წინამდებარე მუხლით მოწესრიგებულია კომიტეტების შექმნის, ინფორმაციის გაცვლის და კომპეტენციათა დანაწილების საკითხები.

წინამდებარე მუხლი ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას, თავისი წევრებისაგან შექმნას კომიტეტი, რომლის მიზანიც, სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, არის სხდომების მოწვევის ან მათზე განსახილველი საკითხების მომზადება და მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლი. ასეთი კომიტეტების შექმნა, როგორც წესი, შედარებით მსხვილი ფინანსური ბაზრის აქტიური მონაწილე სააქციო საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში კომიტეტის შექმნა შესაძლებელია მიკროპრუდენციული ზედამხედველობის საკანონმდებლო პოლიტიკიდანაც გამომდინარეობდეს. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია აუდიტის კომიტეტი, თუმცა, ხშირად ასევე იქმნება ანაზღაურებისა და ნომინირების კომიტეტები.

კომიტეტი არის სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებული, დამხმარე ორგანო, რომელიც იქმნება საზოგადოების კორპორაციული მართვის ეფექტიანობის გაზრდისთვის. სწორედ აღნიშნული პრინციპია განმტკიცებული წინამდებარე მუხლის მეორე-მეოთხე პუნქტებში. კერძოდ, კომიტეტების სახელწოდება და მათი რაოდენობა განისაზღვრება სააქციო საზოგადოების წესდებით. ამასთანავე, კანონის იმპერატიული დათქმის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები არ შეიძლება სრულად გადაეცეს კომიტეტებს. ასევე, დაქვემდებარებულობის პრინციპიდან გამომდინარე, კომიტეტების ხელმძღვანელებმა რეგულარულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს.

მუხლი 221. პასუხისმგებლობის ინიციირება

1. საერთო კრებას, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ, მოითხოვონ ამ ორგანოთა წევრების მიერ სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
2. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელ ორგანოს დაევალოს, რომ მან თანამდებობის პირებს მოსთხოვოს მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს მისი მიღებიდან 6 თვის ვადაში. საერთო კრებას უფლება აქვს, აღნიშნული მოთხოვნის შესრულების მიზნით დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი.

სააქციო საზოგადოების კორპორაციული მართვა, შესაბამისად, მასში მონაწილე თითოეული სუბიექტი უნდა ემსახურებოდეს ამ საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს. ამასთან, კორპორაციული მართვის ღონისძიებების მრავალფეროვანი ხასიათიდან და მასში ჩართული პირების რიცხვოვნებიდან გამომდინარე, მართვის პროცესში საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება არცთუ იშვიათი მოვლენაა. ასეთი ზიანის პრევენციისა და მისი დადგომის შემთხვევაში რეპრესიული მექანიზმის არსებობისთვის წინამდებარე კანონით გათვალისწინებულია 221-ე მუხლი. ამ მუხლით განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტები და პასუხისმგებლობის ინიციირების პროცედურები.

უპირველეს ყოვლისა, კანონის წინამდებარე მუხლში დეკლარირებულია იმ ორგანოთა კატალოგი, რომელთაც პასუხისმგებლობის ინიციირების უფლება აქვთ. ასეთებია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო, ამავე, ორგანოთა უფლებამოსილებების ფარგლებში.

ზოგადად სააქციო საზოგადოების სახელითა და სასარგებლოდ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს საზოგადოების ხელმძღვანელ პირს. თუმცა ინვესტიციათა დაცვის მიზნით, წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს შესაძლებლობას, საერთო კრებამ მიიღოს გადაწყვეტილება და დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელ ორგანოს, რომ მათ მოითხოვონ თანამდებობის პირებისაგან მოვალეობათა დარღვევით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამგვარი მოთხოვნა იქნება აქციონერის დერივაციული სარჩელის ალტერნატივა (თუმცა არა იდენტიური), რომელიც მინიჭებული აქვს საერთო კრებას, როგორც საზოგადოების ორგანოს.

კანონი არაობიექტური დაყოვნების პრევენციისათვის ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის რეალიზების განსაზღვრულ ვადასაც. კერძოდ, საერთო კრების გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ უნდა შესრულდეს გადაწყვეტილების მიღებიდან ნ თვის ვადაში. ამასთანავე, საერთო კრება, როგორც კოლექტიური ორგანო, აღნიშნული მოთხოვნის რეალიზებისთვის სარგებლობს სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის უფლებით.

მუხლი 222. აქციონერის სარჩელი სააქციო საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე

1. ერთ ან რამდენიმე აქციონერს უფლება აქვს, შეიტანოს სარჩელი საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად, მათ შორის, სააქციო საზოგადოების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებული სარგებლის სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემის ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობის მოთხოვნით.
2. აქციონერი სათანადო მოსარჩელედ მიიჩნევა, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
 - ა) მის მიერ სარჩელის აღძვრის მოთხოვნით სააქციო საზოგადოებისთვის წერილობით მიმართვიდან გასულია 90 დღე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააქციო საზოგადოება ამ ვადის გასვლამდე უარს იტყვის სარჩელის აღძვრაზე ან აღნიშნული ვადის დაცვამ შეიძლება სააქციო საზოგადოებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს;
 - ბ) სასამართლო დაადგენს, რომ აქციონერის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ ეწინააღმდეგება სააქციო საზოგადოების უპირატეს ინტერესს.
3. სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, სარჩელის შემტან აქციონერთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს ჩაენაცვლოს მას.
4. სასამართლოს მიერ აქციონერის სათანადო მოსარჩელედ მიჩნევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია მას გონივრულ ფარგლებში აუნაზღაუროს სარჩელთან დაკავშირებით განეული ხარჯები. სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება სააქციო საზოგადოებისთვის საზიანო აღმოჩნდა. თუ აქციონერი არასათანადო

მოსარჩელედ იქნა მიჩნეული, მას ეკისრება სააქციო საზოგადოების მიერ გონივრულ ფარგლებში განეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოიშვა.

სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ხელმძღვანელ ორგანოს აქვს. შესაბამისად, საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებაც. ცალკეულ შემთხვევებში ამ ორგანოს ნევრები, მიუხედავად საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის არსებობისა, შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ არ აღძრან სარჩელი. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებას ზიანი სწორედ ხელმძღვანელმა პირმა მიაყენა. შესაბამისად ასეთი შემთხვევების წინააღმდეგ აუცილებელი ხდება იმგვარი ბალანსის შექმნა, სადაც აქციონერებს გამონაკლის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით მიეცემა შესაძლებლობა, აღძრან სარჩელი საზოგადოების სასარგებლოდ იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას. სწორედ ამგვარი სარჩელის აღძვრისთვის ქმნის ნორმატიულ საფუძველს კანონის 222-ე მუხლი.

კანონის მიხედვით, აქციონერს ან აქციონერებს უფლება აქვთ, შეიტანონ სარჩელი თავისი სახელით და სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად. ასეთი სარჩელის ფარგლებში წარმოება უმეტესწილად სააქციო საზოგადოების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ მიმდინარეობს. სარჩელის მოთხოვნის საგანი კი შეიძლება იყოს საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ზიანის ნაცვლად სააქციო საზოგადოებისთვის მიღებული სარგებლის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

დერივაციული სარჩელი აღიძვრება სხვათა მოქმედებებზე საპასუხოდ, იმ პირის მიერ, რომელიც, ჩვეულებრივ არ არის უფლებამოსილი, გამოვიდეს სასამართლოში საზოგადოების სახელით. შესაბამისად, ასეთი საგამონაკლისო უფლებით ხშირი და გაუმართლებელი სარგებლობით ირღვევა კორპორაციული მართვის სუბიექტებს შორის ეფექტიანი კორპორაციული მართვისთვის შექმნილი კომპეტენციათა დანაწილება და ამით მიღწეული ბალანსი. გარდა ამისა, სასამართლო დავამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს სააქციო საზოგადოებას, როგორც ფინანსური, ისე რეპუტაციული თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, დერივაციული სარჩელით სარგებლობისთვის კანონი ადგენს მნიშვნელოვან და აუცილებელ პროცედურულ ბარიერებს. კერძოდ, აქციონერი სათანადო მოსარჩელედ მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (1) სასამართლოსთვის მიმართვამდე აქციონერი სარჩელის აღძვრის მოთხოვნით მიმართავს სააქციო საზოგადოებას წერილობითი ფორმით; (2) წერილობითი მიმართვიდან 90 დღე გავა ისე, რომ სააქციო საზოგადოება არ აღძრავს სარჩელს. 90 დღის მოცდის ვალ-

დებულება შეწყდება იმ მომენტიდან, როდესაც სააქციო საზოგადოება უარს იტყვის სარჩელის აღძვრაზე. ასევე, ამ ვადის დაცვის საჭიროება არ არსებობს თუ ამან შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სააქციო საზოგადოებას; (3) ამის შემდგომ აქციონერი მიმართავს სასამართლოს; (4) ბოლო ეტაპზე სასამართლომ უნდა დაადგინოს აქციონერის მოთხოვნის დაკმაყოფილება დერივაციული სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებით ხომ არ ეწინააღმდეგება სააქციო საზოგადოების უპირატეს ინტერესს. აღნიშნული პროცედურების გავლით აქციონერი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ.

დერივაციული სარჩელი განსხვავდება ინდივიდუალური სარჩელისაგან იმდენად, რამდენადაც ის აღიძვრება აქციონერის სახელით, თუმცა სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ. შესაბამისად, სარჩელის ბენეფიციარს – სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ჩაენაცვლოს სარჩელის შემტან აქციონერს, თუმცა მხოლოდ ამ შეთანხმებით არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, აქციონერს უფლება აქვს დაეთანხმოს ამ ჩანაცვლებას ან თავად განაგრძოს დავა.

ამავე ქრილში აქტუალურობას იძენს ხარჯების გადანაწილების საკითხი. სასამართლოს მიერ აქციონერის სათანადო მოსარჩელედ მიჩნევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერს აუნაზღაუროს ხარჯები. ამ ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს გონივრულ ფარგლებში. სააქციო საზოგადოება გათავისუფლდება ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა სააქციო საზოგადოებისათვის. ასეთი ზიანი შეიძლება გულისხმობდეს ანაზღაურებულ და განუღებ ხარჯებს შორის ნეგატიურ ბალანსს, სააქციო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორის დაკარგვას და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ, აქციონერს ასევე დაეკისრება სააქციო საზოგადოების მიერ იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ასეთი ხარჯები შეიძლება იყოს მაგალითად იურიდიული მომსახურების ხარჯი და ის გონივრულ ფარგლებში უნდა იქნეს ანაზღაურებული.

მუხლი 223. მნიშვნელოვანი გარიგება

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მნიშვნელოვან გარიგებად მიიჩნევა გარიგება ან ერთი მიზნისთვის განკუთვნილი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული გარიგება, რომელიც/რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოების ქონების (სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების) 25 პრო-

ცენტის ან მეტის შექმნასთან, გასხვისებასთან ან უფლებრივად დატვირთვასთან.

2. სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულება დგინდება ბოლო ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე. გამონაკლისია ის გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობასთან, სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების ხელმოწერის (რეალიზაციის) მეშვეობით განთავსებასთან, აგრეთვე სააქციო საზოგადოების მიერ ჩვეულებრივ აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან.

სააქციო საზოგადოების ღიაობიდან გამომდინარე, დივერსიფიცირებულ აქციონერთა სტრუქტურის გამო, ეფექტიანი კორპორაციული მართვისათვის აუცილებელი ხდება ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების სპეციალური ორგანოს – ხელმძღვანელი ორგანოს ხელში მოქცევა. შესაბამისად, საზოგადოების აქციონერს, რომელსაც ამ საზოგადოების კაპიტალში წილი ეკუთვნის, არ აქვს პირდაპირი შესაძლებლობა, დადოს ან უარი თქვას კონკრეტული გარიგების დადებაზე. ასეთ დროს აქციონერის ინტერესის დაცვისათვის მნიშვნელობას იძენს იმ გადაწყვეტილებებში უშუალო მონაწილეობის აუცილებლობა, რომელმაც შესაძლებელია, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინვესტიციას. სწორედ ამიტომ კანონის 223-ე მუხლით დადგენილია მნიშვნელოვანი გარიგებების ცნება, რომელიც კანონის შემდგომ მუხლში ექვემდებარება დადების სპეციალურ წესს.

მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს მნიშვნელოვანი გარიგების ცნებას. ეს ცნება შეიძლება სააქციო საზოგადოების საოპერაციო არეალების, კაპიტალის სიდიდის, აქციონერთა სტრუქტურის და სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების გამო, შეიცვალოს სააქციო საზოგადოების წესდებით. იმ შემთხვევაში კი, თუ აქციონერები წესდებით სპეციალურად არ განსაზღვრავენ ასეთ ცნებას, მნიშვნელოვან გარიგებად ჩაითვლება გარიგება ან ერთი მიზნისთვის განკუთვნილი ურთიერთდაკავშირებული რამდენიმე გარიგება, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია სააქციო საზოგადოების ქონების (სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების) 25 პროცენტის ან მეტის შექმნასთან, გასხვისებასთან ან უფლებრივ დატვირთვასთან. ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მნიშვნელოვანი გარიგების ცნება მიბმულია არა განთავსებული კაპიტალის, არამედ საბალანსო ქონების ოდენობასთან.

სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულება დადგინდება ბოლო ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე. ამ წესიდან გამონაკლისია ის გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობასთან, სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების

ხელმოწერის (რეალიზაციის) მეშვეობით განთავსებასთან, ან სააქციო საზოგადოების მიერ ჩვეულებრივ აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან.

მუხლი 224. მნიშვნელოვანი გარიგების დადების წესი

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მნიშვნელოვანი გარიგების დადებაამდე მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის ან საერთო კრების თანხმობა, იმის მიხედვით, თუ როგორ ანაწილებს ასეთი გარიგების დადების თანხმობისთვის ორგანოთა შორის კომპეტენციას კანონი ან წესდება.
2. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ მნიშვნელოვანი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას, რომლის ღირებულება შეადგენს სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 25-დან 50 პროცენტამდე, იღებს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ან საერთო კრება, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი ან საერთო კრება.
3. იმ მნიშვნელოვანი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას, რომლის ღირებულება შეადგენს სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტზე მეტს, იღებს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
4. მნიშვნელოვანი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმ პირის თაობაზე, რომელიც ამ გარიგების მხარეა, აგრეთვე ინფორმაციას აღნიშნული გარიგების ღირებულების, საგნისა და სხვა არსებითი პირობების შესახებ.
5. თუ მნიშვნელოვანი გარიგება შეიცავს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების ნიშნებს, მის მიმართ გამოიყენება ამ კანონით ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებისთვის დადგენილი ნორმები.
6. მნიშვნელოვანი გარიგება, რომლის მიმართ დარღვეულია ამ კანონით დადგენილი ნორმები ქონების ღირებულების განსაზღვრის ან თანხმობის გაცემის წესის შესახებ, საცილოა იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მეორე მხარემ იცოდა, რომ ეს გარიგება მნიშვნელოვანი გარიგების დადებისთვის დადგენილი წესების დარღვევით დაიდო.

7. თუ სააქციო საზოგადოება რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოების აქციონერისგან შეიძენს აქტივს, რომლის ღირებულება შეადგენს საკუთარი განთავსებული კაპიტალის არანაკლებ 10 პროცენტს, ამ გარიგებასთან დაკავშირებით უნდა შედგეს დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში. ეს ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონის 152-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად. იგი უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარიგება დაიდო სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ან საფონდო ბირჟაზე განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებით.

თავისთავად მნიშვნელოვანი გარიგების ცნების არსებობას აზრი ეკარგება, თუ არ იარსებებს ასეთი გარიგების დადების განსაკუთრებული წესი. მნიშვნელოვანი გარიგების დადების წესის განსაზღვრა სააქციო საზოგადოების შიდაკორპორაციული საკითხია. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ წესდებით არ არის სპეციალური რეგულირებები გათვალისწინებული, ხელმძღვანელი ორგანო მნიშვნელოვანი გარიგების დადებამდე მოვალეა, მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების, ხოლო მონისტურ სისტემაში არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის ან საერთო კრების თანხმობა. ამ შემთხვევაში თუ საზოგადოებას რამდენიმე არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი ჰყავს, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესთან ანალოგიის გზით, თანხმობა მიღებულ უნდა იქნეს ამ პირთა უმრავლესობისგან. თანხმობის გაცემა კონკრეტულად ამ ორგანოთაგან, რომელთა კომპეტენციას განეკუთვნება იგი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე, კერძოდ, იმაზე, თუ როგორ ანაწილებს ასეთი ტიპის გარიგების დადების თანხმობისთვის ორგანოთა შორის კომპეტენციას კანონი ან სააქციო საზოგადოების წესდება.

კანონი მნიშვნელოვან გარიგებაზე თანხმობის გამცემი ორგანოს განსაზღვრას უკავშირებს ასეთი გარიგების მოცულობას. კერძოდ, გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი გარიგების დადებაზე თანხმობის შესახებ, რომლის ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 25%-დან 50%-მდე შეადგენს, მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების, ხოლო მონისტურ სისტემაში არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირების ან საერთო კრების მიერ. იმ შემთხვევაში კი, თუ მნიშვნელოვანი გარიგების მოცულობა აჭარბებს საბალანსო ღირებულების 50%-იან ზღვარს, მაშინ საკითხი ექცევა საერთო კრების ექსკლუზიურ კომპეტენციაში და თანხმობა გაიცემა კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობის მიერ.

მნიშვნელოვანი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმ პირის თაობაზე, რომელიც არის ამ გარიგების

მხარე, ასევე, ინფორმაციას გარიგების ღირებულების, გარიგების საგნისა და სხვა არსებითი პირობების შესახებ. თუ მნიშვნელოვანი გარიგება შეიცავს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების ნიშნებს, მაშინ კრების მიერ გადანყვეტილების მიღებისას ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებისთვის კანონით დადგენილი ნორმები.

კანონით განისაზღვრება გარიგების დადების წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგებიც. კერძოდ, მნიშვნელოვანი გარიგება, რომლის მიმართ დარღვეულია დადგენილი ნორმები ქონების ღირებულების განსაზღვრის ან თანხმობის წესის შესახებ, საცილოა. ამისთვის აუცილებელია, გარიგების მეორე მხარემ იცოდეს ან მას უნდა სცოდნოდა, რომ გარიგება დადებულია მნიშვნელოვანი გარიგების დადებისათვის გათვალისწინებული წესების დარღვევით.

კანონით მნიშვნელოვანი გარიგების ცნების ქვეშ ექცევა ის შემთხვევაც, რომლის დროსაც იქმნება აქციონერის მიერ არაპირდაპირი გზით საკუთარი შენატანის უკან გატანის საფრთხე. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოება შეიძენს აქტივს სააქციო საზოგადოების აქციონერისგან, რომლის ღირებულება საკუთარი განთავსებული კაპიტალის არანაკლებ 10%-ია, ამ გარიგების მიმართ უნდა შედგეს ექსპერტის ანგარიში და უნდა გამოქვეყნდეს. ასევე, ასეთი გარიგება უნდა დამტკიცდეს საერთო კრების მიერ. აღნიშნული წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულება დაიდო საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ან საფონდო ბირჟაზე განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებით.

მუხლი 225. მინორიტარი აქციონერის აქციის სავალდებულო მიყიდვა

1. თუ აქციონერს აქციების შეძენის შედეგად საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების არანაკლებ 95 პროცენტისა, ამ აქციონერს (ამ მუხლის მიზნებისთვის – მყიდველი) უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.
2. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადანყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს განსაზღვრავს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადანყვეტილებით.
3. მყიდველი სასამართლოსთვის მიმართვამდე არაუგვიანეს 1 თვისა აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. ეს

განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქციათა გამოსყიდვის მიზეზების/პირობების და პროცედურების შესახებ.

4. აქციათა რეესტრის მწარმოებელი პირი (ამ მუხლის მიზნებისთვის – რეგისტრატორი) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს ამ თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა ყველა ნომინალურ მფლობელს აცყობინებს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ოპერაციები, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისა. რეგისტრატორი ადგენს ყველა რეგისტრირებული მესაკუთრის სიას გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით (ამ სიაში მიეთითება მათი ვინაობა, მისამართები და მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობა) (გამოსყიდვის რეესტრი) და მყიდველის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ქმედებათა განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტების (მათ შორის, აქციათა გამოსასყიდი თანხის სრულად დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი) წარდგენის საფუძველზე ყველა აქციას მყიდველის სახელზე გადააფორმებს. რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი. მყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე კომერციულ ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

აქციების სავალდებულო გამოსყიდვის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში თითქმის წარმოუდგენელი ხდება სატენდერო პროცესის წარმატებით დასრულება. ნებისმიერი მსხვილი ინვესტიცია, საზოგადოებაში წვრილი აქციონერების დარჩენის შემთხვევაში, ავტომატურად ხდება პოტენციური რისკის მატარებელი. კერძოდ, მინორიტარ აქციონერს რჩება გამუდმებული ობსტრუქციის შესაძლებლობა, რაც, თუნდაც, რისკის დონეზე ავტომატურად ინვესს საზოგადოების აქციათა ღირებულების შემცირებას. შესაბამისად, მაჟორიტარ აქციონერს რჩება ერთადერთი შესაძლებლობა – გადაიხადოს საბაზრო ფასზე გაცილებით დიდი თანხა მინორიტარ აქციონერთა აქციების გამოსასყიდად. ასეთი სამომავლო პერსპექტივის გამო წვრილ აქციონერთა უმრავლესობა სატენდერო პროცესის დაწყებისთანავე თავს იკავებს აქციათა გაყიდვისაგან, რათა შემდგომში ინვესტორზე არაკეთილსინდისიერი ზეგავლენის მოხდენის გზით მიიღოს ზემოაღნიშნული სარგებელი. შედეგად, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი ხდება საზოგადოების ეფექტური დაპატრონება, როგორც ფინანსური, ისე მისი დინამიკის თვალსაზრისით.

აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის საკითხი ვერ იქნება განხილული, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაზე სათანადო ყურადღების გამახვილების გარეშე. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო არა აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი, არამედ მაშინ არსებული ნორმა, რომელიც არ იძლეოდა გამოსყიდვის აუცილებელი წინაპირობების დადგენისა და სამართლიანი ფასის განსაზღვრის სამართლიან პირობებს. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებიდანაა ნაკარნახევი მოქმედ კანონმდებლობაში, კერძოდ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აქციათა სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებით არსებული ნორმები.

ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემთავაზებლის უფლება, დანარჩენმა აქციონერებმა მას მიჰყიდონ კუთვნილი აქციები სამართლიან ფასად. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების პროცესის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც უფლებამოსილი არიან, საკუთარი სამართლებრივ-ეკონომიკური კულტურის გათვალისწინებით, თავად განსაზღვრონ აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურები.

სწორედ ზემოაღნიშნულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მისაღწევად და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან წინააღმდეგობის პრევენციისთვის კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს როგორც აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურულ ნაწილს, ისე სამართლიანი ფასის განსაზღვრის საკითხს.

კანონით თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერის საკუთრებაში აღმოჩნდება სააქციო საზოგადოების ხმების არანაკლებ 95%, ამ აქციონერს უფლება ენიჭება, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის, მათ შორის გამოსყიდვის თარიღისა და სამართლიანი ფასის განსაზღვრის უფლებამოსილება რჩება სასამართლოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

პროცედურის დაწყების პირველ ეტაპზე, მყიდველი, სასამართლოსთვის მიმართვამდე არა უგვიანეს 1 თვისა, აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების/პირობებისა და პროცედურების შესახებ. განცხადების საფუძველზე აქციათა რეესტრის მწარმოებელი პირი სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღამდე არა უგვიანეს 5 დღისა ყველა ნომინალურ მფლობელს ატყობინებს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი – ეს არის დღე, როდესაც შედგება სია რეგისტრირებული აქციონერებისა, რომლებიც ჩაითვლებიან იმ სუბიექტებად, რომელთა-

განაც მოხდება აქციების გამოსყიდვა. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. რეგისტრატორი ადგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას, მათი ვინაობის, მისამართისა და მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობის მითითებით (გამოსყიდვის რეესტრს) და მყიდველის მიერ აქციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საპროცესო კოდექსით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე ყველა აქციას გადააფორმებს მყიდველის სახელზე.

კანონი ასევე განსაზღვრავს როგორც გამოსყიდვის პროცედურული ნაწილის დაფინანსების, ისე იმ აქციონერების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს, რომლებსაც განაც გამოსყიდულ უნდა იქნეს აქციები, კერძოდ, რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი; ასევე, მყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

თავი XV. კოოპერატივი


მუხლი 226. კოოპერატივის ცნება

1. კოოპერატივი არის ნევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან ნევრთა ეკონომიკური თუ სოციალური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება, რომლის ამოცანაა მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და რომლის უპირატესი მიზანი არ არის მოგების მიღება.
2. კოოპერატივებს მიეკუთვნება:
 - ა) ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივი, რომელიც ნედლეულს საკუთარი წევრებისთვის მოიპოვებს;
 - ბ) სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივად გამსაღებელი კოოპერატივი;
 - გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნის დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის განმახორციელებელი კოოპერატივი (სასოფლო-სამეურნეო და სანარმოო კოოპერატივი);
 - დ) მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო ვაჭრობის წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი რეალიზაციის განმახორციელებელი კოოპერატივი;
 - ე) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ან სარეწისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემძენი, მწარმოებელი ან მათი ერთობლივად გამომყენებელი კოოპერატივი;
 - ვ) სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივი;
 - ზ) სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივი, რომლის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონით;
 - თ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი;
 - ი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება ამ კანონითა და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით.
3. კოოპერატივი საკუთარი ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

საკორპორაციო-სამართლებრივი კანონმდებლობის უმთავრესი ამოცანაა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველთათვის ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე წარმონაქმნების – მენარმის სამართლებრივი ფორმების

შეთავაზებაა. ამ სამართლებრივი ფორმების მეშვეობით პირი ან პირთა ჯგუფი ორგანიზებულად წარმართავს მოგების მიღებისაკენ მიმართულ საქმიანობას. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველთათვის კანონმდებლის მიერ შეთავაზებული მენარმის სამართლებრივი ფორმებიდან ერთ-ერთი კოოპერატივია. კოოპერატივი სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან მიზნობრივად მნიშვნელოვნად განსხვავებული ორგანიზაციული ერთეულია. კოოპერატივის უნიკალურობა გამოიხატება იმით, რომ იგი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა ეკონომიკური თუ სოციალური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება, რომლის უპირატესი ამოცანა არის არა მოგების მიღება, არამედ უშუალოდ მის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

კოოპერატივი იქმნება სხვადასხვა სფეროებში მის წევრთა კოორდინებული, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფარგლებში ოპერირების მხარდაჭერისათვის. სწორედ ოპერირების არეალების მიხედვით ხდება კოოპერატივების კლასიფიცირება. მთლიანობაში კანონი იძლევა ცხრა ტიპის კოოპერატივის შექმნის შესაძლებლობას:



მუხლი 227. კოოპერატივის დამფუძნებლები

1. კოოპერატივის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური პირები, ისე იურიდიული პირები.

2. კოოპერატივის დასაფუძნებლად აუცილებელია სულ მცირე 5 დამფუძნებელი.

კოოპერატივი არის ნევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან ნევრთა ეკონომიკური თუ სოციალური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამენარმეო საზოგადოება. შესაბამისად, კოოპერატივის არსებობა არსობრივად და მიზნობრივად უკავშირდება რამდენიმე პირის ერთობლივ, კოორდინებულ საქმიანობას, მათ თანამშრომლობას. კანონის მიხედვით, ასეთ პირთა რაოდენობა, სულ მცირე, 5 უნდა იყოს. ამასთანავე, კოოპერატივის ნევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

მუხლი 228. კოოპერატივის განთავსებული კაპიტალი

1. წესდებით შეიძლება განისაზღვროს კოოპერატივის განთავსებული კაპიტალი.
2. კოოპერატივის ნევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.
3. კოოპერატივის განთავსებული კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს კოოპერატივში დამატებითი ნევრების მიღებით და მათ მიერ შენატანების განხორციელებით, აგრეთვე კოოპერატივის ნევრების მიერ დარჩენილი შენატანის სრულად განხორციელებით ან დამატებითი შენატანების განხორციელებით.

კოოპერატივის ფუნქციონირება მის ნევრთა ძალისხმევის გაერთიანებასთან არის დაკავშირებული. ეს გაერთიანება თავის თავში შეიძლება მოიცავდეს კოოპერატივის ნევრების საკუთრებაში არსებული მცირე აქტივების აკუმულირებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება ერთი, კოოპერატივის ქოლგის ქვეშ მობილიზებული, მთლიანი კონკურენტული აქტივი. კანონი არ ზღუდავს კოოპერატივის ნევრებს, თავად განსაზღვრონ კოოპერატივის განთავსებული კაპიტალის ოდენობა. წინამდებარე მუხლი, ასევე, იძლევა კოოპერატივის კაპიტალის გაზრდის მეთოდების კატალოგს. კერძოდ, კოოპერატივის კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს:

დამატებითი ნევრების მიღებისა და მათ მიერ შენატანების განხორციელების შედეგად

ნევრების მიერ დარჩენილი შენატანის სრულად შეტანის შედეგად

ნევრების მიერ დამატებითი შენატანების განხორციელების შედეგად

მუხლი 229. კოოპერატივის წევრთა რეესტრი

1. კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აწარმოოს კოოპერატივის წევრთა რეესტრი, რომელშიც შეიტანება კოოპერატივის თითოეული წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე მისი პაის ოდენობა და კატეგორია.
2. კოოპერატივის წევრთა რეესტრი კოოპერატივის ყველა წევრისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კოოპერატივის ვებგვერდზე, თუ კოოპერატივს აქვს ვებგვერდი. ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება ხელმძღვანელ ორგანოს.
3. კოოპერატივში წევრის მიღება, კოოპერატივიდან წევრის გასვლა, პაის შეცვლა ან ახალი პაის შექმნა იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ კოოპერატივის წევრთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
4. კოოპერატივის წევრთა რეესტრში ის ფაქტი, რომლის რეგისტრაცია სავალდებულოა, უნდა დარეგისტრირდეს მისი წარმოშობიდან 1 თვის ვადაში.

სააქციო საზოგადოების მსგავსად, კოოპერატივის რეესტრი არ იწარმოება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. კანონის თანახმად, კოოპერატივის შემთხვევაში, რეესტრის წარმოება მოხდება განცალკევებულად, თავად კოოპერატივის მიერ. რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება კოოპერატივის ხელმძღვანელ ორგანოს.

კოოპერატივის წევრთა რეესტრი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია. სწორედ რეესტრში რეგისტრაციის შედეგად მოიპოვებს პირი კოოპერატივის წევრობას და ამავე რეესტრში რეგისტრაციის გაუქმებით გავა კოოპერატივიდან, რის შედეგადაც წარმოეშობა ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ასევე, რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებაა პაის შექმნისა და პაის შეცვლის საფუძველი. ამ ფუნქციიდან გამომდინარე, კანონი ხელმძღვანელ პირს აკისრებს ვალდებულებას, გახადოს რეესტრი კოოპერატივის წევრებისათვის მაქსიმალურად მარტივად მისაწვდომი.

მუხლი 230. პაი

1. კოოპერატივის წესდების მიხედვით, პაის გასხვისება შეიძლება დამოკიდებული იყოს ხელმძღვანელი ორგანოს თანხმობაზე.
2. კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვადასხვა კატეგორიის პაის.

3. ერთი და იმავე კატეგორიის პაის მფლობელებს აქვთ ერთნაირი უფლებები და მოვალეობები.

პაი არის კოოპერატივის წევრის ვალდებულება, რომ იგი კანონისა და წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შენატანს. ასევე, პაი წარმოშობს თანმდევი უფლებებს კოოპერატივში. შესაბამისად, იგი არის საკუთრების ობიექტი. ამასთან, კანონი იძლევა შესაძლებლობას, პაის გასხვისება დამოკიდებული იყოს ხელმძღვანელი ორგანოს თანხმობაზე.

კოოპერატივი წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებაა, თუმცა ეს არ გამორიცხავს კოოპერატივის შესაძლებლობას, მიზნის მისაღწევად მოიზიდოს კაპიტალი; ასევე, კოოპერატივი შესაძლებელია აერთიანებდეს კოოპერატივის მიმართ სხვადასხვა ინტერესისა და მოტივაციის მქონე პირებს. სწორედ ამიტომ კანონი იძლევა შესაძლებლობას, კოოპერატივში შეიქმნას სხვადასხვა კატეგორიის პაი. ერთნაირი უფლებებისა და მოვალეობების არსებობა შექმნის ერთი კატეგორიის პაის.

მუხლი 231. კოოპერატივში წევრის მიღება

1. კოოპერატივის კოოპერატივის წევრთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივის წევრობის მსურველის კოოპერატივის წევრად მისაღებად აუცილებელია მისი წერილობითი განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე.
2. კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო ხმათა უმრავლესობით. კოოპერატივის წევრად მიღებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს საერთო კრებაზე.
3. კოოპერატივის წევრად მიღების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა განახორციელოს კოოპერატივის წევრობის მსურველის კოოპერატივის წევრთა რეესტრში რეგისტრაცია. კოოპერატივის წევრობა წარმოიშობა კოოპერატივის წევრობის მსურველის განცხადების საფუძველზე მისი კოოპერატივის წევრთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
4. კოოპერატივის წევრობის მსურველის განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს კოოპერატივის წევრის ვალდებულება, რომ იგი კანონისა და წესდების შესაბამისად განახორციელებს დადგენილ შენატანს (შეიტანს პაის).
5. თუ წესდებით გათვალისწინებულია, რომ კოოპერატივის წევრმა დამატებითი შენატანი სრულად ან შეზღუდულად, მხოლოდ საგარანტიო თანხის ოდენობით უნდა განახორციელოს, კოოპერატივის წევრობის

მსურველის განცხადებაში უნდა აღინიშნოს, კოოპერატივის წევრი კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად სრულად განახორციელებს დამატებით შენატანს თუ გადაიხდის წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხას დადგენილი ოდენობით.

პირი კოოპერატივის წევრი შეიძლება ორი მეთოდით გახდეს: ერთი – ესაა კოოპერატივის ფორმირების ეტაპზე მის დაფუძნებაში მონაწილეობა და მეორე – კოოპერატივის წევრად მოგვიანებით შესვლა. კოოპერატივის ახალი წევრი წევრის სტატუსს შეიძენს კოოპერატივის რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. ამისათვის საჭიროა ორი კუმულაციური წინა პირობა: (1) მსურველის წერილობითი განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე და (2) ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ხმათა უმრავლესობით. ამასთან, კანონის მიხედვით, ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილება არ იქნება საბოლოო და მიღებაზე უარი შესაძლებელი იქნება, გასაჩივრდეს საერთო კრებაზე.

კოოპერატივის შესვლის თაობაზე განცხადებაში მსურველმა უნდა მიუთითოს, რომ იგი კანონისა და წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შენატანს. თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წევრებმა სრულად ან შეზღუდულად, მხოლოდ საგარანტიო თანხის ოდენობით, უნდა შეიტანონ დამატებითი შენატანები, მაშინ მსურველმა განცხადებაში უნდა აღნიშნოს, კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად სრულად გადაიხდის დამატებით შენატანს, თუ წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხას დადგენილი ოდენობით.

მუხლი 232. კოოპერატივის ინვესტორი წევრი

- 1. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს კოოპერატივში ინვესტორი წევრის მიღება.**
- 2. კოოპერატივის ინვესტორ წევრს წესდებით შეიძლება მიენიჭოს ვეტოს უფლება იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს ეხება.**
- 3. კოოპერატივის ინვესტორ წევრს არ შეიძლება ჰქონდეს ხმათა 25 პროცენტზე მეტი.**

კანონის სიახლეა კოოპერატივის ინვესტორი წევრის ცნების შემოტანა. არსობრივად კოოპერატივი წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული სამენარმეო საზოგადოებაა, რომელიც მიზნად ისახავს თავის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თუმცა ეს არ გამოორიცხავს კოოპერატივის შესაძლებლობას, დასახული მიზნის მისაღწევად მოიზიდოს დამატებითი კაპიტალი.

მსხვილი ინვესტორები, როგორც წესი, თავისი ინვესტიციის დასაცავად მოითხოვენ განსაკუთრებულ უფლებებს კორპორაციულ მართვაში. შესაბამისად, კანონის თანახმად, კოოპერატივის ინვესტორ წევრს წესდებით შეიძლება მიენიჭოს ვეტოს უფლება იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს შეეხება. ამასთან, ინვესტორ წევრს არ შეიძლება ჰქონდეს ხმათა 25%-ზე მეტი.

მუხლი 233. კოოპერატივის წევრობის შეწყვეტა

1. კოოპერატივის წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) წევრის გასვლა კოოპერატივიდან;
 - ბ) წევრის გარიცხვა კოოპერატივიდან;
 - გ) კოოპერატივის წევრის მიერ პაის გასხვისება;
 - დ) კოოპერატივის წევრი იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება;
 - ე) კოოპერატივის წევრის გარდაცვალება.
2. წესდება შეიძლება კოოპერატივის წევრობის შეწყვეტის სხვა საფუძვლებსაც ითვალისწინებდეს.

კოოპერატივის წევრს სხვადასხვა საფუძვლით შეიძლება შეუწყდეს წევრის სტატუსი. წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და პირის ნების მიღმა. კანონის 233-ე მუხლში მოცემულია კოოპერატივის წევრობის შეწყვეტის საფუძვლების არაამომწურავი კატალოგი, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს კოოპერატივის წესდებით. სულ კანონი იძლევა წევრობის შეწყვეტის 5 საფუძველს:



მუხლი 234. წევრის გასვლა კოოპერატივიდან

1. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს, გავიდეს კოოპერატივიდან. კოოპერატივიდან წევრის გასვლა დასაშვებია მხოლოდ სამეურნეო წლის ბო-

ლოს. კოოპერატივიდან გასვლის შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს წერილობით, გასვლამდე სულ ცოტა 3 თვით ადრე. წესდებით შეიძლება განისაზღვროს კოოპერატივიდან გასვლის უფრო ხანგრძლივი ვადა, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა.

2. თუ წესდებაში შეტანილ იქნა ისეთი ცვლილება, რომელიც არსებითად ცვლის კოოპერატივის საქმიანობის საგანს, კოოპერატივიდან გასვლის უფლება აქვთ:
 - ა) საერთო კრების მონაწილე კოოპერატივის წევრს, თუ მან გადაწყვეტილების მიმართ გამოხატა უარყოფითი პოზიცია, რომელიც შეტანილ იქნა საერთო კრების ოქმში, ან თუ ამ ოქმში აღნიშნული ინფორმაციის შეტანა უარყოფილ იქნა;
 - ბ) საერთო კრებაზე გამოუცხადებელ კოოპერატივის წევრს, თუ იგი კანონის ან წესდების მოთხოვნათა დარღვევით არ იქნა დაშვებული საერთო კრებაზე, ან თუ დაირღვა საერთო კრების მოწვევის პროცედურა, ანდა თუ მას გადაწყვეტილების საგანი ჯეროვნად არ გააცნეს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კოოპერატივიდან გასვლის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს გადაწყვეტილების კოოპერატივის შესაბამისი წევრისთვის გაცნობიდან 1 თვის განმავლობაში. კოოპერატივიდან წევრის გასვლა ფორმდება სამეურნეო წლის ბოლოს, მაგრამ წესდებაში ამ პერიოდში შეტანილი ცვლილება კოოპერატივიდან გამსვლელ წევრზე არ ვრცელდება.
4. კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კოოპერატივიდან წევრის გასვლის გამო ცვლილება შეიტანოს კოოპერატივის წევრთა რეესტრში.
5. კოოპერატივის წევრთა რეესტრში დაუყოვნებლივ უნდა მიეთითოს კოოპერატივიდან წევრის გასვლის დასაბუთებული მიზეზი. კოოპერატივის წევრი კოოპერატივიდან გასულად მიიჩნევა კოოპერატივიდან მისი გასვლის კოოპერატივის წევრთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

კანონის თანახმად, კოოპერატივის წევრს კოოპერატივიდან გასვლა შეეძლება მხოლოდ შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შედეგად, რათა საფრთხე არ შეექმნას კოოპერატივის ეფექტიან ფუნქციონირებას. კერძოდ, კოოპერატივიდან გასვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს, ამის თაობაზე 3 თვით ადრე გაკეთებული განცხადების საფუძველზე. ამასთანავე, კანონი იძლევა შესაძლებლობას, წესდებით დადგინდეს გასვლის უფრო ხანგრძლივი ვადა, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა.

კოოპერატივისა და გასვლის მსურველი წევრის გონივრულ ინტერესებს შორის კონფლიქტისას სამართლიანი ბალანსის მისაღწევად ზემოაღნიშნული

შეზღუდვა არ გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც წესდებაში შეიტანება ისეთი ცვლილება, რომელიც არსებითად შეცვლის კოოპერატივის საქმიანობის საგანს. ასეთ დროს კოოპერატივიდან გასვლის უფლება ზემოთ აღნიშნული შეზღუდვების გარეშე ენიჭება:

- კრების მონაწილე კოოპერატივის ყოველ წევრს, თუ მან გადაწყვეტილების მიმართ გამოხატა უარყოფითი პოზიცია, რაც შეტანილ იქნა ოქმში, ან, თუ ოქმში ამ ინფორმაციის შეტანა უარყოფილ იქნა;
- კრებაზე გამოუცხადებელ კოოპერატივის ყოველ წევრს, თუ იგი კანონის ან წესდების მოთხოვნათა დარღვევით არ იქნა დაშვებული კრებაზე, ან, თუ დარღვეული იყო კრების მონაწილის პროცედურა, ან, თუ გადაწყვეტილების საგანი ჯეროვნად არ იქნა გაცნობილი.

თუ სახეზეა გასვლის ზემოაღნიშნული, პატივსადავები საფუძველი, გასვლის შესახებ განცხადების შეტანა შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების შესაბამისი წევრისთვის გაცნობიდან 1 თვის განმავლობაში. განცხადების შეტანის შედეგად წევრის გასვლა გაფორმდება სამეურნეო წლის ბოლოს, თუმცა გამსვლელი წევრის მიმართ არ გავრცელდება წესდებაში ამ პერიოდის განმავლობაში შეტანილი ცვლილებები.

მას შემდეგ, რაც წევრი დატოვებს კოოპერატივს, შესაბამისი ცვლილების რეესტრში ასახვის ვალდებულება წარმოეშობა კოოპერატივის ხელმძღვანელ ორგანოს. ამასთან, წევრის გასვლასთან ერთად კოოპერატივის წევრთა რეესტრში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეტანილი ის დასაბუთებული მიზეზი, რამაც გამოიწვია კოოპერატივის წევრის გასვლა.

მუხლი 235. კოოპერატივიდან გასულ წევრთან ანგარიშსწორება

1. კოოპერატივიდან გასულ წევრთან ანგარიშსწორება ხორციელდება კოოპერატივიდან მისი გასვლის დღისთვის არსებული კოოპერატივის ბალანსის საფუძველზე პაის კომპენსაციით. კომპენსაცია იანგარიშება კოოპერატივიდან გასული წევრის შენატანისა და გაუნაწილებელ მოგებაში მისი წილის შესაბამისად.
2. კოოპერატივიდან გასულ წევრს კოოპერატივის სხვა ქონების მოთხოვნის უფლება არ აქვს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. კოოპერატივმა კოოპერატივიდან გასულ წევრთან ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს კოოპერატივიდან მისი გასვლიდან 6 თვის ვადაში.

კოოპერატივის წევრობიდან გასვლა წევრობაშენწყვეტილი პარტნიორისთვის წარმოშობს ანგარიშსწორების უფლებას. კერძოდ, კანონის თანახმად გასულ წევრთან ანგარიშსწორება პაის კომპენსაციის გზით უნდა მოხდეს მისი გასვლიდან ნ თვის ვადაში. კოოპერატივის გასულ წევრთან ანგარიშსწორება მოხდება კოოპერატივის მიმდინარე ბალანსის საფუძველზე და იგი გამოანგარიშდება გასული წევრის შენატანისა და გაუნანილებელ მოგებაში მისი წილის შესაბამისად. აღნიშნული არ ზღუდავს კოოპერატივის შესაძლებლობას, წესდებით გასულ წევრს მიენიჭოს სხვა ქონების მიმართ მოთხოვნის უფლებასაც.

მუხლი 236. წევრის გარიცხვა კოოპერატივიდან

1. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან.
2. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, თუ კოოპერატივის წევრმა ბრალეულად დაარღვია მისთვის დაკისრებული მოვალეობები, რითაც კოოპერატივის ზიანი მიაყენა.
3. კოოპერატივიდან წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს საერთო კრება.
4. კოოპერატივიდან გარიცხულ წევრთან ანგარიშსწორება ხორციელდება ამ კანონის 235-ე მუხლით დადგენილი წესით.

გარდა კოოპერატივიდან ნებაყოფლობით გასვლისა, კანონით დგინდება კოოპერატივიდან წევრის გარიცხვის შესაძლებლობაც. ამასთან, ამ შესაძლებლობით ბოროტად სარგებლობის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს გარიცხვის დეტალურ პროცედურას და მიუთითებს მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის აუცილებლობაზე, ასევე, ადგენს ასეთი საფუძვლის ცნებასაც. კერძოდ, მნიშვნელოვან საფუძველად ჩაითვლება მოვალეობების ბრალეული დარღვევა, რამაც გამოიწვია ზიანი.

კოოპერატივის წევრის გარიცხვის საკითხის წამოყენების კომპეტენცია ენიჭება კოოპერატივის ხელმძღვანელ ორგანოს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო იქნება საერთო კრება. შესაბამისად, კოოპერატივის წევრის მიერ ზიანის გამომწვევი ბრალეული დარღვევის გამოვლენისას ხელმძღვანელი ორგანო კოოპერატივის წევრის გარიცხვის თაობაზე წარდგინებით მიმართავს საერთო კრებას. თავის მხრივ, კრება შეისწავლის დარღვევის ხასიათს, მიყენებული ზიანის მასშტაბს, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

კანონის თანახმად, საერთო კრების გადაწყვეტილებით, გარიცხული წევრი არ კარგავს ანგარიშსწორების უფლებას. მასთან ანგარიშსწორება უნდა მოხდეს საერთო წესით, გარიცხვიდან ნ თვის განმავლობაში.

მუხლი 237. კოოპერატივის წევრის მიერ პაის გასხვისება

1. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს, სამეურნეო წლის განმავლობაშიც გაასხვისოს თავისი პაი და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე.
2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის სხვა წევრებს აქვთ პაის უპირატესი შესყიდვის უფლება.
3. პაის გასხვისებისას კოოპერატივიდან წევრის გასვლის თარიღად მიიჩნევა კოოპერატივიდან მისი გასვლის რეგისტრაციის დღე.

პაი საკუთრების უფლების ობიექტია. შესაბამისად, კოოპერატივის წევრს შეუძლია, თავისუფლად, კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრული წესით გაასხვისოს კუთვნილი პაი. პაის გასხვისება კი კოოპერატივის წევრობიდან გასვლის ერთ-ერთი მეთოდია. ამასთან, ეს მეთოდი კოოპერატივიდან გასვლის შედარებით მარტივი გზაა, ვინაიდან ასეთ დროს აღარ წარმოიშობა ანგარიშსწორებისა და კანონის 235-ე მუხლით დადგენილი პროცედურების გავლის საჭიროება.

მუხლი 238. კოოპერატივის წევრის გარდაცვალება

1. კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა მის მემკვიდრეებზე გადადის. კოოპერატივის წევრის მემკვიდრეებს შეუძლიათ საერთო კრებაზე ხმის უფლება მხოლოდ ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელონ.
2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში წევრობის გაგრძელება დამოკიდებული გახდეს მისი მემკვიდრის პიროვნულ შესაძლებლობებზე. მემკვიდრეობის რამდენიმე მემკვიდრის მიერ მიღების შემთხვევაში წესდებით შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს, რომ კოოპერატივის წევრობა შეწყდება, თუ იგი წესდებით განსაზღვრულ ვადებში კოოპერატივის წევრის ერთ-ერთ მემკვიდრეს არ გადაეცემა. ამ შემთხვევაში კოოპერატივის წევრობა

წყდება იმ სამეურნეო წლის ბოლოს, როდესაც სამკვიდრო გაიხსნა. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 235-ე მუხლით დადგენილი წესები.

3. კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შესახებ აღნიშნოს კოოპერატივის წევრთა რეესტრში.

კოოპერატივის წევრის გარდაცვალება იწვევს რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებას, რის შედეგადაც პირს უწყდება კოოპერატივის წევრობა. იმავდროულად, კანონი იძლევა კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის მისი მემკვიდრით ჩანაცვლების შესაძლებლობას. ასეთ დროს, კოოპერატივის ინტერესების დაცვის მიზნით, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ წევრობის გაგრძელება დამოკიდებულია მემკვიდრის პიროვნულ შესაძლებლობებზე.

რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში, წესდებით, ასევე, შეიძლება იყოს გათვალისწინებული, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს. ასეთ შემთხვევაში შეწყვეტა გამოიწვევს შესაბამისი პირების კომპენსირებას. იმ შემთხვევაში კი, თუ წესდება არ შეზღუდავს მემკვიდრეობით რამდენიმე მემკვიდრისათვის წევრობის გადაცემას, მემკვიდრეებს გაუჩნდებათ ვალდებულება, თავიანთი ხმის უფლება განახორციელონ საერთო წარმომადგენლის მეშვეობით

მუხლი 239. კოოპერატივის საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა ან სხვა, დამატებითი მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული.
2. წესდების ცვლილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით, თუ წესდებით ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.
3. წესდება შეიძლება კოოპერატივის ორგანოების წევრთა არჩევნებისთვის კენჭისყრის განსხვავებულ წესს ადგენდეს.
4. კოოპერატივის წევრს აქვს 1 ხმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 1 პაის ერთზე მეტი მფლობელი ჰყავს, რა დროსაც 1 პაის რამდენიმე მფლობელს აქვს 1 ხმა. წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პარტნიორთა ცალკე ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება.

კოოპერატივის კრება არის კოოპერატივის მართვაში მისი წევრების პირდაპირი მონაწილეობის უმთავრესი ინსტრუმენტი. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ფორუმი, სადაც კოოპერატივის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ კოოპერატივის განვითარების ძირითადი სტრატეგია; კოოპერატივის ბუნებიდან და ამოცანიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ერთობლივად, წევრებს შორის კოოპერირების გზით, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, კოოპერატივის მართვა ხორციელდება პარიტეტულ საწყისებზე. კერძოდ, კოოპერატივის ყოველ წევრს აქვს თითო ხმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პაის ერთზე მეტი მესაკუთრე ჰყავს, რა დროსაც ერთი პაის რამდენიმე მესაკუთრეს აქვს ერთი ხმა. სწორედ ამ მიზეზით, კოოპერატივი, ჩვეულებრივ, მსხვილი ინსტიტუციური ინვესტორებისათვის საინვესტიციოდ ნაკლებად მიმზიდველია. კერძოდ, მსხვილი ინვესტორები საკუთარი ინვესტიციის დასაცავად, როგორც წესი, დაინტერესებული არიან საზოგადოების მართვაში განსაკუთრებული უფლებებით. აქედან გამომდინარე, კანონი იძლევა შესაძლებლობას, წესდებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პარტნიორთან ცალკე ხელშეკრულებით დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება.

წინამდებარე მუხლი, ასევე, არეგულირებს საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესს. მიმდინარე საკითხებზე კოოპერატივის კრება გადაწყვეტილებას იღებს უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; უფრო მაღალი უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება დადგენილი წესდების ცვლილებაზე. კერძოდ, წესდების ცვლილება მიღებულ უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილე ხმების $\frac{3}{4}$ -ით, თუ წესდებით კიდევ უფრო მაღალი უმრავლესობა არ იქნება გათვალისწინებული. ასეთი მაღალი უმრავლესობის დადგენის მიზანი კოოპერატივის ინდივიდუალური წევრების დაცვის მაღალი სტანდარტის დადგენაა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში კოოპერატივების შექმნის მიმართ ინტერესის გაჩენას.

მუხლი 240. საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა

1. კოოპერატივის წევრები კოოპერატივის საქმიანობასთან დაკავშირებულ თავიანთ უფლებებს ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა საერთო კრების მუშაობაში და განახორციელოს თავისი ხმის უფლება.
3. ხმის უფლება არ შეიძლება გამოიყენოს იმ პირმა, რომლის საკითხსაც იხილავს საერთო კრება.

კანონის 240-ე მუხლი პრინციპის დონეზე განსაზღვრავს კოოპერატივის საერთო კრების დანიშნულებას და მასში კოოპერატივის წევრების მონაწილეობის საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში ხაზგასმულია საერთო კრების ძირითადი ფუნქცია – კოოპერატივის წევრებმა განახორციელონ კოოპერატივის მართვაში საკუთარი უფლებების რეალიზება. იგივე მუხლი ქმნის კოოპერატივის წევრის უფლების დაცვის უმთავრეს ინსტრუმენტს – თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით საერთო კრების მუშაობაზე და განახორციელოს ხმის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კრებაზე განიხილება მისი საკითხი.

მუხლი 241. საერთო კრების მოწვევა

1. საერთო კრება, გარდა ამ კანონითა და წესდებით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეული უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც.
2. პარტნიორთა წლიური კრება მოწვეული უნდა იქნეს წლიური ბალანსის შედგენიდან ოთხ თვის ვადაში.
3. საერთო კრებას იწვევს კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო, თუ კანონით ან წესდებით საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება სხვა პირსაც არ აქვს მინიჭებული. საერთო კრების მოწვევა ხელმძღვანელი ორგანოს მოვალეობაა.
4. საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ კოოპერატივის წევრთა 10 პროცენტი ან წესდებით გათვალისწინებული კოოპერატივის წევრთა სხვა რაოდენობა კონკრეტული მიზნის მითითებით წერილობით მოითხოვს საერთო კრების მოწვევას.
5. თუ საერთო კრების მოწვევის თაობაზე კოოპერატივის წევრთა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ კოოპერატივის წევრებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება.

საერთო კრების მოწვევის პროცედურული უზრუნველყოფა კოოპერატივის წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ქვაკუთხედიანია. კანონის 241-ე მუხლი ეთმობა საერთო კრების ფორმალური მხარის საკანონმდებლო რეგლამენტაციას. წინამდებარე მუხლის ფარგლებში მოწვევის უფლება იხილება საკითხები, როგორებიცაა: საერთო კრების გამართვის პერიოდულობა, საერთო კრების მოწვევაზე პასუხისმგებელი ორგანოები და გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების მოწვევის თაობაზე.

კოოპერატივის წევრების მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად კანონი ხელმძღვანელ ორგანოს ავალდებულებს, კრება მოინვიოს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან ნ თვის ვადაში. გარდა ყოველწლიური საერთო კრებისა, კოოპერატივის წევრების მოთხოვნით, შეიძლება, ასევე, გაიმართოს რიგგარეშე საერთო კრება. კანონის მიხედვით, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება, სულ მცირე, წევრთა 10%-ის წერილობითი მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილება აღნიშნული მოთხოვნა, კოოპერატივის წევრებს ენიჭებათ ამ უფლების სასამართლო წესით რეალიზების შესაძლებლობა.

მუხლი 242. საერთო კრების მოწვევის ვადა და დღის წესრიგი

1. საერთო კრება მოიწვევა მისი ჩატარების დღემდე სულ ცოტა 1 თვით ადრე, წესდებით დადგენილი წესით ან შესაბამისი ინფორმაციის მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით.
2. საერთო კრების დღის წესრიგი უნდა გამოცხადდეს მისი მოწვევისას მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე. საერთო კრების დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ნებისმიერი სხვა ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომლითაც მოიწვევა საერთო კრება.
3. იმ საკითხზე, რომელიც საერთო კრების გამოცხადებულ დღის წესრიგში შეტანილი არ არის, გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. გამონაკლისია საერთო კრების წარმართვისა და პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებები.
4. საერთო კრებამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მორიგი საერთო კრების ჩატარების დღის/თარიღის, ადგილისა და სავარაუდო დღის წესრიგის შესახებ.

კანონის 242-ე მუხლი ეთმობა კოოპერატივში საერთო კრების მოწვევის პროცედურულ საკითხებს. კრების მოწვევის ფორმალური მხარის სათანადო უზრუნველყოფა წევრის მიერ თავისი უფლებების დაცვის ქვაკუთხედიანია. შესაბამისად, ამ ფორმალურ პირობათა კანონის/წესდების დარღვევით განხორციელება საერთო კრებას არალეგიტიმურს ხდის.

ხელმძღვანელი ორგანოს მიერ საერთო კრება მოიწვევა, საერთო კრების ჩატარების დღემდე, სულ ცოტა, 1 თვით ადრე. საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გამოქვეყნდეს ორი წესით: (1) წესდებით განსაზღვრული წესით ან (2) მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით.

კანონის მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რა გზით მოხდება საერთო კრების მოწვევა, საერთო კრების დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე; ასევე, დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს სხვა ნებისმიერი ფორმით გავრცელებულ ინფორმაციაში, რომლითაც მოიწვევა საერთო კრება. დღის წესრიგის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ქონა პირდაპირაა დაკავშირებული კოოპერატივის წევრის მიერ თავისი ინტერესის დაცვის სტრატეგიის შემუშავებასთან. შესაბამისად, აუცილებელია, დღის წესრიგი იყოს სრული და ამომწურავი. იმ საკითხზე, რომელიც არ არის შეტანილი გამოცხადებულ დღის წესრიგში, გადანყვეტილების მიღება დაუშვებელია. ამ წესიდან გამონაკლისია ორი საკითხი, რომლებზეც გადანყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მისი დღის წესრიგში შეტანის გარეშე:

- თუ გადანყვეტილება შეეხება საერთო კრების წარმართვის პროცედურულ საკითხებს;
- თუ გადანყვეტილება შეეხება საგანგებო კრების მოწვევას.

მუხლი 243. განცხადება საერთო კრების მოწვევის შესახებ

1. საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) კოოპერატივის საფირმო სახელწოდებას;
 - ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილს, დღესა და დროს;
 - გ) მითითებას, ტარდება პარტნიორთა წლიური კრება თუ რიგგარეშე კრება;
 - დ) საერთო კრების დღის წესრიგს.
2. საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებზე წინადადებებისა და დამატებების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე.

წინამდებარე მუხლი საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადების რეკვიზიტების კატალოგს ქმნის. განცხადება საერთო კრების მოწვევის შესახებ, როგორც წესი, ძალიან მშრალი და ფორმალური ხასიათისაა. კერძოდ, მასში უნდა მიეთითოს კრების მოწვევის ის რეკვიზიტები, რომლებიც აუცილებელია კრების მონაწილეთა და კრების შინაარსის განსაზღვრისათვის, ასევე, მისი ჩატარების დროისა და ადგილის იდენტიფიცირებისათვის. აგრეთვე, წინამდებარე მუხლივე ადგენს ვალდებულებას, განცხადებაში აღინიშნოს დღის წესრიგის

საკითხებზე წინადადებებისა და დამატებების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ.

მუხლი 244. საერთო კრების ოქმი

1. საერთო კრების ოქმს ხელს აწერენ საერთო კრების თავმჯდომარე და კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოს ის წევრები, რომლებიც ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების მონვევის მასალები.
2. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს, გაეცნოს საერთო კრების ოქმს, აგრეთვე მიიღოს ამ ოქმის ასლი ან ოქმიდან ამონაწერი. საერთო კრების ოქმს კოოპერატივი ინახავს.

საერთო კრების ოქმი არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აღწერს საერთო კრების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას. ეს ჩანაწერი ხორციელდება საზოგადოების წიგნში და აქვს კოოპერატივთან დაკავშირებული ისტორიული მნიშვნელობა, ხელს უწყობს შემდგომი გაუგებრობებისა და დავების თავიდან აცილებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნორმა შედარებით მშრალი ხასიათისაა და ის მოქმედებს კანონის 39-ე მუხლთან ერთად, რომელსაც ამ სპეციალური რეგულირების შემავსებელი ფუნქცია აქვს.

კანონის მიხედვით, კოოპერატივის შემთხვევაში, კრების ოქმს ხელს უნდა აწერდნენ კრების თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ორგანოს ის წევრები, რომლებიც ესწრებოდნენ პარტნიორთა კრებას, ოქმს უნდა ერთოდეს კრების მონვევის მასალები.


კანონის შესაბამისად, თავისი უფლებების დაცვის მიზნით, კოოპერატივის ყოველ წევრს ენიჭება პარტნიორთა კრების ოქმის გაცნობის, ასევე მისი ასლის ან ოქმიდან ამონაწერის მიღების უფლება. ამ უფლების რეალიზებისათვის კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო ვალდებული იქნება, უზრუნველყოს ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შენახვა და მათი ხელმისაწვდომობა.

მუხლი 245. პარტნიორთა წლიური კრების კომპეტენცია

1. პარტნიორთა წლიური კრება კოოპერატივის უმაღლესი ორგანოა.
2. პარტნიორთა წლიური კრება გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:

- ა) წლიური ანგარიშის დამტკიცება;
 - ბ) კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წლის განმავლობაში განეული მუშაობის მონონება;
 - გ) წლიური მოგების გამოყენება ან წლიური ზარალის დაფარვა.
3. ანგარიში წლიურ ბალანსთან ერთად და ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება პარტნიორთა წლიური კრების ჩატარებამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე უნდა განთავსდეს კოოპერატივის ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში) და კოოპერატივის ოფისში ან/და კოოპერატივის ხელმძღვანელი პირის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე, რათა კოოპერატივის წევრებმა შეძლონ მათი გაცნობა.
4. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით მიიღოს მოთხოვნილი წლიური ანგარიშისა და ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები.

კოოპერატივის კრებაზე ხმის უფლება არის კოოპერატივის მართვასთან მისი წევრის დამაკავშირებელი ძირითადი ხიდი. კანონის 245-ე მუხლი ეთმობა კოოპერატივის წევრის მიერ ხმის უფლების რეალიზაციის ერთადერთ პირდაპირ ბერკეტს, კოოპერატივის საერთო კრებას. წინამდებარე მუხლის ფარგლებში წარმოდგენილია საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების პირველი ნაწილი, რომელიც შეეხება კოოპერატივის ფინანსურ მდგომარეობასა და კორპორაციული მართვის სხვა ორგანოების მუშაობის შეფასებას. კერძოდ, კრების კომპეტენციას განეკუთვნება:



ასევე, წინამდებარე მუხლშივეა წარმოდგენილი კოოპერატივის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელ დოკუმენტზე წვდომის საკითხები, რაც კოოპერატივის წევრის ინფორმირებულობის და შესაბამისად, მისი დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია. კერძოდ, წლიური ანგარიში ბალანსთან ერთად და ხელმძღვანელი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე, სულ ცოტა, 1 კვირით ადრე უნდა განთავსდეს კოოპერატივის ვებგვერდზე, თუ კოოპერატივს აქვს ვებგვერდი, ასევე, კოოპერატივის ოფისში ან/და ხელმძღვანელი პირის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას, რათა წევრებს მიეცეთ მათი გაცნობისა და ამის შედეგად საკუთა-

რი ინტერესების დასაცავად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. გაცნობის შესაძლებლობასთან ერთად, წინამდებარე მუხლით დადგენილია კოოპერატივის წევრის უფლება, მიიღოს ამ მასალების ასლები საკუთარი ხარჯით.

მუხლი 246. საერთო კრების ექსკლუზიური კომპეტენცია სხვა საკითხებთან დაკავშირებით

1. საერთო კრების ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება გადაწყვეტილებების მიღება შემდეგ საკითხებზე:
 - ა) კოოპერატივის წესდებაში ცვლილების შეტანა;
 - ბ) კოოპერატივის იურიდიული მისამართის შეცვლა;
 - გ) კოოპერატივის საფირმო სახელწოდების შეცვლა;
 - დ) პაის გაზრდა;
 - ე) დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულების შემოღება ან გაფართოება შესაბამისი პაის მფლობელის თანხმობით;
 - ვ) კოოპერატივის ინვესტორი წევრის მიღება ან მისი ხმის უფლების განსაზღვრა;
 - ზ) რამდენიმე ხმის უფლების დაწესება ან გაზრდა;
 - თ) პაის დაყოფა.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. საერთო კრების გადაწყვეტილებები ამ მუხლით გათვალისწინებულ იმ საკითხზე, რომლითაც წესდებაში ცვლილება შედის, აგრეთვე ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს.
4. საერთო კრების გადაწყვეტილებები ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე ძალაში შედის რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

კანონის 245-ე მუხლში წარმოდგენილი იყო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების პირველი ნაწილი, რომელიც შეეხება კოოპერატივის ფინანსურ მდგომარეობასა და კორპორაციული მართვის სხვა ორგანოების მუშაობის შეფასებას. წინამდებარე მუხლი კი იძლევა საერთო კრების დარჩენილ კომპეტენციათა კატალოგს. კერძოდ, გარდა 245-ე მუხლში გათვალისწინებული საკითხებისა, საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:



ასევე, წინამდებარე მუხლში მოწესრიგებულია გადაწყვეტილების დამოწმების პროცედურა და მისი ძალაში შესვლის საკითხები. კერძოდ, წესდების ცვლილება, იურიდიული მისამართის ცვლილება და საფირმო სახელწოდების შეცვლა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და ისინი ძალას შეიძენენ რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო სხვა საკითხები ძალაში შევა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

მუხლი 247. წარმომადგენელთა კრება

1. თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოწვევა წარმომადგენელთა კრება, ხოლო თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 200-ზე მეტია, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ საერთო კრების ნაცვლად წარმომადგენელთა კრება ჩატარდეს.
2. წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არის კოოპერატივის წევრი, გარდა კოოპერატივის ხელმძღვანელი პირისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა.
3. წარმომადგენელთა კრება შედგება სულ მცირე 50 წარმომადგენლისგან, რომლებსაც კოოპერატივის წევრები ირჩევენ. წარმომადგენელს არ აქვს თავისი უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემის უფლება.
4. წარმომადგენელი აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

5. პირი წარმომადგენლად არ შეიძლება აირჩეს 4 წელზე მეტი ვადით.
6. წესდებით უნდა განისაზღვროს:
 - ა) კოოპერატივის რამდენ წევრზე აირჩევა ერთი წარმომადგენელი;
 - ბ) წარმომადგენლობის ვადა.
7. წარმომადგენელთა არჩევნების ჩატარების წესის (მათ შორის, არჩევნების შედეგების განსაზღვრის) შესახებ დაწერილებითი დებულებები შეიძლება ჩამოყალიბდეს კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მიღებულ, ხოლო კოოპერატივის მართვის დუალისტური სისტემის შემთხვევაში – ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებულ საარჩევნო დებულებაში. ამისთვის საჭიროა საერთო კრების თანხმობა.
8. წარმომადგენელთა არჩევნების ჩატარების ვალდებულება ეკისრება ხელმძღვანელ ორგანოს.
9. თუ წარმომადგენელი უარს იტყვის წარმომადგენლობაზე ან სხვა მიზეზით ვერ შეძლებს თავისი საქმიანობის განხორციელებას, დარჩენილი ვადით უნდა აირჩეს ახალი წარმომადგენელი.
10. არჩეულ წარმომადგენელთა სია სულ ცოტა 2 კვირის განმავლობაში უნდა იყოს გამოქვეყნებული ან იმავე პერიოდით უნდა იყოს განთავსებული კოოპერატივის ოფისში და კოოპერატივის ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში), რათა კოოპერატივის წევრები გაეცნონ მას. არჩეულ წარმომადგენელთა უფლებამოსილება იწყება აღნიშნული სიის გამოქვეყნების ან განთავსების დღიდან. კოოპერატივის წევრს მოთხოვნისთანავე უნდა მიეცეს ამ სიის ასლი.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა ეკონომიკური თუ სოციალური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება. შესაბამისად, კოოპერატივის არსებობა არსობრივად და მიზნობრივად უკავშირდება რამდენიმე პირის ერთობლივ საქმიანობას, მათ თანამშრომლობას. ასეთ პირთა რაოდენობა, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე ასეულიც შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში, კოოპერატივის კრების ფარგლებში მათი შეკრება და კვორუმის მიღწევა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებსა და სხვა ობიექტურ სირთულეებთან. აქედან გამომდინარე, კოოპერატივის მართვაში მეტი მოქნილობის მისაღწევად კანონი იძლევა დამატებითი რგოლის – კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების შექმნის – შესაძლებლობას, რომელიც გარკვეულწილად ჩაანაცვლებს კოოპერატივის პარტნიორთა კრებას.

კანონის თანახმად, წარმომადგენელთა კრების შექმნა სავალდებულო იქნება იქ, სადაც კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია, ხოლო ფაკულტატიური, თუ წევრთა რაოდენობა 200-ზე მეტია. წარმომადგენელთა კრებაში შე-

იძლება არჩეულ იქნეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი და არჩევის დეტალური პროცედურები განისაზღვრება თავად კოოპერატივის მიერ. კერძოდ, წესდებაში უნდა განისაზღვროს, რამდენ წევრზე აირჩევა ერთი წარმომადგენელი და წარმომადგენლობის ვადა, ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ უნდა განსაზღვროს არჩევნების დეტალური წესები. თუმცა კანონი კოოპერატივის წევრთა დაცვის მიზნით მაინც ადგენს წარმომადგენელთა კრების წევრობასთან დაკავშირებულ რამდენიმე შეზღუდვას, კერძოდ: კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება უნდა შედგებოდეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არაუმეტეს 4 წლის ვადით არჩეული, სულ მცირე, 50 წარმომადგენლისაგან. ამასთან, ვინაიდან წარმომადგენელთა კრება კოოპერატივის უმაღლესი ორგანოა და მის კომპეტენციას განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი პირების საქმიანობის მონიტინგა, ამ უკანასკნელი ორგანოს წევრები არ შეიძლება არჩეულ იქნენ წარმომადგენლებად.

კანონის თანახმად, ხელმძღვანელი ორგანოს ორგანიზებით გამართული არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენელი უფლებამოსილებას შეიძენს წარმომადგენელთა სიის კოოპერატივის ოფისში, და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვერგვერდზე განთავსების დღიდან. ამასთან, წარმომადგენელს შეეძლება, ნებისმიერ დროს უარი თქვას წარმომადგენლობაზე. ამ ან სხვა მიზეზით უფლებამოსილების განუხორციელებლობისას დარჩენილი ვადით უნდა მოხდეს ახალი წარმომადგენლის არჩევა.

მუხლი 248. კოოპერატივის მართვის სისტემის/მოდელის არჩევის შესაძლებლობა

1. კოოპერატივს შეიძლება ჰქონდეს მართვის მონისტური ან დუალისტური სისტემა.
2. კოოპერატივის მართვის დუალისტური სისტემის შემთხვევაში ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები განაწილებულია ხელმძღვანელ ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის.
3. წესდებაში უნდა აღინიშნოს კოოპერატივის მართვის სისტემის არჩევის შესახებ. თუ წესდებაში არ არის აღნიშნული კოოპერატივის მართვის სისტემის არჩევის შესახებ, ივარაუდება, რომ გამოიყენება კოოპერატივის მართვის დუალისტური სისტემა.

კოოპერატივის ეფექტიანი მართვა მიიღწევა მმართველ ორგანოებს შორის კომპეტენციათა დანაწილებისა და ამ დანაწილების შედეგად მათ შორის

ურთიერთდამოკიდებულებისა და ბალანსის მიღწევის გზით. მსხვილი კოოპერატივების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი წევრთა დიდი რაოდენობაა. გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტთა რაოდენობის ზრდა პროპორციულად ზრდის ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოშობილ ტრანსაქციულ ხარჯებს. ასეთი ხარჯების დაზოგვის მიზნით, სააქციო საზოგადოების მსგავსად აუცილებელი ხდება მმართველობითი უფლებამოსილების მქონე განცალკევებული, შედარებით მოქნილი და მალაღეფექტური ორგანოს შექმნა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას. სხვა, შედარებით მცირე, კოოპერატივებში კი ასეთი ორგანოს ფორმირება შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებით, არაპროპორციულ ხარჯებთან. კანონი იძლევა არჩევანის თავისუფლებას კორპორაციული მართვის ერთ- და ორსაფეხურიან მოდელებს შორის. კერძოდ, შესაძლებელი იქნება, კოოპერატივის შიგნით ერთმანეთის პარალელურად ჩამოყალიბდეს ხელმძღვანელი ორგანო და მასზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო – სამეთვალყურეო საბჭო. ამის საპირისპიროდ, კოოპერატივში შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის მოდელი, რა დროსაც სამეთვალყურეო საბჭო განცალკევებული ორგანოს სახით არ იარსებებს.

გადაწყვეტილება კორპორაციული მართვის მოდელის თაობაზე მიიღება თავად კოოპერატივის მიერ, წესდებაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების გზით. იმ შემთხვევაში, თუ წესდებაში არ იქნება აღნიშნული კორპორაციული მართვის რომელიმე სისტემის არჩევის შესახებ, კანონის შესაბამისად, ჩაითვლება, რომ გამოყენებულია დუალისტური სისტემა.

მუხლი 249. კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო

1. კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო შედგება საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არაუმეტეს 15 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება წესდებით.
2. საერთო კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს, მისი საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, მიიღოს განსაზღვრული გასამრჯელო.
3. საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს გამოწვეული წევრობიდან.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება, იმავდროულად იყოს კოოპერატივის ხელმძღვანელი პირი ან მისი მოადგილე ან სხვაგვარად განახორციელოს კოოპერატივის ხელმძღვანელობა.
5. კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოდან გასული წევრი მისი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება არჩეულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

სამეთვალყურეო საბჭო კოლეგიური ორგანოა, სწორედ ამ პრინციპის გამყარებას უზრუნველყოფს კანონის 249-ე მუხლი. საბჭოს წევრთა შესაძლო მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის დადგენისას კანონში გათვალისწინებულ იქნა ე.წ. deadlock-ის საფრთხე და განისაზღვრა არანაკლებ სამი და არაუმეტეს 15 წევრი. წევრთა შესაძლო რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობის არსებობა მიზნად ისახავს კოოპერატივისთვის შესაძლებლობის მიცემას, ინდივიდუალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით იქნეს გადაწყვეტილი ხელმძღვანელი ორგანოს ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოს წევრთა რაოდენობა. სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს და მისი დაკომპლექტებისას, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება: კოოპერატივის კაპიტალი, წევრთა სტრუქტურა, საოპერაციო არეალები, მიზნები, ხელმძღვანელი პირები და სხვა ყურადსაღები ფაქტორები. ამ რაოდენობის განსაზღვრისას მიზანშეწონილია, კოოპერატივის წევრებმა შეარჩიონ კენტი ციფრი, რათა დაზღვეულ იქნეს ე.წ. deadlock-ის საფრთხე.

წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტი შეეხება საბჭოს წევრისთვის ანაზღაურების გადახდის საკითხებს. კერძოდ, მიეთითება, რომ საერთო კრების გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უფლება აქვთ, მათი საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო. აქვე მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სათანადო ანაზღაურების პოლიტიკის შექმნა. ამგვარმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, წევრის დამოუკიდებლობა, ხოლო მეორე მხრივ, პირის ინტერესების დაკავშირება კოოპერატივის ინტერესებთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია, კოოპერატივის წევრებმა საბჭოს წევრების ანაზღაურების განსაზღვრისას აღნიშნული პრინციპით იხელმძღვანელონ.

კანონის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტდება კოოპერატივის საერთო კრების, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმომადგენელთა კრების მიერ. საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. თუმცა, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ძირითადი ამოცანა ხელმძღვანელი ორგანოს კონტროლია, შეზღუდვა შეეხება ხელმძღვანელი პირების არჩევას სამეთვალყურეო საბჭოში. კერძოდ, კანონის

თანახმად, ხელმძღვანელი პირები ან მათი მოადგილეები, ან სხვაგვარად კოოპერატივის ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პირები არ შეიძლება, იმავდროულად, იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. აღნიშნული შეზღუდვა იმოქმედებს ხელმძღვანელი ორგანოდან გასულ წევრებზეც, მათი ანგარიშის დამტკიცებამდე პერიოდში.

მუხლი 250. კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

1. კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის კონტროლს ამ კანონითა და წესდებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.
2. სამეთვალყურეო საბჭო იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ხელმძღვანელ ორგანოს/ხელმძღვანელ პირს ანგარიში და უშუალოდ ან თავის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს კოოპერატივის დოკუმენტაცია. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, კოოპერატივის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში, წინადადებები წლიური მოგების განაწილების შესახებ და ამ შემოწმების შედეგები უნდა მოახსენოს პარტნიორთა კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე.
3. სამეთვალყურეო საბჭომ დადგენილი წესით უნდა მოიწვიოს საერთო კრება/წარმომადგენელთა კრება.
4. სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს თავისი ფუნქციების სხვა პირისთვის გადაბარების უფლება.
5. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია წარმოადგინოს კოოპერატივი მისი ხელმძღვანელი პირის წინააღმდეგ კოოპერატივის სახელით წარმართულ სამართლებრივ დავაში.
6. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ნებისმიერ კრედიტს, რომელსაც კოოპერატივი მისცემს თავის ხელმძღვანელ პირს, ან მის თავდებობას.

კანონის 250-ე მუხლი სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციასთან ნორმატიული კატალოგის შექმნას ემსახურება. საზოგადოდ, სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი უფლებამოსილება ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის კონტროლია. კანონის წინამდებარე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საბჭოს კომპეტენციას, რომელიც, ძირითადად, უკავშირდება საბჭოს უფლებამოსილებას,

იყოს სათანადოდ ინფორმირებული და ასეთი ინფორმირებულობის პირობებში მოახდინოს ხელმძღვანელი ორგანოს კონტროლი.

ასევე, ხაზი უნდა გაესვას სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, წარმოადგინოს კოოპერატივი ხელმძღვანელი პირის წინააღმდეგ კოოპერატივის სახელით წარმართულ სამართლებრივ დავებში. კოოპერატივის სახელითა და სასარგებლოდ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. თუმცა, კოოპერატივის დაცვის მიზნით, ვინაიდან, სავარაუდოა, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრი საკუთარი თავის წინააღმდეგ არ დაიწყებს სამართლებრივ დავას, წინამდებარე მუხლი იძლევა შესაძლებლობას, აღნიშნული უფლებამოსილება ხელმძღვანელი ორგანოს წევრის წინააღმდეგ განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.

წინამდებარე მუხლში წარმოდგენილი კატალოგი არ არის ამომწურავი. სამეთვალყურეო საბჭოს დამატებითი ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. ამასთან, ეფექტიანი კორპორაციული მართვის მისაღწევად, სადაც სხვადასხვა ორგანოს კომპეტენციათა შენონასწორების გზით მიღწეულია ბალანსი, წინამდებარე მუხლი ზღუდავს საბჭოს წევრის უფლებას, თავისი ფუნქციების შესრულება გადააბაროს სხვა პირებს.

მუხლი 251. კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო და მისი კომპეტენცია

1. კოოპერატივის მართვის მონიტორინგ სისტემაში კოოპერატივის ხელმძღვანელ ორგანოს მინიჭებული აქვს კოოპერატივის ხელმძღვანელობისა და მესამე პირებთან ურთიერთობაში კოოპერატივის წარმომადგენლობის უფლებამოსილება.
2. კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო შედგება არანაკლებ 2 წევრისგან, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. კოოპერატივის ხელმძღვანელ პირს არაუმეტეს 3 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება.
4. ხელმძღვანელი პირი ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გამოწვეული ხელმძღვანელი ორგანოს წევრობიდან, თუ ამ გადაწყვეტილებას საერთო კრების მონაწილეთა 2/3 დაუჭერს მხარს.
5. ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე აირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან ხმების უმრავლესობით. თუ საბჭო 2 წევრისგან შედგება, ისინი ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის ფუნქციებს მორიგეობით, ყოველწლიურად შეასრულებენ. სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის ზოგადი ნაწილით დადგენილი ნორმები ხელმძღვანელი ორგანოს შესახებ.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა ეკონომიკური თუ სოციალური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამენარმეო საზოგადოება. შესაბამისად, კოოპერატივის არსებობა არსობრივად და მიზნობრივად უკავშირდება რამდენიმე პირის ერთობლივ საქმიანობას, მათ თანამშრომლობას. ასეთ პირთა რაოდენობა, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე ასეულიც შეიძლება იყოს. შესაბამისად, შეუძლებელია კოოპერატივის საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთობლივად განახორციელონ მისმა წევრებმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოოპერატივში იქმნება განცალკევებული ორგანო, ხელმძღვანელი ორგანოს სახით, რომელსაც ევალება კოოპერატივის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება. იმავედროულად, კოოპერატივისთვის დამახასიათებელია მისი წევრების აქტიური და კოლექტიური ჩართულობა საზოგადოების მართვაში. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, კანონში ხაზი ესმება კოლექტიური მართვის პრინციპს და მიეთითება, რომ კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, ორი წევრისაგან, თუ წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, ისინი დაინიშნონ კონკრეტული ვადით. ამასთანავე, ასეთი დანიშვნის ვადა უნდა იყოს ისეთი ხანგრძლივობის, რომელიც დანიშნულ პირს მისცემს საკუთარი ხედვის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონით ხელმძღვანელი ორგანოს არჩევის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია არაუმეტეს 3 წელი. ასევე, ხელმძღვანელი პირი ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნეს ხელმძღვანელი ორგანოს წევრობიდან, თუ კრების მონაწილეთა 2/3-ი დაუჭერს მხარს ამ გადაწყვეტილებას.

კანონის მიხედვით, ხელმძღვანელი ორგანოს ორგანიზაციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, თავად ხელმძღვანელი ორგანო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს. ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს ორგანოს საქმიანობის კოორდინირება, წარმოადგინოს აღნიშნული ორგანო სხვებთან ურთიერთობაში და შეასრულოს ხიდის ფუნქცია კორპორაციული მართვის სხვა ორგანოებსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის.

მუხლი 252. კოოპერატივის ხელმძღვანელი პირის ფუნქციები და მისი არჩევა

- 1. კოოპერატივის ხელმძღვანელი პირი საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს კოოპერატივის ხელმძღვანელობას და მესამე პირებთან ურთიერთობაში კოოპერატივის წარმომადგენლობას.**

2. კოოპერატივის მართვის დუალისტურ სისტემაში ხელმძღვანელ პირს არაუმეტეს 3 წლის ვადით თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.
3. ხელმძღვანელი პირი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

კანონის 252-ე მუხლი ეთმობა კოოპერატივის ხელმძღვანელი პირის ფუნქციებსა და მისი არჩევის საკითხებს. ფუნქციების ნაწილში მიეთითება, რომ კოოპერატივის ხელმძღვანელი პირი საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს კოოპერატივის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამ ფუნქციების შესრულებისას ისინი უნდა მოქმედებდნენ მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ემოქმედა ხელმძღვანელს, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია სამეწარმეო საზოგადოებისათვის. ამ მოვალეობათა დარღვევისათვის ხელმძღვანელი პირები პასუხს აგებენ კოოპერატივის წინაშე.

ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ორგანო უნდა დააკომპლექტოს იმ სუბიექტმა, რომელიც პასუხისმგებელია მის ზედამხედველობაზე. სწორედ ამ პრინციპის მიხედვით, ხელმძღვანელი ორგანოს არჩევის უფლება დუალისტური მართვის მოდელში აქვს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში – საერთო კრებას. ამასთანავე, არჩეული პირი არ შეიძლება, იმავდროულად, იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ეს შეზღუდვა მიზნად ისახავს ინტერესთა აღრევის თავიდან აცილებას, სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტებას, რომ აღნიშნულმა ორგანომ ეფექტიანად განახორციელოს თავისი ძირითადი ამოცანა – ხელმძღვანელი ორგანოს კონტროლი.

მუხლი 253. კოოპერატივის მოგებისა და ზარალის განაწილება

1. წლიური ანგარიშის დამტკიცებისას საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სამეურნეო წელს კოოპერატივის მოგების ან ზარალის კოოპერატივის წევრებისთვის განაწილების შესახებ.
2. პირველ სამეურნეო წელს მოგება ან ზარალი ნაწილდება კოოპერატივის წევრების მიერ განხორციელებული შენატანების პროპორციულად, ხოლო ყოველ მომდევნო სამეურნეო წელს – მოგების მიმატებითა და ზარალის ჩამონერით, წინა სამეურნეო წლის ბოლოს არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად.

3. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კოოპერატივის მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს.
4. წესდება ან საერთო კრების გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

კანონის 253-ე მუხლი ეთმობა კოოპერატივის მოგებისა და ზარალის საკითხებს. გადაწყვეტილება მოგების გადახდის, მოგების მოცულობისა და ფორმის შესახებ მიიღება კოოპერატივის საერთო კრების მიერ. კოოპერატივის წევრები ზოგიერთ შემთხვევაში ორიენტირებულნი არიან, მიიღონ მაქსიმალური შემოსავალი მოკლევადიან პერსპექტივაში. აღნიშნული, როგორც წესი, წინააღმდეგობაში მოდის კოოპერატივის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიასა და კრედიტორების დაცვის ინტერესთან. შესაბამისად, ამ შეპირისპირებულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით, კანონით დგინდება მოგების გამოანგარიშებისა და გაცემის წესები. კერძოდ, მოგების განაწილება ხდება წელიწადში ერთხელ, წლიური ანგარიშის დამტკიცებისას. პირველი სამეურნეო წლისათვის მოგების ან ზარალის განაწილება მოხდება კოოპერატივის წევრების მიერ შესრულებული შენატანების პროპორციულად. მოგვიანებით, ყოველი მომდევნო წლისათვის გასაცემი მოგება დაანგარიშდება მოგების მიმატებით და ზარალის ჩამონერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსთვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. ასევე, წინამდებარე მუხლში ხაზი ესმება კოოპერატივში რეზერვის შექმნის შესაძლებლობას. რეზერვი – ეს არის კოოპერატივის მიერ აკუმულირებული დანაზოგი, რომელიც იქმნება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის.

თავი XVI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 254. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული საწარმო ვალდებულია ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მენარმეს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განუსაზღვრავს დამატებით, 3-თვიან ვადას, რომელიც აითვლება ადრესატისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების ამ კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი სამეწარმეო საზოგადოებისა და სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა. სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ სამეწარმეო საზოგადოებას დარჩა ქონება. ამ შემთხვევაში სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორებს. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციისთვის დადგენილი წესები.
2. ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მენარმესა და სამეწარმეო საზოგადოებაზე ამ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საფირმო სახელწოდების შეცვლას მოითხოვენ.
3. 2021 წლის 1 ნოემბრამდე:
 - ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრმა უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სტანდარტული წესდებების დამტკიცება;
 - ბ) საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული ელექტრონული პორტალის შექმნა;
 - გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა უზრუნველყოს იმ საწარმოს დაშლის წესის დამტკიცება, რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო;
 - დ) აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სფეროში უფლებამოსილმა შესაბამისმა მინისტრმა უზრუნველყოს იმ საწარ-

მოს დაშლის წესის დამტკიცება, რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

კანონის 254-ე მუხლი ეთმობა გარდამავალ დებულებებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლით ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ სანარმოს დაეკისრა ვალდებულება ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემები ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. აღნიშნული მოთხოვნა შეეხება მხოლოდ სარეგისტრაციო მონაცემებს, ხოლო წესდების ის ნაწილები, რომლებიც არ განეკუთვნება სარეგისტრაციო მონაცემებს და ამავდროულად არ არიან წინააღმდეგობაში კანონის იმპერატიულ ნორმებთან, არ საჭიროებენ განახლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მენარმეს სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სამენარმეო საზოგადოებას განუსაზღვრავს დამატებით ვადას. ეს ვადა განისაზღვრება 3-თვით და მისი ათვლა დაიწყება შეტყობინების მენარმის მიერ გაცნობისთანავე, იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან ან ელექტრონულ მისამართზე განთავსებიდან მე-15 დღეს, თუ არ დასტურდება ელექტრონულ მისამართზე განთავსებული შეტყობინების ადრესატის მიერ უფრო ადრე გაცნობა. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი სამენარმეო საზოგადოებისა და სამენარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა. ამ დროს სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ სამენარმეო საზოგადოებას დარჩა ქონება. ამ შემთხვევაში სამენარმეო საზოგადოების პარტნიორის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორებს და ლიკვიდაციის პროცესი იწარმოებს კანონის IX თავის შესაბამისად.

254-ე მუხლი განსაზღვრავს კიდევ ერთ გამონაკლისს. აღნიშნული შეეხება სამენარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებას. კერძოდ, უკვე რეგისტრირებულ მენარმეზე მოთხოვნა სამენარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდების სხვა სამენარმეო საზოგადოებების საფირმო სახელწოდებებისაგან განსხვავებულობის აუცილებლობის თაობაზე, ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სამენარმეო საზოგადოება ამ კანონის ამოქმედების შემდგომ მოითხოვს საფირმო სახელწოდების შეცვლას.

ამავე მუხლის მეხუთე პუნქტით 2021 წლის 15 ნოემბრამდე ზოგიერთ დაწესებულებას დაეკისრა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დამტკიცების ვალდებულება, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ასევე დაევალა კანონით გათვალისწინებული ელექტრონული პორტალის შექმნა.

მუხლი 255. დასკვნითი დებულებები

1. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21-22, მუხ. 455).
2. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი – 253-ე მუხლებისა და 254-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ კანონის პირველი – 253-ე მუხლები და 254-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

კანონის 255-ე მუხლი ეთმობა დასკვნით დებულებებს. კერძოდ, კანონის ამოქმედების ვადებს და ძალადაკარგულად გამოცხადებულ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს. კერძოდ, კანონი ამოქმედდა ორ ნაწილად. ამგვარი დაყოფით შეიქმნა შესაძლებლობა, შესაბამის დანესებულებებს დაკისრებოდათ ვალდებულება გამოეცათ/შესაბამისობაში მოეყვანათ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ელექტრონული პორტალის შექმნა. ამის პარალელურად, კერძო სექტორს მიეცა კანონის ამოქმედებისთვის მომზადების შესაძლებლობა. 2022 წლის პირველი იანვრიდან, ასევე, ძალადაკარგულად გამოცხადდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი.

